



საქართველოს სახალხო დამცველის  
ანგარიში  
საქართველოში ადამიანის უფლებათა  
და თავისუფლებათა დაცვის  
მდგომარეობის შესახებ

2013 წელი

[www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge)

# სარჩევი

შესავალი .....	4
ადამიანის უფლებათა მდგომარეობა დახურულ დაწესებულებებში (პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში).....	12
მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.....	12
საქართველოს სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემა და წამების აკრძალვის მექანიზმები .....	64
ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ორგანოებში.....	105
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებასა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში.....	115
ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში.....	125
ამნისტია და მსჯავრდებულთა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება.....	148
საქართველოს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა .....	154
სიცოცხლის უფლება.....	160
წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა დასასჯელის აკრძალვა.....	172
დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება.....	189
თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება.....	220
სამართლიანი სასამართლოს უფლება.....	235
პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.....	283
აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება.....	293
ეროვნული უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა.....	318
გამოხატვის თავისუფლება .....	332

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება.....	348
მიმოსვლის თავისუფლება .....	361
საკუთრების უფლება .....	369
უფლება შრომაზე.....	408
სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება.....	428
ჯანმრთელობის დაცვის უფლება.....	440
ბავშვის უფლებები.....	449
გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები.....	491
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა.....	518
სათანადო საცხოვრისის უფლება.....	551
სოციალური უზრუნველყოფის უფლება.....	561
ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობა.....	570
დევილთა და კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში .....	576
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების/ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობა.....	611
ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ.....	622
ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებრივი მდგომარეობა.....	627

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშს 2013 წელს ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ და მიმოიხილავს სამოქალაქო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა ფართო სპექტრს. ასევე, ყურადღებას ამახვილებს საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა სფეროში გამოვლენილ დადებით და უარყოფით ტენდენციებზე, თავს უყრის სახალხო დამცველის მიერ ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მისამართით შემუშავებულ ძირითად რეკომენდაციებს, რომელთა შესრულების დროულობასა და ხარისხზე მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრება ქვეყანაში.

აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

2012 წლის მდელვარე მოვლენების შემდეგ, რომელიც ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილებით დამთავრდა, 2013 წელი ნაკლები დრამატულობით გამოირჩეოდა. საპარლამენტო არჩევნების წინ შექმნილ, უკიდურესად დამაბულ წინასარჩევნო პერიოდთან შედარებით, მშვიდ და ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. მართალია, მთელი წლის განმავლობაში საზოგადოება ორი ძირითადი პოლიტიკური ძალის მტკივნეული პოლიტიკური თანაარსებობის მოწმე იყო, მაგრამ ამ დამაბულობას ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგად მდგომარეობაზე ფუნდამენტური გავლენა არ მოუხდენია - თუ არ ჩავთვლით იმ საგანგაშო ტენდენციას, რასაც ადგილი ჰქონდა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან საჯარო მოსამსახურეთა მასობრივი გათავისუფლების სახით. საერთაშორისო დამკვირვებლებმა დადებითად შეაფასეს 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები, რითაც დასრულდა რთული კოჰაბიტაცია და ძალაუფლების მშვიდობიანი გადაბარების პროცესი.

ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი სამართლებრივ, საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებების საკითხებში თომას ჰამარბერგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოში ადამიანის უფლებათა არსებული მდგომარეობის განხილვაში და სპეციალური ანგარიშიც მოამზადა. ასევე მომზადდა და დამტკიცდა ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია და მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისი სამოქმედო გეგმის დასრულებაზე, მიმდინარეობს მუშაობა ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტზე.

2013 წელს 11 ათასზე მეტმა პირმა მიმართა სახალხო დამცველის ოფისს, რაც წინა წლებთან შედარებით გაორმაგებული მაჩვენებელია და მეტყველებს ოფისისადმი გაზრდილ

მოლოდინებზე, დარღვეული უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ქვეყანაში თავისუფალი გარემოს არსებობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის სექტემბერში პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კადრების გავრცელების შემდეგ, მთელი საზოგადოების ყურადღება პატიმართა უფლებების დაცვაზე იყო კონცენტრირებული, პრობლემის აღმოსაფხვრელად გამოვლენილი პოლიტიკური ნებისა და გატარებული რეფორმების წყალობით, პატიმართა წამება და არასათანადო მოპყრობის ფაქტები მთავარ გამოწვევას აღარ წარმოადგენს. თუმცა, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის შესახებ მსჯავრდებულთა ათასობით საჩივარი კვლავ გამოძიების რეჟიმშია და ერთეული საქმეების გარდა, შედეგი ადამიანის უფლებათა ამ სისტემური დარღვევის ფაქტებზე არ დამდგარა.

კვლავ გრძელდება გამოძიება 2012 წლის 28 აგვისტოს ლოპოტას ხეობაში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით. გამოძიების მიმდინარეობისა და პროგრესის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი დაზარალებული ოჯახების, დაინტერესებულ პირებისა თუ ფართო საზოგადოებისათვის.

წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება შეფასდეს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია, რაც წლების განმავლობაში წარმოადგენდა საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის საგანს. თუმცა, მეორე მხრივ, მთელი სიმწვავეით წამოიწია სხვადასხვა ჯგუფების მიმართ შეუწყნარებლობის აქტიურმა გამოვლინებამ, რასაც ცალკეულ შემთხვევებში, ადეკვატური რეაგირება არ მოჰყოლია.

2013 წლის განმავლობაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, მკაცრი სისხლისსამართლებრივი, ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა უფრო ლიბერალური მიდგომებით ჩანაცვლდა, რაც ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით დადებითად უნდა შეფასდეს. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება არაპროპორციულად მაღალი და მკაცრი სასჯელების თავიდან ასაცილებლად, სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელთა შთანთქმის პრინციპის აღდგენას.

2013 წელს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, აღდგა საერთო სასამართლოებში ფოტო, ვიდეო და აუდიო გადაღების შესაძლებლობა. სახალხო დამცველის მოსაზრებით, ამ ცვლილებას, გრძელვადიან პერსპექტივაში, შეუძლია მნიშვნელოვნად აამაღლოს საზოგადოების ნდობა სასამართლო ხელისუფლების მიმართ.

მიუხედავად ზემოაღნიშნული პოზიტიური ნაბიჯებისა, საქართველოს პარლამენტმა ძალაში დატოვა მოწმეთა დაკითხვის დროებითი წესი, მაშინ როდესაც, სისხლის სამართლის ახალი



საპროცესო კოდექსის ამოქმედების ერთ-ერთი მთავარი დადებითი მხარედ სწორედ მოწმეთა მხოლოდ სასამართლოში დაკითხვა ითვლებოდა.

სახალხო დამცველმა კანონდარღვევად შეაფასა 2013 წლის ივნისში მერიისა და საკრებულოს თანამშრომელთა დაკავება ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ და მიაჩნია, რომ აღნიშნულ ფაქტზე აუცილებელია გამოძიების ჩატარება. კანონის მოთხოვნათა სავარაუდო დარღვევის შესახებ ლეგიტიმური კითხვები რჩება ასევე, ე.წ. „ტრაქტორების საქმეზე“, რაც გამოძიების სრულყოფილად ჩატარებას საჭიროებს.

საქართველოს სახალხო დამცველი არადაამაკმაყოფილებლად მიიჩნევს ფართომასშტაბიანი ამნისტიის შემდეგ ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივი წესით დევნილ პირებთან“ დაკავშირებით. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმა 2012 წლის 28 დეკემბერს განხორციელებულ ამნისტიას, თუმცა განაცხადა, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი შეუძლებელია შემოიფარგლოს ამნისტიის ერთჯერადი აქტის განხორციელებით, ვინაიდან სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული კატეგორიის პირთა სრული სამართლებრივი რეაბილიტაციისათვის, მნიშვნელოვანია, გონივრულ ვადაში შეიქმნას ქმედითი სამართლებრივი მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ ღირსებისა და რეპუტაციის აღდგენა, არამედ, სახელმწიფოსაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სამართლიანი ანაზღაურებაც.

პროკურატურაში 20 ათასზე მეტი განცხადება იყო შესული წარსულში მომხდარი სამართალდარღვევების გამოძიების მოთხოვნით. არაერთი ყოფილი თანამდებობის პირი, მათ შორის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ივანე მერაბიშვილი იყო დაპატიმრებული სხვადასხვა ბრალდებით. პოლიტიკური ოპოზიცია, რამდენიმე ორგანიზაცია და ექსპერტი სვამდა კითხვებს შერჩევითი სამართლის შესაძლო გამოყენებისა და იმის შესახებაც, თუ რატომ ინტერესდებოდა გამოძიება სწორედ ყოფილი თანამდებობის პირების საქმეებით. შეიქმნა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა სპეციალური სადამკვირვებლო მისია, რომელიც ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეებს სწავლობს. აღმოჩენილი დარღვევების შესახებ სახალხო დამცველს შეფასებები წარმოდგენილი ჰქონდა 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში, ასევე ნაწილობრივ წარმოდგენილია წინამდებარე ანგარიშშიც. სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს სასამართლო მონიტორინგს და საზოგადოება დამატებით იქნება ინფორმირებული.

2013 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს არაერთმა მსჯავრდებულმა/ყოფილმა მსჯავრდებულმა მიმართა, რომლებიც თავს უკანონო პატიმრებად მიიჩნევენ. ვინაიდან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამომწურავად ადგენს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გასაჩივრებისა და გადასინჯვის საფუძვლებს, საქართველოს სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია უმოკლეს ვადაში შეიქმნას მექანიზმი, რომელიც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული

გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობას შექმნის, მათ შორის ქონების რესტიტუციას და მორალური ზიანის ანაზღაურებას უკანონო მსჯავრდებისათვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს არაერთმა პირმა მიმართა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან სავარაუდოდ განხორციელებული არასათანადო მოპყრობისა თუ უფლებამოსილების გადამეტების სხვა ფაქტებთან დაკავშირებით.

2013 წლის განმავლობაში კვლავ პრობლემური რჩებოდა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე ჩატარებული გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საკითხი. ერთი წლის განმავლობაში სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი შემთხვევები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ამ კუთხით არსებობს როგორც საკანონმდებლო ხარვეზები, ასევე კანონმდებლობის პრაქტიკაში იმპლემენტაციის პრობლემა. ერთ-ერთ ასეთ საკითხად რჩება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციებისა და სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის კომპეტენცია და უფლებამოსილებები.

სამართალდამცავი ორგანოების მიერ ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტების ეფექტური გამოძიებისათვის, მნიშვნელოვანია გადაიხედოს არსებული კანონმდებლობა და შეიქმნას დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმი, რომელიც მსგავსი შემთხვევების მიუკერძოებელ გამოძიების უზრუნველყოფს. ასევე უნდა გაძლიერდეს სახალხო დამცველის უფლებამოსილება დახურულ დაწესებულებებში დარღვევის დაფიქსირების შესაძლებლობების კუთხით.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება იმ ფაქტს, რომ 2013 წელს მკვეთრად შეიცვალა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ხშირი გამოყენების ტენდენცია. თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველი კვლავ მიიჩნევს, რომ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ სასამართლოს განჩინებები ხშირ შემთხვევებში არ არის სათანადოდ დასაბუთებული, განსაკუთრებით, აღკვეთის ღონისძიების სახით - პატიმრობის გამოყენებისას.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება იმ გარემოებას, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან 2013 წელს, პირველად მოხდა მოქალაქეებზე უკანონო თვალთვალის აღიარება და შესაბამისად ფართო წარმომადგენლობითობით უზრუნველყოფილი კომისიის მიერ 110 ფაილამდე ფარული ვიდეო და აუდიო ჩანაწერების განადგურება. მიუხედავად ამ დადებითი ტენდენციისა, მიგვაჩნია, რომ მსგავსი ერთჯერადი აქცია ვერ უზრუნველყოფს ადამიანის პირადი სივრცის ხელშეუხებლობას, მყარი საკანონმდებლო გარანტიების შექმნის გარეშე.

ხელისუფლების მიერ განხორციელებული ფართომასშტაბიანი ამნისტიის და სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის შედეგად, საგრძნობლად შემცირდა სასჯელადსრულების სისტემაში მოთავსებულ პირთა რაოდენობა, რამაც აღმოფხვრა ციხეების გადატვირთულობის პრობლემა და გააუმჯობესა პატიმართა მდგომარეობა. 2013 წლის განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებებში არ დაფიქსირებულა წამების ფაქტი და მნიშვნელოვნად შემცირდა სისტემაში პატიმართა გარდაცვალების მაჩვენებელი. თუმცა, წლის ბოლოს იმატა განცხადებებმა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.

მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, საქართველოს სახალხო დამცველისთვის საგანგაშო იყო რამდენიმე პატიმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებები, როდესაც ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მისი კონტროლის ქვეშ მყოფ პირთა სიცოცხლისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების ეფექტური დაცვა. გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოიკვეთა სხვა პრობლემები, მათ შორის, სასჯელადსრულების დაწესებულებებში მოთავსებული პირების ჯანმრთელობის დაცვა; სასჯელადსრულების დაწესებულებებში მოთავსებული პირების სამედიცინო შემოწმების ეფექტური ფორმები.

2013 წლის განმავლობაში გამართული აქციების უმეტესობა ექსცესების გარეშე ჩატარდა, თუმცა, იყო გამონაკლისებიც, სადაც სახელმწიფომ ვერ შეძლო მშვიდობიანი აქციის მონაწილეებისთვის კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების უფლების უზრუნველყოფა უმოქმედობის ან/და არასათანადო რეაგირების გამო. მათ შორის, 2013 წლის 17 მაისს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ორგანიზებული აქციის დარბევა, პარალელური აქციის მონაწილეები მიერ.

2013 წელი დადებითად უნდა შეფასდეს მედია გარემოს თავისუფლებისა და ინფორმაციის მრავალფეროვნების უზრუნველყოფის კუთხით. საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა მედიაზე ზეწოლის შემთხვევები, თუ არ ჩავთვლით ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის რამდენიმე ფაქტს და საზოგადოებრივი მაუწყებლის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს.

2013 წელი რელიგიის თავისუფლების რეალიზაციისა და ტოლერანტობის კუთხით პრობლემატური იყო, რაც ყველაზე მწვავედ საქართველოს მუსლიმი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ რამდენიმე შემთხვევაში გამოვლინდა. 2013 წლის მაისსა და ივნისში, სამთაწყაროში მაცხოვრებელი მართლმადიდებელი მოსახლეობა აპროტესტებდა მეჩეთის ამოქმედებას სოფელში და მუქარით, სიტყვიერი შეურაცხყოფით, ზოგიერთ შემთხვევაში კი ძალადობით არ აძლევდა მუსლიმ მრევლს შეკრებისა და პარასკევის ტრადიციული ლოცვის ჩატარების შესაძლებლობას. ადიგენის რაიონის სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟისას, სამართალდამცავებსა და ადგილობრივ მუსლიმებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა, რის შედეგადაც ადგილობრივმა მოსახლეობმა დაზიანებები მიიღეს, თერთმეტი მუსლიმი დააკავეს და რამდენიმე მათგანის წინააღმდეგ



სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. დემონტაჟიდან სამ თვეში კი, 27 ნოემბერს, მინარეთის აღდგენის პროცესი დასრულდა.

სამოქალაქო ინტეგრაციისა და უმცირესობების უფლებების დაცვის თვალსაზრისით პრობლემად რჩება ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის საკითხი.

გასულ წელს დაფიქსირდა არაერთი შემთხვევა, როდესაც პირებს შეეზღუდათ მიმოსვლის თავისუფლება, როგორც საქართველოში შემომსვლელ უცხოელ მოქალაქეებს, ასევე საქართველოს მოქალაქეებს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას. აღნიშნულ შემთხვევებში სახალხო დამცველმა არაერთგზისი მოთხოვნის მიუხედავად შესაბამისი უწყებიდან ვერ მიიღო ინფორმაცია შემოსვლა-გასვლაზე უარის თქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შესახებ.

გასულ წელს გამოვლინდა საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციისას, შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირების საფუძვლით, საჯარო მოხელეთა დაკავებული თანამდებობებიდან დასაბუთების გარეშე გათავისუფლების არაერთი შემთხვევა, რაც ცალსახად იწვევს საჯარო მოხელეთა შრომის უფლების ხელყოფას. საქართველოს სახალხო დამცველი შრომის უფლებების დაცვის კუთხით წინადადებულ ნაბიჯად აფასებს საქართველოს შრომის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებს, რამაც საქართველოს შრომის კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვა და შრომის უფლების რეალიზაციის უფრო ეფექტური შესაძლებლობები შექმნა, თუმცა აუცილებელია გაგრძელდეს შრომის კოდექსის შემდგომი ეტაპობრივი მოდიფიკაცია.

საქართველოში სახელმწიფო დონეზე არ არის შემუშავებული შრომის, ჯანმრთელობისა და სამუშაო გარემოს შესახებ თანმიმდევრული ეროვნული პოლიტიკა და შესაბამისად, არ არსებობს მონიტორინგის მექანიზმი იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად არის დაცული სამუშაო ადგილებზე უსაფრთხო გარემო, რაც სახელმწიფოს მხრიდან დაუყოვნებელ რეაგირებას, სათანადო კანონმდებლობისა და მექანიზმის შემჭიდროვებულ ვადებში შექმნას საჭიროებს.

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მაღალი იყო თავშესაფრის ან სათანადო საცხოვრებელი პირობების უქონლობის თაობაზე მიღებული განცხადებების რაოდენობა. განცხადებების შესწავლამ აჩვენა, რომ პრობლემა სისტემურია. საკანონმდებლო დონეზე არ არსებობს უსახლკარო პირთა უფლებების დაცვისათვის სრულყოფილი სამართლებრივი გარანტიები. ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება უსახლკარო პირთა მიზნობრივი დახმარებისათვის როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ ბიუჯეტში გამოყოფილი ფინანსური სახსრების ნაკლებობა.

2013 წელს, წინა წლების მსგავსად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მაღალი იყო სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გათვალისწინებული საარსებო შემწეობით სარგებლობასთან დაკავშირებული განცხადებების რაოდენობა.

2013 წელი საქართველოს პრეზიდენტმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის წლად გამოაცხადა, ხოლო წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გაეროს 2006 წლის კონვენციის რატიფიცირება მოახდინა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით 2013 წელს გატარებული დადებითი ტენდენციების მიუხედავად, ბევრი საკითხი კვლავ საჭიროებს დაუყოვნებელ მოგვარებას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დიდი ნაწილისთვის, განსაკუთრებით რეგიონებში მცხოვრები შშმ პირებისთვის, სერიოზულ პრობლემად რჩება ინფორმაციის ნაკლებობა არსებული სოციალური, სამედიცინო და სხვა სახის პროგრამების შესახებ.

დევნილთა უფლებების დაცვის კუთხით პოზიტიურად უნდა შეფასდეს საკანონმდებლო დონეზე დევნილის დეფინიციის გაფართოება. კერძოდ, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ მიღებული ახალი კანონის მიხედვით, შეიცვალა დევნილის სტატუსის განსაზღვრება და ოკუპაციის გარდა, პირისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების ერთ-ერთ კრიტერიუმს ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევაც წარმოადგენს. აღნიშნული ცვლილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. „ადმინისტრაციულ საზღვართან“ მდებარე სოფლებიდან გადაადგილებული მოსახლეობისთვის, რომლებიც აქამდე მოქმედი კანონმდებლობით ვერ იღებდნენ დევნილის სტატუსს.

2013 წელს ასევე, დაიწყო დევნილთათვის ბინების განაწილების პროცესი თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. მიუხედავად წინსვლისა, დღემდე უმძიმეს პრობლემად რჩება დევნილთა უდიდესი ნაწილის საცხოვრებელი პირობები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. არსებითი მნიშვნელობისაა, რომ ბინების განაწილების პროცესი გამჭვირვალედ, საქართველოს სახალხო დამცველის და არასამთავრობო ორგანიზაციების მონიტორინგის ქვეშ განხორციელდეს.

წინა წლების მსგავსად კვლავაც საგანგაშოა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული 35 204 ოჯახის მდგომარეობა. სახელმწიფოს მიერ არ ხორციელდება ის პროგრამები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ეკომიგრანტის განსახლებულ პუნქტში ადაპტაცია და რეგიონში დამკვიდრება; არ არსებობს სახელმწიფო პროგრამა განსახლებული ოჯახების ცხოვრებისათვის ადეკვატური სოციალური პირობების შესაქმნელად. სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ კანონმდებლობის შემუშავების მიზნით სპეციალური კომისიის შექმნას. ვითარება კვლავაც

საგანგაშო და შემაშფოთებელია ბავშვთა უფლებების დაცვის მდგომარეობის კუთხით. ბავშვთა სიკვდილიანობისა და სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი, ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი საზოგადოების ტოლერანტული დამოკიდებულება, ბავშვთა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა მაღალმთიან რეგიონებში ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს.

გენდერული თანასწორობის მთავარ გამოწვევად რჩება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი. საქართველოს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა 11%, მინისტრთა კაბინეტში 21%, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში 10%-ია.

გამოწვევად რჩება ჰომოფობიური დამოკიდებულება ლგბტ პირთა მიმართ. 2013 წელს გახშირდა სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები და სხვა შემთხვევები ლგბტ თემის წარმომადგენელთა და მათი უფლების დამცველი ორგანიზაციების მიმართ.

საქართველოს სახალხო დამცველისთვის განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო 17 მაისის და ამ დღის თანმდევი მოვლენები, კერძოდ, განხორციელებული ძალადობა ლგბტ თემის წარმომადგენელი და უფლებადამცველი პირების მიმართ, რომელიც გრძელდება და სხვადასხვა ფორმით პოულობს გამოხატულებას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახალხო დამცველის ყურადღების ერთ-ერთ მთავარ საგანს წარმოადგენდა ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზაციის კუთხით არსებული ვითარება. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ამჟამად სწავლობს მესტიის რაიონის სოფელ ხაიშში დაგეგმილი ხუდონის და აჭარაში, შუახევის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მშენებლობის კანონიერების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების სავარაუდო დარღვევის საკითხებს.

ანგარიში ასევე მიმოიხილავს ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელ პირთა, ასევე 1944 წელს რეპრესირებულ რეპატრიანტთა უფლებრივ მდგომარეობას.

ცალკე თავი ეძღვნება საქართველოში ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხს. ამ მხრივ გასულ წელს დაფიქსირდა სერიოზული გამოწვევები, მათ შორის ერთ-ერთ თავშესაფარში ორი დღის შუალედში ხუთი ხანდაზმულის გარდაცვალების ფაქტი. მიმდინარე წელს ამ კუთხით სახალხო დამცველი უფრო ინტენსიურად იმუშავებს ამ სფეროში არსებული პრობლემებისა და სავარაუდო უფლებადარღვევების იდენტიფიკაციის მიზნით.

## *ადამიანის უფლებათა მდგომარეობა დახურულ დაწესებულებებში*

*(პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში)*

### **მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში**

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2013 წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, პოლიციის განყოფილებებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებში და „აკად. ბ.ნანიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ ჩატარებული მონიტორინგის შედეგები. ასევე, მოკლედ არის ასახული 2014 წლის თებერვალში მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მონიტორინგი.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანოების მონიტორინგი განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მონიტორინგი შესაძლებელი გახდა „ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური თანადგომით.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განხორციელეს 45 გეგმური და 313 არაგეგმური ვიზიტი, მოინახულეს 2670 პატიმარი. შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის განყოფილებებში განხორციელდა 140 გეგმური ვიზიტი და 13 არაგეგმური ვიზიტი, მოინახულეს 107 დაკავებული. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში განხორციელდა 9 არაგეგმური ვიზიტი, მოინახულეს 25 პაციენტი. ჰაუპტვახტებში განხორციელდა 3 გეგმური ვიზიტი, მოინახულეს 27 სამხედრო მოსამსახურე. მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში განხორციელდა 30 ვიზიტი და მოინახულეს 250 ბავშვი.

მონიტორინგის დროს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა შეამოწმეს დაწესებულებებში არსებული ფიზიკური გარემო და მოთავსებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ამ პირთა მიმართ მოპყრობაზე.

### **ცვლილებები სასჯელაღსრულების სისტემაში**

საანგარიშო პერიოდში, სასჯელაღსრულების სისტემაში მრავალი პოზიტიური ცვლილება განხორციელდა. წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა სისტემურ პრობლემას აღარ წარმოადგენს. მეტიც, საანგარიშო პერიოდში წამების არცერთი ფაქტი არ გამოვლენილა და არასათანადო მოპყრობის ფაქტები მხოლოდ ცალკეულ

შემთხვევაში დაფიქსირდა. მისასაღმებელია, სასჯელადსრულების დაწესებულებათა გადატვირთულობის მოხსნა<sup>1</sup> ამნისტიის, პირობით ვადამდე გათავისუფლების, შეწყალებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გათავისუფლების სამართლებრივი მექანიზმების აქტიური გამოყენების გზით. გატარებული ზომები სრულ შესაბამისობაშია ციხის გადატვირთულობის შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1999 წლის 30 სექტემბრის რეკომენდაციასთან.<sup>2</sup>

პატიმართა რაოდენობის კლების პარალელურად, გაიზარდა სასჯელადსრულების სისტემის დაფინანსება. სათანადო საცხოვრებელი პირობების არარსებობის გამო, დაიხურა სასჯელადსრულების №1 და №4 დაწესებულებები, ხოლო №3 და №16 დაწესებულებებში, ასევე, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დაიწყო რემონტი.

არსებითად გაიზარდა დაფინანსება და განსაკუთრებული ძალისხმევა იქნა გაწეული სასჯელადსრულების ჯანდაცვის სისტემის რეფორმირებაზე. საანგარიშო წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა პატიმართა სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებში გადაყვანის რაოდენობრივი მაჩვენებელი. დაინერგა რამდენიმე პროგრამა, ასევე შემუშავდა C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამა. შემოღებულ იქნა ფსიქოლოგიური მომსახურების კომპონენტი. შემცირდა სიკვდილობის მაჩვენებელი. ცვლილებები შევიდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასჯელისაგან გათავისუფლებისა და განაჩენის აღსრულების გადავადების სამართლებრივ მექანიზმებში.

ნორმების დახვეწის მიზნით, სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრმა გამოსცა სამოცამდე აქტი. საანგარიშო წლის განმავლობაში ხორციელდებოდა კადრების გადამზადება. მიუხედავად ამ პოზიტიური ცვლილებებისა და განხორციელებული აქტივობებისა, სასჯელადსრულების სისტემაში კვლავ არსებობს მრავალი პრობლემა, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

### **არასათანადო მოპყრობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში**

ადამიანის წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს, ფუნდამენტურ ღირებულებას წარმოადგენს, რომლის მნიშვნელოვან გარანტიად ადამიანის უფლებათა და ძირითად

<sup>1</sup> 2012 წლის დეკემბერში სასჯელადსრულების სისტემაში იმყოფებოდა 19349 პატიმარი, ხოლო 2013 წლის დეკემბერში - 9177 პატიმარი.

<sup>2</sup> იხ. <https://wcd.coe.int/com.instranet.InstraServlet?command=com.instranet.CmdBlobGet&InstranetImage=538633&SecMode=1&DocId=412108&Usage=2> [ბოლოს ნანახია 21.03.2014]



თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლი გვევლინება.<sup>3</sup> ასეთი მოპყრობის აღმოფხვრის თვალსაზრისით, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტს წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატური ოქმი წარმოადგენს, რამაც საფუძველი ჩაუყარა პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჩამოყალიბებას. საქართველოში ამ მექანიზმის ფუნქციების შესრულება „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველს ეკისრება.

ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებთან შედარებით (2012 წლის შემოდგომამდე), როდესაც პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში წამება და სხვა არასათანადო მოპყრობა სისტემურ ხასიათს ატარებდა, 2013 წელს ამ მხრივ მდგომარეობა რადიკალურად გაუმჯობესებულია. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ პატიმრობისა და თავისუფლების დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად წამების არცერთი სავარაუდო ფაქტი არ დაფიქსირებულა, რაც არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის თვალსაზრისით დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის საკითხი კვლავაც აქტუალურ პრობლემად რჩება, ვინაიდან 2013 წელს, ცალკეულ შემთხვევებში, პატიმრები კვლავ მიუთითებდნენ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველს არაერთმა პატიმარმა მიმართა, რომელიც მიუთითებდა 2012 წლის შემოდგომამდე პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მის მიმართ განხორციელებულ წამებაზე და სხვა სასტიკ, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობაზე. თითოეულ შემთხვევაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია და მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადააგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურაში. ასევე, გამოთხოვა ინფორმაცია ზემოხსენებულ ფაქტებზე განხორციელებული რეაგირების შესახებ. მიღებული პასუხებით ირკვევა, რომ უმეტეს შემთხვევებში დაწყებულია გამოძიება და საქმეს აწარმოებს პროკურატურის შესაბამისი ორგანო, ტერიტორიული ქვემდებარეობის მიხედვით, თუმცა აღსანიშნავია, რომ არსებობს გამოძიების ეფექტიანობასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც წინამდებარე ანგარიშში დეტალურად არის განხილული.

## ო.გ.-ს საქმე

2013 წლის 24 დეკემბერს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები ახორციელებდნენ გეგმიურ მონიტორინგს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულებაში. საკარანტინო რეჟიმის შემოწმების დროს, პრევენციული ჯგუფის წევრების ყურადღება მიიპყრო რამდენიმე ადამიანის ხმამაღალმა შემახილმა. შექმნილ ვითარებაში გარკვევის მიზნით, ჯგუფის წევრები ავიდნენ საკარანტინო განყოფილების მეორე სართულზე, სადაც

<sup>3</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი, მე-3 მუხლი: „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.“

დაინახეს, რომ №8 დაწესებულების რამდენიმე თანამშრომელი გარს იყო შემოხვეული პატიმარს და აყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. ვიზუალური დათვალიერებით, პატიმარ ო.გ.-ს სხეულზე დაზიანების კვალი აღენიშნებოდა.

ო.გ.-მ სახალხო დამცველის რწმუნებულებს განუცხადა, რომ 2013 წლის 24 დეკემბერს №8 დაწესებულების კარანტინში შეხვდა დაწესებულების ერთ-ერთი თანამშრომელი. მსჯავრდებულის განმარტებით, აღნიშნულმა თანამშრომელმა 2011-2013 წლებში მას ცემის შედეგად დაუზიანა ჯანმრთელობა, რის თაობაზეც თბილისის გლდან-ნამალაძის პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე. პატიმარი აცხადებს, რომ მას აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, რაც ზემოხსენებულ თანამშრომელთან შელაპარაკების მიზეზი გახდა, ხოლო შელაპარაკება მის მიმართ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში გადაიზარდა.

საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება მსჯავრდებულის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე. მთავარი პროკურატურიდან მიღებული პასუხით ირკვევა, რომ თბილისის პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

## **მ.გ.-ს საქმე**

2013 წლის 10 დეკემბერს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 დაწესებულებაში შეხვდა და ესაუბრა მსჯავრდებულ მ.გ.-ს. მსჯავრდებულის განმარტებით, 2013 წლის 7 დეკემბრის საღამოს დაწესებულების თანამშრომელთან მოუვიდა უმნიშვნელო შელაპარაკება. ამ ფაქტიდან 5 წუთში ხსენებულმა თანამშრომელმა მ.გ.-ს უთხრა, რომ უფროსი ეძახდა და გაიყვანა საკნიდან. მსჯავრდებული შეიყვანა ადმინისტრაციის ერთ-ერთ ოთახში, სადაც იმყოფებოდნენ დაწესებულების დირექტორი, მისი ორი მოადგილე და სხვა თანამშრომლები. მ.გ.-ს ჰკითხეს, თუ რატომ შეაგინა თანამშრომელს, რასაც მოჰყვა მისი ცემა. მსჯავრდებულის გადმოცემით, ცემა გრძელდებოდა დაახლოებით 5 წუთი. შემდეგ გაიყვანეს ოთახიდან და წაიყვანეს საკნის მიმართულებით. დერეფანში გავლის დროს მ.გ.-მ სხვა საკნებში მყოფ მსჯავრდებულებს უთხრა, რომ ის ცემეს. მ.გ. დააბრუნეს ოთახში, დაადეს ხელბორკილები და განმეორებით ცემეს. პატიმარს სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებების კვალი.

2013 წლის 11 დეკემბერს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც მსჯავრდებულ მ.გ.-ს ადვოკატის განცხადების საფუძველზე სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ დაიწყო მოკვლევა.

საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, მ.გ.-ს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტის ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად, საქმე შემდგომი რეაგირებისთვის გადაცემოდა საქართველოს მთავარი პროკურატურას, რაც შესრულდა.

### **ი.ნ-ს საქმე**

2013 წლის 10 მაისს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 დაწესებულებაში შეხვდა და გაესაუბრა მსჯავრდებულ ი.ნ.-ს. მსჯავრდებულის გადმოცემით, ამავე დღეს მასთან მისული იყვნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები, რომლებსაც ინფორმაცია მიაწოდა №7 დაწესებულებაში პატიმრების უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით. ამის შემდეგ ის გაიყვანეს პატიმრების სასაქონლო გამოყოფილ ეზოში. მსჯავრდებულის განმარტებით, მასთან მივიდა დაწესებულების დირექტორის მოადგილე და უკმაყოფილება გამოხატა იმის გამო, რომ მან ინფორმაცია მიაწოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლებს. ი.ნ. აცხადებს, რომ დირექტორის მოადგილემ მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, სცემა ხელით და ხელკეტით ზურგის და გვერდების არეში. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრმა დააფიქსირა მსჯავრდებულის სხეულზე დაზიანებების არსებობის ფაქტი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ზემოხსენებული ფაქტის ამსახველი მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაუგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას. როგორც მიღებული პასუხით ირკვევა, 2013 წლის 13 მაისს დაიწყო გამოძიება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის შესაბამის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით და სისხლის სამართლის საქმე გამოძიებისთვის გადაეგზავნა თბილისის პროკურატურას.

### **დ.ბ.-ს საქმე**

2013 წლის 30 სექტემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №2 დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს დ.ბ.-ს. მსჯავრდებულის განმარტებით, 2013 წლის 25 სექტემბერს დაწესებულების თანამშრომელმა მოტყუებით გამოიყვანა საკნიდან, რის შემდეგაც დირექტორის მოადგილემ, რეჟიმის განყოფილების უფროსმა და ცვლის უფროსმა ძალის გამოყენებით გადაიყვანეს A კორპუსის სამართლო საკანში. დ.ბ.-ს გადმოცემით, სამართლო საკანში შეყვანისას მას ხელებზე და ფეხებზე დაადეს ბორკილები, რის შემდეგაც მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მსჯავრდებულის განმარტებით, დაწესებულების დირექტორის მოადგილემ რამდენჯერმე დაარტყა მუშტი სახეში. დ.ბ.-ს თქმით, დაწესებულების თანამშრომლებმა მთელი ღამის განმავლობაში ბორკილდადებული დატოვეს სამართლო საკანში.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა დ.ბ.-სთან გასაუბრებისას შედგენილი ოქმის ასლი შემდგომი რეაგირებისთვის გადაუგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 11 ნოემბრის №13/6703 წერილით გვეცნობა, რომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №073250913005 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, ხოლო მსჯავრდებულის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება ცალკე წარმოებად არ დაწყებულა.

### **დ.ო.-ს და ნ.ბ.-ს საქმე**

2013 წლის 6 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველს ახსნა-განმარტებებით მიმართეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 დაწესებულებაში მყოფმა მსჯავრდებულებმა დ.ო.-მ და ნ.ბ.-მ. მსჯავრდებულთა განმარტებით, 2013 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში გამოაცხადეს შიმშილობა, საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გარკვეული ცვლილებების შეტანის მოთხოვნით. ნოემბრის ბოლოს მათთან საკანში მივიდა №6 დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომელი და მსჯავრდებულები წაიყვანა ადმინისტრაციული კორპუსის მიმართულებით. მსჯავრდებულთა მტკიცებით, გზაში მათ შეხვდნენ დაწესებულების ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებიც, რომლებმაც ძალის გამოყენებით დაადეს ხელბორკილები. დ.ო. და ნ.ბ. აცხადებენ, დაწესებულების თანამშრომლები მათ ძლიერად უჭერდნენ ხელს დაზიანებულ ზედა კიდურებზე (სადაც მსჯავრდებულებს მიყენებული ჰქონდათ თვითდაზიანება), ურტყამდნენ თავის და ზურგის არეში. მსჯავრდებულთა განმარტებით, დაწესებულების თანამშრომლებმა ისინი მიიყვანეს ადმინისტრაციულ კორპუსში, სადაც კვლავ განაგრძეს მათი ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ნ.ბ. აცხადებს, რომ მას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა ასევე, მიაყენა №6 დაწესებულების დირექტორმა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მსჯავრდებულების დ.ო.-ს და ნ.ბ.-ს ახსნა-განმარტებები შემდგომი რეაგირებისთვის გადაუგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას. თუმცა, როგორც მთავარი პროკურატურიდან მიღებული პასუხიდან ირკვევა, გამოძიება მიმდინარეობს დ.ო.-ს და ნ.ბ.-ს მიერ აკრძალული საგნის შენახვის ფაქტთან დაკავშირებით, ხოლო მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება ცალკე წარმოებად არ დაწყებულა.

### **ა.ბ.-ს საქმე**

2013 წლის 6 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველს ახსნა-განმარტებით მიმართა მსჯავრდებულმა ა.ბ.-მ. მსჯავრდებულის განმარტებით, 2013 წლის 25 სექტემბერს დაგეგმილი იყო მისი გადაყვანა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №17 დაწესებულებაში. ა.ბ. აცხადებს, რომ თავს გრძნობდა შეუძლოდ, რის შესახებაც ტრანსპორტში ჩაჯდომამდე განუცხადა საბადრაგო სამსახურის თანამშრომელს, თუმცა მას განუმარტეს, რომ საჭიროების

შემთხვევაში გაეწეოდა შესაბამისი დახმარება. მსჯავრდებული მგზავრობისას ცუდად გახდა და სამედიცინო დახმარება ითხოვა, თუმცა საბადრაგო სამსახურის თანამშრომლებმა უთხრეს, რომ დახმარებას გაუწევდნენ დანიშნულების ადგილზე მისვლის შემდეგ. ა.ბ.-ს განმარტებით, ამის შემდეგ მან გონება დაკარგა. გონზე მოსვლის შემდეგ, იმის გამო, რომ მას არ უწევდნენ სამედიცინო დახმარებას, თვითდაზიანება მიიყენა მანქანაში ნაპოვნი თუნუქის ნაჭრით. როგორც მსჯავრდებული აცხადებს, ის მიიყვანეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შენობის ეზოში, სადაც აღელვების ნიადაგზე, კვლავ მიიყენა თვითდაზიანება და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მის დასახმარებლად მისულ ექიმებს. ამის შემდეგ მსჯავრდებულს დაადეს ხელბორკილები, დააწვინეს პირქვე და გადმოათრიეს მანქანიდან. ამის შემდგომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაახლოებით ოცი თანამშრომელი ფეხებით ცემდა. მსჯავრდებული აცხადებს, რომ მისი ფიზიკური შეურაცხყოფა შეწყდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემთხვევის ადგილზე მივიდა მისთვის უცნობი პირი და ბრძანება გასცა - მსჯავრდებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 დაწესებულებაში გადაეყვანათ. ა.ბ.-ს განმარტებით, მისი ფიზიკური შეურაცხყოფა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ტერიტორიიდან №6 დაწესებულებაში მგზავრობისასაც გაგრძელდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მსჯავრდებულ ა.ბ.-ს ახსნა-განმარტება შემდგომი რეაგირებისთვის გადაუგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 7 თებერვლის №13/7629 წერილით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება მსჯავრდებულ ა.ბ.-ს მიერ აკრძალული საგნის შენახვა-ტარების ფაქტზე და გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო.

## ი.მ.-ს საქმე

2013 წლის 11 აპრილს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულ ი.მ.-ს. მსჯავრდებულის განმარტებით, 2013 წლის 5 აპრილს იგი გადაიყვანეს №6 დაწესებულებიდან №7 დაწესებულებაში, სადაც მიღებისას დაწესებულების დირექტორის მოადგილემ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა და დაემუქრა.

ი.მ.-ს გადმოცემით, ის მოათავსეს დაწესებულების №7 საკანში, სადაც მის მიმართ განხორციელებული მუქარისა და ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, მიიყენა თვითდაზიანება. მისი თქმით, დაახლოებით სამი საათის შემდეგ გადაიყვანეს სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც დაუმუშავეს ჭრილობები და დააბრუნეს №7 დაწესებულებაში.

მსჯავრდებულის განმარტებით, დაწესებულებაში დაბრუნებისას მას დახვდა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი და დაწესებულების დირექტორი. მათ ჰკითხეს



მსჯავრდებულს დაზიანებების მიყენების საფუძველი. ი.მ.-ს თქმით, მან მოუთხრო თანამშრომლებს მის მიმართ განხორციელებული ფიზიკური შეურაცხყოფისა და მუქარის თაობაზე და განუმარტა, რომ თუ ისევ დაწესებულებაში შეიყვანდნენ, კვლავ მიიყენებდა თვითდაზიანებებს ან თავს მოიკლავდა.

ი.მ.-ს გადმოცემით, იგი შეასახლეს №3 საკანში, სადაც მასთან ერთად დილამდე იმყოფებოდნენ №7 დაწესებულების თანამშრომლები, რათა არ მიეყენებინა თვითდაზიანება. მსჯავრდებულის განმარტებით, დილის საათებში მასთან კვლავ შევიდა დირექტორის მოადგილე გია, რომელიც მას კვლავ დაემუქრა, „აქ ამოგძვრება სულიო“. ი.მ.-ს თქმით, იგი იძულებული გახდა კვლავ მიეყენებინა თვითდაზიანება ქვედა კიდურებზე, რის შემდეგაც დაწესებულების დირექტორმა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაემუქრა, „გაგაფუჭებო“. ასევე უთხრა, რომ №7 დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებს დასჯიდა მის გამო და შემდგომ მას უნდა გაეცა აღნიშნული მსჯავრდებულებისთვის პასუხი. მსჯავრდებულის გადმოცემით, ამის შემდეგ მან ყელის არეში მიიყენა თვითდაზიანებები. მსჯავრდებული აცხადებდა, რომ თავს არ გრძნობდა უსაფრთხოდ.

მსჯავრდებულის ახსნა-განმარტება სახალხო დამცველის აპარატმა შემდგომი რეაგირებისთვის გადაუგზავნა საქართველოს მთავარ პროკურორს. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 23 აპრილის №13/43210 წერილით ცნობილი გახდა, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №0732220413003 საქმეზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

პატიმრების განცხადებები, ასევე ეხება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლების მხრიდან პატიმრების მიმართ უსაფუძვლო და არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომით, თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება, როდესაც ძალის გამოყენების აუცილებლობა არ იყო განპირობებული თავისუფლებაშეზღუდული პირის ქმედებით, ლახავს ადამიანურ ღირსებას და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას წარმოადგენს.<sup>4</sup>

საანგარიშო პერიოდში პატიმრები ხშირად მიუთითებდნენ, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლები მათ მიმართ ფიზიკურ ძალას იყენებენ მაშინაც კი, როდესაც პატიმრები არ ეწინააღმდეგებოდნენ ადმინისტრაციის კანონიერ მოთხოვნებს. უფრო მეტიც, პატიმრების განმარტებით, მათ მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება წინ უსწრებდა ადმინისტრაციის სიტყვიერ მითითებას კონკრეტული მოქმედების შესრულებაზე. ასეთი პრაქტიკის

<sup>4</sup> რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ, (Ribitsch v. Austria), განჩინება, 1995 წლის 4 დეკემბერი, პარ. 38.

დამკვიდრების ტენდენცია, განსაკუთრებით, პატიმრების ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანის დროს იკვეთება.

### **ი.ფ.-ს, გ.კ.-ს და სხვების საქმე**

2013 წლის ნოემბერში და დეკემბერში საქართველოს სახალხო დამცველს არაერთი, მათ შორის კოლექტიური განცხადებებით, მიმართეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №19 დაწესებულებაში (ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში) მყოფმა მსჯავრდებულებმა, რომლებიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიუთითებდნენ.

2013 წლის 23 დეკემბერს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში №19 დაწესებულებაში ჩატარებული არაგეგმური მონიტორინგისას მიღებული ინფორმაციით, მსჯავრდებულების ი.ფ.-ს, გ.კ.-ს და სხვების მიმართ სავარაუდოდ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, ასევე, არაპროპორციული ძალის გამოყენებას. მსჯავრდებულთა განმარტებით, აღნიშნული უკანონო ქმედებები მათ მიმართ განხორციელდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №19 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსის და ადმინისტრაციის სხვა თანამშრომელთა მხრიდან, რომლებიც განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ სხვა დაწესებულებებში მსჯავრდებულთა გადაყვანის დროს.

სახალხო დამცველის რწმუნებულები ასევე, შეხვდნენ და გაესაუბრნენ №19 დაწესებულებიდან №6 დაწესებულებაში გადაყვანილ ი.ფ.-ს და №8 დაწესებულებაში გადაყვანილ გ.კ.-ს. მსჯავრდებულთა განმარტებით, 2013 წლის 18 დეკემბერს მათ დაწესებულების ადმინისტრაციულ შენობაში გადასვლა მოსთხოვეს. მსჯავრდებულებს ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე ასასვლელ კიბეზე დახვდათ დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ერთ მათთვის უცნობ პირთან ერთად. მსჯავრდებულები აცხადებენ, რომ ამ დროს შენობაში შევიდა დაწესებულების 20-25 თანამშრომელი, რომლებმაც უსაფრთხოების განყოფილების უფროსის მითითებით, ძალის გამოყენებით ზურგსუკან დააწყობინეს ხელები და დაადეს ხელბორკილები. მსჯავრდებულთა განმარტებით, უსაფრთხოების განყოფილების უფროსი მათ აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. მან ასევე უკნიდან ხელი კრა ი.ფ.-ს, რომელიც გადავარდა კიბიდან და პირქვე დაეცა. მსჯავრდებულები აცხადებენ, რომ დაწესებულების თანამშრომლებმა ისინი კიდურებით ასწიეს და ძალის გამოყენებით მიიყვანეს საბადრაგო მანქანამდე.

მსჯავრდებულები აცხადებენ, რომ მათ მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენებამდე, დაწესებულების თანამშრომლებს სიტყვიერად არ მოუთხოვიათ რაიმე კონკრეტული მოქმედების შესრულება და შესაბამისად, არც მსჯავრდებულების მხრიდან ჰქონია წინააღმდეგობის გაწევის ფაქტს ადგილი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ზემოაღნიშნული ფაქტის ამსახველი დოკუმენტაცია შემდგომი რეაგირებისთვის გადაუგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას, თუმცა მიღებული პასუხის მიხედვით, ხსენებულ ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა და მასალები მთავარი პროკურატურიდან შემდგომი რეაგირებისთვის სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გადაიგზავნა.

### არასრულწლოვნების უ.ბ.-ს და ა.მ.-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვან მსჯავრდებულებს უ.ბ.-ს და ა.მ.-ს.

მსჯავრდებულთა განმარტებით, 2013 წლის 1 დეკემბერს ისინი №11 დაწესებულებიდან გადაიყვანეს №8 დაწესებულებაში, სადაც დაწესებულების რეჟიმის განყოფილების უფროსმა, დირექტორის მოადგილემ და სხვა თანამშრომლებმა მოულოდნელად დაადეს ხელბორკილები და წააქციეს. მსჯავრდებულთა გადმოცემით, ძალის გამოყენებამდე დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან რაიმე მოქმედების შესახებ მითითებას ადგილი არ ჰქონია. აღნიშნული ფაქტის შედეგად, ა.მ.-მ მიიღო სხეულის დაზიანება.

მსჯავრდებულთა ახსნა-განმარტებები შემდგომი რეაგირებისთვის გადაიგზავნა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში, საიდანაც სახალხო დამცველის აპარატს აცნობეს, რომ გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებისას, მსჯავრდებულებმა განმარტეს, რომ №8 დაწესებულების თანამშრომლებს მათთვის ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ და რაიმე პრეტენზია არ გააჩნიათ.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლო არაერთ განჩინებაში უსვამს ხაზს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირის მიერ სასჯელის მოხდა ადამიანის ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი და ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და რომ პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამომდინარე, პიროვნების ჯანმრთელობა სათანადოდ უნდა იქნას უზრუნველყოფილი.<sup>5</sup> სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პატიმრობაში ყოფნის პირობების შეფასებისას გასათვალისწინებელია მათი კუმულატიური ეფექტი, ისევე როგორც მომჩივნის კონკრეტული ბრალდებები.<sup>6</sup>

პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 დაწესებულებაში 2013 წლის 18 დეკემბერს

<sup>5</sup> ვალაშინასი ლიტვის წინააღმდეგ (Valašinas v. Lithuania), განჩინება, 2001 წლის 24 ივლისი, პარ. 102; ასევე კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudła v. Poland), განჩინება, 2000 წლის 26 ოქტომბერი, პარ. 94.

<sup>6</sup> დუგოზი საბერძნეთის წინააღმდეგ (Dougoz v. Greece), განჩინება, 2001 წლის 6 მარტი, პარ. 46.

განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში არსებული საცხოვრებელი პირობები არ შეესაბამება ეროვნული კანონმდებლობითა და საერთაშორისო აქტებით დადგენილ სტანდარტებს. პატიმრებს ფაქტობრივად ცხოვრება უწევთ ისეთ პირობებში, რაც ლახავს ადამიანის პატივსა და ღირსებას, საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას.<sup>7</sup>

2013 წელში ასევე დაფიქსირდა, რომ ცალკეული პატიმრები არასათანადო მოპყრობას ექვემდებარებიან სხვა პატიმრების მხრიდან. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ერთ შემთხვევაში ასეთი მოპყრობა პატიმრის გარდაცვალებით დასრულდა.

### **გარდაცვლილი ლ.კ.-ს საქმე**

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამომიებო ნაწილის და საქართველოს შს სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ ერთობლივად ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2013 წლის 12 მაისს ლ.კ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 დაწესებულებიდან გადაიყვანეს გეგუთის №14 დაწესებულებაში. დაახლოებით 20:00 საათზე, დაწესებულების მეექვსე კორპუსში განთავსებისას, ლ.კ.-ს და უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორ ი.შ.-ს შორის, ფსიქოტროპული პრეპარატების გაცემასთან დაკავშირებით მოხდა შელაპარაკება. ი.შ.-მ ლ.კ.-სთან კონფლიქტური სიტუაციის გარკვევა დაავალა მსჯავრდებულ შ.ს.-ს. ლ.კ.-ს და შ.ს.-ს შორის დაწყებული საუბარი გადაიზარდა კონფლიქტსა და ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში, რომლის მიმდინარეობისას ლ.კ.-მ ძალადობის საპასუხოდ, ხელი დაარტყა შ.ს.-ს. მომხდარის თაობაზე ცნობილი გახდა უსაფრთხოების ინსპექტორ - ი.შ.-სთვის, რომელმაც უგულვებელყო მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა - უზრუნველყო მსჯავრდებულთა უსაფრთხოება, გამოევიდინა და აღეკვეთა დანაშაული.

უსაფრთხოების ინსპექტორ ი.შ.-ს ამგვარი დამოკიდებულებით წახალისებულმა შ.ს.-მ და ამავე დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულმა გ.შ.-მ ლ.კ. ძალის გამოყენებით წაიყვანეს მეექვსე კორპუსის მესამე სართულზე მდებარე №338-ე საკანში, სადაც სხვა მსჯავრდებულებთან ერთად მიაყენეს მას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მსჯავრდებულთა მიერ ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით ლ.კ.-ს საკანში შეყვანის შესახებ იმთავითვე იყო ცნობილი უსაფრთხოების ინსპექტორ ი.შ.-სთვის, რომელსაც სამსახურებრივად ევალუბოდა მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულის აღკვეთა და მზადების სტადიაში მისი აცილება, თუმცა ამის მიუხედავად არაფერი იღონა კონფლიქტის აღსაკვეთად და მისი უმოქმედობით მოძალადე პირებს საშუალება მისცა გასწორებოდნენ ლ.კ.-ს. №338 საკანში ძალადობის შედეგად ლ.კ.-ს ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა. ცემის დასრულების შემდეგ კი მას მიეცა საკნის დატოვების საშუალება.

<sup>7</sup> დეტალური ინფორმაცია იხილეთ წინამდებარე ანგარიშში, თავი - საყოფაცხოვრებო პირობები.

რამდენიმე წუთში ნაცემ ლ.კ.-სთან, რომელიც სხვა პატიმრებთან ერთად მეექვსე კორპუსის მეოთხე სართულზე იმყოფებოდა, მივიდნენ პატიმრები ლ.კ., შ.ს., გ.შ., ს.დ., გ.უ., თ.გ. და ნ.ბ., რომლებმაც ლ.კ. სასაუბროდ ახლა უკვე №336 საკანში გაიხმეს, სადაც მსჯავრდებულ შ.ს.-ს ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, ხელებითა და ფეხებით, ასევე ელექტრო ჩაიდნისა და ვენტილატორის მყარი დეტალის გამოყენებით, დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში, ჯგუფურად, გონების დაკარგვამდე, განსაკუთრებული სისასტიკით ცემეს უმწეო მდგომარეობაში მყოფი ლ.კ. მისი ცემა არ შეუწყვეტიათ გონების დაკარგვის შემდეგაც რამდენიმე წუთის მანძილზე.

განხორციელებული ძალადობის შედეგად ლ.კ.-მ მიიღო მძიმე ხარისხის სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები. კერძოდ, მრავლობითი ნაჭდევები და სისხლნაჟღენთები შუბლის, ორივე თვალებს, მარჯვენა საფეთქლის და ცხვირის მიდამოში, სისხლჩაქცევებით ქალას რბილი საფარის ქსოვილში, რბილ გარსებში და თავის ტვინის ნივთიერებაში, ასევე ცხვირის ძვლის ხაზოვანი მოტეხილობა.

დანაშაულის ჩამდენ პირთათვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, უსაფრთხოების ინსპექტორმა ი.შ.-მ მსჯავრდებულის დაშავების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, შემთხვევის ადგილის დათვალიერების მიზნით მისულ გამოძიებელს განზრახ არასწორად მიუთითა ლ.კ.-ს სხეულის დაზიანების ადგილი და განუცხადა, რომ მან დაზიანებები მიიღო მეორე სართულის კიბიდან დაგორების შედეგად. აღნიშნული კი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ თავდაპირველად აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მცდარი ინფორმაციის გავრცელების მიზეზი გახდა.

2013 წლის 23 მაისს, ლ.კ. მასზე განხორციელებული ძალადობით ქალა-ტვინის დახურული ტრავმის შედეგად განვითარებული ტვინის მკვეთრად გამოხატული შეშუპებისა და დარბილების გამო, გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი მუხლით გათვალისწინებული ზოგადი ვალდებულება სახელმწიფოსგან მოითხოვს ეფექტიანი გამოძიების წარმოებას, იმ შემთხვევაშიც, როდესაც არასათანადო მოპყრობა განხორციელდა კერძო პირთა მხრიდან.<sup>8</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომით, კონვენციის პირველი მუხლის შესაბამისად, მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს წარმოეშობათ ვალდებულება, თავისი იურისდიქციის ქვეშ დაიცვან ნებისმიერი უფლებები და თავისუფლებები, რაც კონვენციის მესამე მუხლის მნიშვნელობიდან გამომდინარე,

<sup>8</sup> მ. და სხვები იტალიისა და ბულგარეთის წინააღმდეგ (M. and Others v. Italy and Bulgaria), განჩინება, 2012 წლის 31 ივლისი, პარ. 99.



სახელმწიფოს ავალდებულებს, მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირები არ დაექვემდებარონ არასათანადო მოპყრობას ასევე კერძო პირთა მხრიდან.<sup>9</sup>

### არასათანადო მოპყრობის გამოძიება

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების და მონიტორინგის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიების საკითხი კვლავაც პრობლემად რჩება.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მესამე მუხლი თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოიცავს არამართო წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისაგან (შემდგომში „არასათანადო მოპყრობა“) თავის შეკავების ვალდებულებას, არამედ სახელმწიფოებს ავალდებულებს ეფექტიანად გამოიძიოს ასეთი ფაქტები. მართალია, მესამე მუხლი პირდაპირ არ მიუთითებს გამოძიების ჩატარების ვალდებულებაზე, მაგრამ ეს დასკვნა გამომდინარეობს კონვენციის პირველი მუხლით გათვალისწინებული ზოგადი ვალდებულებისგან, თავისი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოს კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, რაც ასევე გულისხმობს ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, არასათანადო მოპყრობის ზოგადი სამართლებრივი აკრძალვა, მიუხედავად მისი ფუნდამენტური მნიშვნელობისა, არაეფექტიანი იქნებოდა სახელმწიფო წარმომადგენლების მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის პრევენციის თვალსაზრისით.<sup>10</sup>

სახელმწიფო წარმომადგენლებს შორის დაუსჯელობის სინდრომის ჩამოყალიბების თავიდან ასაცილებლად, არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიების მნიშვნელობაზე, ასევე ხაზგასმულია წამების პრევენციის კომიტეტის ანგარიშებსა და მოხსენებებში. კომიტეტი აღნიშნავს, რომ არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციაზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების არარსებობა პირებს, რომლებიც არასათანადოდ ეპყრობიან თავისუფლებადაკვეთილ პირებს, უჩენს დაუსჯელობის განცდას.<sup>11</sup> წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი ასევე აღნიშნავს:

„წამებისა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვის სარწმუნოობას ძირს უთხრის ის შემთხვევები, როდესაც ამგვარი დანაშაულის ჩამდენ ოფიციალურ პირებს საკუთარი ქმედებებისათვის პასუხი არ მოეთხოვებათ. დელეგაციის ვიზიტისას ზოგიერთი პირი აღნიშნავდა, რომ არასათანადო

<sup>9</sup> დენის ვასილევს რუსეთის წინააღმდეგ (Denis Vasilyev v. Russia), განჩინება, 2009 წლის 17 დეკემბერი, პარ.98.

<sup>10</sup> ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ (Labita v. Italy), განჩინება, 2000 წლის 6 აპრილი, პარ. 131; ასევე, ბოიციენკო მოლდავეთის წინააღმდეგ (Boicenco v. Moldova), განჩინება, 2006 წლის 11 ივლისი, პარ. 102.

<sup>11</sup> წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის საქმიანობის შესახებ 2004 წლის №14 ზოგადი მოხსენება, პარ. 25.

მოპყრობის შესახებ ინფორმაციას იშვიათად მოჰყვებოდა სწრაფი და ეფექტური რეაგირება, რაც წარმოშობს დაუსჯელობის კლიმატს[...]<sup>12</sup>

სახალხო დამცველის პოზიცია არასათანადო მოპყრობასა და დაუსჯელობასთან დაკავშირებით არაერთხელ აღინიშნა როგორც ყოველწლიურ საპარლამენტო, ისე სპეციალურ ანგარიშებში. კვლავაც ცალსახად აღვნიშნავთ, რომ არასათანადო მოპყრობის თითოეული შემთხვევა გამოძიებული უნდა იქნას ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მესამე მუხლის პროცესუალური მოთხოვნების დაცვით, რათა არ დავუშვათ საზოგადოებაში დაუსჯელობის, ხოლო პატიმრებში – შიშის სინდრომის ჩამოყალიბება და ეჭვქვეშ არ დადგეს სახელმწიფოს კატეგორიული მიდგომა წამებისა თუ სხვა არასათანადო მოპყრობის აკრძალვასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის აპარატში არასათანადო მოპყრობის შესახებ შემოსული ინფორმაცია ყველა შემთხვევაში შემდგომი შესწავლისა და რეაგირების მიზნით გადაიგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურაში. მიღებული პასუხების მიხედვით, ნაცვლად იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო და ჩაატაროს პროკურატურის შესაბამისმა ტერიტორიულმა ორგანომ, მასალები ხშირ შემთხვევაში საქართველოს მთავარი პროკურატურიდან შემდგომი რეაგირებისთვის იგზავნება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში. ასევე, არის შემთხვევები, როდესაც საქართველოს მთავარი პროკურატურა არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის მიღებისას თავს იკავებს გამოძიების დაწყებისგან, იმ მოტივით, რომ პატიმრების მიერ მითითებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს შეისწავლის და აფასებს უკვე წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ფარგლებში. აღნიშნული პრაქტიკის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ უკვე აღწერილი და სხვების საქმეებიც.

მსჯავრდებული ა.ბ. აცხადებდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაახლოებით ოცი თანამშრომლის მიერ მისი ცემისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტზე. სახალხო დამცველის აპარატმა ა.ბ.-ს ახსნა-განმარტება შემდგომი რეაგირებისთვის გადაუგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 7 თებერვლის №13/7629 წერილით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2013 წლის 26 სექტემბერს, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №073260913006 საქმეზე, მსჯავრდებულ ა.ბ.-ს მიერ აკრძალული საგნის შენახვა-ტარების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. გამოძიების მიმდინარეობისას დაიკითხა ა.ბ. და შესწავლილ იქნა ჩვენებაში მითითებული გარემოებები, მათ შორის მის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის საკითხი. 2013 წლის 23 დეკემბერს,

<sup>12</sup> 2010 წლის მოხსენება საქართველოს ხელისუფლებას წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ, პარ. 17. იხ. <http://www.cpt.coe.int/documents/geo/2010-27-inf-geo.pdf> [ბოლოს ნანახია 16.03.2014]

სისხლის სამართლის №073260913006 საქმეზე შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო.

მსჯავრდებულების დ.ო.-ს და ნ.ბ.-ს ახსნა-განმარტებები, რომლებშიც ისინი მიუთითებდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, სახალხო დამცველის აპარატმა შემდგომი რეაგირებისთვის გაუგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 30 ნოემბრის №13/5654 წერილით გვეცნობა, რომ 2013 წლის 30 ნოემბერს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №073301113004 საქმეზე, სასჯელაღსრულების №6 დაწესებულების მსჯავრდებულების დ.ო.-ს და ნ.ბ.-ს მიერ აკრძალული საგნის შენახვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. დანიშნულია სასამართლო-ტრასოლოგიური ექსპერტიზა, რომლის დასკვნა ამ ეტაპზე მიღებული არ არის. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი არ შეიცავდა ინფორმაციას არასათანადო მოპყრობის ფაქტების განხილვის შედეგების თაობაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა დ.ბ.-სთან გასაუბრებისას შედგენილი ოქმის ასლი, რომელშიც მსჯავრდებული მიუთითებდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №2 დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე, შემდგომი რეაგირებისთვის გადაუგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 11 ნოემბრის №13/6703 წერილით გვეცნობა, რომ 2013 წლის 25 სექტემბერს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №073250913005 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული ინფორმაციის მიხედვით, მსჯავრდებულის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება ცალკე წარმოებად არ დაწყებულა.

მსჯავრდებულების ი.ფ.-ს და გ.კ.-ს ახსნა-განმარტებები, რომელიც შეეხებოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №19 დაწესებულებაში მათ მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 27 იანვრის №13/4738 წერილით გვეცნობა, რომ გადაგზავნილი მიმართვა და თანდართული მასალები შემდგომი რეაგირებისთვის საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გადაიგზავნა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიების განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს გამოძიების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. ამ მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ არაერთ გადაწყვეტილებაში განმტკიცებული პოზიცია, რომლის მიხედვით, გამოძიების დროს ინსტიტუციური კავშირის არსებობა პირის უფლების შესაძლო დამრღვევებსა და გამოძიების ორგანოს შორის, წარმოშობს ლეგიტიმურ ეჭვს გამოძიების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.<sup>13</sup>

ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომით, არასათანადო მოპყრობის გამოძიება უნდა ჩატარდეს მსხვერპლის ბრალდების საქმის დამოუკიდებლად, რადგან ეს უკანასკნელი მიზნად ისახავს ბრალდებულის (არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლის) დამნაშავედ ან უდანაშაულოდ გამოცხადებას და არა მის მიმართ არასათანადო მოპყრობის გამოძიებას.<sup>14</sup>

ხშირ შემთხვევაში სასჯელალსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებას საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი აწარმოებს, რაც გამოძიების ეფექტურობას კიდევ უფრო ეჭვქვეშ აყენებს.

ცალსახად უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული პრაქტიკის დამკვიდრებით უზრუნველყოფილი ვერ იქნება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის პროცესუალური მოთხოვნების დაცვა – არასათანადო მოპყრობის თითოეული ფაქტი ეფექტიანად იქნას გამოძიებული.

მოსაზრებას იმის შესახებ, რომ არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესწავლა მსხვერპლის ბრალდების საქმეზე წარმოებული გამოძიების ფარგლებში არაეფექტურია, ამყარებს ზემოხსენებული ა.ბ.-ს საქმის გარემოებები, სადაც გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. აღსანიშნავია, რომ მითითებულ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა მსჯავრდებულის მიერ აკრძალული საგნის შენახვა/ტარების ფაქტზე. გამოძიების შეწყვეტის საფუძველი კი, შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ის გარემოება, რომ არ დადასტურდა მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი და ამ შემთხვევაში შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტი შეფასების გარეშე დარჩა.

<sup>13</sup> მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Mikiashvili v. Georgia), განჩინება, 2012 წლის 9 ოქტომბერი, პარ. 87; ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ (Tsintsabadze v. Georgia), განჩინება, 2011 წლის 15 თებერვალი, პარ. 78; ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ (Enukidze and Girgvliani v. Georgia), განჩინება, 2011 წლის 26 აპრილი, პარ. 243.

<sup>14</sup> ნეჩიპორუკი და იონკალო უკრაინის წინააღმდეგ (Nechiporuk and Yonkalo v. Ukraine), განჩინება, 2011 წლის 21 აპრილი, პარ. 164.

აუცილებელია, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამოვლენის დროს, ყველა შემთხვევაში გამოძიება დაიწყოს და აწარმოოს იმ საგამოძიებო უწყებამ, რომელიც ინსტიტუციურად არ არის დაკავშირებული სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან,<sup>15</sup> რათა უზრუნველყოფილ იქნას ასეთი ფაქტების დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სრულყოფილი გამოძიება.

არასათანადო მოპყრობის ეფექტიან გამოძიებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება ქმედების არასწორი კვალიფიკაცია. ძირითადად გამოძიება იწყება არა წამების<sup>16</sup> ან არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის<sup>17</sup> მუხლით, არამედ 333-ე მუხლის პირველი ნაწილით<sup>18</sup>, რაც გაცილებით უფრო მსუბუქ სანქციას ითვალისწინებს<sup>19</sup>.

თავის 2010 წლის ანგარიშში წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) აღნიშნავს, რომ არასათანადო მოპყრობის საჩივრებზე პროკურატურა იშვიათად აღძრავდა სისხლის სამართლის საქმეებს, ხოლო თუ ასეთი საქმეები მაინც აღიძვრებოდა, უმეტესად ეს ხდებოდა არა სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლით, არამედ 333-ე მუხლით. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ პროცესები ჭიანურდებოდა და ძალზე იშვიათად ხდებოდა მსჯავრდება, რაც საჩივრების გამოძიების სისტემის მიმართ ნდობას ამცირებდა.<sup>20</sup>

ნიშანდობლივია, რომ 2013 წელს, თუ სახალხო დამცველის აპარატის მიერ გადაგზავნილი მასალების საფუძველზე იწყებოდა გამოძიება, ის კვალიფიცირდებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით და ამ შემთხვევაშიც წარმოებული გამოძიება ეფექტიანობით არ გამოირჩეოდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ განჩინებაში აღნიშნავს, რომ არასათანადო მოპყრობის გამოძიება მიზნად უნდა ისახავდეს დამნაშავე პირთა გამოვლენასა და დასჯას, წინააღმდეგ შემთხვევაში, არასათანადო მოპყრობის ზოგადი სამართლებრივი აკრძალვა, მიუხედავად მისი ფუნდამენტური მნიშვნელობისა, არაეფექტიანი იქნებოდა[...].<sup>21</sup>

<sup>15</sup> საქართველოში ამჟამად მოქმედი სამართლებრივი სისტემის პირობებში, მიზანშეწონილი იქნება არასათანადო მოპყრობის გამოძიება აწარმოოს საქართველოს პროკურატურამ.

<sup>16</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>-ე მუხლი

<sup>17</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>3</sup> -ე მუხლი

<sup>18</sup> უფლებამოსილების გადამეტება

<sup>19</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილი სანქციის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით სამ წლამდე, ხოლო 144<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილი - ცხრიდან თხუთმეტ წლამდე, 144<sup>3</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილი ოთხიდან ექვს წლამდე.

<sup>20</sup> წამების პრევენციის კომიტეტის 2010 წლის მოხსენება საქართველოს ხელისუფლებას, პარ. 17.

<sup>21</sup> ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Assenov and Others v. Bulgaria), განჩინება, 1998 წლის 28 ოქტომბერი, პარ. 102; ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ, პარ. 131; ბოისენკო მოლდავეთის წინააღმდეგ, პარ. 102.



საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობისა და მასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 48 თანამშრომლის მიმართ, აქედან 28 თანამშრომელი ცნობილი იქნა დამნაშავედ. დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების დანაშაულებრივი ქმედებები საქართველოს პროკურატურისა და სასამართლო ხელისუფლების მიერ დაკვალიფიცირდა წამების, ასევე არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მუხლებით, თუმცა აღნიშნული ტენდენცია იკვეთება მხოლოდ 2012 წლის შემოდგომამდე ჩადენილ არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების შემთხვევებში, ხოლო ამ პერიოდის შემდეგ, ასეთი საქმეები ძირითადად კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით<sup>22</sup>.

საანგარიშო პერიოდში ასევე გამოიკვეთა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვა განმეორებითი ძალადობისგან ან დაშინებისგან.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლით გათვალისწინებული არასათანადო მოპყრობის აკრძალვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვა. არასათანადო მოპყრობის მსხვერპლები, აგრეთვე მათი ოჯახის წევრები, უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ დამატებითი გარანტიებით და დაცვით ნებისმიერი ძალადობის, ძალადობის მუქარის ან რაიმე სხვა ფორმის დაშინებისგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას გამოძიების დაწყებისთანავე სასამართლო პროცესის დასრულებამდე.

წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიების ერთ-ერთ უმთავრეს კრიტერიუმად ადგენს, რომ გამოძიების პერიოდში არასათანადო მოპყრობის შესაძლო მსხვერპლი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იმყოფებოდეს იმ პირთა ზედამხედველობის ქვეშ, რომლებმაც სავარაუდოდ განახორციელეს მის მიმართ არასათანადო მოპყრობა.<sup>23</sup>

<sup>22</sup> აღსანიშნავია, რომ სტატისტიკური ინფორმაციის მოთხოვნის მიუხედავად, საქართველოს მთავარ პროკურატურას სახალხო დამცველის აპარატისთვის არ მოუწოდებია ინფორმაცია, 2013 წელში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რამდენი თანამშრომლის მიმართ დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 332, 333, 144<sup>1</sup>, 144<sup>2</sup>, და 144<sup>3</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. შესაბამისად, აღნიშნული დასკვნა ეყრდნობა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომავალი არსებული საქმეების ანალიზს.

<sup>23</sup> წამების პრევენციის კომიტეტის მოხსენება ალბანეთში 2005 წლის 23 მაისიდან 3 ივნისამდე განხორციელებულ ვიზიტთან დაკავშირებით CPT/Inf(2006) 24, პარ. 52. ასევე, წამების პრევენციის კომიტეტის 2007 წლის 13 მაისს გაკეთებული საჯარო განცხადების I დანართი რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის რესპუბლიკასთან დაკავშირებით CPT/Inf (2007), პარ. 17, 53.

აღნიშნულმა პრობლემამ თავი იჩინა ზემოთ მითითებულ მ.გ.-ს საქმეში. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ მითითებულ ფაქტზე სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო 2013 წლის 13 დეკემბერს, რა დროსაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, სამსახურიდან ჩამოშორებულ იქნა №7 დაწესებულების დირექტორი. 2013 წლის 16 დეკემბერს გენერალურმა ინსპექციამ დაასრულა სამსახურებრივი შემოწმება და საქმის მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაუგზავნა თბილისის პროკურატურას. შესაბამისად, აღარ არსებობდა დაწესებულების დირექტორის სამსახურიდან ჩამოშორების ფორმალური საფუძველი და ის აღდგენილ იქნა სამსახურში.

აღნიშნულ საქმეზე გამოძიების პროცესში საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 დაწესებულებაში შეხვდა და გაესაუბრა მსჯავრდებულ მ.გ.-ს. მსჯავრდებულის განმარტებით, მას ყოველდღიურად უწევდა შეხვედრა №7 დაწესებულების ადმინისტრაციის იმ თანამშრომლებთან, რომლებიც მისი თქმით, მონაწილეობდნენ მის მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ და სიტყვიერ ზეწოლაში, რაც ახდენდა მასზე უარყოფით ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას და თავს არ გრძნობდა უსაფრთხოდ.

საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით, მსჯავრდებული მ.გ. გადაეყვანათ სხვა დაწესებულებაში, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული არ ყოფილა.

საგულისხმოა, რომ საქართველოში მოქმედი სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს ხდის, საჯარო მოხელე, თუ ის ბრალდებულად არ არის ცნობილი<sup>24</sup>, სამსახურს ჩამოშორდეს მხოლოდ სამსახურებრივი შემოწმების პროცესში.<sup>25</sup> თუ საქმის შესწავლისას გამოიკვეთება დანაშაულის ნიშნები, სამსახურებრივი შემოწმება სრულდება და საქმე იგზავნება შესაბამის საგამომიებო ორგანოში და ამ შემთხვევაში, საჯარო მოხელის სამსახურიდან ჩამოშორების საფუძველი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, ასეთ პირობებში არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი რჩება დაუცველი და არ არის უზრუნველყოფილი სამართლებრივი დაცვის ზემოხსენებული გარანტიით, რასაც ადგილი ჰქონდა კიდევ მ.გ.-ს საქმის შემთხვევაშიც.

<sup>24</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე და 160-ე მუხლების შესაბამისად, ბრალდებული შესაძლებელია გადაყენებულ იქნას თანამდებობიდან (სამუშაოდან) სასამართლოს განჩინებით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ თანამდებობაზე (სამუშაოზე) დარჩენით, იგი ხელს შეუშლის გამოძიებას, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ან განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას.

<sup>25</sup> საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 91-ე მუხლის თანახმად, პირს, რომელსაც უფლება აქვს გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, შეუძლია დისციპლინური წარმოებისას მოხელე ჩამოაშოროს სამსახურს.

სამწუხაროდ, საქართველოში მოქმედი სამართლებრივი სისტემით არ არის შექმნილი საკმარისი გარანტიები არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა განმეორებითი ძალადობისგან დასაცავად, რამაც შეიძლება სერიოზული ბარიერები შექმნას და ექვევქვე დააყენოს არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიება.

ბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიების ეფექტიანობა დიდწილად დამოკიდებულია გამოძიების დასაწყისშივე, არსებული მტკიცებულებების მყისიერ მოპოვებაზე. ამ მხრივ, გადამწყვეტია სხეულის დაზიანების დროული დოკუმენტირება.<sup>26</sup> ჩამოყალიბებული პრაქტიკის შესაბამისად, დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი ადგენს შესაბამის ოქმს და აღწერს დაზიანებას, თუმცა ვერბალური აღწერა, ბუნებრივია ვერ ჩაანაცვლებს ფოტოგრაფირების<sup>27</sup> საჭიროებას. გამომდინარე იქიდან, რომ, რიგ შემთხვევებში (განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც პატიმარი თავდაპირველად თავს იკავებს საგამოძიებო ორგანოებისათვის შეტყობინების გაგზავნაზე), ექსპერტიზის დანიშვნამდე და ჩატარებამდე შესაძლოა დაზიანების კვალი გაქრეს, მნიშვნელოვანია, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს ჰქონდეს უფლება მოახდინოს დაზიანების კვალის ფოტოგრაფირება. ასევე მიზანშეწონილია სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს, მკაფიოდ განსაზღვრული ნორმატიული რეგულირების პირობებში, შეეძლოს აწარმოოს ფიზიკური გარემოს ფოტოგადაღება, იმის გათვალისწინებით, რომ ცუდ ფიზიკურ გარემოში პატიმრის მოთავსება, რიგ შემთხვევებში, შეიძლება გაუტოლდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

### წინადადება საქართველოს პარლამენტს

- განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რათა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს ჰქონდეს უფლება, მოახდინოს დაზიანების კვალისა და ფიზიკური გარემოს ფოტოგადაღება

### რეკომენდაციები:

#### საქართველოს მთავარ პროკურორს:

- სასჯელადსრულების დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ პატიმრისადმი არასათანადო მოპყრობის ყველა ფაქტზე გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყოს და აწარმოოს საქართველოს პროკურატურამ;

<sup>26</sup> მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Mikiasvili v. Georgia), განჩინება, 2012 წლის 9 ოქტომბერი, პარ. 78-79.

<sup>27</sup> სტამბოლის ოქმი - გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო პრინციპები (United Nations; New York and Geneva, 2001 - 2004), პარ. 106

- არასათანადო მოპყრობა, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, დაკვალიფიცირდეს არა სისხლის სამართლის 333-ე მუხლით, არამედ წამების და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შესახებ მუხლებით.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ პატიმრისადმი არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს საქართველოს პროკურატურას;
- უზრუნველყოს არასათანადო მოპყრობის მსხვერპლის სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებაში გადაყვანა და პირადი უსაფრთხოების დაცვა;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებს ჩაუტარდეთ ძალის გამოყენების შესახებ ინტენსიური სწავლება.

### დისციპლინური სახდელები და ადმინისტრაციული პატიმრობა

„ციხის ევროპული წესების“ თანახმად, დისციპლინური სასჯელი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი საშუალება.<sup>28</sup> ციხის ადმინისტრაციამ უნდა გამოიყენოს მედიაციის ყველა შესაძლებლობა, რათა გადაჭრას კამათი პატიმრებთან და პატიმრებს შორის.<sup>29</sup> ნებისმიერი სასჯელის სიმკაცრე უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის პროპორციული.<sup>30</sup> დასჯის თვალსაზრისით აკრძალულია: კოლექტიური და ფიზიკური დასჯა, რომელიც ითვალისწინებს ბნელ საკანში პირის მოთავსებას, ასევე აკრძალულია არაადამიანური და ღირსების შემლახველი სხვა სასჯელები.<sup>31</sup> ასევე სასჯელი არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას.<sup>32</sup>

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 2013 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, სხვადასხვა დისციპლინური დარღვევისათვის პატიმრების მიმართ 1 408 შემთხვევაში იქნა გამოყენებული დისციპლინური სახდელი. აქედან 532 პატიმარს შეეფარდა სამართლო საკანში მოთავსება. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წელს ადმინისტრაციული პატიმრობა გამოყენებული იყო ერთი პატიმრის მიმართ, სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებაში. რაც, გასული წლების პრაქტიკის ფონზე დადებით ტენდენციად შეიძლება მივიჩნიოთ.

<sup>28</sup> ციხის ევროპული წესები. წესი 56.1

<sup>29</sup> ციხის ევროპული წესები. წესი 56.2

<sup>30</sup> ციხის ევროპული წესები. წესი 60.2

<sup>31</sup> ციხის ევროპული წესები. წესი 60.3

<sup>32</sup> ციხის ევროპული წესები. წესი 60.4

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წელს, დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ განკარგულება გაასაჩივრა 4 პატიმარმა. აქედან 3 საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ერთ საჩივარს ამჟამად იხილავს სასამართლო. აღსანიშნავია ასევე, რომ პატიმრები დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ ბრძანების გასაჩივრებისგან თავს იკავებენ იმ მიზეზით, რომ მათი განმარტებით აზრი არ აქვს გასაჩივრებას.

პატიმრობის კოდექსის 88-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სამართლო საკანში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ეკრძალება ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნები, სატელეფონო საუბარი, კვების პროდუქტების შეძენა, რაც შესაბამისად, პრაქტიკაშიც ხორციელდება. წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტმა საქართველოს ხელისუფლებას მისცა რეკომენდაცია, „გაატაროს ზომები, რომ პატიმრის დისციპლინურ საკანში მოთავსება არ აკარგვინებდეს მას ოჯახთან ურთიერთობის საშუალებას. ნებისმიერი აკრძალვა ოჯახთან კონტაქტისა, როგორც სასჯელის ფორმა, უნდა დაიშვებოდეს მხოლოდ მაშინ, როცა ამგვარ კონტაქტებს დანაშაული უკავშირდება.“<sup>33</sup>

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, 2012 წელს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს პატიმრობის კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანის წინადადებით მიმართა, თუმცა, ჯერ-ჯერობით პატიმრობის კოდექსის 88-ე მუხლში ცვლილება არ შესულა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ პატიმრების გარე სამყაროსთან კონტაქტის უფლების აკრძალვა არ უნდა გამოიყენებოდეს, როგორც დასჯის ფორმა. ასევე, წახალისების ფორმების გაზრდითა და დასჯის მექანიზმის ობიექტური გამოყენებით, შესაძლებელია ციხის სტაბილურობის შენარჩუნება, არასამართლიანმა და უკანონო მოპყრობამ კი შეიძლება გამოიწვიოს პატიმართა უმრავლესობის დაპირისპირება ადმინისტრაციასთან ან ერთმანეთთან.

რაც შეეხება სასჯელაღსრულების დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ დისციპლინური გადაცდომებისათვის შესაბამისი სახდელების დაკისრების პროცესს, აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ვინაიდან კანონმდებლობა კონკრეტულად არ განსაზღვრავს, თუ რომელი დისციპლინური სახდელი უნდა დაეკისროს დამრღვევს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ეძლევათ საკმაოდ ფართო დისკრეცია დისციპლინური სახდელის შერჩევის პროცესში. სასჯელაღსრულების დაწესებულებათა მონიტორინგის დროს, ერთი და იმავე დისციპლინური გადაცდომისათვის, სხვადასხვა დაწესებულებებში გამოვლინდა სრულიად სხვადასხვა სახდელების დაკისრების შემთხვევები. მაგალითად, ისეთი დარღვევისთვის, როგორც არის „ხმაური და ბრაზუნი საკნის კარზე,“ ასევე „სასჯელაღსრულების

<sup>33</sup> წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მოხსენება 2010 წლის 5-15 თებერვალს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, პარ. 115. იხ. <http://www.cpt.coe.int/documents/geo/2010-27-inf-eng.htm> [ბოლოს ნანახია 12.03.2014].



დაწესებულების თანამშრომლის შეურაცხყოფა,“ რიგ შემთხვევებში სახდელის სახით გამოიყენებოდა „ამანათისა და გზავნილის მიღების შეზღუდვა,“ ასევე „სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა,“ ხოლო რიგ შემთხვევებში გამოიყენებოდა „სამარტოო საკანში მოთავსება“ სხვადასხვა ვადით. ამასთან, დისციპლინური სახდელის სახით პატიმართა სამარტოო საკანში მოთავსება ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა სასჯელაღსრულების №2 დაწესებულებაში - 43 შემთხვევა; №8 დაწესებულებაში - 306 შემთხვევა; №15 დაწესებულებაში - 66 შემთხვევა. რაც შეეხება №7 დაწესებულებას, აღნიშნული დაწესებულებიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, დაწესებულებაში იმყოფებოდა 38 პატიმარი, ხოლო 31 დეკემბრის მდგომარეობით კი-50 პატიმარი. სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებაში საანგარიშო პერიოდში დისციპლინური სახდელის სახით „სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა“ გამოყენებული იყო 43 შემთხვევაში, ხოლო „მოკლევადიანი პაემნის შეზღუდვა“ 11 შემთხვევაში, რაც სხვა დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულების რაოდენობის გათვალისწინებით, პროცენტულად აღნიშნული სახდელების გამოყენების ყველაზე დიდი მაჩვენებელია. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ №7 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელების შეფარდების შერჩევის დროს უპირატესობა ენიჭება ისეთ სახდელებს, რომელიც იწვევს პატიმართა გარესამყაროსგან მეტად იზოლირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში არსებობს დისციპლინური სახდელების არაერთგვაროვანი პრაქტიკა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს პატიმართა პროტესტი.

#### **წინადადება საქართველოს პარლამენტს:**

- განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები პატიმრობის კოდექსში, რათა სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმრებს შეუნარჩუნდეთ პაემნის უფლება.

#### **რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:**

- შემუშავდეს დისციპლინურ სახდელების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები, რათა შესაძლებელი გახდეს დისციპლინური სახდელების ერთგვაროვანი გამოყენება სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში.

#### **საყოფაცხოვრებო პირობები**

ციხის ევროპული წესების თანახმად, პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი საცხოვრებელი, განსაკუთრებით კი, საძინებელი, უნდა პასუხობდეს ადამიანის ღირსების პატივისცემას და მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში, ასევე, განმარტოების მოთხოვნებს. ასევე

დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნები, ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს კლიმატურ პირობებსა და განსაკუთრებით ფართის ოდენობას, ჰაერის მოცულობას, განათებასა და ვენტილაციის პირობებს<sup>34</sup>. ყველა შენობაში, სადაც პატიმრები ცხოვრობენ, მუშაობენ ან იკრიბებიან: ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა საშუალება მიეცეთ პატიმრებს, იკითხონ ან იმუშაონ ბუნებრივი განათების ნორმალურ პირობებში, ასევე იძლეოდეს სუფთა ჰაერის მოძრაობის შესაძლებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ჰაერის კონდიციონირების სათანადო სისტემა; ხელოვნური განათება უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს; უნდა არსებობდეს სიგნალიზაციის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს პატიმრებს, დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ პერსონალს<sup>35</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა შესაძლოა გამოიწვიოს გარემომ, რომელშიც პირი იმყოფება.<sup>36</sup> ციხის ევროპული წესების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის მიხედვით, ადამიანის უფლებების შემლახავი ციხის პირობების არსებობა არ შეიძლება გამართლებულ იქნეს რესურსების ნაკლებობით.<sup>37</sup>

გასულ წლებში სასჯელაღსრულების თბილისის №1, ბათუმის №3 და ზუგდიდის №4 დაწესებულებებში ინფრასტრუქტურა მთლიანად მოძველებული იყო; აღნიშნულ დაწესებულებებში პატიმრებს წლების განმავლობაში მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში უწევდათ ცხოვრება. იქ არსებობდა განთავსების, განათების, ვენტილაციის, გათბობის და ჰიგიენის პრობლემები.

2013 წელს დაიხურა თბილისის №1 და ზუგდიდის №4 დაწესებულებები, რაც უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია. ასევე სარემონტო სამუშაოები დაიწყო ბათუმის №3 დაწესებულებაში. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დღემდე არსებობს სასჯელაღსრულების დაწესებულებები, სადაც საჭიროა კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ჩატარება.

### **თბილისის №7 დაწესებულება**

მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებია სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებაში, რაზეც არაერთი რეკომენდაციით<sup>38</sup> მიმართა სახალხო დამცველმა საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრს, თუმცა აღნიშნული პრობლემა დღემდე არ მოგვარებულა.

<sup>34</sup> ციხის ევროპული წესები. წესი 18.1

<sup>35</sup> ციხის ევროპული წესები. წესი 18.2

<sup>36</sup> Inter alia რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ (Ramishvili and Kokhreidze v. Georgia), განჩინება, 2009 წლის 27 იანვარი, პარ. 79.

<sup>37</sup> ციხის ევროპული წესები. წესი 4

<sup>38</sup> 30/07/2013 №03-3/513; 16/12/2013 №894/03-5; 19/02/2014 №03/458

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ განჩინებაში უსვამს ხაზს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირის მიერ სასჯელის მოხდა ადამიანის ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი და ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და რომ პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამომდინარე, პიროვნების ჯანმრთელობა სათანადოდ უნდა იქნას უზრუნველყოფილი.<sup>39</sup> სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პატიმრობაში ყოფნის პირობების შეფასებისას გასათვალისწინებელია მათი კუმულატიური ეფექტი, ისევე როგორც მომჩივნის კონკრეტული ბრალდებები.<sup>40</sup>

სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებაში არის 25 საკანი. აქედან 12 საკანი ორ ადგილიანია, 5 განკუთვნილია 4 პატიმრისთვის, ხოლო დანარჩენი 8 საკანი გათვლილია რვა-რვა პატიმარზე. მთლიანობაში, დაწესებულებაში 108 პატიმრის ადგილია.

ორ ადგილიანი საკნის ფართი შეადგენს დაახლოებით 7 კვადრატულ მეტრს, ოთხ ადგილიანის - 9 კვადრატულ მეტრს, ხოლო რვა ადგილიანის - 14,5 კვადრატულ მეტრს. ორ ადგილიან საკანში ერთი პატიმრისთვის განკუთვნილი ფართი შეადგენს 3,5 კვადრატულ მეტრს, ოთხ ადგილიან საკანში - 2,25 კვადრატულ მეტრს, ხოლო რვა ადგილიან საკანში - 1,8 კვადრატულ მეტრს.

მონიტორინგის დროს დადგინდა, რომ რვა ადგილიან №7 საკანში მოთავსებული იყო 7 პატიმარი, №2 საკანში - 5 პატიმარი, №16 საკანში - 4 პატიმარი, №23 საკანში - 4 პატიმარი. რაც შეეხება ოთხადგილიან საკნებს, №17 საკანში მოთავსებული იყო 3 პატიმარი. ორადგილიანი საკნებიდან №14 საკანში მოთავსებული იყო ორი პატიმარი. 15 პატიმარი საკნებში ცალ-ცალკე იყვნენ მოთავსებული.

მონიტორინგის ზემოაღნიშნული შედეგებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ №7 საკანში, სადაც მოთავსებულია 7 პატიმარი, ერთი ადამიანისთვის განკუთვნილი ფართი შეადგენს დაახლოებით 2 კვადრატულ მეტრს, რაც ეწინააღმდეგება პატიმრობის კოდექსით დადგენილ სტანდარტს.<sup>41</sup> რაც შეეხება №2, №16 და №4 საკნებს, სადაც მოთავსებულია ხუთი და შესაბამისად, ოთხ-ოთხი პატიმარი, ერთი პატიმრისათვის განკუთვნილი ფართი 2,9 კვადრატული მეტრიდან 3,6 კვადრატულ მეტრამდე მერყეობს.

აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზემოთ მოცემული გაანგარიშების დროს არ არის გამოკლებული საპირფარეშოს ფართი და ფართი, რომელიც საწოლს და მაგიდას უკავია.

<sup>39</sup> იხ. ვალაშინასი ლიტვის წინააღმდეგ (Valašinas v. Lithuania), განჩინება, 2001 წლის 21 ივლისი § 102; ასევე კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudła v. Poland), განჩინება, 2000 წლის 26 ოქტომბერი, § 94.

<sup>40</sup> იხ. დუგოზი საბერძნეთის წინააღმდეგ (Dougoz v. Greece), განჩინება, 2001 წლის 6 მარტი, § 46.

<sup>41</sup> პატიმრობის კოდექსის 64-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, 1 მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 2,5 კვ. მეტრზე ნაკლები.

ტუალეტის ფართი საკნებში მერყეობს 0,4 (0,63X0,69) კვადრატული მეტრიდან 0,5 (0,62X0,78) კვადრატულ მეტრამდე, საწოლის ერთი რიგის მიერ დაკავებული ფართი შეადგენს დაახლოებით 1,3 კვადრატული მეტრს. შესაბამისად, რვა ადგილიან საკანში მთლიან ფართს უნდა გამოაკლდეს 5,2 (1,3X4) კვადრატული მეტრი, ასევე საპირფარეშოს და მაგიდის ფართი, ჯამში დაახლოებით 1 კვადრატული მეტრი, რაც შეადგენს დაახლოებით 8,3 კვადრატულ მეტრს. ამკარაა, რომ 8 ადგილიან საკანში თუნდაც 4 პატიმრის მოთავსების შემთხვევაში, სივიწროვია. იგივე შეიძლება ითქვას ოთხადგილიან საკნებზე.

წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა, 2012 წელს განხორციელებული ვიზიტის შემდგომ, საქართველოს მთავრობას მიმართა რეკომენდაციით, რომ სასჯელაღსრულების №2 და №8 დაწესებულებაში მრავალადგილიან საკნებში მოთავსებული თითოეული პატიმარი უზრუნველყოფილი იყოს 4 კვადრატული მეტრის სიდიდის პირადი ფართით და გაეტანათ ზედმეტი საწოლები.<sup>42</sup>

საყოფაცხოვრებო პირობების ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ჭრილში შეფასებისას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, გარდა პირადი საცხოვრებელი ფართისა, დამატებით მხედველობაში იღებს ფიზიკური გარემოს სხვა ასპექტებს, როგორცაა სუფთა ჰაერზე ფიზიკური ვარჯიშის შესაძლებლობა, ბუნებრივი განათება, ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია, სათანადო გათბობა, საპირფარეშოში განმარტოების შესაძლებლობა, სანიტარული და ჰიგიენური პირობები.<sup>43</sup> სასამართლომ, საქმეში *პეერსი საბერძნეთის წინააღმდეგ* (Peers v. Greece), 7 კვადრატული მეტრის ფართობი ორ პატიმარზე მიიჩნია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის დამადასტურებელ ფაქტორად, რასაც, სასამართლოს განმარტებით, თან ერთვის ვენტილაციის და დღის განათების ნაკლებობა.<sup>44</sup>

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებაში მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებია. დაწესებულებაში არსებულ საკნებს აქვს მცირე ზომის ფანჯრები (75X43 სმ), რაც დაფარულია რამდენიმე ფენა გისოსით. აღნიშნულიდან გამომდინარე ჰაერი და მზის სხივი ფანჯრიდან ფაქტობრივად არ შედის. დაწესებულებაში არსებული სავენტილაციო სისტემა ვერ უზრუნველყოფს სუფთა ჰაერის საკმარის მოძრაობას, ნესტიან საკნებში არასაკმარისი განათება და გათბობაა.

აღსანიშნავია, რომ №7 დაწესებულებაში დაგეგმილია ფანჯრების შეცვლა. ახალი ფანჯრების დამონტაჟების შემდეგ მათი გაღება შეუძლებელი იქნება, რაც თავის შეაფერხებს ბუნებრივ ვენტილაციას. ადგილზე სიტუაციის შესწავლის დროს გაირკვა, რომ №7 დაწესებულებაში

<sup>42</sup> 2012 წლის 19-23 ნოემბერს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიში, CPT/Inf (2013) 18, პარ. 33.

<sup>43</sup> იხ. ვლასოვი რუსეთის წინააღმდეგ (Vlasov v. Russia), განჩინება, 2008 წლის 12 ივნისი, § 84; ასევე ტრეპაშკინი რუსეთის წინააღმდეგ (Trepashkin v. Russia), განჩინება, 2007 წლის 19 ივლისი, § 94.

<sup>44</sup> პეერსი საბერძნეთის წინააღმდეგ (Peers v. Greece), განჩინება, 2001 წლის 19 აპრილი, § 70-72.

ფანჯრების შეცვლის სამუშაოები დაწყებულია. კერძოდ, კედლებში დამონტაჟებულია მილები, რამაც მომავალში ფანჯრების სანაცვლოდ ხელოვნური ვენტილაცია უნდა უზრუნველყოს.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის საცხოვრებელს უნდა ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებასა და ვენტილაციას. ბრალდებული/მსჯავრდებული აგრეთვე უზრუნველყოფილი უნდა იყოს გათბობით.

1955 წელს ქენევაში მიღებული „პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების“ მე-10 და მე-11 წესების მიხედვით, ყველა ადგილი, რომლითაც სარგებლობენ პატიმრები, განსაკუთრებით ყველა საძინებელი ოთახი, სრულად უნდა პასუხობდეს სანიტარულ მოთხოვნებს. ამასთან, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კლიმატურ პირობებს, განსაკუთრებით ამ ოთახების სიმაღლეს, მინიმალურ ფართობს, განათებას და ვენტილაციას, ფანჯრები უნდა იყოს საკმარისი ზომის იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა დღის შუქზე, და უნდა იყოს ისე კონსტრუირებული, რომ უზრუნველყოს სუფთა ჰაერის მიწოდება იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა ვენტილაციის ხელოვნური სისტემა.

აქვე აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებაში ახალი ფანჯრების დამონტაჟებასთან დაკავშირებით, 2013 წლის 16 დეკემბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრს. რეკომენდაციაში ხაზგასმული იყო, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ უზრუნველყოფილი იქნებოდა ხელოვნური ვენტილაციის სისტემა, ის ვერ ჩაანაცვლებდა ბუნებრივი გზით საკანში ჰაერის მოძრაობის საჭიროებას. შესაბამისად, სახალხო დამცველი მიმართავდა №7 დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ფანჯრების დაყენების რეკომენდაციით, რომელიც საკნების განათებასთან ერთად უზრუნველყოფდა ბუნებრივ ვენტილაციას.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მოხსენებებში, რომელიც ეხება საქართველოში განხორციელებულ ვიზიტებს, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასჯელაღსრულების დაწესებულებების საკნებში არსებულ ფანჯრებს, რომლებზეც აფარებული რკინის გისოსები და ჟალუზები ზღუდავს საკანში დღის სინათლისა და სუფთა ჰაერის შემოსვლას.<sup>45</sup> კომიტეტი მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ მიეღო ზომები, რათა დაწესებულებებში ყოფილიყო ბუნებრივი განათება და ადეკვატური ვენტილაცია. წამების

<sup>45</sup> წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მოხსენება საქართველოში 2001 წლის 6-18 მაისს განხორციელებული ვიზიტის შემდეგ. იხ. <http://www.cpt.coe.int/documents/geo/2002-14-inf-geo.pdf> [ბოლოს ნანახია 13.03.2014]

წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მოხსენება საქართველოში 2003 წლის 28 ნოემბრიდან და 2004 წლის 7-14 ნოემბერს განხორციელებული ვიზიტების შესახებ, ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: <http://www.cpt.coe.int/documents/geo/2005-12-inf-eng.pdf> [ბოლოს ნანახია 13.03.2014]



პრევენციის ევროპული კომიტეტი თავის მოხსენებებში დიდ ყურადღებას უთმობს პატიმრებისთვის ბუნებრივი განათებისა და სუფთა ჰაერის ხელმისაწვდომობას და მიიჩნევს, რომ უსაფრთხოების მიზნითაც კი არ უნდა მოხდეს პატიმრებისთვის ბუნებრივი განათებისა და სუფთა ჰაერის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა.<sup>46</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ საქმეებში არაერთხელ მიუთითა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიშებში მოყვანილ ფაქტებზე, რომლის მიხედვითაც, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ ფანჯრებზე გაკეთებული რკინის გისოსები, ხელს უშლიდა სუფთა ჰაერისა და დღის სინათლის საკანში შესვლას. არ არსებობდა ვენტილაციის სისტემა, რომლითაც მოხდებოდა ჰაერის უკმარისობის ანაზღაურება. სასამართლომ აღნიშნული ფაქტი მიიჩნია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად.<sup>47</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

სასამართლო, ასევე, აღნიშნავს, რომ მოცემულ საპრობლემაში, ფანჯრებს გაკეთებული ჰქონდა რკინის გისოსები, რომლებიც ხელს უშლიდა სუფთა ჰაერისა და დღის სინათლის საკანში შესვლას. არ არსებობდა ვენტილაციის სისტემა, რომლითაც მოხდებოდა ჰაერის უკმარისობის ანაზღაურება [...] სასამართლოს შეხედულებით, მის ხელთ არსებული მტკიცებულებები მას საშუალებას აძლევს, „ყოველგვარ გონივრულ ეჭვს მიღმა“ მიიჩნიოს, რომ მომჩივანი ნამდვილად იმყოფებოდა მის მიერ საჩივარში გაპროტესტებულ პატიმრობის პირობებში. კერძოდ, მას აწუხებდა საკუთარი საწოლის უქონლობა, ჰაერის მუდმივი უკმარისობა და სიბინძურე... ამიტომ, მომჩივნის მიმართ ადგილი აქვს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.<sup>48</sup>

სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებას არ გააჩნია გრძელვადიანი პაემნებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა, რის გამოც პატიმრები ვერ სარგებლობენ გრძელვადიანი პაემნებით.

სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებაში ფუნქციონირებს მხოლოდ ორი შეხვედრების ოთახი (ე.წ. საგამოძიებო), რითაც სარგებლობენ სასულიერო პირები, ადვოკატები და საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლები. როდესაც ეს ორი ოთახი დაკავებულია, შესახვედრად მისულ პირებს მთელი დღის მანძილზე უწევთ რიგში დგომა. იყო შემთხვევები, როდესაც ადვოკატები მთელი დღის მანძილზე უშედეგოდ ელოდებოდნენ რიგს.

<sup>46</sup> წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მე-11 ზოგადი მოხსენება [CPT/Inf (2001) 16], პარ. 30. იხ. <http://www.cpt.coe.int/en/documents/eng-standards-scr.pdf> [ბოლოს ნანახია 13.03.2014]

<sup>47</sup> ალიევი საქართველოს წინააღმდეგ (Aliev v. Georgia), განჩინება, 2009 წლის 13 იანვარი; რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ (Ramishvili and Kokhreidze v. Georgia), განაცხადი №1704/6, 2009 წლის 27 იანვარი; ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ (Ghvtadze v. Georgia), განჩინება, 2009 წლის 3 მარტი; გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ (Gorgiladze v. Georgia), განჩინება, 2009 წლის 20 ოქტომბერი.

<sup>48</sup> ალიევი საქართველოს წინააღმდეგ, განჩინება, 2009 წლის 13 იანვარი, § 82-84.

## **№8 დაწესებულება - არასრულწლოვანთა საპატიმრო განყოფილება**

არასრულწლოვანთა განყოფილებაში სარემონტო და მოუწესრიგებელია საკნები. მონიტორინგის დროს დადგინდა, რომ აქ არ ფუნქციონირებს ვენტილაცია. ოთახებში ტუმბოების რაოდენობა არ შეესაბამება არასრულწლოვან პატიმართა რაოდენობას და მათი უმეტესობა ამორტიზირებულია.

## **თბილისის №12 დაწესებულება**

მიუხედავად იმისა, რომ №12 დაწესებულება წარმოადგენს ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებას და მსჯავრდებულებს დღის მანძილზე გარეთ უწევთ ყოფნა, იქ არსებული პირობები არ არის მიზანშეწონილი პატიმრის მოსათავსებლად. ამ დაწესებულებაში არ არსებობს სავენტილაციო სისტემა. ასევე, არ არის ცენტრალური გათბობის სისტემა, რის გამოც პატიმრებს ელექტროგამათბობლების გამოყენება უწევთ. ასევე, არ არსებობს ხანგრძლივი პაემნისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა.

## **რუსთავის №6 დაწესებულება**

№6 დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს სავენტილაციო სისტემა. დაწესებულებაში არსებული ფანჯრები ვერ უზრუნველყოფს საკმარის ბუნებრივ ვენტილაციას.

## **გეგუთის №14 დაწესებულება**

### **საექიმო-სამედიცინო პუნქტი**

პალატებში არ არსებობს სავენტილაციო სისტემა, ასევე არ არის ონკანი და საპირფარეო. პატიმრებს უწევთ დერეფანში განლაგებული საპირფარეოსა და პირსაბანის გამოყენება. საექიმო-სამედიცინო პუნქტის საშხაპე და სამრეცხაო მოთავსებულია ერთ სივრცეში. ერთმანეთის გვერდზე განთავსებულია ორი შხაპი, რომელიც არ არის ერთმანეთისგან ტიხრით გამოყოფილი. პატიმრებს ერთ სივრცეში უწევთ ტანსაცმლის გამოცვლა, ბანაობა, სარეცხის რეცხვა.

### **სარეჟიმო კორპუსი №6**

საკნებში არ ფუნქციონირებს სავენტილაციო სისტემა.

### **სამზარეულო-სასადილო**

სამზარეულოს ფიზიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია და მოითხოვს კაპიტალური სარემონტო სამუშაოს ჩატარებას. არ ფუნქციონირებს სავენტილაციო სისტემა. მოძველებულია არსებული ინვენტარი.

## საშხაპე

№6 სარეჟიმო კორპუსის პირველ სართულზე 5 მოქმედი საერთო სარგებლობის საშხაპეა. საშხაპეებში არ არის გამოყოფილი ტანსაცმლის გამოსაცვლელი სივრცე. პატიმრები ტანსაცმელს იხდიან და კიდებენ ღია საკიდებზე, რის გამოც უსველდებათ ტანსაცმელი. საშხაპეში არ არის დამონტაჟებული ჰიგიენური ნივთების დასადები თაროები. საშხაპე არ არის გადატიხრული. საშხაპით სარგებლობა ერთდროულად შეუძლია 6 პატიმარს. კანალიზაციის სისტემა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მოხმარებული წყლის გამტარობას, რის გამოც საშხაპეში გუბდება წყალი. სავენტილაციო სისტემის გაუმართაობის გამო საშხაპეში გროვდება ორთქლი.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- №7 დაწესებულებას დაემატოს შეხვედრების ოთახები (ე.წ. საგამომიებო) იმ რაოდენობით, რომ უფლებამოსილ პირებს არ შეექმნათ შეფერხება პატიმრების მონახულებასთან დაკავშირებით;
- უზრუნველყოფილ იქნას ყველა დაწესებულების სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური განათება, ვენტილაცია და გათბობა;
- უზრუნველყოფილ იქნეს ზემოთ მითითებული ყველა დაწესებულების სათანადო გარემონტება და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- ყველა თავისუფლებაღკვეთის დაწესებულებაში გამოიყოს შესახვედრი ოთახი, სადაც საქართველოს სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს ნებისმიერ დროს ექნება საშუალება შეხვედეს პატიმარს ყოველგვარი მიყურადებისა და თვალთვალის გარეშე.

## პირადი ჰიგიენა

განჩინებაში საქმეზე *ანანიევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ* (Ananyev and Others v. Russia), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სათანადო სანიტარულ და ჰიგიენურ საშუალებების ხელმისაწვდომობა აუცილებელია პატიმრის პირადი ღირსების განცდის შესანარჩუნებლად.<sup>49</sup>

<sup>49</sup> ანანიევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Ananyev and Others v. Russia), განჩინება, 2012 წლის 10 იანვარი, §156.

საქმეზე კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudla v. Poland), განჩინებაში სასამართლო ცალსახად განმარტავს, რომ „კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას დაიცვას თავისუფლებადკვეთილი პირის ფიზიკური ჯანმრთელობა“.<sup>50</sup>

პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდებულსა და მსჯავრდებულს უფლება აქვს, უზრუნველყოფილი იყოს პირადი ჰიგიენით. ამავე კანონის 21-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნები და დაიცვას პირადი ჰიგიენა პატივისა და ღირსების შეუღახავად.

აღსანიშნავია, რომ სასჯელადსრულების დაწესებულებებში ჰიგიენის თვალსაზრისით მდგომარეობა გაუმჯობესებულია, თუმცა თბილისის №7 დაწესებულებაში ამ კუთხით კვლავ გარკვეული პრობლემებია.

№7 დაწესებულებაში საკნებში არსებული საპირფარეშოები მცირე ზომისაა, ვენტილაციის სისტემა არ არსებობს და არც ჩამრეცხი ავზებია დაყენებული. მართალია, საპირფარეშო იზოლირებულია საკნის დანარჩენი ფართისგან, მაგრამ, საპირფარეშოს კარის ზედა ნაწილში დარჩენილია ღია სივრცე, საიდანაც, ვენტილაციის სისტემის არარსებობის პირობებში, საკანში არასასიამოვნო სუნი აღწევს.

პატიმართა განმარტებით, მათ გაძნელებული აქვთ ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საპირფარეშოში არასაკმარისი ფართის გამო. საპირფარეშოს ფართობი მერყეობს 0,4 (0,63X0,69) კვადრატული მეტრიდან 0,5 (0,62X0,78) კვადრატულ მეტრამდე. პატიმრები აცხადებენ, რომ ზოგიერთ პატიმარს, მისი ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე, უწევს საპირფარეშოს კარის გაღება და ამგვარ დამამცირებელ მდგომარეობაში ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. აქვე აღსანიშნავია, რომ საპირფარეშოს კარების პირდაპირ განლაგებულია საწოლები და განმარტობა პრაქტიკულად შეუძლებელია. აღნიშნულ საკითხზე არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის კონტექსტში არაერთ საქმეზე აქვს ნამსჯელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.<sup>51</sup>

გარდა ზემოაღნიშნული პრობლემისა, პატიმრებს საკნებში აწუხებთ სხვა საყოფაცხოვრებო პრობლემები. კერძოდ, არ აქვთ ტუმბო და თარო, რის გამოც იძულებულნი არიან პირადი ნივთები და ხილი დააწყონ იატაკზე და საწოლზე.

№7 დაწესებულებაში პატიმრებს არ ეძლევათ უფლება საკანში იქონიონ საპარსი და ფრჩხილების საჭრელი საშუალებები. ერთ საკანში მყოფი პატიმრების ყველა საპარსი და

<sup>50</sup> კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ, § 94.

<sup>51</sup> იხ. Inter alia რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ (Ramishvili and Kokhraidze v. Georgia), განჩინება, 2009 წლის 27 იანვარი, § 86; ალექსანდრ მაკაროვი რუსეთის წინააღმდეგ (Aleksandr Makarov v. Russia), განჩინება, 2009 წლის 12 მარტი, § 97.

ფრჩხილის საჭრელი აწყვია სხვადასხვა რძის პროდუქტის ნახმარ კოლოფში, რაც თავის მხრივ მოთავსებულია ოფიცერთა სამორიგეო ოთახში არსებულ სეიფში, სადაც ასევე ინახება სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების ნივთები. აღნიშნულით ირღვევა ჰიგიენური ნორმები და იქმნება გადამდები დაავადებების გავრცელების საფრთხე.

აღსანიშნავია, რომ №7 დაწესებულებაში მყოფ პატიმართაგან 28 პირი დაავადებულია ქრონიკული „C“ ჰეპატიტით და მათი პირადი ჰიგიენის ნივთების (პირის საპარსის და ფრჩხილების საჭრელის) შენახვა საერთო სათავსოებში, წარმოშობს სხვა პატიმრების დაინფიცირების რისკს.

№7 დაწესებულებაში არ არის სამრეცხაო, რის გამოც, პატიმრები ტანსაცმელს და თეთრეულს საკნებში რეცხავენ და იქვე აშრობენ.

**რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:**

- №7 დაწესებულებაში მოთავსებულ პირებს შეექმნათ ჰიგიენის დაცვისათვის საჭირო პირობები.

**სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლებით სარგებლობა**

სასამართლომ საქმეში *ევგენი ალექსეენკო რუსეთის წინააღმდეგ* (Yevgeniy Alekseyenko v. Russia) განაცხადა, რომ მომჩივნის მდგომარეობას, რომელიც დანარჩენ დროს საკანში ატარებდა, ამძიმებდა მხოლოდ ერთსაათიანი სეირნობის შესაძლებლობა.<sup>52</sup>

განჩინებაში საქმეზე *მოისეევი რუსეთის წინააღმდეგ* (Moiseyev v. Russia), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოსკოვის ციხეში არსებული სასეირნოდ გამოყოფილი ფართი, რომელიც სულ რაღაც ორი მეტრით აღემატებოდა თავად საკანს, რომელსაც გარს ერტყა სამი მეტრის სიმაღლის კედლები და გადახურული იყო გისოსების სქელი ფენით, ვერ უზრუნველყოფდა მომჩივნის სუფთა ჰაერზე ფიზიკურ დატვირთვისა და რეკრეაციას.<sup>53</sup>

განჩინებაში საქმეზე *ანანიევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ*, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ პატიმრობის პირობების შეფასებისას,

<sup>52</sup> ევგენი ალექსეენკო რუსეთის წინააღმდეგ (Yevgeniy Alekseyenko v. Russia), განჩინება, 2011 წლის 27 იანვარი, § 88.

<sup>53</sup> მოისეევი რუსეთის წინააღმდეგ (Moiseyev v. Russia), განჩინება, 2008 წლის 9 ოქტომბერი, § 125.



განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სუფთა ჰაერზე ფიზიკური დატვირთვის შესაძლებლობასა და ხანგრძლივობას.<sup>54</sup>

პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ყოველდღიურად, არანაკლებ 1 საათისა, იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, ყველა კატეგორიის პატიმრებს, როგორც წინასწარ პატიმრობაში მყოფებს, ასევე მსჯავრდებულებს, უნდა მიეცეთ დღის განმავლობაში გარკვეული გონივრული დროით (8 საათი ან მეტი) საკნების გარეთ ყოფნის და მათი სხვადასხვა აქტივობებითა და საქმიანობით დაკავების შესაძლებლობა, ხოლო უსაფრთხოების განსაკუთრებულ რეჟიმში მყოფი მსჯავრდებულებს, სულ მცირე 1 საათით<sup>55</sup>.

არც ერთი პატიმრობის და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების სასაქონლო ეზოები არ არის მოწყობილი სათანადოდ, რის გამოც პატიმრები იძულებულნი არიან, სასაქონლოდ გამოყოფილი დრო ფეხზე გაატარონ და ამის გამო ზოგჯერ თავადვე ამბობენ უარს გასაქონლებაზე ან განსაზღვრულ დროზე ადრე ბრუნდებიან საკანში.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების სუფთა ჰაერზე გასვლის ხანგრძლივობის საკითხი მეტ-ნაკლებად გაუმჯობესებულია, თუმცა ამ მხრივ გარკვეული პრობლემები კვლავ არსებობს თბილისის №7 დაწესებულებაში.

სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებაში მყოფი პატიმრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ სასაქონლო ეზოს მდებარეობითა და მოწყობით. სასაქონლო ეზოები არის მცირე ზომის და მდებარეობს ისეთ ადგილას, სადაც ჰაერი ფაქტობრივად არ მოძრაობს. მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ სასაქონლოდ გამოყოფილი ფართი შეადგენს 13 კვადრატულ მეტრს (4,2X3,1). ასეთი სასაქონლო ფართი სულ ოთხია დაწესებულებაში. სასაქონლო ფართი შემოსაზღვრულია დაახლოებით სამი მეტრის სიმაღლის კედლებით და გადახურულია გისოსებითა და მეტალის ბადით. აღნიშნულის გამო და იქიდან გამომდინარე, რომ სასაქონლო ფართი მოქცეულია შენობებს შორის მზის სხივები და სუფთა ჰაერი სათანადოდ ვერ აღწევს.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ №7 სასჯელაღსრულების დაწესებულება წარმოადგენს პატიმრობის და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას და იქ მოთავსებული პატიმრები, სარგებლობენ დღეში ერთი საათით სუფთა ჰაერზე გასაქონლების უფლებით. აღსანიშნავია, რომ №7 დაწესებულებაში სასჯელს იხდიან ფილტვების ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრები, ასევე პირები, რომლებსაც წარსულში არაერთხელ აქვთ გადატანილი ფილტვების ტუბერკულოზი და ამჟამად იმყოფებიან

<sup>54</sup> ანანიევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ, §150.

<sup>55</sup> წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მოხსენება 2010 წლის 5-15 თებერვალს საქართველოში განხორციელებული ვიზიტი ვიზიტის შესახებ საქართველოში, პარ. 82.

დაწესებულების პირველ სართულზე არსებულ საკნებში, სადაც კედლები, იატაკი და ჭერი ნესტიანია. ასეთ პირობებში ცხოვრება ხელს უწყობს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმებას და ზრდის მომავალში ტუბერკულოზით განმეორებით დაავადების რისკს.

სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლება ასევე ეზღუდებათ გეგუთის №14 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას საერთო სასაბაგილო ოთახი აქვს, იგი არ გამოიყენება და საკვები პატიმრებს მიეწოდებათ საკნებში. საბაგილოს მიღების დროს პატიმრებს აბრუნებენ საკნებში და დაახლოებით ორი საათის განმავლობაში ჰყავთ საკნებში, რითაც პატიმრებს ეზღუდებათ დაწესებულების ტერიტორიაზე დღის საათებში გადაადგილების უფლება, რომელიც მათ პატიმრობის კოდექსის შესაბამისად გააჩნიათ.

### რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- პატიმრობის და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მაქსიმალურად გონივრული დროით გაიზარდოს პატიმრების სუფთა ჰაერზე ყოფნის ხანგრძლივობა;
- უზრუნველყოს დაწესებულებების სასაბაგილო ეზოებში სკამებისა და სავარჯიშო ინვენტარის დამონტაჟება და მათი აღჭურვა სხვადასხვა კლიმატური პირობების შესაბამისად.

### კონტაქტი გარე სამყაროსთან

წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი რეკომენდაციებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული პირისათვის, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, გარე სამყაროსთან მყარი კავშირის არსებობას. „აქ სახელმძღვანელო პრინციპად გვევლინება გარე სამყაროსთან კონტაქტების შენარჩუნების მხარდაჭერა; ასეთი კონტაქტის ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს სერიოზული ხასიათის უსაფრთხოების მოსაზრებებს ან არსებულ მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს“.<sup>56</sup>

აგრეთვე, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 61-ე მუხლიც ეხება პატიმრის საზოგადოებასთან ურთიერთობის შენარჩუნების საკითხს. კერძოდ, პატიმრებთან ურთიერთობა მიზნად უნდა ისახავდეს მათი საზოგადოებასთან ინტეგრირების მცდელობას. თემის განვითარების სააგენტოებმა უნდა გამოთქვან სურვილი და შესაძლებლობა, რათა დაეხმარონ დაწესებულების თანამშრომლებს, პატიმართა სოციალურ რეაბილიტაციაში.

<sup>56</sup> წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტი (CPT). წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის საერთო ანგარიშების „რეზოლუციური“ ნაწილები. სტრასბურგი, 18 აგვისტო 2000 წ. გვ.37

ყოველ დაწესებულებას უნდა გააჩნდეს ურთიერთობები სხვადასხვა სააგენტოებთან, მუშაკებთან, რათა უზრუნველყონ პატიმართა ახლო კავშირი ოჯახის წევრებთან. გარკვეული ქმედებები უნდა განხორციელდეს იმ მიზნით, რომ დაცულ იქნას სამოქალაქო, სოციალური დაცვისა და პატიმართა სხვა სოციალური ინტერესები.

ევროპული ციხის წესების 24.4. მუხლის თანახმად, პაემნების ორგანიზაცია ისე უნდა განხორციელდეს, რომ პატიმრებს საშუალება მიეცეთ, შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები შეძლებისდაგვარად ნორმალურ გარემოში.

### **ხანმოკლე პაემანი**

საქართველოს პატიმრობის კოდექსი განსაზღვრავს მსჯავრდებულთა მიერ ხანმოკლე პაემნით სარგებლობის საკითხებს, კერძოდ, 62-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მსჯავრდებული, რომელიც სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით - თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი.

ამავე კანონის 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით - თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი.

პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ხანმოკლე პაემანი ეწყობა 1-იდან 2 საათამდე ვადით. ხანმოკლე პაემანი მიმდინარეობს ადმინისტრაციის წარმომადგენლის მხოლოდ ვიზუალური კონტროლით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის №97 ბრძანების 50-ე მუხლი განსაზღვრავს ხანმოკლე პაემნის განხორციელების პირობებს, კერძოდ, ხანმოკლე პაემანი ხორციელდება სპეციალურ ოთახებში. დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე, პაემანი შეიძლება შედგეს უშუალო შეხვედრის ფორმით, ან მინის გამყოფი ბარიერის მიღმა.

აღსანიშნავია, რომ ძირითად შემთხვევაში, პაემანი დგება შუშით გადატიხრულ ოთახში, დამცავი მინის მიღმა. ასეთ შემთხვევაში, პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, ისეთი, როგორცაა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, მცირეწლოვან შვილთან შეხვედრა და ა.შ. ოჯახის წევრებთან უშუალო ფორმის ხანმოკლე პაემანი ხორციელდება დაწესებულების დირექტორის ნებართვით.

საყურადღებოა, რომ პატიმრის სოციალური რეაბილიტაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მნახველთან შეხვედრის პირობებს. მისთვის დამთრგუნველია შუშის ტიხრის მიღმა

მნახველთან უშუალო კონტაქტის არარსებობა და არასრულფასოვანი კომუნიკაცია. ასეთ პირობებში, პირადი საუბრის კონფიდენციალობაც ირღვევა, რადგან პატიმარი შესაძლოა, სხვა პატიმრების თანდასწრებით ოჯახის წევრს თამამად ვერ ესაუბროს.

პატიმრობის კოდექსი ასევე, განსაზღვრავს იმ პირთა შეზღუდულ წრეს, რომლებთანაც შესაძლებელია განხორციელდეს ხანმოკლე პაემანი. კერძოდ, მე-17 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს მის ახლო ნათესავებთან (შვილი, მეუღლე, მშობელი (მშვილებელი), ნაშვილები და მისი შთამომავალი, შვილიშვილი, და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები, ბებია და პაპა, ბებულის დედ-მამა და პაპის დედ-მამა (როგორც დედის, ისე მამის მხრიდან), ბიძა (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი და მამიდაშვილი, აგრეთვე ის პირი, რომელთანაც ცხოვრობდა და ეწეოდა საერთო მეურნეობას პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში) ხანმოკლე პაემნის უფლება.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი თავის ანგარიშებში ყურადღებას ამახვილებს პატიმრობის კოდექსის ზემოაღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, პატიმარი უფლებამოსილია, შეხვდეს მხოლოდ ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული პირობა გამორიცხავს პატიმრის მეგობრებთან შეხვედრას, ეს წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მხრიდან მიჩნეულია არასწორ მიდგომად, იმის გათვალისწინებით, რომ ბევრი პატიმარი არის დაუქორწინებელი, განქორწინებული ან ოჯახისგან დაშორებული. იმ პატიმრებს, ვისაც არ ჰყავთ ოჯახი ან ახლო ნათესავები, კანონი არ უტოვებს შესაძლებლობას, შეინარჩუნონ კონტაქტი გარე სამყაროსთან, ინტეგრირდნენ საზოგადოებაში. აგრეთვე, პატიმრის მეგობრებს არ აძლევს შესაძლებლობას, უშუალო მხარდაჭერა გამოუცხადონ პატიმრებს.

მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ პატიმრობის კოდექსში გათვალისწინებულია ცვლილების შეტანა, კერძოდ მე-17 მუხლი 2<sup>1</sup> ნაწილის დამატება შემდეგი შინაარსით: „ბრალდებულს/მსჯავრდებულს, დეპარტამენტის თავმჯდომარის თანხმობით, შეიძლება ხანმოკლე პაემანი მიეცეს იმ პირებთან, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული ამ მუხლის მე-2 ნაწილით“. აღნიშნული ცვლილება დადებით როლს ითამაშებს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესში.

**რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრს:**

- უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე.

## ხანგრძლივი პაემანი

„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის 23-ე მუხლის მიხედვით, ოჯახი საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია და აქვს უფლება, რომ იგი დაიცვან საზოგადოებამ და სახელმწიფომ. აღნიშნულ მიზანს ემსახურება მსჯავრდებულთა მიერ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება, რომელიც, პირველ რიგში, რესოციალიზაციისა და ახლობლებთან მჭიდრო კონტაქტის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებაა და რაც დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს განსაკუთრებით ესაჭიროებათ.

საქართველოს კანონის პატიმრობის კოდექსის 17<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ხანგრძლივი პაემანი არის მსჯავრდებულის ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ პირობებთან ერთად ცხოვრება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, მსჯავრდებულის ან ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პირობის ხარჯით, ადმინისტრაციის წარმომადგენლის დაუსწრებლად. პატიმრობის კოდექსის 62-ე მუხლის მეორე პუნქტის „ე“ პუნქტის მიხედვით, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 2 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.

ამავე კანონის, 65-ე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, უვადო თავისუფლება აღკვეთილ მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს, ჰქონდეს 1 წლის განმავლობაში 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 2 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.

თვალსაჩინოა, რომ პატიმრობის კოდექსი, დახურული ტიპის მქონე მსჯავრდებულებისათვის არ განსაზღვრავს ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის წესსა და პირობებს, რაც მნიშვნელოვან ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, კანონში გათვალისწინებულია ცვლილების შეტანა, კერძოდ, 65-ე მუხლის პირველ ნაწილს უნდა დაემატოს „დ“ პუნქტი, რომლის თანახმად, დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით - წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 18 მარტის 42-ე ბრძანების მე-4 პუნქტის მიხედვით, ხანგრძლივი პაემნით სარგებლობა ხორციელდება მსჯავრდებულის ან სტუმრის ხარჯზე უნაღდო ანგარიშსწორებით და ერთი ხანგრძლივი პაემნის საფასურის ოდენობა განისაზღვრება 60 ლარით.



მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ პატიმრობის კოდექსში გათვალისწინებულია ცვლილების შეტანა, კერძოდ, 17<sup>2</sup> მუხლისათვის შემდეგი შინაარსის 1<sup>1</sup> ნაწილის დამატება: „ხანგრძლივი პაემნით სარგებლობა შესაძლებელია განხორციელდეს საფასურის გადახდის გარეშე მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად“. უნდა აღინიშნოს, რომ საზღაურის გადახდის პირობა, პატიმრისა და მისი ოჯახის შეჭირვებული მატერიალური მდგომარეობის გამო, ხშირ შემთხვევაში, აბრკოლებს მსჯავრდებულთა მიერ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების განხორციელებას, რაც მსჯავრდებულის ოჯახთან მჭიდრო კონტაქტის შენარჩუნების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ცვლილება უსასყიდლო ხანგრძლივი პაემნის შესახებ, დადებით მიდგომად უნდა ჩაითვალოს.

### საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში გრძელვადიანი პაემნების რაოდენობა

#### ცხრილი 1 - ხანგრძლივი პაემნების რაოდენობა

№	სასჯელაღსრულების დაწესებულება	ხანგრძლივი პაემნის რაოდენობა
1.	№2 დაწესებულება <sup>57</sup>	188
2.	№6 დაწესებულება	270
3.	№11 დაწესებულება	18
4.	№14 დაწესებულება	1342
5.	№15 დაწესებულება	962
6.	№16 დაწესებულება	57
7.	№17 დაწესებულება	1346

სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში არ არსებობს ხანგრძლივი პაემნისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა და, როგორც წესი, პატიმრების ოჯახის წევრებთან წინასწარი შეთანხმებით, თვეში ერთხელ ხდება უვადო მსჯავრდებულების ტრანსპორტირება №6 დაწესებულებაში, სადაც ეწყობა ხანგრძლივი პაემანი.

რაც შეეხება ბრალდებულებს, პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, ბრალდებული სარგებლობს მხოლოდ ხანმოკლე პაემნის უფლებით,

<sup>57</sup> №2 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა ექსპლოატაციაში შევიდა 2013 წლის 11 სექტემბერს.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად და უფლება არ აქვს ჰქონდეს ხანგრძლივი პაემანი, რაც ზღუდავს ბრალდებულის კონტაქტს ოჯახის წევრებთან. მიგვაჩნია, რომ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის მიერ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის ზოგადი აკრძალვა გაუმართლებელია.

ამ საკითხზე იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *ვარნასი ლიტვის წინააღმდეგ* (Varnas v. Lithuania).<sup>58</sup> აღნიშნული საქმე შეეხება ლიტვის მოქალაქე ტომას ვარნასის საჩივარს, რომელსაც პატიმრობის პერიოდში ციხის ადმინისტრაციამ უარი განუცხადა ხანგრძლივი პაემნით სარგებლობაზე, იმ მიზეზით, რომ აღნიშნული უფლებით სარგებლობდნენ მხოლოდ მსჯავრდებულები.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მთავრობის არგუმენტი, რომლის თანახმადაც, პატიმრობაში მყოფ ბრალდებულს არ ჰქონდა ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე. სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივნის მეუღლე სისხლის სამართლის საქმეში არ წარმოადგენდა ბრალდებულს, არც მოწმეს და არ არსებობდა ინფორმაცია მის დანაშაულებრივ საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ, შესაბამისად, მომჩივნისა და მისი მეუღლის ხანგრძლივი პაემანი ხელს ვერ შეუშლიდა გამოძიების მიმდინარეობას. სასამართლომ საბოლოოდ დაასკვნა, რომ მომჩივნის მიმართ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-14 მუხლების (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევას. საკითხის განხილვისას, სასამართლო, ასევე, დაეყრდნო წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის პოზიციას ლიტვაში ხანგრძლივი პაემნების განხორციელების წესთან მიმართებით.

ციხის ევროპული წესების 99-ე წესის თანახმად, პატიმრობაში მყოფ ბრალდებულებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სასამართლოს სპეციალური გადაწყვეტილება დროის განსაზღვრულ პერიოდზე, მსჯავრდებული პირების თანაბრად უნდა შეეძლოთ საკუთარ ოჯახთან კონტაქტი და ასევე უნდა გააჩნდეთ დამატებითი ხელმისაწვდომობა სხვა სახის კომუნიკაციაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პატიმრობის კოდექსში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება და გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, განისაზღვროს პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების მიერ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის წესი.

რაც შეეხება მსჯავრდებულ ქალებს, ისინი საქართველოს პატიმრობის კოდექსის 17<sup>3</sup> მუხლის მიხედვით, სარგებლობენ საოჯახო პაემნის უფლებით, შვილთან, ნაშვილებთან, მეუღლესთან, მშობელთან (მშვილებელთან), დასთან და ძმასთან. საოჯახო შეხვედრა

<sup>58</sup> ვარნასი ლიტვის წინააღმდეგ (Varnas v. Lithuania), განჩინება, 2013 წლის 9 დეკემბერი.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, გრძელდება არა უმეტეს 3 საათისა.

„ქალ პატიმართა მოპყრობისა და არასაპატიმრო სასჯელთა შესახებ“ (ე.წ. ბანგოკის წესების) გაეროს 27-ე მუხლის თანახმად, ქალ პატიმრებს უნდა ჰქონდეთ ოჯახური ტიპის პაემნებით სარგებლობის უფლება მამაკაცი პატიმრების თანაბრად.

გამომდინარე იქიდან, რომ პატიმრობის კოდექსის თანახმად, მამრობითი სქესის მსჯავრდებულები 24 საათიანი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობენ, ხოლო, მდედრობითი სქესის მსჯავრდებულები - მხოლოდ 3 საათიანი საოჯახო პაემნით, პატიმრობის კოდექსით განსაზღვრული პირობები წინააღმდეგობაში მოდის „ბანგოკის წესებით“ დადგენილ საერთაშორისო სტანდარტთან. აღნიშნული ასევე ეწინააღმდეგება გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის<sup>59</sup> სულისკვეთებას.

პატიმრობის კოდექსის 124<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელების მიზნით, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ, არა უგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა, უნდა უზრუნველყოს საჭირო პირობების შექმნა და ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელება ქალთა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. მიგვაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნას ყველა აუცილებელი ზომა ქალ პატიმართა მიერ ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

#### წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს შესაბამისი ცვლილება პატიმრობის კოდექსში და გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, პატიმრობაში მყოფ ბრალდებულებს მიეცეთ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესაძლებლობა.

#### რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- უზრუნველყოს სასჯელაღსრულების №5, №7, №8, №12 დაწესებულებებში ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

<sup>59</sup> საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1994 წლის 22 სექტემბრის №561 დადგენილებით.

## ვიდეოპაემანი

პატიმრობის კოდექსის მე-17<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულისა და ამ კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირისა, უფლება აქვს, ისარგებლოს ვიდეოპაემნით (პირდაპირი ხმოვანი და ვიზუალური ტელეხიდით) ნებისმიერ პირთან.

პატიმრობის კოდექსში გათვალისწინებულია ცვლილების შეტანა, კერძოდ, 17<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბება: „თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, გარდა, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული და ამ კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრდებულებისა, უფლება აქვს ისარგებლოს ვიდეოპაემნით (პირდაპირი ხმოვანი და ვიზუალური ტელეხიდით) ნებისმიერ პირთან.

როგორც ხანგრძლივი პაემნების, ისე ვიდეოპაემნების დაშვება ყველა კატეგორიის მსჯავრდებულისთვის პოზიტიური ცვლილება იქნებოდა და დიდ წვლილს შეიტანდა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის პროცესში. მით უმეტეს, რომ ვიდეოპაემნებით სარგებლობა შეუძლიათ არა მხოლოდ ოჯახის წევრებს, არამედ მეგობრებსა და ახლობლებსაც. პატიმრობის კოდექსის დათქმა, რომელიც გარკვეული კატეგორიის მსჯავრდებულებს უკრძალავს ვიდეოპაემნით სარგებლობას, უფრო დამატებითი სასჯელის ხასიათს ატარებს და ამ სახით გაუმართლებელია, ვინაიდან ყველანაირი აკრძალვა და შეზღუდვა უნდა იყოს ინდივიდუალური ხასიათის და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაბამისად უნდა იყოს დასაბუთებული.

## ცხრილი 2 - ვიდეოპაემნით სარგებლობის რაოდენობა.

№	სასჯელაღსრულების დაწესებულება	რაოდენობა
1.	№5 დაწესებულება	1
2.	№9 დაწესებულება	0
3.	№11 დაწესებულება	4
4.	№15 დაწესებულება	104

5.	№16 დაწესებულება	73
6	№17 დაწესებულება	77

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 5 აპრილის №55 ბრძანების მეორე პუნქტის მიხედვით, მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის განხორციელება შესაძლებელია ათი კალენდარული დღის განმავლობაში არაუმეტეს ერთხელ, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე და მსჯავრდებულთან ერთჯერადი ვიდეოპაემნის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს.

პატიმრობის კოდექსის 17<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის მეოთხე პუნქტის მიხედვით, ვიდეოპაემნით სარგებლობისათვის დაწესებულია საფასური, რომელიც ირიცხება პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშზე და ხმარდება მისი მიზნების განხორციელებასა და ფუნქციების შესრულებას. მინისტრის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ვიდეოპაემნით სარგებლობა განხორციელდეს საფასურის გადაუხდელად. თუმცა, კანონი აქვე, მე-41 პუნქტში აკეთებს დათქმას, რომ ვიდეოპაემნით სარგებლობისათვის დაწესებული საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან ამ კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი საარსებო შემწეობის მისაღებად საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულაზე ნაკლებია. ვიდეოპაემნით სარგებლობისათვის დაწესებულ საფასურს იხდის მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის მსურველი პირი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი.

თავისუფლების აღკვეთის იმ დაწესებულებებს, სადაც შესაძლებელია მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის განხორციელება, ვიდეოპაემნით სარგებლობის რაოდენობას, ხანგრძლივობას, საფასურის ოდენობას და ვიდეოპაემნის განხორციელების პროცედურას განსაზღვრავს მინისტრი.

**რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:**

- სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნას ვიდეოპაემნისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა.



## სატელეფონო საუბრები

საერთაშორისო ნორმებითა და დადგენილი სტანდარტებით, სატელეფონო საუბრების უფლება პატიმრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა, რაც უზრუნველყოფს პატიმრებისათვის გარე კონტაქტების შენარჩუნებას. პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლი ცნობს და აღიარებს მსჯავრდებულის უფლებას სატელეფონო საუბრებზე. მსჯავრდებულს უფლება აქვს ისარგებლოს საერთო სარგებლობის ტელეფონით, თუკი სასჯელაღსრულების დაწესებულებას ამისი ტექნიკური საშუალება გააჩნია. მე-19 მუხლის თანახმად, სატელეფონო საუბრები ხორციელდება მსჯავრდებულის ხარჯითა და ადმინისტრაციის კონტროლით. მსჯავრდებულს სატელეფონო საუბრის უფლება მიეცემა მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელშიც მიეთითება აბონენტის ტელეფონის ნომერი და საუბრის ხანგრძლივობა.

„პატიმრობის კოდექსის“ 62-ე მუხლის მეორე პუნქტის „გ“ პუნქტის თანახმად, ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 4 სატელეფონო საუბარი, თითოეული - არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით - ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული არა უმეტეს 15 წუთისა. ხოლო, ამავე კანონის 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული - არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით - ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული - არა უმეტეს 15 წუთისა.

როგორც წესი, დაწესებულებებში ტელეფონი ჩართულია დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე, ხოლო, სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ პატიმართათვის - 10 საათამდე. რაც შეეხება უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებს, მათ ზარების განხორციელება შეუძლიათ ღამის 12 საათამდე, ხოლო, საერთაშორისო ზარების განხორციელების საშუალება, მსჯავრდებულებს, კვირაში 2 დღე ეძლევათ.

მიუხედავად იმისა, რომ პატიმრებს კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ სატელეფონო საუბრების უფლება, ისინი აღნიშნული უფლებით შეზღუდულად სარგებლობენ სატელეფონო ბარათებთან დაკავშირებული პრობლემის გამო. კერძოდ, თუკი პატიმარი 1 სატელეფონო ბარათზე ვერ ამოწურავს სასაუბრო ლიმიტს, მას დარჩენილი ლიმიტი ებლოკება, აღარ აქვს დამატებითი სატელეფონო ზარის განხორციელების საშუალება და იძულებული ხდება ახალი ბარათი შეიძინოს, რაც დამატებითი ხარჯია.

სატელეფონო ბარათი იბლოკება იმ შემთხვევაშიც, თუკი პატიმარი ბარათით განხორციელებული სატელეფონო ზარების ფარგლებში ვერ მოახერხებს საუბარს (ქსელების გადატვირთულობის, სატელეფონო კავშირის გაწყვეტის, არასწორი ნომრის აკრეფის ან სხვა მიზეზთა გამო).

გამომდინარე იქიდან, რომ პატიმართა გარკვეული ნაწილი მათი საცხოვრებელი და ოჯახის წევრებისგან დაშორებულ ადგილას იხდის სასჯელს, ისინი ხშირ შემთხვევაში, პაემნის უფლებით ვერ სარგებლობენ და ოჯახთან კონტაქტს მხოლოდ სატელეფონო საუბრების საშუალებით ახერხებენ. ზემოაღნიშნული სატელეფონო ბარათების პრობლემა, პატიმართა გარესამყაროსთან კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს. წამების საწინააღმდეგო კომიტეტიც აწესებს შეღავათიანი მიდგომის აუცილებლობას სატელეფონო კავშირების თვალსაზრისით, კერძოდ, „ასეთ პატიმრებს შესაძლებელია ნება დაერთოს აკუმულირება გაუკეთონ შეხვედრის დროს და/ან მიეცეთ ოჯახის წევრებთან სატელეფონო კავშირის გაუმჯობესებელი პირობები.“<sup>60</sup>

**რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრს:**

- სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნას პატიმრებისთვის კანონმდებლობით მინიჭებული სატელეფონო საუბრებით სრულყოფილად სარგებლობის უფლება.

### **მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია**

სახალხო დამცველმა თავის არაერთ ანგარიშში აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული პირობები უნდა უზრუნველყოფდეს პატიმრის რესოციალიზაციასა და რეინტეგრაციას საზოგადოებაში. მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდის პერიოდში უნდა მიიღოს ან გააღრმავოს მისთვის სასურველი და ხელმისაწვდომი განათლება და უნარ-ჩვევები, მიეცეს საშუალება მონაწილეობდეს სპორტულ, სახელოვნებო, ინტელექტუალურ, თუ სხვა სახის ღონისძიებებში. ეს ყოველივე აუცილებელია, რათა მსჯავრდებული სასჯელის მოხდის შემდგომ საზოგადოებას დაუბრუნდეს, როგორც სრულფასოვანი ადამიანი.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 2013 წელს განხორციელდა და ამ ეტაპზეც ხორციელდება შემდეგი პროფესიული და სახელობო პროგრამები: კომპიუტერის საოფისე პროგრამების, ინტერნეტ და ინფორმაციული ტექნოლოგიების, ვექტორული გრაფიკის პროგრამების შესწავლა; ბარმენის კურსი; გრაფიკული ბეჭდვა; სტილისტი; ტიხრული მინანქარი; ქვაზე კვეთა; ელექტრიკოსი; თაბაშირ-მუყაოს სპეციალისტი; თექის ქუილთის ბატიკის დამზადების ტექნოლოგია; კოსმეტოლოგია; მასაჟი; მეფილე; მოქანდაკეობა (პურის

<sup>60</sup> წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მე-2 ზოგადი მოხსენება 1991 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ, პარ. 51, იხ. <http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-02.htm> [ბოლოს ნანახია 14.03.2014]

გულის მეშვეობით ესკიზების დამზადება); სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი; ხეზე კვეთა; საეკლესიო საგალობლების შესწავლა; ხატწერა; ქორეოგრაფია.

მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, კერძოდ, ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები, ქართული მართლწერისა და მეტყველების შემსწავლელი ტრენინგ კურსები, მარკეტინგის შემსწავლელი კურსები, „წამოიწყე საკუთარი ბიზნესი“, მცირე სასტუმროს მართვა. ჩატარდა კულტურული, ინტელექტუალური და რელიგიური ღონისძიებები, სხვადასხვა სახის გამოფენები, ლიტერატურული კონკურსი „კალამი“, ლექსების კრებულთა პრეზენტაცია, სპექტაკლები, კინოჩვენებები, პოეზიის სადამოები, შეხვედრები სასულიერო პირებთან და ასე შემდეგ. ჩატარდა შემეცნებით-გასართობი ღონისძიებები: „ეტალონი“, „რა? სად? როდის?“ და ყველაზე ჭკვიანი. განხორციელდა „მეტადონით“ ჩანაცვლების პროგრამა ნარკოდამოკიდებულების მქონე პატიმრებისათვის. მოეწყო სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები.

**№2 დაწესებულებაში** მიმდინარეობს მსჯავრდებულებისათვის საეკლესიო საგალობლების შესწავლა, პროექტი „ქართული მართლწერისა და მეტყველების“ შესწავლა, საოფისე - კომპიუტერული პროგრამა „aces“ – შემსწავლელი კურსები, ელექტრიკოსობის შემსწავლელი კურსები, მეფილე-მომპირკეთებლის კურსები, ხეზე კვეთის კურსები, ხორციელდება პროექტი „ვიკითხოთ წიგნი პატრიარქის კურთხევით“. ასევე გაიმართა შეხვედრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორ ნანა გუბელაძესთან, ჩატარდა ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში და გაიმართა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“.

**№5 დაწესებულებაში** 2013 წლის განმავლობაში ასოციაცია „ქალი და ბიზნესის“ მიერ ხორციელდებოდა შემდეგი სწავლება: სტილისტის პროფესია, სამკურნალო მასაჟი, კოსმეტოლოგია, მცირე ბიზნესის წარმოება, თექა-ბატიკა-ქუილთი, კომპიუტერული საოფისე პროგრამები, სასტუმროს საქმის წარმოება.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და განათლების სამინისტროს მემორანდუმის ფარგლებში სსიპ პროფესიული კოლეჯი „მერმისი“ უზრუნველყოფდა სასწავლო კურსს - სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაფინანსებით.

საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთის“ მიერ განხორციელდა შემდეგი კურსები: ხატწერა, ხეზე კვეთა, თიხაზე მუშაობა, ქარგვა, ქორეოგრაფია, კომპიუტერული საოფისე პროგრამები, ტიხრული მინანქარი, პროექტი მიმდინარეობდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაფინანსებით.

მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის მიზნით ხორციელდებოდა სამოქალაქო განათლების ტრენინგი NORLAG -ის ხელშეწყობით, ასევე ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად - „პროფესიონალ ფსიქოლოგთა ასოციაცია“ და ქალთა კლუბი

„პეონი“ პროექტის ფარგლებში ხელმისაწვდომი იყო ფსიქოლოგისა და იურისტის კონსულტაცია. დაწესებულების ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფდა ინგლისური ენის გაკვეთილებს დამწყებთათვის. გარდა ზემოაღნიშნულისა, დაწესებულებაში სისტემატიურად იმართებოდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით.

**№6 დაწესებულებაში** 2013 წლის განმავლობაში არ მოქმედებდა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების პროგრამები. დაწესებულებაში მოქმედებდა მხოლოდ ანტინარკოტიკული სარეაბილიტაციო პროგრამა „ატლანტისი“, სადაც რეაბილიტაცია გაიარეს ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულმა მსჯავრდებულმა.

**№7 დაწესებულებაში** არც ერთ პატიმარს არ გამოუთქვამს რაიმე სახის განათლების მიღების სურვილი. დაწესებულებაში მოთავსებული კონტიგენტიდან გამომდინარე არ მოქმედებს სარეაბილიტაციო პროგრამები.

**№8 დაწესებულებაში** ხორციელდება „მეტადონის“ პროგრამა (ნარკომანიით დაავადებულ პატიმართათვის), ასევე მიმდინარეობს მოქანდაკეობის შემსწავლელი კურსი (პურის გულის გამოყენებით).

**№11 დაწესებულებაში** 2013 წლის განმავლობაში მოქმედებდა შემდეგი ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამები: ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამა „ექვიფი“, ეფექტური კომუნიკაციის ტრენინგი, ბრაზის მართვის ჯგუფი, არტ-თერაპია, ფსიქოლოგიური ჯგუფი „მითოდრამა“, ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ; მიმდინარეობს ფეხბურთისა და რაგბის სწავლების ჯგუფი.

დაწესებულებაში მოქმედ საჯარო სკოლებში 2013 წლის განმავლობაში ირიცხებოდა 76 მოზარდი. პროფესიული განათლება მიიღო: ტიხრული მინანქრის პროგრამა - 13 მსჯავრდებულმა; ინფორმაციული ტექნოლოგიების შემსწავლელი პროგრამა - 12 მსჯავრდებულმა; ინტერნეტ-ტექნოლოგიების შემსწავლელი პროგრამა - 13 მსჯავრდებულმა; ხეზე კვეთა - 100 მსჯავრდებულმა; კომპიუტერის საოფისე პროგრამები - 30 მსჯავრდებულმა; ხის მხატვრული დამუშავება და დიზაინი - 31 მსჯავრდებულმა.

**№12 დაწესებულებაში** NORLAG-ის მხარდაჭერითა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაფინანსებით ხორციელდება პროექტი „მომზადება გათავისუფლებისათვის“, ასევე გაიმართა რეჟისორ თინათინ გურჩიანის ფილმის „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ ჩვენება. ფილმის ნახვის შემდგომ გაიმართა განხილვა-დისკუსია ფილმის რეჟისორისა და პროდიუსერის მონაწილეობით.

**№14 დაწესებულებაში** განხორციელდა კომპიუტერის შემსწავლელი კურსები „ACCES“, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ორგანიზებითა და დაფინანსებით ცენტრი „აფხაზეთი“

ახორციელებს ქვაზე ჭრის შემსწავლელ კურსებს. გაიმართა მსჯავრდებულებს შორის ტურნირი ფეხბურთში.

**№15 დაწესებულებაში** ხორციელდება გრაფიკული ბეჭდვის შემსწავლელი კურსები, კომპიუტერული შემსწავლელი კურსები „ACCES“, ხეზე ჭრის შემსწავლელი კურსები, კოლეჯი „სპექტრი“ ახორციელებს თაბაშირ-მუყაოს შემსწავლელ კურსს.

**№17 დაწესებულებაში** ხორციელდება პროექტი „სამოქალაქო განათლების ტრენინგი“, კომპიუტერის შემსწავლელი კურსები „ACCES“, მინანქრის, ხეზე ჭრის შემსწავლელი კურსები.

უდავოდ მისასალმებელია ზემოაღნიშნული პროგრამებისა და სხვადასხვა ღონისძიებების არსებობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, თუმცა აუცილებელია ეს პროგრამები და ღონისძიებები რეგულარულად ხორციელდებოდეს ყველა დაწესებულებაში. გაუმართლებელია, პატიმართა სურვილის არარსებობის გამო, სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებაში არცერთი პროგრამის არარსებობა, ვინაიდან იმისათვის, რომ პატიმარმა ისურვოს ამა თუ იმ პროგრამაში ჩართვა, მას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია დასაწერგი პროგრამის შესახებ და ამ მხრივ წინასწარ უნდა განხორციელდეს გარკვეული საინფორმაციო-შემეცნებითი აქტივობა.

**რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:**

- უზრუნველყოფილ იქნას №6, №7 და №8 დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის სხვადასხვა პროგრამების დანერგვა და განხორციელება.

**პატიმართა დასაქმება**

2013 წლის იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ანაზღაურებად შრომით საქმიანობას ეწეოდა 506 მსჯავრდებული, რომლებიც ძირითად ასუფთავებდნენ, ალაგებდნენ, რეცხავდნენ თეთრეულს, არიგებდნენ პროდუქტს და სხვა.

№2 დაწესებულებაში 2013 წლის 2 ოქტომბრიდან ანაზღაურებად საქმიანობას ეწეოდა 60 მსჯავრდებული. №5 დაწესებულებაში 17 მსჯავრდებული. №6 დაწესებულებაში სამეურნეო მომსახურების ნაწილში ირიცხებოდა 32 მსჯავრდებული. №7 დაწესებულებაში 2013 წლის განმავლობაში სულ 5 მსჯავრდებული იყო დასაქმებული. ამჟამად დასაქმებულია მხოლოდ 4. (ამათგან 2 მსჯავრდებული სართულებს ალაგებს/ასუფთავებს, ხოლო 2 სამზარეულოზეა მიმაგრებული). №8 დაწესებულებაში - 130 მსჯავრდებული. №9 დაწესებულებაში - 5. №12 დაწესებულებაში 2 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით დასაქმებული იყო 32



მსჯავრდებული. №14 დაწესებულებაში - 62 მსჯავრდებული. №15 დაწესებულებაში - 50-მდე მსჯავრდებული. დაწესებულებაში ასევე ფუნქციონირებდა პურის საცხობი, სადაც დასაქმებული იყო 12 მსჯავრდებული და იღებდნენ შესაბამის ანაზღაურებას. №16 დაწესებულებაში 2013 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, დაწესებულებაში არსებულ პურის საცხობში შრომით ანაზღაურებას ეწეოდა 8 მსჯავრდებული. №17 დაწესებულებაში ანაზღაურებად შრომით საქმიანობას ეწეოდა სამეურნეო მომსახურებაში ჩარიცხული 78 მსჯავრდებული. №18 დაწესებულებაში მხოლოდ 2 მსჯავრდებული. №19 დაწესებულებაში კი - 25.

### პატიმართა განთავსება

პატიმართა განთავსება ხორციელდება მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის კატეგორიის და სიმძიმის გათვალისწინებით, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებების ტიპის შესაბამისად.<sup>61</sup> პირს, რომელსაც ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, რომლისთვისაც დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა არ აღემატება ათ წელს, სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, ხოლო დახურული ტიპის დაწესებულებაში სასჯელს იხდის პირი, რომელიც პირველად არის მსჯავრდებული განზრახი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.<sup>62</sup> შერეული ტიპის დაწესებულებაში კი ბრალდებულები იზოლირებული უნდა იყვნენ მსჯავრდებულებისგან, როგორც მინიმუმში, ერთმანეთისგან განცალკევებული საცხოვრებელი ფართობებით.<sup>63</sup>

საქართველოს სახალხო დამცველს ასევე მიმართავენ მსჯავრდებულები, რომელთაც ეტაპირებასთან დაკავშირებით ექმნებათ პრობლემები, რა დროსაც დაბრკოლება ექმნებათ გარე სამყაროსთან კავშირის თვალსაზრისით. მათთვის მნიშვნელოვანია, დასაშვებ ფარგლებში შეინარჩუნონ ხშირი ურთიერთობა ოჯახთან და ახლო მეგობრებთან.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის №184 ბრძანება განსაზღვრავს საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებების ტიპებს. თუმცა აღნიშნული ბრძანებით, სასჯელაღსრულების კონკრეტული დაწესებულებისთვის მიკუთვნებული ტიპი არ შეესაბამება დაწესებულებაში არსებულ მდგომარეობას. ასე მაგალითად, ბრძანების თანახმად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაა, თუმცა რეალურად არსებული

<sup>61</sup> პატიმრობის კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>62</sup> პატიმრობის კოდექსის 64-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>63</sup> პატიმრობის კოდექსის მე-9 მუხლის მეორე ნაწილი.

პირობები პატიმრებს არ აძლევს საშუალებას ისარგებლონ ნახევრად ღია დაწესებულებისთვის კანონით დადგენილი უფლებებით.

საქართველოს სახალხო დამცველს ხშირად მიმართავენ პატიმრები, მათი ოჯახის წევრები და ითხოვენ დახმარებას, რომ მსჯავრდებულთა განთავსება მოხდეს, მათ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე დაწესებულებაში. პატიმრობის კოდექსის 46-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, მსჯავრდებული სასჯელს იხდის მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მისი იქ განთავსება შეუძლებელია დაწესებულების გადატვირთულობის გამო. გამონაკლის შემთხვევაში, მსჯავრდებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, პირადი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან/და მისი თანხმობის შემთხვევაში შეიძლება გადაყვანილ იქნას სხვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. უნდა აღინიშნოს, რომ პატიმრებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ახლო ნათესავებთან ურთიერთობას, რაც ერთგვარად ხელს შეუწყობს მათ რესოციალიზაციას.

გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია პატიმრების ახლო ნათესავების საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე დაწესებულებაში განთავსება, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტი წარმოდგენილ რეკომენდაციაში განმარტავს, რომ ასეთი პატიმრების მიმართ, აუცილებელია გარკვეული შეღავათების დაწესება:

„კომიტეტს სურს ხაზი გაუსვას ერთგვარად შეღავათიანი მიდგომის აუცილებლობას, შეხვედრებისა და სატელეფონო კავშირების თვალსაზრით, იმ პატიმართათვის, რომელთა ოჯახის წევრები ცხოვრობენ მეტად დაშორებულ ადგილას (რაც ფაქტიურად არარეალურს ხდის რეგულარულ შეხვედრებს) მაგალითად, ასეთ პატიმრებს შესაძლებელია ნება დაერთოს აკუმულირება გაუკეთონ შეხვედრის დროს და/ან მიეცეთ ოჯახის წევრებთან სატელეფონო კავშირის გაუმჯობესებული პირობები“.<sup>64</sup>

2013 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით სასჯელადსრულების დეპარტამენტის ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანილ იქნა 8 538 პატიმარი. ციხის ევროპული წესების თანახმად, რამდენადაც შესაძლებელია, პატიმრებთან უნდა ჩატარდეს კონსულტაცია მათი საწყისი განთავსების ადგილის შესახებ, ასევე ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში შემდგომი გადაყვანისას.<sup>65</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მომართავენ მსჯავრდებულები, რომლებიც მათ მიმართ შეფარდებული სასჯელის გათვალისწინებით, დახურული ტიპის დაწესებულებიდან ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანას ითხოვენ. პატიმრობის კოდექსის 61-ე

<sup>64</sup> წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მე-2 ზოგადი მოხსენება 1991 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ, პარ. 51, იხ.

<http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-02.htm> [ბოლოს ნანახია 14.03.2014]

<sup>65</sup> წესი 17.3

მუხლის თანახმად, ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, როგორც წესი, სასჯელს იხდის პირი, რომელიც მსჯავრდებულია ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულისათვის და რომლისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა არ აღემატება 10 წელს. სამწუხაროდ, აღნიშნული ნორმით დადგენილი მოთხოვნის გათვალისწინება რიგ შემთხვევებში არ ხდება.

ასე მაგალითად, მსჯავრდებული ნ.შ. ითხოვდა დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან, ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანას, ვინაიდან სასჯელის ზომად განსაზღვრული ჰქონდა 2 წელი და 6 თვე. ამასთან, მისი განმარტებით, იყო არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი და განთავსებული იყო პირებთან, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მის ცემაში. შესაბამისად, იმყოფებოდა ფსიქოლოგიურად დამაბუღ და სტრესულ მდგომარეობაში. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა რამდენჯერმე მიმართა წერილობით საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, თუმცა პირი სხვა დაწესებულებაში არ გადაუყვანიათ.

დაწესებულებაში წესრიგის შენარჩუნების მიზნით, ადმინისტრაციას უხდება ხოლმე იმ პატიმართა სხვა დაწესებულებაში გადაყვანა, რომლებიც ხშირად არღვევენ წესრიგს, მაგრამ აღნიშნულთან დაკავშირებით წამებისა საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პირის ერთი დაწესებულებიდან მეორეში განუწყვეტლივ გადაყვანამ შეიძლება იქონიოს ძალიან მავნე შედეგები მის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. გარდა ამისა, თავისუფლებააღკვეთილი, ასეთ ვითარებაში, წააწყდება სირთულეებს ოჯახთან და ადვოკატთან კავშირის შენარჩუნების თვალსაზრისით.<sup>66</sup> პატიმრის დაწესებულებიდან გადაყვანის დროს, არ ხდება სწრაფი რეაგირება და მყისიერი შეტყობინების გაგზავნა მის ოჯახის წევრებთან თუ ადვოკატთან. ადმინისტრაცია ვალდებულია მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ადგილზე მიღების შესახებ ინფორმაცია, შეატყობინოს მსჯავრდებულის ახლო ნათესავს, მისი მიღებიდან არა უგვიანეს 3 დღისა.<sup>67</sup> ამასთან, ციხის ევროპული წესების თანახმად<sup>68</sup>, ციხეში პატიმრის მიყვანის, ასევე პატიმრის გარდაცვალების, მძიმე ავადმყოფობის, ან საავადმყოფოში გადაყვანის შემთხვევაში, ციხის ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მის მეუღლეს ან პარტნიორს, ან თუ პატიმარი დაუოჯახებელია, მის უახლოეს ნათესავს ან პატიმრის მიერ სახელდებულ პირს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პატიმარმა თვითონ ითხოვა შეუტყობინებლობა.

ხშირ შემთხვევაში, გადაყვანის საფუძვლები პატიმრისათვის უცნობია.<sup>69</sup> ამასთან, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი არც სახალხო დამცველის აპარატს აწვდის ინფორმაციას

<sup>66</sup> წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მე-2 ზოგადი მოხსენება 1991 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ, პარ. 57

<sup>67</sup> პატიმრობის კოდექსი, მუხ. 34

<sup>68</sup> ციხის ევროპული წესები. წესი 24.9

<sup>69</sup> 2013 წელს სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ ბრძანება მხოლოდ ერთმა პატიმარმა გაასაჩივრა.

პატიმრის გადაყვანის საფუძველთან დაკავშირებით. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წერილში, როგორც წესი, შაბლონურად არის მითითებული, რომ პატიმრის ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანა განხორციელდა სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის საიდუმლო წერილის საფუძველზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ პატიმრის ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს და ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს. დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების საფუძველზე ხშირი გადაყვანა ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება გახდეს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მიზეზი.<sup>70</sup>

მონიტორინგისას სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს ფაქტები, როდესაც ბრალდებულები და მსჯავრდებულები საკანში იყვნენ მარტო განთავსებული<sup>71</sup>. მათ არ ჰქონდათ შეფარდებული დისციპლინური სახდელი, ასევე არ არსებობდა სხვა რაიმე სახის სპეციალური გარემოება. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მსჯავრდებულის ინიციატივით ან მისივე უსაფრთხოების დაცვის მიზნით არ ხდება, საკნის ტიპის სადგომში განმარტოებით მოთავსება შესაძლოა უარყოფითად აისახოს პატიმრის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და კეთილდღეობაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ მსჯავრდებულის იზოლირებულად საკანში მოთავსება ხანგრძლივი დროით წარმოადგენს არაადამიანურ მოპყრობას.<sup>72</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მონიტორინგის დროს დააფიქსირეს, რომ სასჯელაღსრულების №8 და №2 დაწესებულებებში განთავსებულ არასრულწლოვან ბრალდებულებს და სრულწლოვან მსჯავრდებულებს ჰქონდათ ერთმანეთთან კონტაქტის საშუალება. პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების მე-8 წესის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, „არასრულწლოვანი პატიმრები განთავსებულ უნდა იქნან სრულწლოვანი პატიმრებისგან განცალკევებით“ ამავდროულად აღნიშნული დადგენილია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის №97 ბრძანებით.<sup>73</sup>

მონიტორინგის შედეგად ასევე გაირკვა, რომ სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებაში მყოფ პატიმართაგან 9 პირს გადატანილი აქვს ფილტვების ტუბერკულოზი, ხოლო 3 პირი მკურნალობს DOTS პროგრამით. ეს პირები მოთავსებულნი არიან სხვა პატიმრებთან, რომლებიც დაავადებული არ არიან ტუბერკულოზით. აღნიშნული გარემოება,

<sup>70</sup> იხ. ხიდერი საფრანგეთის წინააღმდეგ (Khider v. France), განჩინება, 2009 წლის 9 ივლისი.

<sup>71</sup> მაგალითად, მე-7 დაწესებულებაში.

<sup>72</sup> იხ. მეთიუ ნიდერლანდების წინააღმდეგ (Mathew v. The Netherlands), განჩინება, 2005 წლის 29 სექტემბერი.

<sup>73</sup> 19-ე მუხლის მე-16 ნაწილი.

დაწესებულებაში არსებულ არასათანადო პირობებთან ერთად, არაკეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობას ქმნის.

**რეკომენდაციები:**

**სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრს:**

- პატიმრის სასჯელალსრულების ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში მოხდეს პატიმრისათვის გადაყვანის საფუძვლისა და მიზეზების გაცნობა, რაზეც შედგეს შესაბამისი აქტი; ასევე განემარტოთ, რომ მათ აქვთ გადაყვანის შესახებ ბრძანების გასაჩივრების უფლება.

**სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:**

- მოხდეს არასრულწლოვანი პატიმრების სრული იზოლაცია სრულწლოვანი მსჯავრდებულებისაგან;
- ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრები ყველა შემთხვევაში მოთავსდნენ იზოლირებულად.
- მსჯავრდებულის განთავსებისას გათვალისწინებული იქნას მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილი;
- უზრუნველყოს პატიმრისათვის კანონით განსაზღვრული სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოთავსება.



## საქართველოს სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემა და წამების აკრძალვის მექანიზმები

### მონიტორინგის მიზანი და მეთოდოლოგია

2013 წელს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობას და არსებულ გამოწვევებს. მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოიკითხნენ პატიმრები, სასჯელაღსრულების დაწესებულებათა სამედიცინო პერსონალი, ასევე შემოწმდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საექიმო-სამედიცინო პუნქტში არსებული მდგომარეობა და სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა.

კვლევის მიზნებისათვის გამოყენებული იქნა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული, ასევე ცალკეული სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ მოწოდებული სტატისტიკური ანგარიშები და ინფორმაცია.

ქვემოთ მოცემული ანალიზი ემყარება ეროვნულ კანონმდებლობასა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, ასევე საერთაშორისო სავალდებულო და სარეკომენდაციო ხასიათის სტანდარტებს, კერძოდ:

- გაეროს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ (1997);
- აღნიშნული კონვენციის დამატებითი ოქმი (2006);
- ევროპის კონვენცია წამებისა და არაადამიანური ან/და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აღმოფხვრის შესახებ (1987);
- სტამბოლის ოქმი - გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო პრინციპები (United Nations; New York and Geneva, 2001 - 2004);
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრინციპები და პრეცედენტები;
- ევროსაბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის (CPT) მე-3 გენერალური ანგარიში - ჯანდაცვა ციხეებში;
- გაეროს პატიმრობის მინიმალური სტანდარტები (1955);
- გაეროს ნებისმიერი ფორმით დაკავებულთა ან პატიმრობაში მყოფ პირთა დაცვის პრინციპთა ერთობლიობა (1989);
- ევროპული ციხის წესები (2006);
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (87) 3 (1987);
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №(98) 7 მინისტრთა კომიტეტის მიმართვა მონაწილე ქვეყნებისათვის ციხეებში სამედიცინო სამსახურის ორგანიზაციული და ეთიკური ასპექტების შესახებ (სტრასბურგი 1998, 20 აპრილი);

- ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება ციხეებში, შეთანხმებული განაცხადი, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ევროპის რეგიონული განყოფილება (ჰააგა, ნიდერლანდები, 18 – 21 ნოემბერი, 1998 წ.);
- გაეროს საერთაშორისო სამედიცინო ეთიკის პრინციპები (1982);
- მსოფლიო ექიმთა ასოციაციის ტოკიოს დეკლარაცია (1975), ჰამბურგის დეკლარაცია (1997), ჟენევის დეკლარაცია (1948), მალტის დეკლარაცია (1991, 2006), ჰელსინკის რეზოლუცია (2003, 2007);
- წამებასთან ბრძოლის საერთაშორისო ინსტრუმენტები და მექანიზმები – წამებასთან დაკავშირებული სამართლებრივი დოკუმენტებისა და სტანდარტების კრებული (2007 წლის 4 ივლისის მდგომარეობით, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭო (IRCT));
- ჯანდაცვა ციხეში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სახელმძღვანელო ციხეებში ჯანდაცვის აუცილებელი სტანდარტების შესახებ;
- მადრიდის რეკომენდაცია, ჯანმრთელობის დაცვა ციხეებში, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის აუცილებელი ნაწილი (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, 2010).

## **საქართველოს პენიტენციური ჯანდაცვის ორგანიზაციული ასპექტები და განხორციელებული რეფორმები**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წელს განხორციელდა პენიტენციური ჯანდაცვის სისტემური რეორგანიზაცია. სამედიცინო დეპარტამენტის სტრუქტურა მორგებულ იქნა მის ძირითად ფუნქციებს და მართვის თანამედროვე სტანდარტს - პირველადი ჯანდაცვის, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების, სამედიცინო რეგულირების და ჯანდაცვის ეკონომიკისა და სამედიცინო ლოჯისტიკის პროცესების სამართავად ცალ-ცალკე განყოფილებები შეიქმნა. პირველადი ჯანდაცვის რგოლი და სპეციალიზებული დაწესებულებები მოექცა შესაბამისი განყოფილებების მართვის ქვეშ.

2013 წლის 1 იანვრიდან სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო ახორციელებს პენიტენციური ჯანდაცვის 18 თვიან რეფორმას, რომელიც რეფორმის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის თანახმად მიმდინარეობს. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის შესაბამისად, რეფორმის ფარგლებში:

- გაიზარდა პენიტენციური ჯანდაცვის ბიუჯეტი;
- გაიზარდა სამედიცინო პერსონალის ანაზღაურება;
- სასჯელაღსრულების სისტემისთვის შემუშავდა C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამა;

- მოხდა სამედიცინო დეპარტამენტის რეორგანიზაცია;
- დაინერგა ელექტრონული სამედიცინო ისტორია (PEHR);
- ყველა დაწესებულებაში დაინერგა პირველადი ჯანდაცვის მოდელი;
- კონკურსის შედეგად გადახალისდა პენიტენციური სისტემის სამედიცინო პერსონალი;
- შემუშავდა ექთნების მომზადების ინტენსიური პროგრამა;
- შეიქმნა და დამტკიცდა მედიკამენტების საბაზისო ნუსხა;
- გაიხსნა ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ახალი ცენტრი;
- დაიწყო მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულების რემონტი და გადაიარაღება;
- შემუშავდა და დაიწყო სუიციდის პრევენციის პროგრამის განხორციელება;
- მოხდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის რეფორმირება;
- შეიქმნა და დაინერგა პატიმართა კვების ახალი სტანდარტი;
- დაიწყო აქტიური კამპანია წამალდამოკიდებულების წინააღმდეგ;
- შემუშავდა მიგრანტი პატიმრებისთვის სამედიცინო მომსახურების შესახებ საინფორმაციო მასალა 10 სხვადასხვა ენაზე.

ზემოაღნიშნული ცვლილებები დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ, ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში კვლავ რჩება მრავალი არსებითი ხასიათის გამოწვევა, რომელიც განხილული იქნება ქვემოთ.

## სამედიცინო სამსახურის დაფინანსება

### პენიტენციური ჯანდაცვის დაფინანსება წლების მიხედვით

#### ცხრილი 3

პენიტენციური ჯანდაცვის საერთო ბიუჯეტი 2012 წ.	7.587.000 ლარი
პენიტენციური ჯანდაცვის საერთო ბიუჯეტი 2013 წ.	11.958.000 ლარი
სამედიცინო პერსონალის ანაზღაურება 2012 წ.	ექიმი: 650 ლარი; ექთანი: 350 ლარი
სამედიცინო პერსონალის	ექიმი: 1200 ლარი; ექთანი: 650 ლარი

მისასაღმებელია პენიტენციური ჯანდაცვის დაფინანსების ზრდის ტენდენცია. ასევე დადებითად უნდა შეფასდეს სამედიცინო პერსონალის ხელფასის მატება. აღნიშნული პოზიტიური ცვლილებების ფონზე იზრდება პენიტენციური ჯანდაცვის მიმართ ბენეფიციართა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინები. ბუნებრივია, ეფექტიანი ადმინისტრირების პირობებში, პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის შესაძლებლობები და სამედიცინო მომსახურების ხარისხი წინა წლებთან შედარებით მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს.

### მედიკამენტებით მომარაგება და აფთიაქის საქმიანობა

2013 წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ფუნქციონირებდა 13 წამლის სამარაგო და კერძო აფთიაქი. 2012-2013 წლებში სასჯელაღსრულების დაწესებულებების მედიკამენტებით მომარაგებაზე გაწეული დანახარჯი მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

#### ცხრილი 4

დაწესებულება	2012	2013	TB ეროვნული პროგრამა 2012	TB ეროვნული პროგრამა 2013
2	59182,39	145131,16		
5	105797,35	80859,96		
6	47423,15	91484,74		
7	5271,5	17831,54		
8	133578,84	220578,02		
9	52359,28	28075,45		
11	2953,78	9237,01		
12	28990,24	48431,36		
14	136132,54	173845,94		
15	99404,51	179667,21		

17	69069,1	227222,41		
18	374215,76	231375,68		
19	136601,34	216408,7	170428,37	74827,13
<b>სულ</b>	<b>1250979,78</b>	<b>1670149,18</b>		

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ყველა წამლის სამარაგოს ჰყავს პასუხისმგებელი პირი. დაწესებულებებისათვის მედიკამენტების მიწოდება ხდება ბაზისური მედიკამენტების ჩამონათვალის შესაბამისად. მიწოდება ხორციელდება დაწესებულებების სამედიცინო ნაწილის მთავარი ექიმის ყოველთვიური და ინდივიდუალური მოთხოვნის შესაბამისად, რომლის შედგენაშიც მონაწილეობენ შესაბამისი დაწესებულების ფარმაცევტები და ექიმები. დაწესებულების წამლის სამარაგოდან მედიკამენტების გატანა ხორციელდება რეცეპტების საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს მედიკამენტების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი და ამტკიცებს მთავარი ექიმი.

კერძო აფთიაქი ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში. ასევე კვირაში ერთი დღე მუშაობს სასჯელაღსრულების №14 დაწესებულების აფთიაქი, რაც პატიმართა უკმაყოფილებას იწვევს.

რიგ შემთხვევებში პატიმრები უთითებენ, რომ დაწესებულებაში არ მოიპოვება მათთვის დანიშნული მედიკამენტები. ხშირად პატიმართა უკმაყოფილებას იწვევს ე.წ. გენერიკ მედიკამენტების მიწოდება. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გენერიკული ფარმაცევტული პროდუქტი (ე.წ. გენერიკ მედიკამენტი) წარმოადგენს საერთაშორისო არაპატენტირებულ კვლავწარმოებულ ფარმაცევტულ პროდუქტს. გენერიკული ფარმაცევტული პროდუქტი გამოიყენება პატენტირებული (ორიგინალური) მედიკამენტების შემცვლელად, რაც გულისხმობს, რომ ამ პროდუქტის მიღებით მიღწეულ უნდა იქნას იგივე ეფექტი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, გენერიკულია მედიკამენტი, რომელიც განკუთვნილია ინოვაციური სამკურნალო მედიკამენტის შესაძლო შემცვლელად, იწარმოება ინოვაციური მედიკამენტის მწარმოებლის ლიცენზიის გარეშე და ფარმაცევტულ ბაზარზე გამოდის პატენტის ან რაიმე სხვა ექსკლუზიური უფლებების ვადის გასვლის შემდეგ.<sup>74</sup>

გენერიკული ფარმაცევტული პროდუქტის სასურველი ეფექტი დამოკიდებულია მის შემადგენლობასა და ეკვივალენტურობაზე. გენერიკული ფარმაცევტული პროდუქტი, ისევე

<sup>74</sup> იხ. <http://www.who.int/trade/glossary/story034/en/> [ბოლოს ნანახია 10.03.2014]



როგორც ორიგინალური ფარმაცევტული პროდუქტი, შეიცავს აქტიურ ნივთიერებას და შემავსებელს. ამ უკანასკნელზეა დამოკიდებული აბიდან ან კაფსულიდან, თუ როგორ, რამდენი და რა სიჩქარით გამოთავისუფლდება აქტიური ნივთიერება, რაც შესაბამისად აისახება მედიკამენტის ეფექტზე. შემავსებელში ან აბის გარსში შემავალ ნივთიერებებში მცირედმა ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მედიკამენტის ხარისხი. თუ ორიგინალური ფარმაცევტული პროდუქტის შემავსებელი ერთია, ხოლო გენერიკული ფარმაცევტული პროდუქტის - მეორე, დაირღვევა ამ ორი პროდუქტის თერაპიული ეკვივალენტობა, ანუ სახეზე იქნება სხვადასხვა თერაპიული ეფექტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველ რიგში, აუცილებელია პაციმრებს მიეწოდოთ ინფორმაცია გენერიკული ფარმაცევტული პროდუქციის შესახებ. გარდა ამისა, თერაპიული ეფექტთან დაკავშირებით პაციმართა პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მოხდეს გენერიკული ფარმაცევტული პროდუქტის კლინიკური კვლევა მისი თერაპიული ეკვივალენტობის დადგენის მიზნით.

გეგმიური და საგანგებო მონიტორინგის დროს სასჯელაღსრულების რამდენიმე დაწესებულებაში რამდენიმე დასახელების მედიკამენტი, რომელიც შეტანილი იყო დაწესებულებაში ფაქტობრივად არსებული მედიკამენტების ნუსხაში, ადგილზე არ აღმოჩნდა. ასე მაგალითად, 2012 წლის დეკემბრის თვეში განხორციელებული საგანგებო მონიტორინგის მიმდინარეობისას სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაში, ასევე ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში სახალხო დამცველის რწმუნებულებს ვერ წარმოუდგინეს რამდენიმე დასახელების მედიკამენტი, მაგრამ ამავედროულად, სამედიცინო პერსონალმა განმარტა, რომ ჰქონდათ აღნიშნული მედიკამენტების შემცვლელები.

გაუგებრობისა და პაციმართა უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად, მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, დაწესებულებაში არსებულ ნუსხაში ჩამოთვლილი მედიკამენტები მუდმივად იყოს ხელმისაწვდომი. ამ მიზნით, მიზანშეწონილია სამედიცინო პერსონალმა გააკეთოს მედიკამენტების მოხმარების წინასწარი შეფასება და მოთხოვნა მედიკამენტების მიწოდებაზე წარმოადგინოს იმგვარად, რომ მოთხოვნილი მედიკამენტების შესყიდვისა და მიწოდების პროცესში დარჩენილი მარაგი არ ამოიწუროს.

## **სამედიცინო რეფერალი**

საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო პაციმართა სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფს სამოქალაქო სექტორის 52 სხვადასხვა სამედიცინო კლინიკაში. კლინიკები შერჩეულია ბაზრის კვლევის საფუძველზე, მთავრობის შესაბამისი

განკარგულების<sup>75</sup> თანახმად, გამართივებული წესით, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის და სამედიცინო მომსახურების საჭიროებების გათვალისწინებით.

სამედიცინო რეფერალი მოიცავს პაციენტთა გადამისამართებას სპეციალიზებულ სამედიცინო მომსახურებაზე, როგორც პენიტენციურ სისტემაში, ასევე მის გარეთ სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში. სამედიცინო რეფერალის პროცესის ეფექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი მართვის მიზნით, 2013 წლის მაისში სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტმა საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტთან ერთად, შეიმუშავა სპეციალური ელექტრონული პროგრამა. 2013 წლის 1 სექტემბერს ექსპლოატაციაში იქნა გაშვებული პენიტენციური სისტემის ელექტრონული სამედიცინო ისტორია (PEHR), რომელიც ახდენს მონაცემების და სტანდარტული პროცესების ავტომატიზებას, ხოლო მისი ერთ-ერთი მოდული არეგულირებს სამედიცინო რეფერალს.

სამედიცინო რეფერალის პროცესს საფუძვლად უდევს საქართველოს პატიმრობის კოდექსი (მუხლი 121) და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მარტის №38 ბრძანება „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან საერთო პროფილის საავადმყოფოში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრსა და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დაავადებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ“.

სამედიცინო რეფერალის პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისგან: 1. პირველადი ჯანდაცვის რგოლი (სასჯელაღსრულების დაწესებულებებში) თავად განსაზღვრავს სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების საჭიროებას და აკეთებს მოთხოვნას პაციენტის გადამისამართებაზე, რომელიც რეგისტრირდება პროგრამულად უშუალოდ ექიმის მიერ სისტემაში ინტერაქციით ან ოპერატორის საშუალებით; 2. მოთხოვნის დამუშავება რეგისტრაციის მომენტიდან ხდება სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინების) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) გამოყენებით. საკმარისი დასაბუთების შემთხვევაში ხდება მოთხოვნის დადასტურება და შემთხვევას ენიჭება რიგითი ნომერი, რომლის შესახებაც ინფორმირებულია შესაბამისი პირველადი ჯანდაცვის რგოლი და თავად ბენეფიციარიც; 3. დადასტურების მომენტიდან რიგითი ნომრის მიხედვით ხდება შეთანხმება სამედიცინო მომსახურების პროვაიდერთან და ხორციელდება პაციენტის რეფერალი.

აღსანიშნავია, რომ მოთხოვნაზე უარის შემთხვევაში, უარი აღირიცხება სისტემაში და პირველადი ჯანდაცვის რგოლს ეცნობება უარის მიზეზები. 2013 წლის სექტემბრიდან 1

<sup>75</sup> საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 დეკემბრის №2163 განკარგულება.

იანვრამდე 306 შემთხვევაში მოთხოვნა დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული და უარყოფილ იქნა.

ელექტრონული რიგით სარგებლობენ მხოლოდ გეგმური პაციენტები. სასწრაფო და გადაუდებელი შემთხვევები მოლოდინის რეჟიმს არ ექვემდებარება. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ფარგლებში ელექტრონული რიგი გამიჯნულია და დამოუკიდებლად რეგულირდება. დამოუკიდებლად რეგულირდება ასევე, სტაციონარული და ამბულატორიული რეფერალიც (რიგიც). ამგვარი მიდგომა გამორიცხავს გეოგრაფიულ და მომსახურების ტიპებზე დამოკიდებულ შეფერხებებს. მოთხოვნების დამუშავება ხდება „პირველმა მომმართა, პირველმა მიიღო“ პრინციპით. მოლოდინის რიგში პაციენტის ხელოვნურად წინ წაწევა ან უკან გადმოწევა შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ სამედიცინო რეფერალის ელექტრონული ბაზის ფუნქციონირება არ არის დარეგულირებული სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ცალკე ბრძანებით, ხოლო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მარტის №38 ბრძანება „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან საერთო პროფილის საავადმყოფოში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრსა და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დაავადებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ“, არ შეიცავს ჩანაწერს აღნიშნული ბაზის შესახებ. თავის მხრივ, გადაყვანის ეს წესი შეიცავს არსებით ხარვეზებს. კერძოდ, ამ წესის პირველი მუხლის თანახმად, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმრის გადაყვანა ხორციელდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, რასაც საფუძვლად უდევს დაწესებულების ექიმის შუამდგომლობის შესაბამისად სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ დაწესებულების დირექტორისათვის წარდგენილი რეკომენდაცია. რაც შეეხება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან საერთო პროფილის საავადმყოფოში გადაყვანას, ზემოხსენებული წესის მე-2 მუხლის თანახმად, აღნიშნული ხორციელდება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბრძანების საფუძველზე, რასაც წინ უძღვის დაწესებულების ექიმის შუამდგომლობის წარდგენა სამედიცინო დეპარტამენტისათვის და ამ უკანასკნელის რეკომენდაცია გადაყვანის შესახებ. ამავდროულად, დაწესებულების ექიმი შუამდგომლობის ერთ ეგზემპლარს წარუდგენს სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს. ამასთან, როგორც დაწესებულების დირექტორს, ასევე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს უფლება აქვს უარი განაცხადოს პატიმრის გადაყვანაზე.

საბოლოო ჯამში, პატიმრის ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე ფორმალურად დამოკიდებულია დაწესებულების დირექტორის და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებაზე, რაც ეწინააღმდეგება სასჯელაღსრულების სისტემაში

გატარებული რეფორმის სულისკვეთებას, როდესაც მოხდა სამედიცინო პერსონალის დაქვემდებარება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისთვის მათი დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის მიზნით.

სამედიცინო რეფერალის ელექტრონული ბაზის ამოქმედება, უდავოდ, საინტერესო ნოვაციაა და სამედიცინო რეფერალის მოწესრიგების თვალსაზრისით დადებით ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა, მიუხედავად ამისა, სამედიცინო რეფერალის სისტემის ფუნქციონირების ნაკლს კვლავაც სამედიცინო მომსახურების მიწოდების დროულობის თვალსაზრისით ინდივიდუალური მიდგომის არარსებობა წარმოადგენს. უდავოა, რომ სამედიცინო მომსახურება პირველ რიგში უნდა მიიღოს იმ პატიმარმა, რომელსაც ეს ყველაზე მეტად ესაჭიროება დროის მოცემულ მომენტში და ეს სამედიცინო რეფერალის ორგანიზაციული ასპექტების სრულყოფისას აუცილებლად უნდა იქნას მიღებული მხედველობაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ განჩინებაში უთითებს, რომ „შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დიაგნოზი და მკურნალობა იყოს დროული და ზუსტი და სამედიცინო პერსონალის მიერ გაწეული ზედამხედველობა იყოს რეგულარული და სისტემური ხასიათის და მოიცავდეს სრულ თერაპიულ სტრატეგიას“.<sup>76</sup> სამედიცინო რეფერალის ელექტრონული ბაზა შეიძლება შეფასდეს, როგორც ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სამედიცინო რეფერალის სისტემის ეფექტიანად სამართავად. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, ელექტრონული ბაზის უმთავრეს დადებით მხარედ უნდა მივიჩნიოთ, მის მიერ პატიმართა შორის თანასწორობის უზრუნველყოფა და პროცესის მეტი გამჭვირვალობა.

ელექტრონულ ბაზაში რიგითი ნომრის შეცვლა შეუძლებელია, რაც გამორიცხავს კონკრეტული პატიმრისათვის პრიორიტეტის მინიჭებას. მიგვაჩნია, რომ ამ მიდგომამ და პრინციპმა - „პირველმა მომმართა, პირველმა მიიღო“ შეიძლება შეაფერხოს იმ პატიმრისათვის სამედიცინო მომსახურების დროულად მიწოდება, რომელსაც მოცემული მომენტისათვის ყველაზე მეტად ესაჭიროება და ეს შემთხვევა არ ხვდება გადაუდებელ შემთხვევათა კატეგორიაში.<sup>77</sup> ამასთან, ელექტრონული ბაზის ფუნქციონირების სპეციფიკა გამორიცხავს მოლოდინის რეჟიმში, პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის დინამიკაში გაუარესების შემთხვევაში, რიგის ნომრის შეცვლას და სამედიცინო დაწესებულებაში დაჩქარებული წესით გაყვანის შესაძლებლობას, როდესაც შემთხვევა ვერ დაკვალიფიცირდება, როგორც გადაუდებელი. დაჩქარებული წესით პირისთვის სამედიცინო

<sup>76</sup> Inter alia ჯაში საქართველოს წინააღმდეგ, 2013 წლის 8 იანვრის განჩინება, პარ. 61.

<sup>77</sup> ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ტ1“ პუნქტის თანახმად, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება გულისხმობს სამედიცინო დახმარებას, რომლის გარეშეც გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესება.

მომსახურების მიწოდების შესაძლებლობა გადამწყვეტია, განსაკუთრებით, მწვავედ მიმდინარე დაავადებების შემთხვევაში, როდესაც არსებობს რისკი, რომ შესაძლებელია ჩამოყალიბდეს დაავადების ქრონიკული ფორმა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გადაისინჯოს სამედიცინო რეფერალის სისტემის ფუნქციონირების სპეციფიკა, რათა გათვალისწინებული იყოს ყოველი კონკრეტული პაციენტის ინდივიდუალური საჭიროება. ამ მიზნით შესაძლებელია ელექტრონულ ბაზაში არსებული რიგის დაყოფა მწვავე და ქრონიკული დაავადებების ნიშნით. ალტერნატივის სახით, შეიძლება ელექტრონული ბაზის ფორმატი უცვლელი დარჩეს, მაგრამ ამავედროულად სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დარეგულირდეს მწვავე ფორმის დაავადების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების რეგარეშე მიწოდების საკითხი. მწვავე ფორმის დაავადებებს ახასიათებს ძლიერად გამოხატული სიმპტომები და აქედან გამომდინარე, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ექიმის კონსულტაციისა და ადგილზე შესაძლებელი გამოკვლევების ჩატარების შედეგად, შესაძლებელია დადგინდეს წინასწარი დიაგნოზი, რომლის საფუძველზეც გადაწყდება სამედიცინო რეფერალის საკითხი. ასევე შეიძლება დაავადებათა დაჯგუფება სასიცოცხლო ორგანოებზე მათი ზემოქმედების ხარისხის და ტკივილგამაყუჩებლების მიღების ფონზე ტკივილის ინტენსივობის მიხედვით.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ზემოთ მოცემული ალტერნატივების პრაქტიკაში დანერგვა მდგომარეობას არსებითად ვერ გააუმჯობესებს, თუ არ გაიზრდება სამედიცინო რეფერალის განხორციელების შესაძლებლობები. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამუშაო დღის განმავლობაში, აღმოსავლეთ საქართველოში სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში ხდება საშუალოდ 10 პაციენტის გადაყვანა, აქედან 2 პაციენტი სტაციონარული, ხოლო 8 პაციენტი ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით გადაჰყავთ. სამედიცინო რეფერალის განხორციელების შესაძლებლობებს განაპირობებს პაციენტის გადაყვანაზე პასუხისმგებელი პერსონალისა და სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა და ის ფაქტი, თუ რამდენი პაციენტი მიღება შეუძლიათ სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებს. სამინისტროს წარმომადგენლების განმარტებით, ელექტრონული ბაზის გამტარუნარიანობაზე უარყოფითად მოქმედებს თვითდაზიანების და გადაუღებელი სამედიცინო დახმარების შემთხვევები, ვინაიდან ასეთ შემთხვევებშიც უმეტესად ხორციელდება პაციენტთა გადაყვანა სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებში.

**რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:**

- დამტკიცდეს სამედიცინო რეფერალის მარეგულირებელი ახალი წესი, რომლის საფუძველზეც მხოლოდ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი, გადაყვანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით



სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან კონსულტაციის შემდგომ, მიიღეს გადაწყვეტილება სასჯელალსრულების სამკურნალო დაწესებულებებში და სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ. ამავე წესით დეტალურად დარეგულირდეს სასწრაფო, გადაუდებელი და გეგმიური წესით გადაყვანის საფუძვლები, ასევე სამედიცინო რეფერალის ელექტრონული ბაზის ფუნქციონირების თავისებურებანი.

- დაავადების მიმდინარეობის გათვალისწინებით, კონკრეტული პაციენტის საჭიროების შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნას სამედიცინო მომსახურების დროულად მიწოდება სასჯელალსრულების სამკურნალო დაწესებულებებსა და სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებში, დაინერგოს მაქსიმალურად ინდივიდუალური მიდგომა.
- სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში ამბულატორიული მომსახურების მიზნით გადაყვანილი პაციენტის არასრული გამოკვლევის ან დროის მოკლე მონაკვეთში (შემდგომ დღეებში) დამატებითი გამოკვლევების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში ამ პაციენტის გადაყვანა განხორციელდეს რიგგარეშედ.

### სამედიცინო ინფრასტრუქტურა

პირველადი ჯანდაცვის რგოლი მოიცავს 37 პუნქტს. სასჯელალსრულების დაწესებულებათა საექიმო-სამედიცინო პუნქტებში შესაძლებელია განხორციელდეს ელექტროკარდიოგრაფია, ექოსკოპია, რენტგენოგრაფია, ასევე აღებულ იქნას სინჯები სისხლის საერთო და ბიოქიმიური ანალიზისთვის, ტუბერკულოზის, ჰეპატიტის და აივ/ინფექცია შიდსის ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევისთვის. ასევე, შესაძლებელია სტომატოლოგიური მომსახურება.

2013 წლის 1 იანვარს გაიხსნა ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ახალი ცენტრი. 2013 წლის სექტემბრიდან მიმდინარეობს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების რემონტი და გადაიარაღება. მისი გახსნა დაგეგმილია 2014 წლის აპრილ-მაისში.

### დოკუმენტაციის წარმოებისა და შენახვის, სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებისა და ანგარიშგების წესი

ამბულატორიული პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ჩანაწერების წარმოება ხდება „**ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ**“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანების დაცვით. პენიტენციური სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათში დამატებით გათვალისწინებულია რიგი საკითხები, რასაც არეგულირებს

„ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრებისა და პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მაისის №82 ბრძანება.

სტაციონარული პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ჩანაწერების წარმოება ხდება „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანების შესაბამისად.

მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა სტომატოლოგიური მომსახურების შესახებ სამედიცინო ჩანაწერების წარმოება ხდება „სტომატოლოგიური სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 25 ნოემბრის №01- 55/ნ ბრძანების თანახმად.

საჭიროების შემთხვევაში, პენიტენციური სისტემის სამედიცინო პერსონალი ხელმძღვანელობს „ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის შევსების წესისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 9 აგვისტოს №338/ნ ბრძანებით.

პენიტენციურ სისტემაში სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება ხორციელდება „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 23 მაისის №01-27/ნ ბრძანების შესაბამისად.

სასჯელაღსრულების დაწესებულებათა სამედიცინო პერსონალი ყოველთვიურად ადგენს და სამედიცინო დეპარტამენტს უგზავნის შესრულებული სამუშაოს ანგარიშს. ანგარიში მოიცავს 16 პუნქტს, რომელშიც შედის შესაბამისი ინფორმაცია. ანგარიშში შეიტანება ინფორმაცია სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო პერსონალის შესახებ, დაწესებულებაში მყოფ პატიმართა რაოდენობა, თვის განმავლობაში დაწესებულებაში შემოსულ პატიმართა და პირველადი სამედიცინო შემოწმების რაოდენობა, ასევე ინფორმაციას ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შესახებ. ანგარიშში ცალკე პუნქტად არის გამოყოფილი სტომატოლოგიური დახმარება, ტუბერკულოზის და აივ ინფექცია/შიდსის კონტროლის ეროვნული პროგრამების ფარგლებში მიწოდებული მომსახურება, ჰეპატიტზე და ვენერიულ დაავადებებზე ჩატარებული გამოკვლევების რაოდენობა, სხეულის დაზიანების და სუიციდის მცდელობის შემთხვევათა რაოდენობა, დამატებითი სადიაგნოსტიკო გამოკვლევებისა და სპეციალიზირებული მკურნალობის ჩატარების მიზნით სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებებში გადაყვანილ პატიმართა რაოდენობა. ანგარიში შეიცავს ინფორმაციას მედიკამენტებისა და სამკურნალო საშუალებების მომარაგებაზე გაწეული ყოველთვიური დანახარჯის შესახებ, ასევე მონაცემებს პატიმართა გარდაცვალების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ანგარიშის ფორმაში გათვალისწინებულია პუნქტი პატიმართა

სამედიცინო მომსახურებაში არსებული პრობლემების შესახებ, დამატებით გამოყოფილია სივრცე შენიშვნისათვის.

აღნიშნულ ანგარიშს, როგორც წესი თან ერთვის ფორმა №1-9.1 - ავადობა სასჯელაღსრულების სისტემაში წლიურად, რომელშიც მოცემულია გრაფები თვეების მიხედვით, ასევე უნომრო ფორმა - სამედიცინო დახმარება სასჯელაღსრულების სისტემაში წლიურად (გრაფები თვეების მიხედვით), ფორმა №1-9.2 - ექიმ სპეციალისტთა მიერ კონსულტაციების შედეგად გამოვლენილი დაავადებები სქესობრივ და ასაკობრივ ჯგუფებში, უნომრო ფორმა - მსჯავრდებულთა გარდაცვალების შემთხვევები თითოეულ დაწესებულებაში წლიურად (გრაფები თვეების მიხედვით), უნომრო ფორმა - ტუბერკულოზის პროგრამის თვის ანგარიში, ფორმა IV-25 - თბილისის ამბულატორიულ/პოლიკლინიკურ დაწესებულებაში ცხოვრებაში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული ავადმყოფების სააღრიცხვო უწყისი. ფორმა IV-25-ის გარდა სხვა ზემოხსენებული საანგარიშგებო ფორმები „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 23 მაისის №01-27/ნ ბრძანებით გათვალისწინებული არ არის.

ყოველთვიური ანგარიში შეიცავს მხოლოდ ზოგადი ხასიათის მონაცემებს, რაც არ იძლევა სტატისტიკური მონაცემების სრულყოფილად დამუშავების შესაძლებლობას. „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 23 მაისის №01-27/ნ ბრძანებით გათვალისწინებულია ფორმა IV-01 - სამედიცინო დაწესებულების ანგარიში. აღნიშნულ საანგარიშგებო ფორმაში მოცემულია დეტალური ინფორმაცია მიწოდებული სამედიცინო მომსახურების შესახებ და შედგება 78 პუნქტისგან. პენიტენციური ჯანდაცვის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ანალიზის მიზნით, მნიშვნელოვანია დაინერგოს ანგარიშგების უფრო დეტალური ფორმები, კერძოდ, ფორმა IV-01 შესაბამისი მოდიფიკაციით.

**რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:**

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 23 მაისის №01-27/ნ ბრძანების შესაბამისად, სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიმუშაოს და ბრძანებით დაამტკიცოს სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და ანგარიშგების ფორმები.

## ექიმის ხელმისაწვდომობა

სასჯელადსრულების სისტემაში ექიმის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მდგომარეობა გაუმჯობესებულია. პატიმრების განცხადებით, დაწესებულების სამედიცინო პერსონალთან შეხვედრა წინა წლებთან შედარებით ნაკლებ პრობლემატურია. პრობლემები რჩება შესაბამისი პროფილის ექიმ-კონსულტანტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. პატიმრების განმარტებით, მათი ვიზიტების პერიოდულობა უნდა გაიზარდოს, რათა მათ არ მოუწიოთ ლოდინი და საჭიროებისთანავე შეემლოთ მათგან კონსულტაციის მიღება. პატიმრები ასევე პრეტენზიას გამოთქვამენ ფსიქიატრის და ფსიქოლოგის მომსახურების პერიოდულობასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ისეთ სპეციალიზებულ დაწესებულებას, როგორცაა ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც მოთხოვნა ფსიქოლოგზე და ფსიქიატრზე ძალიან მაღალია, ფსიქოლოგი არ ჰყავს.

**პენიტენციური ჯანდაცვის სისტემას ემსახურება შემდეგი პერსონალი:**

### ცხრილი 5

დაწესებულება	ექიმი	ექთანი	გრაფიკი
№2	12	16	სრული დატვირთვა
№3	6	6	სრული დატვირთვა
№5	8	10	სრული დატვირთვა
№6	12	16	სრული დატვირთვა
№7	4	5	სრული დატვირთვა
№8	30	36	სრული დატვირთვა
№9	5	10	სრული დატვირთვა
№11	4	5	სრული დატვირთვა
№12	6	9	სრული დატვირთვა
№14	10	12	სრული დატვირთვა
№15	12	22	სრული დატვირთვა

№17	13	22	სრული დატვირთვა
№18	65	100	სრული დატვირთვა
№19	38	55	სრული დატვირთვა
<b>სულ</b>	225	321	

პატიმართათვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურება:

**ცხრილი 6**

№	პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების დასახელება	სულ
1.	პირველადი სამედიცინო შემოწმება	16 554
2.	ამბულატორიული ვიზიტები, მკურნალობა	22 4363
3.	სტაციონარული მკურნალობა:	1 293
	3.1. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში	677
	3.2. ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში	516
4.	გამოკვლევები და მკურნალობა სამოქალაქო სექტორის სპეციალიზირებულ სტაციონარებში	5 199
5.	სასწრაფო და გეგმიური ქირურგიული დახმარება	1 637
6.	სტომატოლოგიური დახმარება	15 814
	6.1. თერაპიული პროფილის	10 359
	6.2. ქირურგიული პროფილის	4 358
	6.3. ორთოპედიული პროფილის	1097
7.	ფსიქიატრიული პროფილის დახმარება-კონსულტაცია, მკურნალობა	10 752



8.	მასიური სკრინინგი ტუბერკულოზის რისკ-ჯგუფების გამოსავლენად	65 130
	8.1. ტუბერკულოზზე საექვო პირთა გამოკვლევა	7 980
	8.2. „DOTS“	237
	8.3. „DOTS“ +	57
	8.4. ანტიტუბერკულოზური მკურნალობის კურსი დაასრულა	260
9.	გამოკვლეულ იქნა აივ ინფექცია/შიდსზე	5 263
	9.1. ანტირეტროვირუსულ პროგრამაში ახლად ჩართული	17
	9.2. მიმდინარე	431
10.	გამოკვლეულ იქნა ჰეპატიტებზე	4 701
11.	გამოკვლეულ იქნა ვენერიულ დაავადებებზე	606
12.	ჩართულ იქნა „მეტადონით“ დეტოქსიკაციის პროგრამაში	311
13.	კონსულტირებულ იქნა სხვადასხვა პროფილის ექიმ-კონსულტანტების მიერ	33 929
14.	ჩართულ იქნა შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში	7
	14.1. ინსულინი	7
	14.2. დესმოპრესინი	0

### სამედიცინო მომსახურების ეკვივალენტობა

2012 წელს სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებში პაციმართა გადაყვანა განხორციელდა 3 558 შემთხვევაში, ხოლო 2013 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 5 199 შეადგინა. პაციმართა რაოდენობის მკვეთრი შემცირების ფონზე სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში პაციმართა გადაყვანის რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა დადებითად

უნდა შეფასდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, პატიმართა სამედიცინო მომსახურების ეკვივალენტობის საკითხი კვლავაც პრობლემატურია. ეკვივალენტურობის თვალსაზრისით უნდა შეფასდეს როგორც ეს 5 199 (ცხრილი 6, პუნ. 4) შემთხვევაში მიწოდებული, ასევე სასჯელაღსრულების სისტემაში, ადგილზე მიწოდებული სამედიცინო მომსახურება.

ერთი შეხედვით, ზემოხსენებულ 5 199 შემთხვევაში ეკვივალენტობის პრინციპი დაცულია, ვინაიდან პატიმრებმა სამედიცინო მომსახურება მიიღეს სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევებშიც პატიმართა მიმართ მიწოდებული სამედიცინო მომსახურება ეკვივალენტობის კუთხით კრიტიკულად უნდა შეფასდეს. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს სამოქალაქო სექტორის დაწესებულებებში ამბულატორიული ვიზიტების და კვლევების რაოდენობამ 4 283 შემთხვევა შეადგინა, რაც შემთხვევათა მთელი რაოდენობის (5 199) 82% წარმოადგენს. სამოქალაქო სექტორის დაწესებულებებში ამბულატორიული ვიზიტების რაოდენობათა აბსოლუტურ უმრავლესობაში მოიაზრება ვიზიტი გამოკვლევის მიზნით. პატიმრები აცხადებენ, რომ ასეთი ვიზიტის დროს ხდება ჯანმრთელობის მდგომარეობის ნაწილობრივი გამოკვლევა და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ზოგიერთი სამედიცინო გამოკვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, ან/და დაწესებულებათა ვიწრო პროფილისა და შესაბამისი აპარატურის არქონის გამო, ხშირად სრულყოფილი გამოკვლევის ჩატარება ერთი დღის განმავლობაში პრაქტიკულად შეუძლებელია. ჩვეულებრივი მოქალაქისგან განსხვავებით, რომელთაც შეუძლიათ დაწესებულებას კვლავ მიმართონ შემდგომ დღეებში, პატიმარს ხელახლა უწევს დარეგისტრირება სამედიცინო რეფერალის ელექტრონულ ბაზაში და გარკვეული ხნის განმავლობაში ლოდინი. ასეთ ვითარებაში კი შესაძლოა სამედიცინო მომსახურების მიღება დროში გაჭიანურდეს და პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდეს, რაც ეწინააღმდეგება ეკვივალენტობის პრინციპს.

სასჯელაღსრულების სისტემაში, ადგილზე მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ეკვივალენტობის შეფასებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნას სამედიცინო ინფრასტრუქტურა და სამედიცინო პერსონალის კომპეტენციები და გამოცდილება. მისასაღმებელია ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში განხორციელებული ცვლილებები. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრში, ისევე როგორც ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში, კვლავ არსებობს პრობლემები, შეიძლება ითქვას, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში ტუბერკულოზთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურება სამოქალაქო სექტორში მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ეკვივალენტურია. რაც შეეხება ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების სამედიცინო ინფრასტრუქტურას და შესაძლებლობებს, ის არაა დამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული და 2013 წლის სექტემბრიდან დაიწყო სარემონტო სამუშაოები და გადაიარაღება, რაც საანგარიშო პერიოდის ბოლომდე დასრულებული არ იყო.

რაც შეეხება უშუალოდ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებს, იქ არსებული საექიმო-სამედიცინო პუნქტის სამედიცინო მომსახურების შესაძლებლობა შეზღუდულია. ძირითადად დაწესებულებებში შესაძლებელია განხორციელდეს ელექტროკარდიოგრაფია, ექოსკოპია, რენტგენოგრაფია, ასევე აღებულ იქნას სინჯები სისხლის საერთო და ბიოქიმიური ანალიზისთვის, ტუბერკულოზის, ჰეპატიტის და აივ/ინფექცია შიდსის ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევისთვის. მიუხედავად შეზღუდული შესაძლებლობებისა, საექიმო-სამედიცინო პუნქტები ითავსებს მეორადი ჯანდაცვის კომპონენტებს, მათ შორის სტაციონარულ მომსახურებას. აღნიშნულ ვითარებაში კი ეკვივალენტობის პრინციპი დაცული ვერ იქნება.

**სასჯელადსრულების სისტემაში არსებული სამედიცინო საჭიროებების საილუსტრაციოდ ცხრილში მოცემულია ავადობის მაჩვენებელი.**

**ცხრილი 7**

№	ავადობა	სულ
1.	გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები	859
2.	სასუნთქი სისტემის დაავადებები	1 536
3.	საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	1 708
4.	შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები	1 180
5.	ნერვული სისტემის დაავადებები	958
6.	ფსიქიკური დაავადებები	1 998
7.	ენდოკრინული სისტემის დაავადებები	185
8.	ჰემატოლოგიური დაავადებები	19
9.	გრძნობათა ორგანოების დაავადებები	1 349
10.	ინფექციური დაავადებები	168
11.	ტუბერკულოზი	294
12.	აივ ინფექცია/შიდსი - ახლად გამოვლენილი	7
13.	ძვალ-სახსროვანი სისტემისა და შემაერთებელი	416

	ქსოვილის დაავადებები	
14.	კანისა და ვენერიული დაავადებები	285
15.	სტომატოლოგიური დაავადებები	15 807
16.	მწვავე ქირურგიული დაავადებები	230
17.	ონკოლოგიური დაავადებები	40
	<b>სულ</b>	<b>27 039</b>

თუ ცხრილში მოცემულ დაავადებათა შემთხვევების საერთო რაოდენობას გამოვაკლებთ სტომატოლოგიურ დაავადებებს (რომელთა მკურნალობა ადგილზეც შესაძლებელია), ასევე ტუბერკულოზის შემთხვევებს (ასევე შესაძლებელია ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში გაყვანის გარეშე), რჩება 11 064 შემთხვევა, რომელთაგან, რა თქმა უნდა, ნაწილის დიაგნოსტიკა და მკურნალობა სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემის ფარგლებშიც შეიძლება, თუმცა აშკარაა, რომ 5 199 შემთხვევაში პაციმრის სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში გაყვანა, ვერ უზრუნველყოფს პაციმართა სამედიცინო საჭიროებების სრულად დაკმაყოფილებას.

მნიშვნელოვანია სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულებებში და პაციმრობისა ან/და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლი და პაციენტის უსაფრთხოების შეფასება. ამ მხრივ, მიზანშეწონილია გაძლიერდეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მუშაობა და ურთიერთქმედება სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთან“.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წლის მარტიდან, სამინისტროში ფუნქციონირებს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველო. სამმართველო ახორციელებს სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლს. მისი საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს სამედიცინო ჩანაწერების შემოწმება, რა დროსაც ხდება შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტის წარმოების წესის დაცვისა და გაწეული სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობის შემოწმება.

სამმართველო ახორციელებს როგორც რიგგარეშე შემოწმებას საჩივრების საფუძველზე, ასევე გეგმიურ მონიტორინგებს. სამმართველოს შექმნის დღიდან 2014 წლის იანვრამდე შესწავლილ იქნა 73 შემთხვევა. ამათგან 18 შემთხვევაში ჩატარდა გეგმიური მონიტორინგი. შემთხვევებს სამმართველო განიხილავს კომისიურად, საჭიროების შემთხვევაში ხდება

შესაბამის ექიმ-სპეციალისტთა მოწვევა. ექიმ-სპეციალისტის ჩანაწერი დაერთვის სამმართველოს შეფასებას. თუ გამოვლინდება საექიმო შეცდომა, შემთხვევა გადაიგზავნება სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში“.

**რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:**

- უზრუნველყოს სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლი სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს საქმიანობისა და სამმართველოსა და სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთან ურთიერთქმედების გაძლიერების გზით.

### **კონფიდენციალურობა და ინფორმირებული თანხმობა**

სამედიცინო ხასიათის ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა კვლავაც პრობლემატურია სასჯელაღსრულების სისტემაში, მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო პერსონალი უშუალოდ მხოლოდ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს ექვემდებარება. პრობლემურია ექიმთან კონსულტაციის კონფიდენციალურობა, როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ასევე სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში. სამედიცინო ხასიათის ჩანაწერების დაცვა სრულად არ არის უზრუნველყოფილი. სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო პერსონალის მუდმივი ურთიერთობა და პროფესიული ეთიკის არასათანადო ცოდნა, რიგ შემთხვევებში, ხდება სამედიცინო ხასიათის ინფორმაციის გამჟღავნების მიზეზი.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, სასჯელაღსრულების სისტემაში სამედიცინო ხასიათის ინფორმაციის კონფიდენციალურობა იმავე სიმკაცრით უნდა იქნას დაცული, როგორც ეს არის უზრუნველყოფილი ზოგადად საზოგადოებაში.<sup>78</sup> „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლი ადგენს, რომ სამედიცინო მომსახურების გამწევი ვალდებულია პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაიცვას როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ.

სამედიცინო ხასიათის ინფორმაციის კონფიდენციალურობის კონტექსტში, მნიშვნელოვანია განხილულ იქნას, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მარტის №38 ბრძანების დებულებების შესაბამისობა კონფიდენციალურობის ეთიკურ პრინციპთან. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესის თანახმად, პატიმრის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან

<sup>78</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №(98) 7 - მინისტრთა კომიტეტის მიმართვა მონაწილე ქვეყნებისათვის ციხეებში სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციული და ეთიკური ასპექტების შესახებ, სტრასბურგი, 1998 წლის 20 აპრილი, პარ. 13.



სასჯელადსრულების სამკურნალო დაწესებულებებში ან სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის მიზნით, სასჯელადსრულების დაწესებულების ექიმი შუამდგომლობით მიმართავს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს; ხოლო თავის მხრივ, სამედიცინო დეპარტამენტი რეკომენდაციით მიმართავს სასჯელადსრულების დაწესებულების დირექტორს (სასჯელადსრულების სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში) ან სასჯელადსრულების დეპარტამენტის დირექტორს (სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში). აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში პატიმრის გადაყვანის მოთხოვნის შემთხვევაში, სასჯელადსრულების დაწესებულების ექიმი სამედიცინო დეპარტამენტისათვის გაგზავნილი შუამდგომლობის ერთ ეგზემპლარს წარუდგენს სასჯელადსრულების დაწესებულების დირექტორს.<sup>79</sup> მიგვაჩნია, რომ აღნიშნული წესი არღვევს კონფიდენციალურობის პრინციპს, ვინაიდან ექიმის მიერ სამედიცინო დეპარტამენტისათვის გაგზავნილი შუამდგომლობა შეიცავს სამედიცინო ჩვენებებს პირის სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის მიზანშეწონილობის შესახებ და ეს ჩვენებები მიეწოდება მესამე პირს - სასჯელადსრულების დაწესებულების დირექტორს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შეიცვალოს აღნიშნული წესი.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ პატიმრის სამედიცინო საჭიროებების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის სრული დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელია სასჯელადსრულების სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით. ნებისმიერ შემთხვევაში, სასჯელადსრულების დაწესებულების დირექტორს, სასჯელადსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ექნება ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პატიმრის სამკურნალო დაწესებულებაში გაყვანის საჭიროების შესახებ, თუმცა სხვა სახის სამედიცინო ხასიათის ინფორმაციის კონფიდენციალურობა სრულად უნდა იყოს დაცული. ამასთან, სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესში, სასჯელადსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთა როლი მხოლოდ პატიმრის ტრანსპორტირებითა და უსაფრთხოების ზომების მიღებით უნდა შემოიფარგლებოდეს.

სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, იგეგმება სასჯელადსრულების დაწესებულებების უზრუნველყოფა სამედიცინო დოკუმენტაციის შესანახი სეიფით, რომელზე წვდომაც მხოლოდ სათანადოდ უფლებამოსილ პირებს ექნებათ.

<sup>79</sup> სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მარტის №38 ბრძანება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან საერთო პროფილის საავადმყოფოში, სასჯელადსრულების დეპარტამენტის ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრსა და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დაავადებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ, მუხ. 2.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- სასჯელაღსრულების სამედიცინო პერსონალს ჩაუტარდეს ინტენსიური სწავლება პროფესიული ეთიკის საკითხებზე;
- სამედიცინო ხასიათის ინფორმაციის არაუფლებამოსილი პირისათვის გამჟღავნების შემთხვევაში მიღებულ იქნას დისციპლინური ღონისძიებები;
- გაუქმდეს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მარტის №38 ბრძანება „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან საერთო პროფილის საავადმყოფოში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრსა და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დაავადებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ“ და სამედიცინო რეფერალის მარეგულირებელ ახალ ნორმატიულ აქტში სრულად იქნას სამედიცინო ხასიათის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

რაც შეეხება პატიმრების ინფორმირებულობას მიწოდებული სამედიცინო მომსახურების შესახებ, ამ მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესებულია, თუმცა კვლავაც პრობლემურია. რიგ შემთხვევებში, პატიმრის სასჯელაღსრულების ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანის დროს, არ ხდება სამედიცინო დოკუმენტაციის გადატანა და სამედიცინო პერსონალს არ აქვს სრული ინფორმაცია პატიმრის სამედიცინო საჭიროებებისა და მიწოდებული სამედიცინო მომსახურების შესახებ.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, პატიმარი სათანადოდ უნდა იყოს ინფორმირებული თითოეული სამედიცინო ინტერვენციის მიზეზების და ასევე, მედიკამენტების გვერდით მოვლენების შესახებ.<sup>80</sup> ანტიტუბერკულოზური მკურნალობის და მედიკამენტების გვერდითი მოვლენების შესახებ პაციენტთა ინფორმირებულობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში.

ზემოაღნიშნულ რეკომენდაციაში ასევე ხაზგასმულია, რომ პატიმრის სასჯელაღსრულების ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანის დროს, უნდა მოხდეს სამედიცინო დოკუმენტაციის სრულად გადატანა. ამასთან, გადატანის დროს დაცული უნდა იყოს კონფიდენციალურობა.<sup>81</sup>

<sup>80</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №(98) 7 - მინისტრთა კომიტეტის მიმართვა მონაწილე ქვეყნებისათვის ციხეებში სამედიცინო სამსახურის ორგანიზაციული და ეთიკური ასპექტების შესახებ, სტრასბურგი, 1998 წლის 20 აპრილი, პარ. 14.

<sup>81</sup> იქვე, პარ. 18.

## ჰუმანიტარული თანადგომა - განსაკუთრებული კატეგორიები

### არასრულწლოვანი პატიმრები

საანგარიშო პერიოდში პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში განხორციელდა არასრულწლოვანთა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების საგანგებო (თემატური) მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ არასრულწლოვან პატიმრებთან მიმართებით კვლავაც პრობლემად რჩება მათი ყოფნა სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაში. აღმოჩნდა, რომ არასრულწლოვნებს კონტაქტი აქვთ სრულწლოვან პატიმრებთანაც. კერძოდ, სასამართლოზე ბადრაგირებისას, ასეთი შესაძლებლობა ეძლევათ მათ სტომატოლოგთან ვიზიტისას. არასრულწლოვნებს, სტომატოლოგის მომსახურების მისაღებად, საერთო სამედიცინო პუნქტში უწევთ გადასვლა. ასევე, არსებობს პრობლემები სამედიცინო მომსახურებასთან, კვებასთან, განათლებასთან და დღის განრიგთან დაკავშირებით. დეტალური ინფორმაცია მონიტორინგის შედეგების შესახებ მოცემულია ბავშვის უფლებებისადმი მიძღვნილ თავში.

### ქალი პატიმრები

ქალი პატიმრები მოთავსებული არიან სასჯელაღსრულების №5 დაწესებულებაში. 2013 წლის იანვრის მდგომარებით, №5 დაწესებულებაში იმყოფებოდა 906 ქალი პატიმარი, ხოლო 2013 წლის ბოლოს დაწესებულებაში რჩებოდა 242 პატიმარი. მისასალმებელია ქალი პატიმრების პირობით ვადამდე გათავისუფლების მზარდი პრაქტიკა, რაც შესაბამისობაშია ქალი პატიმრების მიმართ მოპყრობისა და არასაპატიმრო ზომათა შესახებ გაეროს წესების (ბანგკოკის წესები) 63-ე წესთან.<sup>82</sup> ასევე დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ №5 დაწესებულებაში საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა სხვადასხვა სასწავლო პროგრამა, ტარდებოდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები და პროგრამის ფარგლებში ხელმისაწვდომი იყო იურისტის და ფსიქოლოგის კონსულტაცია.

მიუხედავად იმისა, რომ №5 დაწესებულებაში ზოგადი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, კვლავ რჩება რამდენიმე არსებითი ხასიათის პრობლემა. 2013 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით დაფიქსირდა შიმშილობის 63 ფაქტი. მთლიანობაში დაწესებულებაში შიმშილობა გამოაცხადა 141 პატიმარმა. პროტესტის საფუძველს წარმოადგენდა პრეტენზიები სამედიცინო მომსახურებასთან; სისხლის სამართლის საქმის გადახედვასა და პირობით ვადამდე გათავისუფლების სამართლიანობასთან დაკავშირებით. №5 დაწესებულებაში, საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სუიციდის 10 მცდელობა.

<sup>82</sup> გაეროს წესები ქალი პატიმრების მოპყრობისა და არასაპატიმრო ზომათა შესახებ (ბანგკოკის წესები), გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, 2010 წლის 21 დეკემბერი, წესი 63.

№5 დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წლის განმავლობაში სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანილ იქნა 421 პაციმარი. დაწესებულებაში არის 2 სამანიპულაციო ოთახი, შოკის და გინეკოლოგის ოთახი, ტუბერკულოზით დაავადებულთათვის განკუთვნილია 4 საკანი. ადგილზე შესაძლებელია საკვლევი მასალის აღება, ტუბერკულოზზე და აივ ინფექცია/შიდსზე გამოკვლევების ჩატარების მიზნით. №5 დაწესებულების დედათა და ბავშვთა საცხოვრებელ განყოფილებაში არის 12 ოთახი და 1 ბავშვთა საერთო გასართობი ოთახი.

ვინაიდან, ქალი პაციმრები განსაკუთრებულ კატეგორიას წარმოადგენენ, რომელთაც გააჩნიათ სპეციალური საჭიროებები, აუცილებელია ამ საჭიროებების მუდმივი შეფასება და სათანადო პროგრამების შემუშავება. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს დაწესებულებაში მყოფი ბავშვების საუკეთესო ინტერესები. ასევე, გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ფსიქიკური ჯანმრთელობისა და რეაბილიტაციის შესაბამისი პროგრამების ეფექტიანი განხორციელება.<sup>83</sup>

ქალი პაციმრების კონტაქტი გარესამყაროსთან მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.<sup>84</sup> ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, ქალ პაციმრებს, მამაკაცი პაციმრების თანაბრად, მიეცეთ ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. აღნიშნული საკითხი დეტალურად არის განხილული ხანგრძლივი პაემნის საკითხისადმი მიძღვნილ შესაბამის ქვეთავში.

### **პაციმრობაში მყოფი ბრალდებულები**

პაციმრობაში ბრალდებულები წარმოადგენენ იმ კატეგორიას, რომელთა მიმართაც წამება და სხვა არასათანადო მოპყრობა ყველაზე ხშირად იჩენს თავს.<sup>85</sup> შესაბამისად, წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სწორედ ბრალდებულთა მდგომარეობას.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ოფიციალური მონაცემების შესაბამისად, 2013 წელს სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებაში სხეულის დაზიანებით მოათავსეს 1 403 ბრალდებული. აქედან 82 ბრალდებული აცხადებდა, რომ დაზიანება მიიღო დაკავებისას და დაკავების შემდგომ. ინფორმაცია ამ შემთხვევების შესახებ გაეგზავნა სათანადო საგამომიებო ორგანოს. შესაბამისად, აუცილებელია, აღნიშნულ შემთხვევებზე ჩატარდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება და დაისაჯონ დამნაშავე პირები.

<sup>83</sup> გაეროს წესები ქალი პაციმრების მოპყრობისა და არასაპაციმრო ზომათა შესახებ (ბანგკოკის წესები), გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, 2010 წლის 21 დეკემბერი, წესი 12.

<sup>84</sup> იქვე, წესი 26-28.

<sup>85</sup> წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მე-6 ზოგადი მოხსენება, 1995 წელი, პარ. 15.

მნიშვნელოვანია, ასევე, ბრალდებულების პატიმრობის პირობების და უფლებრივი მდგომარეობის შეფასება, ვინაიდან, ბრალდებულების არასათანადო პირობებში მოთავსება შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მათზე ზეწოლის საშუალებად. ციხის ევროპული წესების 95.1 წესის თანახმად, ბრალდებულებისთვის არსებული რეჟიმი არ უნდა ექცეოდეს იმ გავლენის ქვეშ, რომ პატიმრები შესაძლოა იყვნენ მსჯავრდებულები მომავალში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განჩინებაში საქმეზე *ვარნასი ლიტვის წინააღმდეგ* (Varnas v. Lithuania) განმარტა, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის 2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, *inter alia*, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, უდანაშაულობის პრეზუმციის გათვალისწინებით, მოითხოვს ბრალდებულთა მიმართ მათი სტატუსის შესაბამის მოპყრობას<sup>86</sup>.

საანგარიშო პერიოდში ბრალდებულები მოთავსებული იყვნენ სასჯელაღსრულების №2, №3, №4, №5, №6, №7, №8 და №9 დაწესებულებებში. ამ დაწესებულებებიდან 2013 წლის დეკემბრის მდგომარეობით ფუნქციონირებდა №2, №5, №7, №8 და №9 დაწესებულებები. აღნიშნულ დაწესებულებებში ბრალდებულები მოთავსებული არიან იმავე პირობებში, როგორშიც მსჯავრდებულები იმყოფებიან დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

აღსანიშნავია, რომ ბრალდებულების შესახებ სამედიცინო ხასიათის სტატისტიკას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო ცალკე არ აწარმოებს. შესაბამისად, ვერ მოხერხდება ბრალდებულების სამედიცინო საჭიროებების ცალკე დამუშავება და ანალიზი გარკვეული ტენდენციების გამოკვეთის მიზნით. ასევე შეზღუდულია ბრალდებულისათვის ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების მოცულობა. ასე მაგალითად, C ჰეპატიტის პროგრამის ფარგლებში ბრალდებულები ვერ სარგებლობენ დიაგნოსტიკის და მკურნალობის კომპონენტით. მათ მხოლოდ პრევენციის კომპონენტზე მიუწვდებათ ხელი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბრალდებულებს არ გააჩნიათ უფლება, ისარგებლონ ხანგრძლივი პაემანით მაშინ, როდესაც ასეთი უფლებით სარგებლობენ მსჯავრდებულები. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პატიმრობაში მყოფი ბრალდებულები არ არიან უზრუნველყოფილი მათი სტატუსის შესაბამისი უფლებრივი მდგომარეობითა და პატიმრობის პირობებით.

## რეკომენდაციები:

### საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- აწარმოოს ბრალდებულთათვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია მათი შემდგომი დამუშავებისა და ანალიზის მიზნით;

<sup>86</sup> ვარნასი ლიტვის წინააღმდეგ, პარ. 119.



- შეისწავლოს ბრალდებულთა სპეციალური საჭიროებები და მიიღოს ზომები მათ დასაკმაყოფილებლად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- შევიდეს ცვლილება „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ვირუსული C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის დამტკიცებისა და განხორციელების წესში“, რათა ჯანმრთელობისათვის გამოუსწორებელი ვნების მიყენების თავიდან აცილების მიზნით, განსაკუთრებულ შემთხვევებში ბრალდებული უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის დიაგნოსტიკის და მკურნალობის კომპონენტის ფარგლებში სათანადო სამედიცინო მომსახურებით.

ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები და წამალდამოკიდებულების პრობლემა საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წელს ექიმ-ფსიქიატრებმა პაციენტებს 10 752 კონსულტაცია ჩაუტარეს. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში მკურნალობის კურსი ჩაუტარდა 137 პაციენტს, ხოლო სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებათა ფსიქიატრიულ განყოფილებებში მკურნალობა ჩაუტარდა 33 პაციენტს. ამავე ინფორმაციის შესაბამისად, ამბულატორიული ფსიქიატრიული მკურნალობის შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა 2 000. 2013 წელს სასამართლოს დადგენილებით, არანებაყოფლობით ფსიქიატრიულ მკურნალობაზე სამოქალაქო სპეციალიზირებულ დაწესებულებაში 76 პატიმარი გადაიყვანეს.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული მონაცემების თანახმად, 2013 წლის პირველი ნახევრის ბოლოს ფსიქოტროპული დანიშნულების მქონე პატიმართა რაოდენობა შეადგენდა 1 322, ხოლო წლის ბოლოს ფსიქოტროპული დანიშნულების მქონე პატიმართა რაოდენობამ იკლო და შეადგენდა 777.

აღსანიშნავია, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმართა რაოდენობის შესახებ მონაცემი არ მოიპოვება, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს განმარტებით, შესაბამისი, მასიური გამოკვლევების არარსებობის გამო. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, საჭიროებების სათანადო შეფასება და სასჯელაღსრულების სისტემის ამ ერთ-ერთი უმთავრეს პრობლემასთან ბრძოლის შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება პრაქტიკულად შეუძლებელია.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- უზრუნველყოფილ იქნას პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის მასიური კვლევა, შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება/ ანალიზი და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისი პროგრამების შემუშავება.

ოფიციალური მონაცემების შესაბამისად, 2013 წელს მეტადონის პროგრამაში ჩართული იყო 311 პატიმარი. ოპიოიდური ნარკომანიის ჩანაცვლებითი მკურნალობის საკითხი ზოგადად დარეგულირებულია „ოპიოიდური ნარკომანიის დროს, ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების განხორციელების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 იანვრის №37/ნ ბრძანებით, რომელიც გამოცემულია „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. რაც შეეხება სასჯელაღსრულების სისტემაში ოპიოიდური ნარკომანიის ჩანაცვლებით მკურნალობას, აღნიშნულს არეგულირებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 12-15 დეკემბრის ერთობლივი ბრძანება №266/ნ-№298 „სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ოპიოიდური დამოკიდებულების დროს, ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების განხორციელების წესის შესახებ“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 იანვრის №37/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ოპიოიდური ნარკომანიის დროს ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების განხორციელების მეთოდის“ მე-5 მუხლის „ბ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამონაკლისის სახით, სხვა, განსაკუთრებული კლინიკურ-სოციალური მაჩვენებლების შემთხვევაში, პირი შესაძლოა ჩაერთოს ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში. ასეთ საგამონაკლისო შემთხვევაზე მითითებას არ შეიცავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 12-15 დეკემბრის ერთობლივი ბრძანება №266/ნ-№298 „სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ოპიოიდური დამოკიდებულების დროს ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების განხორციელების წესის შესახებ“, რაც მიგვაჩნია, რომ ამ ნორმატიული აქტის ხარვეზს წარმოადგენს და არ აძლევს საშუალებას პატიმარს, გამონაკლისის სახით, ჩაერთოს ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში განსაკუთრებული კლინიკურ-სოციალური მაჩვენებლების არსებობის შემთხვევაში.

სასჯელაღსრულების სისტემაში ხელმისაწვდომია მხოლოდ ჩამნაცვლებელი პრეპარატით დეტოქსიკაცია, რაც ვერ უზრუნველყოფს წამალდამოკიდებულ პატიმართა საჭიროებების სრულ დაკმაყოფილებას. შესაბამისად, აუცილებელია ჩანაცვლებითი შემანარჩუნებელი მკურნალობის დანერგვა.

რეკომენდაციები:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ასევე საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- გადაისინჯოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 12-15 დეკემბრის ერთობლივი ბრძანება №266/ნ-№298 „სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ოპიოიდური დამოკიდებულების დროს ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების განხორციელების წესის შესახებ“ და შევიდეს შესაბამისი ცვლილებები, მათ შორის დაემატოს დებულება ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში განსაკუთრებული კლინიკურ-სოციალური მაჩვენებლების არსებობის შემთხვევაში პაციენტის ჩართვის შესახებ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა სასჯელაღსრულების სისტემაში დაინერგოს ჩანაცვლებითი შემანარჩუნებელი მკურნალობა.

**განსაკუთრებით საშიში გადამდები დაავადებების მართვა და პრევენცია**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მონაცემების შესაბამისად, 2013 წელს ტუბერკულოზზე სკრინინგი ჩატარდა 65 130 შემთხვევაში. სულ აღრიცხულია ტუბერკულოზით დაავადებული 294 პაციმარი. 2013 წელს მკურნალობას გადიოდა 107 ბაქტერიაგამომყოფი პაციენტი. მულტირეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულია 57 პაციმარი. 2013 წელს დაფიქსირდა შეწყვეტილი მკურნალობის 20 შემთხვევა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წელს სენსიტიური ტუბერკულოზით დაავადებულ პაციმრებს რეზისტენტული ფორმა განუვითარდათ 44 შემთხვევაში. გარდაიცვალა ტუბერკულოზით დაავადებული 4 პაციმარი. 2013 წელს თანმხლები დაავადებების გამოკვლევის/მკურნალობის მიზნით 202 შემთხვევაში მოხდა პაციმართა გაყვანა სამოქალაქო სექტორის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში.

ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში 2013 წლის 21 დეკემბერს ჩატარებული საგანგებო მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ ცენტრში საყოფაცხოვრებო

პირობები ზოგადად დამაკმაყოფილებელია, თუმცა არსებობს გარკვეული პრობლემები ინფექციის კონტროლის ღონისძიებებთან დაკავშირებით. საკნებში დამონტაჟებულია ვენტილაცია უარყოფითი წნევით, თუმცა პაციენტთა განმარტებით, ვენტილაციის სისტემა იშვიათად მუშაობს. მათ ასევე აწუხებთ ვენტილაციის სისტემის მუშაობით გამოწვეული ხმაური. დაწესებულების შენობაში პატიმრები გადაადგილდებიან პირბადის გარეშე. საკანში არ აქვთ სპეციალური კონტეინერი/ჭურჭელი ნახველისთვის. ექსტენსიური და მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის განყოფილება ცალკე შენობაშია მოთავსებული. ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმრებს პრეტენზიები აქვთ ძირითადად თანმხლები დაავადებების მკურნალობასა და ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების შედეგად გამოწვეული გვერდითი მოვლენების მართვასთან დაკავშირებით. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან გამოთხოვილი მონაცემების თანახმად, 2013 წელს დაფიქსირდა ანტიტუბერკულოზური მკურნალობის შეწყვეტის 20 შემთხვევა. აღსანიშნავია, რომ ეს მონაცემი სრულად არ ასახავს სასჯელაღსრულების სისტემაში ტუბერკულოზის მკურნალობისადმი პატიმართა დამყოლობის მდგომარეობას, ვინაიდან ტუბერკულოზის მართვის გაიდლაინის თანახმად, ანტიტუბერკულოზური მკურნალობა შეწყვეტილად ითვლება, თუ პაციენტი ზედიზედ ორი ან მეტი თვის განმავლობაში, უარს აცხადებს ანტიტუბერკულოზურ მკურნალობაზე<sup>87</sup>, ხოლო პრაქტიკაში კი ხშირია შემთხვევები, როდესაც პატიმრები მკურნალობას მიმდინარეობისას რამდენჯერმე წყვეტენ მედიკამენტების მიღებას სხვადასხვა ვადით. შეწყვეტა ხშირად უკავშირდება მედიკამენტოზური მკურნალობით გამოწვეულ გვერდით მოვლენებს, ხოლო რიგ შემთხვევებში, პატიმრები აპროტესტებენ სხვა თანმხლებ დაავადებებთან მიმართებით არაადეკვატურ სამედიცინო მომსახურებას. ყოველივე აღნიშნული კი ქმნის ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმის განვითარების საფრთხეს. სამწუხაროდ, 2013 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების სისტემაში ტუბერკულოზით დაავადებული 294 პატიმრიდან 57 პატიმარი დაავადებულია მულტირეზისტენტული ტუბერკულოზით. ასევე სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 44 შემთხვევაში სენსიტიური ტუბერკულოზი გადავიდა რეზისტენტულ ფორმაში.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ 2013 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში მოთავსებული იყო 187 პატიმარი, მაშინ, როდესაც ცენტრი გათვლილია 698 პაციენტზე. ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრები, რომლებიც ჩართულნი არიან DOTS პროგრამაში, ასევე იმყოფებიან სასჯელაღსრულების №8, №6, №17 დაწესებულებებში, ხოლო ქალი პატიმრების მკურნალობა ხორციელდება №5 დაწესებულებაში.

<sup>87</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 22 ივნისის ბრძანებით დამტკიცებული „ტუბერკულოზის მართვის გაიდლაინი“. იხ. [http://www.moh.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=68&info\\_id=1486](http://www.moh.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=68&info_id=1486) [ბოლოს ნანახია 15.03.2014]

2013 წლის 24-25 დეკემბერს სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტები მოთავსებულნი არიან I სარეჟიმო კორპუსის „E“ ფლიგელში, მეორე სართულზე. ამავე კორპუსში იმყოფებიან ასევე ბრალდებულები. 24-25 დეკემბრის მდგომარეობით დაწესებულებაში იყო 3 მგბ (+), 18 მგბ (-), 4 ექსტენსიური და 10 მულტირეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციმარი, სულ - 35 პაციმარი. სამედიცინო პერსონალთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ №8 დაწესებულებაში სათანადოდ ვერ ხორციელდებოდა DOTS პროგრამის მიზნები, ვინაიდან პრაქტიკულად არ ჰქონდათ პაციენტთა მიერ ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების მიღების დაკვირვების შესაძლებლობა. საკნებს, სადაც ტუბერკულოზით დაავადებული პაციმრები არიან მოთავსებული, არ გააჩნდა ვენტილაციის ცალკე გამოყოფილი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა უარყოფით წნევას, რითაც ირღვევა ინფექციის კონტროლის მოთხოვნები და საფრთხე ემუქრება იმავე კორპუსში მყოფ სხვა ბრალდებულებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ტუბერკულოზის მკურნალობაში ჩართული ყველა პაციმრის მოთავსება ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში, სადაც არის ადგილების საკმარისი რაოდენობა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

#### რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში სრულად იქნას დაცული ინფექციის კონტროლის ღონისძიებები ტუბერკულოზის მართვის გაიდლაინის შესაბამისად;
- ტუბერკულოზით დაავადებული ყველა პაციმარი, ტუბერკულოზის შემთხვევათა სათანადო მართვის მიზნით, მოთავსდნენ ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში;
- მოხდეს გვერდითი მოვლენების გამო და თანმხლები დაავადებების მკურნალობის მოთხოვნით ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევების შესწავლა და მოთხოვნის საფუძვლიანობის შემთხვევაში უზრუნველყოფილ იქნას ტუბერკულოზით დაავადებულ პაციმართა თანმხლები დაავადებების დროული მკურნალობა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მოწოდებული ოფიციალური მონაცემების თანახმად, 2013 წელს ჰეპატიტზე გამოკვლეული იქნა 4 701 პაციმარი, რომელთაგან 8 პაციმარი ჩაერთო ანტივირუსულ მკურნალობაში. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის



2014 წლის 31 იანვრის №01-5/ნ ბრძანებით დამტკიცდა „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ვირუსული C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის დამტკიცებისა და განხორციელების წესი“. აღნიშნული წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პროგრამის ამოცანებია ვირუსული C ჰეპატიტის გავრცელების პრევენცია, ნებაყოფლობით ტესტირებაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის და ანტი-HCV დადებით პაციენტებში შესაბამისი კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევების უზრუნველყოფა, ასევე შესაბამისი კრიტერიუმებით შერჩეული HCV ინფექციის მქონე პაციენტთა მკურნალობა.

ზემოაღნიშნული წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ანტივირუსულ მკურნალობაში შეიძლება ჩაერთოს მსჯავრდებული პირი, რომელსაც განესაზღვრა C ჰეპატიტის დიაგნოზი და ღვიძლის ფიბროზის ხარისხი მეტია/ტოლია 2-ზე მეტავირის კლასიფიკაციით, ამასთან სასჯელის სახით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა და რეალური სასჯელი აღემატება 18 თვეს, რომელშიც მხედველობაში არ მიიღება პროგრამის ამოქმედების შემდგომ დაწესებულებაში ჩადენილი დანაშაულისთვის დამატებული სასჯელი. მიგვაჩნია, რომ სასჯელის ხანგრძლივობის პირობა ეწინააღმდეგება პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლს, რომლის თანახმადაც ბრალდებულსა და მსჯავრდებულს უფლება აქვს უზრუნველყოფილი იყოს სამედიცინო მომსახურებით. ასე რომ, უნდა მოხდეს წესის შესაბამისი ცვლილება, რათა მსჯავრდებულებს, რომელთა რეალური სასჯელი არ აღემატება 18 თვეს, და ბრალდებულებს, მიეცეთ შესაძლებლობა, ჩაერთონ ანტივირუსულ მკურნალობაში, თუ ისინი აკმაყოფილებენ ზემოხსენებულ სხვა კრიტერიუმებს. შესაძლებელია ამ კატეგორიისთვის ცალკე დაწესდეს სხვა პირობები, მაგრამ პროგრამის ფარგლებში ანტივირუსული მკურნალობის შესაძლებლობის საერთოდ გამორიცხვა დაუშვებელია და ქმნის ამ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ჯანმრთელობისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების რეალურ საფრთხეს.

ზემოაღნიშნული წესი წარმოშობს დისკრიმინაციის საკითხს და წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფოს მიერ პატიმართა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის პოზიტიურ ვალდებულებასთან, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციიდან გამომდინარეობს.<sup>88</sup>

**რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:**

- შევიდეს შესაბამისი ცვლილება „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ვირუსული C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის დამტკიცებისა და განხორციელების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

<sup>88</sup> კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ, პარ. 94.

2014 წლის 31 იანვრის №01-5/ნ ბრძანებაში, რათა მკურნალობის აუცილებლობაზე სამედიცინო ჩვენების არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილი იყოს ანტივირუსული მკურნალობით.

### პატიმრები, რომელთათვისაც შეუთავსებელია ხანგრძლივი პატიმრობა

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში წლების განმავლობაში მრავლად იყვნენ პატიმრები, რომელთათვისაც, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან ხანდაზმულობის გამო შეუთავსებელი იყო ხანგრძლივი პატიმრობა. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია (შემდგომში „ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია“) პრაქტიკულად არ ფუნქციონირებდა. უკიდურესად გართულებული იყო განაჩენის აღსრულების გადავადებაც.

უდავოდ დადებითად უნდა შეფასდეს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრისათვის გადადგმული ნაბიჯები. 2012 წლის 18 დეკემბერს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №181/ნ01-72/ნ ერთობლივი ბრძანებით, დამტკიცდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით შემუშავებული ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის დებულება. ასევე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 თებერვლის №01-6/ნ ბრძანებით დამტკიცდა იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საფუძველს. ამ ცვლილებების შედეგად, ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობა უფრო ეფექტიანი გახდა და 2013 წლის განმავლობაში სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა 95 მსჯავრდებული, აქედან 60 - ჯანმრთელობის მდგომარეობის, ხოლო 35 - ხანდაზმულობის გამო.

რაც შეეხება განაჩენის აღსრულების გადავადებას, 2013 წელს განაჩენის აღსრულება გადაუვადდა 10 პატიმარს. 2013 წლის 14 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, განაჩენის გადავადება შესაძლებელი გახდა ალტერნატიული სასამართლო-სამედიცინო დასკვნის საფუძველზე.<sup>89</sup>

<sup>89</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა, განაჩენის აღსრულება შეიძლება გადავადდოს განაჩენის გამოტანმა სასამართლომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, იმავე განაჩენით, ხოლო მისი გამოტანის შემდეგ – განჩინებით, შემდეგი საფუძველების არსებობისას:

ა) მსჯავრდებული დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას, – მის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე;

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობით შემუშავდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლის ახალი რედაქცია, რომელიც სრულად ითვალისწინებს განაჩენის აღსრულების გადავადებასთან მიმართებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომებს. 283-ე მუხლის ახალი რედაქციის თანახმად, მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა, განაჩენის აღსრულება შეიძლება გადაავადოს განაჩენის გამომტანმა სასამართლომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, თუ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუსაბამოა თავისუფლების აღკვეთასთან – მის გამოჯანმრთელებამდე, ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე.

კანონპროექტი<sup>90</sup> წარედგინა საქართველოს პარლამენტს, თუმცა საანგარიშო პერიოდის დასასრულისთვის ის მიღებული არ იყო.

აუცილებელია ზემოაღნიშნული სამართლებრივი მექანიზმის სრულყოფა და ეფექტიანი გამოყენება მომავალში, რათა პატიმრები, რომელთათვისაც შეუთავსებელია ხანგრძლივი პატიმრობა, არ დაექვემდებარონ არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

### გარდაცვლილი პატიმრები

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული მონაცემების თანახმად, 2013 წელს გარდაიცვალა 25 პატიმარი.

### ცხრილი 8

№	გარდაცვლილი (ასაკი)	დაწ.	ჯანმრთელობის მდგომარეობა	გარდაცვალების ადგილი	სიკვდილის მიზეზი
1.	ს.გ. – 29/09/1965	N16	აივ ინფექცია/შიდსი C3 სტადია, პნევმოციტური პნევმონია, აივ ასოცირებული განლევის სინდრომი, ტერმინალური	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება	სუნთქვისა და გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა

ბ) მსჯავრდებული განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულადაა – მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე.

<sup>90</sup> კანონპროექტის სრული ტექსტი განმარტებით ბარათთან ერთად იხ.

[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=2083564&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2083564&lang=ge) [ბოლოს ნანახია 14.03.2014]

			მდგომარეობა, C ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი, ფილტვების ტუბერკულოზი, მგბ (-), იმემიური ინსულტის შემდგომ ნარჩენი მოვლენები მარცხენამხრივი ჰემიპარეზის სახით, სუნთქვის მწვავე უკმარისობა.		
2.	ა.თ. 30/06/1969	- N18	ორმხრივი პნევმონია, სუნთქვის მწვავე უკმარისობა, ბრონქული ასთმა, ფილტვის გადატანილი ტუბერკულოზი, მარცხენა მხრის არტერიო-ვენური ფისტულის მიდამოს კანქემა ჰემატომა, ვირუსული ქრ. C ჰეპატიტი, ღვიძლის ქრონიკული უკმარისობა, ჰეპატოსპლენომეგალია, სეფსისი.	აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში	სეფსისის ფონზე განვითარებული სუნთქვისა და გულ- სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა.
3.	ი.რ. 11/08/1959	- N18	მარჯვენა ფილტვის ინფილტრაციული ტუბერკულოზი რღვევის და მოთესვის ფაზაში, მგბ (+), გართულებული მარჯვენამხრივი ექსუდაციური პლევრიტი, პოსტინფარქტული კარდიოსკლეროზი, ფილტვ-გულის უკმარისობა მე-3	„ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში“	ტუბერკულოზური ინტოქსიკაციის ფონზე განვითარებული სუნთქვისა და გულ- სისხლძარღვთა მზარდი უკმარისობა.

			ხარისხი, ქრ. ვირუსული C ჰეპატიტი, მარცხენა თირკმლის კენჭოვანი დაავადება, ასთენიური სინდრომი, კახექსია.		
4.	ც.რ.-15/12/1951	N14		სასჯელადსრულები ს N14 დაწესებულება	უეცარი სიკვდილი
5.	მ.ე.- 16/07/1968	N2		სასჯელადსრულები ს N2 დაწესებულება	უეცარი სიკვდილი
6.	კ.ვ.-10/03/1956	N8	მარცხენა ფილტვის ინფილტრაციული ტუბერკულოზი რღვევისა და მოთესვის ფაზაში, შიზოტოპური აშლილობა, ჰალუცინაციური შფოთვითი სინდრომი.	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება	სუნთქვისა და გულ-სისხლძარღვთა მზარდი უკმარისობა
7.	ე.ნ.-22/11/1951	N15	არტერიული ჰიპერტენზია მე-2 ხარისხი, მწვავე ბრონქიტი, მარცხენა თირკმლის კისტა, სქოლიოზი, პარანოიდული სინდრომი.	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება	გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა
8.	დ.თ.- 05/02/1973	N17		სასჯელადსრულები ს N17 დაწესებულება	მიოკარდიუმის ინფარქტი, გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა
9.	ხ.დ.- 13/06/1976	N2		სასჯელადსრულები ს N2 დაწესებულება	უეცარი სიკვდილი
10	ა.კ.-26/03/1974	N2		სასჯელადსრულები ს N2 დაწესებულება	სუიციდი
11	კ.ლ.-	N14	ქალა-ტვინის და ქალა-სახის დახურული	ზ. ცხაკაიას სახ. ინტერვენციული	გულ-სისხლძარღვთა



	15/10/1988		ტრავმა, თავის და სახის რბილი ქსოვილების დაჟეჟილობა, ჰემატომები და ექსკორიაციები, ცხვირის ძვლების ხაზოვანი მოტეხილობა, მწვავე სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა.	მედიცინის სამედიცინო ცენტრი	ერ. მწვავე უკმარისობა
12	თ.ზ.- 04/06/1980	N18	ორგანული ბოდვითი აშლილობა, ეპილეფსია გენერალიზებული გულყრებით, გული ცემის ხელოვნური რითმი.	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება	გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა
13	დ.ჯ.- 25/12/1976	N8	ნაწლავთა მწვავე სტრანგულაციური გაუვალობა, მწვავე დიფუზიური პერიტონიტი, მწვავე სეფსისი, სეპტიური შოკი, წვრილი ნაწლავის ფისტულა წყლულოვან - ნეკროზული გავრცელებული გასტროენტერიტი გართულებული სისხლდენით.	აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრი	ერ. სუნთქვისა და გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა
14	კ.თ.-05/10/1967	N17		სასჯელაღსრულები ს N17 დაწესებულება	უეცარი სიკვდილი, სუნთქვისა და გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა
15	ქ.ვ.-14/06/1951	N8	მუცლის აორტის ინფარქტული ნაწილის დიდი ზომის ჰემატომა, ჰიპოვოლემიური შოკი, ღვიძლის უკმარისობა, თირკმელების მწვავე	თბილისის ცენტრალურ კლინიკა	სუნთქვისა და გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა

			უკმარისობა, ვირუსული C ჰეპატიტი, პოსტჰიპოქსიური ტოქს. ენცეფალოპათია.		
16	ჯ.გ.-17/01/1951	N6		სასჯელადსრულები ს N6 დაწესებულება	სუიციდი
17	ყ.დ.-03/04/1975	N8		სასჯელადსრულები ს N8 დაწესებულება	ქრონიკული C ჰეპატიტი, ჰეპატოზი, მიოკარდიტი
18	ძ.გ.-14/03/1997	N2		სასჯელადსრულები ს N2	სუიციდი
19	ბ.ვ.-20/04/1967	N8		სასჯელადსრულები ს N8 დაწესებულება	უეცარი სიკვდილი
20	გ.ვ.-19/02/1962	N19		ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი	სუიციდი
21	კ.გ.-05/06/1980	N2		სასჯელადსრულები ს N2 დაწესებულება	უეცარი სიკვდილი
22	ი.ს.-31/07/1966	N14		სასჯელადსრულები ს N14 დაწესებულებაში	უეცარი სიკვდილი
23	ღ.ფ.- 08/06/1959	N19		ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი	ფილტვის დისიმინირებული ტუბერკულოზი, მგბ (+), მულტირეზისტენტულ ი ფორმა, სუნთქვისა და გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა.
24	ბ.დ.- 10/12/1980	N8		სასჯელადსრულები ს N8 დაწესებულება	სუიციდი

25	რ.ი.-14/04/1972	N19	მარჯვენა ფილტვის ფიბრო კავერნოზული ტუბერკულოზი, მზგ (+), მულტირეზისტენტული ფორმა, არაორგანული გენეზის უძილობა, ქრ. პროსტატიტი, მიოკარდიოდისტროფია, მარცხენა საზარდულის პირდაპირი თიაქარი, ქრ. C ჰეპატიტი, პათოლოგიური პროცესის აქტივობის გარეშე	ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი	სუიციდი
----	-----------------	-----	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------	---------

ზემოთ, ცხრილში მოცემული მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ სიკვდილის მიზეზის მითითება სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარად ხდება. სიკვდილის მიზეზად უმეტესად მითითებულია „სუნთქვისა და გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა“, ხოლო ერთ შემთხვევაში კი აღნიშნულია, რომ სიკვდილი გამოწვეულია „ქრონიკული C ჰეპატიტით, ჰეპატოზით, მიოკარდიტით“. საყურადღებოა ასევე ის ფაქტი, რომ გარდაცვალების 25 შემთხვევიდან 6 შემთხვევაში სიკვდილის მიზეზად მითითებულია მხოლოდ „უეცარი სიკვდილი“ და სხვა სახის ინფორმაცია არ მოიპოვება.

1967 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეის მე-20 სესიამ განსაზღვრა სიკვდილის მიზეზები, რომლებიც ჩაწერილი უნდა იქნას სამედიცინო ცნობაში სიკვდილის მიზეზის შესახებ. ცნობაში მითითებული უნდა იყოს ყველა ავადმყოფობა, პათოლოგიური მდგომარეობა ან დაზიანება, რომელმაც გამოიწვია სიკვდილი ან ხელი შეუწყო მას, აგრეთვე უბედური შემთხვევა ან ძალადობის აქტი, რომელიც იწვევს ნებისმიერ ასეთ დაზიანებას. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რათა სიკვდილის შესახებ ცნობის შემდგომში პირმა არ ამოირჩიოს ერთი მდგომარეობა და არ უარყოს სხვები. ეს განსაზღვრება არ ითვალისწინებს სიკვდილის ცნობაში იმ სიმპტომებისა და მოვლენების შეტანას, რომლებიც თან ახლავს სიკვდილს, როგორცაა გულის ან სუნთქვის უკმარისობა. ამ მიზნის მისაღწევად შემუშავებულია სიკვდილის მიზეზის შესახებ სამედიცინო ცნობის საერთაშორისო ფორმა.<sup>91</sup>

<sup>91</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №01-10/ნ ბრძანებით „სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებისას სამედიცინო კლასიფიკატორების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 12 აპრილის №92/ნ ბრძანებას დაემატა „დანართი №4 - ავადმყოფთა და

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №01-5/ნ-№19 ბრძანებით დამტკიცდა გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის ფორმა №106/ს-4, მისი შევსებისა და გადაგზავნის წესი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სიკვდილის მიზეზების შესახებ სტატისტიკური მონაცემების წარმოება გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობაში შეტანილი ინფორმაციის საფუძველზე.

სამწუხაროდ, 2013 წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადგილი ჰქონდა სუიციდის 6 (გარდაცვალების შემთხვევათა 24%) ფაქტს, რაც წინა წლის მაჩვენებელს აღემატება.<sup>92</sup> ერთ შემთხვევაში, სასჯელაღსრულების №14 დაწესებულებაში მსჯავრდებული გარდაიცვალა სხვა პატიმრების მხრიდან ძალადობის შედეგად და საყურადღებოა ასევე ის ფაქტი, რომ ამავე დაწესებულებაში 2014 წლის 4 მარტს კვლავ გარდაიცვალა პატიმარი სხვა პირთა მიერ მიყენებული დაზიანებებით. დასახელებული ფაქტები განგაშის საფუძველს იძლევა და მიგვაჩნია, რომ აუცილებელია, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ, რისკ ფაქტორების შეფასების საფუძველზე, მიიღოს ყველა გონივრული პრევენციული ზომა მომავალში სხვა პატიმართა მიერ სიცოცხლის ხელყოფისა და სუიციდის თავიდან ასაცილებლად.<sup>93</sup>

### **წამება, არაადამიანური მოპყრობა და წამების პრევენციის სტანდარტები**

საანგარიშო პერიოდში არასათანადო მოპყრობას სისტემური ხასიათი არ ჰქონია, თუმცა დაფიქსირდა ცალკეული შემთხვევები. კვლავაც პრობლემურია სამედიცინო პერსონალის მიერ სხეულის დაზიანებების დოკუმენტირების საკითხი. დაზიანებების აღრიცხვის ჟურნალში და სამედიცინო დოკუმენტაციაში არ ხდება დაზიანების აღწერა „სტამბოლის ოქმის“ შესაბამისად.

არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლაში განსაკუთრებული როლი ენიჭება სამედიცინო პერსონალს. სამედიცინო პერსონალის მიერ არასათანადო მოპყრობის ფაქტის დოკუმენტირება გადამწყვეტია ეფექტიანი გამოძიების წარმოების თვალსაზრისით. სასჯელაღსრულების სისტემაში მომუშავე ექიმმა უნდა გაითვალისწინოს პაციენტის საუკეთესო ინტერესები და ახსოვდეს კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება. მაგრამ, ამავე დროს, ექიმს უჩნდება მორალური საფუძველი არასათანადო მოპყრობის გამოაშკარავების სასარგებლოდ. იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი თანახმაა არასათანადო

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო კლასიფიკაცია (ICD-10), მეათე გადახედვა, სახელმძღვანელო ინსტრუქციები“.

<sup>92</sup> 2012 წელს დაფიქსირდა სუიციდის 4 შემთხვევა.

<sup>93</sup> Inter alia ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kindgom), განჩინება, 1998 წლის 28 ოქტომბერი, პარ. 115-16; კეტრები საფრანგეთის წინააღმდეგ (Ketreb v. France), განჩინება, 2012 წლის 19 ივლისი.

მოპყრობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებაზე, ექიმი ვალდებულიც კი არის, გადაუგზავნოს ეს ინფორმაცია შესაბამის საგამომიებო ორგანოს. თუ პატიმარი უარს აცხადებს ამა თუ იმ ინფორმაციის გამჟღავნებაზე, ექიმმა უნდა აწონ-დაწონოს, რა უფრო მნიშვნელოვანია, პოტენციური საფრთხე მოცემული პაციენტისთვის, თუ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნებით სარგებელი ყველა პატიმრისათვის, აგრეთვე საზოგადოებისთვის, რომელიც დაინტერესებულია არასათანადო მოპყრობის პრაქტიკის აღმოფხვრაში.<sup>94</sup>

ექიმს, რომელიც ახორციელებს პირის შემოწმებას, უნდა შეეძლოს დაზიანების ძალადობის გზით მიყენების აღბათობის დადგენა, თუნდაც ამის შესახებ პაციენტი არ მიუთითებდეს. მას ასევე უნდა შეეძლოს ძალადობის ფსიქიკური და ფსიქოლოგიური მტკიცებულების დოკუმენტირება და პირის მიერ არასათანადო მოპყრობის შესახებ მონათხრობისა და შემოწმების შედეგების შესაბამისობის ხარისხის დადგენა.<sup>95</sup> ექიმს ამ მიზნით შეუძლია გამოიყენოს შემდეგი ჩანაწერები: „არ შეესაბამება“, „შეესაბამება“, „შეესაბამება მაღალი აღბათობით“ და „დამახასიათებელია (ტიპიურია)“.<sup>96</sup> დოკუმენტირების მიზნებისათვის ექიმი უნდა იყენებდეს შესაბამის სტანდარტულ სამედიცინო ცნობას.<sup>97</sup> შემოწმება უნდა განხორციელდეს განმარტოებით, მესამე პირის დასწრების გარეშე.<sup>98</sup>

სასჯელადსრულების დაწესებულების სამედიცინო პერსონალს სხეულის დაზიანების შესახებ მონაცემები შეაქვთ დაზიანებების აღრიცხვის ჟურნალში. ხდება დაზიანების მოკლე აღწერა და მითითება დაზიანების წარმომავლობის შესახებ. დაზიანების წარმომავლობის შესახებ ინფორმაცია შეიტანება გრაფებში - „თვითდაზიანება“, „საყოფაცხოვრებო ტრავმა“, „სხვა პირის მიერ“. ექიმი არ ახდენს დაზიანების ხასიათისა და მისი წარმომავლობის შესახებ პატიმრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისობის შეფასებას. დაზიანების აღწერა არ ხდება „სტამბოლის ოქმის“ შესაბამისად. ოფიციალურად მოწოდებული ინფორმაციის ანალიზით ირკვევა, რომ 2013 წელს დაფიქსირდა სხეულის დაზიანების 3 747 ფაქტი, აქედან თვითდაზიანების 2 529, ხოლო საყოფაცხოვრებო ტრავმის 606 შემთხვევა.

არასათანადო მოპყრობის სათანადო დოკუმენტირებისა და გამოძიების მიზნებისათვის უმნიშვნელოვანესია არსებობდეს ნდობა ექიმსა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლს შორის. ექიმი მუდმივად უნდა ცდილობდეს პაციენტთა ნდობის მოპოვებას. სამწუხაროდ, წინა წლებში საქართველოს სასჯელადსრულების სისტემაში არასათანადო მოპყრობის სისტემური პრობლემის არსებობამ ძირითადი გამოუთხარა სასჯელადსრულების სისტემის სამედიცინო პერსონალისადმი ნდობას.

<sup>94</sup> სტამბოლის ოქმი, პარ. 72.

<sup>95</sup> იქვე პარ. 122.

<sup>96</sup> იქვე პარ. 187.

<sup>97</sup> იქვე პარ. 125.

<sup>98</sup> იქვე პარ. 124.



სამედიცინო პერსონალი არ უნდა მონაწილეობდეს ისეთ საქმიანობაში, რომლის ერთადერთ მიზანს არ წარმოადგენს პაციენტის ჯანმრთელობაზე ზრუნვა. სამედიცინო საქმიანობის აღსრულებისას უნდა იხელმძღვანელოს ეთიკური ფასეულობებით, ადამიანის პატივისა და ღირსების აღიარების, სამართლიანობის, თანაგრძნობის პრინციპებით. სამედიცინო პერსონალი ვალდებულია იმოქმედოს მხოლოდ პაციენტის ინტერესების შესაბამისად, არ გამოიყენოს თავისი პროფესიული ცოდნა და გამოცდილება ჰუმანიზმის პრინციპების საწინააღმდეგოდ, პაციენტის ინტერესებთან დაკავშირებული პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებისას იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი, არ იმოქმედოს ანგარებით და იზრუნოს პროფესიული საქმიანობის პრესტიჟის ამაღლებაზე.<sup>99</sup> პატიმართა ნდობის მოსაპოვებლად, ასევე უმნიშვნელოვანესია, სამედიცინო ხასიათის ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა, რაც სამწუხაროდ, სრულად უზრუნველყოფილი არ არის.<sup>100</sup>

**რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:**

- „სტამბოლის ოქმის“ შესაბამისად შემუშავდეს და დაინერგოს დაზიანებების აღრიცხვის ახალი ფორმა, რომელშიც შესაძლებელი გახდება სხეულის დაზიანების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის შეტანა;
- სასჯელაღსრულების დაწესებულებათა სამედიცინო პერსონალს ჩაუტარდეს არასათანადო მოპყრობის დოკუმენტირების შესახებ ინტენსიური სწავლება.

<sup>99</sup> საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, მუხ. 30.

<sup>100</sup> იხ. ქვეთავი „კონფიდენციალურობა და ინფორმირებული თანხმობა“.

## ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ორგანოებში

### პოლიცია

წინამდებარე ანგარიში ასახავს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული პოლიციის სამმართველოებსა და განყოფილებებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს.

განხორციელებული მონიტორინგის დროს შემოწმდა დაკავებულ პირთა აღრიცხვისა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში გადაყვანილ პირთა აღრიცხვისა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში გადაყვანილ პირთა აღრიცხვის წიგნები. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული წიგნები რიგ შემთხვევებში არასრულყოფილად და არასწორადაა შევსებული. მაგალითად, ზოგან შეუძლებელია გავარკვიოთ რა დროს იქნა პირი დაკავებული, დაკავებულის რაიონულ სამმართველოში შეყვანის თარიღი, დრო, შემდგომში რა ბედი ეწია დაკავებულს, ზოგ შემთხვევებში არეულია წიგნების ნუმერაცია, არა არის მითითებული სად და რა ვითარებაში მოხდა სამართალდარღვევა, სს კოდექსის შესაბამისი მუხლი, ზოგან გრაფები საერთოდ არა არის შევსებული.

ჟურნალების შემოწმებისას ყველაზე მეტი ხარვეზი დაფიქსირდა ქედის, ბათუმის, ბოლნისის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხისა და კასპის რაიონული სამმართველოების მიერ წარმოებულ ჟურნალებში. ხოლო, ყველაზე ნაკლები ხარვეზი (2-2 შემთხვევა) ახალქალაქის, გარდაბნის და ხონის რაიონული სამმართველოს მიერ წარმოებულ ჟურნალებში.

ჟურნალების შემოწმებისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ ხშირ შემთხვევებში ხდებოდა პირთა დაკავება მისი ნარკოლოგიური შემოწმებისათვის შესაბამის დაწესებულებაში გადასაყვანად.

მაგალითისათვის, სამეგრელო-ზემო სვანეთის ზუგდიდის სამმართველოს მიერ იანვრიდან ივნისის ჩათვლით ნარკოტიკული ნივთიერებების სავარაუდო მოხმარებისთვის დაკავებულ იქნა 1600-მდე პირი და მათგან მხოლოდ 130-მდე პირს დაუდგინდა სამართალდარღვევის ჩადენა. აღნიშნული მაჩვენებელი საგანგაშოა, რადგანაც ფაქტობრივად დაკავებულ პირთა 90 პროცენტზე მეტს არ დაუდგინდა სამართალდარღვევის ჩადენა და აჩენს სერიოზულ ეჭვებს, რომ პოლიცია პირთა დაკავებისას მოქმედებს არა საფუძვლიანი ეჭვის კრიტერიუმის გამოყენებით, არამედ თვითნებურად.

მონიტორინგის დროს გამოკითხული სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები ადასტურებდნენ, რომ აღნიშნულ ღონისძიებას იყენებენ პროფილაქტიკის მიზნით. აღნიშნული ქმედებით მკვიდრდება მოსაზრება, რომ შესაძლოა ყველა დაექვემდებაროს

მსგავს დაკავებას და შემოწმებას, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა კონკრეტული პირის მიმართ საფუძვლიანი ეჭვის შექმნის საფუძვლები.

მონიტორინგის მიმდინარეობისას სახალხო დამცველის ეროვნული პრევენციის მექანიზმის წევრები დაუბრკოლებლად დაიშვებოდნენ და თავისუფლად გადაადგილდებოდნენ, როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულებების ტერიტორიაზე, ასევე შსს რაიონულ სამმართველოებში და დროებითი მოთავსების იზოლატორებში, თუმცა გამონაკლისი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, საგარეჯოს რაიონული სამმართველო, სადაც საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები არ დაუშვეს პოლიციის სამმართველოს შენობაში. კერძოდ, 2013 წლის 17 ოქტომბერს, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები იმყოფებოდნენ საგარეჯოს რაიონული სამმართველოში, სადაც, პრევენციის ეროვნული მექანიზმის გეგმური მონიტორინგის ფარგლებში, იგეგმებოდა დაკავებულ პირთა აღრიცხვისა და დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანილ პირთა ჟურნალების შემოწმება.

სამორიგოში შესვლისას სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მორიგეს წარუდგინეს სახალხო დამცველის რწმუნება და განუმარტეს მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის მიზეზი. ამ დროს სამორიგო ნაწილში შემოვიდა საგარეჯოს რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე გიორგი რევაზიშვილი, რომელმაც დაჟინებით მოითხოვა, სახალხო დამცველის რწმუნებულებს დაეტოვებინათ სამორიგო. მიუხედავად იმისა, რომ მას განემარტა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებები, იგი იქცეოდა გამომწვევად და ხმამაღალი ტონით, დაჟინებით მოითხოვდა, სახალხო დამცველის რწმუნებულებს დაეტოვებინათ სამორიგო ნაწილი. შემდგომ კი, გიორგი რევაზიშვილმა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულ უცნობ პირთან, სავარაუდოდ, პოლიციის თანამშრომელთან ერთად ძალის გამოყენებით აიძულა სახალხო დამცველის რწმუნებულები, დაეტოვებინათ სამორიგო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიორგი რევაზიშვილმა დაბრკოლება შეუქმნა და ფიზიკური ძალადობა განახორციელა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიმართ, რითაც დაარღვია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი და გადაამეტა მისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს სახალხო დამცველმა 2013 წლის 18 ოქტომბერს №771/03 რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა პირადად შეესწავლა საგარეჯოს პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილის, გიორგი რევაზიშვილის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებისთვის დაბრკოლების შექმნისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების გადამეტების საკითხი და გაეტარებინა შესაბამისი

ღონისძიებები. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 28 ნოემბრის №2446496 წერილით საქართველოს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ აღნიშნული ფაქტის შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნის საფუძველზე, შსს-ს თანამშრომლების – გიორგი რევაზიშვილის, მანუჩარ გაბელიას და ელგუჯა ჯავახიშვილის მიმართ გამოყენებულ იქნა სარეკომენდაციო ბარათი.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები წლების განმავლობაში ატარებენ მონიტორინგს პოლიციის განყოფილებებში და მათ არასოდეს შექმნიათ ამგვარი სახის პრობლემები. პოლიციის სამმართველოების და დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგი, ყოველგვარი განსაკუთრებული გადაცდომის გარეშე მიმდინარეობდა, ყველა სამმართველოს და იზოლატორის თანამშრომელი, მათ შორის, საგარეჯოს დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლებიც, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, სრულად თანამშრომლობდნენ სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან და ხელს უწყობდნენ მათ მონიტორინგის სრულყოფილ განხორციელებაში. იმედს ვიტოვებთ, რომ საგარეჯოს პოლიციაში მომხდარი ინციდენტი დარჩება გამონაკლისად და მომავალში ადგილი არ ექნება სახალხო დამცველის რწმუნებულების საქმიანობაში ხელშეშლის მსგავს ფაქტებს.

## **მოპყრობა**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადამწყვეტი როლი აკისრია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის თვალსაზრისით. თავისი საქმიანობის განხორციელებისას პოლიცია ვალდებულია დაიცვას საზოგადოების წევრების პატივი და ღირსება, არ დაუშვას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა. სახელმწიფოში პოლიციის საქმიანობის ეფექტურობა სწორედ, ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხს განსაზღვრავს. ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკისრება პასუხისმგებლობა მისი ყველა თანამშრომლის საქმიანობის შესაბამისობაზე ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებთან.

პოლიციის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პოლიციელი თავის საქმიანობაში განუხრელად იცავს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპებს. პოლიციის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, არ უნდა არღვევდეს ადამიანის სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და საკუთრების უფლებებს და სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, გაუმართლებელ ზიანს არ

უნდა აყენებდეს გარემოს. საპოლიციო ღონისძიების განხორციელებისას დაუშვებელია წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.

სამწუხაროა, რომ რიგ შემთხვევებში ადამიანის უფლებებს პოლიციის თანამშრომლები არღვევენ. აღნიშნულის თქმის საფუძველს გვაძლევს მონიტორინგის შედეგებისა და მოქალაქეთა იმ განცხადებების ანალიზი, რომლითაც მათ საანგარიშო პერიოდში მიმართეს სახალხო დამცველს. ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ ყველა პირის დაცვის შესახებ პრინციპთა ერთობლიობის თანახმად,<sup>101</sup> ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირებს უფლება აქვთ ჰუმანურ მოპყრობასა და პიროვნების თანდაყოლილ ადამიანის ღირსების პატივისცემაზე.

სპეციალური პრევენციული ჯგუფი მონიტორინგის განხორციელებისას სწავლობს როგორც დაკავების დროს, ასევე დაკავების შემდეგ პოლიციელთა მხრიდან დაკავებულთა მიმართ მოპყრობის საკითხს. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველს განცხადებებით მიმართეს მოქალაქეებმა, რომლებიც მიუთითებდნენ პოლიციის მხრიდან დაკავების დროს არასათანადო მოპყრობაზე. ყველა ასეთი ფაქტის შესახებ მასალები გადაგზავნილია საქართველოს მთავარ პროკურატურაში.<sup>102</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოებული მსგავსი საქმეების შესწავლისას, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, როგორც წესი, კონკრეტული სამართალდამცავი პირების მიმართ არც სისხლისსამართლებრივი დევნაა დაწყებული და არც შემაჯამებელი გადაწყვეტილებაა მიღებული, რაც გამოძიების ეფექტურობასთან დაკავშირებულ ლეგიტიმურ კითხვებს აჩენს.

2013 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებული იყო 16533 პირი, აქედან დაზიანება აღნიშნებოდა 7095 და მათგან, 359 პირის გადმოცემით, დაზიანება მიიღეს დაკავებისას ან დაკავების შემდეგ. აღნიშნულ პირთაგან პოლიციის მიმართ პრეტენზიას აფიქსირებდა 111 პირი, რაც შემდგომი რეაგირებისთვის ეცნობა საქართველოს პროკურატურას.

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დროებითი მოთავსების იზოლატორებში შეისწავლა დაკავებულთა გარეგნული დაზიანებების ოქმები. რამდენიმე შემთხვევაში, პირი არ გამოთქვამდა პრეტენზიას პოლიციის მიმართ, თუმცა აღნიშნავდა, რომ მან დაზიანებები დაკავების დროს მიიღო. ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც აღწერილი დაზიანებების ხარისხი და სერიოზულობა გვაფიქრებინებდა, რომ პირი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც პატიმრები საუბრობენ პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, თუმცა განმარტავენ, რომ მათ აღნიშნულის თაობაზე არც დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომლებისთვის და არც

<sup>101</sup> მიღებულია გენერალური ასამბლეის 1988 წლის 9 დეკემბრის 43/173 რეზოლუციით

<sup>102</sup> რამდენიმე საქმის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგძლიათ იხილოთ ქვეთავში - სამართალდამცავთა მიერ შესაძლო არასათანადო მოპყრობისა და ძალის გადამეტების შესახებ გვ.178



სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებაში შეყვანისას არ განუცხადებიათ, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ ჩივილი ხელს შეუშლიდა მათი საქმის სასურველი მიმართულებით წარმართვას.

დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ პირთაგან არცერთს არ გამოუთქვამს არანაირი სახის პრეტენზია იზოლატორის თანამშრომელთა მხრიდან რაიმე სახის არასათანადო მოპყრობის თაობაზე. როგორც ითქვა, პატიმრები ზოგჯერ ყვებიან პოლიციის მხრიდან ძალადობაზე, თუმცა ყოველთვის აღნიშნავენ, რომ იზოლატორის თანამშრომლები მათ ექცეოდნენ კორექტულად და მაქსიმალურად ითვალისწინებდნენ მათ საჭიროებებს.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ როდესაც პირი დროებითი მოთავსების იზოლატორში ხვდება სხვადასხვა სახის დაზიანებით, დმი-ს ადმინისტრაცია პროკურატურას მიმართავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი აცხადებს პრეტენზიას სამართალდამცავი ორგანოების მიმართ.

არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიების თვალსაზრისით წამების საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა განაცხადა, რომ როდესაც სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაპატიმრებული პირები წარდგებიან პროკურატურის ან სასამართლო ორგანოების წინაშე, ხსენებული ამ პირებს აძლევს სათანადო შესაძლებლობას, მიანიშნონ იმ ფაქტთან დაკავშირებით განხორციელდა თუ არა მათ მიმართ არასათანადო მოპყრობა. გარდა ხსენებულისა, ნათლად გამოხატული პრეტენზიის არარსებობის შემთხვევაშიც კი, ხელისუფლების ხსენებულ ორგანოებს შესაძლებლობა ექნებათ დროულად განახორციელონ ქმედებები, თუკი სახეზე იქნება სხვა მანიშნებლები (მაგალითად, ხილვადი დაზიანებები; პირის ზოგადი იერი და ქცევა), რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს არასათანადო მოპყრობას.<sup>103</sup>

სახალხო დამცველმა არაერთხელ გასცა რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ თუ დაკავებულის სხეულზე არსებული დაზიანების ხასიათიდან გამომდინარე, გაჩნდება არასათანადო მოპყრობის ეჭვი, მიუხედავად იმისა, აცხადებს თუ არა დაკავებული პრეტენზიას, დმი-ს ადმინისტრაციამ უნდა გააგზავნოს შეტყობინება ზედამხედველ პროკურორთან, რომელიც გამოიკვლევს დაზიანებების წარმოშობას. სამწუხაროდ, აღნიშნული რეკომენდაცია დღემდე არ შესრულებულა.

### **დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული საყოფაცხოვრებო პირობები**

მიგვაჩნია, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში განთავსებული პირების საყოფაცხოვრებო პირობები უნდა შეესაბამებოდეს როგორც ეროვნულ ასევე, საერთაშორისო

<sup>103</sup> წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) აქტივობებთან დაკავშირებული 2004 წლის №14 ზოგადი მოხსენება, 28-ე პუნქტი.

სტანდარტებს. გაეროს „პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების“ მე-10 წესის თანახმად, „ყველა ადგილი, რითაც პატიმრები სარგებლობენ, განსაკუთრებით ყველა საძინებელი ოთახი, სრულიად უნდა პასუხობდეს სანიტარულ მოთხოვნებს. ამასთან, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კლიმატურ პირობებს, განსაკუთრებით ოთახების სიმაღლეს, მინიმალურ ფართობს, განათებასა და ვენტილაციას“.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესის და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის №108 ბრძანების თანახმად, განსაზღვრულია ადმინისტრაციული პატიმრობის პირობები – ერთ ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირზე გამოყოფილი ფართი არ უნდა იყოს 3 კვ.მ.-ზე ნაკლები, ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილს უნდა ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს ბუნებრივ განათებას და ვენტილაციას, ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილი უნდა თბებოდეს სეზონის მოთხოვნების შესაბამისად, ადმინისტრაციული პატიმრობაშეფარდებული პირი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ნორმალური საძილე პირობების მოთხოვნების შესაბამისი საწოლით, ლეიბით, საბნითა და თეთრეულით, მიიღოს ამანათი, საკვები და ტანსაცმელი. იმ პირთათვის, რომელთაც 7 დღე-ღამეზე მეტი ვადით განესაზღვრა ადმინისტრაციული პატიმრობა, ხოლო არასრულწლოვნის შემთხვევაში – ერთ დღე-ღამეზე მეტი ვადით, კვირაში ორჯერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს შხაპის მიღების, ასევე, ყოველდღიური ერთ საათიანი გასეირნების უფლება. იმ იზოლატორებში, სადაც არ არის მოწყობილი სპეციალური გასასეირნებელი ეზო, გასეირნება ხორციელდება საქართველოს შს ორგანოს ადმინისტრაციულ შენობასთან ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ასევე, დაკავებულ პირებს უნდა ჰქონდეთ სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით ბუნებრივი საჭიროების დაკმაყოფილების შესაძლებლობა და პატიმრობაშეფარდებულ პირს დღე-ღამის განმავლობაში უნდა მიუწვდებოდეს მასზე ხელი. საპირფარეო ადჭურვილი უნდა იყოს სანიტარული დანამატებით. 30 დღეზე მეტი ვადით ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული პირი, მისი მოთხოვნით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საპარკმახერო მომსახურებით. ადმინისტრაციული პატიმრობის აღსრულების ადგილის ადმინისტრაციას ეკრძალება, მოსთხოვოს ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირს თმების მთლიანად გადაპარსვა, თუ არ არსებობს ექიმის მოთხოვნა ან ჰიგიენური აუცილებლობა. იმ პირებს, რომელთაც 30 დღეზე მეტი ვადით განესაზღვრათ ადმინისტრაციული პატიმრობა, ხოლო არასრულწლოვნის შემთხვევაში – 15 დღეზე მეტი ვადით, ეძლევათ პაემნის – თვეში ორჯერ და თვეში ერთხელ 10 წუთის ხანგრძლივობით სატელეფონო საუბრის უფლება. ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირს, ასევე, აქვს უფლება, საკუთარი ხარჯებით გამოიწეროს ან/და მიიღოს ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები, გააგზავნოს საჩივარ-განცხადებები, წერილები. აღნიშნული ბრძანების მიხედვით, ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირს აქვს უფლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით

დარეგისტრირდეს აბიტურიენტად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღების თაობაზე წერილობითი განცხადების წარდგენით. ასევე, ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირს უნდა შეექმნას ყველა პირობა იმისათვის, რომ არ ჩამორჩეს ზოგადი განათლების პროგრამას.

საქართველოში 37 დროებითი მოთავსების იზოლატორი ფუნქციონირებს. აქედან ორი თბილისშია, დანარჩენი საქართველოს რეგიონებში. საქართველოს რეგიონებში არსებულ უმრავლეს დროებითი მოთავსების იზოლატორებში სავენტილაციო სისტემები პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს. მცირე ზომის სარკმლები კი ვერ უზრუნველყოფს ბუნებრივ ვენტილაციას და განათებას. საკნები სათანადოდ ვერ თბება. უმეტესწილად არ ფუნქციონირებს სასეირნო ეზოები. მონიტორინგის შედეგების საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია რამდენიმე დროებით იზოლატორში არსებული მდგომარეობა.

### **დუშეთის დროებითი მოთავსების იზოლატორი**

იზოლატორს არ გააჩნია სასეირნო ეზო. დმი-ის თანამშრომელთა განმარტებით, იზოლატორში განთავსებული პირები, სუფთა ჰაერზე სასეირნოდ გაყავთ შენობის გარეთ. მათ გასეირნების წინ ხელს აწერინებენ გაქცევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის შესახებ (გაფრთხილების ფურცელი). არ ხდება საკნების ვენტილაცია. საკმარისი არაა ბუნებრივი და ხელოვნური განათება.

### **მცხეთის დროებითი მოთავსების იზოლატორი**

იზოლატორს აქვს სასეირნო ეზო, რომელიც არ არის გადახურული და შესაბამისად ბუნებრივი ნალექის დროს არ გამოიყენება. საკნებში არ არის საკმარისი ბუნებრივი და ხელოვნური განათება. საკნებში განთავსებული საპირფარეშოები არ არის იზოლირებული, რის გამოც იგრძნობა უსიამოვნო სუნნი. სავენტილაციო სისტემა ვერ უზრუნველყოფს ვენტილაციას.

### **გარდაბნის დროებითი მოთავსების იზოლატორი**

გარდაბნის დროებითი მოთავსების იზოლატორი განთავსებულია შსს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს გარდაბნის რაიონული სამმართველოს შენობის სარდაფში, სადაც არ ხდება საკნების ბუნებრივი გზით განათება და ვენტილაცია. იზოლატორში არ ფუნქციონირებს გათბობის და ხელოვნური ვენტილაციის სისტემები. კეთილმოწყობელია საშხაპე. საკნებში არ არის საკმარისი ხელოვნური განათება. არის სინესტე. საწოლებად გამოიყენება ფიცარნაგი. საკნებში განთავსებული საპირფარეშოები არ არის იზოლირებული. საკნებში განთავსებულ პირებს ხელ-პირის დაბანა უწყვეტ მილიდან, საიდანაც საპირფარეშოს ჩასარეცხად მიედინება წყალი და იატაკიდან დახლოებით 30 სმ სიმაღლეზეა დამონტაჟებული.

## **მარნეულის დროებითი მოთავსების იზოლატორი**

მარნეულის დროებითი მოთავსების იზოლატორის საკნებში არ არის მაგიდა და სკამები. საკნებში ბეტონის იატაკია. არასაკმარისია ხელოვნური და ბუნებრივი განათება. საკნებში არ არის ონკანი და მოთავსებულ პირს სასმელი წყლის აღება უწევს საპირფარეშოს ჩასარეცხი მილიდან, რომელიც იატაკიდან 25 სმ სიმაღლეზეა. პირადი ჰიგიენის ნივთებს და თეთრეულს აწვდიან ოჯახის წევრები.

## **რუსთავის დროებითი მოთავსების იზოლატორი**

იზოლატორის საკნებში არ არის მაგიდა და სკამები. საკნებში არასაკმარისია ხელოვნური და ბუნებრივი განათება. არასათანადო ვენტილაციის გამო საკნებში დგას სპეციფიკური სუნის. განთავსებული პირები წვანან ფიცარნაგებზე. წყლის ონკანის რეგულირება ხდება საკნის გარედან იზოლატორის თანამშრომლის მიერ. პირადი ჰიგიენის ნივთებს და თეთრეულს აწვდიან ოჯახის წევრები. არ არის საშხავე.

დაკავებულ პირებს არ ეძლევათ უფლება ამანათით მიიღონ ფილტრიანი სიგარეტი. ამავე დროს არ არსებობს ნორმატიული აქტი, რომელიც აღნიშნულ საკითხს აწესრიგებს და კრძალავს ფილტრიანი სიგარეტის ამანათით მიღებას. მიგვაჩნია, რომ არ არსებობს ფილტრიანი სიგარეტის შეზღუდვის რაიმე სახის აუცილებლობა, ხოლო დამკვიდრებული პრაქტიკა გადმონაშთია ძველი რეგულაციებისა, რომლის მიზანიც იყო აღკვეთილიყო ნებისმიერი ბასრი საგნის ქონა პატიმრისათვის, ვინაიდან მიიჩნევდნენ, რომ სიგარეტის ფილტრით შესაძლებელი იყო მსგავსი საგნის დამზადება. დღეს არსებული რეგულაციებით პირებს ხელი მიუწვდებათ სხვა პლასტიკატისაგან დამზადებულ საგნებზე, რომელთა გამოყენებითაც გაცილებით მარტივადაა ბასრი საგნის დამზადება შესაძლებელი. შესაბამისად აბსოლუტურად გაურკვეველია ფილტრიანი სიგარეტის შეზღუდვის როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი საფუძველი.

## **შსს ლენტეხის დროებითი მოთავსების იზოლატორი**

ლენტეხის დროებითი მოთავსების იზოლატორი განთავსებულია პოლიციის განყოფილების შენობაში, რომელიც გამოყოფილია რკინის გისოსებითა და ხის კარით. ასეთი საკანი არის სულ ორი. თითოეული საკანი გათვლილია ორ ადამიანზე. მონიტორინგის დროს საკანში გადაძწვარი იყო ნათურა და მხოლოდ პოლიციის შენობაში დამონტაჟებული ნათურის შუქი აღწევდა საკანში ნაწილობრივ. ვინაიდან საკანს არ აქვს ფანჯარა, დღის შუქი აღწევს გისოსების თავზე აფარებულ ხის ფიცარზე არსებული ნახვრეტებიდან. ადგილზე იმყოფებოდა ერთი დაკავებული პირი. მისი განცხადებით ფიზიკურ და ფსიქოლოგიური ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. დაკავების შემდეგ გამოძახებული იქნა სასწრაფო დახმარების ბრიგადა, ვინაიდან დაკავებული შეიქმნა შეუძლოდ.

დაკავებულის განცხადებით, საკვები და სხვა ჰიგიენური საშუალებები შეაქვთ ახლობლებს. წყალი მიეწოდება ბოთლით. ადგილზე საკვები არ არის. საკანში არ არის ვენტილაცია და გათბობის სისტემა. საკნის ხის კარი მუდმივად ღიაა. იკეტება მხოლოდ გისოსები. კარი მაშინაც კი არ იკეტება, თუკი დაკავებულს სურს ტანისამოსის გამოცვლა. საპირფარეშო განლაგებულია საკნის გარეთ, პოლიციის შენობაში. არ ფუნქციონირებ და საშხაპე, ვინაიდან არ მოდიოდა ცხელი წყალი.

ლენტეხის დროებითი მოთავსების იზოლატორი სრულიად შეუფერებელია დაკავებული პირის მოთავსებისთვის და შესაბამისად, უნდა გაუქმდეს.

დროებით იზოლატორებში ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს კვების საკითხი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ასევე დაკავებულ პირებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ იზოლატორში მოთავსებულ პირებს დღეში სამჯერ ეძლევათ შაქარი, ჩაი, პაშტეტი, მშრალი სუპი, პური და ხორცის კონსერვი. მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, თბილისის №1 და თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებული დაკავებული პირებისათვის საკვების სახით განსაზღვრულია პური, წიწიბურა, მაკარონი ცხიმში, მოხარშული კარტოფილი, ბარდის სუპი, ბორში, კატლეტი, გულიაში, ლობიო, თევზი, კარტოფილის პიურე, ბოსტნეულის სალათა, ჩამუშული ბოსტნეული და ჩაი. მიგვაჩნია, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში, რომლებიც გამოიყენება ადმინისტრაციული პატიმრობის (90 დღემდე ვადით) აღსასრულებლად, უმნიშვნელოვანესია დაკავებულ პირებს მიეწოდებოდეთ სათანადო რაციონის საკვები, ვინაიდან პაშტეტის, მშრალი სუპისა და ხორცის კონსერვის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს საჭმლის მომწელებელი სისტემის პრობლემები.

**რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:**

- უზრუნველყოფილ იქნას ადმინისტრაციული პატიმრობაზეფარდებული პირებისთვის სპეციალური დაწესებულებების შექმნა, რეგიონული პრინციპის გათვალისწინებით, რომლებიც ადაპტირებული იქნება პირთა ხანგრძლივი განთავსებისათვის;
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორის საკნებში დამონტაჟდეს ცენტრალური გათბობა, ასევე უზრუნველყოფილ იქნას საკნების სათანადო განათება და ვენტილაცია, მათ შორის, ბუნებრივი საშუალებით;
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში მოხდეს საპირფარეშოს იზოლირება;
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში შეიქმნას პირობები ჰიგიენის დაცვისთვის, მათ შორის, ყველა საკანში დამონტაჟდეს ხელსაბანი და ოკანი, რათა დაკავებულმა პირმა დამოუკიდებლად შეძლოს წყლით სარგებლობა;



- უზრუნველყოფილ იქნას ყველა დაკავებულის ყოველდღიური გასეირნების უფლება სუფთა ჰაერზე, სპეციალურად გამოყოფილ ადგილას;
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში ლიკვიდირებულ იქნეს ფიცარნაგები და ყველა დაკავებული უზრუნველყოფილ იქნას ინდივიდუალური საწოლით;
- ყველა იზოლატორში უზრუნველყოფილ იქნას სათანადო რაციონის საკვების მიწოდება.

## შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებასა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში 2013 წლის 21 ოქტომბრიდან 13 ნოემბრის ჩათვლით, ფონდის, „ღია საზოგადოება - საქართველო“, ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა მონიტორინგი, რომლის მიზანი იყო გაერთიანებული ერების წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ კონვენციით (UN CAT) სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მონიტორინგი სასჯელაღსრულების სისტემაში, ფსიქიატრიულ დაწესებულებასა და დროებით მოთავსების იზოლატორში მყოფ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობა, აღნიშნული კუთხით, პირველად განხორციელდა საქართველოში. ეს ანგარიში განსაკუთრებულად დიდ მნიშვნელობას იძენს საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის 26 დეკემბერს გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების 2006 წლის კონვენციის (UNCRPD) რატიფიცირების ფონზე. წინამდებარე თავი შეიცავს მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ძირითად ტენდენციებს და რეკომენდაციებს. მზადდება და უახლოეს მომავალში ცალკე სპეციალური ანგარიშის სახით, სრულყოფილად გამოიცემა მონიტორინგის შედეგები.

მონიტორინგის განხორციელებისათვის შეირჩა შემდეგი დაწესებულებები:

- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 დაწესებულება;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №11 დაწესებულება;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №12 დაწესებულება;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულება;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №2 დაწესებულება;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №15 დაწესებულება;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №17 დაწესებულება;
- შპს „აკად. ბ.ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“);
- შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდაბნის დროებითი მოთავსების იზოლატორი;
- შსს-ს №1 დროებითი მოთავსების იზოლატორი;
- შსს-ს კახეთის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორი.

მონიტორინგს წინ უძღოდა რამდენიმე თვიანი მოსამზადებელი ეტაპი, რომლის დროსაც დამუშავდა ყველა ხელმისაწვდომი აკადემიური და ნორმატიული რესურსი.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები გათვალისწინებული არ არის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მომსახურების მომწოდებელ დაწესებულებასა და დროებით მოთავსების იზოლატორებში. არსებული თითოეული პრობლემა აღწერილი იქნება ქვემოთ.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ არსებობს პრობლემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატისტიკის წარმოების და მათი საჭიროების აღრიცხვის კუთხით. ვერცერთ იმ დაწესებულებაში, სადაც ჩატარდა მონიტორინგი, დაწესებულებების ხელმძღვანელობამ ვერ მიაწოდა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს დაწესებულებაში განთავსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრული სია. ფაქტობრივად არცერთ დაწესებულებას არ ჰქონდა დადგენილი კრიტერიუმები, რითაც მოახდენდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირებას.

ამ გარემოებიდან გამომდინარე, გართულდა და ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა იმის შემოწმება, არის თუ არა დაწესებულებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამხმარე პერსონალის საკმარისი რაოდენობა, რაც გაერთიანებული ერების ფსიქიკური დაავადების მქონე პირთა დაცვისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ზრუნვის გაუმჯობესების პრინციპების თანახმად, აუცილებელი მოთხოვნაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განთავსების ადგილებში. კერძოდ, მე-14 პრინციპის თანახმად, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებას (მე-20 პრინციპის მე-2 პუნქტის თანახმად ეს თანაბრად ეხება იმ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირებს, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არიან განთავსებულნი) უნდა ჰყავდეს კვალიფიციური პერსონალისა და სხვა პროფესიონალების საკმარისი რაოდენობა.

მონიტორინგის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფს არ მიუღია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრებისგან (ბრალდებულები/მსჯავრდებულები) ინფორმაცია პერსონალის მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ. პარალელურად, მონიტორინგის ჯგუფმა მიიღო მრავლობითი შეტყობინება 2012 წლამდე განხორციელებულ წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, რომელიც, მათი გადმოცემით, ხშირად გამხდარა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის შექმნის და/ან ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესად გაუარესების მიზეზი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრებს აღენიშნებათ ჯანმრთელობის სპეციფიური საჭიროებები. ამ საჭიროებების დაკმაყოფილების გარეშე შესაძლოა მათი მდგომარეობა მოკლე ხანში მკვეთრად გაუარესდეს, შედეგად კი უფრო მეტად შეეზღუდოთ საკუთარი თავის მოვლის, გადაადგილებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი ქმედებების შესაძლებლობა. ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, სტანდარტულ სამედიცინო მომსახურებებთან ერთად, მათ ესაჭიროებათ რეგულარული ფიზიკური თერაპია, სმენისა და მხედველობის შემოწმება, ოკუპაციური თერაპია და ა.შ. მათთვის აუცილებელია დამხმარე საშუალებების

ხელმისაწვდომობა, მათ შორის სავარძელ-ეტლი, სმენის აპარატი, ხელჯოხი, ორთეზი, პროთეზი და სხვა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შესაძლოა ჰქონდეთ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მაღალი საჭიროება, განსაკუთრებით, სენსორული შეზღუდვის მქონე (მხედველობისა და სმენის შეზღუდვის მქონე პირები და სხვ.) ან კომუნიკაციის პრობლემის მქონე პატიმრებთან მათი იზოლირების ან მათდამი ძალადობისა და ბულინგის შემთხვევებში. სამედიცინო მომსახურებების საჭიროება ასევე მძაფრდება ფსიქოლოგის საკონსულტაციო მომსახურების უქონლობის შემთხვევებში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრებისათვის ჯანდაცვის სერვისების განსაკუთრებულად ადვილი ხელმისაწვდომობა, წარმოადგენს გაეროს ერთ-ერთ რეკომენდაციას საპატიმრო ადგილებთან მიმართებით.<sup>104</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ პატიმრებისათვის სამედიცინო მომსახურების დროულად და ეფექტურად მიწოდების უზრუნველსაყოფად არაერთი ღონისძიება გაატარა, სამედიცინო მომსახურების პრობლემა ჯერ კიდევ უმთავრესი მოუგვარებელი საკითხია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსჯავრდებულებთან და ბრალდებულებთან დაკავშირებით. პრობლემის ერთ-ერთი უმთავრესი წყარო ის არის, რომ სამინისტროს არ აქვს იდენტიფიცირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრების სპეციფიური საჭიროებები, რომლებიც განსხვავდება სხვა პატიმრების სამედიცინო საჭიროებებისაგან. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მონიტორინგის ჯგუფმა ვერ აღმოაჩინა სამედიცინო დარგის სპეციალისტი, რომელსაც ექნებოდა თანამედროვე და განახლებული ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო მდგომარეობის მართვის კუთხით. არ არსებობს რაიმე ტიპის დადგენილი სტანდარტი ან გაიდლაინი, რომელიც ამ სპეციალისტებს დაეხმარებოდათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო საჭიროებების სწორად იდენტიფიცირებასა და დაკმაყოფილებაში. ამგვარი მიდგომების უქონლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრებს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსჯავრდებულებსა და ბრალდებულებს, მცირე გამონაკლისების გარდა, არ მიუწვდებათ ხელი პერსონალურ დამხმარეზე. დაწესებულებების სრულ უმრავლესობაში მწოლიარე პატიმრებს მხოლოდ თანამესაკნეები ეხმარებიან, რაც განაპირობებს თანამესაკნეებზე მათ სრულ დამოკიდებულებას, რაც წარმოშობს წარმოშობს დამოკიდებულებით მანიპულირების რისკს, რომელიც ადვილად შეიძლება გადაიზარდოს ჩაგვრასა და ძალადობაში.

<sup>104</sup> United Nations Office of Drugs and Crime (2009). Criminal Justice Handbook Series, Handbook on Prisoners with disabilities. ISBN 978-92-1-130272-1.

დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლები დაგვიანებით, ან საერთოდ ვერ ცნობენ ფსიქიკურ აშლილობას და ხშირად ფსიქიკური აშლილობის მქონე პირი პატიმრობის რეჟიმისადმი დაუმორჩილებლობის გამო ისჯება.

პატიმრის მანიპულატორული ქცევა ან პროტესტის რეაქცია (თვითდაზიანება, თვითმოწამვლა, უცხო სხეულების გადაყლაპვა და სხვა) თანამშრომლების მიერ გადაუდებელ ფსიქიატრიულ შემთხვევად აღიქმება. სათანადო პროფესიონალი კადრების არარსებობის გამო, ვერ ახერხებენ აუტო და ჰეტეროაგრესიული ქცევის პრევენციას, რისკების ადგილზე შეფასებას/მართვას და სასწრაფო დახმარების ბრიგადის დახმარებით ისინი დაუყოვნებლივ გადაყავთ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, სადაც პატიმარი სხვადასხვა მიზეზით უარს ამბობს ნებაყოფლობით მკურნალობაზე. არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმების არ არსებობის გამო მას უკან აბრუნებენ, რაც ხშირად სასჯელადსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის გულისწყრომას იწვევს. მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პატიმრები დროში გაწელილი დიაგნოსტიკური და სამართლებრივი პროცედურების გამო საშუალოდ 2-4 თვის დაყოვნებით გადაყავთ ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების ჩასატარებლად.

სასჯელადსრულების დაწესებულებების ადმინისტრაცია აღნიშნავს, რომ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დახურვის შემდეგ, მძიმე ფსიქიკური დაავადების მქონე პატიმრებზე ზრუნვა მათ დიდ სირთულეებს უქმნის.

განსაკუთრებით გამწვანებულია მძიმე ფსიქიატრიული დაავადების მქონე ბრალდებულთათვის ფსიქიატრიული დახმარების გაწევა. ასეთ პაციენტებს იშვიათად უტარდებათ ფსიქიატრის კონსულტაცია და მკურნალობის რეჟიმის დაცვა მხოლოდ პაციენტის ნებაზე ან თანამესაკნეების მხარდაჭერაზე დამოკიდებული.

სასჯელადსრულების სისტემაში არ არის შემუშავებული პატიმრის პირველადი ფსიქო-ფიზიკური ჯანმრთელობის შეფასების და გამოვლენილი პრობლემების მართვის სტანდარტები. სასჯელადსრულების დაწესებულებებში პატიმრის პირველად სამედიცინო შემოწმებას ოჯახის ექიმი ახდენს. ფსიქიატრის კონსულტაციის შესახებ რეკომენდაციის გაცემა დაგვიანებით და ძირითადად მწვავე ფსიქოზური სიმპტომების და აშკარად გამოხატული არადეკვატური ქცევის გამოვლინების შემთხვევაში ხდება. დაპატიმრებასთან დაკავშირებული ფსიქიკური პრობლემები და შედარებით მსუბუქი ფსიქიკური დარღვევები შეუმჩნეველი რჩება.

სამედიცინო დოკუმენტაციის შეფასებამ ცხადყო, რომ დაწესებულებაში მიღებისას პატიმრის ფსიქო-ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება ფორმალურ ხასიათს ატარებს და არ ხდება პატიმრის მდგომარეობის მულტიდისციპლინური შეფასება, სომატური, ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული, სოციალური, სამართლებრივი საჭიროებების



განსაზღვრა, შესაბამისად არ წარმოებს გამოვლენილი პრობლემების დაძლევაზე ორიენტირებული ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება.

სასჯელაღსრულების სისტემაში მწვავე პრობლემას წარმოადგენს ბენეფიციართა მიერ გადაჭარბებული დოზებით ფსიქოტროპული პრეპარატების მიღების მოთხოვნა და უარის შემთხვევაში, მათი მხრიდან აგრესიული და მანიპულატორული ქცევის დემონსტრირება. ფსიქოტროპული პრეპარატების მომხმარებელთა უმრავლესობას აღენიშნება თანმხლები პერსონოლოგიური აშლილობა და სომატური პრობლემები.

პატიმართა მიერ ფსიქოტროპული მედიკამენტების ჭარბი მოხმარება, აბსოლუტურ უმრავლესობაში, წარსულში წამალდამოკიდებულებასა და პერსონოლოგიურ აშლილობასთან კომორბიდულ პრობლემას წარმოადგენს. პენიტენციური ჯანდაცვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს პერსონოლოგიური აშლილობის მქონე პატიმრებისათვის ხარისხიანი და ეფექტიანი ფსიქიატრიული დახმარების მიწოდებას. პატიმრობის რეჟიმი არ არის ადაპტირებული პიროვნული პრობლემების მქონე პატიმრების საჭიროებებთან, რაც ერთი მხრივ პიროვნული პრობლემების მქონე პაციენტის ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესებასა და ფსიქოსოციალური შესაძლებლობების შეზღუდვას იწვევს, ხოლო მეორე მხრივ ართულებს სამედიცინო პერსონალისა და სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალის მუშაობას.

სასჯელაღსრულების სისტემა ვერ უზრუნველყოფს პატიმარს ადეკვატური ფსიქიატრიული/ნარკოლოგიური დახმარებით და შესაბამისი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციით. არ ტარდება ფსიქო-საგანმანათლებლო მუშაობა და ბენზოდიაზეპინებზე დამოკიდებულების სინდრომის განვითარების საფრთხის ან ამკარად არსებობის მიუხედავად, პატიმარს პრეპარატების თანდათანობით შემცირება და ალტერნატიული ფსიქო-სოციალური ინტერვენცია არ შეეთავაზება.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების ფსიქიატრიული დახმარება მათი ინფორმირებული თანხმობის გარეშე მიმდინარეობს, რაც ხელს უშლის პაციენტსა და ექიმს შორის პოზიტიური თერაპიული ალიანსის ჩამოყალიბებას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, სადაც პატიმარს არ შეუძლია თავისუფლად აირჩიოს ექიმი. შესაბამისად „პაციენტები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ ყველა საჭირო ინფორმაციით (თუ აუცილებელია სამედიცინო ანგარიშის სახით), რომელიც დაკავშირებულია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, მათი მკურნალობის კურსთან და გამოწერილ წამლებთან.<sup>105</sup>

მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, როდესაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს არ უტარდებოდათ ადეკვატური მკურნალობა და მეტი ალბათობით აღენიშნებოდათ დაავადების გამწვავების პროცესი..

<sup>105</sup> წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მე-3 საერთო ანგარიში პარ. 45-49;

წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი სუიციდის პრევენციას სამედიცინო პერსონალის კომპეტენციაში განიხილავს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სუიციდური საფრთხის ამოცნობაში პერსონალის სწავლებას, სათანადო პროცედურების დაწესებასა და დაცვას, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებისათვის თვითმკვლელობის საფრთხის ნიშნების შეცნობაში განსწავლას და აფრთხილებს, რომ პაციმრობის პირველ ხანებში და გათავისუფლების წინ, ასევე სასამართლო პროცესზე გაყვანისა და პროცესიდან დაბრუნების შემდეგ, გაზრდილია სუიციდის საფრთხე. მნიშვნელოვნად მიიჩნევა სამედიცინო წესების გაცნობას და საერთოდ, მიღების წესების გაცნობას, რაც ხელს უწყობს ახალმოსული თავისუფლებააღკვეთილი პირისთვის საფრთხის შეგრძნების შემსუბუქებას.<sup>106</sup>

პაციმრობის მიღებისას ცალკეულ შემთხვევებში სამედიცინო ბარათის შესაბამის გრაფაში, აღნიშნულია ავტოტრავმის შემდგომი ნაწიბურების არსებობა, მაგრამ არ წარმოებს ჩადენილი ქმედების შესახებ გამოკითხვა, ასევე არ მიმდინარეობს გამოკითხვა სუიციდური ფიქრების, განზრახვის, გეგმების გამოვლინებისა და სუიციდის რისკის და სუიციდური ქმედების განმეორების ალბათობის გამოსავლენად. არ ხდება პარასუიციდისა და სუიციდის ერთმანეთისაგან დიფერენცირება, შესაბამისად არ ხდება ფსიქიატრიული/ფსიქოლოგიური დახმარების და დაკვირვების განსხვავებული პირობების რეკომენდირება. სამედიცინო სამსახური და დაწესებულების პერსონალი არ არის უზრუნველყოფილი სუიციდის, აგრესიული ქცევის, დეპრესიის ან სტრესის მართვის ალგორითმებით და არც შესაბამისი პროფესიული მომზადება გაუვლია.

სამედიცინო და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციით პაციმართა უზრუნველყოფა წარმოადგენს სასჯელაღსრულების სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას. ეს ხარვეზი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პაციმრებზე განსაკუთრებით მწვავედ აისახება, ვინაიდან მათი ჯანმრთელობა და ფუნქციური მდგომარეობა პირდაპირპროპორციულად უარესდება რეაბილიტაციის სერვისების არარსებობასთან ერთად. ამგვარ პრობლემას აწყდებიან ის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიც, რომელთაც გააჩნიათ ინსულტის შემდგომი მდგომარეობა და სარეაბილიტაციო სერვისი აუცილებელია მათი კიდურების მობილობის შენარჩუნებისათვის, რათა სრულად არ დაკარგონ დამოუკიდებელი მოძრაობის შესაძლებლობა. ანალოგიური სიტუაციაა ამპუტირებული კიდურის თუ ხერხემლის დაზიანების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შემთხვევაში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პაციმართა რთული ფუნქციური მდგომარეობა (მაგ. საწოლში მუდმივი წოლა, თვითმოვლის განხორციელების შეუძლებლობა) პირდაპირ დაკავშირებულია მათ მიერ სარეაბილიტაციო პროგრამების გავლის შეუძლებლობასთან. მინიმალური რეაბილიტაციის შემთხვევაში ამა თუ იმ დაავადებას არ ექნებოდა ის დამანგრეველი ეფექტი, რის გამოც ამ ადამიანებმა მძიმე შეზღუდვა მიიღეს. როგორც გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენცია აღნიშნავს, მხოლოდ დაავადება თუ

<sup>106</sup> წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მე-3 საერთო ანგარიში, პარ.57-59.

მდგომარეობა არ წარმოშობს შეზღუდულ შესაძლებლობებს, მაგრამ მათი ინტერაქცია მოურგებელ გარემოსთან - რეაბილიტაციის სერვისის უქონლობასთან - თანდათანობით აყალიბებს შეზღუდვებს.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პაციენტების ხელმისაწვდომობა საჩივრების მექანიზმზე (საჩივრების ყუთზე) შეზღუდულია, ვინაიდან ზოგ შემთხვევაში პაციმარს არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია საჩივრების მექანიზმის შესახებ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ის ფიზიკურად ვერ ახერხებს საჩივრის დაწერას და ყუთში მოთავსებას. საკნების საპირფარეშო და პირსაბანი არ აკმაყოფილებს ისეთ პირობებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პაციმარმა (ეტლის მომხმარებელმა) შეძლოს ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და პირადი ჰიგიენის დაცვა პაცივისა და ღირსების შეუღახავად.

დაწესებულებაში არსებულ, ხელობისა და კონკრეტული პროფესიის შემსწავლელ კურსებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არცერთი პირი არ არის ჩართული. არსებული საგანმანათლებლო/სახელობო პროგრამები არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს.

მონიტორინგის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში არსებულ მდგომარეობას. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი არანებაყოფლობით სტაციონარულ ფსიქიატრიულ დახმარებას ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს. სტაციონარული მომსახურება გულისხმობს:

„იმ პაციენტების მკურნალობით და დამატებითი მომსახურებით (დაცვა და უსაფრთხოება) უზრუნველყოფას, რომელთა მიმართაც არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ და დამატებითი მომსახურება: იმ პაციენტების კვებით, პირადი ჰიგიენის საგნებითა და გადაუდებელი ქირურგიული და თერაპიული სტომატოლოგიური მომსახურებით უზრუნველყოფა, რომლებიც გადიან სტაციონარულ მომსახურებას.“<sup>107</sup>

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში მონიტორინგის შედეგად არაერთი პრობლემა გამოიკვეთა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს პრობლემები პირის არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნის საფუძველზე ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია სასამართლოს მიმართავს შაბლონური ფორმით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და

<sup>107</sup> 2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები, დანართი №11 „ფსიქიკური ჯანმრთელობა“ (მუხლი 2. პარ.2).

სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 20 მარტის №89/ნ ბრძანებით. აღნიშნული ფორმა მოთხოვნის დასაბუთების სახით შეიცავს „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის<sup>108</sup> ტექსტს და მიმართვის ავტორს მოეთხოვება ხაზი გაუსვას ერთ-ერთ კრიტერიუმს, რომელიც თავის მხრივ ზოგადია და შესაძლებელია მისი ფართო ინტერპრეტაცია. ამასთან, პაციენტები აცხადებენ, რომ არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით სტაციონარში მოთავსების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლო სხდომაზე არ არის გათვალისწინებული მათი პოზიცია. ყოველივე ზემოაღნიშნული კი ქმნის ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში უკანონო მოთავსების და უკვე მოთავსებული პირის სტაციონარში ხანგრძლივად დაყოვნების რისკს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა უკვე აღარ არსებობდეს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში ყოფნის საჭიროება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კიდევ ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს პირის ქმედუნარიანობის დადგენა.

პაციენტის სტაციონარში მიღებისას არ დგება ინდივიდუალური მოკლევადიანი ან გრძელვადიანი თერაპიული გეგმა, არ ფასდება პაციენტის ძლიერი მხარეები ან საფრთხეები და შესაბამისად, არ იგეგმება პრევენციული ღონისძიებები. აუტო ან ჰეტეროაგრესიული ქცევის პრევენცია პაციენტის ფიზიკური შეზღუდვითა და საძილე მოქმედების ანტიფსიქოზური მედიკამენტების ინექციების ინტენსიური დოზების დანიშვნით მიიღწევა.

ფსიქიატრიული შემთხვევის მართვა არ შეესაბამება თანამედროვე ფსიქიატრიის მოთხოვნებს და დაავადების მართვის სახელმწიფო სტანდარტებს. ფსიქო-ფარმაკოლოგიურ მკურნალობას ძველი თაობის ფსიქოტროპული მედიკამენტებით, მათი საინექციო ფორმების მაღალი დოზების ხანგრძლივი და არარეკომენდირებულ პრეპარატებთან კომბინირებული სახით გამოყენებით მიმართავენ, რაც არ შეესაბამება თანამედროვე ფსიქიატრიის სტანდარტებს.

არ ტარდება ფსიქო-ფარმაკოლოგიური მკურნალობის გვერდითი ეფექტების მართვისათვის სავალდებულო კლინიკური ლაბორატორიული და კლინიკური ინსტრუმენტული გამოკვლევა. არ ხდება ფსიქიატრიული შემთხვევის მულტიდისციპლინური მართვა, მკურნალობა ძირითადად ფსიქო-ფარმაკოლოგიური მკურნალობით ამოიწურება. პაციენტები არ არიან ჩართულები ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამებში, რაც ხელს შეუწყობდა მათ რესოციალიზებასა და რეადაპტირებას.

---

<sup>108</sup> არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება ტარდება, როდესაც პირს ფსიქიკური აშლილობის გამო არ გააჩნია გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი და მისთვის ფსიქიატრიული დახმარების გაწევა შეუძლებელია სტაციონარში მოთავსების გარეშე, აგრეთვე თუ:

- ა) დახმარების დაყოვნება საფრთხეს შეუქმნის პაციენტის ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;
- ბ) პაციენტმა საკუთარი მოქმედებით შეიძლება მიიღოს ან სხვას მიაყენოს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი.

დაწესებულების ადმინისტრაცია სასამართლო ფსიქიატრიულ განყოფილებებში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მქონე პაციენტების შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას არ ფლობს. არ ხდება პაციენტების სოციალური სტატუსის შეფასება და სტაციონარში ხანგრძლივი დაყოვნების შემთხვევაშიც კი არ ხდება ამ საკითხის ინიცირება და პაციენტის სოციალური სტატუსის შესაბამისი სარგებლით უზრუნველყოფა.

ამბულატორიული ფსიქიატრიული სერვისები არ არის მზად ქრონიკული ფსიქიატრიული აშლილობისა და ფსიქო-სოციალური დარღვევის მქონე პაციენტის მისაღებად, არ არის განვითარებული თემზე დაფუძნებული ფსიქიატრიული სამსახურები, მობილური ფსიქიატრიული დახმარებისა და შინ ზრუნვის სერვისები, სოციალური საცხოვრისების დეფიციტია და განუვითარებელია მხარდამჭერი სისტემა.

პაციენტები სოციუმიდან სრულიად გარიყულები და იზოლირებულები არიან; ფსიქიატრიული დაავადების გამო განიცდიან დისკრიმინაციას; ვერ იღებენ ადეკვატურ ფსიქიატრიულ დახმარებას და ვერ სარგებლობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის განსაზღვრული სარგებლით.

## რეკომენდაციები

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმართა სტატისტიკის წარმოება;
- შეიმუშაოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმართა იდენტიფიცირებისა და საჭიროების შეფასების მექანიზმი;
- უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და გონივრული მისადაგების მინიმალური სტანდარტები;
- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმართა სტატუსის დადგენა სასჯელაღსრულების სისტემაში;
- უზრუნველყოს სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული სამედიცინო მომსახურების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯამრთელობის სპეციალური/განსაკუთრებული საჭიროებების დაკმაყოფილება;
- შეიმუშაოს პატიმრობის პირობებზე ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ზრუნვის სტანდარტები;
- დაწეროს შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული სპეციალიზებული მომსახურებები;
- განახორციელოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრების სარეაბილიტაციო პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მდგომარეობის



გაუარესების, ფუნქციონალური სტატუსის დაქვეითებისა და ქრონიკულად მწოლიარე ავადმყოფობის პრევენციის მიზნით;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმართათვის ადეკვატური ფსიქიკური დახმარების მიწოდება;
- შეიმუშაოს მათთან მუშაობის ინდივიდუალური გეგმები;
- უზრუნველყოს სტრუქტურული, სისტემური და შედეგზე ორიენტირებული ფსიქოსოციალური მკურნალობისა და რეაბილიტაციის სერვისების დანერგვა;
- გადაიხედოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის უსაფრთხოების სამსახურის როლი და ფუნქცია;
- გადადგას ქმედითი ნაბიჯები არანებაყოფლობითი მკურნალობის მიზნით სტაციონარში ხანგრძლივი დაყოვნების აღმოსაფხვრელად;
- გადადგას ქმედითი ნაბიჯები ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში არსებული მკაცრი რეჟიმის შესუსტებისა და უფრო გახსნილი მომსახურებების მიწოდების მიზნით.

## ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში

„2012 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 30 ივლისის №912 დადგენილების თანახმად, პარლამენტმა აღნიშნული ანგარიში მიიღო, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტობრივი ინფორმაცია 2012 წელს ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის თაობაზე. საქართველოს პარლამენტმა ასევე გაიზიარა ის რეკომენდაციები, რომლითაც საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართა და დაადგინა:

- ბავშვთა სიღარიბის მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, შეიმუშაოს ბავშვებზე მეთვალყურეობის ერთიანი, პრაქტიკული და რეალურ პირობებთან ადაპტირებული სტანდარტი მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებისათვის ბენეფიციართა ზრდა-განვითარებისა და ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის გაუმჯობესების მიზნით და მცირე საოჯახო ტიპის სახლების რაოდენობა შეუსაბამოს ბენეფიციართა საერთო რაოდენობას;
- უზრუნველყოს მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებით“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებისათვის შინაგანაწესის და მისი ყველა კომპონენტის სათანადო წესით შემუშავების სახით; სახელმწიფო ზრუნვისადმი დაქვემდებარებული ბავშვების მიმართ ძალადობისა და არაჰუმანური მოპყრობის თავიდან აცილების მიზნით, განხორციელდეს ეფექტიანი ღონისძიებები და უზრუნველყოფილ იქნეს ამ ბავშვთა ოჯახების რეინტეგრაციის აქტიური ხელშეწყობა.

2012 წელს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან მზრუნველობამოკლებული ბავშვების სფეროში გატარებული სწორი სისტემური ღონისძიებებისა, აღნიშნულ ბავშვთა სახლებში აღსაზრდელების ცხოვრების პირობები არ აკმაყოფილებს „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ მოთხოვნებს. მონიტორინგის შედეგებში აღნიშნულია:

„განსაკუთრებით თვალშისაცემია ერთიანი და ჩამოყალიბებული სახელმწიფო კონტროლის მექანიზმების არარსებობა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფომ მას შემდეგ, რაც კერძო ორგანიზაციებს გადააბარა მცირე საოჯახო ტიპის სახლების მართვა, გარკვეულწილად ინტერესი დაკარგა მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე ზრუნვის სფეროს გაუმჯობესებისადმი“.

ბავშვთა სახლებში საქართველოს სახალხო დამცველის რეგულარული გეგმური მონიტორინგის დროს იკვეთება არაერთი პრობლემა, რომელთა შეფასება და სათანადო სახელმწიფო უწყებების მხრიდან მათზე ყურადღების გამახვილება ბავშვთა სახლებში შემდგომი გეგმური ვიზიტების აუცილებლობას გულისხმობს.

2014 წლის თებერვალში, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა მონიტორინგი განახორციელა მცირე საოჯახო ტიპის 30 ბავშვთა სახლში. კერძოდ, თბილისის (13 სახლი), რუსთავის (2 სახლი), დუშეთის (1 სახლი), ახმეტის (1 სახლი), თელავის (3 სახლი), მცხეთის (2 სახლი), ხაშურის (4 სახლი), გორის (1 სახლი), კასპის (1 სახლი), გარდაბნისა (1 სახლი) და ლაგოდეხის (1 სახლი) მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში.

მონიტორინგის გუნდი დაკომპლექტდა ხუთ-ხუთი ექსპერტისაგან შემდგარ ორ ჯგუფად, სადაც შევიდნენ როგორც სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის, ასევე, ბავშვთა უფლებების ცენტრის თანამშრომლები (სულ 4 თანამშრომელი) და პრევენციის ეროვნული მექანიზმის 6 მოწვეული ექსპერტი - ფსიქოლოგები, ექიმები (ფსიქიატრი და 2 თერაპევტი), სოციალური მუშაკი, იურისტი.

მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში არსებული მდგომარეობის მონიტორინგი საერთაშორისო ინსტრუმენტებითა და ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად ჩატარდა. მონიტორინგის თითოეულმა ჯგუფმა შეამოწმა აღნიშნულ დაწესებულებებში ბავშვთა მდგომარეობის შესაბამისობა ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებთან, გარდა ამისა, მომსახურებისა და ბავშვებისადმი მოპყრობის ხარისხი, მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა, ასევე სახლების ინფრასტრუქტურა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. შეფასდა, აგრეთვე, 2012 წელს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების ხარისხი.

მიღებულმა შედეგებმა ცხადყო, რომ ბავშვზე ზრუნვის ამ სეგმენტში განსაკუთრებით აღსანიშნავია სისტემური დარღვევები, რომელთა გამოსწორებაც მნიშვნელოვან ძალისხმევასა და მეთოდურ მიდგომას მოითხოვს. მათ შორის უნდა აღინიშნოს ის ხარვეზები, რომელთა დაძლევა მოცემული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ვერ მოხერხდა. კერძოდ, კვლავ გამოწვევად რჩება ისეთი პრობლემები, როგორცაა აღმზრდელთა კვალიფიკაცია და სახელმწიფო ზრუნვისადმი დაქვემდებარებული ბავშვების ხარისხიანი ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული მომსახურება.

მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების სრული მონიტორინგის შედეგების სპეციალურ ანგარიშში, რომლის გამოცემაც 2014 წელს იგეგმება, ამ სფეროში არსებული პრობლემები დეტალურად იქნება განხილული.

## ფიზიკური გარემო

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად,<sup>109</sup> „ყველა ბავშვს აქვს უფლება, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი თუ სოციალური განვითარებისთვის.“ სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ვალდებულია, უზრუნველყოს შესაბამისი პირობები ამ ვალდებულების განხორციელებისთვის. ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისთვის საჭიროა ნორმალური, ოჯახის გარემოსთან გათანაბრებული გარემო.

ბავშვთა საადამიანური ტიპის დიდი დაწესებულებებიდან მცირე საოჯახო ტიპის სახლებზე გადასვლის შემდეგ, მკვეთრად გაუმჯობესდა ბენეფიციართა საცხოვრებელი პირობები. ინდივიდუალური საჭიროებები და ინფრასტრუქტურა მიახლოებულია ოჯახურ პირობებთან. შენობებსა და ეზოებში დაცულია სისუფთავე. ეზოები შემოსაზღვრულია მესრით. ერთ ბენეფიციარზე გათვალისწინებულია არანაკლებ 6 კვ.მ ფართობი. თითქმის ყველა სახლი უზრუნველყოფილია: ცენტრალური გათბობის სისტემით, ავეჯით, საყოფაცხოვრებო და სხვა ტექნიკით, ინვენტარით, ჰიგიენური ნორმების დასაცავად საჭირო ნივთებით, ტელეფონით, ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, კეთილმოწყობილი სააბაზანო-საპირფარეშოებითა და სამზარეულო-სასადილოებით. ბავშვები უზრუნველყოფილი არიან საკუთარი პირადი კუთხით და ტანსაცმლისა და ნივთების შესანახი სათავსოებით. ფანჯრებს ყველგან აქვს ფარდები. საძინებლები აღჭურვილია თანამედროვე ტიპის ხის საწოლებით, თეთრეულით, კარადებით, ტუმბოებით, ბენეფიციართა სამეცადინო მაგიდებითა და სკამებით.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მონიტორინგის შედეგად, ზოგიერთ მცირე საოჯახო ტიპის სახლში გამოვლინდა ნაკლოვანებები, რომლებიც დროულ გამოსწორებას საჭიროებს. კერძოდ: სახლის მდებარეობა ართულებს ხელმისაწვდომობას ბავშვების ფორმალურ/არაფორმალურ განათლებასა და ჯანდაცვაზე; სახურავიდან<sup>110</sup> ჩამოსული<sup>111</sup> ბუნებრივი ნალექის გამო, დაზიანებულია ჭერი და კედლები; სახლს ამორტიზებული აქვს<sup>112</sup> კარ-ფანჯრები, რის გამოც ვერ ხერხდება შენობაში ტემპერატურის სტაბილურობის უზრუნველყოფა, არ მუშაობს სამზარეულოსა და სველი წერტილების ჰაერის გამწოვები, 2007 წლის შემდეგ არ განახლებულა ინვენტარი, რის გამოც ბავშვებს პირადი ნივთები სკამებზე უწყვიათ; ბავშვების ოთახებში<sup>113</sup> არ ინთება ელექტრონათურა, რის გამოც მათ მაგიდის ნათურის შუქზე უწევთ მეცადინეობა. არ არის ინტერნეტის ქსელი. სახლს წყალი მიეწოდება გრაფიკით, ამიტომ წყალს აგროვებენ ავზში, რომელიც განთავსებულია 15 კვ.მ ოთახში, სადაც ჭერი და კედლები ნესტიანი და დაობებულია; სახლში არსებული

<sup>109</sup> „ბავშვის უფლებათა კონვენცია“; 27-ე მუხლის პირველი ნაწილი;

<sup>110</sup> თბილისი, ყიფშიძის ქ.№9 „ჩემი სახლი“;

<sup>111</sup> მცხეთა, სოფ. გალაგანი „Divine Child Georgia“;

<sup>112</sup> რუსთავი, მე-11 მ/რ 1-კორპ, მე-7 სარ. ბინა 40/21 „პარტნიორობა ბავშვებისთვის“;

<sup>113</sup> თელავი, „ბრეს საქართველო“ გ.ორბელიანის №6;

ტემპერატურა არ აკმაყოფილებს მოთხოვნილ ნორმას; ბუნებრივ აირზე მომუშავე ცენტრალური გათბობის გამაცხელებელი მოწყობილობიდან<sup>114</sup> გამონაბოლქვი გადის კედლის გარეთა მხარეს – მილი იმდენად მოკლეა, რომ გამონაბოლქვი ოთახებში აღწევს და ინტოქსიკაციის საფრთხეს ქმნის. ამის გამო, ბავშვები თავიანთ ოთახებში ფანჯრებს ვერ აღებენ.

თბილისის ერთ-ერთი სააღმზრდელო დაწესებულების შენობის<sup>115</sup> გარშემო ავტომობილების სარემონტო ცენტრია განთავსებული, სადაც დგას სარემონტო ავტომანქანები, მიმდინარეობს სამღებრო და სხვა აღდგენითი სამუშაოები, ნავთობით ირეცხება ძრავის ნაწილები, დგას მძაფრი სპეციფიკური სუნი. გარდა ამისა, იქვე, 80 მეტრის მანძილზე, მდებარეობს ავტომანქანების გაზით გასამართი პუნქტი.

თითქმის ყველა მსტ სახლის სველ წერტილებში კბილის ჯაგრისები დამცავი საშუალებებისა და მაიდენტიფიცირებელი ნიშნების გარეშე, საერთო სარგებლობის ჭიქებში ინახება.

მონიტორინგის დროს დადგინდა, რომ მთელ რიგ სახლებში: ბავშვებს პირად სარგებლობაში არა აქვთ პირსახოცები, სააბაზანოებსა<sup>116</sup> და ტუალეტებში<sup>117</sup> არ ფუნქციონირებს ვენტილაცია – იგივე მდგომარეობაა ასოციაცია „საქართველოს SOS ბავშვთა სოფლის“ ყველა სახლში; არ ფუნქციონირებს გამწოვი<sup>118</sup>, რის გამოც მთელ სახლში დგება საჭმლის სუნი; ოთახებში<sup>119</sup> შეინიშნება ოფლისა და ჭუჭყის მძაფრი სუნი.

სახლის ეზოში<sup>120</sup> მოთავსებულია აზიური ტიპის საერთო სარგებლობის საპირფარეშო ჩამრეცხი ავზისა და ხელსაბანი ნიჟარის გარეშე, საპირფარეშოში არ არის ჰიგიენის შესაბამისი ნივთები. ამ სახლს, შხაპითა და უნიტაზით აღჭურვილი, 3,700 კვ.მ ფართობის, საერთო სარგებლობის სველი წერტილი შენობაშიც გააჩნია, თუმცა, აღნიშნული პირობების გამო, იკვეთება დამატებითი სანიტარიული კვანძის საჭიროება.

აღსანიშნავია ისიც, რომ მსტ სახლების უმეტესობაში, სანაგვე ურნებს არა აქვს თავსახურები. აღნიშნული ეხება როგორც სახლში, ისე ეზოში განთავსებულ სანაგვე ურნებს; თვალშისაცემია ბენეფიციარების ასაკის შესაფერისი სათამაშოების ნაკლებობაც. მსტ სახლებში არ გააჩნიათ სპორტული აქტივობებისთვის საჭირო ინვენტარი და ამ ინვენტარის შესანახი კუთხე.

<sup>114</sup> ხაშური, შოლას ქ. №1 საზოგადოება „ბილიკი“.

<sup>115</sup> თბილისი, ერისთავის ქ. №2 „საქართველოს კარიტასი“ „იმედის სხივი“;

<sup>116</sup> გორი, თავზიშვილის ქ. №20, საზოგადოება „ბილიკი“;

<sup>117</sup> ხაშური, შოლას ქ. №1 საზოგადოება „ბილიკი“; ხაშური იმერეთის ქ. №20 საზოგადოება „ბილიკი“;

<sup>118</sup> თბილისი, ერისთავის ქ. №2 „იმედის სხივი“;

<sup>119</sup> დუშეთი, ნ.შამანაურის ქ. №94;

<sup>120</sup> ახმეტა, ვაჟა-ფშაველას ქ. №1, შესახვევი 1, „თელავის განათლებისა და დასაქმების ცენტრი“;



თბილისში მდებარე ორი<sup>121</sup> მცირე საოჯახო ტიპის სახლი განთავსებულია მეორე სართულზე, სადაც მოხვედრა გარე ღია კიბითაა შესაძლებელი. აღნიშნული კიბეები მოპირკეთებულია მეტლახით. კიბეები არ არის გადახურული და ბუნებრივი ნალექის დროს იზრდება კიბეზე ფეხის მოცურების რისკი.

მონიტორინგის დროს გამოვლინდა, რომ მთელ რიგ სახლებში არა აქვთ საევაკუაციო გეგმები ან არის,<sup>122</sup> მაგრამ მოძველებულია. ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები კი, უმეტეს შემთხვევებში, არათვალსაჩინო ადგილებშია განთავსებული; აღმზრდელებსა და ბენეფიციარებს, პრაქტიკულად, არა აქვთ ინფორმაცია ბუნებრივი კატასტროფებისგან გამოწვეულ რისკებზე (საფრთხეებზე), მათი თავიდან არიდებისა თუ შემცირების შესაძლებლობებზე.

ტელეფონით უზრუნველყოფილი არ არის სოფელ გლდანში<sup>123</sup>, გორსა<sup>124</sup> და ხაშურში<sup>125</sup> მდებარე სახლები. რუსთავში<sup>126</sup> მდებარე დაწესებულებაში ტელეფონი დერეფანშია დამონტაჟებული, საიდანაც მობილურ ოპერატორზე დარეკვა გათვალისწინებული არ არის. უხარისხო ტელეტრანსლაციის გამო, ბავშვები ტელეგადაცემებს აღარ უყურებენ.<sup>127</sup>

#### რეკომენდაციები:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს:

- უზრუნველყოს კონკრეტული მსტ სახლების კეთილმოწყობა, შეიქმნას ბავშვებისთვის სათანადო საცხოვრებელი პირობები;
- უზრუნველყოს რეგიონებში არსებულ მსტ ბავშვთა სახლებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და ტელევიზიის გამართული მუშაობა;
- უზრუნველყოს ჰიგიენური ნორმების დაცვის რეგულარული კონტროლი;
- უზრუნველყოს აღმზრდელების გადამზადება ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვის საკითხებზე;
- შემუშავდეს მსტ სახლების ერთიანი საევაკუაციო გეგმა;
- უზრუნველყოს მსტ სახლები ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით.

<sup>121</sup> თბილისი, ერისთავის ქ.№2 „საქართველოს კარიტასი“; თბილისი, ერისთავის ქ. №2 „საქართველოს კარიტასი“ „იმედის სხივი“.

<sup>122</sup> თბილისი, ყიფშიძის ქ. №9 „ჩემი სახლი“;

<sup>123</sup> სოფელი გლდანი, 26 მაისის ქ. 41ბ; „საქართველოს კარიტასი“;

<sup>124</sup> გორი, თავზიშვილის ქ. 20; საზოგადოება „ბილიკი“;

<sup>125</sup> ხაშური, შოლას ქ. №1; ხაშური, იმერეთის ქ. №20; საზოგადოება „ბილიკი“;

<sup>126</sup> რუსთავი, ბარათაშვილის ქ. №19/30, „ბავშვი და გარემო“;

<sup>127</sup> რუსთავი; ბარათაშვილის ქ. №19/30, „ბავშვი და გარემო“.

## ბენეფიციართა ჯანმრთელობის დაცვის უფლება

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის<sup>128</sup> მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ბენეფიციარები უნდა იზრდებოდნენ ისეთ გარემოში, სადაც წახალისებულია ცხოვრების ჯანსაღი წესი და სათანადო ყურადღება ექცევა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას.

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ხორციელდება „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 135-ე მუხლის შესაბამისად, სადაც მითითებულია, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებას ობოლი და მშობლების ზრუნვას მოკლებული, ფიზიკური და ფსიქიკური დეფექტების მქონე ბავშვებისათვის განკუთვნილ დაწესებულებებში.

მსტ სახლების მონიტორინგისას გამოვლინდა ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დღემდე არსებული როგორც სისტემური ხარვეზები, ისე სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ცალკეული შემთხვევები.

## სამედიცინო დოკუმენტაცია

მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში ბენეფიციართა განთავსებისას, სხვა აუცილებელ დოკუმენტებთან ერთად, აუცილებელია წარმოდგენილი იყოს ჯანმრთელობის მდგომარეობის ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა N IV-100/ა).<sup>129</sup> დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ბენეფიციარები აღნიშნული სამედიცინო ფორმის გარეშე იყვნენ განთავსებული მსტს-ებში.<sup>130</sup> ზოგჯერ აღმზრდელები სამედიცინო ფორმის არარსებობას პირადობის მოწმობის უქონლობით ხსნიან. ხშირ შემთხვევებში, სამედიცინო დოკუმენტაცია არასრულყოფილადაა წარმოდგენილი, შეიცავს მწირ ინფორმაციას, არ ასახავს ბენეფიციართა ჯანმრთელობის რეალურ მდგომარეობას.

არის შემთხვევები, როდესაც მსტს-ის გამოცვლისას ყოვნდება ბავშვის სამედიცინო დოკუმენტაციის გადმოტანა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რაც, როგორც წესი აფერხებს სამედიცინო მომსახურების მიწოდებას.<sup>131</sup> ასევე იყო შემთხვევები, როდესაც

<sup>128</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება №66, 2014 წლის 15 იანვარი, ტექნიკური რეგლამენტი– ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ.

<sup>129</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №52/ნ ბრძანება „სპეციალიზირებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ,“ მუხ. 6.

<sup>130</sup> „მომავლის გზა,“ 6 ბენეფიციარი; ხაშური, შოლას ქ.№1, ორი ბენეფიციარი; „საქართველოს კარიტასი“ ბუჟანიშვილის ქ. №8, „საქართველოს კარიტასი,“ „ათი მნათი,“ ერთი ბენეფიციარი.

<sup>131</sup> ასეთია: „საქართველოს კარიტასი,“ ბუჟანიშვილის ქ.№ 8, ორი ბენეფიციარი; „იმედის სხივი,“ ერთი ბენეფიციარი; სოფ. გლდანო, ორი ბენეფიციარი.

ბავშვის წარსული სამედიცინო დახმარების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება საერთოდ ვერ მოხერხდა.

2012 წელს განხორციელებული მონიტორინგისგან განსხვავებით, დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს, რომ მსტს-ებში ინახებოდა ბენეფიციარის საავადმყოფოში მოხვედრის შემთხვევაში შევსებული სამედიცინო დოკუმენტაცია, ფორმა N-IV-100/ა, ზოგ შემთხვევებში არცთუ სრულყოფილი, თუმცა ექიმის რეკომენდაციების გარკვევა მაინც შესაძლებელი გახდა.

პრობლემად რჩება სოციალური მუშაკის როლი ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის ადმინისტრირების სფეროში. სოციალური მუშაკის მიერ შედგენილ ინდივიდუალური განვითარების გეგმებში, უმრავლეს შემთხვევაში, პუნქტი „ჯანმრთელობის მდგომარეობა“ ფორმალურადაა შევსებული.<sup>132</sup> ინდივიდუალური გეგმების გადასინჯვისას, შეფასებები მეორდება, რაც არ ასახავს ბავშვის ჯანმრთელობის რეალურ მდგომარეობას და საჭიროებებს. ეს გარემოება მიაჩნდება სოციალური მუშაკებისა და აღმზრდელების თანამშრომლობის დეფიციტზე.

გასული წლის მონიტორინგის მსგავსად, არც ვაქცინაციის შესახებ ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებით შეცვლილა ვითარება. ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის თანახმად, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ბენეფიციართა იმუნიზაციისა და სამედიცინო-პროფილაქტიკური შემოწმების პროცესის ხელშეწყობა. მიგვაჩნია, რომ ვაქცინაციის შესახებ ინფორმაცია ასახული უნდა იყოს მსტ სახლში არსებულ ინდივიდუალური განვითარების გეგმაშიც.

### **სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა**

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის თანახმად, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ბენეფიციართა იმუნიზაციისა და სამედიცინო პროფილაქტიკური შემოწმების პროცესის ხელმისაწვდომობა.<sup>133</sup> უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებთან შედარებით, ეს ვალდებულება კარგად არის გაცნობიერებული. იგრძნობა მსტს-ს აღმზრდელების მონდომება და დასაფასებელია მათ მიერ გაწეული შრომა ბენეფიციართა ჯანმრთელობის მონიტორინგისა და პროფილაქტიკური შემოწმების კუთხით.

რიგ შემთხვევებში პოლიკლინიკა, რომელშიც მსტ სახლის ბენეფიციარები არიან აღრიცხვაზე, შორს მდებარეობს, რაც ართულებს ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის

<sup>132</sup> მაგ: საზოგადოება „ბილიკი“ მსტს ხაშური, შოლას ქ. №1, „საქართველოს კარიტასი,“ მსტს „იმედის სხივი.“

<sup>133</sup> მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

მონიტორინგს.<sup>134</sup> ზოგიერთ შემთხვევაში კი ბენეფიციარებს ექიმ სპეციალისტთან კონსულტაციის გავლის მიზნით მთელი დღე უწყვეტ რიგში ლოდინი.

მსტ ბავშვთა სახლების ბენეფიციართათვის ხორციელდება ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება, უმეტესწილად, ტერიტორიული მდებარეობის პრინციპით, პირველადი ჯანდაცვის ობიექტებში, ხოლო სტაციონარული მომსახურება – თბილისის ბავშვთა საავადმყოფოებსა და რეგიონულ სამედიცინო ცენტრებში.

სამედიცინო მომსახურება მსტს-ს ბენეფიციარებისათვის უზრუნველყოფილია სახელმწიფო სადაზღვევო ვაუჩერით, თუმცა სახალხო დამცველის წინა ანგარიშებშიც მრავალჯერ იქნა აღნიშნული, რომ ვაუჩერის ფარგლებში დაფინანსებისას, არ არის გათვალისწინებული ბავშვთა და მოზარდთა ასაკის თავისებურებები და საჭიროებები, რაც აისახება სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის ეფექტურობაზე. მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ იყო შემთხვევები, როცა ბავშვები საჭიროებდნენ სამედიცინო დახმარებასა და ინტერვენციას, თუმცა სამედიცინო მომსახურების მიწოდება გაჭიანურდა დაზღვევასთან დაკავშირებული პრობლემების გამო.

მოზარდობის ასაკში ხშირია ენდოკრინული და სქესობრივი მომწიფების დარღვევები, საჭირო ხდება მხედველობის კორექცია და სათვალის შექმნა. სამედიცინო კვლევები, როგორც წესი, ფინანსდება პროვაიდერი ორგანიზაციების მიერ. სადაზღვევო პაკეტი ვერც სტომატოლოგისა და ორთოდონტის მომსახურებას ფარავს. არსებობს სტომატოლოგიური მომსახურების პრაქტიკა კერძო სტომატოლოგიურ ცენტრებში, რასაც მსტ სახლების პროვაიდერი კონტრაქტის საფუძველზე უზრუნველყოფს.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი პროვაიდერის ძალისხმევით, ბენეფიციარებს უტარდებათ ძვირადღირებული გამოკვლევები და ოპერაციები.

### **ინფექციური დაავადებების მართვა**

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის თანახმად, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომად ჰქონდეს შინაგანაწესი, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, შეიცავს ინფექციური დაავადებების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებულ წესებს. ძირითადი წესები (ოთახის ხშირი განიავება, ხელების დაბანა და ა.შ), იშვიათ შემთხვევებში, აღმზრდელების ოთახშია გამოკრული, უმეტესად, სამუშაო ბაინდერებშია მოთავსებული, ზოგიერთ სახლში კი საერთოდ არ არსებობს.

<sup>134</sup> „საქართველოს კარიტასი“ ბეჟანიშვილის ქ. №8; მსტს „სათნოება.“

ინფექციური დაავადების შემთხვევაში ბავშვების იზოლაციის პრობლემა მოუგვარებელია. დამატებითი ოთახი მხოლოდ „SOS ბავშვთა სოფლის“ სახლებს აქვს. 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პირველად განხორციელდა გრიპის ვაქცინაცია. მსტს-ს ბენეფიციართა უმრავლესობას ჩაუტარდა გრიპის საწინააღმდეგო აცრები.

### **მედიკამენტებით უზრუნველყოფა და მკურნალობის მონიტორინგი**

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა გულისხმობს ექიმის კონსულტირებას და მკურნალობას. სამკურნალო საშუალებების მიღების წესების დაცვას არსებითი მნიშვნელობა აქვს მკურნალობის ეფექტიანობისთვის. მსტ სახლებში მოეპოვებათ პირველადი სამედიცინო დახმარებისა და სხვა კონკრეტული დანიშნულების მედიკამენტები. აღმზრდელების უმეტესობას არა აქვს მკაფიო წარმოდგენა ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების მიღების ჩვენებასა და მოსალოდნელ საფრთხეებზე.

### **რეკომენდაციები:**

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:**

- დანერგოს სამედიცინო დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოების პრაქტიკა;
- უზრუნველყოს ბენეფიციართათვის ადეკვატური სამედიცინო მომსახურების დროული მიწოდება;
- გადაამოწმოს მსტს ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობა, შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტების (სამედიცინო ფორმა N IV-100/ა-ს) წარმოების ხარისხი, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ადეკვატურობა;
- ხელი შეუწყოს მსტ სახლებში ბენეფიციართა ფიზიკური აქტივობის გაძლიერებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას;
- სრულად დაიცვას ინფექციის კონტროლის მოთხოვნები. უზრუნველყოს აღმზრდელთა და ბენეფიციართა ინფორმირებულობა გადამდები დაავადებების შესახებ;
- უზრუნველყოს მსტ სახლებში მედიკამენტების უსაფრთხო შენახვა და მედიკამენტების მიღების დოკუმენტირება.

### **კვება და დღის რაციონი**

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის თანახმად, მომსახურების მიმწოდებელი, 24 საათიანი მომსახურებისას, ვალდებულია, ბენეფიციარები უზრუნველყოს ოთხჯერადი ჯანსაღი კვებით. მონიტორინგმა გამოავლინა, რომ სრულფასოვანი კვების ნორმები მსტს-ებში, ხშირ



შემთხვევაში, არ არის დაკმაყოფილებული. წინა წლის მსგავსად, კვლავ გამოიკვეთა ჯანსაღი, უსაფრთხო და სრულფასოვანი კვების შესახებ სათანადო ინფორმაციის დეფიციტი. აღმზრდელების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათ არა აქვთ მითითება ან ნორმატიული დოკუმენტი სრულფასოვანი, ბალანსირებული კვების ან ასაკის შესაბამისი საკვების ოდენობისა და საკვები ინგრედიენტების შესახებ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, სახელმწიფოს მომსახურების მიმწოდებლებისთვის, კვებასთან დაკავშირებით, რაიმე სახის რეკომენდაცია არ გაუცია, ვინაიდან არ არსებობს კვების ნორმების მარეგულირებელი სტანდარტი. აქედან გამომდინარე, აღმზრდელები ბავშვის ულუფას განსაზღვრავენ „ოჯახში გამოცდილების“ მიხედვით. თითქმის ყველა სახლში პური მოიხმარება ჭარბი ოდენობით; ხშირ შემთხვევაში დაკმაყოფილებულია ბავშვების სურვილი, იკვებონ უპირატესად ძეხვეულით, გაყინული ხინკლით, ჭარბად მიიღონ ტკბილეული. აღნიშნული არ პასუხობს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს – ორგანიზმის ჯანსაღი ზრდა – განვითარების მოთხოვნებს.

სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო ოდენობის საკვებით მისი ასაკის გათვალისწინებით. მონიტორინგმა გვიჩვენა, რომ მსტ სახლებში მენიუ არ იყო შედგენილი ამ მოთხოვნების მიხედვით. ხშირად ექვს იწვევს მენიუს რეალურობაც. მსტს-ების მენიუ ფორმალურია და გამოირჩევა ერთფეროვნებით, ხშირად არ ემთხვევა მომზადებულ საკვებს, მათი ჩამონათვალი ვრცელია, რაციონი - არაბალანსირებული. ოთხჯერადი კვების ნაცვლად გაწერილია სამჯერადი კვება გადაჭარბებული ძეხვეულით; ჩანაწერები არ იწარმოება მიღებულ/მიუღებელ/ჩანაცვლებულ საკვებთან დაკავშირებით; რთული დასადგენია, რამდენად განხორციელდა ბავშვზე ზრუნვის სტანდარტში მითითებული „სათანადო ოდენობის საკვების“ მიღების მოთხოვნა. მენიუები არ არის მორგებული ბენეფიციართა სასკოლო ცხრილზე; აქვე უნდა აღინიშნოს დადებითი პრაქტიკა: მსტ სახლში, „ჩემი სახლი“, ორგანიზებულია სრულფასოვანი კვება – ჰყავთ მზარეული, გაწერილი მენიუ გულისხმობს ოთხჯერად კვებას, ხოლო კვების საათები ბენეფიციართა სკოლის განრიგზეა მორგებული.

ბენეფიციარების კვებით უზრუნველყოფის შემოწმებისას, ყურადღებას იპყრობს ერთი მხრივ, საკვები პროდუქტების არათანაბარზომიერი განაწილება, ხოლო მეორე მხრივ, საკვები პროდუქტების სიმწირე და მენიუში ხილის გაუთვალისწინებლობა. თუმცა მონიტორინგის დროს, ადგილებზე საწყობში იყო ხილი: ვაშლი, ფორთოხალი და მანდარინი.

ერთ-ერთ მსტს-ში ასეთი დარღვევაც აღინიშნა: ბენეფიციართა ინტერვიურების შედეგად გაირკვა, რომ აღმზრდელ-მამობილის ახლობლები ხშირად მათთან ერთად, მსტს-ში იკვებებიან, რის გამოც ბავშვებისთვის საკმარისი საჭმელი აღარ რჩება.

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტი მიუთითებს, რომ მომსახურების მიმწოდებელმა საკვების შეზღუდვა არ უნდა გამოიყენოს, როგორც დისციპლინური ზომა. ამ მხრივ, გამოვლინდა

სხვადასხვა სახის დარღვევები: ერთ-ერთი მსტს-ს წესებში წერია, „თუ ბავშვმა შეგნებულად გამოტოვა საუზმე, მას წილს არ ვუნახავთ, თუმცა სამზარეულოში ყოველთვის იქნება მცირედი წასახემსებელი“.

ბენეფიციარებმა აღნიშნეს: „თუ ბავშვი არ გარეცხავს თავის თევზს, ის დაისჯება; ავა მეორე სართულზე თავის ოთახში და მანამ არ ჩამოვა, სანამ ბოდიშს არ მოიხდის და თანხმობას არ განაცხადებს თევზის გარეცხვაზე. ყოფილა შემთხვევები, რომ დასჯა სადამომდე გაგრძელებულა და ბავშვი ვახშმის გარეშე დარჩენილა.“

### **საკვები პროდუქტების ხელმისაწვდომობა და უვნებლობა**

მსტ სახლებში საკვები პროდუქტების შეძენას მომსახურების მიმწოდებელი უზრუნველყოფს სავაჭრო ცენტრებთან და ცალკეულ მაღაზიებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. პროდუქტის შეძენა შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონული ზედნადების გაცემის შემთხვევაში. ამის შესაძლებლობა რეგიონებში იშვიათადაა. მთელ თემში შეიძლება მხოლოდ ერთ მაღაზიას ჰქონდეს მსგავსი მომსახურება. ამიტომ აუცილებელი ხდება მენიუს მორგება ამ მაღაზიაში არსებულ არჩევანთან. ამით იზღუდება საკვები პროდუქტების ხელმისაწვდომობა და მრავალფეროვნება. გარდა ამისა, მსტს-ებს არა აქვთ თავისუფალი განკარგვისათვის გამოყოფილი თანხა.

აღმოჩნდა, რომ აღმზრდელები შეძენილ საკვებ პროდუქტებზე სრულყოფილ, კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას არ ფლობენ. ხშირად აღმზრდელებმა არ იციან, რა სახის ინფორმაციას უნდა მიაქციონ ყურადღება საკვები პროდუქტების შეძენისას და ამბობენ, რომ „ისე ყიდულობენ, როგორც ყოველთვის“, ან „როგორც სახლისთვის ვყიდულობთ“.

მსტს-ებში ინახებოდა ვადაგასული საკვები პროდუქტები, როგორცაა ქათამი, ხორცის ფარში. ვარგისიანობის შესახებ წარწერები არ იყო ხორცის პროდუქტებზე, გატარებულ ხორცზე, ქათმის ბარკლებზე, სოსისზე, თევზზე. სამზარეულოს კარადებში ბურღულეული, ლობიო, ინახება ვადების მითითების გარეშე. აღსანიშნავია ასევე, რომ ზოგიერთ სახლში წინა დღეების სადილის ნარჩენების გამოყენების შემთხვევებიც გამოვლინდა.

### **წყლის უვნებლობა**

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, ბავშვს აქვს უფლება, უზრუნველყოფილი იყოს საკმაო რაოდენობით სურსათითა და სასმელი წყლით. ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის მიხედვით, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, ბენეფიციარები დღე-ღამის განმავლობაში უზრუნველყოს საკმარისი რაოდენობის უვნებელი წყლით. მსტ სახლების ლიდერები, უმეტესწილად, არ ფლობენ ინფორმაციას მათ მიერ მოხმარებული წყლის

უვნებლობაზე. რეგიონებში წყლით ჭიდან მარაგდებიან, წყალი გროვდება სპეციალური ფილტრის მქონე რეზერვუარში და შემდეგ ნაწილდება მთელ სახლში. მსტ ბავშვთა სახლის წარმომადგენლები, უმეტეს შემთხვევაში, ვერ იხსენებენ, როდის გაიწმინდა უკანასკნელად ავზი. მსტს-ების ნაწილმა ვერ წარმოადგინა ავზიდან გამომავალი წყლის ვარგისიანობის სერტიფიკატი. თუმცა ზოგიერთ სახლში განმარტეს, რომ ამ წყალს არ იყენებენ არც დასალევად და არც საჭმლის მოსამზადებლად. სარეზერვო ავზებიდან წყალს იყენებენ რეგულარულად, შესაბამისი სანიტარული ღონისძიებების ჩატარებლად და შეუმოწმებლად. აღნიშნული პრაქტიკა რისკის ქვეშ აყენებს მსტ სახლების ბენეფიციართა ჯანმრთელობას.

## რეკომენდაციები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- ბავშვზე ზრუნვის სტანდარტში განისაზღვროს კვების ნორმების მარეგულირებელი სტანდარტი, სადაც გაწერილი იქნება ბავშვისა და მოზარდის ჯანსაღი კვების პრინციპები, საკვების ბალანსირებისა და საკვები პროდუქტების უსაფრთხოების ნორმები;
- უზრუნველყოს აღმზრდელების გადამზადება ბავშვის ზრდა-განვითარების, საკვები პროდუქტების უვნებლობისა და ბალანსირებული კვების საკითხებში, გარდა ამისა, ბავშვებისა და მოზარდების ტრენინგები ჯანსაღი კვების საკითხებში; ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების გათვალისწინებით, მომზადდეს და მსტ ბავშვთა სახლებში გავრცელდეს შესაბამისი სახელმძღვანელოები;
- მიღოს სათანადო ზომები, რათა საკვები პროდუქტების შექმნა განხორციელდეს შეუფერხებლად;
- პერიოდულად შემოწმდეს წყლის ვარგისიანობა.

## ბავშვის ფსიქიკური ჯანმრთელობა

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ დაბალია ბავშვზე ზრუნვის პროცესში ჩართულ პირთა კვალიფიკაცია ბავშვის ფსიქო-ემოციური განვითარების სფეროში. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვის ფსიქიკურ ჯანმრთელობას, არ არის გათვალისწინებული ბავშვების სტრეს-მოწყვლადობა, ადეკვატური ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული დახმარებითა და შესაბამისი ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამებით მათი უზრუნველყოფა. ეს კი ბავშვის სოციალურ გარემოსთან დეზადაპტაციის, ემოციური და ქცევითი აშლილობების, რთული და ძალადობრივი ქცევის, რიგ შემთხვევებში, ბავშვის ქცევის კრიმინალიზაციის საფუძველია.

ფსიქოლოგიური დახმარება ერთეული კონსულტირებით შემოიფარგლება, დაგვიანებით ან საერთოდ არ იმართება და ამოიცნობა ბავშვის ფსიქიატრიული პრობლემები. ფსიქიატრიული დახმარების მიწოდება მხოლოდ კრიზისული სიტუაციის ჩამოყალიბების შემდეგ იწყება და არ ატარებს ადეკვატურ ხასიათს.

სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ზრუნვის ქვეშ მყოფი ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას და მათ სამართლებრივ დაცვას. სახელმწიფოს არ აქვს შემუშავებული ბავშვის ფსიქოლოგიური დახმარების სტანდარტები.

### **კონკრეტულ მსტ სახლებში გამოვლენილი საჭიროებები (ფსიქიკური ჯანმრთელობა):**

მსტს „მომავლის გზაში“ (სიღარიბის დაძლევისა და გადაუდებელ დახმარებათა ფონდის საქველმოქმედო სახლი, „მომავლის გზა“) არსებული სიტუაცია არაკეთილსამედოა ბენეფიციართა ფსიქო-ემოციური და კოგნიტური განვითარებისათვის. არ არის დამკვიდრებული ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომა, პერსონალი არ ფლობს შესაბამის ცოდნას, გამოცდილებასა და უნარებს, მართონ ბენეფიციართა ქცევა; არ არსებობს ქცევის მართვის რაიმე მოდელი, აღზრდის პროცესი სრულიად ქაოტურია. დაწესებულებაში იკვეთება აღზრდელების მხრიდან ძალადობრივი დამოკიდებულება ბენეფიციარებისადმი, რაც მათზე ფიზიკურ ძალადობასა და ბავშვების საჭიროებების უგულვებელყოფაში გამოიხატება. შეინიშნება ბენეფიციარებისადმი დისკრიმინაციული დამოკიდებულება. აღზრდელი, რომელსაც ჩვენ ვესაუბრეთ, არ არის ინფორმირებული საკუთარი აღსაზრდელების ტრავმული გამოცდილების შესახებ. არ არის დაცული თანაფარდობა აღზრდელებისა და ბენეფიციარების რაოდენობას შორის. არ არსებობს დოკუმენტაცია, სადაც აღწერილი იქნებოდა მსტ სახლში ბენეფიციარებისადმი გაწეული მომსახურება. პერსონალი არ ფლობს ბენეფიციართა ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებების იდენტიფიცირების უნარ-ჩვევებს. ამდენად, ბავშვების მდგომარეობა ამ მხრივ დიდი რისკის ქვეშ დგას. მონიტორინგის შედეგად, ვერ დადგინდა, ემსახურება თუ არა მსტს-ს ფსიქოლოგი. აღზრდელის თქმით, ფსიქოლოგი სისტემატურად დადის დაწესებულებაში, რასაც არცერთი ბენეფიციარი არ ადასტურებს.

კავშირის, „ბავშვი და გარემო“, მსტ სახლში (რუსთავი, ბარათაშვილის ქ. №19-30) არსებული სიტუაცია არასაკმარისია ბენეფიციართა ფსიქო-ემოციური და ინტელექტუალური განვითარებისათვის. აქ არ არის დამკვიდრებული ბავშვის მიმართ ინდივიდუალური მიდგომა და ის ფორმალურ ხასიათს ატარებს.

მიუხედავად იმისა, რომ აღზრდელებს გავლილი აქვთ ტრენინგები ძალადობის პრევენციისა და ბავშვთა უფლებების საკითხებზე, მაინც არ ფლობენ შესაბამის ცოდნას, გამოცდილებასა და უნარებს, მართონ ბენეფიციართა ქცევა. არ არის შემუშავებული ქცევის მართვის განსაზღვრული მოდელი. ჩვენს მიერ გამოკითხულ ბენეფიციართა ერთ ნაწილს

აქვს განცდა, რომ ისინი უგულბელყოფილი არიან. ბავშვების ნაწილი კი სახლში არსებული პირობებით, მათდამი მოპყრობითა და დამოკიდებულებით კმაყოფილია, რაც აღნიშნულ სახლში მცხოვრებ მოზარდთა მიმართ არათანაბარ დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

დასჯისა და წახალისების სისტემა მთლიანად მუქარაზე (პოლიციის გამოძახება) ან კომპიუტერით მანიპულაციაზეა აგებული, რაც ქვევითი სირთულების მანიფესტირებისა და კიბერ-დამოკიდებულების ჩამოყალიბების რისკებს ერთიორად ზრდის.

მსტს პერსონალი არ არის გარკვეული ფსიქიკური ჯანმრთელობის ზოგად საკითხებში. მათ, გარდა უმწვავესი, გადაუდებელი შემთხვევებისა, არ შესწევთ პრობლემის იდენტიფიკაციისა და მასზე დროული რეაგირების უნარი. ამ მიმართულებით ბენეფიციართა უფლებები დარღვეულია.

კურდღელაურის მსტ ბავშვთა სახლის (საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“) მონიტორინგის საფუძველზე შექმნილი სურათიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, არსებული სიტუაციის საგანგებოდ შესწავლა, რადგან თანამშრომელთა ურთიერთობაში არსებული დაძაბულობა და მოზარდებზე ემოციური ზეწოლის გამოვლენილი შემთხვევები ბენეფიციარებისათვის არასახარბიელო ფსიქოლოგიურ გარემოს ქმნის.

## რეკომენდაციები

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- უზრუნველყოს სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის სკრინინგული შეფასება. განახორციელოს ბენეფიციარების ადეკვატური ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული დახმარება შესაბამისი ფსიქო-სოციალური პროგრამების საშუალებით;
- ბავშვის ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული პრობლემების დროული იდენტიფიცირების მიზნით, უზრუნველყოს ბავშვზე ზრუნვის პროცესში ჩართული მუშაკების რეგულარული გადამზადება;
- შეიმუშაოს და განახორციელოს ბავშვზე ძალადობის დაძლევის ქმედითი მექანიზმები.

## მსტ ბავშვთა სახლების ბენეფიციართა განათლების უფლება

განათლების უფლება განმტკიცებულია საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 28-ე მუხლის თანახმად, ბავშვს აქვს განათლების



მიღების უფლება და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე, სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს ამ უფლების რეალიზებას.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებს, მათ შორის, აწესებს ზოგადი განათლების ღიაობისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპს, ინკლუზიური განათლების დანერგვას და სხვა. აღნიშნული ვალდებულებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც საქმე სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვებს ეხება.

მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სკოლის მოსწავლე ბენეფიციართა უმრავლესობა საჭიროებს დამატებით მეცადინეობას. ძირითადად, ეს ეხება ტექნიკურ საგნებსა და უცხო ენებს. მომსახურების მიმწოდებელთა ნაწილი ახერხებს დამატებითი მეცადინეობების კუთხით ბენეფიციართა საჭიროებების უზრუნველყოფას, აქვთ წრეები და, როგორც წესი, ჰყავთ მოხალისე მასწავლებლები. თუმცა, აუცილებელია ასეთი შესაძლებლობა გააჩნდეს ინსტიტუციაში მყოფ ყველა ბენეფიციარს, რომელსაც ამის საჭიროება აქვს. ეს საკითხი კარგად აქვს მოწესრიგებული ასოციაციას, „SOS ეს ბავშვთა სოფელი, საქართველო“.

აღსანიშნავია, რომ მსტს-ებს საგანმანათლებლო საჭიროებების უზრუნველყოფაში სხვადასხვა ორგანიზაციები ეხმარებიან, მაგრამ ვერც ისინი ფარავენ ყველა ბენეფიციარის საჭიროებას. ამ პრობლემის მოგვარება არ შეიძლება მხოლოდ ორგანიზაციების ქველმოქმედებაზე იყოს დამოკიდებული. აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან სისტემური მიდგომის შემუშავებაც.

ბენეფიციარები, უმეტესად, პროფესიული განათლების მიღებაზე არიან ორიენტირებული – მათ სურთ, სრულწლოვანების მიღწევისას, დამოუკიდებელ ცხოვრებას შედარებით მომზადებულები შეხვდნენ. ეს ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, თუმცა მეორე მხრივ, მხოლოდ დასაქმებასა და პირადი შემოსავალის მიღებაზე ორიენტირებულმა მიდგომამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების უგულებელყოფა. მისი შემეცნებითი მოტივაციის დაქვეითება. მომსახურების მიმწოდებლისა და ბენეფიციარის თვითმიზანი არ უნდა იყოს მხოლოდ სავალდებულო და პროფესიული განათლების მიღება, რაც საერთო ტენდენციას წარმოადგენს მსტ ბავშვთა სახლების უმრავლესობისათვის.

განათლების უფლების ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელთა კიდევ ერთ მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბენეფიციარის დაკავშირება შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ან სპეციალისტთან.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ უმეტესი მსტს-ს პერსონალის ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას ინკლუზიური განათლების შესახებ. მათთვის ასეთი საჭიროებების მქონე ბავშვების შემთხვევაში განსახორციელებელი რეაგირების თაობაზე ცნობილი არ არის.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების მქონე ბენეფიციართა იდენტიფიკაციასთან ერთად, მნიშვნელოვანია აგრეთვე, შედგენილი გეგმის რეალური განხორციელება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, მსტს ვალდებულია, ითანამშრომლოს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან და აკონტროლოს ეს პროცესი. ამ კუთხით, აღსანიშნავია სკოლის როლიც. მონიტორინგის დროს გამოვლინდა სკოლის მხრიდან თავისი ვალდებულებების უგულებელყოფის რამდენიმე შემთხვევა.

მომსახურების მიმწოდებლის კიდევ ერთი ვალდებულებაა, სისტემატური ზედამხედველობა გაუწიოს ბენეფიციარის საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასწრებას. მაგალითად, გორისა და ხაშურის მსტს-ებში ბენეფიციარები ხშირად აცდენენ სკოლას. მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებას ასევე წარმოადგენს ბენეფიციარის პრობლემების გამოვლენა სკოლასა თუ კოლეჯში. ეს ეხება როგორც საგანმანათლებლო საჭიროებებს, ასევე თავად საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბენეფიციარის სოციალურ ინტეგრაციას. ამისათვის აღმზრდელები მეტ-ნაკლებად მონდომებული არიან, ზოგიერთ შემთხვევაში კი ამ საკითხებს უგულებელყოფენ. გამოვლინდა ფაქტები, როდესაც აღმზრდელისთვის უცნობი იყო თანატოლებთან და პედაგოგებთან ურთიერთობაში ბავშვისთვის არსებული პრობლემების შესახებ.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ მსტს-ს ბენეფიციარების პრაქტიკულად სრული უმრავლესობისთვის უცნობია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შესახებ. აუცილებელია ბავშვის უფლებების საკითხებში ბენეფიციარებისა და აღმზრდელების ინფორმირებულობის გაზრდა.

### **არასრულწლოვანთა მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის**

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით, დაწესებულების დატოვების შემდეგ, მოზარდის ოჯახთან და საზოგადოებასთან ინტეგრაციის მიზნით და მისი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს იგი მხარდაჭერითა და ადეკვატური დახმარებით<sup>135</sup>. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი 2007 წლის დასკვნაში მოუწოდებს საქართველოს, შემოიღოს ზომები მზრუნველობის

<sup>135</sup> მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2005)5, *ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების მიმართ დახურული ტიპის დაწესებულებებში მყოფ ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით*, ძირითადი პრინციპები: „a child leaving care should be entitled to an assessment of his or her needs and appropriate after-care support in accordance with the aim to ensure the re-integration of the child in the family and society.“

ცენტრებიდან წასული ახალგაზრდების შემდგომი დახმარებისა და ზრუნვის უზრუნველსაყოფად<sup>136</sup>.

სახალხო დამცველმა 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, უზრუნველყოს დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდამჭერი ეფექტური პროგრამის შემუშავება შესაბამისი საჭიროების მქონე იმ ბენეფიციარებისათვის, რომლებიც სრულწლოვანების ასაკის მიღწევის გამო ტოვებენ მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებს, მათ შორის, მათი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებითა და დასაქმების ხელშეწყობით.

მონიტორინგის შედეგად ნათელია, რომ ამ მიმართულებით სახელმწიფოს სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია. რაც შეეხება მომსახურების მიმწოდებლებს, ისინი, წინა წლებისგან განსხვავებით, უფრო აქტიურად მონაწილეობენ ბენეფიციართა მომავლის დაგეგმვაში. სახელმწიფოს მხრიდან კი, ქმედითი ნაბიჯების გადადგმა აუცილებლობას წარმოადგენს.

პროვაიდერი ორგანიზაციები საკუთარი რესურსებითა და სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების დახმარებით ცდილობენ ბენეფიციართათვის პროფესიული განათლების მიცემას. დადებითად უნდა შეფასდეს ასევე, რომ ზოგი მათგანი ახერხებს მათ დასაქმებას და ბენეფიციარის საცხოვრებლის ქირის გადახდას მის სრულ დამოუკიდებლობამდე. თუმცა, ბუნებრივია, რომ შეზღუდული ფინანსური რესურსების გამო, ეს შესაძლებლობა ყველა ბენეფიციარისთვის ხელმისაწვდომი ვერ იქნება.

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტი ავალდებულებს მომსახურების მიმწოდებელს, მოამზადოს ბავშვი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და დაეხმაროს მას მომსახურების დატოვებაში. აღნიშნული სტანდარტი ამ პროცესში სოციალური მუშაკის ჩართულობასაც მოითხოვს. მიუხედავად ამისა, მთელი ტვირთი გადასულია პროვაიდერ ორგანიზაციებსა და მათ მიერ სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებულ დაფინანსებაზე. ამასთან, პროვაიდერ ორგანიზაციებს არა აქვთ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მზადების მკაფიოდ გაწერილი პროგრამა და მის შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა, არ ჰყავთ შესაბამისი პერსონალი.

ბავშვზე ალტერნატიული ზრუნვის შესახებ გაეროს გენერალური ასამბლეის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, უნდა არსებობდეს მკაფიოდ განსაზღვრული წესები და პროცედურები, რომლის მიხედვითაც გატარდება ბენეფიციართათვის შემდგომი სამზრუნველო ღონისძიებები. დაწესებულების დატოვების შემდეგ, ახალგაზრდა პირებისათვის გარანტირებული უნდა იყოს სოციალური, სამართლებრივი და ჯანდაცვის სერვისები, აგრეთვე, ფინანსური მხარდაჭერა.<sup>137</sup>

<sup>136</sup> ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ორმოცდამერვე სხდომა, CRC/C/GEO/CO/3, 37-ე რეკომენდაცია.

<sup>137</sup> ბავშვზე ალტერნატიული ზრუნვის შესახებ გაეროს გენერალური ასამბლეის სახელმძღვანელო პრინციპები 64/142, წესი 13.1–13.6.

## ბენეფიციართა დასვენების უფლება

მონიტორინგმა ცხადყო, რომ დასვენებისა და გაჯანსაღების შესაძლებლობები მსტ სახლებში განსხვავებულია ერთი მხრივ, პროვაიდერი ორგანიზაციის რესურსისა და მეორე მხრივ, აღმზრდელების ჩართულობის ხარისხის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მსტს-ს ბენეფიციარი უზრუნველყოფილია ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრული სეზონური დასვენების უფლებით.

ბენეფიციარების ჩართულობა თემში არსებულ მომსახურებებში (სპორტული და შემოქმედებითი წრეები), სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, დაკავშირებულია მსტ სახლების ადგილმდებარეობასა და თავად თემში არსებულ შესაძლებლობებზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მსტს-ს ადგილის განსაზღვრისას, ბენეფიციარების საჭიროებების ხელმისაწვდომობის გათვალისწინება, განსაკუთრებით რეგიონებთან მიმართებაში. რამდენიმე მსტ ბავშვთა სახლში ამ კუთხით მეტი მუშაობისა და სამომავლოდ სტანდარტის შესრულებისათვის ხელშეწყობის განსაკუთრებული საჭიროება გამოვლინდა.

მონიტორინგისას გამოიკვეთა ტენდენცია, რომ აღმზრდელების უმრავლესობა დასჯის მეთოდად კომპიუტერთან მუშაობის აკრძალვის „მეთოდს“ იყენებს. მაგალითად, საქველმოქმედო ფონდის, „საქართველოს კარიტასი“, მსტს-ში მონიტორინგის მომენტისთვის ბენეფიციარებს კომპიუტერთი სარგებლობა თვენახევრით ჰქონდათ აკრძალული. მსტს-ში, „მომავლის გზა“, ბავშვების განმარტებით, არ სარგებლობენ კომპიუტერთი, რადგან „არ შეიძლება, კომპიუტერთი მხოლოდ უფროსები მუშაობენ.“ ახმეტის მსტს-ში საერთოდ არ სარგებლობენ კომპიუტერთი, რაც სახლის მამობილმა კომპიუტერის „მავნებლობით“ ახსნა. მონიტორინგმა ასევე ცხადყო, რომ ყველა მსტს-ს ინტერნეტი არ მიეწოდება. ეს კი პირდაპირ არის დაკავშირებული ბენეფიციარების საგანმანათლებლო საჭიროებებთან.

ბენეფიციარების ასაკობრივ მოთხოვნილებებსა და ინტერესებზე მორგებული ბიბლიოთეკა მხოლოდ „SOS ბავშვთა სოფლის“ რამდენიმე მსტს-ებსა და საქველმოქმედო ფონდის, „ჩემი სახლი“, მსტს-ს აქვს.

## რეკომენდაციები:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს -

- უზრუნველყოს თამაშებისა და ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების ვალდებულების რეალიზაცია, აგრეთვე, დასვენებისა და გაჯანსაღებისათვის

აუცილებელი ფიზიკური გარემოს შექმნა (სათამაშოები, წიგნები), მსტს-ს ყველა ბენეფიციარის ჩართულობა არაფორმალურ განათლებაში.

- გაითვალისწინოს, მსტ სახლების ადგილმდებარეობის განსაზღვრისას, ბენეფიციართა საჭიროებები და თემში არსებული შესაბამისი რესურსი;
- უზრუნველყოს პერსონალის გადამზადება განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბენეფიციართა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესადგენად საჭირო პროცედურებისა და მათი შესრულების კონტროლის საკითხებზე;
- უზრუნველყოს მომსახურების მიმწოდებლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობა ბენეფიციარების საგანმანათლებლო საჭიროებების გამოსაკვეთად;
- უზრუნველყოს ბენეფიციარების დამატებითი სისტემური და კვალიფიციური მეცადინეობა საჭირო საგნებში და მათი მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- უზრუნველყოს ბენეფიციარებისა და აღმზრდელების ინფორმირებულობა ბავშვის უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ.

საქართველოს მთავრობას:

- შეიმუშაოს სახელმწიფო სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ზრუნვიდან გასული არასრულწლოვნის დასაქმებასა და ფინანსურ დახმარებას მის სრულ დამოუკიდებლობამდე; უზრუნველყოს ბენეფიციართა კვალიფიციური ინფორმირება მომავლის დაგეგმვასა და პროფორიენტაციასთან დაკავშირებით.

დოკუმენტაციის წარმოება

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, ბავშვზე ზრუნვაზე ან მის დაცვაზე პასუხისმგებელი დაწესებულებები, სამსახურები ან ორგანოები უნდა შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დაწესებულ ნორმებს. ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებით განსაზღვრულია იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც უნდა აწარმოოს მომსახურების მიმწოდებელმა და უზრუნველყოს მისი ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირებისათვის.<sup>138</sup>

მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში მონიტორინგის პროცესში, დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

<sup>138</sup>ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლი;



ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების მიხედვით, მსტს-ში უნდა მოიპოვებოდეს სააღმზრდელო პროგრამა, როგორც ძირითადი სახელმძღვანელო.<sup>139</sup> მონიტორინგმა გვიჩვენა, რომ ძირითადად, მსტ სახლებში სააღმზრდელო პროგრამა ერთიანი დოკუმენტის სახით არ არის შემუშავებული.

შინაგანაწესი მსტ სახლების ერთ ნაწილში არ არის შემუშავებული ან გარკვეული ხარვეზებითაა წარმოდგენილი.

მსტ სახლებში, უკუკავშირის მიზნით, ფუნქციონირებს საჩივრების ყუთი. ისინი ხშირ შემთხვევაში, ცარიელია, ისევე, როგორც კომენტარების ყუთი. გარდა ამისა, სახლებში იწარმოება აზრის გამოხატვის პასუხად გატარებული ღონისძიებების აღრიცხვის ჟურნალი, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, ეს დოკუმენტი ფორმალური ხასიათისაა ან სულაც, ცარიელია. ზოგიერთ მსტს-ში არის ჩანაწერები, თუმცა არ ჩანს, თუ რა ვადებში განხორციელდა შესაბამისი რეაგირება და რა შედეგს მიაღწიეს.

უბედური შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალები, ხშირ შემთხვევაში, ასევე ცარიელია, რაც იწვევს ეჭვს, რომ მათი არსებობა ფორმალურ ხასიათს ატარებს.

არის შემთხვევები, როდესაც აღმზრდელები უარყოფენ რაიმე სახის უბედურ შემთხვევას, თუმცა სხვა დოკუმენტების (გადაბარების ჟურნალი, პირადი საქმე, სამედიცინო დოკუმენტი ფორმა N-IV-100/ა, ექიმთან კონტაქტის ბარათი) გაცნობისას, ნათელი ხდება ზემოაღნიშნული ფაქტების შესახებ.

ძირითად შემთხვევებში, ასევე ცარიელია მსტს-ებში ძალადობის ფაქტების პასუხად გატარებული ღონისძიებების წერილობითი აღრიცხვის ჟურნალები;

მსტს-ებში უნდა იწარმოებოდეს პირის სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან გაყვანის ჟურნალი.<sup>140</sup> ისინი, რიგ შემთხვევებში, სტანდარტის შეუსაბამოდ და არასრულყოფილადაა შევსებული.

შესაბამისი წესების დარღვევით ივსება აღსაზრდელის მსტ სახლიდან დროებითი გასვლის სპეციალური ჟურნალებიც.

### **მომსახურების ინდივიდუალური მიდგომა**

ბავშვის უფლებათა კონვენციის 25-ე მუხლი ადგენს მეურვეობაში მყოფი ბავშვის მდგომარეობის პერიოდული შეფასების აუცილებლობას და სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, დაიცვას კომპეტენტური ორგანოების მიერ, მოვლის მიზნით, სამეურვეოდ

<sup>139</sup>ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები, მუხ.1, პუნ. 2, ქპ. „ა.ბ“.

<sup>140</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №52/ნ ბრძანება სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ, ბრძანების დანართი №3.

გამწესებული ბავშვის უფლება - პერიოდულად ფასებოდეს მის მიმართ მეურვეობასთან დაკავშირებული პირობები.

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა მსტს-ში მონიტორინგის ფარგლებში შეისწავლა ბენეფიციართა პირადი საქმეები, რომლებიც ყოველ ბენეფიციარზე იწარმოება. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა საქმეში არის მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიული ორგანოს საოქმო გადაწყვეტილება ბავშვის ჩარიცხვისა და მომსახურების მიწოდების ვადის გაგრძელების შესახებ, ხშირ შემთხვევებში, ბენეფიციართა დოკუმენტაცია არასრულყოფილი სახითაა წარმოდგენილი, კერძოდ, ინდივიდუალური განვითარებისა და მომსახურების ინდივიდუალური გეგმები ფორმალურად, მწირი და არასრული სახითაა შედგენილი, დეტალურად არ ასახავს დასახულ მიზნებს, მიზნის მისაღწევად დაგეგმილ ღონისძიებებსა და წარმატების ინდიკატორებს. არ არის გაწერილი მიწოდებული მომსახურების განრიგი. არ არის გათვალისწინებული ბენეფიციარის ინდივიდუალური საჭიროებები, მიზნები, აქტივობები. ხშირად ერთგვაროვანია ვადები. გეგმებში არ არის დაკონკრეტებული მიღწეული შედეგები, ჩანაწერები არ ასახავს დინამიკას. ბავშვის, მზრუნველისა და მომსახურების მიწოდებლის მოსაზრებები გეგმასთან და პროგრესთან მიმართებაში უცნობია, ასევე არ იკვეთება ბენეფიციარის თანამონაწილეობა – მისი მოსაზრებები გეგმებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ სოციალური მუშაკი ვალდებულია, ბავშვის უშუალო განთავსებამდე, მაქსიმალურად დეტალურად გააცნოს პროვაიდერს ჩასარიცხი ბავშვის საქმე, რაც, აღმზრდელების ინფორმაციით, ხშირ შემთხვევაში არ ხდება.

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ საქართველოს „SOS ბავშვთა სოფელში“ სახელმწიფო სოციალურ მუშაკს „ოჯახის გაძლიერების პროექტის“ სოციალურ მუშაკზე აქვს „დელეგირებული“ თავისი უფლებამოსილებები. ზოგიერთ შემთხვევაში, SOS-ის სოციალური მუშაკი ბენეფიციართა ბიოლოგიურ ოჯახებშიც ახორციელებს ვიზიტებს საკუთარი ნების საფუძველზე, ბავშვის ოჯახური მდგომარეობის შესასწავლად, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ცნობილია აღნიშნული ქმედების განხორციელების უფლებამოსილების არქონის შესახებ.

### **კონფიდენციალურობის დაცვა**

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები ითვალისწინებს ბენეფიციართა პირადი ინფორმაციის დაცვას. ხშირ შემთხვევაში, მსტს-ებში არ არის შესაბამისი ოთახი ინდივიდუალური კონსულტაციებისათვის, თუმცა, ბენეფიციარების საუბრები და შეხვედრები წარმოებს მათ ოთახებში ან აღმზრდელთა ოთახში და დაცულია კონფიდენციალობა.

მსტ სახლებში დაცულია ბენეფიციართა პირადი საქმეები. აღმზრდელები საკუთარ ოთახებში ან სეიფში, ჩაკეტილ მდგომარეობაში ინახავენ აღსაზრდელთა დოკუმენტაციას და

იგი ხელმიუწვდომელია ბავშვებისათვის. მომსახურების შეწყვეტისას, ბენეფიციარის პირადი დოკუმენტაცია ინახება მსტს-ში, არქივისთვის გამოყოფილ სათავსოში.

### **მოთხოვნები პერსონალის მიმართ**

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების მე-16 მუხლის მიხედვით, მომსახურებაში ბენეფიციართა აღზრდა-განვითარებას უნდა ახორციელებდნენ საკმარისი რაოდენობისა და შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომლები.

კვლავ პრობლემად რჩება პერსონალის ადეკვატური ანაზღაურება და შრომის პირობები.<sup>141</sup> მძიმე სამუშაო პირობების გამო, სახლებში ხშირია კადრის ცვლა. კადრების ხშირი გადინების ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა შვებულების საკითხი, კერძოდ, ვაუჩერული დაფინანსება არ იძლევა საშუალებას, რომ ანაზღაურდეს, როგორც აღმზრდელის შვებულება, ასევე ჩამნაცვლებელი კადრის ხელფასი. აღმზრდელის ინფორმაციით, მათ არანაირი ფორმით არ წახალისებენ, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ მოტივაციაზე.

### **მომსახურების ინკლუზიურობა**

ჩატარებული მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა, რომ ბენეფიციარებისთვის მომსახურების მიწოდებისას, რაიმე სახის დისკრიმინაციას არ აქვს ადგილი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, გამოიკვეთა საზოგადოებაში მსტს-ების აღსაზრდელების სტიგმატიზაციის ფაქტები.

ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ტრანსპორტის პრობლემა. უფროსი ასაკის ბავშვებს, საჭირო რესურსთან დასაკავშირებლად, რეგიონის ცენტრში უწევთ გადაადგილება. უმცროსი ასაკის ბავშვების შემთხვევაში ეს პრობლემას წარმოადგენს. აღმზრდელიც მოკლებულია შესაძლებლობას, პირადად უზრუნველყოს მცირე ასაკის ბენეფიციარის რეგიონის ცენტრში გადაადგილება, რადგან, ადამიანური რესურსი, როგორც წესი, სახლებში ამ ფუნქციას ვერ წვდება.

### **რეკომენდაცია**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- უზრუნველყოს პერსონალის ტრენინგი ბენეფიციართა მომსახურების ინდივიდუალური გეგმების სრულყოფილი სახით წარმოების მიზნით. გეგმების შემუშავების პროცესში გაითვალისწინოს ბენეფიციარების და აღმზრდელების მოსაზრებები;

<sup>141</sup> დაწვრილებით იხ. სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში, გვ.253–254.

- ზედამხედველობა გაეწიოს „მცირე საოჯახო ტიპის სახლში სოციალური მუშაკისა და მომსახურების მიმწოდებლის ფუნქციებისა და მოვალეობების განაწილების შესახებ” დოკუმენტით გაწერილი ვალდებულებების შესრულებას.
- კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, შემუშავდეს მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მიერ ბენეფიციართა პირადი ინფორმაციის გაცემის თაობაზე უფლებამოსილი პირის თანხმობის ფორმა.
- განხორციელდეს მსტ ბავშვთა სახლებში დასაქმებული პირების პერიოდული საკვალიფიკაციო ტრენინგები და თემატური გადამზადების კურსები.
- უზრუნველყოს პერსონალი ადეკვატური შრომითი ანაზღაურებით, შვებულებით, დაზღვევით, დაინერგოს შრომის წახალისების სისტემა.

## ამნისტია და მსჯავრდებულთა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება

საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებულთა მომართვიანობა რამდენიმე მიმართულებით განსაკუთრებით მაღალი იყო. ყველაზე დიდი აქტივობა ამ მხრივ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექნის მოთხოვნაში გამოიხატებოდა. მაღალი იყო მომართვიანობა მსჯავრდებულთა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების თაობაზე მუდმივმოქმედი საბჭოების მუშაობასთან დაკავშირებით. ცალკეულ შემთხვევებში, მსჯავრდებულთა განცხადებები შეეხებოდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მოქმედების განმარტების საკითხს, რაც გახდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის საგანი.

### 2012 წლის 28 დეკემბრის ამნისტია

ქართველმა კანონმდებელმა ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, სამართლიანობის აღდგენაზე საზოგადოების მოთხოვნის შესაბამისად, პატიმართა და პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირების მიზანშეწონილობისა და საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მიერ კრიმინოგენული სიტუაციის კონტროლისა და პრევენციის სათანადო მექანიზმების არსებობის პირობებში, ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით მიიღო 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი.

საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს მონაცემებით, 2013 წლის განმავლობაში საპატიმრო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა 8 720 პატიმარი, რომელთაგან 175 პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მქონე პირია<sup>142</sup>.

2012 წლის 28 დეკემბრის ამნისტიით კანონმდებელმა მისი თითოეულ მსჯავრდებულზე გავრცელების ნება გამოხატა, თუმცა, ამნისტია არ შეეხო უვადო თავისუფლების აღკვეთის მქონე პირებს, რაც საქართველოს სახალხო დამცველისათვის არაერთი მომართვის საფუძველი გახდა. თუმცა, ცალსახაა, რომ ამნისტიის კანონი არ შეიცავს მისი მოქმედების უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირებზე გავრცელების მექანიზმს. 2013 წლის მდგომარეობით საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული 83 პირი იხდის სასჯელს.

ამნისტიის შესახებ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის იმპლემენტაციის დროს, გარკვეული ხარვეზები გამოიკვეთა სხვა შემთხვევებშიც.

სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით (თაღლითობა) მსჯავრდებული ის პირები, რომელთა წინააღმდეგ არსებულ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებული

<sup>142</sup> იხ. [http://mcla.gov.ge/index.php?action=page&p\\_id=1114&lang=geo](http://mcla.gov.ge/index.php?action=page&p_id=1114&lang=geo) [ბოლოს ნანახია 28.03.2014]



სახელმწიფოა, ამავე მუხლით მსჯავრდებულ სხვა პირებთან მიმართებით, არათანასწორ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით (თაღლითობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი პირის გათავისუფლებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, თუ ყველა დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე, ამ კანონის გამოყენებისას გამოძიების ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ ამ პირზე გავრცელდეს ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულთა საქმეები, რომლებსაც მსჯავრი დაედოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, ხოლო, მათ წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენების მიხედვით, ჩადენილი ქმედებებით მატერიალური ზარალი მიადგა სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი განმარტებებისა და სასამართლოთა განჩინებების მიხედვით, მსჯავრდებულებს, რომლებსაც მსჯავრი დაედოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით და მათი დანაშაულებრივი ქმედებით მატერიალური ზიანი მიადგა სახელმწიფოს, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით სასჯელი შეუმცირდათ მხოლოდ მე-16 მუხლის საფუძველზე 1/4-ით.

როგორც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ კონკრეტული სს-ის საქმეების მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, მსგავს საქმეებში, როგორც წესი, არ არის დაზარალებულად ცნობის დადგენილება. ხოლო, პროკურატურის ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილებას ახორციელებენ სახელმწიფოს სახელით, არ აცხადებენ თანხმობას 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის გამოყენებით მსჯავრდებულის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში, მსჯავრდებულებს მოპოვებული ჰქონდათ თანხმობა მათ მიმართ ამნისტიის გავრცელების თაობაზე, იმ ადგილობრივი ორგანოებისგან, რომელთაც, სისხლის სამართლის საქმის მიხედვით, დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიადგათ ზიანი. მიუხედავად ამისა, სასამართლოებმა უარი განაცხადეს ამ მსჯავრდებულთა მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის გამოყენებაზე, იმ საფუძველით, რომ პროკურორს, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელს, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში, არ განუცხადებია თანხმობა მსჯავრდებულის მიმართ ამნისტიის გამოყენებაზე.<sup>143</sup>

<sup>143</sup> სხვადასხვა სასამართლოთა განჩინებებში ვკითხულობთ: „2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა. იმავე კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პროკურორი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით. სასამართლოში პროკურორი არის სახელმწიფო ბრალმძებელი. მას ეკისრება ბრალდების მტკიცების ტვირთი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული დანაწესებიდან გამომდინარე, პროკურორი არ არის სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულის სტატუსით მოსარგებლე პირი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ იგი სასამართლოზე მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მას არ ანიჭებს უფლებამოსილებას სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილეობდეს, როგორც დაზარალებულის ინტერესების წარმომადგენელი ან/და ისარგებლოს დაზარალებულისთვის მინიჭებული უფლებებით.

ამიტომ, იმ შემთხვევებში, როცა დანაშაულის შედეგად ზიანი მიადგა სახელმწიფოს, პროკურორმა უნდა გამოიტანოს დაზარალებულად ცნობის დადგენილება და ცნოს სახელმწიფო დაზარალებულად. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცალკე სახედ არ განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფომ, როგორც დაზარალებულმა, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასა და სასამართლო განხილვისას. მიუხედავად ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არც ასეთ შემთხვევებში ითვალისწინებს პროკურორისათვის დაზარალებულის უფლება-მოვალეობების მინიჭების შესაძლებლობას.

იმის გამო, რომ მსგავს სისხლის სამართლის საქმეებში, პროკურატურის მიერ სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არ არიან ცნობილი დაზარალებულად, ამასთან, საერთო სასამართლოები დაზარალებულის თანხმობას აიგივებს პროკურორის მიერ გაცემულ თანხმობასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით მსჯავრდებული პირები, ვის საქმეშიც დანაშაულებრივი ქმედებით ზიანი მიადგა სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, ამავე მუხლით მსჯავრდებულ სხვა პირებთან მიმართებით, განსახვავებულ მდგომარეობაში ხვდებიან. აღნიშნულ მიდგომას ადგილი აქვს იმის მიუხედავად, რომ ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით

---

კოდექსის 180-ე მუხლით დანიშნული სასჯელისაგან პირი თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ ამაზე თანხმობას განაცხადებს დაზარალებული (ან მისი უფლებამონაცვლე), რომლის პოზიციის გამომხატველიც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფო ბრალმძებელია. იქიდან გამომდინარე, რომ პროკურორს არ განუცხადებია თანხმობა მსჯავრდებულის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით დანიშნული სასჯელისაგან გათავისუფლების თაობაზე, მის მიმართ ვერ გავრცელდება „ამნისტიის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მოქმედება.“

გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დაკისრებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან მსჯავრდებულის გათავისუფლების წინაპირობად მხოლოდ დაზარალებულის და არა სახელმწიფო ბრალმდებლისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობა გაითვალისწინა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების მიხედვით, არაერთგვაროვანი აღმოჩნდა საერთო სასამართლოების მიდგომა ამნისტიის კანონის გამოყენებაზე იმ მსჯავრდებულების მიმართ, ვისაც სასჯელის აღსრულება გადაუვადდათ გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის არსებით გაუმჯობესებამდე.

ამნისტიის შესახებ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის 21-ე მუხლის მიხედვით, ამნისტია ვრცელდება მსჯავრდებულებზე, რომლებიც არიან პატიმრობაში, არიან პრობაციის რეჟიმში, ან არიან ძებნილები.<sup>144</sup> ამავე კანონის თანახმად, ყველას, ვიზეც ვრცელდება ამ კანონის მოქმედება, უფლება აქვს ისარგებლოს სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლებით.<sup>145</sup> კანონით ასევე კონკრეტულადაა გაწერილი სასამართლოსთვის მიმართვის უფლების მქონე სუბიექტთა წრე. კერძოდ, მსჯავრდებულებზე ამნისტიის გავრცელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით, დასრულებული სამართალწარმოების საქმეზე, თავდაპირველი გადაწყვეტილების გამომტანი რაიონული (საქალაქო) სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვთ შესაბამის სასჯელაღსრულების დაწესებულებას, პრობაციის ბიუროს, სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობას და საქართველოს პროკურატურას.

შესაბამისად, მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელის აღსრულება გადაუვადდა გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის არსებითად გაუმჯობესებამდე, კანონის სიტყვასიტყვითი განმარტებით, არ წარმოადგენს იმ სუბიექტს, რომელიც უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მის მიმართ გავრცელების თაობაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულ გ.ა.-ს საქმე, რომელსაც ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 5 სექტემბრის განჩინებით,

<sup>144</sup> „მსჯავრდებულზე ამ კანონის პირველი-21-ე მუხლებით გათვალისწინებული ამნისტიის გავრცელების თაობაზე გადაწყვეტილებას დასრულებული სამართალწარმოების საქმეზე იღებს თავდაპირველი გადაწყვეტილების გამომტანი რაიონული (საქალაქო სასამართლო), რომელსაც პატიმრობაში ან პრობაციის რეჟიმში მყოფი მსჯავრდებულის პირად საქმეს ამავე კანონის ამოქმედებიდან 2 კვირის ვადაში მიაწვდის შესაბამისი სასჯელაღსრულების დაწესებულება, პრობაციის ბიურო ან სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა, ხოლო ძებნილ მსჯავრდებულზე ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის გავრცელების შესახებ იმავე ვადაში მიმართავს საქართველოს პროკურატურა,“ 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 23, ნაწ. 3.

<sup>145</sup> „ყველა პირს, რომლებზედაც გავრცელდება ამ კანონის მოქმედება, უფლება აქვს, ისარგებლოს თავისი სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი სასამართლოს მიერ განხილვის უფლებით,“ 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 25.

სასჯელის აღსრულება გადაუვადდა გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის არსებითად გაუმჯობესებამდე და 2012 წლის 5 სექტემბერს მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან გათავისუფლდა.<sup>146</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის განცხადებით, ვინაიდან გ.ა. არ იმყოფებოდა პატიმრობაში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი მოკლებული იყო საშუალებას, მისი პირადი საქმე გაეგზავნა სასამართლოში „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გავრცელების მიზნით.<sup>147</sup> ხოლო, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 20 მარტის და 2013 წლის 17 მაისის წერილებით მოქალაქე გ.ა.-ს აცნობა, რომ იგი არ წარმოადგენდა სუბიექტს, რომელიც უფლებამოსილი იყო მიემართა სასამართლოსთვის 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მის მიმართ გავრცელების თაობაზე. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს გ.ა.-ს მიმართ აღნიშნული კანონის გავრცელებაზე მსჯელობა მაშინ შეეძლებოდა, როდესაც გადავადებული სასჯელის მოხდის საკითხი დადგებოდა დღის წესრიგში.

### **სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ**

2013 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში გახშირდა იმ მსჯავრდებულთა მომართვიანობა, რომლებიც ასაჩივრებდნენ მათი სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების<sup>148</sup> მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის სრულყოფილი შესწავლის მიზნით, როგორც მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით, შეისწავლა 2013 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს მიერ, ზეპირი მოსმენის გარეშე მიღებული დაახლოებით 60 გადაწყვეტილება (კონკრეტულ მსჯავრდებულთა და შემთხვევითი შერჩევის პრინციპით საქმისწარმოების სრული მასალები) და მოახდინა პრაქტიკისა და საქმეთა განხილვისას გამოკვეთილ პრობლემათა სამართლებრივი ანალიზი.<sup>149</sup> ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოდან აპარატმა გამოითხოვა 2013 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე პერიოდში ხარვეზის დადგენის შესახებ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებები (სულ 188 განჩინება) და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებები (სულ 20

<sup>146</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 2013 წლის 15 ივლისის №72909/10 წერილი;

<sup>147</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 2013 წლის 24 აპრილის №50592 წერილი;

<sup>148</sup> დღესდღეობით საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

<sup>149</sup> სახალხო დამცველის აპარატის მიერ არ ყოფილა შესწავლილი არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს მუშაობა და ქალ მსჯავრდებულთა საქმეები,

გადაწყვეტილება), რომლებიც შეეხებოდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებებზე შეტანილ სარჩელებს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის შედეგების მიხედვით, ხარვეზები გამოვლინდა სასჯელაღსრულების დაწესებულებების მიერ მსჯავრდებულთა დახასიათებების მომზადების,<sup>150</sup> ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების არასაკმარისი დასაბუთებულობისა და არათანმიმდევრული მიდგომების კუთხით. მსჯავრდებულთა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილების საერთო სასამართლოებში გასაჩივრების მხრივ პრობლემას წარმოადგენს, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მსჯავრდებულთა გათავისუფლების პირდაპირი წესის არარსებობის გამო სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვა და სასამართლო გადაწყვეტილებათა არაერთგვაროვნება და დაუსაბუთებლობა.

აღნიშნული პრობლემები დეტალურად არის განხილული და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის მარტის სპეციალურ ანგარიშში „სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის“ შესახებ.

---

<sup>150</sup> უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის 10 მაისის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრებისა და პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ №82 ბრძანებაში შევიდა ცვლილება და 2014 წლის 16 იანვრიდან დამტკიცდა მსჯავრდებულთა დახასიათების ახალი ფორმა.



## საქართველოს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა

საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით<sup>151</sup>. საქართველოს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა კანონდარღვევადაა გამოცხადებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით<sup>152</sup>.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად,

„საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს, შემოწმების ჩატარებისას დაუბრკოლებლად შევიდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში, საწარმოში, ორგანიზაციაში და დაწესებულებაში, მათ შორის, სამხედრო ქვედანაყოფში, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში.<sup>153</sup>“

ამავე კანონის მიხედვით,

„საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე და აპარატის თანამშრომლები, ასევე სპეციალური პრევენციის ჯგუფის წევრები ამ კანონის მე-18 და მე-19 მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას ან მის ნაწილს ახორციელებენ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნებით.<sup>154</sup>“

ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მოქმედებს საქართველოს სახალხო დამცველის სახელით.<sup>155</sup>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობისათვის ხელის შეშლისა და კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის რამდენიმე შემთხვევა.

### მოქალაქე ი.ლ-ს საქმე

2013 წლის 13 სექტემბერს მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბათუმში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს ჩეჩენი ეროვნების მოქალაქე და მისი თანმხლები პირები, რომლებმაც დაკავების დროს წინააღმდეგობა გაუწიეს სამართალდამცავებს. ამავ ინფორმაციის მიხედვით, დაკავების

<sup>151</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 43, ნაწ. 2; „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 25, პუნ. 1.

<sup>152</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 173<sup>4</sup>.

<sup>153</sup> „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 18, ქპ. „ა“.

<sup>154</sup> „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 27, პუნ. 1.

<sup>155</sup> „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 26, პუნ. 1.

დროს, ორმხრივი სროლის შედეგად, დაიჭრა როგორც ჩეჩენი ეროვნების მოქალაქე, ასევე პოლიციის თანამშრომელი და ერთი გამგლეელი.

2013 წლის 14 და 15 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული, საკითხის შემდგომი შესწავლის მიზნით, აჭარისა და გურიის დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულებს შეხვდა და მათ პირად საქმეებს გაეცნო. 2013 წლის 15 სექტემბერს 22:11 საათზე საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული, საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტთან ერთად, დაჭრილი ბრალდებულის, ჩეჩენი ეროვნების ი.ლ-სთან გასაუბრების მიზნით შპს ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მივიდა. ი.ლ. მოთავსებული იყო ქირურგიული განყოფილების ერთ-ერთ პალატაში. საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომელმა ლ.ჯ-მ, რომელიც სამოქალაქო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულსა და საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტს არ მისცა ბრალდებულ ი.ლ-სთან შეხვედრის შესაძლებლობა. ლ.ჯ-ს განმარტებით, ი.ლ-ს არავისთან კონტაქტი არ სურდა.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულმა და საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს განუმარტეს, რომ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ისინი ახორციელებდნენ სამსახურებრივ უფლებამოსილებას. მიუხედავად ამისა, შსს-ს თანამშრომელმა ლ.ჯ-მ მაინც არ მისცა მათ პალატაში შესვლის საშუალება. ამასთან, შეკითხვაზე - თუ ვინ იმყოფებოდა პალატაში ი. ლ-სთან ერთად - საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულმა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტმა შსს-ს თანამშრომელ ლ.ჯ-სგან პასუხი ვერ მიიღეს.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულმა აღნიშნულ ფაქტზე შეადგინა შესაბამისი ოქმი, საიდანაც ირკვევა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულისა და საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტის მისვლისას, ი.ლ-ს პალატაში ენთო შუქი, სადაც საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტმა, პაციენტის გარდა, შეამჩნია კიდევ ორი პიროვნება, რომლებსაც ეცვათ სამხედრო ფორმის შარვლები, შავ მაისურზე გადაცმული სამხედრო ქურთუკები და ხმამაღლა საუბრობდნენ.

იმავე დღეს, 22:40 საათზე საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული, საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტთან ერთად, ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის კაბინეტში შეხვდა ი.ლ-ს მკურნალ ექიმს ზ.ბ-ს, რომელმაც აღნიშნა, რომ პაციენტ ი.ლ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და მასთან საუბარი შესაძლებელი იყო. ექიმი გასაუბრების შეზღუდვის საფუძველს ვერ ხედავდა. აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა ოქმი, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებენ საქართველოს სახალხო

დამცველის რწმუნებული, საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტი, ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ი.ლ-ს მკურნალი ექიმი.

### **საგარეჯოს რაიონულ სამმართველოში სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების საქმიანობისთვის ხელის შეშლა**

2013 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები იმყოფებოდნენ საგარეჯოს რაიონულ სამმართველოში, სადაც პრევენციის ეროვნული მექანიზმის გეგმური მონიტორინგის ფარგლებში, დაკავებულ პირთა აღრიცხვისა და დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანილ პირთა ჟურნალები უნდა შეემოწმებინათ. სამორიგეოში შესვლისას, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მორიგეს წარუდგინეს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნება და განუმარტეს მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის მიზეზი. ამ დროს სამორიგეო ნაწილში შემოვიდა სამმართველოს უფროსის მოადგილე გ.რ, რომელმაც დაჟინებით მოითხოვა, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებს დაეტოვებინათ სამორიგეო.

მიუხედავად იმისა, რომ საგარეჯოს პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილეს გ.რ-ს განემარტა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებები, იგი იქცეოდა გამომწვევად და ხმამაღალი ტონით, დაჟინებით მოითხოვდა, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებს დაეტოვებინათ სამორიგეო ნაწილი. გ.რ-მ ერთ-ერთ რწმუნებულს ჰკითხა სახელი და გვარი, რის შემდეგაც გავიდა სამორიგეოდან და მობილური ტელეფონით ესაუბრა უცნობ პიროვნებას. აღნიშნული საუბრის შემდეგ, გ.რ. უფრო გაღიზიანებული დაბრუნდა სამორიგეო ნაწილში, სხვა, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულ უცნობ პირთან, სავარაუდოდ, პოლიციის თანამშრომელთან ერთად და უკვე ძალის გამოყენებით, აიძულა საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები, დაეტოვებინათ სამორიგეო.

საგარეჯოს პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ გ.რ-მ დაბრკოლება შეუქმნა და ფიზიკური ძალადობა განახორციელა საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიმართ, რაც შეიცავს შესაძლო დანაშაულის ნიშნებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის გ.რ-ს მიმართ გამოძიების დაწყების მოთხოვნით, მის მიერ განხორციელებულ დანაშაულის ნიშნების შემცველ ქმედებაზე. რეაგირების შედეგები ამ დრომდე უცნობია საქართველოს სახალხო დამცველისათვის.

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა

2014 წლის 5 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული, ადვოკატ ე.ჩ-ს მომართვის საფუძველზე, იმყოფებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (თბილისი, ორთაჭალა). ადვოკატის განმარტებით, 2014 წლის 5 თებერვალს დაახლოებით 07:20 დააკავეს მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი, რომლის დაკითხვაც მიმდინარეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, თუმცა, ადვოკატის მოთხოვნის მიუხედავად, შსს-ს თანამშრომლები არ აძლევდნენ მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირთან შეხვედრისა და დაკითხვაზე დასწრების შესაძლებლობას.

იმავე დღეს, დაახლოებით 14:00 საათზე, ადგილზე მისვლისას საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდა ადვოკატსა და დაკავებული პირის მშობლებს. მათი განმარტებით, დაახლოებით 10:40 საათის შემდეგ ცდილობდნენ გაერკვიათ ვითარება. კერძოდ, სად იმყოფებოდა დაკავებული, რის საფუძველზე მოხდა მისი დაკავება და ბინის ჩხრეკა. ამასთანავე, ადვოკატის განმარტებით, არ აძლევდნენ მისი დაცვის ქვეშ მყოფთან შეხვედრის შესაძლებლობას.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულმა სცადა ვითარების გარკვევა. თუმცა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა არ მისცეს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელების შესაძლებლობა. დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული ცდილობდა დაკავშირებოდა პასუხისმგებელ პირს, რომელიც მიაწვდიდა დაკავებულის შესახებ ინფორმაციას, თუმცა უშედეგოდ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის საქართველოს შს სამინისტროს შენობაში ყოფნის განმავლობაში, სავარაუდოდ დაკავებული პირის მამას მობილურ ტელეფონზე რამდენჯერმე დაურეკეს შს სამინისტროს თანამშრომლებმა, რომლებიც სთხოვდნენ მას, რომ უზრუნველყო საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულს დაეტოვებინა სამინისტროს შენობა და ჰპირდებოდნენ, რომ მის შვილს მალე გაათავისუფლებდნენ. ერთ-ერთი ასეთი სატელეფონო ზარისას, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული იძულებული გახდა თვითონ გასაუბრებოდა პირს, რომელიც რეკავდა სავარაუდოდ დაკავებული პირის მამის მობილურ ტელეფონზე. მხოლოდ ამ ფაქტის შემდეგ (სახალხო დამცველის რწმუნებულის ადგილზე მისვლიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ), შს სამინისტროს ერთ-ერთი თანამშრომელი შეხვდა და გაესაუბრა საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულს, ადვოკატსა და ოჯახის წევრებს. მან განმარტა, რომ პირი, რომელიც იმყოფებოდა სამინისტროს შენობაში დაკავებული არ იყო, არამედ სარგებლობდა მხოლოდ მოწმის სტატუსით. მისი მტკიცებით, ადვოკატის დახმარების აუცილებლობა მოცემულ შემთხვევაში არ იდგა და მოწმესაც არ ჰქონია

ადვოკატის დაკითხვაზე დასწრების სურვილი. სამინისტროს თანამშრომელს არ განუმარტავს თუ რატომ შეექმნა დაბრკოლება საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დაფიქსირდა არაერთი შემთხვევა, როცა საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებს ან/და ადვოკატებს ექმნებოდათ საქართველოს შს სამინისტროს საგამომიებო უწყებებთან კომუნიკაციის პრობლემა. განსაკუთრებით, როცა პირი დაკავებულია ან/და იკითხება მოწმის სტატუსით. პრობლემას წარმოადგენს, ასევე, კონკრეტულ საკითხზე პასუხისმგებელ პირთა ვინაობის დადგენა და მათთან კომუნიკაციის დამყარება. მნიშვნელოვანია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა უზრუნველყონ დაკავების ან მოწმის სტატუსით პირის დაკითხვის შემთხვევაში, ოჯახის წევრების ინფორმირება; ასევე, ადვოკატის მონაწილეობა. იმ შემთხვევაშიც კი, როცა პირი უარს აცხადებს ადვოკატის დახმარებით სარგებლობაზე, ადვოკატს უნდა მიეცეს მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირთან უშუალოდ კომუნიკაციის საშუალება, რათა თავად ამ პირმა განაცხადოს უარი ადვოკატის მომსახურებაზე, რაც ნაკლებ კითხვის ნიშანს დატოვებს საზოგადოებაში და უფრო გამჭვირვალეს გახდის სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას.

დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში ომბუდსმენი და მისი აპარატი წარმოადგენს ადამიანის უფლებადამცველ ძირითად, დამოუკიდებელ, მაღალი ლეგიტიმაციის მქონე სახელმწიფო ინსტიტუციას, რომლის საქმიანობისთვის ხელის შეშლა, კანონმდებლის მოთხოვნის უგულებელყოფის პარალელურად, აკნინებს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების ავტორიტეტსა და გამჭვირვალობას. გარდა ამისა, კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, შემოწმების მიზნით დადგენილი პროცედურების განხორციელების გაუმართლებელი შეზღუდვა, ეჭვქვეშ აყენებს სახელმწიფო ორგანოების/პირების მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას.

## რეკომენდაციები:

### საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- მოხდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ინფორმირება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მანდატისა და უფლებამოსილებების შესახებ;
- უზრუნველყოფილი იქნას საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებისა და ადვოკატებისათვის, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების სრულად და შეუფერხებლად განხორციელების შესაძლებლობა;



- საქართველოს სახალხო დამცველისა და მისი რწმუნებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლის ყველა შემთხვევას მოჰყვეს ადეკვატური რეაგირება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილები პირების მხრიდან.

## სიცოცხლის უფლება

სიცოცხლის უფლება უზენაესი სამართლებრივი ღირებულებაა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სიცოცხლის უფლება მიიჩნევა ევროპული კონვენციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დებულებად, რომელიც მოიცავს დემოკრატიული საზოგადოებების ძირითად ღირებულებას.<sup>156</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლიდან და ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს ნეგატიური (არ ხელყოს სიცოცხლე) და პოზიტიური ვალდებულება (დაიცვას სიცოცხლე ხელყოფისგან). თავის მხრივ, პოზიტიური ვალდებულება სახელმწიფოს პროცედურულ ვალდებულებასაც მოიცავს. სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ეფექტიანი გამოძიების ჩატარება, რომელიც მიმართული უნდა იყოს დამნაშავე პირის გამოვლენისა და მართლმსაჯულების განხორციელებისაკენ.

მართალია, პოზიტიური ვალდებულებების უშუალო ხსენება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის ტექსტში არ ხდება, მაგრამ ევროპულმა სასამართლომ პრეცედენტული სამართლით დაადგინა, რომ ხსენებული მუხლის დებულებებით დაცული ფუნდამენტური ღირებულების გათვალისწინებით, კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, ეფექტიანად განახორციელონ კონვენციის მე-2 მუხლით დაცული უფლებები. კერძოდ,

- მიიღონ კანონმდებლობა, რომელიც ეფექტიანად დაიცავს სიცოცხლის უფლებას<sup>157</sup>;
- ჩაატარონ სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება, სიცოცხლის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით, არა მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი მკვლელობის შემთხვევაში, არამედ კერძო პირების მონაწილეობისას და სხვა შემთხვევებშიც<sup>158</sup>;
- უზრუნველყონ დაზარალებული პირები და ნათესავები სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებებითა და კომპენსაციით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სიცოცხლის უფლების ფუნდამენტური ხასიათიდან გამომდინარე, გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შეიძლება გამართლებულ იქნეს პირისათვის სიცოცხლის წართმევა, მკაცრად უნდა იქნეს განმარტებული. კერძოდ,

<sup>156</sup> McCann and others v. the United Kingdom, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო [1995], განაცხადი №18984/91.

<sup>157</sup> Vo. V. France, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო [2004], განაცხადი №53924/00.

<sup>158</sup> Andronicou and Constantinou v. Cyprus, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო [1997], განაცხადი №25052/94; McCann and others v. The United Kingdom, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო [1995], განაცხადი №18984/91; Osman v. the United Kingdom, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო [1998], განაცხადი №23452/94.

„სახელმწიფოს წარმომადგენლების არარეგულარული და თვითნებური მოქმედება შეუთავსებელია ადამიანის უფლებების ეფექტიანად დაცვის მოთხოვნებთან. სხვა საკითხებთან ერთად. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია, თვითნებობისა და ძალის გადამეტების საწინააღმდეგოდ, ადეკვატური და ეფექტიანი დაცვის სისტემის შექმნის გზით, უზრუნველყოს, რომ მის წარმომადგენლებს ჯეროვნად ესმოდეთ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლები და რომ თავიანთ მოქმედებებში ისინი ხელმძღვანელობდნენ არა მხოლოდ იმით, თუ რა წერია სიტყვა-სიტყვით შესაბამის პროფესიულ ნორმატიულ აქტებში, არამედ სათანადო ყურადღებით მოეკიდონ ადამიანის სიცოცხლის, როგორც ფუნდამენტური ღირებულების დაცვის პრიორიტეტებს.“<sup>159</sup>

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ევროპული სასამართლო სამართალდამცავი ორგანოების/პირების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს, მითუმეტეს, თუ შესაძლო დანაშაულებრივი ფაქტის მონაწილე თავად სახელმწიფოს, ან უფრო მეტიც, სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენელია, და აცხადებს:

„ეფექტიანი გამოძიება, რომელსაც მოითხოვს კონვენციის მე-2 მუხლი, განამტკიცებს საზოგადოების რწმენას, რომ ხელისუფლებას ძალუმს უზრუნველყოს სამართლის უზენაესობა, რათა აღკვეთოს უკანონო ფარული გარიგებების ნებისმიერი გამოვლინება ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებების მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება და როდესაც საქმეში სახელმწიფოს წარმომადგენლების ან სახელმწიფო ორგანოების ხელი ურევია, უზრუნველყოს, რომ მათ პასუხი აგონ თავიანთი ქმედებებისათვის, რომლებსაც შედეგად ადამიანის სიკვდილი მოჰყვა.“<sup>160</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის მოცემულ თავში განხილული იქნება ის შემთხვევები, როდესაც სიცოცხლის მოსპობა, სავარაუდოდ, სახელმწიფოს ხელისუფლების წარმომადგენელთა შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების შედეგად განხორციელდა და ამ ჭრილში, იქნება წარმოდგენილი სისხლის სამართლის გამოძიების მიმდინარეობა და პროგრესი<sup>161</sup>.

### მოქალაქე მამუკა მიქაუტაძის საქმე<sup>162</sup>

მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით, 2013 წლის 5 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის მთავარ სამმართველოში დაკითხეს მოქალაქე

<sup>159</sup>საქმე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ,“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო [2011], განაცხადი №25091/07.

<sup>160</sup>საქმე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ,“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო [2011], განაცხადი №25091/07.

<sup>161</sup> წინამდებარე ანგარიშში ცალკე თავი აქვს დათმობილი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა/სამართალდამცავთა შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებზე დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიების საკანონმდებლო და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების განხილვას და ანალიზს.

<sup>162</sup> ასევე განხილულია წინამდებარე ანგარიშის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიების თავში.

მამუკა მიქაუტაძე, რომელმაც დაკითხვის შემდეგ, სავარაუდოდ თავი მოიკლა. ამავე ინფორმაციით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2013 წლის 8 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და ესაუბრნენ გარდაცვლილ მამუკა მიქაუტაძის მეუღლესა და მეგობრებს, რომლებიც აპელირებდნენ მამუკა მიქაუტაძის მიმართ სამართალდამცავი პირების მიერ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებზე, რამაც მათი მტკიცებით, გამოიწვია აღნიშნული პირის თვითმკვლელობამდე მიყვანა. 2013 წლის 25 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველს კვლავ მიმართა გარდაცვლილი მამუკა მიქაუტაძის დედამ, რომლის განმარტებით, მისი შვილის, მამუკა მიქაუტაძის სიცოცხლის მოსპობის ფაქტის გამოძიება ეფექტიანად არ მიმდინარეობს და უსაფუძვლოდ ჭიანჭურდება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოძიებული ინფორმაციით, 2013 წლის 5 ივლისს შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმომებში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, მოწმის სახით დაიკითხა მოქალაქე მამუკა მიქაუტაძე, რომელმაც მეორე დღეს თავი მოიკლა. შესაბამისად, დაიწყო გამოძიება მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, ჩატარდა რიგი საგამომიებო მოქმედებები. თუმცა, გამოძიების ამ ეტაპზე დაზარალებულის უფლებამონაცვლედ არავინაა ცნობილი, ამასთან, სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ დაწყებული არ არის<sup>163</sup>.

## მოქალაქე დ.ს.-ს საქმე

2013 წლის 15 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე მ.ს.-მ და მოითხოვა მისი შვილის და დის გარდაცვალების ფაქტზე ჩატარებული გამოძიების ეფექტურობის ფაქტის შესწავლა<sup>164</sup>.

განმცხადებლის განმარტებით, 2003 წლის 22 ნოემბერს თბილისში, გორგასლის ქუჩაზე მომხდარი ავტოავარიისას მისი შვილის დ.ს.-ს ავტომობილს შეეჯახა შავნაბადას სწრაფი რეაგირების ბატალიონიდან მომავალი ჯავშანტრანსპორტიორი. მოცემული ავტოავარიის შედეგადაც დაიღუპა მოქალაქე მ.ს.-ს შვილი - დ.ს. და მისი და - ე.წ. მოქალაქე მ.ს.-ს

<sup>163</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 7 აგვისტოს №1551077 წერილი და საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 28 ოქტომბრის №13/3515 წერილი.

<sup>164</sup> მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქე დ.ს.-ს საქმე შეეხება 2003 წელს მომხდარ ფაქტს, განმცხადებლის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის მომართვა განხორციელდა 2013 წლის 15 აპრილს. შესაბამისად, შესწავლის შედეგები აისახა 2013 წლის ანგარიშში.

განცხადებით, გამოძიება დღემდე უსაფუძვლოდ ჭიანჭურდება და არაეფექტიანად მიმდინარეობს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის შესწავლის შედეგების მიხედვით, 2003 წლის 23 ნოემბერს საქართველოს შსს თბილისის საგამოძიებო სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სს კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით. 2003 წლის 26 ნოემბერს მოცემული საქმე წარმოებაში მიიღო თბილისის სამხედრო პროკურატურამ. 2004 წლის 19 აპრილის საქართველოს გენერალური პროკურორის დადგენილებით, მოცემული სისხლის სამართლის საქმე ამოიღეს თბილისის სამხედრო პროკურატურის უწყებრივი საგამოძიებო ქვემდებარეობიდან და შემდგომი გამოძიებისთვის გადაეცა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს.

საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ 2003 წლის 22 ნოემბერს რუსთავის მხრიდან თბილისის მიმართულებით მოძრაობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის სწრაფი რეაგირების სამმართველოს დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური სატრანსპორტო საშუალება „ბტრ“, რომელსაც აღნიშნული დანაყოფის ჯავშანტექნიკის ჯგუფის მძღოლ-მექანიკოსი ა.მ. მართავდა. 18 საათსა და 25 წუთზე, გორგასლის ქუჩაზე, ერთმანეთს შეეჯახა ჯავშანტრანსპორტიორი და საწინააღმდეგო მხრიდან მოძრავი, „ბმვ-ს“ მარკის მსუბუქი ავტომანქანა. ავტომანქანაში მჯდომი ე.წ. საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა, დ.ს. ორი დღის შემდეგ, 24 ნოემბერს, ხოლო მგზავრებმა - ს.წ.-მ და ბ.წ.-მ მიიღეს სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები.

2004 წლის 10 თებერვალს გამოტანილ იქნა დადგენილება ა.მ.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის შესახებ, საქართველოს სს კოდექსის მე-400 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ხოლო, 2004 წლის 13 თებერვალს გამოტანილ იქნა დადგენილება ა.მ.-ს ეჭვიტანილად ცნობის შესახებ. საქმის მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ საქმეზე დაიკითხნენ მოწმეები, დაზარალებულები, დაზარალებულის უფლებამონაცვლე, ექსპერტები, ეჭვიტანილი ა.მ., ჩატარდა სხვადასხვა სახის ექსპერტიზები (მათ შორის, სატრანსპორტო-ტრასოლოგიური, ავტოტექნიკური და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები), მოხდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ასევე, ჩატარდა სხვა საგამოძიებო მოქმედებები.

2005 წლის 28 აპრილის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გამოძიების სამმართველოს გამომძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილების მიხედვით, შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა ა.მ.-ს მიმართ და სისხლის სამართლის საქმე, ვინაიდან ქმედება არ იყო მართლსაწინააღმდეგო.



საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაციით<sup>165</sup>, მოცემულ საქმეს ამჟამად იძიებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს მე-2 განყოფილება. ამასთან, საქმეზე კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული არ არის.<sup>166</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გირგვლიანის და ენუქიძის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებებში აღნიშნა, რომ მტკიცებულებების შეფასებისას, სასამართლო ზოგადად „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცების სტანდარტით სარგებლობს (იხ. Ireland v. the United Kingdom, 18 January 1978, §161, Series A no. 25). თუმცა, ასეთი მტკიცება შეიძლება ეფუძნებოდეს ფაქტების შესახებ საკმარისად მყარი, აშკარა და ერთმანეთთან შეთანხმებული ლოგიკური დასკვნების ან მსგავსი, გაუქარწყლებელი პრეზუმპციების ერთობლიობას. როდესაც ინფორმაცია გასაჩივრებული მოვლენების შესახებ, მთლიანად ან უმეტეს წილად, სახელმწიფო ორგანოების ექსკლუზიურ მფლობელობაშია, როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც დაკავებული პირი მათი კონტროლის ქვეშ იმყოფება, წარმოიშობა მყარი ფაქტის პრეზუმპცია ასეთი დაკავების დროს მომხდარი დაზიანებისა და სიკვდილის ფაქტების მიმართ. ჭეშმარიტად, შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ მტკიცების ტვირთი სახელმწიფო ორგანოებს აწევთ, რაც მოიცავს მათ ვალდებულებას, წარმოადგინონ დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტება (იხ. Ertak v. Turkey, no. 20764/92, § 32, ECHR 2000-V)<sup>167</sup>.

ორივე ზემოაღნიშნულ საქმეში, იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს ლეგიტიმური კითხვები, იკვეთება თუ არა დანაშაულის ნიშნები სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების ქმედებაში (ერთ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს, ხოლო მეორე შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს უფროს ოფიცერს), სამართალდამცავი ორგანოები ვალდებული არიან განსაკუთრებული გულმოდგინებით და ეფექტურად აწარმოონ გამოძიება, რომელიც დაადგენს საქმის გარემოებებს სრულად და დანაშაულის ჩადენის დადასტურების შემთხვევაში, დადგება შესაბამისი პირის/პირების პასუხისმგებლობის საკითხი.

### **ლოპოტას ხეობაში, სოფელ ლაფანყურთან ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ**

ლოპოტას ხეობაში, სოფელ ლაფანყურთან 2012 წლის 28 აგვისტოს ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, ადამიანის უფლებათა (მათ შორის, სიცოცხლისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის) სავარაუდო დარღვევები, სპეციალური ძალოვანი

<sup>165</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის 17 აპრილის და 6 აგვისტოს №1986/04-8/1069-13 და №4176/04-8/1069-13 წერილები.

<sup>166</sup> 2013 წლის 23 მაისის საქართველოს მთავარი პროკურატურის №13/53211 და 2013 წლის 21 აგვისტოს №13/84767 წერილები.

<sup>167</sup> კარ. 285.

სტრუქტურების მიერ შესაძლო დანაშაულების ჩადენა და გამოძიების პროცესში არსებული ხარვეზები დეტალურად იქნა განხილული საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში<sup>168</sup>. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 2013 წლის განმავლობაში აგრძელებდა ამ საკითხების შესწავლას.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე გამოძიების შედეგების შესახებ ინფორმაცია ცნობილი არ არის დაზარალებულთა ოჯახის წევრებისა და ფართო საზოგადოებისათვის, საქართველოს სახალხო დამცველმა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, 2013 წლის 22 ოქტომბერს შექმნა საზოგადოებრივი საბჭო.<sup>169</sup> საბჭოს მიზანია, სოფელ ლაფანყურთან ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტების სრულყოფილი შესწავლა და დოკუმენტირება. საბჭო არ წარმოადგენს ალტერნატიულ საგამოძიებო უწყებას და პირიქით, ხელს შეუწყობს გამოძიების ყოველმხრივ, ეფექტურად და გამჭვირვალედ წარმართვას.<sup>170</sup> რამდენიმე თვის მუშაობის შედეგად, საზოგადოებრივმა საბჭომ გამოკითხა არაერთი პირი, მათ შორის, დაზარალებულთა ოჯახის წევრები, ვისაც შესაძლოა, ჰქონოდა ინფორმაცია 2012 წლის 28 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან განვითარებული მოვლენების შესახებ. პირველადი შესწავლილი შედეგების საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშში დასმული კითხვები კვლავ ლეგიტიმურია და გამოძიების მიერ პასუხი უნდა გაეცეს. საბჭო თავის სრულყოფილ ანგარიშს 2014 წლის პირველ ნახევარში წარმოადგენს.

საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშში დეტალურად არის მითითებული ის ხარვეზები, რომელთაც ადგილი აქვს ლოპოტას ხეობაში განვითარებული მოვლენების შესახებ მიმდინარე ოფიციალურ გამოძიებაში. გამოძიების პროცესში ამ დრომდე პრობლემური რჩება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა, საქმის სათანადო კვალიფიკაცია, გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და დაზარალებულთა პროცესუალური უფლებების დაცვა.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება კვლავ მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „ი“ ქვეპუნქტების შესაბამისად მიმდინარეობს, რომელიც მძევლად ხელში ჩაგდებას ითვალისწინებს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს მიერ ლოპოტას ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციას

<sup>168</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში, გვ. 289–292 და 296–298.

<sup>169</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 22 ოქტომბრის განცხადება.

<sup>170</sup> საქართველოს სახალხო დამცველის გადაწყვეტილებით, საზოგადოებრივი საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სოსო ცისკარიშვილი, ლია მუხაშავერია, უმარ იდიგოვი, ზაურ გუმაშვილი, ხასო ხანგოშვილი, მურად ქავთარაშვილი, ვახტანგ მაისაია, კახა კახიშვილი, მამუკა არეშიძე, თამარ გაბისონია და გელა ნიკოლაიშვილი.

მოჰყვა შეიარაღებული დაჯგუფების წევრებისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა სიცოცხლის ხელყოფა, არსებითაა გამოძიების ფარგლებში შეფასდეს სამართალდამცავი პირების მიერ ლეტალური ძალის გამოყენების აუცილებლობა, მართლზომიერება და პროპორციულობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, სახელმწიფო ვალდებულია ჩაატაროს ეფექტური და ოფიციალური გამოძიება სიცოცხლის ხელყოფის იმ ფაქტებზე, რომელიც სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების შედეგად დადგა. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ითხოვს არა მხოლოდ იმ სახელმწიფო მოხელეების ქმედების შეფასებას, რომლებმაც უშუალოდ გამოიყენეს ლეტალური ძალა, არამედ თუ როგორ მოხდა სპეცოპერაციის დაგეგმვა და განხორციელება. ამიტომ, გამოძიების წარმართვა მხოლოდ სს კოდექსის 144-ე მუხლის საფუძველზე, არასაკმარისია. სახელმწიფო ვალდებულია ცალკე წარმართოს გამოძიება შეიარაღებული დაჯგუფების წევრების სიცოცხლის ხელყოფის ფაქტთან დაკავშირებით. ამასთან, გამოძიება უნდა ჩატარდეს პროკურატურის და არა საქართველოს შს სამინისტროს გამომძიებლების მიერ.

ამ დრომდე პრობლემურია გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საკითხი. როგორც ცნობილია, სს კოდექსის 144-ე მუხლით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს საქართველოს შს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საგამომძიებო ნაწილი აწარმოებს. ასევე, გამოძიების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სწორედ ამ საქმის ფარგლებში ხდება სამართალდამცავების მიერ ლეტალური ძალის გამოყენების მიზანშეწონილობის გარემოებების შესწავლა. ამ ფორმით გამოძიების წარმართვა პირდაპირ არღვევს გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებულების სტანდარტს, რადგან ლაფანყურის სპეცოპერაციას, მათ შორის, შს სამინისტროს შეიარაღებული ძალები აწარმოებდნენ. მსგავსი შემთხვევების გამოძიება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითაც პროკურატურის კომპეტენციაა, თუმცა, საქმის პროკურატურისათვის გადაცემის არაერთი მოთხოვნა ამ დრომდე არ დაკმაყოფილებულა. არ არის შესრულებული საქართველოს პარლამენტის 2013 წლის ივლისის დადგენილებაც, რომელშიც გათვალისწინებულია საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშში მოცემული რეკომენდაცია - გამოძიება საქართველოს მთავარმა პროკურატურამ აწარმოოს.<sup>171</sup>

<sup>171</sup> საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 30 ივლისის დადგენილება №912-რს, „2012 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ,“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე. „4. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ:[...]“

გ) ჩაატაროს სრულყოფილი და მიუკერძოებელი გამოძიება ლოპოტის ხეობაში, სოფელ ლაფანყურთან, სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილთა საქმეზე, აგრეთვე მათი ოჯახის წევრებზე განხორციელებული უკანონო ზემოქმედების ფაქტებზე; მიუკერძოებლობისა და მაღალი სანდოობის პრინციპიდან გამომდინარე, გამოძიების წარმოებაში არ უნდა მონაწილეობდნენ ის პირები (გამომძიებლები, პროკურორები), რომლებიც რაიმე ფორმით დაკავშირებული იყვნენ აღნიშნულ საქმესთან; დ) საზოგადოების დიდი დაინტერესებიდან გამომდინარე, საგამომძიებო ორგანოს მეშვეობით

გარდაცვლილი პირების ოჯახის წევრებს არ აქვთ მინიჭებული დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი, მაშინ როცა სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ სიცოცხლის მოსპობის შემთხვევების გამოძიების დროს, დაზარალებულების წინაშე, სახელმწიფოს მაღალი ანგარიშვალდებულება და გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმირების ვალდებულება გააჩნია. დაზარალებულის სტატუსის არარსებობის პირობებში, გარდაცვლილი პირების ოჯახის წევრები იმ მცირედი უფლებებითაც ვერ სარგებლობენ, რასაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ანიჭებთ.

შესაბამისად, ლაფანყურის სპეცოპერაციის საქმეზე ეფექტური, ობიექტური და დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარების მიზნით, კვლავ აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების წარმოება: დაიწყოს გამოძიება სამართალდამცავთა მიერ ლეტალური ძალის გამოყენების მართლზომიერების და პროპორციულობის შესასწავლად. ამასთან, გამოძიებული იქნას სპეცოპერაციის დაგეგმვისა და განხორციელების გარემოებები; გამოძიება წარმართული იქნეს (მათ შორის, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე საგამომიებო მოქმედებები ჩატარდეს) საქართველოს პროკურატურის მიერ; გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს მიენიჭოთ დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი და უზრუნველყოფილი იყოს გამოძიების პროცესში მათი ეფექტური მონაწილეობა.

## **2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიების შესახებ**

2008 წლის აგვისტოს ომის დროს სოფლებისა და ქალაქების დაბომბვას მოჰყვა მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით, ათასზე მეტმა იძულებით გადაადგილებულმა პირმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეიტანა სარჩელები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. საქართველოს მთავრობამ მეორე სახელმწიფოთაშორისი საჩივარი (საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (2)) წარადგინა ევროპულ სასამართლოში, რომელიც 2011 წლის 13 დეკემბერს დასაშვებად იქნა ცნობილი ევროსასამართლოს მიერ, თუმცა, ჯერ არსებითად განხილული არ ყოფილა.<sup>172</sup> აღნიშნულ საჩივრებში საუბარია ისეთი ფუნდამენტური უფლებების დარღვევაზე, როგორცაა სიცოცხლის უფლება, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა, საკუთრების, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა, იძულებით გადაადგილება, დისკრიმინაცია ეთნიკური ნიშნით, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და სხვა.<sup>173</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სარჩელები შეტანილია

---

პერიოდულად მიაწოდოს საქართველოს პარლამენტს ინფორმაცია ლოპოტის ხეობაში, სოფელ ლაფანყურთან, 2012 წლის აგვისტოში მომხდარი მოვლენების გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

<sup>172</sup> Decision, Georgia v. Russia (2), Application no. 38263/08, European Court of Human Rights, 13.12.2011 [http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/Pages/search.aspx#{"docname":\["GEORGIAv.RUSSIA\(II\)"\],"documentcollectionid":\["COMMITTEE","CLIN","ADVISORYOPINIONS","REPORTS","RESOLUTIONS"\],"itemid":\["001-108097"\]}](http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/Pages/search.aspx#{)

<sup>173</sup> იხ. საქართველოს ხელისუფლების განაცხადი ევროსასამართლოში, 24 საათი, 30.01.2012



საქართველოს წინააღმდეგაც.<sup>174</sup> 2013 წლის ნოემბერში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისმა გამოაქვეყნა თავისი მესამე ანგარიში წინასწარ მოკვლევასთან დაკავშირებულ საკითხებზე.<sup>175</sup> ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველო-რუსეთის 2008 წლის ომის დროს, სავარაუდოდ, ჩადენილი იქნა დანაშაულები, რომელიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში ექცევა: ქართველი მოსახლეობის იძულებით გადაადგილება, მშვიდობისმყოფელებზე თავდასხმა, სამოქალაქო მოსახლეობაზე და სამოქალაქო ობიექტებზე უკანონო თავდასხმა, ქონების განადგურება, მარცვა და წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები.<sup>176</sup>

საქართველოს მთავარ პროკურატურაში რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით, გამოძიება ჯერ კიდევ 2008 წელს დაიწყო. 2013 წლის მარტში მედიასაშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს მთავარი პროკურორის გადაწყვეტილებით, შეიქმნა 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს და მის შემდგომ პერიოდში სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების შემსწავლელი 8 კაციანი საგამოძიებო ჯგუფი. თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოძიებული ინფორმაციით, აღნიშნულ გამოძიებას ამ დრომდე რაიმე შედეგი არ მოჰყოლია.<sup>177</sup>

---

<http://24saati.ge/index.php/category/news/justice/2012-01-30/24670>

ასევე, რუსეთის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლოში დამატებითი მასალები შევიდა, რადიო თავისუფლება, 13.02.2009, <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1956622.html>

<sup>174</sup> რუსეთის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელებიდან განხილვა მხოლოდ ერთ საქმეზეა დაწყებული, *კობალაძე და სხვები რუსეთის წინააღმდეგ*, საქმე №50135/09.

იხ. ოთხი ქართველი რუსეთის წინააღმდეგ სტრასბურგში, რადიო თავისუფლება, 06.07.2011 <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/24257205.html>

<sup>175</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა, ლუსის მორენო ოკამპომ 2008 წლის 14 აგვისტოს ოფიციალურად განაცხადა, რომ საქართველო-რუსეთის სიტუაციის წინასწარი მოკვლევა დაიწყო.

<sup>176</sup> Report on preliminary examination activities 2013, November 2013, The Office of Prosecutor, the ICC, paras. 157-162 ; See also, Report on preliminary examination activities 2012, November 2012, The Office of the Prosecutor, The ICC.

<sup>177</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 9 დეკემბრის №04-6/2685 წერილი და საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 27 იანვრის №13/4748 წერილი. საქართველოს მთავარი პროკურატურის აღნიშნული წერილის მიხედვით, 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს და მის შემდგომ პერიოდში სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით, საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში საქართველოს მთავარი პროკურატურის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის მიერ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება. საქართველოს მთავარი პროკურატურის ამავე წერილის მიხედვით, ხსენებული სისხლის სამართლის საქმე მრავალეპიზოდური და მოცულობითია, ჩატარებულია მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები და გრძელდება მტკიცებულებათა მოპოვება. თუმცა, სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ დაწყებული არ არის.



საქართველოს საგამომიებო ორგანოები იძიებენ 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების და მის შემდგომ პერიოდში ეთნიკურად ოსი პირების უგზო-უკვლოდ გაუჩინარების ფაქტებს.<sup>178</sup> კერძოდ, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საგამომიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა); ა.ხ.-ს, ა.ხ.-ს და ს.პ.-ს გაუჩინარებასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის №74098089 საქმეზე და თ.კ.-ს უგზო-უკვლოდ გაუჩინარების ფაქტზე, სისხლის სამართლის №011040113004 საქმეზე. რ.ი.-ის გაუჩინარების ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამომიებო ნაწილში სისხლის სამართლის №074088079 საქმის ფარგლებში. დღემდე არცერთ ზემოაღნიშნულ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის<sup>179</sup>.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, როდესაც არსებობს *prima facie* საქმე, რომ ესა თუ ის პირი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა ხელში გაუჩინარდა, ამის დამადასტურებელი დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაშიც კი, მტკიცების ტვირთი ეკისრება სახელმწიფოს; სახელმწიფო ვალდებულია წარმოადგინოს დამაჯერებელი მტკიცებულებები, რომ მის მიერ არ მომხდარა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა. ასევე, ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს ევალება სწრაფი და ეფექტური გამოძიების წარმოება.<sup>180</sup>

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს და მის შემდგომ პერიოდში, გაუჩინარებულ პირთა საქმეებზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში არსებულ ხარვეზებზე ჯერ კიდევ 2010 წელს ევროპის საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში იყო საუბარი. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ამ საქმეებზე დღემდე გამოძიება დასრულებული არ არის<sup>181</sup>.

მნიშვნელოვანია, საქართველოს კანონმდებლობის, კერძოდ კი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამ მიზნით, 2013 წლის 30 აგვისტოს, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პრეზიდენტს გაეროს 2006 წლის 20 დეკემბრის „იძულებით გაუჩინარებისაგან ყველა პირთა დაცვის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირების პროცესის დაწყების რეკომენდაციით მიმართა.<sup>182</sup> საქართველოს პრეზიდენტმა შესაბამისი მიმართვა, საქართველოს კანონმდებლობით

<sup>178</sup> იხ. ასევე, საქართველოში 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში და მის შემდგომ უგზოუკვლოდ დაკარგული პირების საქმეების გამოძიების მონიტორინგი, სტრასბურგში, 2010 წლის 29 სექტემბერი.

<sup>179</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 10 ოქტომბრის წერილი.

<sup>180</sup> იხ. *Togcu v Turkey*, application. no. 27601/95, 31 May 2005, para. 95; *Malika Alikhadzhiyeva v Russia*, application no. 37193/08, 24 May 2011, para. 91.

<sup>181</sup> საქართველოში 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში და მის შემდგომ უგზოუკვლოდ დაკარგული პირების საქმეების გამოძიების მონიტორინგი, სტრასბურგში, 2010 წლის 29 სექტემბერი.

<sup>182</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 30 აგვისტოს განცხადება.

გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გააგზავნა.<sup>183</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ამ დრომდე გრძელდება გამოძიება უგზო-უკვლოდ გაუჩინარების რამდენიმე შემთხვევასთან დაკავშირებით. ყველა აღნიშნულ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას უკანონო თავისუფლების აღკვეთისათვის.<sup>184</sup>

2013 წლის 19 აპრილს უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქე მ.მ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, მ.მ. საქართველოს ტერიტორიაზე 2012 წლის მაისის თვიდან იმყოფებოდა. მას ლტოლვილის სტატუსის მიღების მიზნით მიმართული ჰქონდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს. 2012 წლის 14 დეკემბერს მ.მ. დაკავებული იქნა საქართველო სს კოდექსის 344-ე მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ბრალდებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 15 დეკემბერის განჩინებით, მის მიმართ გამოყენებული იქნა პატიმრობა, ხოლო 2013 წლის 14 იანვარს, მ.მ.-ს მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.<sup>185</sup> მ.მ. 2013 წლის 19 აპრილს გაუჩინარდა. 2013 წლის 5 სექტემბერს საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდან-ნაძალადევის სამმართველოს მე-7 განყოფილებაში დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება საქართველოს სს კოდექსის 143-ე მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, მ.მ.-ს თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე.<sup>186</sup> საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ მ.მ. შესაძლოა რუსეთის ფედერაციაში იყოს დაკავებული, რაც აჩენს კითხვებს მის გაუჩინარებასა და მოგვიანებით, რუსეთის ფედერაციაში პატიმრობასთან დაკავშირებით, მაშინ როცა, მ.მ. ოჯახის წევრების განმარტებით, ის ლტოლვილის სტატუსს სწორედ რუსეთის ფედერაციაში მის წინააღმდეგ განხორციელებული დევნის გამო ითხოვდა.

<sup>183</sup> საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2013 წლის 11 სექტემბრის წერილი.

<sup>184</sup> 2007 წლის თებერვლის თვეში უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა გალში აფხაზური ადმინისტრაციის თანამშრომელი დ.ს. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კი უგზო-უკვლოდ გაუჩინარდნენ 2008 წლის 16 აგვისტოს და 2008 წლის 27 აგვისტოს მოქალაქეები დ.ც. და პ.ქ.

<sup>185</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 13 სექტემბრის წერილი.

<sup>186</sup> საქართველოს შს სამინისტროს 2013 წლის 13 მაისის და 14 სექტემბრის წერილები.

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავარ პროკურორს:

- სწრაფად და ეფექტურად იქნას გამოძიებული მამუკა მიქაუტაძის და დ.ს.-ს სიცოცხლის მოსპობის შემთხვევები;
- ჩაატაროს სწრაფი, ინტენსიური და ეფექტური გამოძიება უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულ პირთა, მათ შორის, რუსეთის მოქალაქე მ.მ. გაუჩინარების ფაქტზე;
- 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს და მის შემდგომ პერიოდში სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების, მათ შორის უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საქმეების გამოძიება წარიმართოს ეფექტურად, შემჭიდროვებულ ვადებში.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, საქართველოს მთავარ პროკურორს:

- ლოპოტას ხეობაში 2012 წლის 28 აგვისტოს ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილ პირთა საქმეების გამოძიება წარიმართოს საქართველოს მთავარ პროკურატურაში, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, სწრაფი და ეფექტური გამოძიების ყველა პრინციპის დაცვით.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, საქართველოს პარლამენტს:

- საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის რეკომენდაციის შესაბამისად, დაიწყოს გაეროს 2006 წლის 20 დეკემბრის „იძულებით გაუჩინარებისაგან ყველა პირთა დაცვის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირების პროცესი.

## წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვა

წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვა აბსოლუტურ უფლებას წარმოადგენს. აღნიშნული უფლება ადამიანის, როგორც პიროვნების, განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. დაუშვებელია მისი შეზღუდვა ნებისმიერი მიზნით, ასევე მისი გამართლება, რომელიმე გარემოებითა თუ დანაშაულის სიმძიმის მოტივით. სახელმწიფო ვალდებულია, თავი შეიკავოს პირის წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისგან, აკრძალოს წამება, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა საკანონმდებლო დონეზე, ხოლო, ასეთი ქმედების ჩადენის შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია სწრაფად და ეფექტიანად გამოიძიოს და დადგეს დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>–144<sup>3</sup> მუხლებით წამება, წამების მუქარა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა კრიმინალიზებულია. თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველის არაერთ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ხშირ შემთხვევაში, მსგავსი ქმედებები არასწორად კვალიფიცირდებოდა – სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შემადგენლობით. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ სს კოდექსის 144<sup>1</sup>–144<sup>3</sup> მუხლებით (წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) გათვალისწინებული დანაშაულისათვის წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეთა რიცხვი წლების განმავლობაში დაბალი იყო. თუმცა, 2012 წლის სექტემბერში ნათელი გახდა, რომ წამება და არასათანადო მოპყრობა დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენდა. 2013 წლის აგვისტოში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მის კუთვნილ თუ სხვა ტერიტორიებზე არაერთი ვიდეო ჩანაწერი აღმოაჩინა, რომელიც მსგავს ქმედებათა სისტემურ ხასიათზე მიანიშნებდა, მათ შორის, სასჯელაღსრულების სისტემის გარეთ.<sup>187</sup>

ანგარიშის მოცემულ თავში მიმოხილული იქნება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ კონკრეტული საქმეების შესწავლის შედეგად გამოვლენილი დარღვევების ხასიათი წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვის უფლებასთან მიმართებით. მათ შორის, მოცემულია სამართალდამცავების მიერ დაკავებული პირების მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებისა და მოცემულ ფაქტებზე განხორციელებული რეაგირების ანალიზი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში 2013 წლის განმავლობაში უამრავი საჩივარი შემოვიდა, რომლებშიც მოქალაქეები/მსჯავრდებულები საუბრობდნენ 2012 წლის ოქტომბრამდე პერიოდში, მათ მიმართ პოლიციისა და სასჯელაღსრულების

<sup>187</sup> საქართველო გარდამავალ პერიოდში, თომას ჰამარბერგი, ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი საქართველოში საკონსტიტუციო და სამართლებრივი რეფორმების საკითხებსა და ადამიანის უფლებებში, 2013 წელი, გვ. 30-32.

თანამშრომლების მიერ განხორციელებული წამების, არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის თაობაზე. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ყველა ეს მიმართვა რეაგირებისთვის საქართველოს მთავარ პროკურატურაში გადააგზავნა, სადაც, უმეტეს შემთხვევაში დაწყებულია გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>–144<sup>3</sup> (წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) და 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის. თუმცა, არცერთი ეს საქმე, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე სასამართლოსათვის გადაცემული არ არის. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურა პროაქტიულად, უდანაშაულობის პრეზუმფციისა და ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვით აწვდიდეს საზოგადოებას ინფორმაციას წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

ბუნებრივია, მსგავსი საქმეების გამოძიება საქართველოს საგამოძიებო ორგანოების მხრიდან განსაკუთრებულ ძალისხმევას საჭიროებს ისეთი მტკიცებულებების მოპოვებისათვის, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადგენს დანაშაულის ჩადენის ფაქტს. ასეთი, უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს ნივთიერი მტკიცებულებები, მათ შორის, სამედიცინო დოკუმენტები, რომელთა მოპოვება, დანაშაულთა ჩადენის ხანდაზმულობის გათვალისწინებით, შესაძლოა სირთულეს წარმოადგენდეს. იმისათვის, რომ ამ დანაშაულთა გამოძიება ეფექტიანად წარიმართოს, აუცილებელია, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ შეისწავლოს სხვა ქვეყნების გამოცდილება, მეთოდოლოგია და ექსპერტიზა, რომელიც მსგავსი ხანდაზმულობის საქმეთა გამოძიებისათვის მტკიცებულებათა მოპოვებასა და შესწავლას გულისხმობს.<sup>188</sup> მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ რაც უფრო გაჭიანურდება მსგავსი საქმეთა გამოძიება, მით უფრო გართულდება და არარეალური გახდება სათანადო მტკიცებულებების მოპოვება, სრულყოფილი გამოძიების ჩატარება, დამნაშავე პირების გამოვლენა და დასჯა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქართველოს სს კოდექსის 144<sup>1</sup>–144<sup>3</sup> (წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის წარმოებული ორი სისხლის სამართლის საქმე, რომლებზეც 2013 წლის 3 ივლისს და 2014 წლის 8 იანვარს ახალციხის და გორის რაიონულმა სასამართლოებმა გამამართლებელი განაჩენი გამოიტანეს. საქმის მასალების მიხედვით, ბრალდების მხარის ძირითად მტკიცებულებებს წარმოადგენდა დაზარალებულთა ჩვენებები, რაც სასამართლომ არ ჩათვალა საკმარისად, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის. ახალციხის რაიონულმა სასამართლომ

<sup>188</sup>სასჯელადსრულების დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის ნიშანთა დაფიქსირების მხრივ არსებულ ხარვეზებზე საუბარია ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის – „არასათანადო მოპყრობისა და დაუსჯელობის აღმოფხვრის ხელშეწყობის“ პროგრამის გრძელვადიანი კონსულტანტის, ჯიმ მერდოკის 2013 წლის ანგარიშში, „არასათანადო მოპყრობის გამოძიება საქართველოში: მიმოხილვითი ანგარიში,“ გვ. 22–26.



განაჩენში მიუთითა, „დაზარალებულის ჩვენებას გამორიცხავს თვით ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტი დ. მ., რომელიც [სასამართლოზე მოწმის სახით დაკითხვისას] აღნიშნავს, რომ დაზარალებულ ვ. გ.-ს მიერ აღწერილ შემთხვევაში, მას აუცილებლად დაემჩნეოდა დაზიანების ობიექტური ნიშანი[...]”<sup>189</sup>. ახალციხის რაიონული სასამართლოს განაჩენი ძალაში იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 დეკემბრის განაჩენით. გორის რაიონულმა სასამართლომ 2014 წლის 8 იანვარს გამოტანილ განაჩენში აღნიშნა,

„[...] არაადამიანური მოპყრობის და გაუპატიურების ფაქტის დასადგენად და დაზარალებულის ჩვენების სარწმუნოების განსაზღვრისათვის ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულება არის მეცნიერულად დასაბუთებული და სრულყოფილად ჩატარებული სამედიცინო მტკიცებულება – სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. [...] მხოლოდ ზედაპირული და გარეგნული დათვალიერების საფუძველზე ჩატარებული ექსპერტიზა და გაცემული დასკვნა ეჭვქვეშ აყენებს მის სანდოობას და არ იძლევა დამაჯერებელ ახსნას. ბრალდების მხარეს [...] უნდა დაენიშნა ასევე სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, რომელიც გამოიკვლევდა ჰქონდა თუ არა [დაზარალებულ] ო.-ს უკანა ტანის შიდა დაზიანებები.“<sup>190</sup>

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2012 წლის ოქტომბერში ე.წ. „ციხის კადრების“ გასაჯაროებიდან 2013 წლის 31 აგვისტომდე პერიოდში საქართველოს სს კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლით (წამება) 28 ფაქტზე დაიწყო გამოძიება, ხოლო 144<sup>3</sup> მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) 118 ფაქტზე. საქართველოს სს კოდექსის 144<sup>2</sup> მუხლით (წამების მუქარა) გათვალისწინებული დანაშაულის არცერთ ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა. აღნიშნული საქმეებიდან, 2013 წლის 25 ივნისს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ განაჩენი დადგა 6 ბრალდებულის მიმართ, ხოლო, 2013 წლის 14 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ - 17 ბრალდებულის მიმართ. დანარჩენი საქმეები, 2013 წლის 24 სექტემბრის მდგომარეობით, განხილვისათვის წარმართული იყო ბათუმის, ზუგდიდის, გორის, რუსთავის, ქუთაისის და თბილისის საქალაქო სასამართლოებში.<sup>191</sup> უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 9 ბრალდებულის მიმართ დამტკიცებული საპროცესო შეთანხმებების შედეგად და იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთ აღნიშნულ ყველა ბრალდებულზე გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მოქმედება, შეფარდებული სასჯელის მაქსიმუმმა შეადგინა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო, ცალკეულ მსჯავრდებულებს შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ 6 თვის ვადით<sup>192</sup>, რაც ცალსახად არაპროპორციული სასჯელია წამების და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მსჯავრდებულ პირთათვის.

<sup>189</sup> ახალციხის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 3 ივლისის განაჩენი, გვ. 68-69;

<sup>190</sup> გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 8 იანვრის განაჩენი, გვ. 11;

<sup>191</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 24 სექტემბრის წერილი.

<sup>192</sup> იქვე;

გარდა ამისა, ე.წ. „ციხის კადრების“ საქმეში, საქართველოს მთავარი პროკურატურისა და საერთო სასამართლოების მხრიდან გამოიკვეთა საერთაშორისო პრინციპების დარღვევა, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ჩამდენი პირების მიმართ, შესაბამისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისა და განაჩენის აღსრულების ნაწილში.

## მსჯავრდებულ ვ.ბ.-ს საქმე

2013 წლის 14 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ, ლ.ჩ.-მ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, საქართველოს მთავარ პროკურორს, არჩილ კვიციანიშვილსა და ბრალდებულ ვ. ბ.-ს შორის, რომელიც ბრალდებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით<sup>193</sup>, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით (ოთხი ეპიზოდი)<sup>194</sup>, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულისათვის. საპროცესო შეთანხმების საფუძველზე,

---

<sup>193</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტების თანახმად, პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს, ჩადენილი:

- ა) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ;
- ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
- დ) ორი ან მეტი პირის მიმართ;
- ე) ჯგუფურად;

ზ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე, ჯარიმით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ;

<sup>194</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით, წამება, ესე იგი პირისათვის, მისი ახლო ნათესავისათვის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის, ჩადენილი:

- ა) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ;
- ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
- ე) ჯგუფურად;

ზ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ.

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე.

ვ.ბ. სრულად გათავისუფლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სრულად შეისწავლა ბრალდებულ ვ.ბ.-ს წინააღმდეგ არსებული სისხლის სამართლის საქმის მასალები.

2013 წლის 11 ივნისის „განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების თაობაზე“ შუამდგომლობაში საქართველოს მთავარმა პროკურორმა ბრალდებულ ვ.ბ.-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> და 144<sup>3</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან სრულად გათავისუფლების საფუძვლად მიუთითა - ვ.ბ.-ს მიერ სამართალდამცავ ორგანოებთან განსაკუთრებული თანამშრომლობა, რომლის გარეშეც ვერ დადგინდებოდა თავად ვ.ბ.-სა და ასევე, სხვა პირების მიერ დანაშაულის ჩადენა, რომელიც ვ.ბ.-მ ჩაიდინა 2011 წლის მარტიდან ივნისამდე პერიოდში (მის მიერ გადაღებული პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ამსახველი ვიდეომასალა მხოლოდ 2012 წლის სექტემბერში გავრცელდა). ამავე შუამდგომლობის თანახმად, „ამ ვიდეომასალის წარმოდგენით ვ.ბ.-მ საფრთხეში ჩააგდო არა მარტო საკუთარი სამსახურებრივი კარიერა, არამედ საკუთარი უსაფრთხოებაც, რის გამოც იგი იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა. საფრთხეს იქნა დაქვემდებარებული ასევე ვ.ბ.-ს ოჯახის წევრების სიცოცხლე და ჯანმრთელობა.“

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის შესწავლის შედეგებით, ვ.ბ.-სა და სხვათა ბრალდების სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან არ იკვეთება საქართველოს მთავარი პროკურორის 2013 წლის 11 ივნისის შუამდგომლობაში მითითებული გარემოებები იმის შესახებ, რომ ვ.ბ.-სა და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ვ.ბ.-ს მიერ ზემოაღნიშნული ვიდეომასალის გავრცელების გამო, საფრთხე ემუქრებოდა. საფრთხის არსებობის შესახებ ინფორმაცია არც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის მიწოდებული ინფორმაციით დასტურდება, რომლის თანახმად, ვ.ბ.-ს ან/და მისი ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებულ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების, მათ შორის, მუქარის ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა, შესაბამისად, არც სასამართლოს გამოუტანია გამამტყუნებელი განაჩენი.<sup>195</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს პროკურატურასა და ბრალდებულს/მსჯავრდებულს შორის საპროცესო შეთანხმების გაფორმებისა და სასამართლოს მიერ მისი დამტკიცების პროცედურებს. ხოლო, საქართველოს სს საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლი შეეხება ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლებას ან თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის სასჯელის

<sup>195</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 4 ოქტომბრის №13/96619 წერილი.

გადახედვას, საქართველოს მთავარ პროკურორსა და ბრალდებულს/მსჯავრდებულს შორის განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ საპროცესო შეთანხმების პირობებში.

ამავე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, „მსჯავრდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება დაუშვებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>, 144<sup>2</sup> და 144<sup>3</sup> მუხლებით [წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა] გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე.“

შესაბამისად, საქართველოს სს საპროცესო კოდექსი პირდაპირ კრძალავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>, 144<sup>2</sup> და 144<sup>3</sup> მუხლებით მსჯავრდებული (და არა ბრალდებული) პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მთავარი პროკურორი ფორმალურად უფლებამოსილი იყო ბრალდებულ ვ.ბ.-ს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლების შესახებ ეშუამდგომლა საერთო სასამართლოების წინაშე. თუმცა, როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ჩანაწერი, ასევე, საქართველოს მთავარი პროკურორის და შემდგომ უკვე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 ივნისის განაჩენი, აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა და საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ, ეწინააღმდეგება საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს - ადამიანის წამებისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის ფაქტების გამოძიებისა და დამნაშავეთა დასჯის თაობაზე.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისა და რეკომენდაციების მიხედვით, მოსამართლეები ვალდებული არიან (მათი იურისდიქციის ფარგლებში), შეასრულონ საერთაშორისო ვალდებულება - გამოიძიონ, მართლმსაჯულების წინაშე წარადგინონ და დასაჯონ წამების დანაშაულის ჩამდენნი. არავის არა აქვს გამონაკლისის მოთხოვნის უფლება მათი ოფიციალური სტატუსის გამო. ამნისტიები და სხვა მსგავსი ზომები, რომლებიც ადამიანის უფლებათა მძიმე დამრღვევებს (მაგალითად, წამების დანაშაულში მხილებულებს) იცავს სასამართლოს, გამოძიებისა და ბრალდებისაგან, ვერ უწევს კონკურენციას სახელმწიფო ვალდებულებას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, იმ ადამიანების საქმეთა გამოძიების, მათი მართლმსაჯულების წინაშე წარდგენის და დასჯის ვალდებულებების ჩათვლით, რომლებსაც ბრალად ედებათ ადამიანის უფლებათა განსაკუთრებით მძიმე დარღვევა. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პრაქტიკა მსგავსი დანაშაულებისთვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას ან/და ბრალდების შემცირებას დაუშვებლად მიიჩნევს, თვით უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართაც.<sup>196</sup>

<sup>196</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მე-20 ზოგადი კომენტარი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის შესახებ, პარ. 8 და 15; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი დაკვირვებები: არგენტინა, 1995 წლის 5 აპრილი, UN doc. CCPR/C/79/Add.46; A/50/40, 146-ე პუნქტი.

შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აუცილებელია, შევიდეს ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის მე-8 ნაწილში და აიკრძალოს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>, 144<sup>2</sup> და 144<sup>3</sup> მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე, როგორც მსჯავრდებულ, ასევე ბრალდებულ პირებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება, პასუხისმგებლობისა თუ სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების მიზნით.

## **სამართალდამცავთა მიერ შესაძლო არასათანადო მოპყრობისა და ძალის გადამეტების შესახებ**

2013 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა 40-მდე განცხადება, სადაც მოქალაქეები სამართალდამცავი პირების მიერ დაკავებისას (2013 წლის პერიოდში) განხორციელებულ არასათანადო და ღირსების შემლახავ მოპყრობაზე საუბრობდნენ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის შედეგების მიხედვით, დროებითი მოთავსების იზოლატორების მონაცემებით, პოლიციის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ყველაზე მეტი პრეტენზია დაკავებულთა მიერ გამოთქმული იყო მარნეულის, თბილისის, გორის, ზუგდიდის, ბათუმის, მცხეთის, თელავის და ქუთაისის პოლიციის თანამშრომლების მიმართ. რიგ შემთხვევებში, დაკავებულები პირდაპირ უთითებენ კონკრეტული პოლიციელის სახელს, ვინც მათი დაკავების დროს ან/და მას შემდეგ აყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორის მონაცემებით, 17 ასეთი შემთხვევიდან დაკავებულები 5-5 შემთხვევაში პრეტენზიას გამოთქვამდნენ შს სამინისტროს ქუთაისის პოლიციის მთავარი სამმართველოს მეოთხე და მეორე განყოფილების თანამშრომლების მიმართ, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში პოლიციის სხვადასხვა განყოფილების თანამშრომლების, ასევე საპატრულო პოლიციისა და სამხარეო სამმართველოს პოლიციის თანამშრომლების მიმართ.

1. მოქალაქე მ.გ. დააკავეს 28.04.13წ. სს კოდექსის 239-ე მუხლის საფუძველზე, 21:45 სთ-ზე, დმი-ში შეიყვანეს 29.04.13წ. 00:35სთ-ზე. შსს ქუთაისის პოლიციის მთავარი სამმართველოს მეორე განყოფილების თანამშრომლებმა მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. აღენიშნებოდა მრავლობითი დაზიანებები - სისხლნაჟღენთები, ექსკორაციები სახეზე და მთელ სხეულზე.

2. მოქალაქე ც.გ. დააკავეს 08.05.13წ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე 01:10 სთ-ზე, დმი-ში შეიყვანეს 07:25სთ-ზე. შსს ქუთაისის პოლიციის მთავარი სამმართველოს მეოთხე განყოფილების თანამშრომლებმა მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. აღენიშნებოდა ზოგადი დაჟეჟილობები.



3. მოქალაქე გ.ე. დააკავეს 12.03.13წ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე 23:00სთ-ზე, დმი-ში შეიყვანეს 13.03.13წ. 02:00სთ-ზე. ბოლნისის პოლიციის შენობაში პოლიციის თანამშრომლებმა მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. აღენიშნებოდა ექსკორაციები ზედა და ქვედა კიდურებზე, შესივება სიწითლით წარბებს შუა.

4. მოქალაქე მ.ჩ. დააკავეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166,173-ე მუხლების საფუძველზე 10.04.13წ. 19:00 სთ-ზე, დმი-ში შეასახლეს 22:00სთ-ზე. ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მარნეულის სამმართველოს სადახლოს განყოფილების თანამშრომელმა მ.შ.-მ. აღენიშნებოდა მარჯვენა მაჯის სახსრის ტრავმა.

მოქალაქეთა მიმართ სამართალდამცავი პირების მხრიდან განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებათა გახშირების გამო, 2013 წლის 29 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებებით<sup>197</sup> მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, საქართველოს იუსტიციის მინისტრსა და საქართველოს მთავარ პროკურორს. საქართველოს სახალხო დამცველმა მოითხოვა, როგორც პრევენციული ღონისძიებების გატარება სამართალდამცავების მიერ დანაშაულებრივი ქმედებების თავიდან აცილების მიზნით, ისე მათ მიერ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებზე სწრაფი რეაგირება და ეფექტიანი გამოძიების ჩატარება.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, 2013 წლის 29 მაისის წინადადებაში მოყვანილი 9 ფაქტიდან<sup>198</sup> 2 საქმეზე არ დადასტურდა სამართალდამცავი პირების მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტი და შესაბამისად, შეწყდა გამოძიება. ხოლო დანარჩენ ფაქტებზე მიმდინარეობს გამოძიება და ცალკეულ საქმეებზე გამოძიების მწარმოებელ დანაყოფებს მიეცათ მითითებები, თუმცა შემაჯამებელი გადაწყვეტილებები მიღებული არ არის.<sup>199</sup>

### მოქალაქე მ.გ.-ს საქმე

2013 წლის 5 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა მოქალაქე მ.გ.-მ. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ 2013 წლის 10 მარტს, 2012 წლის 28 დეკემბერს მიღებული „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, იგი გათავისუფლდა სასჯელის სახით დაკისრებული თავისუფლების აღკვეთის მოხდისგან.. გათავისუფლებიდან დაახლოებით 10 დღეში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წყალტუბოს პოლიციის უფროსის მოადგილემ მიიყვანა პოლიციის შენობაში და მოსთხოვა დაეტოვებინა

<sup>197</sup> 2013 წლის 29 მაისის წინადადებებში საქართველოს სახალხო დამცველმა აღწერა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული სამართალდამცავების მიერ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ათი ფაქტი.

<sup>198</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 27 ივნისის წერილით, მოქალაქე მ.გ.-ს საქმის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა;

<sup>199</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 27 ივნისის წერილი.

საქართველოს ტერიტორია, წინააღმდეგ შემთხვევაში სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. მ.გ.-ს თქმით, 2013 წლის 31 აგვისტოს იგი საკუთარი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს წყალტუბოს პოლიციის უფროსმა – რ.ქ.-მ და მისმა მოადგილემ – ს.მ (მოქალაქეს გვარი არ ახსოვს). აღნიშნულმა პირებმა, პოლიციის შენობაში მ.გ.-ს შარვლის ჯიბეში ჩაუდეს მარიხუანა და შეადგინეს შესაბამისი ოქმი. მოქალაქის მტკიცებით, ზემოთხსენებული პირები ურტყამდნენ თავის არეში და ფეხებში. განმცხადებლის განმარტებით, მას შესთავაზეს თანამშრომლობა პოლიციასთან და სანაცვლოდ დაჰპირდნენ შედგენილი ოქმის დაწვას. მ.გ.-ს თქმით, რ.ქ.-მ იგი გაათავისუფლა, თუმცა, დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით და შვილის დაკავებით, თუ 5 დღის ვადაში არ შეასრულებდა მის დავალებას.

მოცემულ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს საქართველოს პროკურატურიდან ეცნობა, რომ 2014 წლის 28 იანვარს ქუთაისის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №041280114802 საქმეზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წყალტუბოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

### **მოქალაქე ვ.ლ.-ს საქმე**

ვ.ლ.-ს განცხადებით, 2013 წლის 27 ოქტომბერს, საღამოს დაახლოებით 21 საათზე, იმყოფებოდა რუსთავში ბალანჩივაძის ქუჩაზე მდებარე ა.გ.-ს სახლში, სადაც ასევე იმყოფებოდა საქართველოს შს სამინისტროს რუსთავის პოლიციის სამმართველოს უფროსი ზ.ა., რომელმაც მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და მალევე დატოვა აღნიშნული სახლი. ვ.ლ.-ს განცხადებით, ა.გ.-ს სახლის დატოვებისას, კორპუსთან ახლოს დახვდა ზ.ა., რომელმაც ძალის გამოყენებით ჩასვა ავტომანქანაში. ვ.ლ.-ს მტკიცებით, ზ.ა. ხელებით და გაურკვეველი ნივთით, რომელიც ხელში ეჭირა, სცემდა მას, ასევე, საბრძოლო მზადყოფნაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღი მიადო სახეზე, რის შემდეგაც ცალი ხელით ცდილობდა ვ.ლ.-ს დახრჩობას. ვ.ლ. ზ.ა.-ს ავტომანქანიდან ნაცნობებმა და გამვლელმა პირებმა იხსნეს და ერთ-ერთის ნათესავის სახლში წაიყვანეს. ამ სახლიდან გამოსვლის შემდეგაც, ქუჩაში ვ.ლ.-ს კვლავ დახვდა ზ.ა. 10–12 პოლიციელთან ერთად. ვ.ლ.-ს განმარტებით, პოლიციელებმა იგი მიწაზე დააგდეს და უმოწყალოდ სცემეს. ვ.ლ.-მ გონება დაკარგა და როცა გონს მოვიდა, რუსთავის პოლიციის №2 განყოფილებაში იმყოფებოდა, სადაც გაგრძელდა მისი ცემა. იმავე დამით, ვ.ლ. გადაიყვანეს გარდაბანში, დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც მას დასჭირდა სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, საქართველოს შს სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამმართველოს მე-2 განყოფილებაში მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ვ.ლ.-ს წინააღმდეგ, საქართველოს სს კოდექსის 353<sup>1</sup> მუხლის 1 ნაწილით

გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით (პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა).<sup>200</sup> ხოლო, 2014 წლის 24 იანვარს აღნიშნული სს საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე პოლიციის თანამშრომლების მიერ ვ.ლ.-ს მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, თუმცა, სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ დაწყებული არ არის.<sup>201</sup>

### **მოქალაქე შ.კ.-ს და ა.ჯ.-ს საქმე**

მოქალაქეების, შ.კ.-ს და ა.ჯ.-ს ადვოკატი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოტანილ განცხადებაში აღნიშნავდა, რომ 2013 წლის 27 ოქტომბერს, ღამის 2 საათზე, თბილისში, ვარდების მოედანზე, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პოლიციელებმა სცემეს შ.კ. და ა.ჯ. შემდეგ ორივე მათგანი გადაიყვანეს ძველი თბილისის პოლიციის რაიონული სამმართველოს შენობაში, სადაც, მთელი ღამის განმავლობაში განაგრძობდნენ დაკავებულების ცემას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის საქართველოს შს სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2013 წლის 28 ოქტომბერს დაკავებული შ.კ.-ს მიმართ სს საქმის გამოძიება დაიწყო საქართველოს სს კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. თუმცა შ.კ.-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა, არ შეიცავდა იმ ოდენობის ნარკოტიკულ საშუალებას, რაც აუცილებელია სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად. ამიტომ შ.კ.-ს მიმართ შეწყდა სს საქმე და იგი გათავისუფლდა, ხოლო ა.ჯ. სამართალდამცავებს არ დაუკავებიათ.<sup>202</sup>

შ.კ.-ს ადვოკატმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინა , ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ 2013 წლის 29 ოქტომბრის მიმართვის საფუძველზე მომზადებული დასკვნის ასლი შ.კ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. დასკვნის მიხედვით, შ.კ.-ს აღნიშნება დაზიანებები (სისხლნაჟღენთები) სახის არეში, რომელიც ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებაში მითითებულ თარიღს. საქართველოს სახალხო დამცველმა, 2014 წლის 21 მარტს, საქართველოს მთავარ პროკურორს, შ.კ.-ს მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე სს გამოძიების დაწყების მოთხოვნით, წინადადებით მიმართა.

### **მოქალაქე ზ. კ.-ს საქმე**

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულმა წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოართვა მოქალაქე ზ.კ.-ს. განმცხადებლის განმარტებით, 2012 წლიდან რუსთავის პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მასზე პერმანენტულად ხორციელდება

<sup>200</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 27 იანვრის წერილი;

<sup>201</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 7 მარტის წერილი.

<sup>202</sup> საქართველოს შს სამინისტროს 2014 წლის 11 თებერვლის წერილი.

ფსიქოლოგიური ზეწოლა და მუქარა, რათა მას ეთანამშრომლა სამართალდამცავებთან და მიეწოდებინა ინფორმაცია შესაძლო დამნაშავე პირებთან დაკავშირებით. ახსნა-განმარტების მიხედვით, 2013 წლის 6 თებერვალს ზ.კ.-ს რუსთავის პოლიციის განყოფილების უფროსმა დ.ს.-მ და დაახლოებით 15-მა სამართალდამცავმა მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. მოქალაქის მტკიცებით, სამართალდამცავებმა ასევე დაარღვიეს მისთვის კანონმდებლობით გარანტირებული პროცესუალური უფლებები.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, 2013 წლის 22 თებერვალს ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, პოლიციის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე მოწმის სახით დაიკითხა ზ.კ., მისი ოჯახის წევრები, მეზობლები და პოლიციის თანამშრომლები; ზ.კ.-ს ჩაუტარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. სს საქმეზე გამოძიება გრძელდება. ამასთან, ზ.კ. დაზარალებულად ცნობილი არ არის და არც კონკრეტული პირების მიმართ არის დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა.

### **მოქალაქე ვ.ბ.-ს საქმე**

2013 წლის 14 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა მოქალაქე ვ.ბ.-მ. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ 2013 წლის 12 ნოემბერს, დაახლოებით, დღის 13:15 საათზე იგი იმყოფებოდა თბილისში, მაზნიაშვილის ქუჩის №23 მდებარე მისი ძმების, ტ. და რ. ბ.-ების, ოფისში. ამ დროს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა ორმა პირმა პირადობის მოწმობა მოსთხოვეს იქვე მომუშავე გ.მ.-ს, რომლის შეკითხვის პასუხად, აღნიშნულმა პირებმა განაცხადეს, რომ პოლიციის თანამშრომლები იყვნენ და წარუდგინეს სამსახურებრივი მოწმობები. მოქალაქე ვ.ბ. ჩაერთო ზემოთ ხსენებული პირების საუბარში, აღნიშნა, რომ გ.მ.-ს კარგად იცნობდა. ვ.ბ.-ს თქმით, ამ განცხადების დასრულებისთანავე, ერთ-ერთმა პოლიციელმა ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი დააგდეს იატაკზე და ძალის გამოყენებით ჩასვეს „შკოდა ოქტავიას“ ფირმის თეთრი ფერის ავტომობილში. განმცხადებლის მტკიცებით, პოლიციის თანამშრომლებმა მისი ცემა ავტომანქანაშიც განაგრძეს. ვ.ბ.-ს განმარტებით, პოლიციელებმა თბილისის ძველი თბილისის რაიონის პოლიციაში იგი უგონო მდგომარეობაში გადაიყვანეს. პოლიციის განყოფილებაში გამოცხადებულმა დაკავებულის ძმამ, ტ.ბ.-მ, რომელმაც ნახა განმცხადებლის მდგომარეობა, პოლიციის სამმართველოს უფროსს ვ.ბ.-სთვის სამედიცინო შემოწმების ჩატარების თხოვნით მიმართა, თუმცა დაკავებული ამ თხოვნის დაუკმაყოფილებლად გადაიყვანეს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2013 წლის 28 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოდან მიიღო ვ.ბ.-ს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალები.

მასალებიდან ირკვევა, რომ 2013 წლის 22 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიღო დადგენილება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით (კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტზე, ვ.ბ.-სთვის სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადების თაობაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2013 წლის 20 ნოემბერს, ვ.ბ.-ს საჩივარზე რეაგირებისათვის მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას. მიმართვას თან ერთვის სამედიცინო ცნობა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა ვ.ბ.-ის ჯანმრთელობის დაზიანების შესახებ. ვ.ბ.-მ მისი ცემის ფაქტის შესახებ განაცხადა ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის წინაშე, მის წინააღმდეგ საქმის განხილვის დროს, რაც დაფიქსირებულია სასამართლო სხდომის ოქმში. საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, 2013 წლის 30 დეკემბერს ძველი თბილისის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №006301213801 საქმეზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.<sup>203</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოებული მსგავსი საქმეების შესწავლისას, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, როგორც წესი, კონკრეტული სამართალდამცავი პირების მიმართ არც სისხლისსამართლებრივი დევნაა დაწყებული და არც შემაჯამებელი გადაწყვეტილებაა მიღებული, რაც გამოძიების ეფექტიანობასთან დაკავშირებულ ლეგიტიმურ კითხვებს აჩენს და საგამოძიებო ორგანოების მიმართ გარკვეულ უნდობლობასაც ნერგავს. საქართველოს მთავარი პროკურატურის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ან სამართალდამცავების მიერ ძალის გადამეტების სავარაუდო ფაქტების თაობაზე მხოლოდ გამოძიების დაწყება, გამოძიების არაგონივრულად გაჭიანურება და გამოძიების შედეგების შესახებ დაინტერესებული მხარეების არასაკმარისი ინფორმირებულობა, ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ ყველა მსგავსი დანაშაულის დროული, ეფექტიანი და მიუკერძოებელი გამოძიების პოზიტიური ვალდებულების შესრულებას. ამასთან, ზემოთ მოყვანილი შემთხვევები ნათელს ხდის მსგავსი საქმეების კვალიფიკაციის იმავე ტენდენციას, რაც დამკვიდრებული იყო წლების განმავლობაში – პოლიციელთა მხრიდან ძალის გადამეტების თუ არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიება წარიმართება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება).

<sup>203</sup> საქართველოს პროკურატურის 2014 წლის 3 იანვრის №13/201 წერილი.



## პირის ექსტრადიციის პროცესში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება

პირის ერთი სახელმწიფოდან მეორეში ექსტრადირების პროცესში სახელმწიფოს ეკისრება დაკავებულის კანონიერი უფლებების დაცვის პოზიტიური ვალდებულება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, „ქვეყანა, საიდანაც ხდება პიროვნების ექსტრადიცია, ვალდებულია დარწმუნდეს, რომ ექსტრადირებული პიროვნება არ დაექვემდებარება კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებას.“<sup>204</sup> ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში აღნიშნა, რომ

„ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან არ დაუქვემდებარონ ექსტრადიციას ან არ გააძეონ დაინტერესებული, მათ შორის თავშესაფრის მაძიებელი პირი, როდესაც არსებობს სერიოზული საფუძველი იმისა, რომ მიმღებ სახელმწიფოში მას რეალურად ემუქრება ისეთი მოპყრობის საშიშროება, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს.“<sup>205</sup>

ევროსასამართლოს განმარტებით,

„როდესაც სახელმწიფო ექსტრადიციის ღონისძიებას განიხილავს კონვენციის მე-3 მუხლის კუთხით, იგი პირველ რიგში აფასებს ობიექტური საკითხის არსებობას, რომელიც იცოდა ან უნდა სცოდნოდა ექსტრადირების მომწყობ სახელმწიფოს გადაწყვეტილების მიღების მომენტში.“<sup>206</sup>

შესაბამისად, ექსტრადირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სახელმწიფომ უნდა შეისწავლოს საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები მიმღებ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ. ევროპული სასამართლოს განმარტებით, „რისკის არსებობის შესაფასებლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავერკვეთ რამდენად იცნობდა ექსტრადიციის განმახორციელებელი ქვეყანა ვითარებას, რომელიც არსებობდა ექსტრადიციის მომენტში. როდესაც პასუხისმგებლობის საკითხი განიხილება კონვენციის ფარგლებში, მაშინ ეს პასუხისმგებლობა ეკისრება ქვეყანას, რომელმაც მოახდინა ექსტრადიცია, რისი პირდაპირი შედეგია ის, რომ პიროვნება ცუდი მოპყრობის საფრთხის წინაშე დადგა.“<sup>207</sup>

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა რამდენიმე საქმე, რომელიც ეხებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ექსტრადიციას. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლისა და მიმღებ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩათვალა რეკომენდაციებით მიემართა შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის, რათა ამ პირთა ექსტრადიციის პროცედურების განხორციელების დროს

<sup>204</sup> Case of „Shamaev and 12 others v. Georgia and Russia“, Application number 36378/02.

<sup>205</sup> Case of „Shamaev and 12 others v. Georgia and Russia“, Application number 36378/02;

<sup>206</sup> Case of „Shamaev and 12 others v. Georgia and Russia“, Application number 36378/02;

<sup>207</sup> Case of „Shamaev and 12 others v. Georgia and Russia“, Application number 36378/02;

სრულად ყოფილიყო მხედველობაში მიღებული საერთაშორისო ნორმებით, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი მოთხოვნები.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განსაკუთრებული ყურადღებით იქნა შესწავლილი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების მ.კ.-ის<sup>208</sup>, ი.ლ.-ის<sup>209</sup>, ასევე, აზერბაიჯანის მოქალაქის, რ.კ.-ს<sup>210</sup> და უზბეკეთის მოქალაქის, მ.ფ.-ს<sup>211</sup> საქმეები, მიმღებ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის თვალსაზრისით.

---

<sup>208</sup> 2013 წლის 13 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგო შექმნა/შენახვის ბრალდებით დააკავეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები მ.კ. და რ.ო. მ.კ.-ს განცხადებით, რომელიც არის ეროვნებით ავარიელი, დაღესტნის რესპუბლიკიდან დაახლოებით წელიწადნახევრის წინ ჩამოვიდა საქართველოში, რადგან რუსეთში იდევნებოდა მისი უფლებადაცვითი საქმიანობის, პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიის გამო. საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ მ.კ.-ს ექსტრადიციის მოთხოვნით მიმართა საქართველოს. საექსტრადიციო მასალების მიხედვით, მ.კ. იძებნება 2009 წელს მოსკოვში მომხდარ მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის.

<sup>209</sup> 2013 წლის 13 სექტემბერს აჭარის ა.რ. პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სს საქმეზე ი.ლ.-ს და სხვათა მიმართ, იარაღის უკანონო შექმნა, შენახვა, ტარების, ასევე, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლისათვის წინააღმდეგობის გაწევისა და მასზე თავდასხმის ფაქტზე. ი.ლ. არის ჩეჩენი ეროვნების, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, რომელზეც, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ 2014 წლის 7 მარტს მოწოდებული ინფორმაციით, მიმდინარეობს საექსტრადიციო წარმოება.

<sup>210</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2013 წლის ივნისში შეისწავლა აზერბაიჯანის მოქალაქის, რ.კ.-ს საქმე, რომელიც საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს. მისი ექსტრადიცია მოთხოვნილი იქნა აზერბაიჯანის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობით, თაღლითობის ჩადენის ბრალდების საფუძველზე. რ.კ.-ს განმარტებით, იგი არის აზერბაიჯანის მოქალაქე, ეროვნებით ქურთი და იძებნება აზერბაიჯანის უშიშროების სამსახურის მიერ, რადგან მისი ერთ-ერთი ძმა არის კონტრაზვერვის თანამშრომელი სომხეთში. რ.კ.-ს განცხადებით, მან 2011 წლის ნოემბერში დატოვა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორია და მას შემდეგ ცხოვრობდა რუსეთის ფედერაციაში, ხოლო 2012 წლის 6 ნოემბრიდან იმყოფება საქართველოში. რ.კ.-ს განცხადებით, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მას ჰყავს ოჯახის წევრები, დედა, მეუღლე და შვილი, რომლებზეც აზერბაიჯანის უშიშროების სამსახურის წარმომადგენელთა მხრიდან ხორციელდება ზეწოლა და მუქარა.

<sup>211</sup> მ.ფ. იყო უზბეკეთის რესპუბლიკის ინტერპოლის ბიუროს მიერ ძებნილი, რომელიც 2013 წლის 6 აპრილს დააკავეს საქართველოში, სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე. 2013 წლის 9 აპრილს ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ მ.ფ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა სამი თვით საექსტრადიციო პატიმრობა, რაც უცვლელი დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ. მ.ფ.-ს განმარტებით, ჯერ კიდევ მისი უზბეკეთის რესპუბლიკაში ყოფნის პერიოდში, უზბეკეთის შსს-ს წარმომადგენლებმა დააკავეს მისი ოთხი მეგობარი, რომლებთან ერთადაც ის ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას. განმცხადებლის განმარტებით, დაკავებულთა მიმართ უზბეკეთის შსს-ს თანამშრომლებმა გამოიყენეს წამების სასტიკი მეთოდები – დაადრეს ფრჩხილები, რეგულარული ცემის შედეგად დაკავებულებმა მიიღეს სხეულის უმძიმესი დაზიანებები. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ უზბეკეთის რესპუბლიკის საპატიმრო დაწესებულებაში ზემოაღნიშნულ პირებს დღემდე ამყოფებენ არაადამიანურ პირობებში, წამების მიზანს კი მათ მიერ მ.ფ.-ს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს დაკავებულ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის გამო, რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ არაერთი გადაწყვეტილება აქვს მიღებული. მათ შორისაა, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „შამაევი და 12 სხვა საქართველოს და რუსეთის წინააღმდეგ“. ამიტომ, მნიშვნელოვანია, მ.კ.-ს და ი.ლ.-ს საქმეები საქართველოს ხელისუფლების შესაბამისმა უწყებებმა განსაკუთრებული სიფრთხილითა და ყურადღებით შეისწავლონ, რათა არ დაირღვეს მათი უფლებები. საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ საქართველოს სახალხო დამცველისათვის მოწოდებული ინფორმაციით, მ.კ.-ს და ი.ლ.-ს ექსტრადიციის მოთხოვნით, საქართველოს მთავარ პროკურატურას უკვე მიმართა რუსეთის ფედერაციამ, თუმცა, მათი ექსტრადიციის საკითხი მას შემდეგ განიხილება, რაც დასრულდება სამართალწარმოება მ.კ.-ს და ი.ლ.-ს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე.<sup>212</sup> ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მ.კ.-ს და ი.ლ.-ს თავშესაფრის მოთხოვნით მიმართული აქვთ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის.<sup>213</sup>

უზბეკეთის რესპუბლიკაში დაკავებულთა ექსტრადირების შეჩერებას შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიერ, რეგლამენტის 39-ე მუხლის საფუძველზე, წევრ სახელმწიფოთა მიმართ მიღებული არაერთი დროებითი ღონისძიება.<sup>214</sup> უზბეკეთი არის გაეროს 1984 წლის 10 დეკემბრის კონვენციას „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“, წევრი ქვეყანა, თუმცა, არაერთი კვალიფიციური საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით უზბეკეთის რესპუბლიკაში დღესაც ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა მასიურ დარღვევებს. Human Rights Watch - ის 2011 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ დაკავებულთა მიმართ წამება უზბეკეთში კვლავ რჩება ფართოდ გავრცელებულ ქმედებად.<sup>215</sup> Amnesty International-ის 2012 წლის ანგარიშის თანახმად, მიუხედავად უზბეკეთის ხელისუფლების მტკიცებისა, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ადამიანის უფლებათა მდგომარეობა, კვლავ ფიქსირდება დაკავებულთა და პატიმართა მიმართ წამებისა და სასტიკი მოპყრობის ათეულობით ფაქტი, რომლებზეც სახელმწიფო ვერ ატარებს დროულ, დეტალურ და მიუკერძოებელ გამოძიებას.<sup>216</sup>

უზბეკეთის რესპუბლიკაში ექსტრადირების შესახებ მნიშვნელოვანი პრეცედენტული გადაწყვეტილება აქვს მიღებული საქართველოს უზენაეს სასამართლოს. 2010 წლის 26

---

ჩვენების მიცემა წარმოადგენს. ამ გარემოებების გათვალისწინებით, მ.ფ. ამტკიცებდა, რომ უზბეკეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში აუცილებლად გახდებოდა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი.

<sup>212</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 13 თებერვლის და 14 მარტის წერილები;

<sup>213</sup> 2014 წლის 15 იანვარს მ.კ.-ს უარი ეთქვა თავშესაფრის მინიჭებაზე, რაც მან გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

<sup>214</sup> CASE OF MAMATKULOV AND ASKAROV v. TURKEY (Applications nos. 46827/99 and 46951/99);

<sup>215</sup> <http://www.hrw.org/world-report-2012/world-report-2012-uzbekistan>

<sup>216</sup> <http://www.amnesty.org/en/region/uzbekistan/report-2011>

მარტის 7<sup>1</sup>–10 განჩინებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნ.ს.-ს უზბეკეთის რესპუბლიკისათვის გადაცემის შესახებ, რადგან მისი ექსტრადიციის საკითხის განხილვისას, სრულყოფილად არ იყო გამოკვლეული საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაძლო დამაბრკოლებელი გარემოება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს შეფასებით, კონკრეტულ შემთხვევაში არც საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელსა და არც სასამართლოს, სათანადოდ არ გამოუკვლევიათ მიმღებ სახელმწიფოში წამების საფრთხის მხრივ არსებული მდგომარეობა, არ უმსჯელიათ და სათანადოდ არ გამოუკვლევიათ, ექსტრადიციის შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლისა და გაეროს წამების კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საფრთხე და ამ საფრთხის რეალურობა.<sup>217</sup>

აზერბაიჯანში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის სრულყოფილი შესწავლისა და შეფასების მნიშვნელობაზე ყურადღება გამახვილებულია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ რ.კ.-ს ექსტრადიციის საქმესთან დაკავშირებით 2013 წლის 9 სექტემბრის რეკომენდაციებში.<sup>218</sup>

არსებითი მნიშვნელობისაა, რომ საქართველოს შესაბამისი ორგანოები საერთაშორისო ნორმებისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი მოთხოვნების დაცვით იხილავდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ექსტრადიციის საკითხებს. ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, სრულყოფილად უნდა იქნეს შესწავლილი მომთხოვნ ქვეყანაში მათ მიმართ შესაძლო წამებისა და არასათანადო მოპყრობის რისკები. ხოლო, თუკი მაინც იქნება მიღებული გადაწყვეტილება ამა თუ იმ პირის ექსტრადიციის შესახებ, მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოებიდან უნდა იქნეს მიღებული მყარი გარანტიები, რომ ადგილი არ ექნება ექსტრადირებულ პირთა მიმართ წამებას ან/და სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებს და მოქალაქეს მიეცემა შესაძლებლობა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას სრულყოფილად ისარგებლოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებებით, მათ შორის უფლებით სამართლიან სასამართლოზე.

<sup>217</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 26 მარტის 7<sup>1</sup>–10 განჩინება.

<sup>218</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 3 სექტემბრის რეკომენდაციები საქართველოს მთავარი პროკურორისა და საქართველოს უზენაესი სასამართლო თავმჯდომარის მიმართ.

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავარ პროკურორს:

- შეიქმნას სპეციალური საგამომიებო ჯგუფი წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების სისტემური გამოძიების მიზნით; აღნიშნულ საქმეებზე გამოძიება წარიმართოს სწრაფად, ეფექტურად, დამნაშავე პირთა გამოვლენისა და პასუხისგებაში მიცემის მიზნით;

საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და აიკრძალოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>, 144<sup>2</sup> და 144<sup>3</sup> მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საერთო სასამართლოებს:

- ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას შეისწავლოს და შეფასდეს მიმღებ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა; ასევე, სრულყოფილად იქნეს შესწავლილი მომთხოვნ/მიმღებ ქვეყანაში კონკრეტული პირის მიმართ წამების, არასათანადო ან/და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის გამოყენების რისკი;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს პროკურატურას:

- უზრუნველყონ სამართალდამცავი პირების მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე გამოძიების დაწყება და არა სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება. სამინისტროების გენერალური ინსპექციების მიერ სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება არ უნდა განიხილებოდეს როგორც გამოძიების წინარე ეტაპი. ასევე, უზრუნველყონ გამოძიების ჩატარება ზედმიწევნით და სწრაფად.



## დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება

სახელმწიფოს ვალდებულებაა დაიცვას ადამიანი დანაშაულებრივი ხელყოფისგან და უზრუნველყოს მოქალაქეთა უსაფრთხოება. ბუნებრივია, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საშუალებებით უნდა წარიმართოს და სხვადასხვა საპროცესო მოქმედებების მიზანი მართლმსაჯულების განხორციელება უნდა იყოს. დანაშაულის შემთხვევის ფაქტზე უპირველესი რეაგირება გამოძიების დაწყებაა, რაც ეფექტიანი გამოძიების წარმოებით უნდა გაგრძელდეს. ეფექტიანი გამოძიების ჩატარება რამდენიმე მნიშვნელოვან და აუცილებელ კრიტერიუმს მოიცავს. კერძოდ, გამოძიება უნდა წარიმართოს დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად, სწრაფად, ზედმიწევნით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოსა და პირის მიერ და რაც მთავარია, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს საშუალება ჩაერთოს მასში.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა) მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დაცვა, სახელმწიფოს აკისრებს პროცედურულ ვალდებულებას, ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება სიცოცხლის ხელყოფის ან წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში.

შესაძლო დანაშაულის ნიშნებზე სწრაფი, ადეკვატური და ეფექტური რეაგირება არის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია<sup>219</sup> ადგენს, რომ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ხსენებული მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, არა მხოლოდ თავი შეიკავოს კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისაგან (ნეგატიური ვალდებულება), არამედ, პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე უნდა უზრუნველყოს მათი დაცვა. სახელმწიფო ვალდებულია ქმედითი ღონისძიებების გატარების გზით უზრუნველყოს დარღვეული უფლებების ეფექტიანი დაცვა.

მოცემულ თავში განხილული იქნება საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემური საკითხები გამოძიების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან მიმართებით. მათ შორის, ხაზი გაესმება საგამოძიებო ქვემდებარეობის არსებული წესის ნაკლოვანებებს. ასევე, წინამდებარე თავში მიმოხილულია დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისას გამოძიების დაწყების მოვალეობის დარღვევის ფაქტები, რაც გამოძიების არდაწყების ან გამოძიების დაწყების ნაცვლად, სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებაში გამოიხატება. ყურადღება გამახვილდება პროკურატურის არაერთგვაროვან მიდგომაზე დანაშაულის მსხვერპლისთვის დაზარალებულის სტატუსის

<sup>219</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხ. 1.

მინიჭების ასპექტში. ამავდროულად, გაცემული იქნება რეკომენდაციები გამოძიების მწარმოებელი ორგანოებისა და პირების მიმართ, ეფექტიანი გამოძიების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.

## უარი გამოძიების დაწყებაზე

კვლავ პრობლემად რჩება სამართალდამცავი პირების მიერ ჩადენილ, შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებზე ადეკვატური რეაგირების განხორციელება და გამოძიების დაწყება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცალსახად ადგენს გამოძიებლის და პროკურორისთვის გამოძიების დაწყების მოვალეობას. კერძოდ, „*დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამოძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება.*“<sup>220</sup>“ ამავე კოდექსის 101-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით კი დაკონკრეტებულია, რომ გამოძიების დაწყების საფუძველია ნებისმიერი ინფორმაცია დანაშაულის შესახებ, რომელიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს ინფორმაცია დაფიქსირებული იქნება წერილობითი, ზეპირი თუ სხვა სახით. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა არ ავალდებულებს შესაძლო დაზარალებულს ან ნებისმიერ სხვა პირს, წერილობითი სახით მიაწოდოს ინფორმაცია დანაშაულის შესახებ საგამომძიებო ორგანოებს, ვინაიდან, მედია საშუალებებით გავრცელებული, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ან/და ნებისმიერი სხვა გზით მიწოდებული ინფორმაცია შესაძლო დანაშაულის შესახებ, არის გამოძიების დაწყების უალტერნატივო საფუძველი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს გამონაკლისს, რაც სამართალდამცავ ორგანოებს მისცემს შესაძლებლობას, დანაშაულის ნიშნების თაობაზე ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, უარი თქვან გამოძიების დაწყებაზე<sup>221</sup>.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს მხოლოდ გამოძიების შეწყვეტის ან/და *სისხლის სამართლებრივი დევნის არდაწყების* ან შეწყვეტის საფუძველებს.<sup>222</sup> ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გამოძიების დაწყების წინარე ეტაპს. დანაშაულის შესახებ ინფორმაცია ავტომატურად წარმოშობს პროკურორისთვის/გამომძიებლისთვის გამოძიების დაწყებისა და გამოძიების ფარგლებში კონკრეტული ფაქტების, ადეკვატური საგამომძიებო მოქმედებების ჩატარების გზით, ეფექტური შესწავლის ვალდებულებას.

<sup>220</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 100.

<sup>221</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 100.

<sup>222</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 105.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოავლინა არაერთი შემთხვევა, როდესაც საგამოძიებო სტრუქტურებმა არ დაიწყეს გამოძიება დანაშაულის ნიშნების შემცველ ფაქტზე.

### **მოქალაქე ბ.გ.-ს საქმე**

2013 წლის 16 იანვარს მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველმა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის თანახმად, საკუთარი ინიციატივით დაიწყო არასრულწლოვან ბ.გ.-ს მიმართ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესწავლა. კერძოდ, არასრულწლოვანი ბ.გ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებს, 2013 წლის 8 იანვარს, მისი და მისი ძმის, ლ.გ.-ს მოწმის სტატუსით დაკითხვის პროცესში, ზეწოლაში, მუქარასა და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შემოწმების მიხედვით, აღნიშნულ ფაქტზე საქართველოს მთავარ პროკურატურაში გამოძიება არ დაწყებულა<sup>223</sup>. გამოძიება არ უწარმოებია არც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ჩატარებული იქნა მხოლოდ სამსახურებრივი შემოწმება, საქართველოს შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ<sup>224</sup>.

### **მოქალაქე ზ.ჯ.-ს საქმე**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სასჯელადსრულების დეპარტამენტის №6 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულ ზ.ჯ.-ს. განცხადება, სადაც მიუთითებდა, რომ მისი მსჯავრდება მოხდა უკანონოდ, სამართალდამცავების მიერ მის, ასევე სამი მოწმის – ო.ვ.-ს, ი.მ.-ს და გ.ჯ.-ს მიმართ არასათანადო მოპყრობის, ზეწოლის, ფსიქიკური და ფიზიკური ძალადობის შედეგად მოპოვებული ჩვენებების საფუძველზე. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, შემდგომი რეაგირების მიზნით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და ზ.ჯ.-ს განცხადებასთან ერთად, მიაწოდა მოქალაქეების - ო.ვ.-ს, ი.მ.-ს და გ.ჯ.-ს განცხადებები, რომლებშიც მოცემული პირები ადასტურებდნენ მათ მიმართ სამართალდამცავი პირების მხრიდან, სასურველი ჩვენებების მიღების მიზნით, განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ მსჯავრდებულ ზ.ჯ.-ს განცხადება ქვემდებარეობით გადაუგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას.

<sup>223</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 8 თებერვლის წერილი.

<sup>224</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 19 თებერვლის წერილი.

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის გამოგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენის მიხედვით, ზ.ჯ.-მ სასამართლო პროცესზე თავი დამნაშავედ ცნო ნარკოტიკული საშუალების შექმნა, შენახვაში და უარყო ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი. ამავე წერილის მიხედვით, „ასეთ ვითარებაში ზ.ჯ.-ს განცხადება, რომ ნარკოტიკული საშუალება მას არ ჰქონია და ის ჩაუდეს სამართალდამცავებმა, უბრალოდ მოკლებულია დამაჯერებლობას და არ შეიძლება ჩაითვალოს ახლად გამოვლენილ გარემოებად. მითუმეტეს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის განაჩენი ძალაშია დატოვებული, თბილისის სააპელაციო და უზენაესის სასამართლოების მიერ“.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეთა შესწავლის დროს გამოიკვეთა საქართველოს მთავარი პროკურატურის მხრიდან კანონისმიერი ვალდებულებების შეუსრულებლობა, რადგან ამ შემთხვევებში არსებობდა გამოძიების დაწყების სრული სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ცალსახად მოითხოვს შესაძლო დანაშაულის ნიშნებზე გამოძიების დაწყებასა და სათანადო რეაგირებას. ხოლო, თუ დანაშაულის ნიშნები ეფექტიანი საგამოძიებო მოქმედებების შედეგად არ დადგინდება, საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გამოძიების შეწყვეტის სამართლებრივ საფუძველებს<sup>225</sup>. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, არ წარმოადგენს გამოძიების დაწყების ალტერნატივას, რაც საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ არაერთ შემთხვევაში დაფიქსირდა.<sup>226</sup>

### **საგამოძიებო ქვემდებარეობის პრობლემის ანალიზი**

გამოძიების ქვემდებარეობის საკითხი უშუალო კავშირშია ეფექტიანი გამოძიების ისეთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტთან, როგორცაა, გამოძიების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.

საქმეში ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „იმისთვის, რომ გამოძიება ეფექტიანი იყოს, გამოძიებაზე პასუხისმგებელი და მისი წარმმართველი პირები დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი უნდა იყვნენ როგორც სამართლის, ისე პრაქტიკის თვალსაზრისით. ეს

<sup>225</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 105.

<sup>226</sup> აღნიშნულ საკითხი დეტალურად განხილულია წინამდებარე ანგარიშის ქვეთავში – საგამოძიებო ქვემდებარეობის პრობლემების ანალიზი.

ნიშნავს, რომ არა მხოლოდ არ უნდა არსებობდეს იერარქიული ან ინსტიტუციური კავშირი მოვლენების მონაწილე პირებთან, არამედ ისინი პრაქტიკულადაც დამოუკიდებელი უნდა იყვნენ. ეფექტიანი გამოძიება, რომელსაც მოითხოვს კონვენციის მე-2 მუხლი [სიცოცხლის უფლება], განამტკიცებს საზოგადოების რწმენას, რომ ხელისუფლებას ძალუძს უზრუნველყოს სამართლის უზენაესობა, რათა აღკვეთოს უკანონო, ფარული გარიგებების ნებისმიერი გამოვლინება ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებების მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება და როდესაც საქმეში სახელმწიფოს წარმომადგენლების ან სახელმწიფო ორგანოების ხელი ურევია, უზრუნველყოს, რომ მათ პასუხი აგონ თავიანთ ქმედებებზე, რომლებსაც შედეგად ადამიანის სიკვდილი მოჰყვა.<sup>227</sup>

ევროპული სასამართლოს განმარტებით, ინსტიტუციონალური და იერარქიული კავშირების არარსებობის გარდა, აუცილებელია პრაქტიკული დამოუკიდებლობაც, რაც უფრო რთული დასადგენია და საჭიროებს კონკრეტულ დაწესებულებებსა და პირებს შორის არსებული კავშირების ანალიზს. დამოუკიდებლობის შეფასებისას, სასამართლო ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ საქმის გამომძიებელი ორგანო, პროკურატურა ან სასამართლო ხომ არ იზიარებს ყოველგვარი დამატებითი გადამოწმების გარეშე ექვიმტანილი ორგანოების ან მოხელეების ვერსიას გამოსადიებელ შემთხვევასთან დაკავშირებით, რაც თავისთავად შეიძლება მიუთითებდეს პრაქტიკული დამოუკიდებლობის ნაკლებობაზე.<sup>228</sup>

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად,<sup>229</sup> გამოძიება მიეკუთვნება მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გვთავაზობს გამოძიების საკანონმდებლო ცნების დეფინიციას,<sup>230</sup> კერძოდ, გამოძიება არის უფლებამოსილი პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება. ამავე კოდექსის მიხედვით,<sup>231</sup> გამომძიებელი არის სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. პროკურორი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს გამოძიებას, სარგებლობს გამომძიებლის სტატუსით.

<sup>227</sup> ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ (Enukidze and Girgvliani v Georgia), ნო. 25091/07, 26.04.2011, პარ. 243

<sup>228</sup> „ღარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (Gharibashvili v Georgia), ნო. 11830/03, 29.07.2008, პარ. 73, „მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (Mikiashevili v Georgia), ნო. 18996/06, 09.10.2012, პარ. 87, „ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (Tsintsabadze v Georgia), ნო. 35403/06, 15.02.2011, პარ. 78.

<sup>229</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 3, პუნქ. 1, ქვეპუნქ. „რ“.

<sup>230</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 3, ნაწ. 10.

<sup>231</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 37.



საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი<sup>232</sup> ამომწურავად ჩამოთვლის იმ ორგანოებსა და მათ გამომძიებლებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან აწარმოონ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება, ესენია:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამომძიებლები;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლები;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამომძიებლები;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გამომძიებლები;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებო დანაყოფების გამომძიებლები.

განსხვავებით 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა, დღეის მდგომარეობით მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიცავს გამოძიების უწყებრივი და ტერიტორიული ქვემდებარეობის წესებს. კოდექსი უბრალოდ მიუთითებს,<sup>233</sup> რომ საგამომძიებო ქვემდებარეობებს, საქართველოს მთავარი პროკურორის წარდგინებით, განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

გამომძიების უწყებრივი და ტერიტორიული ქვემდებარეობის საკითხს არეგულირებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის №34 ბრძანება „სისხლის სამართლის საქმეთა საგამომძიებო და ტერიტორიული საგამომძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე.“

აღნიშნული ბრძანების დანართის პირველი პუნქტის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილებას მიეკუთვნება, თუ იმავე დანართის სხვა პუნქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიერ ჩადენილი დანაშაულის სხვა უწყების მიერ გამოძიების შესაძლებლობას მოცემული ბრძანება არ ითვალისწინებს, გარდა პოლიციელის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა. საქართველოს იუსტიციის მინისტრის აღნიშნული ბრძანება პოლიციელის მიერ დანაშაულის ჩადენის გამოძიებას ერთმნიშვნელოვნად საქართველოს პროკურატურის საგამომძიებო ქვემდებარეობას მიაკუთვნებს.

2013 წლის 7 ივლისის საქართველოს იუსტიციის მინისტრის №34 ბრძანების დანართის მე-6 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის გამომძიებლები იძიებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის მოსამსახურის (გარდა პროკურატურის მუშაკისა) მიერ ჩადენილ სამოხელეო დანაშაულებს.

ამავე ბრძანების დანართის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, საქართველოს პროკურატურის გამომძიებლები იძიებენ საქართველოს პროკურატურის მუშაკის მიერ ჩადენილ დანაშაულებს. ამასთან, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი

<sup>232</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 34, ნაწ. 1.

<sup>233</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 35 და მუხ. 36.

ადგენს პროკურატურის მუშაკის პასუხისმგებლობის დაკისრების წესს. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პროკურატურის მუშაკის მიერ ჩადენილ დანაშაულს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგამომიებო ქვემდებარეობის შესაბამისად, იძიებს მთავარი პროკურატურა.

ზემოაღნიშნული ბრძანების დანართის მე-8 პუნქტის თანახმად, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამომიებო დანაყოფის გამომიებლები იძიებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342<sup>1</sup>, 378-ე, 378<sup>1</sup>-ე, 378<sup>2</sup>, 379-ე, 380-ე და 381-ე (თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული განაჩენის შეუსრულებლობის ნაწილში) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს, აგრეთვე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებების ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულს. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტი, გარდა სისხლის სამართლის კოდექსის 342<sup>1</sup>, 378-ე, 378<sup>1</sup>, 378<sup>2</sup>, 379-ე, 380-ე და 381-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისა, უფლებამოსილია გამოიძიოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებიც.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმები ცხადყოფს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში შესაძლოა დადგეს გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრობლემა. ეფექტური გამოძიების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი, გამოძიების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ ჩატარებაა, რაც გულისხმობს მის როგორც სტრუქტურულ, ასევე პიროვნულ დამოუკიდებლობას. როდესაც სასჯელაღსრულების ტერიტორიაზე სავარაუდოდ ჩადენილია დანაშაული და მას იძიებს იმავე სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტი, გამოძიების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე ჩნდება ლეგიტიმური კითხვები. ის არგუმენტი, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამომიებო ნაწილი (დეპარტამენტი) არის ცალკე ერთეული და სხვა დეპარტამენტის თანამშრომლის შესაძლო დანაშაულის ფაქტზე აწარმოებს გამოძიებას, ნაკლებად რელევანტურია, რადგან საგამომიებო დეპარტამენტი იმავე სამინისტროს ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია. მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც დანაშაულის ჩადენა სავარაუდოდ განხორციელდა საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების მიერ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ცინცაბადის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, „იმ შემთხვევაშიც, თუ გვერდით გადავდებთ ვარაუდებს პატიმრის განზრახ მკვლელობასთან დაკავშირებით, საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით, მოკვლევის ერთ-ერთი შესაძლო მიმართულება, რომელიც საგულდაგულო და მიუკერძოებელ ანალიზს მოითხოვდა, იყო ის, თუ რამდენად შეიძლებოდა პატიმრის სიკვდილი ციხის ხელმძღვანელობის დაუდევრობას გამოეწვია. დამატებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ ყველა ძირითადი საგამომიებო ქმედება აწარმოა

იმავე სამინისტროს სტრუქტურულ დაქვემდებარებაში მყოფმა დასავლეთ საქართველოს საგამომიებო დეპარტამენტმა, ხოლო, პროკურორი ყოველგვარი დამატებითი მოკვლევის წარმოების გარეშე მიემხრო მითითებული დეპარტამენტის დასკვნებს და მათ საფუძველზე სარჩელი არ დააკმაყოფილა[...]. აღნიშნული ინსტიტუციონალური კავშირი გამომიებლებსა და ინციდენტში მხილებულ პირთა შორის, სასამართლოს მოსაზრებით, ეჭვქვეშ აყენებს გამომიების დამოუკიდებლობას.<sup>234</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამომიებელი ვალდებულია გამომიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. ზემოთ ციტირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ჩანაწერები ცხადყოფს, რომ ეფექტიანი გამომიების ერთ-ერთი სტანდარტი, რომელიც დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას გულისხმობს, ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობის კუთხით, მთელ რიგ შემთხვევებში, შესაძლოა უგულებელყოფილი იყოს.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, გამომიება, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომხდარ შესაძლო დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს მთავარ პროკურატურას უნდა ეწარმოებინა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა, ეჭვქვეშ დამდგარიყო მთავარი პროკურატურის მიერ ჩატარებული გამომიების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობაც, იმდენად, რამდენადაც პატიმრობაში მყოფი პირები პროკურატურის წარმომადგენლების თუ მთავარი პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან განხორციელებულ ზეწოლასა და ძალადობაზე საუბრობდნენ. სამწუხაროდ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა მსგავს შემთხვევებს ვერ არეგულირებს იმგვარად, რომ ეჭვქვეშ არ დადგეს ჩატარებული გამომიების ეფექტურობა, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.

## გოგა ძველაიას საქმე

2013 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა დაიწყო 7 ოქტომბერს სასჯელაღსრულების №2 დაწესებულებაში არასრულწლოვანი გოგა ძველაიას გარდაცვალების ფაქტის შესწავლა. სახალხო დამცველის წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერეს საკანი, სადაც ნაპოვნი იქნა გარდაცვლილის ცხედარი.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციით, 2013 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველოში,

<sup>234</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ, ნო. 35403/06, პარ. 78.

გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმეზე №073071013001, ბრალდებულ გოგა ძველაიას თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე (დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით).<sup>235</sup> სასჯელადსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს განცხადებით, წინასწარი ინფორმაციით, ადგილი ჰქონდა სუიციდის ფაქტს.<sup>236</sup>

ცინცაბაძის საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-2 მუხლით უზრუნველყოფილი დაცვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასამართლომ სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევები მეტად გულმოდგინე შესწავლას უნდა დაუქვემდებაროს და მხედველობაში მიიღოს არა მხოლოდ სახელმწიფოს ოფიციალურ წარმომადგენელთა ქმედებები, არამედ საქმის სხვა გარემოებებიც. პატიმრობაში მყოფი პირები მოწყვლადნი არიან, ხოლო ხელისუფლებას მათი დაცვა აკისრია [...].

იმ შემთხვევაში, თუ განსახილველი მოვლენები, მთლიანად, ან მნიშვნელოვანწილად განეკუთვნება ხელისუფლების ექსკლუზიური ცოდნის სფეროს, მათ შორის მოვლენები, რომელიც ხელისუფლების კონტროლს ქვეშ მყოფი პირის პატიმრობას უკავშირდება, პირის პატიმრობაში ყოფნისას მიყენებულ დაზიანებებთან ან სიკვდილთან დაკავშირებით ფაქტის მყარი პრეზუმფცია წარმოიშობა. რასაკვირველია, მტკიცების ტვირთი ხელისუფლებას ეკისრება, რათა მან დამაკმაყოფილებელი და სარწმუნო ახნა-განმარტება უზრუნველყოს (იხ. *Salman v. Turkey* [GC], no. 21986/93, § 100, და *Ertak v. Turkey*, no. 20764/92, § 32, ECHR 2000-V).

სახელმწიფოთა ვალდებულება, დაიცვან კონვენციის მე-2 მუხლით უზრუნველყოფილი სიცოცხლის უფლება, მკვლელობის შემთხვევაში, ეფექტური ოფიციალური გამოძიების წარმოების ვალდებულებას გულისხმობს. ამგვარი გამოძიების წარმოების მოვალეობა შეეხება მკვლელობებსა და გაურკვეველ ვითარებაში სიკვდილის ნებისმიერ შემთხვევას, განურჩევლად იმისა, თუ ვინ არის დამნაშავე - კერძო პირი, სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი, თუ უცნობი პიროვნება (იხ. *Menson v. the United Kingdom* (dec.), no. 47916/99, ECHR 2003-V, and *Nachova and Others v. Bulgaria* [GC], nos. 43577/98 and 43579/98, § 110, ECHR 2005-VII).<sup>237</sup>

საქართველოს სასჯელადსრულების სისტემაში პატიმრის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით,<sup>238</sup>

<sup>235</sup> იხ. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 22 ოქტომბრის წერილი.

<sup>236</sup> ციხეში გარდაცვლილი არასრულწლოვანის ოჯახის პოზიცია და სოზარ სუბარის პასუხი, TS Press.ge, 13.10.2013, <http://www.tspress.ge/ka/site/articles/14836/>

<sup>237</sup> ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ, ნო. 35403/06, პარ. 72–74.

<sup>238</sup> „[...] ყველა ძირითადი საგამოძიებო ქმედება აწარმოა იმავე სამინისტროს სტრუქტურულ დაქვემდებარებაში მყოფმა დასავლეთ საქართველოს საგამოძიებო დეპარტამენტმა, ხოლო, პროკურორი ყოველგვარი დამატებითი მოკვლევის წარმოების გარეშე მიემხრო მითითებული დეპარტამენტის დასკვნებს და მათ საფუძველზე სარჩელი არ დააკმაყოფილა[...]. აღნიშნული ინსტიტუციონალური კავშირი გამომძიებლებსა და ინციდენტში მხილებულ პირთა შორის,

დამოუკიდებელი გამოძიების წარმოების უზრუნველყოფისთვის, მნიშვნელოვანია გამოძიება აწარმოოს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ. საქართველო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოძიების მიმართ, მისი ინსტიტუციური ქვემდებარეობიდან გამომდინარე, ყოველთვის დარჩება ლეგიტიმური კითხვები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განსხვავებით გ.ძველიას გარდაცვალების ფაქტზე ჩატარებული გამოძიებისა, სასჯელაღსრულების №14 დაწესებულებაში, ცემის შედეგად გარდაცვლილი მსჯავრდებულ ლევან კორტავას შემთხვევის გამოძიება უმოკლეს დროში გადაეცა საქართველოს მთავარ პროკურატურას,<sup>239</sup> რაც უდავოდ სამინისტროს მხრიდან მართებული გადაწყვეტილება იყო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საკანონმდებლო რეგულაციები, ისე ამ ნორმათა პრაქტიკაში იმპლემენტაციის პროცესი, არ უნდა ტოვებდეს მსგავსი გადაწყვეტილების მიღებას სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტროს დისკრეციაში. არამედ, ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად, გამოძიებას უნდა იწყებდეს და წარმართავდეს ინსტიტუციურად დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანო.

#### **მამუკა ივანიძის საქმე<sup>240</sup>**

2013 წლის 10 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს მთავარ პროკურატურაში გადააგზავნა ბრალდებულების – მამუკა ივანიძისა და ზაზა მახარობლიძის ახსნა-განმარტებების ასლები, სადაც დასახელებული პირები მიუთითებდნენ თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლატორის შენობაში, დაკითხვისას სამართალდამცავი ორგანოებისა და პროკურატურის თანამშრომლების მიერ, მათ მიმართ შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებით. ამ მიმართვის საპასუხოდ, საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 29 ივლისის წერილით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ მთავარი პროკურატურის საპროკურატურო საქმიანობის კონტროლისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველომ შეისწავლა ბრალდებულთა ახსნა-განმარტებები და მათ მიმართ ზეწოლის განხორციელების ფაქტი არ დადასტურდა. იმავე წერილში აღნიშნული იყო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან შესაძლო გადაცდომების შესწავლის მიზნით, მასალები გადაგზავნილი იქნა საქართველოს შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში.

---

სასამართლოს მოსაზრებით, ეჭვქვეშ აყენებს გამოძიების დამოუკიდებლობას.“ ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ, ნო. 35403/06, პარ. 78.

<sup>239</sup> საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2013 წლის 23 მაისის განცხადებით, ლ. კორტავას საქმის გამოძიება დაიწყო სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა, თუმცა, მოგვიანებით, საქმის გამოძიება საქართველოს მთავარ პროკურატურას გადაეცა. იხ. ლევან კორტავას საქმე გახსნილია, საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 2 აგვისტოს განცხადება.

<sup>240</sup> ე.წ. „ტრაქტორების საქმეზე“ ბრალდებული ერთ-ერთი პირი.



2013 წლის 11 ივლისს საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია და ვიდეომასალა, საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომელთა მხრიდან, სასჯელადსრულების №8 დაწესებულებაში ყოფნის დროს, ბრალდებულ მამუკა ივანიაძის მიმართ, შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელების თაობაზე.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 2013 წლის 22 ივლისს გაავრცელა ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ საქართველოს მთავარ პროკურატურაში ჩატარდა გამოძიება, საქართველოს სს კოდექსის 335-ე მუხლით (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება) გათვალისწინებული დანაშაულის სავარაუდო ჩადენის ფაქტზე. თუმცა, სპეციალურმა საგამომიებო ჯგუფმა მამუკა ივანიაძის მიმართ დანაშაულის ჩადენის ფაქტი ვერ დაადგინა. აღნიშნულის დასადასტურებლად, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გაასაჯაროვა ივანიაძის ჩვენების მიცემის პროცესის ამსახველი ვიდეო ჩანაწერი.<sup>241</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 22 ივლისის ზემოაღნიშნული განცხადების მიუხედავად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის<sup>242</sup> მთავარი პროკურატურის მიერ გამოგზავნილ 2013 წლის 14 სექტემბრისა და 2014 წლის 21 მარტის<sup>243</sup> წერილებში აღნიშნულია, რომ მ.ივანიაძის განცხადებასთან დაკავშირებით გამოძიება კვლავ მიმდინარეობს, რის გამოც, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის გამოძიების სრული მასალები ხელმისაწვდომი არ გამხდარა.

არსებობს ლეგიტიმური კითხვები მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ მ.ივანიაძის ჩვენების ვიდეოჩანაწერთან დაკავშირებით, (იყო თუ არა მ.ივანიაძე ინფორმირებული მისი ახსნა-განმარტების ჩაწერის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, არსებობდა თუ არა მისი თანხმობა, ვიდეო ჩანაწერის გაკეთების თარიღი, დრო, ადგილი და სხვა), რასაც მთავარი პროკურატურის 2013 წლის 24 ივლისის განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ ჩვენების მიცემა კანონის მოთხოვნათა დაცვით განხორციელდა, დამაჯერებელ პასუხს ვერ სცემს.<sup>244</sup>

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პროკურატურის თანამშრომლის მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით, გამოძიების უფლებამოსილება საქართველოს მთავარი პროკურატურას გააჩნია, თუმცა,

<sup>241</sup> იხ. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 22 ივლისის განცხადება, [http://pog.gov.ge/geo/news?info\\_id=164](http://pog.gov.ge/geo/news?info_id=164)

<sup>242</sup> 2013 29 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და მოითხოვა მ.ივანიაძის 11 ივლისის განცხადების საფუძველზე ჩატარებული გამოძიების მასალების სრული ასლები, რაც არ მიუღია, ვინაიდან საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 14 სექტემბრის წერილით, სს საქმეზე გამოძიება კვლავ მიმდინარეობს.

<sup>243</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 21 მარტის წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ მ.ივანიაძის მიმართ განხორციელებულ იძულების ფაქტზე ჩატარებულ იქნა კანონით გათვალისწინებული ყველა საგამომიებო მოქმედება. ამჟამად, საქმეზე გამოძიება გრძელდება.

<sup>244</sup> იხ. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 24 ივლისის განცხადება, [http://pog.gov.ge/geo/news?info\\_id=165](http://pog.gov.ge/geo/news?info_id=165)

ჩნდება ლეგიტიმური კითხვები, ამ გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხარისხთან დაკავშირებით.

### ივანე მერაბიშვილის საქმე

2013 წლის 17 დეკემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე ბრალდებულ ივანე მერაბიშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, იგი ღამის საათებში, კანონის მოთხოვნათა დარღვევით იქნა გაყვანილი სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიიდან და მის მიმართ ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას, საქართველოს მთავარი პროკურორისა და პროკურატურის თანამშრომლების მხრიდან.

საქართველოს სახალხო დამცველმა იმავე დღეს გააკეთა საჯარო განცხადება, რომ საჭირო იყო ივანე მერაბიშვილის განცხადების საფუძველზე გამოძიების დაწყება და ეფექტიანად ჩატარება.<sup>245</sup> თუმცა, აღნიშნულ ფაქტზე საქართველოს მთავარ პროკურატურას გამოძიება არ ჩაუტარებია.<sup>246</sup>

2013 წლის 23 დეკემბერს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, „2013 წლის 20 დეკემბერს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის სოზარ სუბარის დავალებით, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ადვოკატ დავით ხაჭალიას განცხადების საფუძველზე, ბრალდებულ ივანე მერაბიშვილის მიმართ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №9 დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდო სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტზე სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო.“<sup>247</sup> 2014 წლის 12 იანვარს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ დასრულდა ბრალდებულის, ივანე მერაბიშვილის ადვოკატის, დავით ხაჭალიას განცხადების საფუძველზე დაწყებული სამსახურებრივი შემოწმება და

---

<sup>245</sup> 2013 წლის 25 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილეს და მოითხოვა ინფორმაციის წარმოდგენა, კერძოდ, დაიწყო თუ არა ბრალდებულ ივანე მერაბიშვილის მიერ სასამართლო პროცესზე გაკეთებულ განცხადებაში მითითებულ ფაქტებზე გამოძიება. მოცემულ შეკითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, აპარატი ითხოვდა, ეცნობებინათ, გამოძიების მწარმოებელი ორგანო, სისხლის სამართლის საქმის ნომერი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი/მუხლები, რომლითაც მიმდინარეობდა გამოძიება, ასევე, დეტალური ინფორმაცია ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ არ იყო დაწყებული გამოძიება, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ითხოვდა, ეცნობებინათ აღნიშნულის მიზეზი.

<sup>246</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 17 დეკემბრის განცხადება და საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 3 იანვრის წერილი.

<sup>247</sup> იხ. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2013 წლის 23 დეკემბრის განცხადება, <http://mcla.gov.ge/?action=news&lang=geo&npid=1751>

ივანე მერაბიშვილის განცხადებასა და ახსნა-განმარტებაში მოყვანილი ფაქტი არ დადასტურდა.<sup>248</sup>

მართალია, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის №34 ბრძანების დანართის მე-8 პუნქტის თანახმად, სასჯელაღსრულების ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულთა გამოძიება განეკუთვნება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის გამოძიებელთა ქვემდებარეობას, გამოძიების დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად წარმოების პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოს პროკურატურა ერთდროულად უფლებამოსილი და ვალდებული იყო დაეწყო და ეწარმოებინა გამოძიება ბრალდებულ ივანე მერაბიშვილის მიერ დანაშაულის ნიშნების შემცველი ინფორმაციის მიღებისთანავე. თუ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად არ გამოვლინდებოდა დანაშაულის ნიშნები ან არ დადასტურდებოდა დანაშაულის ჩადენის ფაქტი, შესაძლებელი იყო გამოძიების შეწყვეტა.

გარდა ამისა, 2009 წლის 30 იანვრის საქართველოს მთავრობის „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ №8 დადგენილების მე-14 მუხლის მიხედვით, სამინისტროს გენერალური ინსპექცია მხოლოდ სამინისტროს სისტემაში შემავალი საკითხების კანონიერების და კანონმდებლობის შესაბამისობას სწავლობს<sup>249</sup> და საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომლების

<sup>248</sup> „სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, გენერალური ინსპექციის მოთხოვნის საფუძველზე, ამოღებული იქნა 377 GB მოცულობის ვიდეომასალა, რომელიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N9 დაწესებულებასა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს შორის არსებულ მონაკვეთში განლაგებულმა თვრამეტმა სათვალთვალო კამერამ 2013 წლის 13 დეკემბრის 12:00 საათიდან 2013 წლის 14 დეკემბრის 12:00 საათამდე ჩაიწერა. ჩანაწერის დათვალიერებისას საქმისათვის საინტერესო ფაქტობრივი გარემოებები ვერ იქნა აღმოჩენილი. რაც შეეხება სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებასა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში არსებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერებს, 2013 წლის 17 დეკემბერს, ივანე მერაბიშვილის მიერ განცხადების გაკეთების მომენტისთვის, 13-14 დეკემბრის ჩანაწერი აღარ არსებობდა, ვინაიდან შენობებში არსებული ვიდეო-სათვალთვალო ტექნიკური საშუალებები, 24 საათის გასვლის შემდეგ, ახალი ინფორმაციის ჩაწერის გამო, ძველ ჩანაწერებს ავტომატურად შლის. სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში გამოიკითხნენ სასჯელაღსრულების №9 დაწესებულების თანამშრომლები, რომლებმაც კატეგორიულად უარყვეს ბრალდებულ ივანე მერაბიშვილის მიერ 2013 წლის 14 დეკემბერს ღამის საათებში სასჯელაღსრულების №9 დაწესებულების ტერიტორიის დატოვების ფაქტი. შემოწმდა სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებაში არსებული ჟურნალებიც, რომლებიც დაწესებულების ტერიტორიაზე ავტომატურად შესვლა-გასვლასა და ბრალდებულ-მსჯავრდებულთა მოძრაობას აღრიცხავენ. ამდენად, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით, ივანე მერაბიშვილის განცხადებაში და ახსნა-განმარტებაში მოყვანილი ფაქტი არ დადასტურდა.“ იხ. სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტროს 2013 წლის 23 დეკემბრის განცხადება, <http://mcla.gov.ge/?action=news&lang=geo&npid=1788>

<sup>249</sup> სამინისტროს გენერალური ინსპექციის ძირითად ამოცანებს მიეკუთვნება: სამინისტროს სისტემაში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების კონტროლი; სამინისტროს სისტემაში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი, სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენა, აღნიშნულ ფაქტებთან

მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებები, რაზეც ი.მერაბიშვილის განცხადებაში იყო საუბარი, მისი შესწავლის კომპეტენცია ვერ იქნებოდა. აღნიშნული ფაქტი დასტურდება სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადებითაც, სადაც მითითებულია, რომ სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ადვოკატ დავით ხაჯალიას განცხადების საფუძველზე, ბრალდებულ ივანე მერაბიშვილის მიმართ სასჯელაღსრულების №9 დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდო სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტზე დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება<sup>250</sup>.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამინისტროს გენერალური ინსპექციის შესწავლის შედეგების მიხედვით, სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების მომენტისთვის არ არსებობდა სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შენობების სათვალთვალო კამერების ჩანაწერები და დათვალიერებული იქნა სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებასა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შენობას შორის არსებულ მონაკვეთში განლაგებულმა თვრამეტი სათვალთვალო კამერის მონაცემები, სადაც, სამინისტროს განცხადებით, არ იქნა აღმოჩენილი საქმისთვის საინტერესო ფაქტობრივი გარემოებები.<sup>251</sup>

ბუნებრივია, არსებითი მნიშვნელობის მტკიცებულება მოცემულ საქმეში სწორედ სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებასა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში განთავსებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერები შეიძლება ყოფილიყო. თუმცა, სამინისტრომ ვერ გასცა დამაჯერებელი პასუხები შეკითხვებს, თუ რა ვადით ინახება სასჯელაღსრულების სისტემაში, თუ ცალკეულ შენობებში განთავსებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერები; ასევე, უცნობია თუ რომელი საკანონმდებლო აქტებით რეგულირდება აღნიშნული საკითხი.<sup>252</sup>

---

დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება; სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების განხორციელება, შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნის შედგენა და მინისტრისათვის წარდგენა.

<sup>250</sup> იხ. <http://mcla.gov.ge/?action=news&lang=geo&npid=1751>

<sup>251</sup> იხ. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტროს 2014 წლის 12 იანვრის განცხადება.

<sup>252</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2014 წლის 24 იანვარს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან გამოითხოვა ის ნორმატიული მასალა (კანონქვემდებარე აქტები) რომლითაც რეგულირდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში (მათ შორის, კონკრეტულად სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებაში) განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერების გამოყენება; ჩანაწერების შენახვის ვადა და პირობები. ასევე, მოთხოვნილ იქნა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალების სრული ასლები, მათ შორის, ამოღებული 377 GB ვიდეომასალა, რომელიც სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებასა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს შორის არსებულ მონაკვეთში განლაგებულმა 18 სათვალთვალო კამერამ 2013 წლის 13 დეკემბრის 12:00 საათიდან 2013 წლის 14 დეკემბრის 12:00 საათამდე ჩაიწერა. საქართველოს სახალხო



ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ცინცაბადის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა:

*„გამოძიების დასკვნები უნდა ეყრდნობოდეს ყველა შესაბამისი ელემენტის ამომწურავ, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს. გამოძიების ვალდებულება ეხება მხოლოდ განსახორციელებელ ზომებს, ხოლო სამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების უზრუნველყოფის აბსოლუტური უფლება არ არსებობს; ამავდროულად, გამოძიებისას დაშვებული ნებისმიერი შეცდომა, რომელიც ძირს უთხრის გამოძიების შესაძლებლობას დაადგინოს საქმის გარემოებები ან პასუხისმგებელი პირები, პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ეფექტურობის მოთხოვნასთან<sup>253</sup>.“*

შესაბამისად, ივანე მერაბიშვილის საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგამოძიებო უფლებამოსილების მქონე ორივე უწყების – საქართველოს მთავარი პროკურატურისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო ინსპექციის მიერ ჩატარებული გამოძიებისა თუ სამსახურებრივი შემოწმების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხარისხი, ლეგიტიმურ კითხვებს ბადებს.

ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრობლემა დგება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიების შემთხვევაშიც.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2013 წლის 7 ივლისის საქართველოს იუსტიციის მინისტრის „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“ №34 ბრძანების დანართის მე-2 პუნქტის თანახმად, პოლიციელის მიერ ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ მოცემული ბრძანების მიღებამდე მოქმედი 2010 წლის 29 სექტემბრის №178 ბრძანება, ასევე, პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიაკუთვნებდა პოლიციელის მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულის ფაქტის გამოძიებას.

თუმცა, საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი არაერთი საქმე ადასტურებს, რომ ხშირ შემთხვევაში, სამართალდამცავი პირების მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია იძიებდა.

---

დამცველის აპარატს აღნიშნული ინფორმაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან ამ დრომდე არ მიუღია.

<sup>253</sup> ცინცაბადე საქართველოს წინააღმდეგ, ნო. 35403/06, პარ. 78.



## მოქალაქე კ.ტ.-ს საქმე

2013 წლის 25 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა მოქალაქე კ.ტ.-მ და მიუთითა, რომ 2013 წლის 24 ნოემბერს დღის 3 საათზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა შეაჩერეს და გადაიყვანეს ნარკოლოგიურ კლინიკაში შემოწმების ჩატარების მიზნით. გადაყვანისას და შემდეგ, ნარკოლოგიურ კლინიკაშიც, პოლიციელები მის სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ. მოქალაქის მტკიცებით, იგი 10-15 საათის განმავლობაში ითხოვდა ადვოკატთან შეხვედრას, რაც არ დაკმაყოფილდა. ამასთან, განმცხადებლის თქმით, დაკავების მთელი პერიოდის განმავლობაში, მას პოლიციელები არაადამიანურად ეპყრობოდნენ. მისი დამცირება გაგრძელდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანასთანაც, რაც პოლიციელებმა გადაიღეს კიდეც ტელეფონის საშუალებით. აღნიშნული პოლიციელების ვინაობა კ.ტ.-სთვის უცნობია, გარდა ერთ-ერთი პოლიციელის გვარისა, რომელზეც იგი განცხადებაში მიუთითებდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა რეაგირებისთვის მთავარ პროკურატურას მიმართა. თუმცა, მთავარი პროკურატურიდან კ.ტ.-ს განცხადება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში გადაიგზავნა.<sup>254</sup>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან მიღებული წერილის თანახმად, მოქალაქე კ.ტ.-ს განცხადების საფუძველზე გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა.<sup>255</sup>

## მამუკა მიქაუტაძის საქმე

2013 წლის 5 ივლისს მამუკა მიქაუტაძე მოწმის სახით დაიკითხა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. მომდევნო დღეს, 2013 წლის 6 ივლისს მისი გვამი აღმოაჩინეს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მან თავი ჩამოიხრჩო. ამასთან, როგორც მამუკა მიქაუტაძის მეუღლე და მეგობრები აცხადებდნენ, დაკითხვის დროს პოლიციის თანამშრომლებმა მამუკა მიქაუტაძეს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, ადგილი ჰქონდა მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას, ჩვენების მიღების მიზნით, რამაც იგი თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული შესწავლის შედეგების მიხედვით, სისხლის სამართლის №001060713003 საქმე მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

<sup>254</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 30 დეკემბრის წერილი.

<sup>255</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 27 იანვრის წერილი.

გენერალურ ინსპექციას გადაეცა გამოსამიებლად, საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე.<sup>256</sup> თუმცა, მოგვიანებით, საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 13 სექტემბრის რეკომენდაციის შემდგომ, აღნიშნული სს საქმე გამოძიებისათვის უკან დაუბრუნდა საქართველოს მთავარ პროკურატურას.<sup>257</sup>

### **„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თანამშრომლის საქმე**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 2013 წლის 28 აპრილს, ბათუმში, აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსის ვალერიან თელიას და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თანამშრომელ რ.ფ.-ს შორის მომხდარი ინციდენტის შესახებ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში დაწყებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ წარმოებულ სამსახურებრივი შემოწმების №615085 საქმეში არის დასკვნა პოლიციის კაპიტან გ.ს.-ს მიმართ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგების შესახებ. დასკვნა ემყარება პოლიციელების ახსნა-განმარტებებს და ამ დასკვნის თანახმად, გ.ს.-მ ჩაიდინა საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ (სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულება) და „ბ“ (სამსახურებრივი მოვალეობებისადმი დაუდევარი დამოკიდებულება) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა, რაც მისი მხრიდან გამოიხატა ბათუმში, გორგასლის ქუჩაზე მდებარე კომერციული ფართის „ბათუმის სახლიდან“ ვიდეო ჩანაწერის გადმოწერისას გამოჩენილ უყურადღებობაში, რასაც შედეგად მისი განადგურება მოჰყვა.

რაც შეეხება აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსს ვალერიან თელიას, მოცემული სამსახურებრივი შემოწმების დასკვნაში მის მიმართ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის და შესაბამისად, დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ არაფერია ნათქვამი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი არაერთი საქმის მიხედვით, მთელ რიგ შემთხვევებში, სამართალდამცავი პირების მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია, რაც არღვევს 2013 წლის 7 ივლისის საქართველოს იუსტიციის მინისტრის „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“ №34 ბრძანებით განსაზღვრულ დანაწესს.

ამ საფუძველით, 2013 წლის 13 სექტემბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს „საქართველოს შინაგან

<sup>256</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 7 აგვისტოსა და 4 ოქტომბრის წერილები.

<sup>257</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 4 ოქტომბრის წერილი.

საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის წარმოებაში მყოფი პოლიციელებს მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების საგამოძიებო ქვემდებარეობასთან დაკავშირებით<sup>258</sup>, მიუთითა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლებზე, რომელთა თანახმად, საგამოძიებო და ტერიტორიულ საგამოძიებო ქვემდებარეობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი, საქართველოს მთავარი პროკურორის წარდგინებით და მამუკა მიქაუტაძის გარდაცვალებისა და მოქალაქე რ.ი.-ს საქმეზე, ადიგენის რაიონული სამმართველოს ცალკეული თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე მიმდინარე გამოძიებების საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის გადაცემა მოითხოვა.

აღნიშნულ რეკომენდაციაზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული 2013 წლის 4 ოქტომბრის წერილი აღწერს დამკვიდრებულ პრაქტიკას, სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიებასთან მიმართებით. წერილის მიხედვით, „სამინისტროს გენერალური ინსპექცია დამოუკიდებლად არ იწყებს გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიერ შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებით, არამედ საქართველოს მთავარ პროკურატურაში იგზავნება დანაშაულის ნიშნების შემცველი ინფორმაცია (განცხადება, საჩივარი და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებული მონაცემები). გამოძიების დაწყებას უზრუნველყოფს პროკურატურა, რის შემდეგაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე (საქართველოს მთავარ პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ქვემდებარეობიდან ამოიღოს საქმე და გამოსაძიებლად გადასცეს სხვა საგამოძიებო ორგანოს) შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმე გადაეცემა გენერალურ ინსპექციას გამოსაძიებლად<sup>258</sup>.“

<sup>258</sup> 2013 წლის 4 ოქტომბრის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილით საქართველოს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მონიტორინგის, ანალიზისა და კოორდინაციის მთავარ სამმართველოში ფუნქციონირებს საგამოძიებო სამმართველო, რომელიც უზრუნველყოფს გენერალური ინსპექციის კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებითა და წესით გამოძიებას და სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენებას. გენერალური ინსპექციის მიერ წინასწარი გამოძიების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2005 წლის 28 მარტის №023 ბრძანებით დამტკიცებული შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულებით და 2005 წლის 14 ივლისის №016 ბრძანებით შეტანილი ცვლილებით (გრიფით საიდუმლო). დღეის მდგომარეობით კი მოქმედებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 24 აპრილის №066 ბრძანებით დამტკიცებული შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება. ამასთან, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფულადი სარგოს (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და დანამატის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 25 დეკემბრის №1016 ბრძანებით დამტკიცებული №4<sup>1</sup> დანართით განსაზღვრულია გენერალური ინსპექციის

მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას იწყებს საქართველოს მთავარი პროკურატურა, გამოძიების საწარმოებლად ამ საქმეთა გადაცემა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისათვის, არღვევს საქართველოს საკანონმდებლო ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიების პრინციპს.

გამოძიების ქვემდებარეობისა და ეფექტიანი გამოძიების საკითხზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების წარმოებისა და სამსახურებრივი შემოწმების უფლებამოსილებასთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, კომპეტენციათა გამიჯვნის ჭრილში განიხილოს.

### **შსს გენერალური ინსპექციის უფლებამოსილების ფარგლები**

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ №337 დადგენილების მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია, სხვა საკითხებთან ერთად, უფლებამოსილია, ერთი მხრივ, აწარმოოს მის კომპეტენციას

---

(დეპარტამენტის) მონიტორინგის, ანალიზისა და კოორდინაციის მთავარ სამმართველოში გამოძიების წარმოებაზე უფლებამოსილი პირი – განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებელი. ამასთან, „საქართველოს მთავარი პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 10 ივლისის №38 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, მთავარი პროკურატურის სტრუქტურული დანაყოფია შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტი.

გენერალური ინსპექციის გამოძიებლები სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებისას არ შემოიფარგლებიან მხოლოდ საპროცესო მოქმედებების ჩატარებით. აღნიშნულთან ერთად, აქტიურად არიან ჩართულნი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათ მიერ გამოძიებული საქმეების ხარისხს. ამასთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურის სპეციფიკიდან გამომდინარე, მსგავსი კატეგორიის საქმეების გამოძიებისას პერიოდულად დგება მტკიცებულებათა სამინისტროს სარეჟიმო და გასაიდუმლოებულ ობიექტებზე ან სპეციალურ კონტიგენტთან მუშაობის შედეგად მოპოვების საჭიროება.

რაც შეეხება სისხლის სამართლის №084130713801 საქმეს ადიგენის რაიონული სამმართველოს ცალკეული თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე და სისხლის სამართლის №001060713003 საქმეს მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე, აღნიშნული საქმეები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას გადაეცა გამოსაძიებლად მთავარი პროკურორის მოადგილის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე. აღსანიშნავია ისიც, რომ სისხლის სამართლის №001060713003 საქმე პროკურორის გადაწყვეტილებით გადაგზავნილია საქართველოს მთავარ პროკურატურაში“. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 4 ოქტომბრის №2004044 წერილი.



მიკუთვნებულ საქმეებზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებითა და წესით, სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენება და სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება და მეორე მხრივ, ჩაატაროს სამსახურებრივი შემოწმება დისციპლინური ნორმების დარღვევის შემთხვევაში.<sup>259</sup>

2013 წლის 7 ივლისის საქართველოს იუსტიციის მინისტრის №34 ბრძანების დანართში, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 35-36 მუხლების შესაბამისად, გამოძიების ქვემდებარეობის საკითხს განსაზღვრავს, გამოძიების მწარმოებელ ორგანოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროა მითითებული.

ამასთან, 2013 წლის 10 ივლისის საქართველოს იუსტიციის მინისტრის „საქართველოს მთავარი პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ“ №38 ბრძანების დანართის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავარი პროკურატურის სტრუქტურული დანაყოფია – შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტი. შესაბამისად, საქართველოს მთავარი პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულებებიდან ირკვევა, რომ გამოძიების წარმოების უფლებამოსილება გააჩნია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, მოცემული საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 6 თებერვლის წერილით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა

---

<sup>259</sup> „შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტის) ძირითადი ამოცანებია: სამინისტროს სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება; კანონმდებლობით დადგენილი წესით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და კონტრდაზვერვითი საქმიანობის განხორციელება; მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებითა და წესით სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენება და სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება; დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით, პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; სამინისტროს სისტემაში არსებული დარღვევებისა და ნაკლოვანებების გამოვლენა; სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში წარმოებული ოპერატიულ-ანალიზური და ოპერატიულ-სამძებრო, აგრეთვე კონტრდაზვერვითი საქმიანობის შემოწმება; სამინისტროს სისტემაში შემავალი დანაყოფების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კონტროლი, მათ მიერ მატერიალური და ფინანსური რესურსების განკარგვის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის შემოწმება; სამინისტროს სისტემაში ფინანსური, მათ შორის, ოპერატიული ხარჯების შემოწმების ჩატარება და სამინისტროს საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.“



სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება წარმოადგენს საიდუმლო გრიფის მქონე დოკუმენტს.

საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი უფლებამოსილია დაამტკიცოს გენერალური ინსპექციის, როგორც სამინისტროს ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულება.<sup>260</sup>

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება „შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტის) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, არის ნორმატიული აქტი, რადგან უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტია, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

აღსანიშნავია, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი შესაძლებლად მიიჩნევს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ცალკეულ დებულებათა გამოუქვეყნებლობას, მხოლოდ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. თუმცა, ამასთანავე, აკეთებს დათქმას, რომლის თანახმად, დაუშვებელია იმ ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის გამოუქვეყნებლობა, რომელიც ზღუდავს უფლებებსა და თავისუფლებებს ან ადგენს იურიდიულ პასუხისმგებლობას.

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო საიდუმლოება“ არის ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მონაცემებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოების და მართლწესრიგის დაცვის

---

<sup>260</sup> საქართველოს კონსტიტუციის 81<sup>2</sup> მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე. მინისტრი კანონის, პრეზიდენტის ნორმატიული აქტის ან მთავრობის დადგენილების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებას. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის უფლებამოსილება განისაზღვრება სამინისტროს დებულებითა და ამ სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

2013 წლის 13 დეკემბრის საქართველოს მთავრობის „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ №337 დადგენილების მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფია გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი). ამავე დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შინაგან საქმეთა მინისტრი კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცემს ბრძანებებს, ხოლო „ფ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამტკიცებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების დებულებებს.

სფეროებში, რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს ან საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე მხარის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, რაც ამ კანონით ან/და საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილი წესით, აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას.

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით განისაზღვრება ინფორმაციის დასაიდუმლოების პრინციპები. კერძოდ, ინფორმაციის დასაიდუმლოება ხორციელდება კანონიერების, დასაბუთებულობის და დროულობის პრინციპების შესაბამისად.

აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში, სახელმწიფო საიდუმლოებას შეიძლება მიეკუთვნოს შემდეგი სახის ცნობები: სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გეგმების, ორგანიზების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების, ფორმების, მეთოდებისა და შედეგების, აგრეთვე კონკრეტული პროგრამების დაფინანსების შესახებ; იმ პირთა თაობაზე, რომლებიც ზემოაღნიშნულ სფეროებში კონფიდენციალურ საფუძველზე თანამშრომლობენ ან ადრე თანამშრომლობდნენ ასეთი საქმიანობის განმახორციელებელ საქართველოს შესაბამის ორგანოებთან.

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ინფორმაციას, რომლისთვისაც წესდება საიდუმლოების ხარისხი - „საიდუმლო“, მიეკუთვნება მონაცემი, რომლის გავრცელებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს თავდაცვის, სახელმწიფო უსაფრთხოების, მართლწესრიგის, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს ან/და რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე ქვეყნისა თუ ორგანიზაციის ინტერესებს.

როგორც ვხედავთ, კანონი ამომწურავად ჩამოთვლის იმ მონაცემებს, რომელიც შეიძლება საიდუმლოებას მიეკუთვნებოდეს და მათ შორის, გამოძიება, მისი წარმოების წესები, გარდა სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გეგმების შესახებ ცნობებისა, ნახსენები არ არის. ზემოთ ციტირებული ნორმები ასევე ცხადყოფს, რომ საიდუმლო არ შეიძლება იყოს დოკუმენტი, რომელიც ზღუდავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. შესაძლებელია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის შიდა საქმიანობის მომწესრიგებელი აქტები, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის თვალსაზრისით შეიძლება იყოს საიდუმლო დოკუმენტი, მაგრამ არა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მწარმოებელი ერთ-ერთი ორგანოს საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტი. თუკი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია გვევლინება სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო ორგანოდ, რომელიც გამოძიებას აწარმოებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის

შესაბამისად, მისი საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტის სრულად გასაიდუმლოება, ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შემზღვევადი ნორმის განჭვრეტადობისა და განსაზღვრულობის პრინციპის მოთხოვნას.

### **დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნის აუცილებლობა**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს მთავარ პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს საქმე და გამოსაძიებლად გადასცეს სხვა საგამოძიებო ორგანოს; გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობიდან ჩამოაშოროს ქვემდგომი პროკურორი და მისი ფუნქციები დააკისროს სხვა პროკურორს.

აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერი აძლევს უფლებამოსილებას საქართველოს მთავარ პროკურორს სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენას, აგრეთვე სასჯელადსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე მომხდარი დანაშაულის გამოძიებას ან/და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლის მიერ დანაშაულის სავარაუდო ჩადენის ფაქტს, ამოიღოს იმავე უწყებების საგამოძიებო ქვემდებარეობიდან და გამოძიებისათვის გადასცეს საქართველოს პროკურატურას. ამ საკანონმდებლო რეგულაციის არსებობა წარმოადგენს ერთგვარ გარანტიას გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. თუმცა, პრაქტიკაში ფიქსირდება განსხვავებული შემთხვევები, როცა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის გამოყენებით, საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე, სისხლის სამართლის №00106713003 საქმე მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე და სისხლის სამართლის საქმე №084130713801 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადიგენის რაიონული სამმართველოს ცალკეული თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, გამოსაძიებლად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას გადაეცა (იხ.საგამოძიებო ქვემდებარეობის პრობლემის ანალიზი გვ.192).

უფრო მეტიც, მსგავსი საკანონმდებლო გარანტია საერთოდ არ არსებობს, როდესაც ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ საჩივარი შეეხება საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომლებს (იხ.საგამოძიებო ქვემდებარეობის პრობლემის ანალიზი გვ.192).

აღნიშნული მოცემულობა ცხადყოფს, რომ სახეზეა როგორც საკანონმდებლო რეგულაციების პრობლემა, ასევე, ეფექტური გამოძიების წარმოებისათვის არსებული საკანონმდებლო მექანიზმის არამართებულად გამოყენება.

ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად კი მიზანშეწონილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომელთა მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტების გამოძიების მიზნით შეიქმნას დამოუკიდებელი ორგანო, რომლის ერთადერთი უფლებამოსილება აღნიშნული ორგანოების თანამშრომლებისა და ასევე, საქართველოს სასჯელაღსრულების ტერიტორიაზე მომხდარი დანაშაულის გამოძიების წარმოება იქნება. მსგავსი გამოცდილება არსებობს ევროპის არაერთ ქვეყანაში.

### **დაზარალებულის სტატუსის მინიჭების პრობლემა**

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „პერეზი საფრანგეთის წინააღმდეგ“ განაცხადა: „ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტებმა ყოველგვარი უფლებების გარეშე უნდა დატოვონ მსხვერპლი, შესაძლო ბოროტმოქმედის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოებაში არადაამაკმაყოფილებლად უნდა მივიჩნიოთ. პოლიტიკური ორგანოები უკვე აცნობიერებენ ამ პრობლემას. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა რამდენიმე რეკომენდაცია მიიღო აღნიშნულ საკითხზე, კერძოდ, დანაშაულის მსხვერპლთა იურიდიული დახმარების, სასამართლო მოსმენის გამართვის ადგილისა და დროის, ასევე სამართალწარმოების შედეგების შესახებ მათი ინფორმირებისა და სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის გასაჩივრების უფლების მინიჭების შესახებ.“

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დაზარალებულის უფლებათა ჩამონათვალი უმნიშვნელო და სიმბოლური ხასიათისაა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი<sup>261</sup> ადგენს დაზარალებულის უფლებების ამომწურავ ჩამონათვალს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დაზარალებულს გამოძიების მიმდინარეობის ეტაპზე თითქმის არცერთ უფლებას არ ანიჭებს, მას საქმის მასალებზე ხელი არ მიუწვდება, მხოლოდ ეცნობება ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის

<sup>261</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს იცოდეს ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების არსი; სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას და სასჯელის შეფარდების შესახებ სასამართლო სხდომაზე მისცეს ჩვენება ზიანის შესახებ, რომელიც მას მიადგა; უფასოდ მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების), განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი; მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება; დაიბრუნოს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს საქმის საჭიროებისათვის დროებით ჩამორთმეული, მისი კუთვნილი ქონება; მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, თუ საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას; მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან.

შესახებ, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი სხდომის თარიღები, გადაეცემა შემაჯამებელი გადაწყვეტილების ასლები და უფლება აქვს სამოქალაქო წესით წარადგინოს სარჩელი, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამორიცხავს დანაშაულის მსხვერპლის (დაზარალებულის) მონაწილეობას გამოძიების პროცესში.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ არაერთ საქმეში გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც პირებს, რომლებსაც ზიანი მიადგათ უშუალოდ დანაშაულის შედეგად, არ მიენიჭათ დაზარალებულის სტატუსი, რაც სამწუხაროდ სისტემურ პრობლემას წარმოადგენს.

საქართველოს პროკურატურის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის არაერთ საქმეზე მოწოდებული განმარტების მიხედვით,<sup>262</sup> პირის დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის მიზეზი, ხშირ შემთხვევაში, შემდეგში მდგომარეობს:

*1. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მოცემულ ეტაპზე ვერ იქნა მოპოვებული რაიმე სახის მტკიცებულება, რაც მიუთითებდა კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ქმედების ჩადენაზე;*

*2. გამოძიების მოცემულ ეტაპზე, საქმეზე არ იყო მოპოვებული მტკიცებულებათა საკმარისი რაოდენობა პირის დაზარალებულად ცნობისათვის.*

დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული კონკრეტული პირის ან სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტის დაუდგენლობის გამო, დაზარალებულის/მისი უფლებამონაცვლისთვის სტატუსის მინიჭებაზე უარი, არსებულის საკანონმდებლო ნორმების არასწორი ინტერპრეტაციის და საკითხისადმი არასწორი დამოკიდებულების შედეგია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი<sup>263</sup> აყალიბებს დაზარალებულის საკანონმდებლო დეფინიციას, კერძოდ, დაზარალებულია სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. შესაბამისად, ზემოაღნიშნული პირობების არსებობა საფუძველია პროკურორისათვის გამოიტანოს პირის დაზარალებულად/მისი უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ დადგენილება.

<sup>262</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 13 ნოემბრის №13/7545 და 2013 წლის 28 მარტის №13/34055 წერილები.

<sup>263</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 3, ნაწ. 22.



დანაშაულის ჩადენა/არჩადენის ფაქტს, ისევე როგორც პირის ბრალეულობის საკითხს, სასამართლო წყვეტს. გამოძიების ეტაპზე საუბარია მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის არსებობაზე კონკრეტული პირის მიმართ, შემდეგი ფორმულირებით: შესაძლოა, დანაშაულის ჩადენას ჰქონდეს ადგილი, შესაძლოა დანაშაული კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა. მტკიცებითი ხასიათის დასკვნას მხოლოდ სასამართლო იძლევა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის არსებობის შემთხვევაში. ამასთან, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონკრეტული პირის ბრალდებულად ცნობის დადგენილების გამოტანამდე, დანაშაულის მსხვერპლისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება არ მოხდეს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად<sup>264</sup>, პროკურორი უფლებამოსილია პირი ცნოს დაზარალებულად და განუმარტოს უფლება-მოვალეობები. ხოლო, ამავე კოდექსის შესაბამისად<sup>265</sup>, პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ პროკურორს გამოაქვს დადგენილება. ამდენად, პროკურორი არამხოლოდ უფლებამოსილია გამოიტანოს პირის დაზარალებულად/მის უფლებამონაცვლედ ცნობის დადგენილება, არამედ ვალდებულია ასეთი საფუძვლების არსებობისას, პირი ცნოს დაზარალებულად/მის უფლებამონაცვლედ.

ბუნებრივია, რომ პროკურორს ამ უფლებამოსილების განხორციელება შეუძლია გამოძიების ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე და დევნის დაწყების შემდეგაც. დიფერენცირებას კანონი არ ახდენს. შესაბამისად, უარი დაზარალებულად ცნობაზე მხოლოდ იმ მოტივით, რომ არ არსებობს კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი ან დაზარალებულად ცნობისთვის საკმარისი მტკიცებულებები, უსაფუძვლოა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით, დაზარალებულის სტატუსის მინიჭების უფლება სასამართლოს არ აქვს, აღნიშნული უფლებამოსილებით მხოლოდ პროკურორი სარგებლობს.

გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად<sup>266</sup>, თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გაირკვევა, რომ ამის საფუძველი არ არსებობს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას, გააუქმოს ეს დადგენილება. ასე, რომ გამოძიების მიმდინარეობაზე პროკურორის დადგენილება პირის დაზარალებულად/მის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს, არ გამოიწვევს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების შეფერხებას, რადგან როგორც კი გაირკვევა, რომ არ არსებობს დაზარალებულად ცნობის საფუძველი, პროკურორი უფლებამოსილია დადგენილება გააუქმოს.

<sup>264</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 33, ნაწ. 6, ქვეპუნქტ. „პ“.

<sup>265</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 56, ნაწ. 5.

<sup>266</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 56, ნაწ. 6.

დაზარალებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას აუცილებელი და სავალდებულოა პროცესის მწარმოებელი ორგანოსათვის. უპირველეს ყოვლისა, დანაშაულის მსხვერპლს არ უნდა შეეზღუდოს იმ მინიმალური და მცირედი უფლებებით სარგებლობის უფლება, რასაც საპროცესო კანონმდებლობა დაზარალებულს ანიჭებს იმ მიზეზით, რომ პროკურორი არ ცნობს მას დაზარალებულად/მის უფლებამონაცვლედ.

თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ რამდენიმე საქმეს, რომელშიც დაფიქსირდა დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარი.

### **მოქალაქე დ.გ.-ს საქმე**

2013 წლის 9 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა მოქალაქე დ.გ.-მ, რომელიც აცხადებდა, რომ 2011 წლის 21 მარტს დანაშაულებრივმა ჯგუფმა, თბილისიდან მისივე ავტომანქანით გაიტაცა მისი მეუღლე – ნ.გ. მოქალაქის მტკიცებით, დანაშაულებრივმა ჯგუფმა მეუღლე ცემეს, აწამეს, ფიზიკურად გაუსწორდნენ და შემდეგ გარდაცვლილი ნ.გ.-ს ცხედარი აღმოჩენილი იქნა მდინარე არაგვში. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მოცემულ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოითხოვა დეტალური ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, მათ შორის, ცნობილი იყო თუ არა გარდაცვლილი ნ.გ.-ს მეუღლე – დ.გ. დაზარალებულის უფლებამონაცვლედ.

2013 წლის 13 ნოემბერს საქართველოს პროკურატურიდან მიღებული წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი განყოფილების წარმოებაში იყო სისხლის სამართლის საქმე, ნ.გ.-ს თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. მიუხედავად მოცემულ საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა (ჩატარდა აგრეთვე, კომპლექსური, დაქტილოსკოპიური, ტრასოლოგიური, ბიოლოგიური, სასამართლო-სამედიცინო და გრაფიკული ექსპერტიზები), გამოძიების მოცემულ ეტაპზე ვერ იქნა მოპოვებული რამე სახის მტკიცებულება, რაც მიუთითებდა კონკრეტული პირის მიერ ნ.გ.-ს თვითმკვლელობამდე მიყვანის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ქმედების ჩადენაზე. ამდენად, გარდაცვლილი ნ.გ.-ს მეუღლე – დ.გ., დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილი არ იყო.

### **მოქალაქე გ.ხ.-ს საქმე**

2013 წლის 26 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოართვეს მოქალაქე გ.ხ.-ს. განმცხადებლის განმარტებით, 2013 წლის 2 იანვარს გურჯაანის პოლიციის დეტექტივ-გამომძიებლის თანაშემწემ, ვ.დ.-მ მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. განმცხადებლის განმარტებით, მოცემულ

ფაქტზე შემდგომი სამართლებრივი რეაგირების მოთხოვნით, 2013 წლის 3 იანვარს მიმართა განცხადებით გურჯაანის რაიონულ პროკურატურას.

2013 წლის 28 მარტს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საქართველოს სახალხო დამცველს აცნობა, რომ 2013 წლის 3 იანვარს გურჯაანის რაიონულ პროკურატურაში, მოქალაქე გ.ხ.-ს განცხადების საფუძველზე დაიწყო გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ამასთან, მოცემულ ეტაპზე, საქმეზე არ იყო მოპოვებული მტკიცებულებათა საკმარისი რაოდენობა გ.ხ.-ს დაზარალებულად ცნობისათვის.

### **მოქალაქე ვ.ლ.-ს საქმე**

2013 წლის 13 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ვ.ლ.-მ. განმცხადებლის მტკიცებით, 2013 წლის 27 ოქტომბერს, საღამოს, რუსთავში ბალანჩივაძის ქუჩაზე მდებარე მეგობრის სახლში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის პოლიციის სამმართველოს უფროსმა ზ.ა.-მ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, შემდეგ დახვდა კორპუსთან და ძალის გამოყენებით ჩასვა ავტომანქანაში. მოქალაქე ვ.ლ.-ს თქმით, ზ.ა. ხელებით და გაურკვეველი ნივთით, რომელიც ხელში ეჭირა, სცემდა მას, ასევე, საბრძოლო მზადყოფნაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღი მიადო სახეზე, რის შემდეგაც ცალი ხელით ცდილობდა მის დახრჩობას. მოქალაქის განცხადებით, ამ დროს მანქანასთან მივიდა მისი მეგობარი და ქუჩაში გამვლელ პირებთან ერთად ვ.ლ. გადაიყვანა ზ.ა.-ს ავტომანქანიდან. ვ.ლ. წაიყვანეს აღნიშნული პირებიდან ერთ-ერთის ნათესავის სახლში, საიდანაც გამოსვლის შემდეგ ქუჩაში ვ.ლ.-ს კვლავ დახვდა ზ.ა., 10-12 პოლიციელთან ერთად. მოქალაქე ვ.ლ.-ს განმარტებით, პოლიციელებმა იგი დააგდეს მიწაზე და უმოწყალოდ სცემეს. მან გონება დაკარგა და როცა გონს მოვიდა, იმყოფებოდა რუსთავის პოლიციის №2 განყოფილებაში, სადაც გაგრძელდა მისი ცემა. იმავე ღამით, ვ.ლ. გადაიყვანეს გარდაბანში, დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც მას დასჭირდა სასწრაფო სამედიცინო დახმარება.<sup>267</sup>

2014 წლის 27 იანვრის საქართველოს პროკურატურის წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ რუსთავის საქალაქო სამმართველოს მე-2 განყოფილების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის №012271013004 საქმეზე მოქალაქე ვ.ლ.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო. დაზარალებულად ცნობილი იქნა ზ.ა.

<sup>267</sup> ვ.ლ.-ს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა დასტურდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, დროებითი მოთავსების იზოლატორში შევსებული გარეგნული დათვალიერების ოქმით და სხვა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სახალხო დამცველის აპარატის მიერ დაფიქსირდა ზემოთაღნიშნული საქმეებისგან განსხვავებული შემთხვევებიც. კერძოდ, ბრალდებულთათვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხის განხილვისას, დაზარალებულები წარდგენილი იქნენ სასამართლოს წინაშე მოწმის სტატუსით და მხოლოდ მოგვიანებით იქნენ ისინი ცნობილი დაზარალებულად.

### **ბაჩანა ახალაიას, გიგი კალანდაძის და ზურაბ შამათავას საქმეები**

2012 წლის დეკემბერში „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ბაჩანა ახალაიასა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის გიორგი კალანდაძის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეების შესწავლა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ბაჩანა ახალაიას,<sup>268</sup> გიორგი კალანდაძის<sup>269</sup> და ზურაბ შამათავას<sup>270</sup> მიმართ არსებობდა ბრალდების შესახებ დადგენილებები.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ბაჩანა ახალაიას, ზურაბ შამათავასა და გიორგი კალანდაძის ბრალდებულებად ცნობის მომენტისთვის, მათთვის აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შუამდგომლობებით თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის მიმართვის, თბილისის საქალაქო სასამართლოში აღნიშნული შუამდგომლობების განხილვისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ შესაბამისი განჩინებების გამოცემის დროისთვის, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე არც ერთი პირი არ იყო ცნობილი დაზარალებულად.

<sup>268</sup> 2012 წლის 8 ნოემბერს საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის პროკურორმა, კობა ნოზაძემ, სისხლის სამართლის №074061112803 საქმეზე, გამოიტანა ბაჩანა ახალაიას ბრალდების შესახებ დადგენილება. მოცემული დადგენილების მიხედვით, გამოძიების სტადიაზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობა პროკურორმა მიიჩნია საკმარისად დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ბაჩანა ახალაიას ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული.

<sup>269</sup> 2012 წლის 8 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა, სისხლის სამართლის №074061112803 საქმეზე, გამოიტანა გიორგი კალანდაძის ბრალდების შესახებ დადგენილება. მოცემული დადგენილების მიხედვით, გამოძიების სტადიაზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობა იუსტიციის მინისტრმა მიიჩნია საკმარისად დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ გიორგი კალანდაძემ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული.

<sup>270</sup> 2012 წლის 8 ნოემბერს საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის უფროსმა პროკურორმა, გიორგი შამიაშვილმა, სისხლის სამართლის №074061112803 საქმეზე, გამოიტანა ზურაბ შამათავას ბრალდების შესახებ დადგენილება. მოცემული დადგენილების მიხედვით, გამოძიების სტადიაზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობა პროკურორმა მიიჩნია საკმარისად დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ზურაბ შამათავამ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული.

მიუხედავად ამისა, სამივე ბრალდებულის ბრალის ფორმულირებაში მითითებული იყო, რომ ბაჩანა ახალაიას, გიორგი კალანდაძისა და ზურაბ შამათავას მიერ ჩადენილ იქნა „სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფო ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით<sup>271</sup> და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით“.

2012 წლის 9 ნოემბერს ბრალდებულების სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე ადვოკატის შეკითხვაზე პროკურორმა დაადასტურა, რომ იმ ეტაპზე საქმეში პირების დაზარალებულებად ცნობის შესახებ დადგენილებები არ არსებობდა. თუმცა, პროკურორის განმარტებით, სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების მხარის მოწმეები თავიანთ ჩვენებებში მიუთითებდნენ, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას.

ამ მოცემულობაში, ფაქტია, რომ ბრალდების მიერ მოწმის სტატუსით საქმეზე დაკითხული პირების დაზარალებულის სტატუსის მატარებელი უნდა ყოფილიყვნენ, რაც მათ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების სარგებლობის საშუალებას მისცემდა.

გარდა ამისა, პროკურატურის მხრიდან მსგავსი მიდგომა გაუმართლებელია იმ მხრივაც, რომ სასამართლოს შინაგანი რწმენის ჩამოყალიბების პროცესში მოწმის ჩვენებებს შესაძლოა გაცილებით მაღალი სარწმუნოების ხარისხი მიენიჭოს, ვიდრე დაზარალებულის სტატუსით მოსარგებლე პირის მიერ მიცემულ ჩვენებას. მნიშვნელოვანია, პროკურატურამ იმოქმედოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად და საფუძვლების არსებობის შემთხვევაში პირს მიანიჭოს დაზარალებულის სტატუსი, რითაც ავტომატურად შექმნის პირის ბრალეულობის დამტკიცებისათვის მეტი მტკიცებულებების მოძიების აუცილებლობა.

**რეკომენდაციები:**

**საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტს:**

- მომზადდეს და განხორციელდეს ცვლილებები და დამატებები საქართველოს შესაბამის საკანონმდებლო აქტებში დამოუკიდებელი საგამომიებო ორგანოს შექმნის მიზნით, რომელიც აწარმოებს გამოძიებას სამართალდამცავების (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სასჯელადასრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლის და სასჯელადასრულების ტერიტორიაზე ჩადენილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის (არა მხოლოდ პოლიციელის) და საქართველოს პროკურატურის მუშაკის მიერ, დანაშაულის

<sup>271</sup> ბაჩანა ახალაიას შემთხვევაში, დამატებით, ფიგურირებდა „იარაღის გამოყენებით“.



შესაძლო ჩადენის ფაქტებზე, სიცოცხლის მოსპობის და წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის შემთხვევებში;

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნამდე, მკაფიოდ გაიმიჯნოს და ნათლად ჩამოყალიბდეს უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხები, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიერ, ასევე სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში გამოძიება აწარმოოს საქართველოს პროკურატურამ;

საქართველოს მთავარ პროკურორს:

- საქართველოს მთავარ პროკურატურას გადაეცეს იმ საქმეების გამოძიება, რომელიც მიმდინარეობს სამართალდამცავების მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, ასევე, სასჯელაღსრულების ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე;
- საქართველოს მთავარმა პროკურატურამ თავი შეიკავოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისათვის იმ ფაქტებზე გამოძიების ქვემდებარეობით გადაცემისათვის, რომლებშიც იკვეთება სამართალდამცავ პირთა შესაძლო დანაშაულის ნიშნები;
- სისხლის სამართლის საქმეებში დაზარალებულის/მისი უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭება განხორციელდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესის და ამ წესის გონივრული ინტერპრეტაციის შესაბამისად.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- განხორციელდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების იმ ნაწილისთვის სახელმწიფო საიდუმლოების გრიფის მოხსნა (განსაიდუმლოება), რომელიც გამოძიების წარმოების უფლებამოსილების წესს ადგენს.

## თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია ადგენს,<sup>272</sup> რომ ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით,<sup>273</sup> ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია. თავისუფლების აღკვეთა, ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

პიროვნების თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება. მისი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე და აუცილებლად, კანონით დადგენილი წესით. განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს კონსტიტუციით დაცული თავისუფლების უფლების სფეროში ჩარევის საკითხი - სისხლის სამართლის პროცესში, ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისას. პატიმრობა უნდა გამოიყენებოდეს როგორც უკიდურესი საშუალება, როცა სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებს. შესაბამისად, სასამართლო განჩინება, რომლითაც პირს ეზღუდება თავისუფლება, გარდა იმისა, რომ აუცილებლად კანონის მოთხოვნათა დაცვით, მის საფუძველზე და შესაბამისად უნდა იყოს მიღებული, ამასთანავე, არგუმენტირებულიც უნდა იყოს.

2013 წელს მკვეთრად შეიცვალა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ხშირი გამოყენების ტენდენცია, რაც ცალსახად მისასაღმებელია. თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ სასამართლოები საანგარიშო წლის განმავლობაში უფრო აქტიურად იყენებდნენ არასაპატიმრო ხასიათის აღკვეთის ღონისძიებებს.

2013 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით, თბილისის საქალაქო სასამართლოში შესულ საქმეთაგან არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება შეფარდებული იყო 2 473 საქმეზე, მათ შორის, გირაოს გამოყენების შემთხვევა დაფიქსირდა - 2 462 შემთხვევაში, პირადი თავდებობა გამოყენებულ იქნა - 2-ჯერ, არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა - 2-ჯერ, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ კი - 7 შემთხვევაში.<sup>274</sup> 2013 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 85 პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე არ იქნა გამოყენებული.<sup>275</sup>

2013 წლის განმავლობაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში იყო 625 არასაპატიმრო სისხლის სამართლის საქმე (725 პირის მიმართ), აქედან - 623 ბრალდებულის

<sup>272</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხ. 5, პუნ. 1.

<sup>273</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 18.

<sup>274</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 31 დეკემბრის №2776 წერილი.

<sup>275</sup> იქვე.

მიმართ გამოყენებული იქნა არასაპატიმრო სახის აღკვეთის ღონისძიება. კერძოდ, გირაო - 597 პირზე, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ 25 პირზე, არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა - 1 პირზე.<sup>276</sup> 2013 წლის განმავლობაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე არ გამოიყენა 104 ბრალდებულის მიმართ, საიდანაც 103-ის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებად დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება (ერთ ბრალდებულს კი არც ერთი აღკვეთის ღონისძიება არ შეეფარდა).<sup>277</sup>

მისასაღმებელია, ასევე, ის ტენდენცია, რომელიც ასახულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებულ მონაცემებში, რომლის თანახმად, 2013 წელს გირაოს გარდა სხვა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების შემთხვევები გაიზარდა, მათ შორის, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების გამოყენება. კიდევ უფრო მეტად მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ როგორც უკვე აღინიშნა, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ცნობით, ათეულობით შემთხვევაში ბრალდებულების მიმართ არ ყოფილა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე.<sup>278</sup>

მნიშვნელოვანია, 2013 წლის 14 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები, რომლის შედეგად დაცვის მხარეს შესაძლებლობა მიეცა, აღკვეთის ღონისძიების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ისეთი ახალი გარემოება, რომელიც ცნობილი არ იყო მაგისტრატ/რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლისთვის, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე.<sup>279</sup>

<sup>276</sup> ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 6 იანვრის №243 წერილი.

<sup>277</sup> იქვე.

<sup>278</sup> მაგალითის სახით შესაძლებელია გავიხსენოთ 2013 წლის 25 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა პროკურატურის შუამდგომლობა თბილისის მერის, გიორგი უგულავას, მიმართ გირაოს სახით 1 000 000 ლარის გამოყენების შესახებ. მოცემული განჩინების მიხედვით, „სასამართლო მხედველობაში იღებს ბრალდებულის [გიორგი უგულავას] პირად მახასიათებლებს და მისი მონაწილეობის ხარისხს [გამომიების პროცესში], რაც გამორიცხავს ამ ეტაპზე, პირის მიმალვას, პროცესის მონაწილეებზე ზემოქმედების მოხდენას და დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებას და დასახელებული არგუმენტებით პროცესის მონაწილეებზე ზემოქმედების საფრთხე არ არის იმ სტანდარტით დასაბუთებული, რომ ბრალდებულ გიორგი უგულავას მიმართ გამოყენებულ იქნეს აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახე.“

<sup>279</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლი.

„1.აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინება შეიძლება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივროს პროკურორმა, ბრალდებულმა ან/და მისმა ადვოკატმა. საჩივარი შეიტანება განჩინების გამომტან სასამართლოში, რომელიც ამ საჩივარსა და მასალებს დაუყოვნებლივ უზავენის შესაბამის სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. გასაჩივრება არ აჩერებს განჩინების აღსრულებას.“

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი განჩინებები ცხადყოფს, რომ ცვლილების პრაქტიკაში იმპლემენტაციის დროს, კვლავ იკვეთება ხარვეზები. მაგალითად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიამ, აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებაზე, იდენტურ ფაქტობრივ გარემოებებში წარდგენილი საჩივრების განხილვისას, ზოგ შემთხვევებში საჩივარი დასაშვებად ცნო, ხოლო სხვა შემთხვევაში დაუშვებლად.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინიციატივით სპეციალური კომისიის შექმნას, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხის ამაღლებაზე იმუშავებს. ამასთან, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულმა კომისიამ 2014 წლის 31 დეკემბრამდე უნდა შეიმუშავოს სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, დასაბუთებულობისა და სტილისტური გამართულობის თაობაზე. მართალია, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების - განაჩენის დასაბუთებულობის საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია მაქსიმალურად იყოს დასაბუთებული ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების ამა თუ იმ სახის გამოყენების აუცილებლობა და ის გარემოებები, თუ რა მიზეზებით ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიებების მიზნებს უფრო მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიება, ან პირის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება.

განაჩენების გარდა, აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე განჩინებების დასაბუთებულობის ხარისხის ამაღლების საკითხზე ზემოაღნიშნული კომისიის მუშაობა მით უფრო მიზანშეწონილი და აუცილებელია მაშინ, როდესაც მაგისტრატ/რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ გამოტანილი განჩინებები მეტ-ნაკლებად სხვადასხვა ხარისხით არის დასაბუთებული. უნდა აღინიშნოს, რომ დიდი სხვაობაა საქართველოს დიდ ქალაქებსა (თბილისი, ბათუმი) და სხვა რეგიონების სასამართლოების მიერ გამოტანილ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების შესახებ განჩინებებს შორის.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა პრაქტიკაში დააფიქსირდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ სასამართლო განჩინების დაუსაბუთებლობის არაერთი შემთხვევა. ასევე, პატიმრობის შეფარდების შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების ძალაში დატოვების საკითხის განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურების ფაქტი. ამასთან, 2013 წელს პრობლემები შეინიშნებოდა

---

2. საჩივარში უნდა აღინიშნოს, რა მოთხოვნები დაირღვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას და რით გამოიხატა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა. აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებულ საჩივარში შესაძლოა ასევე მიეთითოს, რა არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხები და მტკიცებულებები არ გამოიკვლია პირველი ინსტანციის სასამართლომ, რომლებსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე.“

როგორც არასაკატიმრო აღკვეთის ღონისძიებაშეფარდებული ბრალდებულების საქმეების სასამართლო განხილვის კუთხით, ასევე დაფიქსირდა თავისუფლების უკანონო აღკვეთის რამდენიმე ფაქტი.

ამდენად, მოცემულ თავში განხილული იქნება აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთებულობის საკითხები, არასაკატიმრო საქმეების განხილვასთან დაკავშირებული პრობლემები და თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემთხვევები.

### **აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ სასამართლოს განჩინებათა დასაბუთებულობის პრობლემა**

2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველი მიუთითებდა პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენებისას სასამართლო განჩინების დასაბუთების პრობლემაზე. აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, შეინიშნება პოზიტიური ცვლილებები (თბილისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებები) განჩინებების დასაბუთებისა და სასამართლოების მიერ იმ გარემოებების აღნიშვნის მხრივ, რომელთა გათვალისწინებით მოსამართლე ბრალდებულის მიმართ იყენებს აღკვეთის ღონისძიებას ან/და ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახის გამოყენებას არასაკმარისად თვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით<sup>280</sup> გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების მიზნების შესრულებისათვის.

<sup>280</sup> მუხლი 198. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები და საფუძველი

„1. აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. ბრალდებულს პატიმრობა ან სხვა აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება შეეფარდოს, თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

2. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

3. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა.

4. სასამართლო უფლებამოსილია ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

5. აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.“



მიუხედავად ამისა, რეგიონებში გამოტანილ განჩინებებში (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა გორის რაიონული, თელავის რაიონული და ფოთის საქალაქო სასამართლოების მიერ გამოტანილი განჩინებები), მეტნაკლებად კვლავ აღინიშნება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მიზანშეწონილობისა და ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახის გამოყენების შემთხვევაში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევის შეუძლებლობის მიზეზების დასაბუთების ნაკლებობა.

როგორც გორის რაიონული, თელავის რაიონული და ფოთის საქალაქო სასამართლოების მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის წარმოდგენილი განჩინებებიდან ირკვევა, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შერჩევისას, მოსამართლე, სტანდარტულად, უთითებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის მიმართ არ იქნება გამოყენებული პატიმრობა, იგი მკაცრი სასჯელის შიშით შესაძლოა დაემალოს გამოძიებასა და სასამართლოს, ზემოქმედება მოახდინოს მოწმეებზე და ხელი შეუშალოს გამოძიებას მტკიცებულებათა მოპოვებაში. სასამართლოების მიერ რამდენიმე შემთხვევაში, მითითებულია, ასევე, ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა. ამასთან, განჩინებების თანახმად, მოსამართლე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობას იყენებს ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით. თუმცა, განჩინებებიდან, როგორც წესი, გაურკვეველია, ბრალდებულის პიროვნების შესწავლა კონკრეტულად რა გარემოებების შეფასებით ხდება. ამასთან, ხშირ შემთხვევაში, გაურკვეველია ბრალდებულის ნასამართლობაზე მითითებისას, პირს ბრალად ედება ერთგვაროვანი დანაშაულების ჩადენა, თუ სხვადასხვა სახის დანაშაულების ჩადენა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლი სასამართლოს ავალდებულებს, აღკვეთის ღონისძიების შესახებ პატიმრობის შერჩევისას, იმსჯელოს კონკრეტულად რა გარემოებები აძლევს საფუძველს, დასაბუთებულად მიიჩნიოს ვარაუდი, რომ თუ ბრალდებული გამოძიების მიმდინარეობისას არ იქნება მოთავსებული სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და არ ექნება შეზღუდული თავისუფლება, იგი დაემალება გამოძიებასა და სასამართლოს, ვერ მოხდება განაჩენის აღსრულება, ასევე პირი ზემოქმედებას მოახდენს მოწმეებზე, ხელს შეუშლის გამოძიებას მტკიცებულებების მოპოვებაში ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

საქართველოს სახალხო დამცველისათვის სასამართლოების მიერ წარმოდგენილი განჩინებების შესწავლის შედეგად, იკვეთება, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შერჩევის აუცილებლობის დასაბუთებლად ზემოაღნიშნულ მიზეზებს სასამართლო მხოლოდ ჩამოთვლის, თუმცა, კონკრეტულ გარემოებებს, თუ რის საფუძველზე ჩამოუყალიბდა დასაბუთებული ვარაუდი მოცემული აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას, უმრავლეს შემთხვევაში, არ უთითებს. საქართველოს სახალხო დამცველისათვის წარმოდგენილი განჩინებების გაცნობის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასამართლო თითქმის არ მსჯელობს, არსებობს თუ არა გარემოებები, რომელთა გათვალისწინებითაც

აღკვეთის ღონისძიების მიზნების უზრუნველყოფა შესაძლებელი იქნება სხვა, არასაკმატომრო სახის ღონისძიების გამოყენებით.

ამასთან, შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში, სასამართლოს განჩინებები აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების დროს, კვლავ არასაკმარისად დასაბუთებულად მივიჩნიოთ. მართალია, გირაო ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახეა, თუმცა, გირაოს ოდენობის განსაზღვრისას, როგორც წარმოდგენილი განჩინებებიდან ირკვევა, სასამართლო, არასაკმარისი ინფორმაციის წარდგენის (მათ შორის დაცვის მხარის მიერ) გამო ან საერთოდ არ მსჯელობს ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ან მხოლოდ ზოგადი სახით განიხილავს აღნიშნულ გარემოებას. მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლი არ ითვალისწინებს, რომ სასამართლომ დეტალურად გამოიკვლიოს ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობა, თუმცა, თუ შეფარდებული გირაოს ოდენობა აშკარად არ შეესაბამება ბრალდებულის მატერიალურ მდგომარეობას, გირაო, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახე, ვერ უზრუნველყოფს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ აღკვეთის ღონისძიების მიზნებს.

### **თავისუფლების უკანონო აღკვეთა**

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა გარკვეული შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურისა. აღნიშნული გარანტია განმტკიცებულია, ასევე, საქართველოს უზენაესი კანონით.

მიუხედავად აღნიშნულისა, კონსტიტუციითა და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გარანტირებული თავისუფლებისა და ხელშეუვალობის უფლების დარღვევის რამდენიმე ფაქტი დააფიქსირა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საანგარიშო პერიოდში. 2013 წელს მოცემული უფლების დარღვევა დაფიქსირდა, როგორც საქართველოს პროკურატურის, ასევე საერთო სასამართლოებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის მხრიდან.

### **უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქე ა.ჩ.-ს საქმე**

საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებული უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქე ა.ჩ.-ს მიმართ საქართველოს პროკურატურამ და საერთო სასამართლოებმა გამოიყენეს საექსტრადიციო პატიმრობა მაშინ, როდესაც არ არსებობდა მის მიმართ უკრაინის ტერიტორიაზე კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული დაპატიმრების ორდერი. ა.ჩ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ა.ჩ. საქართველოს

ტერიტორიაზე დააკავეს 2012 წლის 11 დეკემბერს და 2013 წლის ივნისამდე იმყოფებოდა საექსტრადიციო პატიმრობაში.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 2011 წლის 1 თებერვალს კიევის პეჩერსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ა.ჩ.-ს დაპატიმრების შესახებ შუამდგომლობა და გასცა მისი დაპატიმრების ნებართვა სასამართლოში წარდგენის მიზნით. მხოლოდ სასამართლოს წინაშე წარდგენის შემდეგ იქნებოდა მიღებული გადაწყვეტილება, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდებოდა თუ არა ა.ჩ.-ს პატიმრობა. ა.ჩ. საქართველოში სწორედ კიევის პეჩერსკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე დააკავეს და შეუფარდეს საექსტრადიციო პატიმრობა.

2013 წლის 23 იანვარს, კიევის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეების განხილვის სასამართლო პალატის მოსამართლეთა კოლეგიის განჩინებით ბათილად იქნა ცნობილი კიევის გოლოსეევსკის რაიონული სასამართლოს საგამომიებო მოსამართლის 2012 წლის 19 დეკემბრის განჩინება, ა.ჩ.-ს მიმართ დაპატიმრების სახით აღმკვეთი ზომის შერჩევის და კრიმინალური წარმოების ადგილზე მისი მიყვანის მომენტიდან არაუგვიანეს 48 (ორმოცდარვა) საათისა, დაპატიმრების სახით შერჩეული აღმკვეთი ზომის გამოყენების ან უფრო მსუბუქი აღმკვეთი ზომით შეცვლის თაობაზე საკითხის გადასაწყვეტად, კიევის გოლოსეევსკის რაიონულ სასამართლოში მისი წარდგენის უზრუნველყოფის შესახებ. ამავე განჩინებით, კიევის სააპელაციო სასამართლომ უარი უთხრა კიევის პროკურატურის საგამომიებო განყოფილების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების გამომძიებელს, ა.ჩ.-ს მიმართ აღმკვეთი ზომის სახით დაპატიმრების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული ინფორმაცია, 2013 წლის 4 თებერვალს ცნობილი იყო საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის<sup>281</sup>.

კიევის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 23 იანვრის განჩინების საფუძველზე, ა.ჩ.-ს ადვოკატმა 2013 წლის 5 თებერვალს, ახლადგამოვლენილი გარემოებების გამო, მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ა.ჩ. პატიმრობის შესახებ იმავე სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის განჩინების გაუქმება, რაც ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 7 თებერვლისა და ქუთაისის სააპელაციომ სასამართლომ 2013 წლის 16 თებერვლის განჩინებებით, ახლადგამოვლენილ გარემოებად არ ჩაითვალა და ა.ჩ. საექსტრადიციო პატიმრობა დარჩა ძალაში.

<sup>281</sup> 2013 წლის 1 თებერვლის №14/1-32847-12 წერილით უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ აცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურატურას (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურატურაში აღნიშნული წერილი დარეგისტრირდა 2013 წლის 4 თებერვალს №01/13-14062), რომ კიევის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 23 იანვრის განჩინებით, გაუქმდა კიევის გოლოსეევსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 19 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის შედეგების მიხედვით ა.ჩ. საქმეში ასევე გამოიკვეთა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2013 წლის 7 თებერვალს საქმის განხილვის დროს გასული იყო „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული, პირის ექსტრადიციისთვის სავალდებულო დოკუმენტაციის გადმოგზავნის მაქსიმალური 40 დღიანი ვადა.<sup>282</sup> საქართველოსა და უკრაინას შორის ბრალდებულ პირთა ექსტრადიციის საკითხები რეგულირდება საერთაშორისო და ორმხრივი ხელშეკრულებებით.<sup>283</sup> აღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტებით, საქართველოს ეკისრება ბრალდებულის ექსტრადიციის ვალდებულება. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში თხოვნის გამგზავნი მხარე საქართველოს არ მიაწოდებს ექსტრადიციისთვის სავალდებულო დოკუმენტაციას, მათ შორის დაპატიმრების ორდერს ან იმავე ძალის მქონე სხვაგვარ ორდერს, საექსტრადიციო პატიმრობაში მყოფი პირი უნდა გათავისუფლდეს.<sup>284</sup>

იმ პერიოდში, როცა საქართველოს მხარეს უკრაინის მხარისგან არ ჰქონდა მიღებული პირის ექსტრადიციის მოთხოვნისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია, ა.ჩ.-ს საექსტრადიციო პატიმრობა შეიძლება გაგრძელებულიყო მისი დაკავებიდან (2012 წლის 11 დეკემბერი) მხოლოდ 40 დღემდე (2013 წლის 20 იანვრამდე). თუმცა, საქმის მასალების მიხედვით, ა.ჩ.-ს საექსტრადიციო პატიმრობა 2013 წლის 20 იანვრის შემდგომაც გაგრძელდა და საერთო სასამართლოებმა საქმეში არსებული დარღვევების შესახებ არ იმსჯელეს.

ა.ჩ.-ს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ფაქტზე, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, ა.ჩ.-სთვის შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობის გაუქმებისა და

<sup>282</sup> „წინასწარი პატიმრობა შეიძლება შეწყდეს დაპატიმრებიდან 18 დღის ვადაში, თუკი თხოვნის მიმღები მხარე არ მიიღებს თხოვნას ექსტრადიციის შესახებ და მე-12 მუხლში მოხსენებულ დოკუმენტებს. წინასწარი პატიმრობა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გადასცდეს 40 დღეს ამგვარი დაპატიმრების თარიღიდან.“

<sup>283</sup> ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია; სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენცია; საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ ხელშეკრულება.

<sup>284</sup> „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „თხოვნას თან უნდა ერთვოდეს თხოვნის გამგზავნი მხარის კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად გაცემული დაპატიმრების ორდერი ან იმავე ძალის მქონე სხვაგვარი ორდერი.“ ასევე, სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის 58-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „სისხლის სამართლის დევნის განსახორციელებლად გადაცემის თაობაზე მოთხოვნას თან უნდა დაერთოს პატიმრობაში აყვანის შესახებ დადგენილების დამოწმებული ასლი.“ ხოლო, საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ ხელშეკრულების 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „თხოვნას პირის გადაცემის შესახებ სისხლის სამართლებრივი დევნის განსახორციელებლად თან უნდა დაერთოს პატიმრობაში აყვანის შესახებ დადგენილების დამოწმებული ასლი საქმის ფაქტიურ გარემოებათა აღწერით.“

გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობით მიემართა შესაბამისი სასამართლოსათვის.<sup>285</sup> საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურატურას ასევე მიმართა ა.ჩ.-ს შესაძლო განზრახ უკანონო დაპატიმრების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ნიშნებით გამოძიების დაწყების წინადადებით.<sup>286</sup> საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია და წინადადება არ გაითვალისწინა.<sup>287</sup>

თუმცა, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 8 ივნისის განჩინებით არ დააკმაყოფილა საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა და საექსტრადიციო პროცედურების მიმდინარეობისას მიმალვის საფრთხის არარსებობის მოტივით, ა.ჩ. სხდომათა დარბაზიდან, 150 000 ლარის ოდენობის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. აღნიშნული განჩინება ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2013 წლის 14 ივნისის განჩინებით.

### **მოქალაქე ოლეგ მელნიკოვის საქმე**

საანგარიშო პერიოდში, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევას ადგილი ჰქონდა ბრალდებულ ოლეგ მელნიკოვის საქმეში, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული დოკუმენტაციით, 2013 წლის 22 სექტემბერს საქართველოს პროკურატურამ, ბრალდებულ ოლეგ მელნიკოვის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ბრალდებულ ოლეგ მელნიკოვისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 4 დეკემბრის განჩინებით შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის დადასტურება. სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოში, ოლეგ მელნიკოვის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე, იმ დროისთვის უკვე ჩატარებული იყო წინასასამართლო სხდომა (ჩატარდა ორი სასამართლო სხდომა), რომლის განხილვაც გადაიდო 2013 წლის 15 ოქტომბრისთვის და პროკურატურიდან შემოსული მიმართვა დაეწერა წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს. ამასთან, მხარეებს სასამართლოსთვის სასამართლო განხილვის სხდომის თარიღის შეცვლის შესახებ შუამდგომლობით არ მიუმართავთ.

<sup>285</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 24 მაისის რეკომენდაცია.

<sup>286</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 24 მაისის წინადადება.

<sup>287</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურიდან 2013 წლის ივნისში მიღებული წერილების მიხედვით, ა.ჩ.-ს საექსტრადიციო პროცედურების მიმდინარეობის არც ერთ ეტაპზე არ არსებობდა მისი საექსტრადიციო პატიმრობიდან გაათავისუფლების საფუძველი, ა.ჩ.-ის მიმართ ადგილი არ ჰქონია განზრახ უკანონო დაპატიმრებას, საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოსთვის სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დებულებების დარღვევის ფაქტს.



ოლეგ მელნიკოვისათვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის, გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხზე მოსამართლემ იმსჯელა მხოლოდ 2013 წლის 29 ოქტომბერს, ბრალდებულის ადვოკატების მიმართვის შემდეგ. შესაბამისად, მოსამართლეს პროკურატურის 22 სექტემბრის შუამდგომლობა ბრალდებულ ოლეგ მელნიკოვის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის დადასტურების თაობაზე საერთოდ არ განუხილავს<sup>288</sup>.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლი ადგენს სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლისა და გაუქმების შესახებ შუამდგომლობის განხილვის წესს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მე-10 ნაწილი ცალკე გამოყოფს შემთხვევას, როცა დაპატიმრების შერჩევის შესახებ შუამდგომლობა სასამართლოს შეიძლება წარედგინოს ბრალდებულის მიმალვის შემთხვევაში და ადგენს ბრალდებულის დაპატიმრების შემთხვევაში პროკურატურისა და სასამართლოს ქმედების წესსა და პროცედურას:

„ძებნილი ბრალდებულის უცხოეთში დაკავების შემთხვევაში, საქართველოში გამოძიების ადგილზე ჩამოყვანიდან არა უგვიანეს 48 საათისა, იგი უნდა წარედგინოს შესაბამის სასამართლოს. მოსამართლე ისმენს მხარეთა განმარტებებს, რის შემდეგაც იღებს გადაწყვეტილებას აღკვეთის ღონისძიების გაუქმების, შეცვლის ან ძალაში დატოვების შესახებ“.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მე-10 ნაწილის მოთხოვნა უპირობოდ უნდა შესრულდეს და რამე საგამონაკლისო წესს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს. ძებნილი ბრალდებულის სასამართლოს წინაშე წარდგენის მიზანია აღკვეთის ყველაზე მკაცრ ღონისძიებაზე – პატიმრობაზე სასამართლო კონტროლის დაწესება და განხორციელება, რაც საბოლოო ჯამში, ბრალდებულის თვითნებობისგან დაცვას უზრუნველყოფს.

---

<sup>288</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის მიწოდებული სხდომის ოქმის ასლისა<sup>288</sup> და სხდომის ოქმის ჩანაწერიდან<sup>288</sup> გაირკვა, რომ 2013 წლის 15 ოქტომბერს წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ განაცხადა შემდეგი: „*მე განმარტების სახით უნდა აღვნიშნო, რომ ბრალდებულ ოლეგ მელნიკოვის ექსტრადირების შემდგომ ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი იქნა მომართვა, რომლის მიხედვითაც ბრალდების მხარე ითხოვდა, ანუ მომართვა ეხებოდა ბრალდებულის პატიმრობის დადასტურებას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლი, რომელიც მიეკუთვნება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20 თავს, კერძოდ, ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენას და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, ანუ ეს მუხლი მე-10 ნაწილში ითვალისწინებს ძებნილი ბრალდებულის დაკავების შემთხვევაში სასამართლოსთვის წარდგენას. ოლეგ მელნიკოვის საქართველოში ექსტრადირების დროისთვის აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება იყო დასრულებული და საქმე იყო შემოსული სასამართლოში განსახილველად, უფრო მეტიც, ჩატარებული იყო 2 სასამართლო სხდომა და შემდგომ შემდეგი სასამართლო სხდომა გადადებული იყო 2013 წლის 15 ოქტომბრისთვის. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მე-10 ნაწილით განსაზღვრული რეჟიმი ვერ გავრცელდებოდა, ვერ გავრცელდება ამ კონკრეტულ შემთხვევაზე ამ ეტაპზე საქმის განხილვისას, თუმცა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადახედვა – ბრალდებულის ეს უფლება არ იზღუდება“.*

მოსამართლის მიერ მითითებული ის გარემოება, რომ ბრალდებულ ოლეგ მელნიკოვის ექსტრადირების მომენტისთვის სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დასრულებული იყო და წინასასამართლო სხდომა მიმდინარეობდა, ხელს არ უშლიდა პროკურატურის მიმართვის განხილვას. პირიქით, სასამართლო ვალდებული იყო განეხილა ეს საკითხი, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მე-10 ნაწილი დიფერენცირებას არ აკეთებს ბრალდებულის ექსტრადირება და საქართველოში გამოძიების ადგილზე ჩამოყვანა როდის ხდება: სისხლის სამართლის საქმის გამოძიების თუ სასამართლო განხილვის ეტაპზე, რადგან იგი აუცილებლად უნდა წარედგინოს სასამართლოს. შესაბამისად, ეს მავალდებულებელი ნორმა და მოსამართლის დისკრეციას გამორიცხავს. აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვა კი შესაძლებელია როგორც ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, ასევე წინასასამართლო და საქმის არსებითი განხილვის სხდომაზეც, როგორც ამას მოცემული კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს.

მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მე-10 ნაწილში მოსამართლის მიერ აღნიშნული საკითხის განხილვის ვადა პირდაპირ მითითებული არ არის, თუმცა ეს არ უნდა გახდეს ბრალდებულის უფლებების არამართლზომიერი შეზღუდვის საფუძველი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობისას დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენება, თუ ამით არ იზღუდება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობას მოსამართლე განიხილავს მისი წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა. ამდენად, სწორედ ხარვეზის არსებობისას, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით და შუამდგომლობა განეხილა მისი სასამართლოში შესვლიდან 24 საათის ვადაში.

ბრალდებულის კანონისმიერი გარანტიაა, რომ მისი თავისუფლების შეზღუდვის საკითხი განიხილოს კომპეტენტურმა სასამართლომ გონივრულ ვადაში, გაჭიანურების გარეშე მხარეთა არგუმენტაციის გათვალისწინებით. სწორედ ამგვარ გარანტიას ანიჭებს ბრალდებულს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მე-10 ნაწილი. სასამართლოს მიერ პროკურატურის მიმართვის განუხილველობა კი ამ მუხლით გარანტირებული უფლების შეზღუდვას წარმოადგენს და ბრალდებულის თავისუფლების თვითნებურ ხელყოფად შეიძლება განვიხილოთ.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-5 მუხლით დაცული ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზის შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბრალდებულ ოლეგ მელნიკოვის პატიმრობა, მისი საქართველოში ექსტრადიციიდან და ამ ფაქტის თაობაზე, პროკურატურის 2013 წლის 22 სექტემბრის მიმართვიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიერ 2013 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ სასამართლოს განჩინების ძალაში დატოვებამდე, იყო გაუმართლებელი<sup>289</sup>.

### **თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების საქმე**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების განცხადებები, რომელთა მიხედვით, 2013 წლის 27 ივნისს, დილის საათებში თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები დააკავეს სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პიროვნებებმა, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ჩასვეს ავტომობილებში და მიიყვანეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შენობაში. განცხადებებიდან ასევე ირკვეოდა, რომ დაკავებისას მათ არ მიეცათ კანონმდებლობით გარანტირებული პროცესუალური უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა. ამასთან, თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების მტკიცებით, თავდაპირველად, ისინი დააკავეს ბრალდებულის სტატუსით, ხელბორკილების გამოყენებით. თუმცა, მოგვიანებით, ხელმძღვანელების მითითების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დახიეს მათი დაკავების ოქმები, ფორმალურად შეადგინეს მოწმის სახით აღნიშნული პირების დაკითხვის ოქმები და გაათავისუფლეს. ამასთან, განმცხადებლების განმარტებით, მათზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მხრიდან ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა.

საქმეზე რეაგირების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე პერიოდში ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“, თბილისის მერიისა და თბილისის გამგეობის თანამშრომლების ორგანიზებითა და მონაწილეობით სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხების შესაძლო მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებისა და გაფლანგვის თაობაზე მიმდინარე გამოძიების შესახებ.

ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ გამოძიების ინტერესებიდან

<sup>289</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 24 დეკემბრის წინადადება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების მოთხოვნის შესახებ.

გამომდინარე, მოწმის სახით ერთდროულად დაიბარეს რამდენიმე პირი, რომელთა დაკავება არ მომხდარა. ამავე წერილის მიხედვით, მათ განემარტათ მოწმის უფლება-მოვალეობები, კანონით დადგენილი წესით დაიკითხნენ მოწმის სახით და დაკითხვის დასრულებისთანავე დატოვეს საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაციული შენობა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს გამოძიების დაწყების მოვალეობას. კერძოდ, „*დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება.*“<sup>290</sup> ამავე კოდექსის 101-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით კი დაკონკრეტებულია, რომ გამოძიების დაწყების საფუძველია ნებისმიერი ინფორმაცია დანაშაულის შესახებ, რომელიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს ინფორმაცია დაფიქსირებული იქნება წერილობითი, ზეპირი თუ სხვა სახით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს არანაირ გამონაკლისს, რაც სამართალდამცავ ორგანოებს შესაძლებლობას მისცემს, დანაშაულის ნიშნების თაობაზე ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, უარი თქვან გამოძიების დაწყებაზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლი იმპერატიულად ადგენს, რომ დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, გამომძიებელი, პროკურორი *ვალდებულნი არიან* დაიწყონ გამოძიება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს მხოლოდ გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის საფუძველებს<sup>291</sup> და არ ადგენს გამოძიების არდაწყების რაიმე შესაძლებლობას.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა სამართალდამცავი პირების მიერ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების განხორციელება. საგამოძიებო ორგანოები ვალდებულნი არიან გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი შესაძლებლობა, რათა ეფექტურად გამოავლინონ დანაშაულებრივი ქმედებები და სათანადო რეაგირება მოახდინონ კანონდარღვევებზე. მით უმეტეს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა უარყო თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების მიმართ შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელების ფაქტი, ხოლო თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები აპელირებენ მათ მიმართ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე, მათ შორის თავისუფლების უკანონო აღკვეთაზე. ამრიგად, თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების განცხადებებში მითითებული შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებები არ უნდა დარჩეს კანონით განსაზღვრული რეაგირების გარეშე, სამართალდამცავი სტრუქტურები ვალდებულნი არიან დაიწყონ გამოძიება და დაადგინონ თუ რამდენად

<sup>290</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 100.

<sup>291</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 105.

შეესაბამება სიმართლეს თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების მიერ გაცხადებული გარემოებები.<sup>292</sup>

**რეკომენდაციები:**

**საერთო სასამართლოებს:**

- გაიზარდოს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე სასამართლოს განჩინებების დასაბუთებულობის სტანდარტი და განჩინებებში აღინიშნოს, თუ რა გარემოებების გათვალისწინებით ჩათვალა მოსამართლემ აუცილებლად, აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევისათვის მხოლოდ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება და რა გარემოებების საფუძველზე მიიჩნია არასაკმარისად ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ან ბრალდებულის დატოვება აღკვეთის ღონისძიების გარეშე;
- ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახედ გირაოს გამოყენებისას, სასამართლოს მიერ უფრო მეტად მოხდეს ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობის შესწავლა და მხოლოდ მისი მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე განისაზღვროს გირაოს თანხა;
- უზრუნველყოფილ იქნეს უცხო სახელმწიფოდან ბრალდებულის ექსტრადირების შემთხვევებში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ 24 საათიან ვადასა და შესაბამისი პროცედურების დაცვით, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების დადასტურების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობის განხილვა.

**საქართველოს უზენაეს სასამართლოს:**

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინიციატივით შექმნილმა კომისიამ განაჩენების დასაბუთებულობის ხარისხის ამაღლების საკითხების გარდა, შეიმუშაოს სტანდარტები, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების ამა თუ იმ სახის გამოყენების თაობაზე გამოტანილი განჩინებების დასაბუთებულობის ხარისხის ამაღლების საკითხებზე.

**საქართველოს პროკურატურასა და საერთო სასამართლოებს:**

- განსაკუთრებული ყურადღებით იქნეს გამოკვლეული უცხო სახელმწიფოს მოქალაქის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების შესახებ საკითხის განხილვისას

<sup>292</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის 28 იანვრის წინადადება გამოძიები დაწყების თაობაზე.



თხოვნის გამომგზავნ ქვეყანაში აღნიშნული პირის მიმართ „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციითა და სხვა საერთაშორისო თუ ორმხრივი ხელშეკრულებებით სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობა.

საქართველოს პროკურატურას:

- პირის თავისუფლებისა და ხელშეუვალობის უფლების კანონსაწინააღმდეგო შეზღუდვის ნიშნების არსებობისას, დაუყოვნებლივ იქნეს დაწყებული და გონივრულ ვადებში ჩატარდეს ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოძიება.

## სამართლიანი სასამართლოს უფლება

სამართლიანი სასამართლოს უფლება ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა, საქართველოს კონსტიტუციაში ის დაცულია 42-ე მუხლის დებულებებით. უფლება სამართლიან სასამართლოზე მოიცავს ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპების დაცვას, როგორცაა ხელმისაწვდომობა კანონის საფუძველზე შექმნილ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე, საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება გონივრულ ვადაში, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის უზრუნველყოფა, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების სავალდებულობა, უდანაშაულობის პრეზუმფცია და პროცესუალური უფლებები, რომელიც გარანტირებული უნდა იყოს ყველასთვის, მის წინააღმდეგ არსებულ სისხლის სამართლის საქმეში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „დელკური ბელგიის წინააღმდეგ,“ აღნიშნა, რომ მართლმსაჯულების სამართლიან განხორციელებაზე უფლებას კონვენციის მიხედვით, დემოკრატიულ საზოგადოებაში ისეთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რომ [მისი] შეზღუდვითი განმარტება ამ ნორმის მიზანსა და დანიშნულებასთან შეუსაბამოა.<sup>293</sup> ამასთან, ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანებს შეექმნათ ნდობა სასამართლოების მიმართ, მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა განხორციელდეს, არამედ უნდა ჩანდეს, რომ ის განხორციელდა.<sup>294</sup>

საანგარიშო პერიოდში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი მექანიზმის შექმნის განხილვა წარმოადგენდა. აღნიშნული მოთხოვნა განსაკუთრებული სიმძაფრით იყო დასმული ათასობით პატიმრის/ყოფილი პატიმრის, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 19 ნოემბრის დადგენილებით<sup>295</sup> აღიარებულ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა მიერ.<sup>296</sup>

2012 წლის ბოლოდან საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა გააჟღერეს ოფიციალური პოზიცია მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ,<sup>297</sup> რომელიც შეისწავლიდა ინდივიდუალური

<sup>293</sup> დელკური ბელგიის წინააღმდეგ, 1970 წლის იანვრის გადაწყვეტილება, პარ. 25;

<sup>294</sup> Lisica v. Croatia, 2010 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება, № 20100/0, პარ. 56;

<sup>295</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება 07-3/10 „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა თაობაზე“, 19 ნოემბერი 2012 წელი;

<sup>296</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 3 ივლისის განცხადება,

<http://www.ombudsman.ge/ge/page/1845-saxalxo-damcveli-politikuri-nishnit-dapatimrebul-pirebs-shexvda>

<sup>297</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს 2013 წლის თებერვალში ეცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, რომ რამდენიმე თვეში ამოქმედდებოდა შესაბამისი მექანიზმი, რომლითაც გადაიხედებოდა უკანონო განაჩენები;

სისხლის სამართლის საქმეებს.<sup>298</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა და საჯაროდ განსახილველად წარმოადგინა კანონპროექტი „მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი დროებითი სახელმწიფო კომისიის“ შექმნის შესახებ, რომელიც მოგვიანებით ვენეციის კომისიასაც გადაეგზავნა. კანონპროექტზე ვენეციის კომისიის დასკვნა 2013 წლის 23 მაისს გამოქვეყნდა. ის რეკომენდაციას უწევდა სახელმწიფოს, როგორი მოდელის შექმნის გადაწყვეტილებაც არ უნდა მიეღო, თავიდან აეცილებინა პარალელური მართლმსაჯულების სისტემის შექმნა.<sup>299</sup> 2013 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა გააკეთეს ოფიციალური განცხადებები მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი სახელმწიფო კომისიის შექმნის პროცესის შეჩერების შესახებ, რის ძირითად საფუძვლადაც ფინანსური სახსრების არარსებობა დასახელდა. აღნიშნულს მოჰყვა მასობრივი შიმშილობის აქციები პატიმართა მხრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.<sup>300</sup>

საქართველოს სახალხო დამცველმა საანგარიშო პერიოდში არაერთი განცხადება გააკეთა მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის აუცილებლობის შესახებ.<sup>301</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2012 წლამდე საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი 55 გადაწყვეტილებიდან 37 გადაწყვეტილებაში დადგინდა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. ამ ძირითადი უფლების დარღვევის მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების, და განსაკუთრებით სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სამართლიანი სასამართლოს გარანტიების დაცვა ქვეყნის შიდა დონეზე რეფორმებს და უფლებების უზრუნველყოფის ქმედით მექანიზმს საჭიროებს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მექანიზმი, რომელიც შეიქმნება, არ იყოს ამოვარდნილი სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სივრციდან. აუცილებელია, მართლმსაჯულების ხარვეზების დადგენის სისტემას გააჩნდეს იმგვარი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ლეგიტიმაცია, რომელიც განაპირობებს მის სრულ დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას. ამგვარ ინსტიტუტად შესაძლებელია განვიხილოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის კომპეტენციის

<sup>298</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტის თავდაპირველი ვერსია ითვალისწინებდა დროებითი სახელმწიფო კომისიის მიერ როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოების პროცესში დაშვებულ შესაძლო ხარვეზების განხილვის შესაძლებლობას. თუმცა, კანონპროექტის საბოლოო ვერსია სხვაგვარად ჩამოყალიბდა და შემოიფარგლა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვის მექანიზმის შექმნით;

<sup>299</sup> Opinion 728/201, CDL-REF (2013)024, Draft law on temporary state commission on miscarriages of justice of Georgia, European Commission for democracy through law (Venice Commission), Council of Europe, 23 May 2013;

<sup>300</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 26 ივლისის საჯარო განცხადება; ასევე, საქართველოს სახალხო დამცველი გეგუთის №14 დაწესებულებაში პატიმრებს შეხვდა, 7 თებერვალი 2014 წელი;

<sup>301</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 3 ივლისის, 12 აგვისტოს და 29 ნოემბრის საჯარო განცხადებები.

გაფართოების შემთხვევაში, სახელმწიფო შექმნიდა საკმარისი დამოუკიდებლობით და მიუკერძოებლობით აღჭურვილ მართლმსაჯულების კონსტიტუციური კონტროლის ეფექტურ ინსტიტუტს<sup>302</sup>. ამასთან, არსებითია, რომ სახელმწიფომ შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც მართლმსაჯულების ხარვეზის მსხვერპლთა სრულ რეაბილიტაციას, მათ შორის, სახელმწიფოს უკანონო ქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის აღდგენას იგულისხმებდა.

მართლმსაჯულების სფეროში განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, სასამართლო სისტემაში არსებულ ნაკლოვანებებზე საქართველოს სახალხო დამცველის არაერთ ანგარიშშია მითითებული. წინამდებარე ანგარიშშიც, 2013 წელს გამოვლენილი ძირითადი ტენდენციებია გადმოცემული. კერძოდ, სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი, სასამართლოს მიერ გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერების შემოწმებისას არსებული პრობლემები, დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის პრინციპის დარღვევები, სწრაფი მართლმსაჯულებისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ფაქტები და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისას წარმოქმნილი პრობლემები.

## სასამართლო პროცესების მონიტორინგი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით მესამედ განახორციელა სასამართლო პროცესების მონიტორინგი.<sup>303</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სასამართლო მონიტორინგი სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის სრული პატივისცემით განახორციელა.

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში საერთო სასამართლოები სამართლიანი სასამართლოს და მასთან დაკავშირებული უფლებების მნიშვნელოვან ნაწილს ნერგავენ პრაქტიკაში. შესაბამისად, მონიტორინგის მიზანი იყო აღნიშნული პროცესის შეფასება, შესაძლო ხარვეზების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტიან განხორციელებას და

<sup>302</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგადი უფლებამოსილების გაზრდის ჭრილში, მოიაზრებს მართლმსაჯულების ხარვეზების გადასინჯვის მექანიზმის არსებობასაც. აღნიშნული კანონპროექტი, შესაბამისი კონსულტაციების გავლის შემდეგ, 2014 წლის გაზაფხულზე, წარედგინება საქართველოს პარლამენტს;

<sup>303</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ სასამართლო პროცესების მონიტორინგი განხორციელდა 2011 და 2012 წლებში და შედეგები აისახა საქართველოს სახალხო დამცველის 2011 და 2012 წლის ანგარიშებში.

მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და გამჭვირვალობის ამაღლებას.

2013 წლის ნოემბერში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ გორის რაიონულ, ქუთაისის საქალაქო, ზუგდიდის რაიონულ, სენაკის რაიონულ, ბათუმის საქალაქო, ახალციხის რაიონულ, თბილისის საქალაქო, თელავის რაიონულ, გურჯაანის რაიონულ, ბოლნისის რაიონულ სასამართლოებში და პროცესზე უშუალო დასწრების ფორმით გაეცნენ სამართალწარმოების პროცესს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეიმუშავა კითხვარები, რომელშიც სასამართლო განხილვის პროცესში შესაძლო პროცესუალურ დარღვევებთან ერთად, ყურადღება გამახვილებული იყო 2011–2012 წლებში საქართველოს სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ პრობლემურ საკითხებზეც. წინამდებარე ანგარიში შევსებული კითხვარების ანალიზის საფუძველზე მომზადდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშის ამ ნაწილში მოცემულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ, სისხლის სამართლის ცალკეული საქმეების შესწავლის შედეგად გამოვლენილი, სასამართლოს მონიტორინგის დროს გამოვლენილი დარღვევების იდენტური პროცესუალური დარღვევებია.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საერთო სასამართლოებში განხორციელებული მრავალი რეფორმის შედეგად გაზრდილია მოსამართლეთა პროფესიული მომზადების დონე; სასამართლო პროცესები ძირითადად წარიმართება ადამიანის უფლებების პატივისცემით. მისასაღმებელია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2013 წლის 6 მარტს განხორციელებული ცვლილებები, რომლითაც ნებადართულ იქნა სასამართლო პროცესების ფოტო, ვიდეო, კინო გადაღება და მიმდინარეობს ყველა პროცესის აუდიო ჩაწერა. განხორციელებული ცვლილება გამჭვირვალეს ხდის მართლმსაჯულების აღსრულების პროცესს, რაც თავისთავად დადებითად აისახება სასამართლოს საქმიანობის ხარისხზე.

მართლმსაჯულების სფეროში არსებული პოზიტიური ტენდენციების მიუხედავად, მონიტორინგის დროს გამოვლინდა ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრა აუცილებელია.

## 1. შშმ პირების ხელმისაწვდომობა სასამართლოზე

საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში ყურადღება გამახვილდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის პრობლემაზე.

ცალკეული სასამართლო შენობის შესასვლელებში პანდუსების არარსებობა შეუძლებელს ხდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სასამართლო შენობებში შესვლას. უმეტეს შემთხვევაში, პრობლემურია შიდა ინფრასტრუქტურაც, რის გამოც შეზღუდული



შესაძლებლობის მქონე პირებს სასამართლოს შენობებში დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლიათ.

სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა სასამართლოზე ფიზიკურ ხელმისაწვდომობასაც გულისხმობს. ხშირად, სასამართლოსთვის მიმართვის მიზანი გადაუდებელი საჭიროებების უზრუნველყოფაა და სასამართლოზე ხელმისაწვდომობის გარანტირება აუცილებელია. შშმ პირების საჭიროებისთვის საქართველოში ბევრი შენობა არ არის მოდიფიცირებული, მაგრამ სასამართლოზე ფიზიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა უპირველეს ყოვლისა აუცილებელია, რათა შშმ პირების ინტერესები რეალურად იყოს დაცული.

## **2. საქმის განხილვის დაწყებისას, სასამართლოს მიერ სავალდებულოდ გასაცხადებელ განმარტებებთან დაკავშირებით**

სამართალში მოქმედებს პრეზუმფცია, რომლის თანახმად, როცა კანონი გამოქვეყნებულია, პირი ვალდებულია გაეცნოს მას და თავისი ქმედება ნორმატიულ წესრიგს შეუსაბამოს. მიუხედავად ამისა, გამოიყოფა სპეციალური შემთხვევები, როცა საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მოსალოდნელი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, კანონმდებლობით გათვალისწინებულია პირის წინასწარი წერილობითი ან ზეპირი გაფრთხილება. მაგალითად, მიუხედავად სისხლის სამართლის კოდექსში არსებული პირდაპირი აკრძალვისა, მოწმის სახით დაკითხვისას, პირს წინასწარ განემარტება, რომ არ უნდა მისცეს ცრუ ჩვენება. გაფრთხილების ვალდებულება არსებობს სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევის შემთხვევებთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 228-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად. ამ დებულების მიხედვით,

„სხდომის თავმჯდომარე აფრთხილებს პროცესის მონაწილეებს და სხდომაზე დამსწრე პირებს წესრიგის დაცვის მიზნით სასამართლოს მითითების სავალდებულობისა და სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებების გატარების თაობაზე.“

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებულ სასამართლო პროცესთა მონიტორინგის ფარგლებში დაფიქსირდა არაერთი შემთხვევა, როცა მოსამართლეები დამსწრეებს არ აფრთხილებდნენ სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევის გამო შესაძლო პასუხისმგებლობის თაობაზე.

პროცესზე დამსწრე პირების სამართლებრივი განათლების არქონიდან გამომდინარე, აუცილებელია შესაბამისი განმარტებების გაკეთება. საწინააღმდეგო პირობებში, დამრღვევ პირთა პასუხისმგებლობაში მიცემა დაუშვებელი და შეუძლებელია. შესაბამისად, დადგენილი წესის მიხედვით, განმარტების არარსებობის შემთხვევაში, საფრთხე შეექმნება სასამართლოს ჯეროვან ფუნქციონირებასაც და ამავდროულად, შესაძლოა არაჯეროვნად შეიზღუდოს პირთა უფლებებიც.

მსგავსი სახის პრობლემა იქნა იდენტიფიცირებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებშიც, როცა საქმის განხილვის პროცესში ახლად ჩართულ მესამე მხარეს არ განემარტა მოსამართლის აცილების უფლება. ამ შემთხვევაშიც, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს პირის უფლების დარღვევას, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი დამცველის დახმარებით და არ აქვს შესაბამისი სამართლებრივი განათლება.

შესაბამისად, მოსამართლის განმარტება მნიშვნელოვანია და უნდა განხორციელდეს ყოველთვის, როცა კანონმდებლობა მოითხოვს აღნიშნულს.

### 3. სამართალწარმოების ენა

საქართველოს სახალხო დამცველი 2012 წლის მოხსენებაში მიუთითებდა სასამართლოებში თარგმანის განხორციელების პრობლემურობაზე. სამწუხაროდ, აღნიშნული კვლავ ხარვეზად რჩება.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით, დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაკავების მიზეზები და მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება.<sup>304</sup> ევროპული კონვენცია ასევე ადგენს ვალდებულებას - ბრალდებული პირისათვის, ბრალდების არსისა და საფუძვლის, მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით შეტყობინების შესახებ<sup>305</sup>. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სავალდებულოდ მიიჩნევს კვალიფიციური თარგმანის მონაწილეობას იმ შემთხვევებში, როდესაც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილემ არ იცის ან სათანადოდ არ ფლობს სამართალწარმოების ენას. აღნიშნული სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი არსებითი შემადგენელი პრინციპია. თუკი სახელმწიფო არ ასრულებს მოცემულ მოვალეობას, მაშინ ბრალდებულს ავტომატურად ეზღუდება სხვა საპროცესო უფლებები, რომლებიც სამართალწარმოებისთვის იმანენტურია.

სასამართლო მონიტორინგმა გამოავლინა შემთხვევა, როცა თარგმანი ბრალდებულს ეპიზოდურად უთარგმნიდა და მის პროცესში მონაწილეობას მხოლოდ ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა. კერძოდ, თარგმანი მხოლოდ მოსამართლის მიერ ნათქვამს თარგმნიდა და არ გადაჰქონდა სახელმწიფო ენაზე ბრალდებულის განცხადებები/პოზიცია. გარდა ამისა, მოსამართლეს არ განუმარტავს ბრალდებულის ყველა უფლება და ვალდებულება, რომ თარგმანს ეთარგმნა ისინი. მათ შორის, ბრალდებულისთვის მისთვის გასაგებ ენაზე არ ყოფილა განმარტებული მოსამართლის აცილების და თვითაცილების უფლება. ამ პირობებში, ბრალდებულისთვის შეუძლებელი იყო პროცესის მსვლელობისთვის თვალის მიდევნება, შესაბამისად, იგი არ ცნობდა თავს დამნაშავედ, მაშინ როცა ადვოკატი საპროცესო

<sup>304</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხ. 5, ნაწ. 2.

<sup>305</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხ. 6, ნაწ. 3, ქვეპუნქ. „ა“.

შეთანხმების დადებას ითხოვდა. ამ პირობებში საპროცესო შეთანხმების დამტკიცება დაუშვებელია, რადგან ბრალის აღიარების ნებაყოფლობითობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

სასამართლო ხელისუფლება ახორციელებს მართლმსაჯულებას და შესაბამისად, მისი პასუხისმგებლობა პროცესი ყველასთვის გასაგები ფორმით წარიმართოს.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ აუცილებელია საკანონმდებლო რეგულაციებით გაიწეროს საერთო სასამართლოების ვალდებულება, პირი, რომელიც არ ფლობს სამართალწარმოების ენას, სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე, უზრუნველყონ თარჯიმნის მომსახურებით. ამ რეგულაციის ფარგლებში შესაძლებელი იქნება ხარისხიანი თარგმანის უზრუნველყოფა. დაუშვებელია, პირი თარჯიმნით საქმეში მონაწილე მხარეებმა უზრუნველყონ, რაც სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგებით, ცალკეულ სასამართლოებში პრაქტიკას წარმოადგენს. ამ მსჯელობის საფუძვლიანობა დასტურდება იმ ფაქტითაც, რომ სასამართლო არ შეიძლება ბრმად ენდობოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი თარგმანის ხარისხს. ერთი მხრივ, მართლმსაჯულების განხორციელებისას, სასამართლო არის პასუხისმგებელი თარგმანის სისწორეზე, ხოლო, მეორე მხრივ, თუკი პროცესის მონაწილე ერთ-ერთი მხარე უზრუნველყოფს თარჯიმნის წარმოდგენას, ამას შესაძლოა მოჰყვეს მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უფლების დარღვევა.

ამასთან, პროცესი ისეთი ტემპით უნდა წარიმართოს, რომელიც მთარგმნელს საშუალებას მისცემს სრულყოფილად შეასრულოს თავისი მოვალეობა და პირისთვის, რომელსაც ესაჭიროება თარჯიმნის დახმარება, შესაძლებელს გახდის სრულად ჩაერთოს სამართალწარმოების პროცესში.

გამომიების მიმდინარეობის ეტაპზე, სამართალწარმოების ენის არმცოდნე პირებისათვის თარგმანით უზრუნველყოფის პრობლემა გამოიკვეთა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ, მოქალაქე დ.ე.-სა და მისი მეუღლის, ვ.ს.-ს წინააღმდეგ არსებულ სისხლის სამართლის საქმეშიც. მიუხედავად იმისა, რომ დ.ე. და ვ.ს. საქართველოს მოქალაქეები არიან, ისინი სრულყოფილად არ ფლობენ სამართალწარმოების ენას. სისხლის სამართლის საქმეში არსებული პირის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით დასტურდება, რომ მოქალაქე ვ.ს.-ს დაკავება და პირადი ჩხრეკა მოწმე დ.ე.-ს დაკითხვის პარალელურად მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, ორივე ოქმში მითითებულია, რომ საგამომიებო მოქმედებაში მონაწილეობდა ერთი თარჯიმანი - ნ.გ., რაც ბუნებრივია ბადებს გონივრულ ეჭვს, რამდენად იყვნენ უზრუნველყოფილი დაკითხული პირები თარჯიმნის მომსახურებით.<sup>306</sup>

<sup>306</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 27 სექტემბრის წინადადება №4582/04-8 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

#### 4. მოწმეთა თანაბარ პირობებში დაკითხვის უფლების შესახებ

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა მხარეთა თანასწორუფლებიანობის არაჯეროვანი შეზღუდვის შემთხვევები. სისხლის სამართლის ერთ-ერთ საქმეში, მოწმეთა სიმრავლის გამო, დაცვის მხარისთვის წინასწარ უცნობი იყო იმ მოწმეთა ვინაობის შესახებ, რომელთა გამოძახებასაც ბრალდების მხარე მომდევნო სასამართლო პროცესზე გეგმავდა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობის საფუძველზე. აღნიშნული დანაწესი საფუძველს იღებს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლიდან და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლიდან (სამართლიანი სასამართლოს უფლება). მოცემული ნორმების მიხედვით, მხარეებს უნდა ჰქონდეთ თანასწორი შესაძლებლობა დაამტკიცონ თავიანთი საქმე და საქართველოს სისხლის სამართლის პროცესიც ამ მიდგომას ეფუძნება. სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს მოწინააღმდეგე მხარის მოწმეების თანაბარ პირობებში დაკითხვის უფლება წარმოადგენს. შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორუფლებიანობა სისხლის სამართლის პროცესის ტიპოლოგიური და უნივერსალური პრინციპია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ არეგულირებს იმ შემთხვევას, თუ როგორ უნდა მიეწოდოს გამოძახებულ მოწმეთა შესახებ ინფორმაცია მოწინააღმდეგე მხარეს. იმ შემთხვევაში, როდესაც პროცესის მონაწილე თითოეულ მხარეს მხოლოდ ერთი ან ორი მოწმე ჰყავს პროცესზე წარმოსადგენი და დასაკითხი, მაშინ საკითხი მარტივად დგას და მეორე მხარისათვის იმთავითვე ცნობილია, თუ ვინ შეიძლება წარსდგეს მოწმის სახით პროცესზე. თუმცა, საკითხი რთულდება, როდესაც ბრალდების ან დაცვის მხარეს რამდენიმე მოწმე ჰყავს დასაკითხი და მათგან რომელი გამოცხადდება სასამართლოს წინაშე, ამის შესახებ ინფორმაცია მეორე მხარეს წინასწარ არ მიეწოდება. ამ შემთხვევაში, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სამართლიანი სასამართლოს ძირითადი პრინციპების – იმავე პირობებში მოწმის დაკითხვისა და შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის უფლების დარღვევას. კერძოდ, მოწინააღმდეგე მხარეს უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა მოამზადოს რელევანტური შეკითხვები, რისთვისაც წინასწარ უნდა გაეცნოს იმ მოწმის ჩვენებას, რომლის დაკითხვაც იგეგმება სასამართლო პროცესზე. თუკი მოწინააღმდეგე მხარე მხოლოდ სასამართლო პროცესზე გაიგებს გამოცხადებული მოწმის ვინაობას, მაშინ დაცვის უფლება ილუზორულ ხასიათს შეიძენს და მას ნომინალური დატვირთვა ექნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია კანონმდებლობაში გაიწეროს შესაბამისი დებულებები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს დაცვის მხარეს გონივრული ვადით ადრე მიიღოს ინფორმაცია გამოსაძახებელ მოწმეთა შესახებ. ექსპლიციტური რეგულირების პირობებში უფლებების დაცვა რეალიზებადი იქნება.

მოწმეთა დაკითხვის წესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში გამოვლენილი ხარვეზის შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველის ინიციატივით, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული ესწრებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოში ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ არსებული სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო განხილვებს. მონიტორინგის პროცესში თბილისის საქალაქო სასამართლოს მხრიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილის სისტემატიური დარღვევა გამოიკვეთა. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, „*მოწმე უნდა დაკითხოს სხვა მოწმეთაგან განცალკევებით. ამასთანავე, სასამართლო იღებს ზომებს, რათა ერთ საქმეზე გამოძახებულ მოწმეებს დაკითხვის დამთავრებამდე ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონდეთ.*“<sup>307</sup>

აღნიშნული დანაწესი ემსახურება მოწმეთა ჩვენებების სანდოობის უზრუნველყოფას, რათა მოწმეებმა სასამართლოს წინაშე ისაუბრონ მხოლოდ იმ ფაქტობრივი გარემოებების გარშემო, რაც უშუალოდ მათთვის არის ცნობილი და არ მოექცნენ სხვა მოწმეებისგან მიღებული ინფორმაციისა და შთაბეჭდილებების გავლენის ქვეშ.

მიუხედავად ამისა, ბაჩანა ახალაიას სასამართლო პროცესებზე, ჯვარედინი დაკითხვის დროს, დაცვის მხარის მიერ დასმულ შეკითხვაზე, ბრალდების მხარის მოწმეები ხშირად პასუხობდნენ, რომ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, სხდომაზე გამოძახებამდე, ბრალდების მხარის მოწმეები ისხდნენ ერთად, ე.წ. პროკურორების ოთახში და ჰქონდათ ერთმანეთთან თავისუფალი კომუნიკაციის შესაძლებლობა.

ამრიგად, ცალსახაა, რომ სასამართლომ არ მიიღო კანონით განსაზღვრული ზომები, რათა ერთ საქმეზე გამოძახებულ მოწმეებს დაკითხვის დამთავრებამდე არ ჰქონოდათ ერთმანეთთან ურთიერთობა.

## 5. ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევის წესი

სასამართლო პროცესების მონიტორინგისას, ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით პრობლემური შემთხვევები გამოიკვეთა. იყო შემთხვევები, როდესაც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული ფარული ჩანაწერის სასამართლო განხილვის დროს მხარეები (დაცვის და ბრალდების მხარე) ვერ თანხმდებოდნენ მათი გამოკვლევის წესზე. ამ საკითხს არ არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგებით, გამოიკვეთა, რომ მოსამართლეთა მიდგომა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მოპოვებული ფარული ჩანაწერების გამოქვეყნების წესთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი იყო. ცალკეულ შემთხვევებში, მოსამართლემ განაცხადა, რომ ჯერ უნდა მომხდარიყო ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება და შემდეგ დაცვის მხარეს

<sup>307</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 118, ნაწ. 2.



დაესვა შეკითხვები. თუმცა, პროცესის მიმდინარეობის ეტაპზე, ამ წესის დაცვა მოსამართლის მიერ ვერ მოხერხდა. სხვა შემთხვევაში, მოსამართლე აძლევდა დაცვის მხარეს შეკითხვების დასმის უფლებას მტკიცებულებათა გამოკვლევისას, პარალელურ რეჟიმში. პროცესის ამ მიმდინარეობით, მტკიცებულებათა გამოკვლევა და საქმის განხილვა უმეტეს შემთხვევაში ქაოსურ რეჟიმში მიმდინარეობდა, რამაც პროცესის მონაწილე მხარეებში უკმაყოფილება გამოიწვია.

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ საკანონმდებლო რეგულირებით უნდა დადგინდეს მტკიცებულებების გამოკვლევის წესი, რომელიც სამართლიან საწყისებზე განსაზღვრავს მხარეთა უფლებებს და ამავედროულად, ხელს შეუწყობს მტკიცებულებათა ობიექტურ შესწავლას. საწინააღმდეგო პირობებში, ადგილი ექნება არაერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას, რამაც, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა გაუმართლებლად გაზარდოს საქმის განხილვის ხანგრძლივობა და მხარეთა უფლებრივი თანასწორობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს.

## **6. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის გაჭიანურება**

სასამართლო პროცესების მონიტორინგისას გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა, როცა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოქალაქეებს მთელი დღის განმავლობაში უხდებოდათ ლოდინი სასამართლოს შენობაში, რადგან მათთვის უცნობი იყო საქმის განხილვის დრო.

მსგავსი ფაქტი მოხდა რამდენიმე სასამართლოში. ასეთი შემთხვევებისას, სასამართლოს ადმინისტრაცია უმარტავდა მოქალაქეებს, რომ მოსამართლე დაკავებული იყო სხვა საქმეთა განხილვით. ეს საქმის განხილვის დაწყებას აფერხებდა. აღნიშნული პრაქტიკა აკნინებს სასამართლოს ავტორიტეტს და ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა გამოიწვიოს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევაც. შესაბამისად, თუკი ეს პრაქტიკა გამოწვეულია მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობით, აუცილებელია ეს პრობლემა გამოსწორდეს მოსამართლეთა ადამიანური რესურსის გაზრდით.

## **7. სასამართლოს ადმინისტრირების ტექნიკური ხარვეზები**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა, როცა უამინდობის გამო სასამართლოს შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება. იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლოებში მიმდინარეობს სასამართლო სხდომის სტენოგრაფირება, აუცილებელია სასამართლოები უზრუნველყოფილი იყოს ელექტროენერგიის მიწოდების ალტერნატიული წყაროებით, რაც შესაძლებელს გახდის შესაძლო ტექნიკური ხარვეზების თავიდან აცილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში პროცესის მსვლელობა შესაძლოა სრულად არ აისახოს და ზემდგომ ინსტანციებში საქმის განხილვა ჯეროვნად ვერ განხორციელდეს.

## 8. საქმეთა განაწილების წესი საერთო სასამართლოებში

მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილების წესს არეგულირებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 30-ე მუხლი და „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონი. საანგარიშო პერიოდში მოქმედი წესით რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში საქმეთა განაწილება ხდება საქმეთა შემოსვლის რიგისა და მოსამართლეთა რიგითობის მიხედვით, რომელსაც მოსამართლეების გვარისა და სახელის გათვალისწინებით ადგენს სასამართლოს თავმჯდომარე.<sup>308</sup>

ამასთან, 2014 წლის თებერვლისთვის მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციებით, სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, ცალკეულ შემთხვევებში, თავად დაავალოს მოსამართლეს საქმის განხილვა, რიგითობის მიუხედავად<sup>309</sup>. სასამართლოს თავმჯდომარისათვის მინიჭებული ამ განსაკუთრებული უფლებამოსილების გამოყენების პირობები, როგორცაა „საქმეთა დაგროვება,“ „სხვა მიზეზებით საქმის განხილვის შეუძლებლობა“ და „მოსამართლეთა დატვირთვა,“ ბუნდოვანია, რაც ქმნის თვითნებური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და არ გამორიცხავს საქმეთა განაწილებისას არამართებულ, სუბიექტურ მიდგომას.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო სისტემის რეფორმის მეორე ეტაპის ფარგლებში, იუსტიციის სამინისტროს მიერ გათვალისწინებულ იქნა საქმეთა განაწილების წესის თაობაზე არსებული საკანონმდებლო რეგულაციების დახვეწის საჭიროება. 2013 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში.<sup>310</sup> ცვლილებების შესაბამისად, 2014 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად ცხადდება „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ 1998 წლის საქართველოს კანონი. ამასთან, საქმეთა განაწილების საკითხი, როგორც საერთო სასამართლოების ფუნქციონირების მნიშვნელოვანი თემა, აისახა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში.

წარმოდგენილი ცვლილება მოქმედი დებულებებისაგან განსხვავებულად აწესრიგებს საქმეთა განაწილების საკითხს, კერძოდ, კანონს დაემატა 58<sup>1</sup> მუხლი<sup>311</sup>, რომლის მიხედვით, რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები

<sup>308</sup> იხ. „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ 1998 წლის 26 ივნისის საქართველოს კანონის II თავი: „საქმეთა განაწილება“.

<sup>309</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ 2009 წლის 12 აპრილის ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

<sup>310</sup> აღნიშნული კანონპროექტი ძალაში შევიდა 2013 წლის 17 ნოემბერს, პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

<sup>311</sup> აღნიშნული მუხლი ამოქმედდება 2014 წლის 1 მარტიდან.

ნაწილდება ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რიგითობის წესით, რაც გულისხმობს მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილებას საქმეთა შემოსვლის რიგისა და მოსამართლეთა რიგითობის მიხედვით.

მისასაღმებელია საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის შემოღება, რადგანაც ეს ცვლილება წარმოადგენს ობიექტურ და სამართლიან პრინციპს. თუმცა, ცვლილების ამოქმედების შემდგომაც, ძალაში რჩება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლითაც სასამართლოს თავმჯდომარეს კვლავ უნარჩუნდება, ცალკეულ შემთხვევებში, საქმეთა ერთპიროვნული განაწილების უფლებამოსილება. კერძოდ:

*„5. აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, სასამართლოს თავმჯდომარემ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის განხილვა ამავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში (სასამართლო კოლეგიაში), ასევე მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება, ხოლო მაგისტრატ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის განხილვა მისი სამოქმედო ტერიტორიის გარეთ, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.“*

ცხადია, აღნიშნული დებულება სასამართლოს თავმჯდომარეს აძლევს ფართო უფლებამოსილებას და შესაბამისად, არ გამორიცხავს საქმეთა განაწილებისას გაუმართლებელ, სუბიექტურ მიდგომას.

ვენეციის კომისიამ 2008 წელს გამოაქვეყნა კომენტარები სასამართლოთა დამოუკიდებლობის ევროპული სტანდარტების შესახებ<sup>312</sup>, რომელიც ასევე ეხება მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილების საკითხებს. კომისია აღნიშნულ საკითხს აფასებს კანონით განსაზღვრული მოსამართლის უფლების (Right of everyone to a lawful judge) ჭრილში და აღნიშნავს, რომ:

*„მოსამართლეებს შორის საქმეთა განაწილება უნდა განხორციელდეს კანონით განსაზღვრულ მოსამართლეზე ყოველი პირის უფლების შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ მოსამართლეები არ შეიძლება შეირჩნენ ერთჯერადი წესით და პერსონალურად (ad hoc and ad personam). უფლება კანონით განსაზღვრულ მოსამართლეზე გულისხმობს, რომ არავის არ უნდა ჩამოერთვას შესაძლებლობა მისი საქმე გადაწყვიტოს იმ მოსამართლემ, რომლის იურისდიქციაც მასზე და მის დავაზე კანონით განსაზღვრული წესით არის დადგენილი... საქმეების განაწილების კრიტერიუმები უნდა გამორიცხავდეს, რომ მოსამართლეთა შერჩევა ხორციელდება სუბიექტურ და არა ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. დაუშვებელია საქმეთა განაწილება მოხდეს სასამართლოს თავმჯდომარის ან სხვა ოფიციალური პირის შეხედულების საფუძველზე. საქმეთა განაწილება უნდა განხორციელდეს ან შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე (მაგალითად, კომპიუტერული პროგრამის ან სხვა ტექნოლოგიის მეშვეობით) ან/და ობიექტური კრიტერიუმების მეშვეობით (მაგალითად, საქმეთა კატეგორიის, პრიორიტეტული საქმეების რიგითობის მიხედვით და ა. შ), რომელთა გამოყენების შედეგად მოხდება გაუმჭვირვალე და*

<sup>312</sup> 2008 წლის 3 ოქტომბერი, CDL-JD (2008) 008.

*უკანონო საქმეთა განაწილების თავიდან აცილება. მანიპულირების თუნდაც მცირე შესაძლებლობა არღვევს კონსტიტუციურ უფლებას კანონით განსაზღვრულ მოსამართლეზე.*<sup>313</sup>

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ევროპული სტანდარტის მიხედვით, მოსამართლეები ან მოსამართლეთა კოლეგიები, რომლებსაც დავალებული აქვთ სპეციფიკური საქმეები, არ უნდა იქნენ საქმეზე შერჩეული ერთჯერადი წესით ან/და პერსონალურად (*ad hoc and/or ad personam*), არამედ მათ შორის საქმეების განაწილება უნდა მოხდეს ობიექტური და გამჭვირვალე კრიტერიუმებით. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე ვენეციის კომისიის მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით, აღნიშნული წესი გამომდინარეობს, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლიდან (სამართლიანი სასამართლოს უფლება), ასევე ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან.<sup>314</sup>

ევროპის ბევრი სახელმწიფოს კონსტიტუცია მოიცავს სუბიექტურ უფლებას კანონით განსაზღვრულ მოსამართლეზე (*In doctrine often referred to as natural judge pre-established by Law*). მაგალითად, ბელგიის კონსტიტუციის მე-13 მუხლის მიხედვით, „არავის არ შეიძლება საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ ჩამოცილდეს მოსამართლე, რომელიც კანონით დადგენილი წესით არის მის საქმეზე დანიშნული.“<sup>315</sup> აღნიშნული გარანტია მოიცავს ორ ასპექტს – ერთი ეხება სასამართლოს მთლიანად, ხოლო მეორე, კონკრეტულ მოსამართლეს ან მოსამართლეთა კოლეგიას, რომლებიც საქმეს უძღვებიან.<sup>316</sup> მსგავს გარანტიას განამტკიცებს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვით „ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.“<sup>317</sup>

რაც შეეხება მოსამართლეთა შორის საქმის განაწილებაზე სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას, ვენეციის კომისია თავის რეკომენდაციაში ((94) 12; Principle I.2.e and f) განამტკიცებს პრინციპს, რომლის მიხედვით, საქმეთა განაწილებაზე ზეგავლენა არ უნდა იქონიოს საქმის რომელიმე მხარის სურვილმა ან საქმის შედეგით დაინტერესებულმა ნებისმიერმა პირმა. ამასთან, „საქმეზე მოსამართლის ჩამოცილება არ უნდა მოხდეს საფუძვლიანი მიზეზის არსებობის გარეშე, როგორცაა მძიმე ავადმყოფობა ან ინტერესთა კონფლიქტი. ნებისმიერი ასეთი მიზეზი ან საქმიდან ჩამოცილების პროცედურა უნდა იყოს

<sup>313</sup> 2008 წლის 3 ოქტომბერი, CDL-JD (2008) 008.

<sup>314</sup> ვენეციის კომისიის ანგარიში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე, ნაწილი I: მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, 2010 წლის 16 მარტი, CDL-AD (2010) 004, გვ. 15.

<sup>315</sup> ვენეციის კომისიის ანგარიში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე, ნაწილი I: მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, 2010 წლის 16 მარტი, CDL-AD (2010) 004, გვ. 15.

<sup>316</sup> ვენეციის კომისიის ანგარიში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე, ნაწილი I: მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, 2010 წლის 16 მარტი, CDL-AD (2010) 004, გვ. 15.

<sup>317</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

კანონით გათვალისწინებული და მასზე ზეგავლენა არ უნდა იქონიოს ხელისუფლების ან ადმინისტრაციის ინტერესებმა.“<sup>318</sup>

როგორც ვხედავთ, ევროპული სტანდარტები მოითხოვს მოსამართლეთა შორის საქმის განაწილება დაეფუძნოს წინასწარ კანონით დადგენილ მაქსიმალურად ობიექტურ და გამჭვირვალე კრიტერიუმებს, ხოლო ნებისმიერი გამონაკლისი იყოს მკაფიოდ დასაბუთებული.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში მოსამართლეებს შორის საქმეთა განაწილების წესის თაობაზე არსებული საკანონმდებლო რეგულაციები მოიცავს ბუნდოვან პრინციპებს, რაც არ ქმნის მოსამართლეთა დამოუკიდებლობის საკმარის გარანტიებს და არ უზრუნველყოფს შიდა პროცესების სათანადო გამჭვირვალობას. სასამართლო სისტემის არასათანადო დამოუკიდებლობის პირობებში საქმეთა განაწილების არსებული საკანონმდებლო რეგულაციები ამ დრომდეც არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი.

### **ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ არსებულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით**

ამ მხრივ საინტერესოა 2013 წელს ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილების წესი. კერძოდ, სამივე სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნული მოსამართლეები ერთსა და იმავე დღეს იყვნენ გადმოყვანილნი თბილისის საქალაქო სასამართლოში საერთო სასამართლოების სისტემის სხვადასხვა სასამართლოებიდან.

- მოსამართლე გ.დ., რომელმაც 2013 წლის 1 აგვისტოს გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი ბ.ახალაიას საქმეზე, 2013 წლის 6 თებერვალს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მივლინებული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში ერთ-ერთი რაიონული სასამართლოდან<sup>319</sup>. სწორედ ამ მოსამართლემ დაიწყო 2013 წლის 18 მარტს ბ.ახალაიას საქმის არსებითი განხილვა, ხოლო მომდევნო დღეს, 2013 წლის 19 მარტს გ.დ., ასევე, საბჭოს გადაწყვეტილებით, დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ<sup>320</sup>;
- მოსამართლე დ.მ., რომელმაც 2013 წლის 31 ოქტომბერს გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი ბ.ახალაიას შსს-ს მინისტრობის პერიოდთან დაკავშირებულ ეპიზოდზე, ასევე, 2013 წლის 6 თებერვალს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მივლინებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში ერთ-ერთი რაიონული

<sup>318</sup> ვენეციის კომისიის ანგარიში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე, ნაწილი I: მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, 2010 წლის 16 მარტი, CDL-AD (2010) 004, გვ. 15.

<sup>319</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება:

<http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202013/14-2013%20001.jpg>

<sup>320</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება:

<http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202013/45-2013%20001.jpg>



სასამართლოდან,<sup>321</sup> ხოლო 19 მარტს, ასევე, საბჭოს გადაწყვეტილებით, დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.<sup>322</sup>

- რაც შეეხება მესამე საქმეს, რომელიც ციხის ბუნტის ეპიზოდს უკავშირდება, არსებითი განხილვის სხდომას უძღვებოდა მოსამართლე ბ.ბ. მისი, როგორც სათადარიგო მოსამართლის ჩანაცვლება მოხდა მოსამართლე ლ.ჩ.-თი, რომელიც ზემოთ ხსენებული მოსამართლეების მსგავსად, 2013 წლის 6 თებერვალს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, იქნა გადმოყვანილი და დაინიშნული თბილისის საქალაქო სასამართლოში ერთ-ერთი რაიონული სასამართლოდან.<sup>323</sup>

როგორც წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან ჩანს, ბ.ახალაიას სამივე საქმე განიხილეს იმ მოსამართლეებმა, რომლებიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მხოლოდ 2013 წლის 6 თებერვალს იქნენ გადმოყვანილი სხვადასხვა სასამართლოებით და მოგვიანებით დაინიშნენ თბილისის საქალაქო სასამართლოში.

სასამართლო დამოუკიდებლობისა და უდანაშაულობის პრინციპის პატივისცემით და მიუხედავად იმისა, თუ რა არგუმენტებზე დაყრდნობით მოხდა საქმეთა განაწილება ბ.ახალაიას წინააღმდეგ არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში, ცხადია, ამ კუთხით არსებული საკანონმდებლო რეგულაციები არ ქმნის პროცესების გამჭვირვალობის საკმარის გარანტიებს და აჩენს ლეგიტიმურ კითხვებს.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, წინააღმდეგობის ნაბიჯია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილება, რომელიც 2014 წლის 1 მარტიდან ამოქმედდება. თუმცა, პრობლემად რჩება „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის ჩანაწერი, რომელიც სასამართლოს თავმჯდომარეს გაუმართლებლად ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს, უტოვებს პროცესის გამჭვირვალობის და სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

<sup>321</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება:

<http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202013/10-2013%20001.jpg>

<sup>322</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება:

<http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202013/42-2013%20001.jpg>

<sup>323</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება:

<http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202013/16-2013%20001.jpg> ; ციხის ბუნტის საქმეზე ბ.ახალაია თბილისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 28 ოქტომბერს მხოლოდ მსჯავრდებულ მამარდაშვილის საქმეზე ბრალდების ნაწილში გაამართლა, დანარჩენ ნაწილებში კი იგი დამნაშავედ ცნო და 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

## სასამართლოსათვის მიმართვის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე „მზს „უნისერვისი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“<sup>324</sup> აღნიშნულია, რომ

„საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი რაიმე გამონაკლისს არ აკეთებს და ყველა შემთხვევაში აძლევს ადამიანს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას. ამიტომ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს არ შეეძლო კონსტიტუციით დადგენილი ამ საერთო წესიდან გამონაკლისი გაეკეთებინა და აეკრძალა ადამიანისთვის მოსამართლის იმ ბრძანების სასამართლოში გასაჩივრება, რომელმაც გასცა ნებართვა ჩხრეკის, ამოღების ან სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ[...]“.

იმავე საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ამოღების შესახებ მოსამართლის ბრძანების გასაჩივრების უფლების არარსებობა იმ პირის მიერ, ვის საკუთრებაში არსებული ქონების ამოღებაც განხორციელდა, წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლთან, რომელიც ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე ანიჭებს პირს უფლებას, მიმართოს სასამართლოს. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საგამოძიებო მოქმედებები შესაძლებელია განხორციელდეს არა მხოლოდ ექვმიტანილისა და ბრალდებულის, არამედ სხვა პირთა მიმართაც და მიიჩნია, რომ აღნიშნულ პირებს წართმეული ჰქონდათ შესაძლებლობა, დაეცვათ მათი შელახული ინტერესები სასამართლოს წინაშე. ამ პირებს სადავო ნორმებით არ გააჩნდათ შესაძლებლობა სასამართლოს მეშვეობით გადაემოწმებინათ მათ მიმართ გამოყენებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერება. სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებელი ვალდებულია დაადგინოს გასაჩივრების ისეთი მექანიზმი და შესაძლებლობა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის პრინციპთან. კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს და დააწესოს გასაჩივრების ისეთი მექანიზმი, რომელიც, ერთი მხრივ, არ დაარღვევს სამართლიანი გამოძიებისა და მართლმსაჯულების განხორციელების ძირითად პრინციპებს, ხოლო მეორე მხრივ, მაქსიმალურად დაიცავს პირის საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

მისასაღმებელია, 2013 წლის 14 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 156-ე მუხლში<sup>325</sup> განხორციელებული ცვლილება, რომელიც სისხლის სამართლის

<sup>324</sup> იხ. 2004 წლის 21 დეკემბრის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №2/6/264 გადაწყვეტილება საქმეზე „მზს „უნისერვისი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

<sup>325</sup> „ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს განჩინება უნდა გადაეცეს გასაჩივრების უფლების მქონე პირს განჩინების გამოცემიდან 48 საათის განმავლობაში. ეს განჩინება საჩივრდება ამ კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილი წესით. განჩინების გასაჩივრება შეუძლიათ პროკურორს,

პროცესის მიმდინარეობისას, მესაკუთრის უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიაა. ამ ცვლილებით აღმოიფხვრა საკანონმდებლო ხარვეზი და ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მოსამართლის განჩინების გასაჩივრების უფლება მხარეებთან ერთად, მიენიჭა იმ პირსაც, რომლის ქონებრივი უფლებები შეიძლება დაირღვეს ამ განჩინების შედეგად.<sup>326</sup>

მსგავს ხარვეზს შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, როდესაც საქმე შეეხება ჩხრეკა/ამოღების შესახებ მოსამართლის მიერ გაცემული ნებართვის გასაჩივრებას, როდესაც მოხდა იმ პირის საკუთრებაში არსებული ნივთის ამოღება, რომელიც არ წარმოადგენს პროცესის მონაწილე მხარეს. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, მათ შორის, ამოღების/ჩხრეკის შესახებ სასამართლოს განჩინება საჩივრდება სსს კოდექსის 207 მუხლით<sup>327</sup> დადგენილი წესით, რაც გულისხმობს მის გასაჩივრებას მხოლოდ პროკურორის, ბრალდებულის ან/და მისი ადვოკატის მიერ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად საკანონმდებლო ხარვეზისა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ მოქალაქე ნ.გ.-ს შემთხვევაში,<sup>328</sup> საკუთრებაში არსებული ნივთის ამოღების თაობაზე რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განჩინებაზე შეტანილი საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა, იხელმძღვანელა რა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, როგორც უზენაესი კანონით და ასევე კანონის ანალოგიის წესის გამოყენებით. თუმცა, არსებული

---

ბრალდებულს ან/და პირს, რომლის ქონებრივი უფლებებიც შეიძლება დაირღვეს ამ განჩინების შედეგად, აგრეთვე მათ ადვოკატებს. განჩინების გასაჩივრების ვადა აითვლება უფლებამოსილი პირისთვის მისი გადაცემის მომენტიდან,“ (ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ განჩინება), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 156.

<sup>326</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში, გვ. 332–333.

<sup>327</sup> „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინება შეიძლება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივროს პროკურორმა, ბრალდებულმა ან/და მისმა ადვოკატმა. იმავე წესით საჩივრდება საგამომიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე გამოტანილი და გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩატარებული საგამომიებო მოქმედების კანონიერად/უკანონოდ ცნობის შესახებ განჩინება,“ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 207, ნაწ. პირველი.

<sup>328</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა მოქალაქე ნ.გ.-ს საქმე. 2013 წლის 12 ოქტომბრის რუსთავის რაიონული სასამართლოს „საგამომიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ“ განჩინების საფუძველზე, 2013 წლის 5 ნოემბერს, ამოღებულ იქნა მოქალაქე ნ.გ.-ს საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „მერსედეს ბენც 350“. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება შეიძინა 2013 წლის 9 სექტემბერს და მოცემულის დასადასტურებლად წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ 2013 წლის 7 ნოემბერს გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, ნ.გ.-ს სახელზე რეგისტრირებული იყო მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, შესაბამისი რეკვიზიტებით, ასევე, 2013 წლის 9 სექტემბერს გაცემული ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა. ამასთან, ნ.გ. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში არ წარმოადგენდა პროცესის მონაწილე მხარეს, არ იყოს დაკითხული არც მოწმის სტატუსით და მისთვის, საქმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია უცნობი იყო.

საკანონმდებლო ხარვეზის აღმოსაფხვრელად აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

სასამართლოსათვის მიმართვის კონსტიტუციური უფლება ილუზორული და თეორიული იქნება, თუ სხვა საკანონმდებლო თუ ნორმატიული აქტი შეზღუდავს სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას. კანონიერი ინტერესი სამართლებრივად დაცულ სიკეთეს გულისხმობს. საკუთრების უფლების განხორციელება სწორედ სამართლებრივად დაცული სიკეთეა, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით. ამიტომაც, მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რომ ნებისმიერი პირის უფლება დაცული იყოს სისხლის სამართლის პროცესის წარმოებისას და საკუთრების უფლების შეზღუდვის შემთხვევაში, მიეცეს შესაძლებლობა ისარგებლოს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლებით. შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება, ამოღებული ნივთის მესაკუთრეს, რომლის უფლებით დაცულ სფეროში ჩარევასაც აქვს ადგილი და რომლის კანონიერ ინტერესებსაც ეხება საგამოძიებო მოქმედება, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების უფლება მიეცეს.

### **გონივრულ ვადაში სისხლის სამართლის საქმის განხილვის უფლება**

სისხლის სამართლის სამართალწარმოების ერთ-ერთ პრობლემად კვლავ რჩება არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებაშეფარდებული ბრალდებულების საქმეების სასამართლო განხილვა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულია საქმის „გონივრულ ვადაში“ განხილვის უფლება<sup>329</sup>. აღნიშნული უფლება ემსახურება, პირველ რიგში, მხარეების ინტერესებს და იცავს მათ საქმის განხილვის გაუმართლებელი გაჭიანურებისგან. მეორე მხრივ, აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს ეფექტიანი მართლმსაჯულების ერთ-ერთ უპირობო ელემენტს, რომელიც ამაღლებს საზოგადოებაში სასამართლო სისტემისადმი ნდობისა და პატივისცემის ხარისხს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი არ მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას, თუმცა მისი შეზღუდვის გამართლება აუცილებლად საჭიროებს ადეკვატურ წინაპირობას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპის შესაძლო დარღვევის დადგენისას, ყურადღებას აქცევს კონკრეტული საქმის სირთულეს, განსასჯელთა და მოწმეთა რაოდენობას, განმცხადებლის ქცევის ასპექტებს (კერძოდ, აფასებს, ხომ არ არის საქმის განხილვის გაჭიანურება გამოწვეული თავად განმცხადებლის არაჯეროვანი მოქცევით),

<sup>329</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხ. 6, პუნ. 1.

საქმის სპეციფიკურ გარემოებებს, რომელთა გათვალისწინებით, შეიძლება გამართლებულ იქნეს სამართალწარმოების გაჭიანურება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ყველა სახელმწიფოს ევალება სამართლის სისტემის სრულყოფა, რათა სასამართლოებს მიეცეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად მოქმედების საშუალება, მათ შორის საქმის „გონივრულ ვადაში“ განხილვის შესაძლებლობა<sup>330</sup>. ამასთან, სტრასბურგის სასამართლოს განცხადებით, ეროვნულ სასამართლოებს ევალებათ, შეუქმნან მხარეებს ისეთი პირობები, რომელთა მეშვეობით თავიდან იქნება აცილებული საქმის განხილვის გაუმართლებელი გაჭიანურება<sup>331</sup>. ამავდროულად, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიცია „გონივრული ვადის“ დარღვევის არასაკმარისი პერსონალით გამართლებასთან მიმართებით. კერძოდ, სასამართლო არ იზიარებს, არასაკმარისი პერსონალის ან ზოგადი ადმინისტრაციული ხასიათის სირთულეების გამო, „გონივრული ვადის“ დარღვევის გამართლების შესაძლებლობას<sup>332</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ და განახორციელონ ადეკვატური ღონისძიებები, რათა მათი სასამართლო სისტემა იყოს მოქნილი და ეფექტური. ადეკვატური ღონისძიებები, შესაძლოა, მოიცავდეს და გულისხმობდეს დამატებითი მოსამართლეებისა და ადმინისტრაციული პერსონალის დანიშვნას.

### მოქალაქე გ.ლ.-ს საქმე

2013 წლის 24 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე გ.ლ.-მ. განმცხადებლის განმარტებით, იგი 1989 წლიდან - 2007 წლამდე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. ხოლო, 2007 წლის 17 სექტემბერს იგი დააკავა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის საგამოძიებო სამმართველომ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) და 341-ე (სამსახურებრივი სიყალბე) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ბრალდებით.

მოქალაქე გ.ლ.-ს განმარტებით, 2007 წელს მისი სისხლის სამართლის საქმე გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს, თუმცა, აღნიშნული საქმის განხილვა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განცხადების შემოტანის დღემდე არ იყო დაწყებული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწე მ.გ.-მ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს წერილით აცნობა, რომ

<sup>330</sup> საქმე „ციმერმანი და შტაინერი შვეიცარიის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, [1981].

<sup>331</sup> საქმე „ვერნილო საფრანგეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, [1991].

<sup>332</sup> საქმე „გუინჩო პორტუგალიის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, [1984].



სისხლის სამართლის საქმე განსასჯელ გ.ლ.-ს და სხვათა მიმართ წარმოებაში აქვს მოსამართლე ბ.კ.-ს. მოცემული საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში განსახილველად შევიდა 2008 წლის 14 აგვისტოს, თუმცა მოსამართლე მ.ხ.-სგან, მისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო, მოსამართლე ბ.კ.-ს განსახილველად გადაეცა 2012 წლის 5 ოქტომბერს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული წერილიდან ასევე გაირკვა, რომ საპატიმრო საქმეთა სიმრავლის გამო მოცემული არასაპატიმრო სისხლის სამართლის საქმის განხილვა 2013 წლის 28 მაისის მდგომარეობითაც არ იყო დაწყებული.

საქართველოს სახალხო დამცველი ვერ გაიზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს პოზიციას და ვერ გაამართლებს საპატიმრო საქმეთა სიმრავლის გამო განსასჯელ გ.ლ.-ს და სხვათა მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმის განხილვის ხუთი წლის განმავლობაში გაჭიანურებას და უფრო მეტიც, განხილვის არ დაწყებას. ვინაიდან, სახელმწიფოს ევალება სამართლის სისტემის სრულყოფა, რათა სასამართლოებს მიეცეთ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად მოქმედების საშუალება, მათ შორის, საქმის „გონივრულ ვადაში“ განხილვის შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპის მოქმედებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნის მიუხედავად, არც თბილისის საქალაქო სასამართლომ<sup>333</sup> და არც ქუთაისის საქალაქო სასამართლომ<sup>334</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს არ მიაწოდა სტატისტიკური ინფორმაცია, რამდენ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეში აქვთ ბრალდებულებს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება შეფარდებული და როდის მოხდა არასაპატიმრო ხასიათის აღკვეთის ღონისძიება შეფარდება თითოეულ შემთხვევაში. შესაბამისად, 2013 წლის ანგარიშისთვის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, გასული წლისგან განსხვავებით, ვერ მოახდინა იმის ანალიზი, თუ რამდენად სისტემური იყო არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება შეფარდებული ბრალდებულების მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმეების განხილვის გაჭიანურების პრობლემა.

## **მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრობითობა**

ევროპული სასამართლოს განმარტებით, მხარეთა თანასწორობა ერთ-ერთი იმ ელემენტთაგანია, რომელსაც სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლება მოიცავს. მხარეთა თანასწორობა მოითხოვს, რომ მხარეებს შორის დამყარდეს სამართლიანი ბალანსი და თითოეულ მხარეს მიეცეს გონივრული შესაძლებლობა თავისი საჩივარი წარმოადგინოს

<sup>333</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 დეკემბრის №2776 წერილი.

<sup>334</sup> ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 6 იანვრის №243 წერილი.

ისეთ პირობებში, რომელიც მას *vis-à-vis* მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებით აშკარად არათანაბარ მდგომარეობაში არ ჩააგდებს.<sup>335</sup>

მხარეთა თანასწორობა გულისხმობს, მხარეებს მიეცეთ თანაბარი და ადეკვატური შესაძლებლობები, წარმოადგინონ საკუთარი მტკიცებულებები და არგუმენტები საქმეზე და გააბათილონ მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. ამასთან, ბრალდებულს ეცნობოს წაყენებული ბრალდების თაობაზე ისე, რომ მისთვის ცნობილი გახდეს ყველა იმ მტკიცებულებისა თუ არგუმენტის შესახებ, რომელიც შეიძლება სასამართლომ გაითვალისწინოს მისი ბრალეულობის განსაზღვრისას. სამართლიანი სასამართლოს ზოგადი პრინციპის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ მხარეები სარგებლობდნენ თანაბარი საკანონმდებლო უფლებებითა და პრაქტიკული შესაძლებლობებით. ევროპული სასამართლო მხარეთა თანასწორობის დარღვევად არ მიიჩნევს ისეთ შემთხვევას, როდესაც მხარეთა შორის თანასწორობა უმნიშვნელოდ დაირღვა და მან მთლიანობაში გავლენა არ მოახდინა სასამართლო განხილვის სამართლიანობაზე. მხარეთა თანასწორობის პრინციპი არ მოიცავს შესაბამისი პროცესუალური წესების ამომწურავ ჩამონათვალს. მხარეთა შორის თანასწორობაზე ზუსტი მოთხოვნები კონკრეტულ საქმეში, საქმის ხასიათის, მათ შორის, მხარეებს შორის დავის საგნის ხასიათისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით განისაზღვრება.

სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის პრინციპის განმტკიცებისაკენ გადადგმული ნაბიჯია 2013 წლის 14 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლში შეტანილი ცვლილება, რომელიც დაცვის მხარეს, მოსამართლის ნებართვის საფუძველზე აძლევს საგამოძიებო მოქმედებების, მათ შორის, ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების უფლებას. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნული ცვლილება ამოქმედდება 2014 წლის 1 სექტემბრიდან, ისე, როგორც ეს არის გაწერილი მოქმედ კანონმდებლობაში.

უარყოფითად უნდა შეფასდეს გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესის მოქმედების გადავადება 2015 წლის 31 დეკემბრამდე, რაც გულისხმობს, 1998 წლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოწმის დაკითხვის წესის მოქმედებას.<sup>336</sup> საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, მხარეთა შეჯიბრობითობისა და თანასწორობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, ამოქმედდეს 2009 წლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოწმის დაკითხვის წესი, რომელიც მოწმის დაკითხვას მხოლოდ სასამართლოს წინაშე გულისხმობს. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს 2009 წლიდან ჰქონდათ საკმარისი დრო იმისათვის,

<sup>335</sup> *Yvon v. France*, 2003 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება, №44962/98, პარ. 31;

<sup>336</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 332.

რათა გაეტარებინათ ზომები, რომელიც მოწმის დაკითხვის ახალი მექანიზმის სრულფასოვნად და ეფექტურად ამოქმედებას უზრუნველყოფდა<sup>337</sup>.

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის პრინციპის დაცვის კუთხით, პროგრესულად უნდა შეფასდეს 2009 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში<sup>338</sup> შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ მხარეთა ვალდებულების ასახვა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის<sup>339</sup> თანახმად, „წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა, მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ.“

ამავე კოდექსის<sup>340</sup> მიხედვით, „ამ კოდექსით დადგენილი ვადები გამოითვლება საათებით, დღე-ღამეებით, თვეებით. ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება ის დღე-ღამე და ის საათი, რომლებითაც იწყება ვადის დინება, გარდა დაკავებისა და პატიმრობის ვადებისა, რომლებიც გამოითვლება წუთებით.“ ამასთან, „დღე-ღამეებით გამოთვლილი ვადა იწურება ბოლო დღე-ღამის 24 საათზე.“<sup>341</sup>

თუმცა, საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ ცალკეულ შემთხვევებში, ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებების გადაცემა დაცვის მხარისთვის კანონით დადგენილი წესის დარღვევით ხორციელდება, რაც ნაკლოვანი პრაქტიკაა და დაცვის მხარეს არათანაბარ პირობებში აყენებს.<sup>342</sup> მოქმედი კანონმდებლობა მტკიცებულებათა გაცვლისათვის ვადას, პირველ რიგში, ბრალდებულისთვის ეფექტიანი დაცვის უფლების გარანტირებისა და შეჯიბრობითობის პრინციპზე დამყარებული სასამართლო პროცესის უზრუნველსაყოფად ადგენს. ხუთდღიანი ვადის დაცვა წარმოადგენს იმპერატიულ დანაწესს და შესასრულებლად სავალდებულო მოთხოვნას. ამრიგად, ბრალდების მხარის მხრიდან ამ ვადის დარღვევა კანონმდებლის ნების

<sup>337</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 19 ივლისის და 23 დეკემბრის განცხადებები;

<sup>338</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 83;

<sup>339</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 83, ნაწ. 6;

<sup>340</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 86, ნაწ. 1;

<sup>341</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 86, ნაწ. 3;

<sup>342</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა ბრალდებულ ი.პ.-ს საქმე, წინააღმდეგ არსებულ სისხლის სამართლის საქმეში მხარეთა თანასწორობის პრინციპის შესაძლო დარღვევის შესახებ. საქმის შესწავლის შედეგებით დადგინდა, რომ 2013 წლის 16 იანვარს ჩანიშნულ წინასასამართლო სხდომამდე, მხარეებს 5 ხუთი დღით ადრე, ანუ 2013 წლის 10 იანვარს 24:00 საათამდე უნდა გადაეცათ ერთმანეთისა და სასამართლოსათვის იმ მომენტისთვის მათ ხელთ არსებული ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებდნენ, რაც ბრალდებულ ი.პ.-ს საქმეში არ განხორციელებულა მიუხედავად დაცვის მხარის პროკურატურისადმი მიმართვისა. ამასთან, სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, კანონის მოთხოვნათა დარღვევით წარდგენილი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შესახებ და 2013 წლის 18 იანვრის განჩინებაში აღნიშნა, რომ კანონის მოთხოვნათა დარღვევას პროკურატურის მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

უგულებელყოფა. ამასთან, ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში, წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის საკითხის განხილვისას, სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს და დაასაბუთოს, რატომ მიაჩნია, რომ კანონის დანაწესი არ დარღვეულა ბრალდების მხარის მიერ. სხვა შემთხვევაში, ადგილი აქვს მხარეთა შეჯიბრობითობისა და თანასწორობის პრინციპის დარღვევაზე სასამართლოს მხრიდან არასათანადო რეაგირებას, რაც მართლმსაჯულების განხორციელებაში უარყოფითი როლის მატარებელია.<sup>343</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ემყარება მხარეთა თანასწორობისა და წმინდა შეჯიბრებითობის კონსტიტუციურ პრინციპს და ამ პრინციპით ხელმძღვანელობა მნიშვნელოვანია ნებისმიერი საქმის განხილვისას, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოსამართლეს გადაწყვეტილების მიღების დროს კანონი უტოვებს დისკრეციულ უფლებამოსილებას. ამ მხრივ, საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი იყო თბილისის მერის გ.უგულავას წინააღმდეგ არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება.

#### **გიორგი უგულავას საქმე<sup>344</sup>**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 21 დეკემბრის შუამდგომლობები - თბილისის მერის, ბრალდებულ გიორგი უგულავას მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისა და მისი თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს შესაბამისი განჩინებები.

შესწავლის შედეგების მიხედვით გაირკვა, რომ 2013 წლის 21 დეკემბერს 11:42 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში შევიდა საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულ გიორგი უგულავას მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ. ხოლო, რამდენიმე წუთში, კერძოდ, 2013 წლის 21 დეკემბერს 11:55 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში შევიდა საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულ გიორგი უგულავას თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

იმავე დღეს, ანუ 2013 წლის 21 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით არ დაკმაყოფილდა საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულ გიორგი უგულავას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა გირაო 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით. ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების

<sup>343</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 27 სექტემბრის წინადადება სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების შესახებ;

<sup>344</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 24 დეკემბრის განცხადება.

შესახებ საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა კი თბილისის საქალაქო სასამართლოს იმავე მოსამართლემ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა, 2013 წლის 22 დეკემბრის 00:15 საათზე გამოტანილი განჩინებით დააკმაყოფილა და ბრალდებული გიორგი უგულავა ქალაქ თბილისის მერის თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე.<sup>345</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა მონაწილეობის გარეშე განიხილოს მსგავსი შუამდგომლობა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საქმისადმი არსებობდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, ასევე, საქმე ეხებოდა პირდაპირი არჩევნებით არჩეულ თბილისის მერს და ამ განჩინების მიღებამდე რამდენიმე საათით ადრე, იმავე მოსამართლემ, მხარეთა მონაწილეობით განიხილა მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულ გიორგი უგულავას მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ, უმჯობესი იქნებოდა თანამდებობიდან გადაყენების შესახებ შუამდგომლობა, მხარეთა დასწრებით განხილულიყო და დაცვის მხარეს საკუთარი არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობა მისცემოდა. მით უმეტეს, გაუგებარია, რა გახდა თბილისის მერის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობის 00:15 საათზე განხილვის აუცილებლობის მიზეზი.

### **ფარული აგენტის მონაწილეობა სს საქმეში და სამართლიანი სასამართლოს უფლება**

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა რამდენიმე საქმე, რომელშიც დაცვის მხარე აპელირებდა ბრალდებულის მიმართ დანაშაულის პროვოცირების ფაქტზე, რაზეც „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, მომზადდა სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში აღნიშნა, რომ ფარული აგენტის გამოყენება საგამომიებო პროცესში არ ხელყოფს ევროპული კონვენციის მე-6

<sup>345</sup> სასამართლოს განჩინების მიხედვით: „ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც შეეხება მოცემულ სისხლის სამართლის საქმეს და წარმოდგენილია პროკურორის მიერ, მაღალი ხარისხით ასაბუთებენ ვარაუდს, რომ დაკავებულ თანამდებობაზე დარჩენით ბრალდებული გიორგი უგულავა ხელს შეუშლის გამოძიებას. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია გირაო, მაგრამ ამ ეტაპისთვის არ არის ამოწურული ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2013 წლის 21 დეკემბრის განჩინების გასაჩივრების ვადა და ბრალდებულ გიორგი უგულავას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების, ან თუნდაც მისი ძალაში დატოვების შემთხვევაშიც, დაკავებულ თანამდებობაზე დარჩენით ბრალდებული გიორგი უგულავა ხელს შეუშლის გამოძიებას.“



მუხლის პირველ პუნქტში (სამართლიანის სასამართლოს უფლება) დადგენილ გარანტიას. მაგრამ ამავდროულად განსაზღვრა, რომ მათი გამოყენება უნდა ემყარებოდეს მკაფიო შეზღუდვებს და არსებობდეს საკმარისი გარანტიები.<sup>346</sup> ეროვნული კანონმდებლობა საკმარისად ნათელი უნდა იყოს საიმისოდ, რათა პირმა მკაფიოდ შეძლოს იმის აღქმა, თუ რა შემთხვევებში და პირობებში შეუძლიათ ოფიცრებს ფარული საგამომიებო მეთოდების გამოყენება. ამასთან, სახელმწიფოებს აქვთ პოზიტიური ვალდებულება, რომ უზრუნველყონ თავიანთ კანონმდებლობაში უფლებამოსილების გადამეტების ან ბოროტად გამოყენების შემთხვევების პრევენცია.<sup>347</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სრულად აქვს გაცნობიერებული ორგანიზებული დანაშაულის მასშტაბები და მასთან ბრძოლის აუცილებლობა, მაგრამ ამავდროულად მხედველობაში იღებს სამართლიანი სასამართლოს მნიშვნელობასაც, რომელიც ყველა სახის დანაშაულში ბრალდებული პირის მიმართ მოქმედებს. დანაშაულის კომპლექსურობა ვერ გადაწონის მართლმსაჯულების სამართლიანად ადმინისტრირების უფლებას, რომელიც ფუნდამენტური ღირებულებაა დემოკრატიულ საზოგადოებაში.<sup>348</sup>

ადამიანის უფლებათა სამართლის პოზიციიდან, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს თუ როდის არის ფარული აგენტის მონაწილეობით ჩატარებული ღონისძიება კანონიერი და შემდგომ ის საკითხი, თუ რამდენად არის შესაძლებელი ამგვარი ღონისძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების სასამართლოზე გამოყენება პირის წინააღმდეგ. ზოგადად, ფარული აგენტის მიერ პირის წაქეზება არ გამოირიცხავს მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.<sup>349</sup> ანუ, დანაშაულის პროვოკაცია *per se* არ ათავისუფლებს პროვოცირებულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით.<sup>350</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე შესაძლებელია ტესტის იდენტიფიცირება, რომელსაც იყენებს ევროპული სასამართლო ფარული თანამშრომლის მონაწილეობის საკითხის კანონიერების შეფასებისას.

სასამართლოს მიდგომის მიხედვით, ფარული ინფორმატორის ჩვენება და ინფორმაციის გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში სხვადასხვა სტადიაზე განსხვავებულ მიდგომას

<sup>346</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 9 ივნისის განჩინება საქმეზე *Teixeira de Castro v. Portugal*, პარ. 36 (შემდგომში *Teixeira*).

<sup>347</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე *Khudobin v. Russia*, პარ. 35 (შემდგომში *Khudobin*).

<sup>348</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის განჩინება საქმეზე *Ramanauskas v. Lithuania*, პარ. 53 (შემდგომში *Ramanauskas*).

<sup>349</sup> თამარ ებრალიძე, „მუხლი 145“, „სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“, 2008, „მერიდიანი“, გვ. 231.

<sup>350</sup> Harwood [1989] *Crimm.L.R.* 285, ციტირებულია შემდეგ წყაროში: Richard May, „Criminal Evidence“ (5<sup>th</sup> edn, Sweet & Maxwell, 2004) 10-15.

ეფუძნება. მისი საშუალებით ინფორმაციის მიღება სამართალწარმოების ადრეულ სტადიაზე დასაშვებია, მაგრამ სასამართლო განხილვისას აუცილებელია ანონიმური ინფორმატორების იდენტიფიცირება ან საკმარისი გარანტიების წარდგენა, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩატარებული ღონისძიების ავტორიზაციის, იმპლემენტაციისა და ზედამხედველობის კანონიერებისთვის საჭირო მოთხოვნების უზრუნველყოფას.<sup>351</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომის მიხედვით, ფარული თანამშრომლის მონაწილეობა ოპერატიულ ღონისძიებაში, როცა სახეზეა მისი მხრიდან პირის წაქეზება დანაშაულის ჩასადენად, სასამართლოზე მხოლოდ იმ ოდენობით უნდა დაიშვებოდეს, რომ შესაძლებელი არ გახდეს სამართლიანი განხილვის პრინციპის უგულებელყოფა.<sup>352</sup> ამ მიზნით, ევროსასამართლო აფასებს ფარული თანამშრომლის როლს და აღნიშნულის შესაფასებლად იყენებს სხვადასხვა ფაქტორებს. პირველ რიგში, უნდა დადგინდეს ფარული აგენტის როლი კონკრეტული საგამომიებო მოქმედების დროს. ამ სფეროში დადგენილი საზღვრების გადაცდომა საგამომიებო ორგანოს თანამშრომელს/კონფიდენტს აქცევს აგენტ პროვოკატორად. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ Teixeira-ს საქმეში ეს ორი ინსტიტუტი ერთმანეთისგან შესაბამისი დოქტრინალური წყაროების მიხედვით გამიჯნა.<sup>353</sup> ამ მიდგომის მიხედვით, თუ ფარული აგენტის მონაწილეობა მხოლოდ არსებითად პასიური მოქმედებით შემოიფარგლება, მაშინ კონვენცია არ ირღვევა. ხოლო, თუ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი თანამშრომელი აქტიურად არის ჩართული და არსებითად უღვივებს პირს დანაშაულის ჩადენის სურვილს, სახეზე არის დანაშაულის პროვოკაცია და შესაბამისად - „აგენტი პროვოკატორი.“<sup>354</sup> როცა ფარული თანამშრომელი მიმდინარე/დაწყებული დანაშაულებრივი ქმედების ფარგლებში ერთვება, ეს პასიურ მოქმედებად ითვლება და პირის ქმედება აღარ არის მაპროვოცირებელი.<sup>355</sup>

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საზრისს წარმოადგენს ის, რომ აიკრძალოს ფარული აგენტის მონაწილეობით პირის განზრახვის ფორმირების პროვოცირება.<sup>356</sup> ევროსასამართლოს დიდმა პალატამ თავის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ საქმეში – *Ramanauskas v. Lithuania* – მიუთითა, რომ პოლიციელებმა/კონფიდენტებმა არ უნდა მოახდინონ პირებზე იმგვარი გავლენა, რომ შემდგომი პასუხისმგებლობის მიზნით წააქეზონ მათ მიერ დანაშაულის ჩადენა.<sup>357</sup> ფარულმა თანამშრომლებმა სისხლის სამართლის პროცესში

<sup>351</sup> Khudobin, პარ. 135.

<sup>352</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 15 დეკემბრის განჩინება საქმეზე *Vanyan v. Russia*, პარ. 47 (შემდგომში *Vanyan*).

<sup>353</sup> Teixeira, პარ. 27.

<sup>354</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 1 ივლისის განჩინება საქმეზე *Malininas v. Lithuania*, პარ. 37 (შემდგომში *Malininas*).

<sup>355</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის განჩინება საქმეზე *Miliniene v. Lithuania*, პარ. 39.

<sup>356</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 6 მაისის განჩინება საქმეზე *Sequeira v. Portugal*, (შემდგომში *Sequeira*).

<sup>357</sup> *Ramanauskas*, პარ. 55.

მხოლოდ და მხოლოდ პასიური მონაწილეობა უნდა მიიღონ და არ უნდა ითამაშონ როლი ბრალდებულთა განზრახვის ფორმირების პროცესში. ფარული აგენტის აქტიური მონაწილეობით ღონისძიების განხორციელებისას, სახეზე არ არის ადამიანის უფლებათა ავტომატური დარღვევა. ამ დროს უნდა დადგინდეს, არსებობდა თუ არა წინარე ინფორმაცია პირის დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ მიმართულებით ამოწმებს ორ კუმულაციურ საკითხს: ა) ფარულ თანამშრომელთა საქმიანობის კანონიერება და ბ) გონივრული საფუძვლის არსებობა იმის შესახებ, რომ კონკრეტული პირი ჩაბმულია მსგავს დანაშაულებრივ ქმედებაში ან ადრე აქვს ჩადენილი მსგავსი დანაშაულებრივი აქტი.

ამასთან, მნიშვნელოვანია შემოწმდეს ფარულ აგენტთა საქმიანობის კანონიერება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, თუ რამდენად აქვს კანონიერი საფუძველი შესაბამისი თანამშრომლის პროცესში მონაწილეობას, ფარული საგამოძიებო მოქმედება რამდენად იყო კანონის შესაბამისად ავტორიზებული და აღნიშნული პროცედურები არის თუ არა ნათლად და მისახვედრად ფორმულირებული. ამავდროულად, საგამოძიებო ორგანოს ზედამხედველობა უნდა განხორციელოს უფლებამოსილმა ინსტიტუციამ. ევროსასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის მიხედვით, კონკრეტული საგამოძიებო მეთოდი უნდა იყოს მკაფიო და შესაბამის დოკუმენტში გაწერილი (ღონისძიებების მკაფიო ჩამონათვალით, მისი მიზეზების მითითებითა და ფარული აგენტების მონაწილეობის მიზნისა და საზღვრების დადგენით).<sup>358</sup> შესაბამისად, თუკი ფარული ღონისძიების ავტორიზაციის გადაწყვეტილება არ შეიცავს ამ ინფორმაციას, იგი კონვენციის საწინააღმდეგოდ ჩაითვლება. მაშინ, როცა პირველ ეტაპზე საგამოძიებო მოქმედებები ტარდება და შემდგომ მათი ავტორიზაცია ხორციელდება, ევროსასამართლოს მიდგომა არის საკმაოდ მკაცრი და ხშირ შემთხვევაში ადგენს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის დარღვევას.<sup>359</sup>

უნდა შემოწმდეს ის ფაქტიც, თუ რამდენად ჰქონდა პირს წინასწარ განზრახული დანაშაულის ჩადენა.<sup>360</sup> ეს იმ შემთხვევაში მოწმდება, თუ ევროსასამართლო დაადგენს, რომ ფარული თანამშრომელი დანაშაულის ჩადენაში ინტენსიურად მონაწილეობდა და ამავდროულად, სახეზე იყო კანონიერად განხორციელებული ოპერატიული ღონისძიება. ამ შემთხვევაში, უნდა დადასტურდეს ობიექტური ეჭვი იმის შესახებ, რომ პირი ჩადიოდა კონკრეტულ დანაშაულს, ჰქონდა ნასამართლობა ან სხვაგვარად დადგინდეს მის მიერ ინკრინინირებული ქმედების ჩადენის განზრახვა.<sup>361</sup> მაგალითად, Teixeira-ს საქმეში ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდებული პირის უკანონო ქმედების შესახებ მხოლოდ მაშინ გახდა ცნობილი პოლიციელებისთვის, როდესაც მათ მიმართეს მას და

<sup>358</sup> Khudobin, პარ 135;

<sup>359</sup> *inter alia*, Ramanauskas, პარ 71;

<sup>360</sup> Khudobin, პარ 129;

<sup>361</sup> Malininas, პარ 36;

მოსთხოვეს ნარკოტიკების მოწოდება სხვა მესამე პირისგან. ამ საქმეში მთავრობამ სასამართლოს წარუდგინა მოსაზრება ორი ტიპის განზრახვის ფორმას შორის არსებულ განსხვავებაზე - წინასწარი განზრახვის არარსებობის ჩამოყალიბება, რომელიც მანამდე არ ჰქონია პირს და ლატენტური განზრახვის გამომჟღავნება.<sup>362</sup> სასამართლომ უარყო აღნიშნული დიფერენცირება და შესაბამისად, ნებისმიერი არგუმენტაცია, რომლის მიხედვითაც პოლიციის ქმედება გამართლებულია, როცა პროვოცირებულ პირს წინასწარ აქვს განზრახული დანაშაულის ჩადენა და მხოლოდ ხელი ეწყობა მის გამომჟღავნებას, წინააღმდეგობაში მოდის ევროსასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტთან. ამ შემთხვევაში, აუცილებელია შესაბამის სახელისუფლებო უწყებებს ჰქონდეთ წინასწარ განზრახული დანაშაულის ჩადენის შესახებ გონივრული ინდიკაცია, რაც ზოგადად დგინდება სხვადასხვა ფაქტების შეჯერების საფუძველზე. ამ დროს მხედველობაში მიიღება ინფორმატორების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, წარსული ნასამართლობა და სხვა რელევანტური მონაცემები. ამ თვალსაზრისით, ჭორის დონეზე გავრცელებული ინფორმაცია არ წარმოადგენს ფარული თანამშრომლის გამოყენების საკმარის საფუძველს.<sup>363</sup>

იმისათვის, რომ საგამომიებო ორგანოების მიერ ფარული თანამშრომლების გამოყენების პროცესში არ დაირღვეს სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნები, აუცილებელია, საქართველოს საერთო სასამართლოები ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით აფასებდნენ თითოეულ საქმეს, სადაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს დანაშაულის პროვოცირებას სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან.

## უფლება დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-6 მუხლის ერთ-ერთი მთავარი ეფექტი არის ის, რომ კონვენციის მონაწილე ქვეყნებმა დაავალდებულონ ნებისმიერი „ტრიბუნალი“, ჯეროვნად შეამოწმონ მხარეთა მოსაზრებები, არგუმენტები და მტკიცებულებები, განურჩევლად იმისა, მიაჩნია თუ არა მას ყოველივე ეს თავის გადაწყვეტილებასთან შესაბამისად და შესახებ.<sup>364</sup> ამ ვალდებულებიდან გამომდინარეობს სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი – დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება. ვან დე ჰურკის საქმესთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოებმა თავიანთი გადაწყვეტილებები უნდა დაასაბუთონ.<sup>365</sup> მოგვიანებით, ფინეთის წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებაში, ევროპულმა სასამართლომ განმარტა დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობა. სასამართლოს განცხადებით, სათანადო მართლმსაჯულების განხორციელების

<sup>362</sup> Teixeira, პარ 32-9.

<sup>363</sup> Ramanauskas, პარ 67.

<sup>364</sup> Kraska v. Switzerland, 1993 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება, პარ. 30.

<sup>365</sup> Van de Hurk v. Netherlands, 1994 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება, პარ. 61.

პრინციპი დაკავშირებულია იმასთან, რომ სასამართლოებმა ადეკვატურად უნდა წარმოადგინონ ის საფუძვლები, რომელსაც ეყრდნობიან გადაწყვეტილების გამოტანისას. იმავე გადაწყვეტილებაში, ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა დასაბუთებული გადაწყვეტილების რამდენიმე ფუნქციას: დემონსტრირება იმისა, რომ სასამართლომ მხარეებს მოუსმინა; მხოლოდ დასაბუთებული გადაწყვეტილება სთავაზობს შესაძლებლობას მხარეებს გაასაჩივრონ ის ზემდგომ ინსტანციაში და საზოგადოებრივი კონტროლის არსებობა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესზე.<sup>366</sup>

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეთა შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამომიებო მოქმედებების დაკანონების თაობაზე, სასამართლოს მიერ მიღებული არაერთი განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ გაუგებარია მათი მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

ბუნებრივია, გამოძიების მიმდინარეობისას, ხშირად აუცილებელია მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევა, მათი პირადი ან/და მათი კუთვნილი საცხოვრებელი სახლისა თუ სამუშაო კაბინეტის, ეზოს, დამხმარე ნაგებობების, ნივთების ხელშეუხებლობის დარღვევა. სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუცილებელია ჩხრეკის ჩატარება. კანონმდებლობის თანახმად, საქმისთვის საჭირო მტკიცებულებების (გვამის, ძებნილი პირის, ნივთის, ნივთიერების, დოკუმენტის ან/და სხვა ობიექტის) მოპოვებისათვის ჩხრეკის ჩატარების თაობაზე პროკურორმა წინასწარ უნდა მიიღოს ნებართვა სასამართლოსგან. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც დაყოვნებამ შესაძლებელია შეუძლებელი გახადოს საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვება, გამომძიებლის უფლებას, მოსამართლის მიერ გაცემული წინასწარი ნებართვის გარეშე ჩაატაროს აუცილებელი საგამომიებო მოქმედება. ასეთ შემთხვევაში, პროკურორი ვალდებულია მიმართოს სასამართლოს ჩატარებული საგამომიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ. ამასთან, პროკურორი ვალდებულია, დაასაბუთოს სასამართლოსთვის წარდგენილ შუამდგომლობაში, თუ რა გადაუდებელი აუცილებლობა არსებობდა მოსამართლის წინასწარი კონტროლისა და ნებართვის გარეშე ჩატარებულიყო საგამომიებო მოქმედება, რომლის დროსაც ხდება პირის კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებულ უფლებებში ჩარევა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული სტატისტიკური ინფორმაციით, 2013 წლის 1 იანვრიდან 31 ივლისის ჩათვლით პერიოდში თბილისის საქალაქო სასამართლოში საგამომიებო მოქმედება - ჩხრეკის თაობაზე შევიდა 3 768 შუამდგომლობა, საიდანაც დაკმაყოფილდა 3 662. თუმცა, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ იძლევა იმის იდენტიფიცირების საშუალებას, ჩხრეკა

<sup>366</sup> Souminen v. Finland, 2003 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება, №37801/97, პარ. 34, 36-37.



რამდენ შემთხვევაში ჩატარდა მოსამართლის წინასწარი ნებართვით და რამდენ შემთხვევაში გადაუდებელი აუცილებლობისას.<sup>367</sup>

სამართალდამცავი ორგანოების მიერ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, გადაუდებელი აუცილებლობით, საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება წლების განმავლობაში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა/წარმოადგენს. 2013 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი განცხადება განიხილა, სადაც მოქალაქეები, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, მოსამართლის განჩინების გარეშე საგამოძიებო მოქმედებების (პირადი ჩხრეკა, საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა) და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებისას მათი უფლებების შესაძლო დარღვევებზე საუბრობდნენ და მიუთითებდნენ, რომ გადაუდებელი აუცილებლობით ასეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების რეალური საფუძველი არ არსებობდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი შემთხვევები ცხადყოფს, რომ ხშირად ჩხრეკა ტარდება სასამართლოს წინასწარი თანხმობის გარეშე და მხოლოდ შემდეგ ხდება ამ საგამოძიებო მოქმედებათა კანონიერად ცნობა სასამართლოს მიერ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ნარკოტიკული საშუალებებისა ან/და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებები. მსგავს საქმეებში, როგორც წესი, ჩხრეკა ტარდება გადაუდებელ აუცილებლობაზე მითითებით, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს პოლიციის თანამშრომლის პატაკი, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ.

გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ამსახველი მასალების (საგამოძიებო მოქმედების ოქმები, სასამართლოს განჩინება) შესწავლა ცხადყოფს, რომ როგორც წესი, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ოქმებში ფორმალურად, დაუსაბუთებლად არის მითითებული გადაუდებელი აუცილებლობის არსებობაზე, მაგალითად, როგორცაა მტკიცებულებების განადგურების ან/და პირის მიმალვის საფრთხე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მოსამართლის წინასწარი ნებართვის გარეშე

---

<sup>367</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საგამოძიებო მოქმედების - ჩხრეკის განხორციელების ნებართვის გაცემის შესახებ და გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ჩხრეკის კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობების ცალ-ცალკე სტატისტიკური აღრიცხვა არ ხორციელდება, რის გამოც გაურკვეველია, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ჩხრეკასთან დაკავშირებით განხილული შუამდგომლობების საერთო რაოდენობიდან რა ნაწილი ეხებოდა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, მოსამართლის ნებართვის გარეშე ჩატარებული ჩხრეკის კანონიერად ცნობის საკითხს.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების - ჩხრეკის კანონიერების საკითხის განხილვის პროცედურას სასამართლოს მიერ<sup>368</sup>.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლი მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი შეხედულებისამებრ, მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების/ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების კანონიერების საკითხი განიხილოს მხარეთა ან/და იმ პირის მონაწილეობით, რომლის მიმართაც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება. მოსამართლე ასევე უფლებამოსილია განმარტების მისაცემად გამოიძახოს ის პირი, რომელმაც საგამოძიებო მოქმედება ჩაატარა. გარდა ამისა, მოსამართლე უფლებამოსილია საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კანონიერებისა და საფუძვლების შესწავლის მიზნით გაეცნოს ყველა საჭირო მასალას. თუმცა, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის ან კანონიერად ცნობის შესახებ პროკურატურის შუამდგომლობას, სასამართლო განიხილავს დახურულ სხდომაზე ზეპირი მოსმენის გარეშე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გადაუდებელი აუცილებლობის გამო მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით შეისწავლა მ.კ.-სა და რ.ო.-ს, ასევე ა.მ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეებში არსებული დოკუმენტაცია.

წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალების თანახმად, სასამართლოს განჩინებაში, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების

<sup>368</sup> „ამ მუხლის პირველი ნაწილით (საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას) გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედება გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, ან როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად), ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე, შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშე, რის შესახებაც მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით მოსამართლეს პროკურორმა უნდა აცნობოს საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში და უნდა გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები (ან მათი ასლები), რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას. მოსამართლე მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს მხარეთა (თუ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია) და იმ პირის მონაწილეობით, რომლის მიმართაც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება. შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას. მოსამართლე უფლებამოსილია განმარტების მისაცემად გამოიძახოს ის პირი, რომელმაც საგამოძიებო მოქმედება სასამართლოს განჩინების გარეშე ჩაატარა. ამ შემთხვევაში შუამდგომლობის განხილვისას გამოიყენება ამ კოდექსის 206-ე მუხლით გათვალისწინებული წესი.“ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 112, ნაწ.5.

კანონიერების შემოწმების თაობაზე, აღნიშნულია, რომ მოსამართლემ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ჩატარებული საგამომიებო მოქმედების კანონიერების საკითხი. სასამართლოს განჩინებების თანახმად,

„გაეცნო რა წარმოდგენილ მასალებს, სასამართლოს მიაჩნია, რომ ჩატარებული საგამომიებო მოქმედება კანონიერად უნდა იქნეს ცნობილი შემდეგ გარემოებათა გამო: ვინაიდან არსებობდა გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურების საშიშროება, სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზე იყო მოსამართლის განჩინების გარეშე საგამომიებო მოქმედების ჩატარების საფუძველი.“<sup>369</sup>

თუმცა, არცერთ ზემოაღნიშნულ საქმეზე არ ყოფილა შედგენილი სასამართლოს სხდომის ოქმი და შეუძლებელია გარკვევა, ჩატარებული საგამომიებო მოქმედების ოქმის, პოლიციის თანამშრომლის პატაკისა და პროკურორის შუამდგომლობის გარდა, მოსამართლემ განიხილა თუ არა სხვა დოკუმენტაცია.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი სასამართლოს განჩინებების ანალიზი ცხადყოფს, რომ რადგან საკითხის განხილვა მიმდინარეობს ზეპირი მოსმენის გარეშე, არ დგება სასამართლო სხდომის ოქმი და ამასთან, არც სასამართლოს განჩინებაში აღინიშნება კონკრეტულად სისხლის სამართლის საქმის ან/და ოპერატიული საქმიანობის შედეგად მოპოვებული რომელი მასალების განხილვის საფუძველზე მიიღო მოსამართლემ ჩატარებული საგამომიებო მოქმედების კანონიერად ცნობის გადაწყვეტილება.

სასამართლო სხდომის ოქმის გარეშე და დაუსაბუთებელი სასამართლოს განჩინებით შეუძლებელია სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლების დადგენა, ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრების თუ სამოქალაქო საზოგადოების მიერ მართლმსაჯულების აღსრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით.

მნიშვნელოვანია, საკითხის განხილვაში სავალდებულო გახდეს მხარეების ან/და იმ პირის მონაწილეობა, რომლის მიმართაც ჩატარდა საგამომიებო მოქმედება; ამასთან, მოსამართლეს ხელი უნდა მიუწვდებოდეს იმ ოპერატიულ ინფორმაციასა თუ მასალაზე, რაც გახდა გადაუდებელი აუცილებლობით საგამომიებო მოქმედების ჩატარების საფუძველი. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც საგამომიებო მოქმედება უკვე ჩატარებულია და სისხლის სამართლის საქმისთვის საჭირო ინფორმაცია, ნივთი თუ სხვა მტკიცებულება ამოღებულია გამოძიების მიერ, ბრალდებულის ან/და იმ პირის მონაწილეობა სასამართლოს მიერ საკითხის განხილვაში, რომლის მიმართაც ჩატარდა აღნიშნული საგამომიებო მოქმედება, ხელს ვეღარ შეუშლის საქმეზე მტკიცებულებების მოპოვებას. ამასთან, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველია, ოპერატიული ინფორმაციის შემცველ მასალებს ეცნობოდეს მხოლოდ სასამართლო, იმ პირის მონაწილეობის გარეშე, ვის მიმართაც ჩატარდა

<sup>369</sup> მოქალაქეების, მიკაელ კადიევისა და რივზან ომაროვის ბრალდების სისხლის სამართლის საქმე; მოქალაქე აიდინ მუსაევის ბრალდების სისხლის სამართლის საქმე.

საგამომიებო მოქმედება. თუმცა, სასამართლოს მიერ აღნიშნული მასალის გაცნობის შესახებ უნდა აღინიშნებოდეს სასამართლო სხდომის ოქმში. ამასთანავე, მიზანშეწონილია, საკითხის განხილვისას იწარმოებოდეს სასამართლო სხდომის ოქმი, რომელიც სრულყოფილად ასახავს მოსამართლის მიერ გამოკვლეულ გარემოებებს.

სასამართლომ მხოლოდ ზემოაღნიშნული საკითხების სრულყოფილად და ზეპირი მოსმენით განხილვის საფუძველზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული საგამომიებო მოქმედების კანონიერად ცნობის ან კანონიერად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე.

### უდანაშაულობის პრეზუმფცია

უდანაშაულობის პრეზუმფცია გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლით. ამავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. ხოლო, მე-2 ნაწილით, ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს.<sup>370</sup>

უდანაშაულობის პრეზუმფცია უმნიშვნელოვანესი გარანტიაა ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე პირი უდანაშაულოდ ითვლება და მნიშვნელობა არ აქვს გამოძიების ეტაპზე რა მტკიცებულებები იქნება მოპოვებული, ან რა გარემოებები და ფაქტები დადგინდება, რადგან ერთადერთი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია პირი ცნოს დამნაშავედ, არის სასამართლო. ამიტომაც, გამოძიების ეტაპზე არის მხოლოდ ბრალდებული პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ შესაძლოა, მან ჩაიდინა დანაშაული. „შესაბამისად, ერთი მხრივ, ივარაუდება, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, თუმცა, მეორე მხრივ, მას აქვს უფლება ჩაითვალოს უდანაშაულოდ.“<sup>371</sup> საუბარია დანაშაულის ჩადენის ვარაუდზე, მტკიცებითი ხასიათის დასკვნებს პირის დამნაშავეობის შესახებ მხოლოდ სასამართლო აკეთებს.

თავის მხრივ, საქმის განხილვისას მოსამართლეს შეზღუდულია უდანაშაულობის პრეზუმფციით. მოსამართლეს ეკრძალება განაჩენის გამოტანამდე რაიმე ფორმით დაარღვიოს უდანაშაულობის პრეზუმფცია ე.ი. გამოთქვას აზრი პირის დამნაშავეობის შესახებ. ამასთანავე, განაჩენის გამოტანის შემდეგაც, თუ პირი გამართლდა ან შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილებაში რაიმე ფორმით მითითებული იყოს დამნაშავეობის ან უდანაშაულობის გამომრიცხველი

<sup>370</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 5, ნაწ. 3.

<sup>371</sup> იხ. შტეფან ტრექსელი „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში,“ თბილისი, 2009 წ. გვ. 177.

მოსაზრებები, დასკვნების ფორმულირება და ჩამოყალიბება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში: „Barbera, Messegue and Jabardo v. Spain“ განაცხადა:

„უდანაშაულობის პრეზუმფცია *inter alia* მოითხოვს, საკუთარი მოვალეობების განხორციელებისას სასამართლოს წევრები საქმის განხილვას არ შეუდგნენ წინასწარ ჩამოყალიბებული რწმენით, რომ განსასჯელმა ჩაიდინა ის დანაშაული, რომელიც მას ბრალად აქვს წაყენებული. ამის მტკიცების ტვირთი ეკისრება გამოძიებას და აღნიშნულთან დაკავშირებული ნებისმიერი ეჭვი განმარტებულ უნდა იქნეს განსასჯელის სასარგებლოდ.“

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, უდანაშაულობის პრეზუმფციით შებოჭილია არა მხოლოდ ის ორგანო, რომელიც უშალოდ იძიებს ან იხილავს კონკრეტული პირის ბრალდების საქმეს, არამედ სხვა საჯარო მოხელეებიც, რომლებიც აკეთებენ განცხადებებს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის შესახებ.<sup>372</sup> ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი არ ზღუდავს ხელისუფლებას, მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. ამ პროცესში მთავრობა შეფასების თავისუფლებით სარგებლობს, თუმცა, ამასთან, ვალდებულია, დაიცვას მოთხოვნა უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებით.<sup>373</sup> ამ მიმართებით ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს საჯარო მოხელეების მიერ გამოყენებული სიტყვებისა და იმ კონტექსტის მნიშვნელობას, რომელშიც ეს განცხადება გაკეთდა.<sup>374</sup>

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ორგანომ, რომელიც გამოძიებას ახორციელებს, პატივი სცეს და დაიცვას უდანაშაულობის პრეზუმფცია. მისი დაცვა, ერთი მხრივ, ემსახურება წინასწარ ჩამოყალიბებული რწმენის დაძლევას, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, ხოლო, მეორე მხრივ, უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა დაკავშირებულია პირის რეპუტაციისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასთან. პირს, რომელიც ჯერ არ არის ცნობილი მსჯავრდებულად, არ შეიძლება მოექცნენ ან მიმართონ ისე, როგორც კონკრეტული დანაშაულის ჩამდენს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა გამოძიების ორგანოები დარწმუნებული იყვნენ პირის ბრალეულობაში, სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე მათ ეკრძალებათ ისეთი შინაარსის განცხადებების გაკეთება, რომელიც ბრალდებულს საზოგადოების თვალში მსჯავრდებულად წარმოაჩენს.

საფრანგეთის წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებაში ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ პოლიციის ზოგიერთი უმაღლესი რანგის ოფიცრის განცხადება მოსარჩელის მიმართ, რომ ის მონაწილეობდა მკვლელობის ჩადენაში, როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორი და ასევე დამხმარე, არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციას მის მიმართ,

<sup>372</sup> *Allenet de Ribemont v. France*, 1995 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება, №15175/89, პარ. 41 და *Daktaras v. Lithuania*, 2000 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება, №42095/98, პარ. 41-43.

<sup>373</sup> *Allenet de Ribemont v. France*, 1995 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება, № 15175/89, § 38.

<sup>374</sup> *Khuzhin and Others v. Russia*, 2008 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება, №13470/02, პარ. 94; ასევე, *Butkevicius v. Lithuania*, 2002 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება, №48297/99, პარ. 49.



რადგან ასეთი განცხადებები პოლიციის მხრიდან კეთდებოდა ყოველგვარი კვალიფიკაციისა და დათქმის გარეშე.<sup>375</sup>

უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის მოთხოვნა ვრცელდება სისხლის სამართლის საქმის განხილვის მთელ პროცესზე, მიუხედავად დევნის შედეგისა. საქმეში *Matijašević v. Serbia* ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ განმცხადებელი სასამართლომ მსჯავრდებულად ცნო და სასჯელიც დააკისრა, ეს მას არ ართმევდა უფლებას, გამოძიების საწყის ეტაპზე მის მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფცია დაცული ყოფილიყო.<sup>376</sup>

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა რამდენიმე საქმე, სადაც გამოძიების მწარმოებელმა ორგანოებმა საჯარო განცხადების გაკეთებისას უდანაშაულობის პრეზუმფცია დაარღვიეს.

### გ.ი.-ს საქმე

2013 წლის 8 მაისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე გ.ი.-მ. საქმე ეხებოდა 2012 წლის 17 დეკემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებას.<sup>377</sup>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, სათაურით: „შს-მ „ბანკი ქართუს“ გაკოტრების სქემა გაშიფრა“, აღნიშნული იყო:

„შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოიძია და გაშიფრა ორგანიზებულ-დანაშაულებრივი სქემა, რომელშიც მონაწილეობდნენ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირები და აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. გეგმა მიზნად ისახავდა ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის მიმართ ანგარიშსწორების მიზნით, სააქციო საზოგადოება „ბანკი ქართუს“ გაკოტრებას. დანაშაულებრივი სქემა შედგებოდა რამდენიმე ეტაპისაგან [...] სადემონსტრაციოდ წარმოგიდგენთ კონკრეტულ ფაქტს: 2011 წლის ნოემბრის დასაწყისში, იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა საკუთარ კაბინეტში დაიბარა შემოსავლების სამსახურის ყოფილი უფროსი ჯ.ე., გააცნო „ბანკი ქართუს“ გაკოტრების სქემა და დაავალა მისი განხორციელება. თავის მხრივ, ჯ.ე.-მ ამის შესრულება დაავალა შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის სამმართველოს იმჟამინდელ უფროსს, მ.ლ.-ს და მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს - ო.ა.-ს. აღნიშნული პირები დაუკავშირდნენ ხელისუფლებასთან დაახლოებულ იმ ბიზნესმენებს, რომელთა კომპანიებსაც საკრედიტო დავალიანება გააჩნდათ „ბანკ ქართუში“. ასეთ კომპანიებს შორისაა: [...] მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციის ხელმძღვანელის - გ.ი.-ს საწარმოები: შპს „ლოგოსი“ და ამხანაგობა

<sup>375</sup> *Allenet de Ribemont v. France*, 1995 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება, №15175/89.

<sup>376</sup> *Matijašević v. Serbia*, 2006 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება, №23037/04, პარ. 49.

<sup>377</sup> იხ. <http://police.ge/ge/shss-m-quotbanki-qartusquot-gakotrebis-sqema-gashifra/4218>.

„თეთრი სახლი“. ყველა კომპანიამ, შემოსავლების სამსახურის მაღალჩინოსნებთან შეთანხმებით, აღიარა არარსებული საგადასახადო დავალიანება. აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ჩაატარა ფიქტიური აუქციონი, სადაც არცერთი ქონება არ გაიყიდა. ამის შემდეგ, ქონება გადაეცა ეკონომიკის სამინისტროს და პრეზიდენტის განკარგულებით, გაიყიდა პირდაპირი მიყიდვის წესით [...]. გამოძიება გრძელდება და დამატებით მასალებს საზოგადოებას აუცილებლად გავაცნობთ.“

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოცემულ განცხადებაში გ.ი. და მის საკუთრებაში არსებული კომპანიები მოხსენიებულია, როგორც დანაშაულის ერთ-ერთი თანამონაწილე. აღსანიშნავია, რომ განცხადების გამოქვეყნების მომენტისთვის გ.ი.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული არ ყოფილა და საქმეში მოწმის სტატუსითაც კი არ იყო იგი დაკითხული. გ.ი. მოცემულ საქმეზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციულ დეპარტამენტში მოწმის სახით განცხადების გამოქვეყნებიდან 10 დღის შემდეგ – 2012 წლის 27 დეკემბერს დაიკითხა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინამდებარე განცხადება, რომლის შინაარსიც შეიცავს დანაშაულებრივ საქმეში გ.ი.-ს მონაწილეობის კატეგორიული და მტკიცებითი ხასიათის დასკვნას, გ.ი.-ს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად უნდა შეფასდეს.

### **მოქალაქე ა.ფ.-ს საქმე**

2013 წლის 12 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიმართა მოქალაქე ა.ფ.-მ და მისი არასრულწლოვანი შვილიშვილის – ე.ი.-ს მიმართ თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების თაობაზე ინფორმაციის მიღებაში დახმარება ითხოვა. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს მე-9 განყოფილებაში სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების შესახებ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 25 ნოემბრის №2413203 წერილში აღნიშნულია:

მოცემულ საქმეზე „განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებებით დადგენილ იქნა, რომ 2013 წლის 3 ნოემბერს საღამოს საათებში, თბილისში, სოფ. ფონიჭალაში მცხოვრებმა ო.ა.-მ ცოლად მოყვანის მიზნით მოიტაცა თავისი ნათესავი, რუსეთის ფედერაციის არასრულწლოვანი მოქალაქე – თბილისში, სოფელ ფონიჭალაში თავისი ბაბუის – ა.ფ.-ს ოჯახში სტუმრად მყოფი ე.ი.“

მოქალაქე ა.ფ.-მ 2014 წლის 3 იანვარს განმეორებით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს. განცხადების განხილვის შედეგად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 6 თებერვლის №239769 წერილშიც იგივე ფორმულირება გვხვდება:

„განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ 2013 წლის 3 ნოემბერს საღამოს საათებში, თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში მცხოვრებმა ო.ა.-მ ცოლად მოყვანის მიზნით მოიტაცა თავისი ნათესავი, რუსეთის ფედერაციის არასრულწლოვანი მოქალაქე, თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში მცხოვრები ა.ფ.-ს შვილიშვილი და მისივე ოჯახში სტუმრად მყოფი ე.ი.“

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილში ო.ა.-ს ქმედების ფორმულირება მტკიცებითი ხასიათისაა, ო.ა.-ს კონკრეტული სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების ჩამდენად აცხადებს, რითაც ირღვევა მოქალაქე ო.ა.-ს უდანაშაულობის პრეზუმფცია.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საანგარიშო პერიოდში შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოები არღვევენ მოქალაქეთა უდანაშაულობის პრეზუმფციას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განმტკიცებულ უფლებას.

### **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, როგორც არასრულყოფილი, სისტემურად გაუმართავი ნორმატიული აქტის შეცვლის, ახალი კოდექსის შემუშავებისა და მიღების აუცილებლობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც აღინიშნა. დღესდღეობით მოქმედი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც 1984 წელს საბჭოთა მმართველობის პერიოდში მიღებული სამართლებრივი აქტია, არ არის ადეკვატური და ვერ პასუხობს იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც ნორმატიული აქტი უნდა აკმაყოფილებდეს. შესაბამისად, სასამართლოების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას გამოკვეთილი პრობლემების ნაწილიც ამ მიზეზით არის განპირობებული. უარყოფითად უნდა შეფასდეს ის ფაქტიც, რომ ამ დრომდე არ გაუქმებულა 90 დღიანი პატიმრობა, როგორც ადმინისტრაციული სახდელის ერთ-ერთი სახე.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა თბილისისა (294 საქმე) და ბათუმის (262 საქმე) საქალაქო სასამართლოებიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის შედეგად მიღებული დადგენილებების ასლები გამოითხოვა. საქმეების შესწავლისას (556 საქმე) გამოიკვეთა დადებითი ტენდენციაც, თუმცა, ძირითადი პრობლემები, რაც ამ მიმართულებით არსებობდა, ისევ დარჩა.

დადებითი ტენდენცია, რომელიც საქმეების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, არის მოსამართლეთა დისკრეციული როლის გააქტიურება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისას. რამდენიმე საქმეში გამოიკვეთა სასამართლოს მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის<sup>378</sup> გამოყენება და მოცემული მუხლის საფუძველზე, სამართალდამრღვევი პირების მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევის გამო, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადებით. ასევე, აღსანიშნავია, რომ მოსამართლეები ყველაზე მკაცრ ადმინისტრაციულ სახდელს – ადმინისტრაციულ პატიმრობას, ნაკლები სიხშირით იყენებდნენ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების უმრავლესობაში სახდელის სახით გამოყენებული იყო ჯარიმა.<sup>379</sup>

მიუხედავად აღნიშნული დადებითი ფაქტორებისა, საანგარიშო პერიოდშიც, 2012 წლის მსგავსად, იკვეთება სასამართლო გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობის პრობლემა. როგორც წესი, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ სასამართლოს დადგენილება შემოიფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და ადმინისტრაციული დაკავების ოქმების მონაცემებით და ოქმის შემდგენი სამართალდამცავი პირის განმარტებით. ერთი შეხედვით, ფორმალური თვალსაზრისით, მტკიცებულებები არსებობს, მაგრამ ყველა მათგანი მოპოვებულია ერთი ორგანოს/პირის მიერ და სასამართლო სხდომაზეც წარმოდგენილია იმავე პირის განმარტება, რომელიც აბსოლუტური სიზუსტით იმეორებს სამართალდარღვევის ოქმის შინაარსს. ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილია ალკოტესტით შემოწმების შესახებ ოქმი. შესწავლილ საქმეებში სხვა მტკიცებულებები თითქმის არ გვხვდება. რაც შეეხება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების უმრავლესობაში, სასამართლოს გადაწყვეტილებაში მსგავსი ჩანაწერი არ მოიძებნა, გადაწყვეტილებები მხოლოდ სამართალდარღვევის ჩამდენი პირის განმარტებას შეიცავს, რაც ასევე სამართალდარღვევის ჩადენის აღიარებისა და მონანიების ფაქტის აღწერით ვლინდება.

სასამართლოს გადაწყვეტილებების უმრავლესობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის კონკრეტული მუხლის საკანონმდებლო დეფინიციას, კონკრეტული პირის მიერ ჩადენილი ქმედების აღწერილი მუხლით დადგენილ სამართალდარღვევასთან შესაბამისობის მსჯელობის გარეშე გადმოგვცემს. განსაკუთრებით საყურადღებოა სასამართლოს დადგენილებების შინაარსი ისეთ სამართალდარღვევასთან

<sup>378</sup> „თუ ჩადენილია მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, მაშინ საქმის გადასაწყვეტად უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას,“ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ.22 (მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევისას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა).

<sup>379</sup> თბილისის და ბათუმის საქალაქო სასამართლოების დადგენილების შესწავლის შედეგების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლომ 294 საქმეში ჯარიმა გამოიყენა 217, პატიმრობა – 16, ხოლო, სიტყვიერი შენიშვნა – 61 შემთხვევაში; ბათუმის საქალაქო სასამართლომ 262 საქმეში ჯარიმა გამოიყენა 231, პატიმრობა 16, სიტყვიერი შენიშვნა 7, ხოლო, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არარსებობის გამო საქმე შეწყდა 8 შემთხვევაში.

დაკავშირებით, როგორცაა წვრილმანი ხულიგნობა. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის შინაარსი მოსამართლის მხრიდან განმარტებას მოითხოვს: „წვრილმანი ხულიგნობა, ესე იგი საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს.“ სასამართლოს დადგენილებებში არ არის მითითებული კონკრეტულად რაში გამოიხატა პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის ჩადენა. მხოლოდ ზემოაღნიშნული დეფინიციის გადმოცემა კონკრეტული პირის ქმედების აღუწერლად, ცხადია, სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობის მოთხოვნას უგულბებლყოფს.

ასევე, დასაბუთებულობის ნაკლებობა ან არარსებობა შეინიშნება სასამართლოს გადაწყვეტილებებში სასჯელის დადებისას მსჯელობის პროცესში. სასამართლოს დადგენილებებში მითითებული არ არის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლით<sup>380</sup> გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის დადებისას მხედველობაში მისაღები გარემოებები, როგორცაა ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი, რაც დამახასიათებელია კონკრეტული პირისთვის.

იგივე ითქმის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების შესახებ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ სასამართლოს დადგენილებებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებებიდან აღნიშნულია მხოლოდ ბრალეულის გულწრფელი მონანიების შესახებ. ხოლო, ამავე კოდექსის 35-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებებიდან, მხოლოდ ერთი გარემოება გვხვდება – სამართალდარღვევის ჩადენა ნასვამ მდგომარეობაში.

ამასთანავე, სასამართლოს დადგენილებებში არ აღინიშნება ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების მიზეზი და საფუძველი. აღნიშნული თანაბრად ეხება როგორც პატიმრობის, ასევე ჯარიმის გამოყენების დასაბუთებას.

---

<sup>380</sup> „ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი,“ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 33.



საქმეების შესწავლის შედეგად იკვეთება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის ადმინისტრაციული დაკავების 12 საათიანი ვადის დარღვევაც.

ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით, უნდა ითქვას, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა განხილვის შედეგად მიღებულ სასამართლოს გადაწყვეტილებებს შაბლონური ხასიათი აქვს, შემოიფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსის აღწერილობით, ამა თუ იმ სახდელის გამოყენების/გამოუყენებლობის მიზეზისა და საფუძვლის არგუმენტირების გარეშე.

საილუსტრაციოდ წარმოვიდგინოთ რამდენიმე საქმეს, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა.

### **მოქალაქე ი.შ.-ს საქმე**

2013 წლის 1 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ განიხილა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს მე-6 განყოფილების მასალები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით.<sup>381</sup> სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ:

„წარმოდგენილი სამართალდარღვევის მასალების და სასამართლო განხილვისას დადგენილია, რომ თბილისში, სოფ. დილოში, ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-6 განყოფილების ადმინისტრაციულ შენობაში ადმინისტრაციული წესით დაკავებული იქნა ი.შ. ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ი.შ.-ს მიმართ შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის.“

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მოცემულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია ოქმის შემდგენისა და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის განმარტების შესახებ, გადაწყვეტილებაში არსად არის აღნიშნული ან მითითებული, რაში გამოიხატა 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა, ფაქტობრივი გარემოებები არ იკვეთება.

<sup>381</sup>„სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება (გარდა ფიზიკური შეურაცხყოფისა)“, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 173 (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება).

## მოქალაქე ლ.კ.-ს საქმე

2013 წლის 2 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს მასალები ლ.კ.-ს მიმართ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე<sup>382</sup> და 173-ე<sup>383</sup> მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტზე. სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია:

„წარმოდგენილი სამართალდარღვევის მასალებით და სასამართლო განხილვისას დადგენილია, რომ 2013 წლის 2 მარტს ადმინისტრაციული წესით დაკავებულია ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ლ.კ., რომელიც არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს. წესრიგის დაცვის შესახებ პოლიციის თანამშრომლების არაერთგზისი კანონიერი მოთხოვნის მიუხედავად, განაგრძო აღნიშნული ქმედება და დაკავებისას წინააღმდეგობა გაუწია მათ.“

არც ამ შემთხვევაშია განმარტებული რაში გამოიხატა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, რომელიც შეფასებითი კატეგორიაა და საჭიროებს დეტალურ ახსნას, თუ რა ქმედებით დაარღვია მოქალაქემ საზოგადოებრივი წესრიგი.

## მოქალაქე მ.ხ.-ს საქმე

2013 წლის 15 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდან-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის მიმართვა მოქალაქე მ.ხ.-ს მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის. სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „წარმოდგენილი სამართალდარღვევის მასალებით და სასამართლო განხილვისას დადგენილია, რომ ა.წ. 11 მარტს თბილისი, გლდანის მე-2 მკ/რ-ში, 39-ე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე მ.ხ. არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს; პოლიციის თანამშრომელთა არაერთგზისი მოწოდებას – შეეწყვიტა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, არ დაემორჩილა.“

<sup>382</sup> „წვრილმანი ხულიგნობა, ესე იგი საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს,“ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 166 (წვრილმანი ხულიგნობა).

<sup>383</sup> მუხ. 173, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება.

სასამართლომ მ.ხ.-ს ჯარიმა შეუფარდა და დარბაზიდან გაათავისუფლა. თუმცა აღსანიშნავია, რომ მოქალაქე მ.ხ. დააკავეს 11 მარტს, საქმის მასალები კოლეგიაში შევიდა და სასამართლო პროცესი გაიმართა 15 მარტს. დაკავების ვადამ შეადგინა 4 დღე, რაზეც სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა რამდენიმე საქმე, სადაც სასამართლოს დადგენილებაში, კონკრეტულ საქმეში სამართალდამრღვევი პირის ნაცვლად, სხვა პირის სახელი და გვარი იყო მოხსენიებული, რაც სასამართლოს მიერ შაბლონური ტექსტების გამოყენებასა და მსგავსი შეცდომების დაშვების საფუძველზე მიუთითებს.

### **მოქალაქეების: ზ.ლ.-ს, ნ.ბ.-ს და ნ.ქ.-ს საქმეები**

2013 წლის 3 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ განიხილა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის მე-3 განყოფილების მიმართვა ზ.ლ.-ს მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის. სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია:

„წარმოდგენილი სამართალდარღვევის მასალებით და სასამართლოს განხილვისას დადგენილია, რომ 03.03.2013 დაახლოებით 6 საათზე, თბილისში, წულაძის ქუჩა №1 მიმდებარე ტერიტორიაზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული იქნა მოქალაქე ზ.ლ., რომელიც იმყოფებოდა ალკოჰოლური თრობის ზემოქმედების ქვეშ, ის არ დაემორჩილა პოლიციის თანამშრომლების კანონიერ მოთხოვნას და დაკავებისას პოლიციის თანამშრომლებს გაუწია წინააღმდეგობა.

03.03.2013 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის მე-3 განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის ვ.გ.-ს მიერ შედგენილი იქნა სამართალდარღვევის ოქმი. [...] ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემდგენი ორგანოს წარმომადგენლის განმარტება: [...] ინსპექტორ-გამომძიებელი გ.ბ. დაეთანხმა წარმოდგენილ 03.03.2013 ოქმს და მოითხოვა გ.ი.-ის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის გამოყენება.“

ზემოაღნიშნული გ.ი. ნახსენებია მოქალაქე ნ.ბ.-ს საქმეშიც. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 3 მარტის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემდგენი ორგანოს წარმომადგენლის განმარტება: [...] ინსპექტორ-გამომძიებელი გ.ბ. დაეთანხმა წარმოდგენილ 03.03.2013 ოქმს და მოითხოვა გ.ი.-ის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის გამოყენება.“

მოქალაქე გ.ი. გაურკვეველი მიზეზის გამო მოიხსენიება ნ.ქ.-ს საქმეშიც. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 3 მარტის გადაწყვეტილებაში მოქალაქე ნ.ქ.-ს მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია:

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის მე-3 განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი გ.ბ. დაეთანხმა 03.03.2013 წლის ოქმს და მოითხოვა გ.ი.-ს მიმართ ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის გამოყენება.“

### მოქალაქე ზ.გ.-ს საქმე

ზემოაღნიშნულის მსგავსი პრობლემა იკვეთება ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც მოქალაქე ზ.გ.-ს მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადების საქმეშიც. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილების მიხედვით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი არის ზ.გ. თუმცა, იმავე გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ:

„წარმოდგენილი მასალებისა და სასამართლო განხილვისას დადგენილია, რომ ო.ჩ. 2013 წლის 12 ნოემბერს წარდგენილ იქნა ნარკოლოგიურ კაბინეტში, სადაც დასკვნის თანახმად, დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი ექიმის დანიშნულების გარეშე, რითაც ჩაიდინა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა [...] სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა ზ.გ., რომელმაც აღიარა ჩადენილი სამართალდარღვევის ფაქტი.“

### სასამართლოს გადაწყვეტილებების აღუსრულებლობა

2013 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველს აქტიურად მიმართავდნენ მოქალაქეები მათ სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღუსრულებლობის და მათი უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით.

წინა წლების საპარლამენტო ანგარიშებში საუბარი იყო სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებულ არაერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე. კერძოდ, პრობლემები უკავშირდებოდა აღმასრულებლის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე ინკასოს დადების, როგორც იძულებითი აღსრულების ღონისძიების პროცედურებისა და ვადების, საკანონმდებლო დონეზე დარეგულირების აუცილებლობას. აგრეთვე, მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის აუცილებელი ინფორმაციის იძულებითი წესით მოპოვების მექანიზმის შემუშავებასა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით დადგენილ

შემთხვევაში, ძეგლის კონკრეტული პირობების განსაზღვრას, მოყვანის ფორმის, მისი ხანგრძლივობისა და მის ფარგლებში ნაგულისხმევი მოქმედებების დაკონკრეტებას.<sup>384</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში ასევე იყო განხილული ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემები.<sup>385</sup> ამდენად, 2013 წლის ანგარიშში აღნიშნულ საკითხებს აღარ განვიხილავთ. ამასთან, უცვლელი დარჩება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების კუთხით 2012 წლის ანგარიშში გაწეული რეკომენდაციები.

2013 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განხილული განცხადებების შესწავლის შედეგად გამოვლინდა პრობლემა, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებლობა გამოწვეულია მოვალის მიერ, ისეთი მოქმედების შეუსრულებლობით, რომლის შესრულების ვალდებულებაც მხოლოდ მას აკისრია.

მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებების აღსრულება, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, რთულია. აღმასრულებელს არ აქვს რეალური ბერკეტი, დაავალდებულოს პირი შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, როდესაც კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება მოვალის მიერ კონკრეტული ქმედების განხორციელებაზეა დამოკიდებული. აღმასრულებელი შემოიფარგლება, მხოლოდ წერილობითი მიმართვით, რომელშიც სასამართლო გადაწყვეტილების და სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნების ნებაცოფლობით შესრულებაზეა საუბარი.

მსგავს შემთხვევებში, ერთდერთი სამართლებრივი საშუალება, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებლობისათვის, პირის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაყენებაა. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 87-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იმ მოვალის მიმართ, რომელიც არ ასრულებს ისეთ მოქმედებას, რომელის შესრულებაც მხოლოდ და მხოლოდ მის ნებაზეა დამოკიდებული.<sup>386</sup>

სისხლის სამართლის კოდექსის XIV თავი ეხება დანაშაულს სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ. მათ შორის, 377<sup>2</sup> მუხლი ეხება მოვალის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული მოქმედების შეუსრულებლობას, რომლის შესრულებაც მხოლოდ მას შეუძლია, ხოლო, სს კოდექსის 381-ე მუხლი - განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობას ანდა მისი შეუსრულებლობისათვის ხელის შეშლას.

<sup>384</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 202;

<sup>385</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 474.

<sup>386</sup> თუ მოქმედება არ შეიძლება შეასრულოს მესამე პირმა, რადგან ეს დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მოვალის ნებაზე, რომელიც არ ასრულებს ამ მოქმედებას, მაშინ მოვალეს შეიძლება დაეკისროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.



ბუნებრივია, მოცემული ნორმები თავისი შინაარსით არ წარმოადგენს იძულებით აღსრულების ღონისძიებას. ეს ნორმები ადგენს მხოლოდ პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებლობისათვის, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 377<sup>2</sup>-ე მუხლი პრაქტიკაში ხშირად არ გამოიყენება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2012-2013 წლებში სსკ 377<sup>2</sup> მუხლით (მოვალის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული მოქმედების შეუსრულებლობა) საქართველოს საერთო სასამართლოებს არ განუხილავთ არცერთი საქმე. ხოლო, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, 2012 წელს საქართველოს სს კოდექსის 377<sup>2</sup> მუხლით გამოძიება დაიწყო 6 დანაშაულზე, საიდანაც გამოძიება შეწყდა 1 შემთხვევაში. 2013 წელს კი სს კოდექსის იმავე მუხლით გამოძიება დაიწყო 2 დანაშაულზე.<sup>387</sup>

რაც შეეხება პრაქტიკაში, ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლის მუხლის გამოყენებას, (სსკ 381), საერთო სასამართლოებს აქვთ არც თუ მწირი პრაქტიკა. კერძოდ, 2012 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 112, ხოლო, 2013 წელს 78 საქმეზე. სააპელაციო სასამართლოების მიერ - 2012 წელს, ისევე, როგორც 2013 წელს, სსკ 381-ე მუხლით განხილულია 4 საქმე. ხოლო, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, 2012 წელს საქართველოს სს კოდექსის 381-ე მუხლით გამოძიება დაიწყო 197 დანაშაულზე, საიდანაც მხოლოდ 6-ზე შეწყდა გამოძიება. 2013 წელს კი, საქართველოს სს კოდექსის იმავე მუხლით გამოძიება დაიწყო 298 დანაშაულზე, საიდანაც გამოძიება შეწყდა 55 შემთხვევაში<sup>388</sup>.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციები და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 377<sup>2</sup> მუხლის გამოყენების პრაქტიკა მიუთითებს, რომ არ არსებობს ბერკეტი, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსასრულებლად, როდესაც მხოლოდ მოვალეს შეუძლია სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ქმედების განხორციელება. აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საანგარიშო პერიოდში შესწავლილი საქმე, როდესაც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება არ აღსრულებულა 2011 წლის ნოემბრიდან დღემდე; ამასთან, საგამომიებო ორგანოები ეფექტურად არ ახორციელებენ მათ უფლებამოსილებას, დაიწყოს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით,<sup>389</sup> რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას იწვევს.

<sup>387</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 4 მარტის წერილი.

<sup>388</sup> იქვე.

<sup>389</sup> ჯ.შ.-ს საქმე №092012/1.

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს:

- შემუშავდეს მექანიზმი, რომლის შესაძლებელს გახდის, მართლმსაჯულების ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეთა გადასინჯვას, მართლმსაჯულების ხარვეზის მსხვერპლთა სრულ რეაბილიტაციას, მათ შორის, სახელმწიფოს უკანონო ქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის აღდგენის ჩათვლით.
- ზომების მიღება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველსაყოფად; ასევე, ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრა და მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდა;

საქართველოს პარლამენტს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს:

- გადასინჯოს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის დებულებები და საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების წესი, მათ შორის, ამ კუთხით არსებული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება და მიღებული იქნეს იმგვარი რეგულაციები, რომელიც სრულად გამორიცხავს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და უზრუნველყოფს მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობასა და გამჭვირვალობას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, საქართველოს მთავარ პროკურორს:

- გამოძიების თაობაზე ინფორმაცია საჯაროდ გავრცელდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვით;

საქართველოს მთავარ პროკურორს:

- სისხლის სამართალწარმოებისას მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის პრინციპის უზრუნველსაყოფად დაცული იყოს მტკიცებულებათა გაცვლის კანონით დადგენილი წესი;

სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, საქართველოს მთავარ პროკურატურას:

- სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებათა აღსრულების მიზნით, მიღებული იქნას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ზომა, მათ შორის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 377<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სისხლის სამართლის გამოძიების წარმოება, როდესაც, მოვალე არ ასრულებს მოქმედებას, რომლის შესრულება სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით მხოლოდ მას შეუძლია.

### საქართველოს პარლამენტს:

- შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილება/დამატებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც უზრუნველყოფს გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერად ცნობის საკითხის განხილვისას მოსამართლის ვალდებულებას, სრულყოფილად გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, მათ შორის, ოპერატიული ინფორმაციის შემცველ დოკუმენტაციას; ასევე, დაავალდებულებს მოსამართლეს, საკითხის განხილვისას დაკითხოს საგამოძიებო მოქმედებების/ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განმახორციელებელი და ამ ღონისძიებების ჩატარებაში მონაწილე სხვა პირები, საგამოძიებო მოქმედების/ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებისას არსებული გარემოებების თაობაზე;
- განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები და დამატებები მხარეთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზე და თარგმანის განსახორციელებლად;
- შემუშავდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალი კოდექსის პროექტი; გაუქმდეს 90 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდეს ცვლილებები, რომლითაც საგამოძიებო მოქმედებების – ჩხრეკის და ამოღების შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების უფლება მხარეებთან ერთად ამოღებული ნივთის/საგნის მესაკუთრესაც მიენიჭება;

### საქართველოს საერთო სასამართლოებს:

- გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ/სამძებრო ღონისძიებების კანონიერების საკითხის განხილვის შედეგად მიღებული განჩინებები იმგვარად დასაბუთდეს, რომ შესაძლებელი იყოს მათი მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები განიხილებოდეს სამართლიანი სასამართლოს პრინციპების სრულყოფილი დაცვით, მათ შორის, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის პრინციპისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უფლების უზრუნველყოფით;
- სისხლის სამართალწარმოებისას გამოიკვლიოს და შეფასდეს ე.წ. აგენტი პროვოკატორების როლი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად;

- უზრუნველყოფილ იქნეს არასაკატიმრო აღკვეთის ღონისძიებაზეფარდებული პირის მიმართ არსებული სს საქმის განხილვა გონივრულ ვადაში, გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.

## პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

2012 წელს ე.წ. „ციხის სკანდალის“ კადრების გავრცელების შემდგომ, 2013 წელსაც აქტუალური იყო პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვა და სახელმწიფოს მიერ ეფექტიანი ღონისძიებების გატარება იმისათვის, რომ არ დარღვეულიყო ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება.

2013 წელს პოზიტიურ მოვლენად უნდა შეფასდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის დანიშვნა<sup>390</sup>. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც 2012 წლის 1 მაისიდან ამოქმედდა, შემოღებული იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობა, თუმცა, 2013 წლის ივნისამდე კანონის ეს ნორმა არ აღსრულებულა.

პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით.

პირადი ცხოვრება გულისხმობს ინდივიდის ცხოვრებისა და განვითარების კერძო სფეროს. უფლება პირად ცხოვრებაზე, ერთი მხრივ, ნიშნავს ინდივიდის შესაძლებლობას, პირადად, საკუთარი შეხედულებისამებრ, დამოუკიდებლად შექმნას და განავითაროს თავისი კერძო ცხოვრება, ხოლო, მეორე მხრივ, დაცული და უზრუნველყოფილი იყოს მის კერძო სფეროში სახელმწიფოს, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პირების ჩარევისაგან. ამასთან, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, პირადი ცხოვრება ფართო კონცეფციაა, რომელიც არ ექვემდებარება ამომწურავ განსაზღვრებას. თუმცა, იგი აუცილებლად მოიცავს ინდივიდის უფლებას ცხოვრობდეს არჩეული პირადი ცხოვრებით და ჰქონდეს სხვა ადამიანებთან, არალეგიტიმური კონტროლის გარეშე, ურთიერთობისა და კომუნიკაციის დამყარების შესაძლებლობა.<sup>391</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით,

„პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას უზრუნველყოფს კონსტიტუციის ამავე მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს შესაბამისი ვალდებულებები: ერთი მხრივ, არსებობს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს პირადი ცხოვრების პატივისცემა და ამ უფლებით ეფექტიანი სარგებლობა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშემშლელი გარემოებების, შეზღუდვების უგულებელყოფას, აღკვეთას. მეორე მხრივ, სახელმწიფოს აქვს ნეგატიური ვალდებულება, არ

<sup>390</sup> საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 28 ივნისის ბრძანება №132 თ. ქალდანის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

<sup>391</sup> საქმე „კოსტელო-რობერტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ,“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო [1993]; საქმე „ნიმიცი გერმანიის წინააღმდეგ,“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო [1992].



ჩაერიოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობაში და, შესაბამისად, უზრუნველყოს პიროვნების დაცვა, მის პირად ცხოვრებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ან თანამდებობის პირების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან.<sup>392</sup> ამასთან, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) „არამხოლოდ ავალდებულებს სახელმწიფოს თავი შეიკავოს შეზღუდვისაგან - ამ ძირითად ნეგატიურ ვალდებულებასთან ერთად, შეიძლება არსებობდეს პოზიტიური ვალდებულება პირადი და ოჯახური ცხოვრების ეფექტიანი პატივისცემისა.“<sup>393</sup>

2013 წელს ცნობილი გახდა ათასობით უკანონოდ მოპოვებული, ფარული ჩანაწერის არსებობის შესახებ, რომელიც ინახებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ან/და სამართალდამცავი ორგანოების განცხადებით, ცალკეულ შემთხვევებში, აღმოჩენილი იქნა სხვადასხვა სამალავებში.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 აგვისტოს №206 დადგენილებით შეიქმნა უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისია, რომელშიც საქართველოს სახალხო დამცველი წევრის სტატუსით იყო მიწვეული. დროებითი კომისიის 2014 წლის 31 იანვრის ანგარიშის მიხედვით, ფარული ჩანაწერების (ფაილების) სრულმა რაოდენობამ 28 687 ათასი ფაილი შეადგინა. მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ კომისიის გადაწყვეტილებით 2013 წლის 5 სექტემბერს განადგურდა პირადი, მათ შორის ინტიმური ცხოვრების ამსახველი ვიდეო მასალა (სულ 45 ელექტრონული მატარებელი), ხოლო, 2014 წლის 29 იანვარს დროებითმა კომისიამ დაასრულა მუშაობა და უკანონო ჩანაწერების ნაწილი (სულ 590 ელექტრონული მატარებელი) გამოძიებისათვის საქართველოს მთავარ პროკურატურას გადაეცა. კომისიის მუშაობის ფარგლებში მომზადდა კანონპროექტი „სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ,“ რომლითაც მკაცრდება სასჯელი პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფისათვის.<sup>394</sup>

პირადი ცხოვრების ამსახველი ამ მასშტაბის მასალის არსებობა ადასტურებს, რომ სახელმწიფო ორგანოები წლების განმავლობაში სისტემურად არღვევდნენ ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას. აუცილებელია, ადამიანის ამ ფუნდამენტური უფლების შელახვის ფაქტები ეფექტიანად იქნეს გამოძიებული და დადგეს შესაბამისი პირების პასუხისმგებლობის საკითხი. მსგავსი დანაშაულის გამოუძიებლობა და მის ჩამდენ პირთა პასუხისმგებლობის გარეშე დატოვება ხელს შეუწყობს დაუსჯელობის სინდრომის გაძლიერებას, რაც წლების განმავლობაში, ადამიანის უფლებათა სფეროში ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენდა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დაბალი რანგის

<sup>392</sup> 2007 წლის 26 დეკემბრის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

<sup>393</sup> საქმე „X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ,“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო [1985].

<sup>394</sup> უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის 2014 წლის 31 იანვრის ანგარიში.

შემსრულებლებთან ერთად, გამოვლინდეს და დადგეს ორგანიზატორთა პასუხისმგებლობის საკითხი.<sup>395</sup>

პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებით დაცულ ურთიერთობათა სპექტრი საკმაოდ ფართოა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოების განმარტებით, არ ექვემდებარება ამომწურავ დეფინიციას.<sup>396</sup>

პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის პატივისცემის უფლება ცალსახად ვრცელდება პიროვნების იდენტიფიცირების მრავალ ასპექტზე: კომუნიკაციის საშუალებების მონიტორინგზე,<sup>397</sup> ინდივიდის ფოტო და ვიდეო მასალაზე,<sup>398</sup> ხმაზე,<sup>399</sup> დნმ-სა და თითის ანაბეჭდებზე,<sup>400</sup> ინდივიდის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე,<sup>401</sup> პიროვნებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებასა და შენახვაზე.<sup>402</sup>

პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან მჭიდრო კავშირშია მიმოწერის პატივისცემის უფლება. მართალია, მიმოწერის მნიშვნელობა გულისხმობს დოკუმენტაციას, რომელიც იგზავნება ფოსტით, თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეს კონცეფცია ასევე მოიცავს სატელეფონო კომუნიკაციებს<sup>403</sup> და ტელექსით გადაცემულ შეტყობინებებს.<sup>404</sup> იმის გათვალისწინებით, რომ 21-ე საუკუნეში კომუნიკაციის საშუალებები ბევრად უფრო სრულყოფილი გახდა და სწრაფად ვითარდება, საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს მოეხდინათ ამ კონცეფციის იმგვარი ინტერპრეტაცია, რომ ამ უკანასკნელს ფეხი აეწყო ტექნოლოგიების განვითარებისა და კომუნიკაციის ახალი საშუალებებისათვის, როგორცაა ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები და ა.შ. თუმცა, უფლებაში ჩარევის სამართლებრივი დაცვის შესაბამისი დონე შეიძლება განსხვავდებოდეს გამოყენებული კომუნიკაციის ტიპიდან გამომდინარე.

პირადი და საჯარო ინტერესების დაბალანსების აუცილებლობის ფონზე, მნიშვნელოვანია, მოკლედ შევეხოთ საქართველოში მოქმედ კანონმდებლობაში, კერძოდ კი, „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონში არსებულ ნაკლოვანებებს, რომელიც

<sup>395</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის 29 იანვრის განცხადება.

<sup>396</sup> *Costello-Roberts v. the United Kingdom*, 1993 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება, პუნქ. 36.

<sup>397</sup> *Malone v. the United Kingdom*, *Klass v. Germany*, *Iordachi v. Moldova*

<sup>398</sup> *Von Hannover v. Germany*, *Perry v. the United Kingdom*, no. 63737/00, § 36, *Kinnunen v. Finland*, no. 24950/94, Commission decision of 15 May 1996, *Friedlv. Austria*, judgment of 31 January 1995, Series A no. 305-B, opinion of the Commission, p. 20, § 45, *Peck v. the United Kingdom*, no. 44647/98, § 57.

<sup>399</sup> *P.G. and J.H. v. the United Kingdom*, no. 44787/98, § 59-60, ECHR 2001-IX.

<sup>400</sup> *CASE OF S. AND MARPER v. THE UNITED KINGDOM* (Applications nos. 30562/04 and 30566/04) December 2008

<sup>401</sup> *Z. v. Finland*, 25 February 1997, § 71, *Reports of Judgments and Decisions* 1997-I.

<sup>402</sup> *Leander v. Sweden*, 26 March 1987, § 48

<sup>403</sup> *Klass v. Germany*, 1978 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება, პუნქ. 41.

<sup>404</sup> *Campbell Christie v. the United Kingdom*, №21482/93, 1994 წლის 27 ივნისი, DR 78A, გვ. 119.

სავალდებულო ცვლილებებს საჭიროებს, იმისათვის, რომ დაცული იყოს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

„ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონში რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი უნდა გამოიკვეთოს. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს დანაშაულთა იმ კატეგორიას ან პირთა წრეს, რომელთა შემთხვევაშიც შესაძლებელია ფარული თვალთვალის ან მიყურადების განხორციელება;<sup>405</sup> საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ პირს, რომლის მიმართაც ხორციელდებოდა ფარული თვალთვალი ან მიყურადება და შემდგომ შეწყდა, ეცნობოს ხსენებულის შესახებ, თუნდაც მოგვიანებით ეტაპზე, რათა მან შეძლოს მის პირად ცხოვრებაში განხორციელებული ჩარევის მართლზომიერების კანონიერების გასაჩივრება სასამართლოში; საქართველოს კანონმდებლობა არ აწესებს საკმარის სტანდარტებს, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს გამოძიებამ, იმისათვის, რათა მოიპოვოს მოსამართლისაგან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების ნებართვა;<sup>406</sup> მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოხსნილი ინფორმაციის გამოყენების, შენახვის, მასზე ხელმისაწვდომობის და მესამე მხარისათვის მის გადაცემასთან დაკავშირებულ ჯეროვან სტანდარტებს.

გარდა ამისა, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ოპერატიული ინფორმაციის წყაროზე ხელი მიუწვდებათ მხოლოდ საგამომიებო ორგანოებს, რაც შეუძლებელს ხდის – მოსამართლე სანქციის გაცემამდე დარწმუნდეს ოპერატიული ინფორმაციის წყაროს ან თვით ინფორმაციის სანდოობაში და გამორიცხოს გამომძიებლის თვითნებობა ან შესაძლო წყაროს მოქმედება რაიმე ქვენაგრძნობით.

„ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა მკაცრად გასაიდუმლოებულია და ასეთი საქმიანობის ამსახველი მონაცემების, დოკუმენტებისა და წყაროების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ ამ კანონით განსაზღვრულ პირებს, დადგენილი წესით. კანონის მე-12 მუხლის თანახმად, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების უფლება აქვთ:

<sup>405</sup> ევროპული სტანდარტები მოითხოვს, რომ ეროვნული კანონმდებლობა ჯეროვნად განსაზღვრავდეს დანაშაულთა იმ კატეგორიას, რომლის ჩადენაში არსებული ეჭვის გამოც პირის მიმართ შეიძლება განხორციელდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, ან ადგენდეს შესაბამის პირთა წრეს, რომელთა მიმართაც შესაძლებელია განხორციელდეს ფარული მიყურადება ან თვალთვალი.

<sup>406</sup> „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონი და მისი მე-8 მუხლი არ განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში შეუძლია მოსამართლეს უარი უთხრას გამოძიების მხარეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელებაზე, რაც ლოგიკურად მიანიშნებს, რომ ხსენებულ შემთხვევაში მოსამართლე ასრულებს მხოლოდ ფორმალურ (საგამომიებო ორგანოს მიერ ფარული თვალთვალის/მიყურადების ლეგალიზების) ფუნქციას და ახდენს გამოძიების მოთხოვნის უპირობო დაკმაყოფილებას.

- ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ ორგანოებსა და საგამომიებო დანაყოფებს;
- ბ) საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოპერატიულ ორგანოებს;
- გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოპერატიულ ორგანოებსა და საგამომიებო დანაყოფებს;
- დ) საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამომიებო დანაყოფის გამომძიებლებს დაპატიმრებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურს;
- ე) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოპერატიულ, საგამომიებო და სადაზვერვო ქვედანაყოფებს;
- ვ) საქართველოს დაზვერვის სამსახურის ოპერატიულ ორგანოებს;
- ზ) პროკურატურის გამომძიებლებს;
- ი) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის გამომძიებლებს და ოპერატიული სამმართველოს თანამშრომლებს.

იმავე კანონის მე-9 მუხლი კი განსაზღვრავს, რომ ამ ორგანოების უფლებამოსილ თანამდებობის პირთა ნუსხა, რომელთაც ხელი მიუწვდებათ ასეთ ინფორმაციაზე, დგინდება ამავე უწყებათა უწყებრივი ნორმატიული აქტებით, რომლებიც ვერანაირად ვერ მოიაზრებს მოსამართლეს.

ზემოხსენებულიდან კი ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ მოქმედი კანონმდებლობით, ოპერატიულ ინფორმაციასა და წყაროზე წვდომასთან დაკავშირებით გამომძიებელს უფრო მეტი ნდობა აქვს გამოცხადებული, ვიდრე მოსამართლეს. შესაბამისად, მოსამართლეს უწევს გადაწყვეტილების მიღება ფარული თვალთვალის ან მოსმენის განხორციელებასთან დაკავშირებით ისე, რომ: 1) მას არ შეუძლია გადაამოწმოს ნამდვილად არსებობს თუ არა ოპერატიული ინფორმაციის წყარო; 2) რეალურად მიაწოდა თუ არა მან სათანადო ინფორმაცია შესაბამის ორგანოს და სიმართლეს შეესაბამება თუ არა იგი; 3) ინფორმაციის მიწოდება ხომ არ იყო მოტივირებული რაიმე ქვენაგრძნობით. არსებული სისტემა კი საგამომიებო ორგანოებს აძლევს შეუზღუდავი თვითნებობის შესაძლებლობას, რომლის შეზღუდვაც სასამართლო კონტროლით შეუძლებელია.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს რაიმე სახის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც მოსამართლის მიერ ფარულ მოსმენასთან დაკავშირებით გაცემული ბრძანების შემდგომ გატარებულ ღონისძიებას გააკონტროლებდა. თვით მოსამართლეს, ამ მხრივ არანაირი ძალა არ აქვს.

საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, არაჯეროვნად განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობის დროსაც ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია უნდა განადგურდეს. ხსენებული კი განსაკუთრებით აქტუალურია იმ შემთხვევაში როდესაც პირი, რომელთან მიმართებაშიც ხორციელდებოდა

ფარული მიყურადება-თვალთვალი, აღარ არის გამოძიებისათვის საინტერესო და ფარული ღონისძიების განხორციელება წყდება მასთან მიმართებაში ან ეს პირი გამართლდება სასამართლოს მიერ. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ შესაძლოა ასეთ შემთხვევაში საქართველოში მოქმედი პრაქტიკა დიდად პრობლემატური არ იყოს, მაგრამ შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებისა და საკანონმდებლო კონტროლის, ისევე როგორც შესაბამისი სასამართლო პრეცედენტული სამართლის არარსებობა, თავად წარმოშობს პრობლემას და წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა პირადი და ოჯახური ცხოვრების დარღვევის არაერთი ფაქტი, როდესაც ცალკეულ პირთა პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო მასალა გავრცელდა მედია საშუალებებით თუ ინტერნეტ სივრცეში. განსაკუთრებით ყურადსაღებია, რომ ცალკეულ შემთხვევებში, მათ გავრცელებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები თუ პირები ფიგურირებდნენ.

### **საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების შესახებ**

უარყოფითად უნდა შეფასდეს, 2013 წლის 14 იანვარს, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მედია საშუალებებისათვის უკანონო თვალთვალის შედეგად მოპოვებული, ინტიმური ცხოვრების ამსახველი ვიდეო მასალის გადაცემა.<sup>407</sup> საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 2013 წლის 14 იანვარს განაცხადა, რომ დაიწყო გამოძიება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი პირების მიერ მოქალაქეთა მიმართ, ძალადობითა და პირადი ღირსების შეურაცხყოფით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების ფაქტზე. კერძოდ, გამოძიების ინფორმაციით, აღნიშნული დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ორგანიზებით, ამავე დეპარტამენტის თანამშრომლები აგროვებდნენ ინფორმაციას (მათ შორის, განზრახ ახდენდნენ მათი სექსუალური ცხოვრების ფარულ ვიდეო გადაღებას) სექსუალურ უმცირესობას მიკუთვნებულ მამაკაცებზე, რის შედეგადაც, კომპრომეტირების მუქარით, აშანტაჟებდნენ მათ და სპეციალურ სამსახურებთან ფარულ თანამშრომლობას აიძულებდნენ.<sup>408</sup> მართალია, მედია საშუალებებმა აღნიშნული ვიდეო მასალა დაშტრიხული ფორმით გაავრცელეს, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელი იყო პირთა იდენტიფიცირება, მათ შორის, თმის ფერის, ტანსაცმლის, ფიზიკური აღნაგობით. სახელმწიფოს მხრიდან ვიდეო მასალის გადაცემა მედია საშუალებებისათვის პირადი ცხოვრების დაცვისათვის აუცილებელი წინდახედულობის მოთხოვნის დარღვევას წარმოადგენდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩავთვლით, რომ აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარე გამოძიების მიმართ არსებობდა მაღალი

<sup>407</sup> იხ. პროკურატურა სკანდალურ ვიდეო ჩანაწერს აქვეყნებს, „ინფო 9,“ 2013 წლის 14 იანვარი, <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=12010>

<sup>408</sup> იხ. პროკურატურის განცხადება და ფარული ვიდეო ჩანაწერები, „პრესა.გე,“ 2013 წლის 14 იანვარი, <http://presa.ge/new/?m=politics&AID=20249>



საზოგადოებრივი ინტერესი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მედია საშუალებების მიერ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების ამ ფორმით გავრცელება, ასევე არ შეესაბამება ჟურნალისტური ეთიკის ნორმებს, რომელიც მედია საშუალებებს ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვის ვალდებულებას აკისრებს.

### **გ. ფ.-ს საქმე**

უარყოფითი მოვლენა იყო 2013 წლის 3 მაისს ინტერნეტ სივრცეში ადამიანების ინტიმური ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეო ჩანაწერის გავრცელება, სადაც ჟურნალისტი გ.ფ. ფიგურირებდა. განსაკუთრებულად შემამოფოთებელია ის ფაქტი, რომ ვიდეო ჩანაწერის გავრცელებისათვის მაღალი თანამდებობის პირი, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე გელა ხვედელიძე იქნა ბრალდებული სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტით, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის გამოყენებით, პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევას გულისხმობს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გ.ფ.-ს განცხადებით, ჩანაწერის გავრცელება უკავშირდებოდა მის მიერ კორუფციული გარიგების გამოვლენის გეგმას ყოფილი და მოქმედი მთავრობის წარმომადგენლების მონაწილეობით. მან ფარული აუდიო ჩანაწერი გაავრცელა და საქართველოს მთავარ პროკურატურას ამ ფაქტის გამოძიება მოსთხოვა.<sup>409</sup>

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში, ბრალდებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის ფაქტი, ასევე, თანამდებობის პირის მიერ პირის პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გახმაურების შემთხვევები.

### **დ.ე.-სა და ვ.ს.-ს სისხლის სამართლის საქმე**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მათი მომართვის საფუძველზე შეისწავლა დ.ე.-სა და ვ. ს.-ს სისხლის სამართლის საქმის მასალები.

2012 წლის 4 ივნისის დათვალიერების ოქმიდან ირკვევა, რომ გამომძიებელმა მ.მ.-მ საკუთარი სამსახურებრივი კომპიუტერის გამოყენებით, ჩაატარა მოქალაქეების დ.ე.-ს და ვ.ს.-ს ელექტრონული ფოსტის დათვალიერება, საიდანაც ამობეჭდილ იქნა 33 ფოტო. ამასთან, სისხლის სამართლის საქმეში არ მოიძებნება არც დ.ე.-ს და ვ.ს.-ს მიერ მათი ელექტრონული ფოსტის დათვალიერებაზე გაცემული წერილობითი თანხმობა და არც სასამართლოს შესაბამისი განჩინება. 2012 წლის 4 ივნისის დათვალიერების ოქმში არც ის არის აღნიშნული, რომ საგამოძიებო მოქმედება გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარდა და საქმის

<sup>409</sup> საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილის გელა ხვედელიძის წინააღმდეგ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით 157-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. საქმის განხილვა ამ ეტაპზე თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი განაგრძობს საქმის შესწავლას.

მასალებში არ მოიპოვება მოსამართლის განჩინება, მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ.

გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ გამომძიებელ მ.მ.-ს მიერ შედგენილი დათვალიერების ოქმის მიხედვით, ოცდაცამეტი ფოტო 2012 წლის 4 ივნისს 13:30 საათიდან - 14:20 საათამდე პერიოდში ამოიბეჭდა, 9 (ცხრა) ფოტო, ფოტოებზე აღბეჭდილი მონაცემების მიხედვით, 2012 წლის 31 მაისს იქნა მოპოვებული. აღნიშნული ადასტურებს, რომ გამომძიებელმა მ.მ.-მ 2012 წლის 31 მაისსაც დაათვალიერა დ.ე.-ს და ვ.ს.-ს ელექტრონული ფოსტა და იქიდან ინფორმაცია ისე მოიპოვა, რომ არც ამ შემთხვევაში ჰქონია შესაბამისი კანონიერი საფუძველი. 2012 წლის 31 მაისს განხორციელებული დათვალიერების დროს, გამომძიებელს შესაბამისი დათვალიერების ოქმი არ შეუდგენია და არც საგამოძიებო მოქმედების შედეგები აუსახავს. ხოლო მოგვიანებით, 2012 წლის 4 ივნისს შედგენილ დათვალიერების ოქმში არასწორად მიუთითა, რომ ხსენებული 9 ფოტოც 2012 წლის 4 ივნისს იყო მოპოვებული და არა 2012 წლის 31 მაისს.<sup>410</sup>

მიუხედავად იმისა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არ მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას და დასაშვებია ამ უფლებაში ჩარევა, დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე, დამოკრტიულ საზოგადოებაში, ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

განსახილველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დასაშვებს ხდის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვას, გამომძიებელმა მ.მ.-მ, კანონის მოთხოვნათა უგულვებელყოფით, დაარღვია მოქალაქეების - დ.ე.-ს და ვ.ს.-ს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

### **კასპის გამგებელ ოლეგ იაძის მიერ პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გასაჯაროება**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მოქალაქეების, გ.წ.-სა და ზ.ბ.-ს საქმეები, რომელთა თანახმად 2013 წლის 14 მარტს კასპის გამგებელმა - ოლეგ იაძემ ტელეკომპანია „თრიალეთის“ ეთერში გასაჯაროა მოქალაქე გ.წ.-სა და მოქალაქე ზ.ბ.-ს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია. კერძოდ, ის ფაქტი, რომ მათ შეფარდებული ჰქონდათ ადმინისტრაციული სახდელი ნარკოტიკული საშუალების

<sup>410</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 18 დეკემბრის წინადადება მოქალაქეების დ.ე.-სა და ს.ს.-ს მიმართ სამართალდამცავი პირის მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 31 იანვრის პასუხით არ დაკმაყოფილდა საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება, რადგან მიჩნეული იქნა, რომ გამომძიებლის ქმედებაში არ გამოიკვეთა სს დანაშაულის ჩადენის ნიშნები.

მოხმარებისათვის და მედია საშუალებებს აჩვენა მონაცემები სახელმწიფოს შესაბამისი უწყების ბაზიდან.

პირადი ხასიათის საიდუმლო ინფორმაციის კატეგორიათა ჩამონათვალს შეიცავს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილით, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე“.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი არის მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიული ორგანიზაციის წევრობასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან ან ნასამართლობასთან.

ამ შემთხვევაშიც, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ მოქალაქე გ.წ-სა და მოქალაქე ზ.ბ.-სათვის ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ან სხვა სამართალდარღვევის გამო ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ ინფორმაცია, სახელმწიფო დაწესებულების ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ კერძო საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას განეკუთვნება, რომელიც არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მათ შორის, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის. ხოლო, მისი გასაჯაროება კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენს და შესაბამისი უწყებების მხრიდან დაინტერესების საგანი უნდა გახდეს.

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავარ პროკურატურას:

- გამოძიებულ იქნეს ფარული მიყურადებისა და თვალთვალის შედეგად მასალების მოპოვების ფაქტები და დამნაშავე პირები მიეცნენ პასუხისგებაში; სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში, ცალკეულ საგამომიებო მოქმედებათა ჩატარების დროს, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა განხორციელდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წესით; პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია დაცული იყოს არალეგიტიმური გასაჯაროებისგან;

საჯარო დაწესებულებების უფლებამოსილ პირებს:

- უზრუნველყოფილ იქნეს პირთა პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის დაცვა გასაჯაროებისაგან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტს:

- შემჭიდროვებულ ვადებში დაიწყოს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის განხილვა და უზრუნველყოფილი იყოს განხილვის პროცესში, საქართველოს სახალხო დამცველის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ექსპერტების და სამოქალაქო საზოგადოების დაინტერესებული პირების ჩართულობა.

## აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება

წინამდებარე თავი საქართველოში რელიგიის თავისუფლების დაცვისა და ტოლერანტული გარემოს განვითარების კუთხით 2013 წლის ტენდენციებს ასახავს. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია საკითხებზე, რომლებიც საქართველოში ტოლერანტული გარემოსა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის განვითარებას უშლის ხელს. ასევე ტენდენციებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდში, რელიგიის თავისუფლების, კანონის უზენაესობისა და თანასწორუფლებიანობის დაცვის კუთხით გამოიკვეთა.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის<sup>411</sup> საფუძველზე ალტერნატიულ სამხედრო სამსახურში გაწვეულ იეჭოვას მოწმე სასულიერო პირთა სამხედრო ვალდებულებისაგან გათავისუფლება, რაც წლების განმავლობაში პრობლემას წარმოადგენდა.<sup>412</sup>

წინა წლებისგან განსხვავებით, დადებით მოვლენას წარმოადგენს რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის მიმართულებით არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილისა და ზოგიერთი მედია საშუალების გააქტიურება, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული მუსლიმთა და სხვა რელიგიურ გაერთიანებათა უფლებების დაცვის, ადვოკატირებისა და გაშუქების პროცესში. ტრადიციულად, ამ კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭო.

უნდა აღინიშნოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ ინიცირებული კანონპროექტი, რომელიც, პირველადი რედაქციით, რელიგიური გრძნობების შელახვას, ხოლო მომდევნო რედაქციების მიხედვით, რელიგიური ნიშნით შეურაცხყოფას, ადმინისტრაციული წესით დასჯად ქმედებად აცხადებდა. ამ ეტაპზე, კანონპროექტის საპარლამენტო განხილვა შეჩერებულია. თუმცა, აუცილებელია ითქვას, რომ მსგავსი რეგულაციების შემოღებამ კანონის არასწორ განმარტებამდე, სხვადასხვა უფლებების დარღვევამდე და რელიგიური ცენზურის დაწესებამდე შეიძლება მიგვიყვანოს. საქართველოს სახალხო დამცველმა და სახალხო დამცველთან არსებული

<sup>411</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 1 ოქტომბრის №4605/04-11/2549-12 რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელზე;

<sup>412</sup> საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა იეჭოვას მოწმეების - ა.ჩ.-ს, მ.წ.-ს, ი.მ.-ს, გ.გ.-სა და თ.ც.-ს განცხადებები, არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურიდან ვადაზე ადრე გათავისუფლებასთან დაკავშირებით. სახელმწიფო კომისიის სხდომას 2013 წლის 1 ოქტომბერს ესწრებოდა საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულიც. კომისიამ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის გათვალისწინებით მიიღო გადაწყვეტილება ა.ჩ.-ს, მ.წ.-ს, ი.მ.-ს, გ.გ.-სა და თ.ც.-ს არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურიდან ვადაზე ადრე გათავისუფლებასთან დაკავშირებით.



რელიგიათა საბჭოს წევრების 20-მა რელიგიურმა გაერთიანებამ ამგვარი რეგულაციის დაშვება, საგანგებო განცხადებებით, ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურად შეაფასეს<sup>413</sup>.

ასევე პოზიტიურად უნდა შეფასდეს 2014 წლის იანვარში მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, საქართველოში არსებული სხვა რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა ტოტალიტარული მმართველობის დროს მიყენებული ზარალის გამო სიმბოლური კომპენსაციის მიცემის თაობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია გაგრძელდეს შემდგომი ნაბიჯების გადადგმა სხვა რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების სამართლიანი წესის შემოღების მიზნით და აღნიშნულ პროცესებში მაქსიმალურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლები.

რელიგიის თავისუფლების უფლება განეკუთვნება ძირითად უფლებებს, რომელთა გარეშე სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფო არ შეიძლება არსებობდეს.

რელიგიის თავისუფლება აღიარებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე საერთაშორისო აქტებით. რელიგიის თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას, როგორც მარტომ, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ ან კერძოდ, გააცხადოს თავისი რელიგია ან რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, რიტუალების შესრულებითა და დაცვით.

რელიგიის ან მრწამსის გამოვლინების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის, ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის.<sup>414</sup> თუმცა, სახელმწიფომ ამ უფლების დაცვისა და უზრუნველყოფისას უნდა შეძლოს კერძო და საჯარო ინტერესების გონივრული დაბალანსება.

შეზღუდვას შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ რელიგიისა და რწმენის გაცხადების თავისუფლება. გაცხადება შეიძლება განხორციელდეს აღმსარებლობით, სწავლებით, რიტუალების შესრულებითა და დაცვით.<sup>415</sup> აღნიშნული შეზღუდვა ადგენს ბალანსს რელიგიის თავისუფლებაზე პირის უფლებასა და საზოგადოების ინტერესებს შორის, როდესაც ისინი ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ამდენად, დემოკრატიულ საზოგადოებაში, ერთსა და იმავე მოსახლეობაში, სადაც რამდენიმე რელიგია თანაარსებობს, შეიძლება

<sup>413</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 6 ნოემბრის განცხადება ადამიანის რწმენისა და აღმსარებლობისთვის ხელის შეშლის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად გამოცხადებასთან დაკავშირებით;

<sup>414</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი;

<sup>415</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი 2004.

აუცილებელი იყოს ამ თავისუფლებაზე შეზღუდვის დაწესება, რათა სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები შეეთავსოს ერთმანეთს და უზრუნველყოფილ იქნეს ყველა პირის მრწამსის პატივისცემა.<sup>416</sup>

რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები და პირობები უნდა განიმარტოს ევროპული კონვენციის სამართლის მიერ დამკვიდრებული პრინციპებით, რომელთა მიხედვითაც, ჩარევა დასაშვებია, თუ იგი გათვალისწინებულია კანონით, ემსახურება კანონიერი ინტერესის მიღწევას, აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში და დასახული კანონიერი ინტერესის პროპორციულია.<sup>417</sup>

რელიგიის თავისუფლების ეფექტური რეალიზაცია არ შემოიფარგლება სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებით სარგებლობაში ჩაურევლობის ვალდებულებით (ნეგატიური ვალდებულება). სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს რელიგიის თავისუფლებით ეფექტური სარგებლობა. აღნიშნული ვალდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირებისთვის, რომლებიც რელიგიურ უმცირესობებს წარმოადგენენ. პოზიტიური ვალდებულება მოითხოვს სახელმწიფო ორგანოების მიერ ყველა აუცილებელი ზომის გატარებას, რათა უფლების დარღვევა ან ასეთი დარღვევის საფრთხე თავიდან იქნეს აცილებული და უმოქმედობითა და სამართლებრივად არაადეკვატური რეაგირებით არ წახალისდეს შეუწყნარებლობა და ძალადობა.

## **მუსლიმთა უფლებების დარღვევის ფაქტები**

2013 წლის უმთავრეს თემას რელიგიის თავისუფლების დაცვის მიმართულებით რელიგიური ნიშნით გამოვლენილი შეუწყნარებლობისა და ძალადობის ფაქტები წარმოადგენდა.

მუსლიმთა უფლებების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების გამოვლინება 2012 წლის მიწურულს ჯერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინყაროში დაიწყო, ხოლო 2013 წელს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირსა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროში გაგრძელდა. შეუწყნარებლობის ეს ჯაჭვი ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში შემოსავლების სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად მინარეთის დემონტაჟით დასრულდა. გარდა ამ ფაქტებისა, როგორც მუსლიმური ორგანიზაციები იტყობინებოდნენ, პერმანენტულად ადგილი ჰქონდა ცალკეული მუსლიმი მოქალაქეების უფლებათა შეზღუდვის მცდელობებს, განსაკუთრებით გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისკენ მიმართულ ქმედებებს. მუსლიმების მიერ მოწოდებული

<sup>416</sup> ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი 2004;

<sup>417</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბილისი 2013.

ინფორმაციით, ასევე გაგრძელდა საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს საქმიანობაში ყოფილი ხელისუფლების დროს დაწყებული, ხელისუფლების უკანონო ჩარევისა და მისი კონტროლის მცდელობის პრაქტიკა. არასამთავრობო ორგანიზაციები ასევე იტყობინებოდნენ, რომ ანტიმუსლიმური განწყობები ღვივდებოდა ზოგიერთ საჯარო სკოლაში, განსაკუთრებით იმ სოფლებში, სადაც, ზოგადად, მუსლიმთა უფლებების შელახვას ჰქონდა ადგილი.<sup>418</sup>

2012–2013 წლებში მუსლიმების წინააღმდეგ განხორციელებულ 4 ძირითად შემთხვევას იდენტური მოტივაცია, ისლამისა და მისი სიმბოლოების საჯარო სივრცეში დამკვიდრების მიუღებლობა, დაედო საფუძვლად. ნიგვზიანის, წინწყაროსა და სამთაწყაროს მაცხოვრებელი მართლმადიდებელი მოსახლეობა აპროტესტებდა სოფელში მეჩეთის ამოქმედებას და იძულებით, მუქარით, სიტყვიერი შეურაცხყოფით, ზოგიერთ შემთხვევაში კი, ფიზიკური ძალის გამოყენებით, მუსლიმებს მეჩეთში შეკრებისა და პარასკევის ტრადიციული ლოცვის შესაძლებლობას არ აძლევდა.

2012 წელს ნიგვზიანსა და წინწყაროში ლოცვასთან დაკავშირებული პრობლემა, ხელისუფლების წარმომადგენლების ჩარევის შედეგად რელიგიური უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერებს შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, დიდწილად ამოიწურა და 2013 წელს ამ სოფლებში ლოცვა დაუბრკოლებლად მიმდინარეობდა. თუმცა, სახელმწიფო მოხელეების მხრიდან სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულისადმი „შემწყნარებლური“ პოზიცია, დაუსჯელობა, გარკვეულ შემთხვევებში, უმრავლესობისადმი მიკერძოება და სამართალდამცველების მიერ არაეფექტური ზომების გატარება, შეიძლება ჩაითვალოს, რომ იყო მთავარი მიზეზი, რამაც 2013 წელს სამთაწყაროსა და ჭელაში მუსლიმთა მიმართ შეუწყნარებლობის პრობლემა მთელი სიმწვავეით გამოავლინა.

## ციხისძირი

2013 წლის 14 აპრილის ღამეს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირში მცხოვრებ რამდენიმე ადამიანს, რომლებიც იყვნენ ისლამური რელიგიის აღმსარებლები, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მე-2 რეგიონალური სამმართველოს (სამეგრელო-ზემო სვანეთის) მე-2 განყოფილების უფროსმა ო.ხ.-მ, ამავე განყოფილების უფროსმა ინსპექტორებმა პ.გ.-მ და მ.მ.-მ რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და დასაშინებლად, ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე ჰაერში გაისროლეს.

<sup>418</sup> „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC), სეკულარიზმის კრიზისი და ლოიალობა დომინანტი ჯგუფების მიმართ. გვ.24; თბილისი, 2013 წ;

დადებითად უნდა შეფასდეს აღნიშნულ ფაქტზე საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ დაუყოვნებლივ გამოძიების დაწყება, რაც დამნაშავე პირთა მსჯავრდებით დასრულდა. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ<sup>419</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით,<sup>420</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის შედეგად<sup>421</sup> მ.მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა<sup>422</sup> და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.<sup>423</sup> ხოლო, პ.გ. და ო.ხ. ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით.<sup>424</sup> აღნიშნული განაჩენი უცვლელად დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ.

## სამთაწყარო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროში მუსლიმთა წინააღმდეგ განხორციელებულმა ქმედებებმა პერმანენტული ხასიათი მიიღო. აღნიშნული ქმედებები ორ თვეს გაგრძელდა და სოფლიდან მუსლიმთა სულიერი წინამძღოლის დროებით წასვლითა და პარასკევის ტრადიციული ლოცვის შეჩერებით დასრულდა. ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, მუსლიმთა დევნაში აქტიურად მონაწილეობდა ამავე სოფლის რწმუნებული - გ.ნ. დისკრიმინაციულად შეიძლება შეფასდეს დედოფლისწყაროს გამგებლის - ი.შ.-ს საჯარო განცხადება, რომ სოფელში მეჩეთის ამოქმედება უმრავლესობის გადასაწყვეტი იყო.<sup>425</sup> მუსლიმი სასულიერო პირის დაშინებაში, ხოჯას განცხადებით, თბილისიდან ჩასული შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები 2013 წლის მაისი - ივნისის თვეებში ახორციელებდნენ ზემოაღნიშნული პროცესის მონიტორინგს. სოფელ სამთაწყაროს მუსლიმ მოსახლეობასთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროში 1978 წლიდან ცხოვრობდნენ ეკოლოგიური კატასტროფის შედეგად დაზარალებული, აჭარიდან ჩასახლებული ოჯახები, რომელთა შორის იყვნენ როგორც ისლამის აღმსარებლები, ასევე მართლმადიდებლები. მუსლიმი მოსახლეობა წლების

<sup>419</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის 10 მარტის №04-9/5028 წერილი;

<sup>420</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 14 მარტის №13/16287 წერილი.

<sup>421</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 30 აგვისტოს განაჩენი;

<sup>422</sup> ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა, ძალადობით ან ძალადობის მუქარით;

<sup>423</sup> ხულიგნობა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ;

<sup>424</sup> ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა, ძალადობით ან ძალადობის მუქარით;

<sup>425</sup> იხ. < [https://www.youtube.com/watch?feature=player\\_embedded&v=j3rTwKgYW4s](https://www.youtube.com/watch?feature=player_embedded&v=j3rTwKgYW4s) > [ბოლოს ნანახია 14.03.2014]

განმავლობაში ასრულებდა რელიგიურ რიტუალებს და ამ მხრივ პრობლემა არ შექმნიათ. თუმცა, 2013 წლამდე მათ ცალკე სამლოცველო არ ჰქონიათ.

2013 წელს „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველომ“, სოფლის მუსლიმი მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, სოფელ სამთაწყაროში მუსლიმთა მიერ ლოცვების შესასრულებლად, კერძო სახლი შეიძინა. აღნიშნულმა ფაქტმა უკმაყოფილება გამოიწვია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროსა და მეზობელი სოფლების მართლმადიდებელ მოსახლეობაში, რაც, მუსლიმი მრევლისათვის პარასკევის ლოცვის ჩატარებაში ხელის შეშლასა და სოფლის მუსლიმი მრევლის სულიერი წინამძღოლის - ს.ხ.-ს ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებულ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში გამოიხატა.

სოფელ სამთაწყაროს მუსლიმი მოსახლეობისა და „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ წარმომადგენლების საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებისათვის მიცემული ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა,<sup>426</sup> რომ 2013 წლის 14 მაისს, სოფლის რწმუნებული - გ.ნ. შეეწინააღმდეგა სოფელში მუსლიმთა სამლოცველოს გახსნას, რადგან სოფელში მცხოვრებთა უმრავლესობისათვის მიუღებელი იყო.

სოფელ სამთაწყაროში, 2013 წლის 24 მაისს სალოცავში პარასკევის ტრადიციული ლოცვის შესასრულებლად შეკრებილ მუსლიმ მრევლს რელიგიური მსახურების განხორციელებაში ხელი შეუშალა სოფელ სამთაწყაროსა და მეზობელი სოფლების მართლმადიდებელმა მოსახლეობამ. აღნიშნულ დროს მართლმადიდებელ მოსახლეობასთან ერთად იმყოფებოდა სოფელ სამთაწყაროს რწმუნებული - გ.ნ.-ც. რელიგიური მსახურების განხორციელებაში ხელის შეშლა მუსლიმთა სალოცავიდან ყურანის, მაგიდისა და ხალიჩის მეჩეთიდან გარეთ გამოყრასა და მუსლიმებისათვის მიყენებულ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში გამოიხატა. როგორც ადგილობრივი მუსლიმები განმარტავენ, გ.ნ.-ს ხელი არ შეუშლია ძალადობრივი ქმედების განხორციელებაში.

სოფელ სამთაწყაროში მუსლიმთა პარასკევის ლოცვას 2013 წლის 31 მაისსა და 2013 წლის 7 ივნისს მართლმადიდებელმა მოსახლეობამ კვლავ შეუშალა ხელი. კერძოდ, 31 მაისს, სამთაწყაროსა და მეზობელი სოფლების მართლმადიდებელმა მოსახლეობამ გადაკეტა გზა და ქვემო ქართლის მუფთი - ჯ.ა., მის თანმხლებ პირებთან ერთად, არ შეუშვა სოფელში. მუფთისა და მისი თანმხლები პირების ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, რომ მათ მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

2013 წლის 7 ივნისს მართლმადიდებელი მოსახლეობა მეჩეთთან შეიკრიბა და ამ ფორმით ცდილობდა ლოცვის შესრულებაში ხელის შეშლას. სოფელ სამთაწყაროში მცხოვრებ მუსლიმთა სულიერი წინამძღვრის - ხოჯა ს.ხ.-ს განმარტებით, 2013 წლის 7 ივნისს, მას

<sup>426</sup>ს.ხ.-ს 2013 წლის 29 მაისის, 2013 წლის 31 მაისისა და 2013 წლის 7 ივნისის გასაუბრების ოქმები, თ.ბ.-ს, ნ.პ.-ს, ა.მ.-ს, ჯ.ა.-ს, ნ.კ.-ს 2013 წლის 31 მაისის ახსნა-განმარტებები.



ავტომანქანით ორმა უცნობმა მიაკითხა, რომლებმაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებად გააცნეს თავი და ხოჯა სოფელში რელიგიური დამაბუღლობის წარმოქმნასა და მუსლიმთა სალოცავის გახსნის სანაცვლოდ თანხის აღებაში დაადანაშაულეს. მუსლიმთა წინამძღოლის თქმით, ავტომობილში მას დაპატიმრებით ემუქრებოდნენ. დაახლოებით 1 საათის შემდეგ ს.ხ. სამლოცველოსთან მიიყვანეს, თუმცა, ავტომანქანიდან გადმოსვლისთანავე იგი შეუძლოდ გახდა, რის გამოც მეჩეთში შესვლა ვეღარ შეძლო.

ს.ხ.-ს თქმით, 2013 წლის 6 ივნისს სოფლის რწმუნებულ - გ.ნ.-თან ერთად მასთან მისული იყო პიროვნება, რომელიც გაეცნო გ. ლ.-ს სახელით და საქართველოს სახალხო დამცველის თელავის რეგიონალურ რწმუნებულად წარუდგინა თავი.<sup>427</sup> აღნიშნულმა პიროვნებამ ს.ხ.-სთან საუბრისას აღნიშნა, რომ მან თითქოს, იცოდა ხოჯას მიერ მეჩეთის ამოქმედების სანაცვლოდ აღებული თანხის შესახებ. გ.ლ.-მ მუსლიმთა წინამძღოლს განუცხადა, რომ პარასკევის საერთო ლოცვის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. ხოლო, რელიგიური დაპირისპირების შედეგად ვინმე რომ დაეკავებინათ, მას სოფელში აღარ მისცემდნენ ცხოვრების უფლებას.

2013 წლის 14 ივნისს, სოფელ სამთაწყაროში მუსლიმთა პარასკევის ტრადიციულ ლოცვაში სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლები და სხვა რეგიონებიდან ჩასული მუსლიმები მონაწილეობდნენ. ს.ხ.-მ ჯანმრთელობის გაუარესებისა და ბოლო პერიოდში მასზე განხორციელებული ზეწოლისა და მუქარების გამო ლოცვაზე დასწრება ვერ შეძლო. დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად სალოცავად არც სოფლის მკვიდრი სხვა მუსლიმები გასულან. სამთაწყაროში ამ დღეს აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლები, საქართველოს სახალხო დამცველი და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი იმყოფებოდნენ.

2013 წლის 21 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის ცნობილი გახდა ს. ხ.-ს ოჯახის მიმართ განხორციელებულ ძალადობის ფაქტების თაობაზე. მისი ინფორმაციით, 2013 წლის 21 ივნისს, ლოცვაზე დასასწრებად იმყოფებოდა სრულიად საქართველოს მუფთის მოადგილე - ა.შ. პარასკევის ლოცვას ასევე დაესწრნენ ს.ხ. და მისი შვილები. მისივე თქმით, ლოცვის დროს რაიმე ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. თუმცა, ლოცვის დასრულებისა და სტუმრების წასვლის შემდეგ მის საცხოვრებელ სახლთან სოფელ სამთაწყაროსა და მეზობელი სოფლების დაახლოებით ასმა მოსახლემ მოიყარა თავი, რომლებიც პარასკევის ლოცვის გამართვას უკიდურესად აგრესიული ფორმით აპროტესტებდნენ. ამ დროს ადგილი ჰქონდა როგორც სიტყვიერ, ასევე ფიზიკურ შეურაცხყოფას. სოფლის მოსახლეობასთან ერთად სახლთან სამთაწყაროს სოფლის რწმუნებული - გ.ნ.-ც იმყოფებოდა.

<sup>427</sup>აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს სახალხო დამცველს არ ჰყავს რეგიონალური რწმუნებული თელავში, ასევე ვინმე გ. ლ. არ არის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელი;

ზემოაღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების თაობაზე საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით<sup>428</sup> მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს<sup>429</sup> მიერ მოწოდებული ინფორმაციით, კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე (დანაშაული გათვალისწინებული სს კოდექსის 155-ე მუხლის I ნაწილით) და დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროს მოსახლეობის მიერ ე.ხ.-ს (ს.ხ.-ს შვილი) ოჯახის მიმართ განხორციელებულ მუქარაზე (დანაშაული გათვალისწინებული სს კოდექსის 151-ე მუხლით). საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა<sup>430</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. თუმცა, საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არ უცნობებია საგამოძიებო ორგანოების მიერ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე საგამოძიებო ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველმა ასევე წინადადებით<sup>431</sup> მიმართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს, სოფელ სამთაწყაროს რწმუნებულის - გ.ნ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებასთან დაკავშირებით. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებებიდან მიღებული კორესპონდენციით<sup>432</sup> საქართველოს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის - თვითმმართველი ერთეულის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელს - გ.ნ.-ს დისციპლინური გადაცდომისთვის გამოეცხადა გაფრთხილება.

საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე მუსლიმი მრევლის ახსნა-განმარტებებით დასტურდება, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ვერ უზრუნველყვეს სოფელ სამთაწყაროს მუსლიმი მრევლის რელიგიის თავისუფლების დაცვა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გაატარეს შესაბამისი ღონისძიებები ფიზიკური დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, თუმცა ბოლომდე ვერ უზრუნველყვეს მუსლიმი მრევლის რელიგიის თავისუფლების უფლება და სამთაწყაროში მცხოვრებ მუსლიმებს არ მიეცათ საკუთარი რელიგიური რიტუალების შესრულების შესაძლებლობა.

<sup>428</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 2 ივლისის №578/04-9 წინადადება;

<sup>429</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2013 წლის 22 ივლისის №1432688 წერილი;

<sup>430</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის 29 ნოემბრის №845/04-9 წერილი.

<sup>431</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 2 ივლისის №577/04-9 წინადადება;

<sup>432</sup> დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებების 2013 წლის 29 ივლისის №914 წერილი.

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, ზემოაღნიშნულ ფაქტებთან მიმართებაში შესაბამისი რეაგირება არ განუხორციელებიათ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს. კერძოდ, არცერთ ზემოხსენებულ შემთხვევაში, სამართალდამცავ პირებს არ შეუსრულებიათ სახელმწიფოს მიერ ნაკისრი - პოზიტიური ვალდებულება – დაეცვათ მუსლიმთა რელიგიური ჯგუფი მათდამი რელიგიური სიძულვილის გამოვლენისა და ძალადობისაგან.

სწორედ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობაში დაადანაშაულა საქართველოს ხელისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში, „გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ“ (№71156/01, 03.05.2007). აღნიშნულ საქმეში, სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, თავისი უმოქმედობით, როდესაც არაფერი გააკეთა იეჰოვას მოწმეებზე ექსტრემისტული ჯგუფის თავდასხმის შესაჩერებლად, გამოავლინა შემგუებლური დამოკიდებულება რელიგიური სიძულვილით ძალადობის მიმართ.

## ჭელა

რელიგიის თავისუფლების შეზღუდვას ადგილი ჰქონდა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაშიც.

2013 წლის 25 ივლისს მედია-საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში მინარეთის კონსტრუქციის აღმართვასთან დაკავშირებით.<sup>433</sup> გავრცელებული ინფორმაციით, მინარეთის მშენებლობის ფაქტი გააპროტესტა ადიგენის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლების მართლმადიდებელმა მოსახლეობამ. საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში მცხოვრებ მუსლიმებთან და მუსლიმ სასულიერო პირებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ადგილობრივმა მუსლიმებმა თურქეთის რესპუბლიკაში, კერძო კომპანიისაგან საკუთარი სახსრებით შეიძინეს რკინის კონსტრუქციის მინარეთი. 2013 წლის 15 ივლისს განაბაჟეს, ხოლო, 2013 წლის 20 ივლისს დასრულდა მინარეთის კონსტრუქციის დამონტაჟება მეჩეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. ადგილობრივი მუსლიმი მრევლის განმარტებით, მართლმადიდებელ და მუსლიმ მოსახლეობას შორის რელიგიური ნიშნით დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. თუმცა, მიუთითებდნენ, რომ მინარეთის აღმართვის შემდეგ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალციხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა დაკითხეს სამცხე - ჯავახეთის მუფთი - მ. ვ. და ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელას მეჩეთის წინამძღვარი - ჯ. ა.. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები მინარეთის შესასყიდად გაწეული ხარჯებით

<sup>433</sup> იხ. <http://sknews.ge/index.php?newsid=2028№.Uyr995bsZyE>

ინტერესდებოდნენ. მ.ვ.-ს განმარტებით, მუსლიმებს მინარეთის მშენებლობაზე ნებართვის გაცემის თხოვნით არ მიუმართავთ ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 6 აგვისტოს სახალხო დამცველს განცხადებით<sup>434</sup> მიმართა ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ - გ.ე.-მ. განმცხადებელი მიუთითებდა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში მინარეთის უნებართვო მშენებლობის ფაქტზე. ასევე, ყურადღებას ამახვილებდა ადიგენის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლების მართლმადიდებელი მოსახლეობის მიერ გამოთქმულ უკმაყოფილებაზე, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში მინარეთის მშენებლობასთან დაკავშირებით.

2013 წლის 26 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურმა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟი განახორციელა.

სახალხო დამცველის რწმუნებულები 2013 წლის 27 აგვისტოს ადიგენის მუნიციპალიტეტში გაესაუბრნენ ადგილობრივ მუსლიმებს. მათი განცხადებით, 26 აგვისტოს დემონტაჟის გასაპროტესტებლად სოფელ ჭელაში შეიკრიბა ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობა. სოფელ ჭელაში მინარეთთან მისასვლელი გზა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა გადაკეტეს. ადგილობრივ მუსლიმებს მინარეთთან მიახლოების შესაძლებლობა არ მიეცა, რასაც მათი პროტესტი და წინააღმდეგობა მოყვა. ამასთან, ადგილი ჰქონდა ფიზიკურ დაპირისპირებას. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა აქციის 22 მონაწილე დააკავეს, ხოლო, მოგვიანებით, 13 პირი დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს.<sup>435</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ დაკავებულთაგან 6 პირს დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ხოლო 3 პირს სისხლისსამართლებრივი, რომლებსაც რამდენიმე თვის შემდეგ ბრალი მოეხსნათ.<sup>436</sup>

2013 წლის 26 აგვისტოს დაკავებული პირების განმარტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები დაკავებისას მათდამი აგრესიულად იყვნენ განწყობილები. ადგილობრივი მუსლიმები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს სთხოვდნენ განემარტათ მიზეზი, თუ რის საფუძველზე ხორციელდებოდა მინარეთის

<sup>434</sup> გ. ე.-ს 2013 წლის 6 აგვისტოს №1091/1 განცხადება.

<sup>435</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალციხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებისა და ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელას მუსლიმი მოსახლეობის 2013 წლის 26 აგვისტოს გასაუბრების ოქმი.

<sup>436</sup> ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელას მუსლიმი მოსახლეობის 2013 წლის 29 ნოემბრის გასაუბრების ოქმი;

დემონტაჟი. მათივე თქმით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა არ განუმარტეს დემონტაჟის მიზეზი და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს მათ.<sup>437</sup>

მინარეთის დემონტაჟის შემდეგ, ახალციხის მართლმადიდებელი მოსახლეობის ნაწილმა გადაკეტა ცენტრალური გზა, რათა არ დაეშვათ მინარეთის სოფელში დაბრუნება. ამასთან, ბათუმში მინარეთის დაბრუნებისა და დაკავებული მუსლიმების გათავისუფლების მოთხოვნით გაიმართა მუსლიმებისა და მათი მხარდამჭერების აქციები.<sup>438</sup>

2013 წლის 27 ნოემბერს, მას შემდეგ რაც მინარეთის მშენებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გასცა ნებართვა, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში მინარეთის მზა კონსტრუქციის მშენებლობასთან დაკავშირებით, რაც საქართველოს სახალხო დამცველის მიერ დადებითად შეფასდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მინარეთის დემონტაჟის კანონიერება. საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მხრიდან ი. მ. ჯ.ა.-ს მიერ 2013 წლის 14 ივლისს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით გაფორმებული საქონლის გაშვების შემდგომი გასვლითი შემოწმება მიზანშეუწონელი იყო. საქონლის განბაჟების მომენტში, განსაზღვრულ საქონელს (მინარეთს) თავად შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილმა პირმა მიანიჭა სასაქონლო კოდი, რომელიც თავისუფლდებოდა იმპორტის გადასახადისგან. სწორედ ამ სასაქონლო კოდის სისწორის დადგენა გახდა მინარეთის დემონტაჟის ოფიციალური საფუძველი. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლის ვალდებულებას წარმოადგენდა საქონლის განბაჟებისას დეტალურად შეესწავლა და საჭიროების შემთხვევაში, მოეთხოვა ექსპერტიზა, რათა განესაზღვრა საქონლის შესაბამისი კოდი, რაც ამ შემთხვევაში არ განხორციელებულა. გარდა ამისა, დემონტაჟის შემდგომ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად, საქონელს (მინარეთს) მიენიჭა კოდი, რომელიც „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2007 წლის 21 ნოემბერს დადებული საერთაშორისო შეთანხმების მე-4 და მე-16 მუხლების თანახმად, თუკი წარმოშობილი იყო თურქეთის რესპუბლიკაში, გათავისუფლებული იყო იმპორტის გადასახადისაგან, რაც ი.მ. ჯ.ა.-ს მხრიდან დარღვევას გამოიწვია. ამავდროულად, „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის 115-ე მუხლი სსიპ შემოსავლების სამსახურს ანიჭებს უფლებამოსილებას, საქონლის გაშვების შემდგომი გასვლითი საბაჟო შემოწმებისას განახორციელოს დეკლარანტის საქმიანობაზე დაკვირვება, დაათვალიეროს საქონელი, აიღოს სინჯი ანდა ნიმუში. შესაბამისად, სსიპ შემოსავლების

<sup>437</sup>საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 27 აგვისტოს განცხადება სოფელ ჭელაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით;

<sup>438</sup>საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 29 აგვისტოს განცხადება – საქართველოს სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ახალციხეში განვითარებული მოვლენები კანონის ფარგლებს არ გაცდება.



სამსახურს არ გააჩნდა კანონისმიერი უფლებამოსილება განხორციელებინა მინარეთის დემონტაჟი. საგულისხმოა ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ მინარეთი განთავსებული იყო არა ი.მ. ჯ.ა.-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე, არამედ ადიგენის რაიონში სოფელ ჭელას მოქალაქე დ.ჩ.-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რის შესახებაც საგადასახადო ორგანო ინფორმირებული იყო, თუმცა, ყოველგვარი კანონისმიერი საფუძვლის გარეშე განხორციელა მოქალაქე დ.ჩ.-ს საკუთრების უფლებაში ჩარევა. ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზით დგინდება, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ ადიგენის რაიონის სოფელ ჭელაში განთავსებული მინარეთის დემონტაჟი მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს და განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების უგულებელყოფით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ

„რწმენის თავისუფლება გულისხმობს ადამიანის შინაგან თავისუფლებას, დამოუკიდებლად, თავად განსაზღვროს საკუთარი რელიგიური, მსოფლმხედველობრივი თუ მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით განვითარების მიმართულებები, პრიორიტეტები, ჩამოყალიბდეს მათ შესაბამისად, საზოგადოებაში იცხოვროს ინდივიდუალური თვითრეალიზაციის შესაძლებლობით და ამ განცდით იპოვოს საკუთარი თავი. ამ თვალსაზრისით, რწმენის თავისუფლება არის ადამიანის მოსაზრებების, გრძნობების და მათ შესაბამისად ცხოვრების საფუძველი“<sup>439</sup>

„რწმენის თავისუფლება ერთგვარად მსოფლმხედველობის თავისუფლებაა, რადგან შესაძლებლობა, იცხოვრო და განვითარდე საკუთარი ინტერესების, სურვილის, გემოვნების, წარმოდგენების და შეხედულებების, ამასთან შესაძლებლობების შესაბამისად, ქმნის ადამიანის „მე“-ს, მის შინაარსს, პიროვნებას, განსაზღვრავს მის დანიშნულებას პირად, კერძო გარემოცვასა თუ საზოგადოებაში, ორიენტაციას აძლევს მის ცხოვრებას. ამიტომაც ამ თავისუფლებაში უხეში, გადამეტებული ჩარევა, ისეთი მოპყრობა, რომელიც იწვევს ადამიანის აზროვნების წესის შეცვლას, იწვევს მის სულიერ ტანჯვას“.<sup>440</sup>

ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ რწმენის თავისუფლება დაუკავშირა პიროვნების შინაგან თავისუფლებას, რომელშიც უხეში ჩარევა იწვევს ადამიანის სულიერ ტანჯვას.

<sup>439</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/477, II.3.5.

<sup>440</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/477, II.3.6;

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ საქმეში — „მანუსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ“, (Manoussakis and Others v. Greece) განაცხადა, რომ რელიგიის თავისუფლების უფლება გამორიცხავს სახელმწიფოს მხრიდან რაიმე უფლებამოსილებას, განსაზღვროს, კანონიერია თუ არა რელიგიური მრწამსი ან ის საშუალებები, რომლებიც გამოიყენებიან მათ გამოსახატავად. სასამართლოს დასკვნით, მართალია, სახელმწიფოებს აქვთ უფლება, შეამოწმონ, ახორციელებს თუ არა მოძრაობა ან გაერთიანება საქმიანობას, რომელიც საზიანოა მოსახლეობისათვის, თუმცა, სახელმწიფოს არ აქვს უფლება შეაფასოს იმ საშუალებების კანონიერება, რომლებიც მათ გამოსახატად არის გამოყენებული.

მოცემულ საქმეში, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში მუსლიმი მრევლის მიერ მინარეთის აღმართვისას, ადგილი არ ჰქონია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ შეზღუდვას.<sup>441</sup> კერძოდ, ადგილი არ ჰქონია „სხვათა უფლებების დარღვევის“ ფაქტს. ამდენად, სახელმწიფოს მიერ რელიგიის თავისუფლების დაცულ სფეროში ჩარევა მინარეთის დემონტაჟის გზით, არ არის გამართლებული. შესაბამისად ადგილი ჰქონდა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელას მუსლიმი მრევლის რელიგიის თავისუფლების უკანონო შეზღუდვას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მას შემდეგ, რაც მინარეთის მშენებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გასცა ნებართვა, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში მინარეთის მზა კონსტრუქციის მშენებლობასთან დაკავშირებით, რაც განხორციელდა 2013 წლის 27 ნოემბერს.

### **თ.ბ.-სა და ფ.წ.-ს საქმე**

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულმა 2013 წლის 23 აგვისტოს ახსნა-განმარტება ჩამოართვა თ.ბ.-ს, ფ.წ.-ს რელიგიური ნიშნით სავარაუდო დევნის ფაქტთან დაკავშირებით. თ.ბ.-ს განმარტებით, იგი 2011 წლიდან ამზადებს სპორტსმენებს ჭიდაობაში, და იყო ევროპის ორგზის ჩემპიონის - ფ.წ.-ს მწვრთნელიც. მის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2013 წლის 10 აგვისტოს საქართველოს ნაკრები ბულგარეთში ჩემპიონატზე უნდა გამგზავრებულიყო. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის თანამშრომლებმა ფ.წ.-ს ბულგარეთში გამგზავრების უფლება არ მისცეს. შესაბამისად, იძულებული გახდა გამოთიშვოდა მსოფლიო ჩემპიონატს.

თ.ბ. აღნიშნავდა, რომ ფ.წ.-ს მიმართ ადგილი ჰქონდა რელიგიური ნიშნით შეზღუდვის ფაქტებს. კერძოდ, ფ.წ.-ს ჩემპიონატებზე გასვლის წინ წვერის მოპარსვას სთხოვდნენ, რასაც ის არ ემორჩილებოდა. მისივე განმარტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა აუკრძალეს მოსწავლეებთან რელიგიურ თემებზე საუბარი. თუმცა, თ.ბ. მიუთითებს, რომ მისი ყველა მოსწავლე ისლამის მიმდევარია, შესაბამისად ამ მხრივ პრობლემა არ არსებობდა. ამასთან, თ.ბ.-ს ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ მისი

<sup>441</sup> დაუშვებელია რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა, თუ მისი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

სპორტული კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ სამმართველოში დაიბარეს და მოსთხოვეს ადარ გაეგრძელებინათ თ.ბ.-სთან ვარჯიში. თ.ბ. აღნიშნულ საკითხს საკუთარ რელიგიურ აღმსარებლობას უკავშირებდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, ფ.წ.-ს ბულგარეთში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობასთან დაკავშირებით ჭიდაობის ეროვნული ფედერაციიდან გამოითხოვა ინფორმაცია.<sup>442</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ასევე გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან,<sup>443</sup> იმ სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების შესახებ, რომლის გათვალისწინებითაც ფ.წ.-ს უარი ეთქვა ბულგარეთში, მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრებაზე.

მიღებული კორესპონდენციებით გვეცნობა,<sup>444</sup> რომ ფ.წ.-ს მონაწილეობა გათვალისწინებული იყო ბულგარეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე. ხოლო, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილების მიერ ფ. წ.-მის შეფერხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში წარმოქმნილმა ტექნიკურმა პრობლემამ გამოიწვია. სახალხო დამცველის აპარატმა დამატებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს<sup>445</sup> და მოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, კონკრეტულად რა სახის ტექნიკური პრობლემა წარმოიქმნა მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში 2013 წლის 10 აგვისტოს. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არ მოუწოდებია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2013 წლის 13 სექტემბერს, ფ.წ. და თ.ბ. რუსეთის მოქალაქე ი.ლ.-სთან ერთად დააკავეს. მათ ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის აქვთ წაყენებული.<sup>446</sup>

2013 წლის 14 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა აღნიშნული ფაქტის შესწავლა დაიწყო. 2013 წლის 14 და 15 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულმა ფ.წ. და თ.ბ. მოინახულა. ორივე დაკავებულს სხეულზე მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდა, რაც მათი განმარტებით, დაკავების დროს მიიღეს. ასეთივე

<sup>442</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის 3 სექტემბრის №04-9/1063 წერილი;

<sup>443</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის 17 სექტემბრის №04-9/1333 წერილი;

<sup>444</sup> ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2013 წლის 9 სექტემბრის №194 და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 24 სექტემბრის №188854 წერილები;

<sup>445</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის 14 იანვრის №04-9/3460 წერილი;

<sup>446</sup>წინააღმდეგობა, მუქარა, ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ.

ჩანაწერია გაკეთებული აჭარისა და გურიის დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებულ პირად საქმეებშიც.<sup>447</sup>

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე მის მიმართ არსებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველს ასევე მიმართა<sup>448</sup> ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარემ - ზ.ც.-მ. განმცხადებლის განმარტებით, საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა საბაჟო გამშვები პუნქტებიდან შემოსვლის დროს მას მუდმივად ექმნებოდა პრობლემები. კერძოდ, ადგილი ჰქონდა სამართალდამცავი პირების მიერ მის დაყოვნებას, იზოლირებულ ოთახში შეყვანასა და დაკითხვებს. სამართალდამცველებს ზ.ც.-სათვის არცერთ ასეთ შემთხვევაში არ განუმარტავთ შეყოვნების მიზეზი. ამგვარ შეფერხებას განმცხადებელი მის რელიგიურ კუთვნილებას უკავშირებდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა<sup>449</sup> და გამოითხოვა სამართლებრივი და ფაქტობრივი ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რომლის გათვალისწინებითაც ზ.ც.-ს საზღვარზე აყოვნებდნენ. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ<sup>450</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ ზ.ც.-ს მიმართ საქართველოს საზღვრის კვეთაზე შეზღუდვები არ არსებობს.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველთან და მის წარმომადგენლებთან პირად საუბრებში, მუსლიმი მოქალაქეები სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში ანალოგიური პრობლემის სისტემატიური ხასიათის შესახებ იტყობინებიან, თუმცა, მათ, როგორც წესი, არ სურთ ვინაობის გამჟღავნება და ამ ფაქტების შესახებ საჯაროდ განცხადება. ამასთან, როგორც ზემოთ აღნიშნა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნული პრობლემის არსებობას არ ადასტურებს, თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი არაერთი ფაქტი პრობლემის არსებობაზე მეტყველებს და სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების მხრიდან ადეკვატურ რეაგირებას საჭიროებს.<sup>451</sup>

როგორც საქართველოს მთავრობის მრჩეველი, ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამართლებრივ, კონსტიტუციურ საკითხებსა და ადამიანის უფლებებში, თომას ჰამარბერგი, თავის ანგარიშში აცხადებს, საჭირო და აუცილებელია საქართველოს მუსლიმ მოსახლეობასთან დამოკიდებულების ტრანსფორმირება, რათა უზრუნველყოფილ იქნას

<sup>447</sup> ფ.წ.-სთან და თ.ბ.-სთან 2013 წლის 14 და 15 სექტემბერს გასაუბრების ოქმები.

<sup>448</sup> 2013 წლის 30 სექტემბრის №2648 განცხადება.

<sup>449</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის 25 ოქტომბრის 04-9/1986 წერილი.

<sup>450</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 06 დეკემბრის №2496089 წერილი.

<sup>451</sup> იხ. ასევე საქართველოს სახალხო დამცველის წინამდებარე ანგარიშში – მიმოსვლის თავისუფლება.

მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მათი უსაფრთხო და მშვიდობიან გარემოში ცხოვრება და კანონის წინაშე თანასწორობა.<sup>452</sup>

## **რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე განხორციელებული სხვა ძალადობრივი ქმედებები**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რელიგიის თავისუფლების დარღვევასთან დაკავშირებული მიმართვიანობა ხშირი იყო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2012 წლის განმავლობაში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 11 განცხადება, რომელთაგან მხოლოდ 2 შემთხვევა შეიცავდა რელიგიურად მოტივირებული ძალადობის აღწერას.<sup>453</sup> ხოლო, 2013 წელს იეჰოვას მოწმეების რელიგიური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციისა და ძალადობის შესახებ 17 განცხადება იქნა განხილული.

წინა წლებში რელიგიური ნიშნით ჩადენილი დანაშაული მეტწილად არ კვალიფიცირდებოდა იმ მუხლების მიხედვით, რომლებიც პირს პასუხისმგებლობას აკისრებს რელიგიური მოტივით ჩადენილი დანაშაულისათვის. საანგარიშო პერიოდში ამ მხრივ პოზიტიური ცვლილების ტენდენცია შეიმჩნევა და რამდენიმე შემთხვევის გამოკლებით, ძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის მიხედვით, რომელიც დანაშაულის ჩადენის რელიგიური ნიშნით მოტივაციაზე მიუთითებს.<sup>454</sup> თუმცა, მეორე მხრივ, არცერთ ამ ფაქტზე სასამართლოს მიერ დამამძიმებელ გარემოებად არ არის გათვალისწინებული დისკრიმინაციის გამოვლინება.<sup>455</sup>

2013 წელს სახალხო დამცველის სახელზე იეჰოვას მოწმეთა რელიგიური ორგანიზაციის მხრიდან, საანგარიშო პერიოდში შემოვიდა 17 განცხადება, რომელთაგან 8 იეჰოვას მოწმეთა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს შეიცავს, 1 - მუქარის, 6 - იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზების დაზიანების და ორი - ალტერნატიული სამხედრო სამსახურის გადავადებისა და სამსახურიდან სასულიერო პირთა დათხოვნის შესახებ მოგვითხრობს. 8-დან 6 შემთხვევაზე დაიწყო გამოძიება 156-ე (დევნა), 155-ე (რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა), 125-ე (ცემა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე, ორ შემთხვევაში პირი დამნაშავედ იქნა ცნობილი, ერთ შემთხვევაში 125-ე (ცემა) მუხლით (განესაზღვრა ჯარიმა) და მეორე შემთხვევაში, 156-ე (დევნა) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საფუძველზე. შენობების დაზიანების სამ ფაქტზე კვლავ

<sup>452</sup>

იხ. [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/press\\_corner/all\\_news/news/2013/human\\_rights\\_2013/human\\_rights\\_report\\_2013\\_ka.htm](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/press_corner/all_news/news/2013/human_rights_2013/human_rights_report_2013_ka.htm) [ბოლოს ნანახია 14.03.2014]

<sup>453</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ.523;

<sup>454</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 155, 156;

<sup>455</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე.



გრძელდება გამოძიება, ხოლო ერთზე შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, 2 ფაქტზე სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

### **იეჰოვას მოწმეების მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტები**

2013 წლის 12 ივნისს, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, იეჰოვას მოწმე კ.კ. - ს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე კ.კ. ცნობილია დაზარალებულად და ამ დრომდე გრძელდება გამოძიება.

2013 წლის 13 აგვისტოს იეჰოვას მოწმეებს ნ.ს.-ს და ლ.მ.-ს თბილისში, რელიგიური მსახურების დროს მიაყენეს როგორც სიტყვიერი, ასევე ფიზიკური შეურაცხყოფა. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ნ.ს. ცნობილი იქნა დაზარალებულად და ამჟამად თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა.

2013 წლის 16 აგვისტოს თბილისში, იეჰოვას მოწმეებს დ.ქ.-სა და გ.ჯ.-ს უცნობმა პირმა მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე დ.ქ. ცნობილი იქნა დაზარალებულად. ხოლო, 2013 წლის 20 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ბრალდებული დ.ფ. ცნობილი იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა.

2013 წლის 30 სექტემბერს იეჰოვას მოწმეებს, კ.კ.-სა და ლ.ტ.-ს წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილქილისაში რელიგიური მსახურების შესრულების დროს, სოფლის რწმუნებულმა მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. ამასთან, აუკრძალა სოფელში რელიგიური საქმიანობის განხორციელება. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე 2013 წლის 1 ნოემბერს, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მიერ ს.გ. დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

2013 წლის 6 ოქტომბერს ო.ყ.-სა და ი.ც.-ს, რომლებიც არიან იეჰოვას მოწმეები, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქში, რელიგიური მსახურების შესრულების დროს მიაყენეს როგორც სიტყვიერი, ასევე ფიზიკური შეურაცხყოფა. აღნიშნულ ინციდენტში, სოფლის სასულიერო პირი - ი.ხ.-ც მონაწილეობდა. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით და ამჟამად გრძელდება გამოძიება.

2013 წლის 25 ოქტომბერს იეჰოვას მოწმეებს - კ.კ.-ს, გ.წ.-ს, მ.მ.-სა და ნ.ჩ.-ს ბათუმში, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს უცნობმა პირებმა. რა დროსაც, მ.მ.-მ მიიღო ტვინის შერყევა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, დაიწყო გამოძიება სისხლის

სამართლის კოდექსის 155-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ დაწყებული არ არის და ამ დრომდე გრძელდება გამოძიება.

### **რელიგიის თავისუფლება საჯარო სკოლებში**

კვლავაც პრობლემად რჩება საჯარო სკოლებში რელიგიის თავისუფლების დაცვა. შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებული მრწამსის მქონე სკოლის მოსწავლეები დაუცველნი არიან როგორც ფსიქოლოგიური და მორალური, ასევე ფიზიკური ძალადობისგანაც. სკოლაში რელიგიური თვალსაზრისით დისკრიმინაციული კლიმატი და დახურული სივრცე, წარმოშობს პრობლემის გასაჯაროების საფრთხის განცდას თავად უმცირესობათა წარმომადგენლებში. ეს გარემოება უნდა იყოს იმის მთავარი მიზეზი, რომ საჯარო სკოლებში არსებული რელიგიური დისკრიმინაციის შესახებ განცხადებების რაოდენობა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მინიმალურია.<sup>456</sup> მშობლები და მოსწავლეები ერიდებიან მათ მიმართ დისკრიმინაციის შესახებ საჯაროდ საუბარს.

### **ჩუმლაცის საჯარო სკოლა**

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა გ.მ-მ, მისი შვილის მ.მ.-ს მიმართ ჩუმლაცის საჯარო სკოლაში განხორციელებულ დისკრიმინაციის თაობაზე. საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს არასრულწლოვან მ.მ.-ს მშობლებს, ჩუმლაცის საჯარო სკოლის მასწავლებლებსა და დირექტორს.

მ.მ.-ს დედის განმარტებით, მისი ოჯახი ევანგელურ-ბაპტისტური სარწმუნოების აღმსარებელია. გ.მ-ი და თ.მ. მიუთითებდნენ, რომ მათ შვილს კლასის ხელმძღვანელი - ლ.უ. ხშირად აყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. ოჯახი, მასწავლებლის ამგვარ დამოკიდებულებას მათ რელიგიურ აღმსარებლობას უკავშირებდა. ამასთან, მოსწავლეს ხშირად მოუწოდებდა მონათლულიყო მართლმადიდებლური წესით. დედამ ასევე განმარტა, რომ მას მსგავსი პრეტენზია არ ჰქონდა სკოლის სხვა მასწავლებლების მიმართ. თ.მ.-ს განმარტებით, 2013 წლის 16 ოქტომბერს, მ.მ.-ს მუსიკის მასწავლებელმა მ.ს.-მ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. ამ ფაქტის შემდეგ მ.მ.-ს 2 კვირის განმავლობაში სკოლაში აღარ უვლია. ზემოაღნიშნული ფაქტის შემდეგ, არასრულწლოვანი პარალელურ კლასში გადაიყვანეს.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებთან საუბრისას ჩუმლაცის საჯარო სკოლის მასწავლებლებმა - ლ. უ.-მ და მ. ს.-მ უარყვეს მოსწავლის ფიზიკური შეურაცხყოფის

<sup>456</sup>საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მხოლოდ 1 განცხადება შეისწავლა;

ფაქტი. თუმცა, კლასის ხელმძღვანელმა მოსწავლის ოჯახს „სექტის“ მიმდევარი უწოდა. საუბარში ორივე პედაგოგმა აღნიშნა, რომ ისინი არ ახდენენ ბავშვების დიფერენციაციას მათი რელიგიური შეხედულებების მიხედვით. მათ ჰყავთ სხვა მოსწავლეებიც, რომლებიც ასევე არ არიან მართლმადიდებელი ქრისტიანები და ეს ფაქტი არანაირ გავლენას არ ახდენს მასწავლებლების მიმართ დამოკიდებულებაზე. სახალხო დამცველის აპარატმა მის ხელთ არსებული ინფორმაცია რეაგირებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გაუგზავნა.<sup>457</sup> მიღებული კორესპონდენციებით<sup>458</sup> გვეცნობა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა სოფელ ჩუმლაყის საჯარო სკოლას, შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნაში მითითებული დარღვევების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, მითითება მისცა.

### **საბჭოთა პერიოდში რელიგიური გაერთიანებებისთვის მიყენებული ზარალის რესტიტუცია**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების წარმომადგენლები ამ საკითხის გადაჭრის აუცილებლობის შესახებ, წლების განმავლობაში საუბრობდნენ, ამა თუ იმ რელიგიური გაერთიანებისთვის, ე.წ. სადავო ტაძრების დაბრუნების საკითხი, კვლავ გადაუჭრელი რჩება.

ამ ეტაპზე სომეხთა წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქია თბილისში 5 და ახალციხეში 1 ტაძრის დაბრუნებას მოითხოვს. კათოლიკე და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის დავა მიმდინარეობს 5 ტაძარზე, რომლებიც ამჟამად მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაშია და რომელთა საკითხის სამართლიან გადაწყვეტას კათოლიკე ეკლესია ითხოვს. დღის წესრიგში დგას ორი ევანგელურ-ლუთერული ტაძრის, ათეულობით მეჩეთისა და ერთი სინაგოგას დაბრუნების საკითხიც. ყველა ეს საკულტო ნაგებობა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს, თუმცა, მიუხედავად ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ მათი კუთვნილებისა და დაბრუნების აუცილებლობის გარშემო წლებია, დავა მიმდინარეობს, ფაქტობრივად ამ ნაგებობებს არ ჩატარებიათ გამაგრებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რამაც ტაძრების მდგომარეობა სავალალო გახადა.

ე.წ. სადავო ტაძრების საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, როგორც რელიგიის თავისუფლების, ასევე კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით და სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებების მობილიზებას და ამ საკითხების განხილვისა და პრობლემების გადაჭრის გზების იმგვარ ძიებას საჭიროებს, რომ არ დაირღვეს სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე პირთა

<sup>457</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის 21 ნოემბრის №04-9/2425 წერილი;

<sup>458</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2014 წლის 31 იანვრისა და 2014 წლის 14 მარტის წერილები.

ფუნდამენტური უფლებები, მათ შორის, საკითხის გადაწყვეტისას, ადგილი არ ჰქონდეს დისკრიმინაციულ მიდგომას.

### **რელიგიური გაერთიანებების საკუთრების უფლება**

საანგარიშო პერიოდში კვლავაც პრობლემად დარჩა ამა თუ იმ რელიგიური გაერთიანებისთვის სხვადასხვა ტიპის მომსახურების გაწევა სახელმწიფო თუ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში. საქართველოს სახალხო დამცველს 2013 წლის განმავლობაში მიმართეს რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლებმა, რომლებიც სადაოდ ხდიდნენ რელიგიური ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი ნებართვების გაცემასა და მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა - ნაგებობის საკუთრებაში გადაცემის საკითხს.

### **მშენებლობის ნებართვა**

საქართველოს სახალხო დამცველს, რელიგიური ნაგებობის მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით, განცხადებით<sup>459</sup> მიმართა მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რელიგიური თავისუფლების განყოფილების ხელმძღვანელმა - ბ.ჭ.-მ. აღნიშნული რელიგიური გაერთიანების საკუთრებას წარმოდგენდა მიწის ნაკვეთი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში და ხსენებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის, სპორტული დარბაზისა და გათბობის წერტილის მშენებლობის ნებართვის გაცემის თხოვნით მათ მიმართეს ადგილობრივ გამგეობას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში, აღნიშნული რელიგიური ორგანიზაციის მშენებლობის ფაქტი, ადგილობრივმა მოსახლეობამ გაასაჩივრა. მოსახლეობის განცხადებაში აღნიშნულია, რომ მშენებლობას რელიგიური მოტივით ეწინააღმდეგებოდნენ.

მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რელიგიური თავისუფლების განყოფილების ხელმძღვანელის განმარტებით, მათ გამგეობაში შეუქმნეს დაბრკოლებები, რის გამოც იძულებულები გახდნენ, მოეთხოვათ წარმოების შეწყვეტა მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით.

<sup>459</sup> ბ. ჭ. - ს 2013 წლის 6 სექტემბრის №1885/1 განცხადება;

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია გამოითხოვა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან.<sup>460</sup> აღნიშნულმა უწყებამ საქართველოს სახალხო დამცველს აცნობა,<sup>461</sup> რომ მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის მოთხოვნის საფუძველზე, გამგეობაში შეწყდა წარმოება, მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით.

### ეკლესიის საკუთრებაში გადაცემა

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველს ასევე მიმართა საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის უფროსმა პასტორმა - გ.ჩ.-მ. განმცხადებლის ინფორმაციით, გორში მდებარე ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია არ წარმოადგენდა აღნიშნული რელიგიური გაერთიანების საკუთრებას. შესაბამისად, ისინი ვერ ახორციელებენ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის შემოღობვას. განმცხადებლის განმარტებით, აღნიშნულის გამო, ხშირია ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის დაზიანებისა და გაქურდვის ფაქტები. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიისთვის, გორში მდებარე ეკლესიის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

მიღებული კორესპონდენციით გვეცნობა, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად,

„სახელმწიფო ქონების შემძენი (გარდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების შემთხვევისა) შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია, აგრეთვე სახელმწიფოს, სხვა სუბიექტის ან სახელმწიფოსა და სხვა სუბიექტის მიერ ერთობლივად დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საქართველოს ეროვნული ბანკი, ხოლო საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით პირდაპირი მიყიდვისას – ასევე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია“.

ვინაიდან, აღნიშნული რელიგიური გაერთიანების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო მითითებული ნორმა არ ითვალისწინებდა საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემას, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ მიიჩნია, რომ იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას, ემსჯელა აღნიშნულ საკითხზე და

<sup>460</sup>საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის 17 სექტემბრის №04-9/1334 და 2013 წლის 07 ოქტომბრის №04-9/1698 წერილები;

<sup>461</sup>თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის 25 სექტემბრის №784-1/19 და 2013 წლის 16 ოქტომბრის №814-1/19 წერილები.



გამოთქვა მზადყოფნა, განეხილა საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიისათვის ზემოაღნიშნული ობიექტის სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2011 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, რელიგიურ გაერთიანებებს მიეცათ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრირების შესაძლებლობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებაზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი“. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, „...რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის მიმართ მოქმედებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციისთვის დადგენილი წესი და მათ უფლებამოსილებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი კარის მეორე თავი განსაზღვრავს.“<sup>462</sup>

აღნიშნულ სამართლებრივ ნორმათა ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ჩანაწერი, რომ რელიგიურ გაერთიანებებზე არ ვრცელდება საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“, ცალსახად იმგვარად ვერ განიმარტება, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებებზე ვრცელდება კერძო სამართლის სუბიექტებისათვის დადგენილი რეგულაციები. მითუმეტეს იმ ფონზე, როცა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას ცალკე გამოყოფს და მისთვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრების გადაცემას საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას უკავშირებს.

შესაბამისად, იმისათვის, რომ სსიპ სტატუსის მქონე რელიგიურმა გაერთიანებებმა ისარგებლონ იმავე უფლებით, რაც გააჩნია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, საჭიროა აღნიშნულ მუხლში შესაბამისი ცვლილება განხორციელდეს და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მსგავსად, აღნიშნული უფლება მიენიჭოს სსიპ სტატუსის მქონე სხვა რელიგიურ გაერთიანებებსაც.

## სიძულვილის ენა

2013 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ერთ-ერთი მწვავე პრობლემა სიძულვილის ენა იყო, რომელსაც კვალავაც აქტიურად იყენებდა ზოგიერთი მედია - საშუალება. ამგვარი საჯარო გამონათქვამების ტირაჟირებას განსაკუთრებით ბეჭდვითი მედიის ერთი ნაწილი ახდენს.

<sup>462</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი კარის მეორე თავი განსაზღვრავს იურიდიული პირის დეფინიციას. აღნიშნული თავი შეეხება როგორც კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ასევე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.

საგანგაშოა, რომ ამ ტიპის გამოცემები ამავდროულად ყველაზე რეიტინგული პროდუქციაა. მეორე მხრივ, დაუშვებელია ე.წ. სიძულვილის გამოხატვაზე რაიმე სახის სახელმწიფო რეგულაციის დაწესება, რადგან ეს, ჩვენს რეალობაში, სადაც უმცირესობები და მათი მხარდამჭერი აქტივისტები ხშირად ხდებიან ვერბალური თავდასხმების მსხვერპლნი, ისევ მათთვის რელიგიური ცენზურის, გამოხატვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვის დაწესების დიდ საფრთხეს შეიცავს.

### **დღესასწაულების მილოცვა**

უმალესი თანამდებობის პირები რელიგიურ უმცირესობებს რეგულარულად ულოცავდნენ მნიშვნელოვან დღესასწაულებს როგორც განცხადებების გავრცელებით, ასევე მათ სადღესასწაულო მსახურებებზე დასწრებით, რასაც რელიგიური უმრავლესობის ერთი ნაწილის მხრიდან კრიტიკული შეფასება მოჰყვა. ამასთან, იუდეური დღესასწაულის, ხანუქას აღნიშვნაში პრეზიდენტის მონაწილეობა, ექსტრემიზმის გამოვლინების საბაზიკ გახდა.

### **ხანუქას დღესასწაული**

2013 წლის 4 დეკემბერს მედია საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ებრაელ მრევლს ხანუქას დღესასწაული მიულოცა საქართველოს პრეზიდენტმა. აღნიშნული ფაქტის გასაპროტესტებლად მართლმადიდებელი მრევლის ერთმა ნაწილმა აქცია გამართა. გავრცელებული ინფორმაციით, აქციის ორმა მონაწილემ დააზიანა თავისუფლების მოედანზე დამონტაჟებული ტრიბუნა და ჩამოხია პლაკატი. მოგვიანებით გავრცელებული ინფორმაციით, დ.ლ.-ს და გ.ფ.-ს დაეკისრათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. საქართველოს სახალხო დამცველმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი ინიციატივით დაიწყო საქმისწარმოება. თბილისის საქალაქო სასამართლოდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოთხოვილი საქმის მასალებით თანახმად, 2013 წლის 5 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ გ.ფ. და დ.ლ. ცნო სამართალდამრღვევებად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით<sup>463</sup> და ადმინისტრაციული სახდელის სახით განუსაზღვრა ჯარიმა 100-100 ლარის ოდენობით.

<sup>463</sup> წვრილმანი ხულიგნობა.

რეკომენდაციები:

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- ჩატარდეს ეფექტური გამოძიება 2012-2013 წლებში მუსლიმი მოსახლეობის წინააღმდეგ სოფელ ნიგვზიანში, წინწყაროში და სამთაწყაროში განხორციელებულ ქმედებებზე, რომლებშიც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები იკვეთება.

საქართველო მთავარ პროკურატურას:

- ჩატარდეს 2013 წლის 26 აგვისტოს სოფელ ჭელაში მინარეთის მოხსნის ფაქტის და შესაბამისი მოხელეების და თანამდებობის პირების მიერ განხორციელებული ქმედებების გამოძიება.
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს 2009-2012 წლებში რელიგიური სიძულვილის ნიშნით ჩადენილი კანონდარღვევების გამო დაწყებული საქმეების გამოძიებას, ასევე მიმდინარე წელს დაწყებული საქმეების გამოძიებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს; საქართველოს მთავარ პროკურატურას:

- გამოძიება წარიმართოს იმ კონკრეტული მუხლებით, რომლებიც რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას, დევნას, რელიგიური რიტუალებისთვის ხელის შეშლას ითვალისწინებს. ასევე, რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში გამოყენებული იყოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი, რომელიც ამგვარ ქმედებას პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს.
- შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის თანამშრომლებისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ჩართულობით, ჩატარდეს კვალიფიციური ტრენინგები რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის დაცვის საკითხებზე.

საქართველოს მთავრობას:

- საქართველოს მთავრობამ მიიღოს ზომები ქვეყანაში რელიგიური ტოლერანტობის კულტურის ამაღლებისათვის, განსაკუთრებით საჯარო მოხელეებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების ცნობიერების ასამაღლებლად. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სისტემატურად ხდებოდეს პოლიციელების და პროკურორების გადამზადება დისკრიმინაციის და უმცირესობების უფლებების საკითხებზე.
- შეიქმნას ე.წ. რესტიტუციის საკითხთა შემსწავლელი კომისია, რომელშიც ჩართულები იქნებიან სახალხო დამცველი და არასამთავრობო ორგანიზაციები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, სახალხო დამცველის აპარატის და დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით შეიქმნას სპეციალური მონიტორინგისა და რეაგირების ჯგუფი, რომელიც საჯარო სკოლებში ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა იმპლემენტაციას გაუწევს მონიტორინგს და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მოახდენს მასზე სათანადო რეაგირებას.
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, შეიმუშაოს საგანგებო სამოქმედო გეგმა საჯარო სკოლებში დისკრიმინაციული გარემოს აღმოფხვრისა და ტოლერანტობის კულტურის დამკვიდრებისათვის.

საქართველოს მთავრობას; საქართველოს პარლამენტს:

- საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა უზრუნველყოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს მიერ 2012 წელს შემუშავებული რეკომენდაციების<sup>464</sup> შესრულება.
- გაგრძელდეს სხვა რელიგიური გაერთიანებების სამართლიანი და არადისკრიმინაციული საბიუჯეტო დაფინანსების საკითხის განხილვა, საერთაშორისო გამოცდილებისა და არსებული განსხვავებული მოდელების გათვალისწინებით. უზრუნველყოფილ იქნეს, ამ პროცესში შესაბამისი სფეროს ექსპერტებისა და უშუალოდ რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლების ჩაბმა.
- აღმოფხვრას უთანასწორო საგადასახადო რეჟიმი, რომლის მიხედვითაც სხვა რელიგიური გაერთიანებები მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებული წესით იბეგრება.

საქართველოს პარლამენტს:

- განხორციელდეს ცვლილება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლში, რომლის მიხედვით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მსგავსად, სსიპ სტატუსის მქონე სხვა რელიგიურ გაერთიანებებსაც მიეცემათ მათთვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრების გადაცემის უფლება.

<sup>464</sup> იხ. [http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619877&sub\\_id=1345202134](http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619877&sub_id=1345202134) > [ბოლოს ნანახია 17.03.2014]

## ეროვნული უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა

2013 წლის განმავლობაში სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა ძირითადად არ შეცვლილა. სახელმწიფო უწყებები სხვადასხვა სფეროებში ახორციელებდნენ შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ პროგრამებს.

სამოქალაქო ინტეგრაციისა და უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით გადაუჭრელია ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის საკითხი. უმცირესობები მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილი ცენტრალური ხელისუფლების დონეზე და ასევე სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მმართველ რგოლში. კვლავ პრობლემატური და აქტუალურია უმრავლესობისა და უმცირესობების ჯგუფებს შორის არსებული ურთიერთგაუცხოება და ნეგატიური სტერეოტიპების დამღევის საკითხი.

### განათლება

სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში ეროვნული უმცირესობების განათლების სფეროში ასახული გამოწვევების<sup>465</sup> მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ პრობლემად რჩება. კერძოდ, ეროვნული უმცირესობების ენებზე სწავლების მქონე სკოლებისთვის არ არსებობს ქართული სახელმძღვანელოების მშობლიურ ენაზე კვალიფიციური თარგმანი. ამასთან, მწვავედ დგას პედაგოგების ახალი თაობის მომზადების საკითხი, რაც პედაგოგის პროფესიით ახალგაზრდების ნაკლები დაინტერესებით არის გამოწვეული. არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგების დეფიციტი იმითაც არის განპირობებული, რომ ქართული უნივერსიტეტები არ ამზადებს პედაგოგებს ეროვნული უმცირესობების ენებზე სწავლების მქონე სკოლებისთვის, რაც თანდათან აძლიერებს ეროვნული უმცირესობების ენებზე სწავლების მქონე პედაგოგების დეფიციტს.

ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, განსაკუთრებით ქვემო ქართლში მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი, დაინტერესებულია ბავშვების ქართულ სკოლაში შეყვანით. სწავლის პროცესის გასაიოლებლად და საკომუნიკაციო დონეზე ქართული ენის შესასწავლად, მშობლებს სურთ ბავშვების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შეყვანა, სადაც ისინი ქართულ ენას ელემენტარულ დონეზე მაინც შეისწავლიან, მაგრამ რეგონებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, დიდი მოთხოვნის მიუხედავად,

<sup>465</sup> „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2012წ.“ საპარლამენტო ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველი, გვ.531.



ცოტაა. გარდა ამისა, არის სასკოლო ინვენტარის, სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების დეფიციტი.

ეროვნული უმცირესობების ენებზე სწავლების მქონე სკოლებში პრობლემად რჩება ორენოვანი სახელმძღვანელოების გამოყენების საკითხი. სახელმძღვანელოებში ბილინგვური სწავლების კონცეფციის გათვალისწინებით, მასალის ნაწილი - 30% ქართულ ენაზეა მოწოდებული, ხოლო - 70% - ეროვნული უმცირესობების მშობლიურ ენაზე. მაგრამ სახელმძღვანელოს ქართული ნაწილის გაგება უჭირს არათუ მოსწავლეების, არამედ პედაგოგების დიდ ნაწილსაც, რის შედეგადაც არა მხოლოდ ენის, არამედ თვითონ საგნის შესწავლაც გართულებულია. პედაგოგების მნიშვნელოვანი ნაწილი სრულად არ ან ვერ ასწავლის ორენოვანი სახელმძღვანელოებით (მშობელთა და პედაგოგთა ნაწილის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ასწავლიან მხოლოდ იმ ნაწილს, რაც პედაგოგს ესმის, ხოლო წიგნის ქართულ ნაწილს გაკვეთილზე ან ცუდად თარგმნიან, ან საერთოდ არ ასწავლიან). ამით ფერხდება ეროვნული უმცირესობების ენებზე სწავლების მქონე სკოლებში შესაბამისი საგნების შესწავლის პროცესი.

ბილინგვური განათლების თვალსაზრისით, ქვეყნის მასშტაბით იკვეთება ორენოვანი პედაგოგების, სახელმძღვანელოებისა და პედაგოგების მიერ ბილინგვური სწავლების მეთოდების ცოდნის პრობლემა. ამდენად, ორენოვანი სწავლების პროგრამები საჭიროებს დახვეწასა და შესაბამის მომზადებას.

### **ოსურენოვანი ტესტის საფუძველზე უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები ეროვნული გამოცდის ჩაბარების საკითხი**

საქართველოში ოსური თემის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა ყველა სფეროში და საამისოდ უნდა გამოიყენებოდეს სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ყველა რესურსი. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ოსი ახალგაზრდების საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის ფარგლებში განათლების უფლების რეალიზების საკითხი.

საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ 2009 წლის 17 ნოემბერს შევიდა ცვლილება. კანონის 5<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ახორციელებენ - „ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე სტუდენტების მიღებას“. ამავე ცვლილებით განისაზღვრა ჩასარიცხი სტუდენტების რაოდენობა - ხუთ-ხუთი პროცენტი ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე მისაღები სტუდენტებისათვის და თითო პროცენტი ზოგადი უნარების აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე მისაღები სტუდენტებისათვის.

აღნიშნული საკანონმდებლო ნორმის საფუძველზე, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ასობით სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ახალგაზრდა სწავლობს, რაც სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით დადებითი მოვლენაა, მაგრამ ეს ნორმა დღემდე არ ამოქმედებულა ოსურენოვანი აბიტურიენტებისთვის. 2010 - 2013 წლებში აბიტურიენტებს ოსურენოვანი ტესტით გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა არ მისცემიათ. კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ რამდენჯერმე შევიდა ცვლილება და გადაიწია ოსურენოვანი ტესტის საფუძველზე გამოცდის ჩაბარების ვადამ. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამჟამად მოქმედი ნორმის თანახმად (დასკვნითი დებულებები, 90-ე მუხლის 2<sup>3</sup> პუნქტი) აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა 2015 წლიდან უნდა ამოქმედდეს -

„2015–2016 სასწავლო წლის დასაწყისიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეების მხოლოდ ზოგადი უნარების აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა ამ კანონით დადგენილი წესით“.

ოსური თემის წარმომადგენელთა ინფორმაციით, გასულ წლებში ამ შეღავათით სარგებლობის მსურველმა აბიტურიენტებმა შესაბამისი პირობების არარსებობის გამო ვერ მიიღეს გამოცდებში მონაწილეობა.

ოსური თემის წარმომადგენლები და საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო წლების განმავლობაში სვამს აღნიშნული საკანონმდებლო ნორმის ოსურენოვანი აბიტურიენტებისთვის ამოქმედების საკითხს.

### **კულტურის განვითარება და თვითმყოფადობის შენარჩუნება**

საქართველოს ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით მოქმედებს საკანონმდებლო ნორმები და სპეციალური პროგრამები. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციით სწორედ სახელმწიფოს ეკისრება კულტურის განვითარების ხელშეწყობა და კულტურული ურთიერთობების გაღრმავების ვალდებულება (მუხლი 34.1). კონსტიტუციის ეს ნორმა ბუნებრივია, თანაბრად ეხება საქართველოს ყველა მოქალაქეს, მათ შორის ეროვნულ უმცირესობებს, რაც ასევე კონსტიტუციით არის განსაზღვრული –

„საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ“ (მუხლი 38.1).

საქართველომ 2005 წელს მოახდინა „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის ჩარჩო კონვენციის“ რატიფიცირება და შესაბამისად მოქმედებს ამ კონვენციის ყველა ის ნორმა, რაც არეგულირებს ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების საკითხს. კერძოდ „ჩარჩო კონვენციის“ მე-5 მუხლის მიხედვით -

„მხარეები იღებენ ვალდებულებას, შეუქმნან აუცილებელი პირობები იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მათი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის“.

ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით,

„მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი პოლიტიკისა და პრაქტიკის განხორციელებისაგან, რომლებიც მიზნად ისახავს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ასიმილაციას მათი სურვილის წინააღმდეგ და უნდა დაიცვან ეს პირები ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც მიზნად ისახავს ამგვარ ასიმილაციას.“

ამდენად სახელმწიფოს ეკისრება როგორც თვითმყოფადობის შენარჩუნების, ასევე ასიმილაციისგან დაცვის ვალდებულება.

ამავე კონვენციის მე-15 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, შექმნას აუცილებელი პირობები „ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობისთვის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში“.

საქართველოს მთავრობამ 2009 წელს დაამტკიცა „შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმა“, რომელშიც ცალკე თავად არის გამოყოფილი „კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება“. ამ დოკუმენტის მიხედვით, კონცეფციის მიზნად და ამოცანად განსაზღვრულია ეროვნული უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება; ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; ტოლერანტობის სულისკვეთების მხარდაჭერა; კულტურათაშორისი დიალოგისა და კავშირების ხელშეწყობა; საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობა; ეროვნული უმცირესობების კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის შესახებ საზოგადოების ცოდნის გაღრმავება და ქვეყნის კულტურულ ღირებულებად მათი წარმოჩენა.

აღნიშნული საკანონმდებლო ნორმები წარმოადგენს ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კულტურის სფეროში გასატარებელი პოლიტიკის სამართლებრივ საფუძვლებს, რაც შემდეგ შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებულ კონკრეტულ პროგრამებში უნდა აისახოს.

კულტურის სფეროში განხორციელებულ და განსახორციელებელ პროგრამებს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც კონკრეტული ეთნოსის კულტურული თვითმყოფადობის

შენარჩუნებისთვის, ასევე სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის. 2013 წელს ამ კუთხით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და სხვა ორგანიზაციებმა მრავალი პროექტი განახორციელეს, მაგრამ არის საკითხები, რაც განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს და თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობისა და თვითმყოფადობის დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური და ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული თეატრები, მაგრამ ამ თეატრების შენობები მრავალი წელია, სავალალო მდგომარეობაში იმყოფება. აღსანიშნავია, რომ ეს თეატრები ერთ-ერთი უძველესია სამხრეთ კავკასიაში. ორივე თეატრში საკმაოდ საინტერესო თეატრალური დასია, მაგრამ ამ თეატრების შესაძლებლობები სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით, ნაკლებად არის გამოყენებული, რადგან შენობების ავარიულობის გამო მყურებელი პრაქტიკულად ვერ ესწრება სპექტაკლებს. ამ შემთხვევაში ხელი ეშობება ეროვნული უმცირესობების შესახებ „ჩარჩო კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით და მე-15 მუხლებით განსაზღვრული უფლების რეალიზებას.

### **კულტურის სახლები რეგიონებში**

რეგიონებში, სოფლებში არსებული კულტურის სახლები დიდ როლს ასრულებდა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში. ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოფლების კულტურის სახლების დიდი ნაწილი (ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონების სოფლების) ძალზე სავალალო მდგომარეობაშია. შენობები დიდწილად ამორტიზებული და გამოუსადეგარია. არადა რაიონული ცენტრებიდან მოშორებულ სოფლებში სწორედ კულტურის სახლებმა შეიძლება იკისრონ სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის ფუნქცია. რა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვანია დედაქალაქში და ცენტრებში განხორციელებული სხვადასხვა პროგრამები, მაგრამ დედაქალაქისა და მსხვილი რაიონული ცენტრებისგან განსხვავებით, სოფლად მცხოვრები მოსახლეობა უფრო იზოლირებულია სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობი კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებისგან, მათ მიმართ განხორციელებული პროგრამების მხარდაჭერა ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა გახდეს.

### **კულტურულ-შემოქმედებითი კავშირები სხვადასხვა ქვეყნებთან და რეგიონებთან**

საკუთარი კულტურული თვითიდენტიფიკაციის შენარჩუნებისა და კულტურული ცხოვრების გაღრმავების თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სურვილის შემთხვევაში საქართველოს ყველა ეროვნულ უმცირესობას ჰქონდეს მჭიდრო კომუნიკაცია

შესაბამისი ერების სახელმწიფოებთან, სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებთან და თემებთან. საქართველოში მცხოვრებ სომხურ და აზერბაიჯანულ თემს ეს ურთიერთობები ჩამოყალიბებული აქვს კულტურის სფეროში, მაგრამ ჩრდილოკავკასიური ეთნოსები მსგავსი ურთიერთობების მოთხოვნის მიუხედავად, მის ნაკლებობას განიცდის. მართალია, თბილისში კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით გაიხსნა ჩერქეზული სახლი და ეს იყო ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რასაც უნდა მოეხდინა საქართველოსა და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ურთიერთობის სტიმულირება კულტურის სფეროში, მაგრამ დასანანია, რომ ეს ურთიერთობები წინა წლებში ანგაჟირებული პოლიტიკური ტონალობების ქვეშ წარიმართა, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა შემხვედრი ნაბიჯების გადმოდგმა ჩრდილოეთ კავკასიიდან. ჩრდილოეთკავკასიური წარმოშობის საქართველოს მოქალაქეებში არსებობს მოთხოვნა, ხელი შეეწყოს საქართველოში მცხოვრები ჩეჩნების, დაღესტნელებისა და სხვა კავკასიური ეთნოსების წარმომადგენელთა თანამშრომლობას კულტურის სფეროში ჩრდილოეთ კავკასიის შესაბამის რესპუბლიკებთან; ასევე, ხელი შეეწყოს ქართული და ჩრდილოკავკასიური კულტურების თანამშრომლობას. ამის აუცილებლობის შესახებ ხშირად საუბრობენ საქართველოს მოქალაქე ჩეჩნების, ინგუშების, დაღესტნელებისა და სხვა ეთნოსების წარმომადგენლები; ასევე არსებობს კულტურული ურთიერთობების გაღრმავების ინტერესი ქართული საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებშიც. ამ პროცესს, დროდადრო გარკვეული ბარიერები ექმნება, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აქვს შესაბამისი ვალდებულება აღებული, კერძოდ,

ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მე-17 მუხლის თანახმად -

„მხარეები იღებენ ვალდებულებას არ ჩაერიონ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების უფლების განხორციელებაში, დაამყარონ და შეინარჩუნონ მშვიდობიანი ურთიერთობები საზღვარგარეთ იმ პირებთან, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან სხვა სახელმწიფოებში და კერძოდ იმათთან, რომლებთანაც მათ აკავშირებთ საერთო ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური თვითმყოფადობა ან საერთო კულტურული მემკვიდრეობა“.

ხოლო ამავე კონვენციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით „სათანადო შემთხვევებში, მხარეები მიიღებენ ზომებს შესაბამისი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის წასახალისებლად“.

### **თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმის ოსური სახლის რეაბილიტაციის საკითხი**

თბილისის გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში არსებობს ე.წ. ოსური სახლი, რომელშიც დაცული იყო ოსური ეთნოსის ცხოვრების ამსახველი მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული მასალა. ამჟამად სავალალო მდგომარეობაში მყოფი და მნახველებისთვის დაკეტილი ოსური სახლი საჭიროებს რეაბილიტაციას. დასანანია, რომ ამ საკითხს შესაბამისი



ყურადღება წლების განმავლობაში არ მიქცევია. სახლის რეაბილიტაციის შემთხვევაში იგი შეიძლება გახდეს ოსურ-ქართული კულტურისა და ურთიერთობების მნიშვნელოვანი კერა.

## მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

2013 წლიდან საზოგადოებრივ მაუწყებელზე განახლდა უმცირესობათა ენებზე ყოველდღიური საინფორმაციო პროგრამების მომზადება. ეს გადაცემები ახალი გაუმჯობესებული და მაცურებლისთვის უფრო საინტერესო ფორმატით მზადდება. უმცირესობების ენებზე მომზადებული გადაცემები გადაიცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-2 არხით და ვრცელდება რეგიონული ტელევიზიების მეშვეობით.

მიუხედავად საზოგადოებრივი მაუწყებლის აქტივობისა, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ეროვნული უმცირესობების ინფორმირების კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს. ქვემო ქართლსა და სამცხე ჯავახეთში მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი საქართველოს საინფორმაციო არხების მიერ ბუნდოვნად არის ინფორმირებული საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, რაც ნეგატიურად აისახება სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესზე. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მომზადებული გადაცემები სრულად ვერ მოიცავს ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მოსახლეობას. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ეროვნული უმცირესობების ინფორმაციული უზრუნველყოფის თვალსაზრისით გადადგმული ნაბიჯები ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძალისხმევა ვერ უზრუნველყოფს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების სრულფასოვან ინფორმირებას. ინფორმაციის დეფიციტი კი აფერხებს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს.

ქართული მედია ეროვნული უმცირესობების საკითხს სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის კონტექსტით იშვიათად აშუქებს. ამკარად ჩანს, რომ მედია ძალზე ზედაპირულად უყურებს ამ საკითხს. უმცირესობებს მედია მხოლოდ მაშინ უთმობს ყურადღებას, როდესაც ადგილი აქვს რაიმე სახის კონფლიქტს, კრიმინალს, სკანდალური ამბავს, ან მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწის ვიზიტს უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონში. სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის კუთხით, გააზრებული და თანმიმდევრული სარედაქციო პოლიტიკის არსებობა არ იგრძნობა. დასაძინია, რომ სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის თვალსაზრისით მედიის რესურსი წლების განმავლობაში ეფექტიანად არ არის გამოყენებული.

## მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობები

სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობისა და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკითხებიდან, სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, ბოლო წლებში ძირითადი ყურადღება მიმართულია სამოქალაქო ინტეგრაციაზე და ყველაზე მრავალრიცხოვან ეროვნულ უმცირესობაზე საქართველოში, რაც, რა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

მაგრამ ამის პარალელურად, ბოლო წლებში ნაკლები ყურადღება ექცევა მცირერიცხოვან ეროვნულ უმცირესობებს, კერძოდ მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების თვითმყოფადობის, ენის, კულტურის, ტრადიციებისა და სხვა ეთნიკური თავისებურებების დაცვის საკითხს.

ვფიქრობ, რომ სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა და ეროვნული უმცირესობების მიერ საკუთარი იდენტიფიკაციის დაცვის ხელშეწყობა თანაბარი ღირებულებისა და მნიშვნელობის საკითხია და ამ თვალსაზრისით მუშაობა უახლოეს მომავალში უნდა დაიწყოს, ხოლო რიგ შემთხვევებში გაგრძელდეს.

პრობლემად რჩება მცირერიცხოვანი ეთნოსების მიერ სასკოლო განათლების ფარგლებში მშობლიური ენის შესწავლის საკითხი. განვიღწეოთ წლებში არაერთი თხოვნისა და დაპირების მიუხედავად ეს საკითხი კვლავ მოუგვარებელია. არსებობს ოსური, უკრაინული, ბერძნული, ჩეჩნური, დაღესტნური, უდიური, ასირიული, ქურთული და სხვა ენების სასკოლო განათლების ფარგლებში შესწავლის მოთხოვნა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ოსური ენის სწავლების საკითხი, რომლის ტრადიციაც არსებობდა წლების განმავლობაში, მაგრამ სამწუხაროდ ბოლო წლებში ამ ენის სწავლა რამდენიმე სკოლაში შეწყდა, მათ შორის იმ სკოლებში, სადაც არსებობდა სწავლების ტრადიცია, შესაბამისი კადრები და მოთხოვნა მოსწავლეებისა და მშობლების მხრიდან.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში ჩვენს თვალწინ ქრება ზოგიერთი მცირერიცხოვანი ეთნოსის ენა, მაგალითად იგივე უდიური ენა, რომელზე მოსაუბრეთა რაოდენობა საქართველოში რამდენიმე ათეულით შემოიფარგლება. დიდ ქალაქებში მცირდება იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც საუბრობენ ქურთულ, ასურულ და სხვა მცირერიცხოვანი უმცირესობების ენებზე. შესაბამისმა უწყებებმა ამ თემას დროულად უნდა მიაქციონ ყურადღება.

## ბოშები

სხვადასხვა მონაცემებით საქართველოში დაახლოებით 1500-დან 2500-მდე ბოშა ცხოვრობს. თუმცა მათი რაოდენობა სავარაუდოდ უფრო მეტი უნდა იყოს. მაგრამ ბოშათა ცხოვრების წესიდან გამომდინარე მათი ზუსტი აღრიცხვა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ბოშათა ნაწილი კომპაქტურად არის დასახლებული კახეთში, თბილისში,

ქობულეთში, ახალქალაქში, ქუთაისსა და გარდაბანში. საქართველოში მცხოვრები ბოშების დიდმა ნაწილმა არ იცის წერა-კითხვა. ბოშების წინაშე მრავალი სირთულე დგას განათლების მიღების, ადამიანის უფლებების დაცვის, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ცხოვრების ყველა სფეროებში. საქართველოში მცხოვრები ბოშების უდიდეს ნაწილს მცირე წარმოდგენაც კი არ აქვს საკუთარი უფლებების შესახებ.

ბოშები ძირითადად უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობენ, მაგრამ ამის მიუხედავად, მათი უმცირესი ნაწილი იღებს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთათვის განკუთვნილ სოციალურ შემწეობას. ავადმყოფობის შემთხვევაში ისინი ძალზე იშვიათად, ან, უკიდურესად მძიმე მდომარეობის დროს სარგებლობენ ექიმის მომსახურებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოშები ძირითადად საკუთარ სახლებში მშობიარობენ, რაც ტრადიციის, მწირი შემოსავლებისა და გარეშე პირთა მიმართ უნდობლობით აიხსნება. ბოშების დიდ ნაწილს არ აქვს პენსია და სხვა სახის სოციალური დახმარება.

ბოშებს არ აქვთ ნდობა სახელმწიფო უწყებების მიმართ და ცდილობენ თავი აარიდონ მათთან ყოველგვარ კონტაქტს. ბოშათა ნაწილმა არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით მიიღო პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, თუმცა ეს მათი ინტეგრაციისთვის არ არის საკმარისი.

ბოშების დიდი ნაწილი რთულ სოციალურ მდგომარეობაში იმყოფება და უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. ოჯახების მხოლოდ მცირე ნაწილი იღებს სახელმწიფოს მიერ სოციალურად დაუცველთათვის დაწესებულ შემწეობას. სხვა ოჯახების შემოსავლის ძირითად ნაწილს წვრილი ვაჭრობა, მკითხაობა და სხვადასხვა კერძო პირების მიერ მათთვის გაწეული დახმარება წარმოადგენს. ისინი არ არიან დასაქმებული არც კერძო და არც სახელმწიფო უწყებებში. ჯერჯერობით არ არსებობს პრეცედენტი, რომ ბოშათა თემის წარმომადგენელს რომელიმე სახელმწიფო უწყებაში ემუშაოს.

ბოშა ბავშვების დიდი ნაწილი არ დადის სკოლაში. შეხვედრების დროს ბოშები აცხადებდნენ, რომ მათ აქვთ სკოლაში სწავლისა და წერა-კითხვის შესწავლის სურვილი, მაგრამ შესაბამისი დოკუმენტების არარსებობა, სასწავლო მასალების სიძვირე და რთული სოციალური პირობები განათლების მიღების საშუალებას არ აძლევს.

ბოშების მიმართ მრავალი ნეგატიური დამოკიდებულება და სტერეოტიპია გავრცელებული. დაბალია მათ მიმართ ნდობა და კეთილგანწყობა. საქართველოში სახელმწიფოს მიერ დღემდე ბოშათა თემის მხარდაჭერაზე ორიენტირებული არცერთი პროგრამა არ განხორციელებულა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ბოშათა მხარდასაჭერად გაწეულ საქმიანობას სახელმწიფო უწყებები დადებითად აფასებდნენ. წინა წლებში ცალკეული ორგანიზაციები ახორციელებდნენ ბოშათა თემის მხარდაჭერას, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ბოშათა თემი ყველაზე დიდი სირთულეების წინაშე მყოფი ეთნოსია საქართველოში და მას განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება. ბოშათა თემისთვის ცხოვრების ყველა სფერო პრობლემურია.

## გაქრობის საშიშროების წინაშე მყოფი ეთნოსი - უდიები

საქართველოში უდიები ყვარლის რაიონის სოფელ ზინობიანში ცხოვრობენ. საქართველოში ამჟამად დაახლოებით 350 უდი ცხოვრობს. უდიების მცირე ჯგუფი ცხოვრობს აზერბაიჯანში. უდიების აზრით, ისინი კავკასიაში აბორიგენ ეთნოსს წარმოადგენენ და თავს ალბანელებად მიიჩნევენ.

დღევანდელი მდგომარეობით უდიების ეთნოსი გაქრობის საშიშროების წინაშე დგას. უდიური ენა მოსახლეობის უფრო და უფრო მცირე ნაწილმა იცის. სოფელ ზინობიანის სკოლაში არსებობს უდიური ეთნოგრაფიული მუზეუმი და ენთუზიასტი პედაგოგის მიერ ფაკულტატურად ისწავლება უდიური ენა. მაგრამ ენის შენარჩუნებისთვის ეს საკმარისი არ არის. უდიურ ენაზე უკვე ოჯახებშიც იშვიათად საუბრობენ და თუ არსებული ტენდენცია შენარჩუნდა, უდიური ენა პრაქტიკულად გაქრობის საშიშროების წინაშე დგება.

ვფიქრობთ, რომ სახელმწიფომ ამ საკითხს ყურადღება უნდა მიაქციოს, როგორც საკუთარი ძალისხმევით, ასევე შესაბამისი საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების ჩართვით. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს თვალწინ ქრება ერთ-ერთი უძველესი - უდიური ენა და მისი შენარჩუნებისთვის დროულად უნდა გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები.

## საქართველოს ქისტი/ჩეჩენი მოქალაქეების გადაადგილების თავისუფლების საკითხი

საქართველოს ქისტი/ჩეჩენი ეროვნების მოქალაქეები და, ასევე, საქართველოში კანონიერად მყოფი ჩეჩენი ლტოლვილები წლების განმავლობაში ჩივიან საქართველოს საზღვრის გადაკვეთის დროს მათ მიმართ წარმოქმნილი პრობლემების შესახებ. მათი განმარტებით, პრობლემები იმ წუთიდან იწყება, როგორც კი მესაზღვრე ქისტი/ჩეჩენი მოქალაქის მონაცემებს კომპიუტერულ ბაზაში შეიყვანს; მათ საათობით აჩერებენ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე, რითაც დისკომფორტი ექმნებათ, როგორც კონკრეტულ მოქალაქეებს, ისე სხვა მგზავრებს. აღსანიშნავია, რომ სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე რამდენიმესაათიანი ლოდინის შემდეგ, თბილისის აეროპორტში, შეუძლოდ გახდა პანკისის ხეობის სოფელ დუისის მკვიდრი, მძიმე ავადმყოფი მ.მ., რომელიც ბელორუსიდან მკურნალობის შემდეგ ნათესავებთან ერთად ბრუნდებოდა სახლში. ოჯახის წევრთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მოქალაქეებს კონკრეტულ განმარტებებს არ აძლევენ იმის შესახებ, თუ რატომ აჩერებენ საზღვარზე. ასეთი დამოკიდებულება ქისტ მოქალაქეებში მათი ეთნიკური და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციისა და სახელმწიფოს მხრიდან უნდობლობის შეგრძნებას იწვევს.

მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქე დაღესტნელებს, ქისტებს და სხვა ჯგუფების წარმომადგენლებს პრობლემები ექმნებათ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში მცხოვრები ნათესავებისა და მეგობრების სტუმრობის დროსაც; მრავალ ადამიანს

გაურკვეველი მოტივებით ეუბნებიან უარს საქართველოში შემოსვლაზე. მესაზღვრეები აღნიშნულს ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებით ასაბუთებენ. აღსანიშნავია, რომ მსგავს ფაქტებთან დაკავშირებით, ბოლო პერიოდში მომართვიანობა გახშირდა.

აღნიშნული ფაქტებით ირღვევა საქართველოს ჩეჩენი/ქისტი ეროვნების მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებები. საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია, რომ „ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან“ (მე-2 პუნქტი) და ასევე, „საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში“ (მე4 პუნქტი).

სასურველია, ამ თვალსაზრისით, გადაიხედოს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მდგომა და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ადამიანის გადაადგილების შეფერხების თაობაზე გადაწყვეტილებები მხოლოდ საფუძვლიანი სამართლებრივი არგუმენტაციის არსებობის შემთხვევაში მიიღებოდეს.

### **ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებში თანამშრომლობა სახელმწიფო უწყებებთან**

საანგარიშო წლის განმავლობაში, სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ სამუშაო შეხვედრები გამართა სახელმწიფო მინისტრთან შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრთან და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრთან. აღსანიშნავია, რომ ასეთი ხასიათის შეხვედრები ხელს უწყობს სახელმწიფო უწყებებსა და ეროვნულ უმცირესობებს შორის ინფორმაციის გაცვლას. ამ შეხვედრების დროს ეროვნულ უმცირესობებს ეძლევათ საშუალება სამინისტროების მაღალი რანგის მოხელეებთან ისაუბრონ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე და მიიღონ საჭირო ინფორმაცია. საბჭოსთან შეხვედრები კი თავის მხრივ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს ეხმარება ეროვნული უმცირესობების პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიღებაში, რაც შემდგომ ამ პრობლემის გადაწყვეტის საფუძველი ხდება.

სამწუხაროდ, ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს არაერთი თხოვნის მიუხედავად, წლის განმავლობაში სხვა უწყებებთან შეხვედრა ვერ მოხერხდა.

საბჭომ 2013 წლის 25 აპრილს თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან, რომელიც საბჭოსა და სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას ისახავს მიზნად.

მსგავსი თანამშრომლობის მემორანდუმები საბჭოს თითქმის ყველა სამინისტროსთან აქვს გაფორმებული, რაც სახელმწიფო უწყებებსა და ეროვნულ უმცირესობათა შორის ნდობის და



ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გაძლიერების საფუძველს წარმოადგენს. ამასთანავე, სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობა ხელს უწყობს ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის გაძლიერებას და მათი ჩართულობის გაზრდას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. გაფორმებული მემორანდუმების თანახმად, სამინისტროები თავის თავზე იღებენ ვალდებულებას, რეგულარულად გამართონ შეხვედრები საბჭოს წევრებთან და მიაწოდონ ინფორმაცია შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებისა და ზოგადად, ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებით, სამინისტროების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პროგრამების შესახებ.

\*\*\*

მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთ მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ ეროვნული უმცირესობების ჩართულობა და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; ასევე, ქვეყნისთვის აქტუალური საკითხების შესახებ გამართულ დისკუსიებში ეროვნული უმცირესობების სრულფასოვანი მონაწილეობა. ჩვენი დაკვირვებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში და მანამდეც, ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა როგორც გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე გამართულ დისკუსიებში, ძირითადად შემოიფარგლება ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობით. თავად ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები იშვიათად მონაწილეობენ ქვეყნის მომავალი განვითარებისა თუ ამჟამინდელი ვითარების განხილვა-დისკუსიებში. ერთი მხრივ მედია, ხელისუფლება, ექსპერტთა წრეები მხოლოდ მაშინ ინტერესდებიან ეროვნული უმცირესობების მოსაზრებით, როცა განსახილველი თემა საკუთრივ ეროვნულ უმცირესობებს ეხება, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების უდიდესი ნაწილი თავისი ინიციატივით მხოლოდ მაშინ მონაწილეობს დისკუსიებში, როდესაც საკითხი ეროვნული უმცირესობების კონკრეტულ თემს ეხება. ეს განპირობებულია, ერთი მხრივ, ჩვენი საზოგადოების, მედიისა და სახელმწიფო უწყებების ზოგიერთი წარმომადგენლის ზერელე დამოკიდებულებით საკითხის მიმართ, მეორე მხრივ, ეროვნული უმცირესობების მნიშვნელოვანი ნაწილის პასიურობით. ეს ორმხრივი არასწორი დამოკიდებულება საკითხისადმი, იწვევს ჩართულობის დაბალ დონეს და ინტეგრაციის რეალური ფორმების ნაკლებობას. სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესი იმ შემთხვევაში შეიძლება შეფასდეს სრულყოფილად, თუ ეროვნული უმცირესობები სრულფასოვნად ჩაერთვებიან ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესში, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნული უმცირესობების წინაშე არსებული პრობლემები აღიარებული და მიღებული იქნება სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ, არა როგორც მხოლოდ ერთი ეთნოსის წინაშე არსებული პრობლემა, არამედ მთელი საზოგადოების გამოწვევა, რომელიც ერთობლივი ძალებით უნდა დაიძლიოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ რეალურ და ეფექტიან სამოქალაქო ინტეგრაციაზე.

რეკომენდაციები:

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად 2015 წლიდან შესაძლებელი გახდეს უმაღლეს სასაწვლებლებში მისაღები საერთო ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების მხოლოდ ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი ტესტის საფუძველზე გამოცდის ჩაბარება.
- სასკოლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა სახელმძღვანელოებში სასურველია სხვადასხვა ეთნოსების კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის ამსახველი ინფორმაციის შეტანა;
- მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობებით დასახლებული ქალაქებისა და რეგიონების იმ სკოლებში, სადაც არის შესაბამისი მოთხოვნა მოსწავლეებისა და მშობლების მხრიდან, დაინერგოს მცირერიცხოვანი უმცირესობების ენის სწავლება (ოსური, უკრაინული, ბერძნული, ჩეჩნური, დაღესტნური, უდიური, ასირიული, ქურთული და სხვა ენები).
- მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების ენის შენარჩუნებისთვის გამოიცეს სახელმძღვანელოები, ლექსიკონები და სასაუბროები უდიურ ენაზე;

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს:

- გადაიჭრას პეტროს ადამიანის სახელობის სახელმწიფო სომხური თეატრისა და ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული სახელმწიფო თეატრის შენობების რეაბილიტაციისა და თეატრალური დასის მხარდაჭერის საკითხი;
- ხელი შეეწყოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებში კულტურის სახლების რეაბილიტაციას და მათში სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობი პროექტების განხორციელებას;
- შესაბამისი წინადადებებისა და მოთხოვნის შემთხვევაში, ხელი შეეწყოს საქართველოში მცხოვრები ჩეჩნების, დაღესტნელებისა და სხვა კავკასიური ეთნოსების წარმომადგენელთა თანამშრომლობას კულტურის სფეროში ჩრდილოეთ კავკასიის შესაბამისი რესპუბლიკების კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან და განხორციელდეს ამ თანამშრომლობის ხელშეწყობი პროგრამები;
- თბილისის გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში „ოსურ სახლს“ ჩაუტარდეს რესტავრაცია და აღდგეს მისი ფუნქციონირება;
- საქართველოს კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით განხორციელდეს მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების თვითიდენტიფიკაციის შენარჩუნების ხელშეწყობაზე ორიენტირებული პროგრამები;

- უდიდესი ენის, კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებისთვის საქართველოს ხელისუფლებამ – განათლებისა და კულტურის სამინისტროებმა გამოყონ შესაბამისი რესურსები და ხელი შეუწყონ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების ჩართვას ამ საკითხის გადაწყვეტაში.

ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს:

- ხელი შეეწყოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებში კულტურის სახლების რეაბილიტაციას და მათში სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობი პროექტების განხორციელებას.

საქართველოს მთავრობას:

- განხორციელდეს დამატებითი პროგრამები საიმისოდ, რომ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას ადეკვატური მასშტაბით, ქრონომეტრაჟითა და შინაარსით მიეწოდებოდეს ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ;
- ბოშათა თემის მხარდაჭერის მიზნით შემუშავდეს და განხორციელდეს სპეციალური პროგრამა სხვადასხვა სფეროებში (წერა-კითხვისა და სპეციალობების სწავლა, ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა, დასაქმებაში ხელშეწყობა, კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და პოპულარიზების ხელშეწყობა).

შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- მხოლოდ საფუძვლიანი სამართლებრივი დასაბუთებისა და უტყუარი/დადასტურებული (სახელმწიფო უსაფრთხოების თვალსაზრისით) ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში ეთქვათ უარი საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები და საქართველოში ნათესაური და საქმიანი კავშირების მქონე პირებს საქართველოში შემოსვლაზე;
- საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის დროს მხოლოდ საფუძვლიანი სამართლებრივი დასაბუთებისა და უტყუარი/დადასტურებული ინფორმაციის (სახელმწიფო უსაფრთხოების თვალსაზრისით) არსებობის შემთხვევაში განხორციელდეს საქართველოს მოქალაქე ქისტი/ჩეჩენი და სხვა ეროვნების პირების შეფერხება და მათ მიმართ აღმოიფხვრას რაიმე სახის განსხვავებული მოპყრობა.

## გამოხატვის თავისუფლება

გამოხატვის თავისუფლება, რომელიც მოიცავს ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებას, წინა წლების მსგავსად, საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო.

გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობითა და არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებით, მათ შორის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ 1950 წლის ევროპული კონვენციითა და 1966 წლის საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ.

*„ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“.<sup>466</sup>*

გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობაზე, მათ შორის ჟურნალისტების უფლებების განხორციელების უზრუნველყოფასა და ინტერნეტ მედიის როლზე ხაზგასმას წარმოადგენს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2013 წლის 7–8 ნოემბერს, ბელგრადში გამართული კონფერენციაზე მიღებული პოლიტიკური დეკლარაციები და რეზოლუციები. მინისტრთა კომიტეტმა მიღებულ დოკუმენტში ორი მნიშვნელოვანი საკითხი წამოწია წინ – უშიშროების სამსახურების მიერ მოქალაქეების ელექტრონული კომუნიკაციის მონაცემების შეგროვების საკითხის განხილვა და ის ფაქტი, რომ ბლოგერები და სხვა მედია აქტორები, ტრადიციული ჟურნალისტების მსგავსად უნდა სარგებლობდნენ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული გარანტიებით, როდესაც ისინი საზოგადოების ინტერესის ფარგლებში მოქმედებენ.<sup>467</sup>

წინამდებარე ანგარიშში განხილულია მედია გარემოსა და საჯარო დაწესებულებების მიერ საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული, საჯარო ინფორმაციის მიღების უფლების უზრუნველყოფის მდგომარეობა.

### მედია გარემო

თავისუფალი და დამოუკიდებელი მედია საჭიროა დემოკრატიული საზოგადოების ეფექტური ფუნქციონირებისთვის. დემოკრატიული მმართველობა ემყარება მოქალაქეთა უნარს, მიიღონ რაციონალური გადაწყვეტილებები, რომელიც ასევე მოითხოვს თავისუფალი მედიის მიერ ზუსტი ინფორმაციის გავრცელებას. მედია არა მხოლოდ აადვილებს კომუნიკაციას, არამედ ააშკარავებს პრობლემებს და სვამს საჯარო პირთა პასუხისმგებლობის

<sup>466</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხ 10, პუნ 1.

<sup>467</sup> გამოხატვის თავისუფლება და დემოკრატია ელექტრონულ ერაში, შესაძლებლობები, უფლებები და ვალდებულებები, მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭო, ბელგრადი, 7–8 ნოემბერი, 2013 წელი.

საკითხს. მედია არის გადამწყვეტი ეკონომიკური ზრდისთვისაც, რადგან ის არის პასუხისმგებელი ინფორმაციის მიწოდებაზე და გამჭვირვალობის ხელშეწყობი.<sup>468</sup>

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მედიის საქმიანობა არ არის შეუზღუდავი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, პრესამ უნდა დაიცვას დადგენილი საზღვრები, განსაკუთრებით პირთა რეპუტაციისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნით, ამასთან მის მოვალეობად რჩება ინფორმაციისა და იდეების გავრცელება საჯარო ინტერესის ნებისმიერ საგანზე, თავის ვალდებულებებთან შესაბამისი ფორმით.<sup>469</sup>

გამოხატვის თავისუფლების კუთხით, საქართველოში მედიისა და პრესის თავისუფლების ინდექსი ტრადიციულად საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეაფასეს.

დადებითად უნდა აღინიშნოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2013 წლის 1 მაისის დადგენილებით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამომიებო კომისიის შექმნა. კომისიის მიზანია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრთა მიერ შესაძლო დარღვევების ჩადენის საკითხის შესწავლა და აღნიშნულ საკითხზე დასკვნების, გადაწყვეტილებების პროექტების, რეკომენდაციებისა და წარდგინებების მომზადება პარლამენტის ბიუროსა და პლენარული სხდომისათვის. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობა მომავალშიც წარიმართოს იმგვარად, რომ სრულ შესაბამისობაში მოდიოდეს კანონის მოთხოვნებთან და შესაბამისი სუბიექტებისათვის გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობას უზრუნველყოფდეს.

საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშის მიხედვით, 2012 წელი, კერძოდ, წინასაარჩევნო პერიოდი, გამოირჩეოდა მედია-საშუალებების წარმომადგენელთა უფლებების დარღვევების უპრეცედენტო სიმრავლით.<sup>470</sup> გამოხატვის თავისუფლების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების გამოძიება და დამნაშავეთა დასჯაა. ამიტომ, საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის საგანს კვლავ წარმოადგენდა 2012 წელს გამოვლენილი დარღვევებზე გამოძიების მიმდინარეობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლებრივი წესით დასჯად ქმედებას წარმოადგენს ჟურნალისტის საქმიანობაში

<sup>468</sup> იხ. <http://globopress.wordpress.com> 2011.07.02. მედიის-როლი-განვითარება/ საერთაშორისო მედია თანამშრომლობის ცენტრის” სამუშაო ჯგუფის დასკვნა.

<sup>469</sup> „თურგისონი ისლანდიის წინააღმდეგ“, პ. 63.

<sup>470</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2012.



უკანონოდ ხელის შეშლა.<sup>471</sup> ასეთი მუხლის არსებობა ქვეყანაში ჟურნალისტების უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტს ადგენს.

პრობლემა, რომელიც მუდმივად აღინიშნებოდა საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში, ჟურნალისტთა უფლებადარღვევების არასათანადო კვალიფიკაცია და გამოძიება იყო. 2013 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების შედეგების მიხედვით გამოიკვეთა, რომ ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელებაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებს, მათ შორის 2012 წლის შემთხვევებს (წინასაარჩევნო პერიოდი) საგამოძიებო ორგანოების მიერ, უმეტეს შემთხვევაში, სწორი კვალიფიკაცია მიეცა და გამოძიება წარიმართა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154<sup>472</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, რაც მისასალმებელია. თუმცა, კვლავ ფიქსირდება შემთხვევები, როცა ჟურნალისტების საქმიანობაში ჩარევის შემთხვევებზე, საგამოძიებო ორგანოები თავს არიდებენ ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის 154 მუხლით<sup>473</sup> კვალიფიკაციას და მსგავსი ქმედებები კვალიფიცირდება, როგორც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, ცემა<sup>474</sup> ან წვრილმანი ხულიგნობა<sup>475</sup>. 2012 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მიერ შესწავლილ საქმეთა ნაწილზე შეწყდა გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში გამოძიება კვლავ გრძელდება.

2012 წლისაგან განსხვავებით 2013 წელი არ გამოირჩეოდა მედია საშუალებების წარმომადგენელთა უფლებების დარღვევების სიმრავლით, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა, საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი იქნა რამდენიმე შემთხვევა ჟურნალისტთა მომართვის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით.

### გელა მთივლიშვილის საქმე

კახეთის საინფორმაციო ცენტრის რედაქტორის გელა მთივლიშვილის მომართვის საფუძველზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 2013 წლის 27 ოქტომბერს საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობისას, ყვარლის მუნიციპალიტეტის №14 საარჩევნო უბანზე მომხდარი ინციდენტი. გელა მთივლიშვილის ახსნა-განმარტებისა და

<sup>471</sup> „1. ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ესე იგი, მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს ინფორმაციის გავრცელებისაგან. 2. იგივე ქმედება, ჩადენილი ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.“ სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 154.

<sup>472</sup> ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა

<sup>473</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოებში, 2013 წელს სსკ 154-ე მუხლით გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია ორ საქმეზე ოთხი პირის მიმართ, ხოლო სააპელაციო სასამართლოებსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2013 წელს აღნიშნული მუხლით არც ერთი საქმე არ განხილულა.

<sup>474</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლები 120 და 125.

<sup>475</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 166.

გავრცელებული ვიდეო მასალის<sup>476</sup> მიხედვით, ყვარლის მუნიციპალიტეტის №14 საარჩევნო უბნის თავმჯდომარემ და წევრებმა არ მისცეს გ. მთიელიშვილს შესაძლებლობა, გადაელო საარჩევნო პროცესი და ძალის გამოყენებით დაატოვებინეს საარჩევნო უბნის ტერიტორია.

საქართველოს სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის გადაუგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას.<sup>477</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული პასუხით<sup>478</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ გელა მთიელიშვილი მის მიერ განცხადებაში მოყვანილი ფაქტების დაზუსტების მიზნით, 2013 წლის 27 და 31 ოქტომბერს დაბარებული იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის მთავარი სამმართველოს ყვარლის რაიონულ სამმართველოში.

### საბა წიწიკაშვილის საქმე

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტმა - საბა წიწიკაშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლების მხრიდან სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით.

საბა წიწიკაშვილის მიერ საქართველოს სახალხო დამცველისათვის მიცემული ახსნა-განმარტებისა და წარმოდგენილი ვიდეომასალის მიხედვით, 2013 წლის 15 ნოემბერს კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საინფორმაციო სააგენტო [www.qartli.ge](http://www.qartli.ge)-ს ჟურნალისტები არ დაუშვეს. მუნიციპალიტეტის თანამშრომელმა - რ.თ-მ დაცვის პოლიციის თანამშრომლების დახმარებით, ფიზიკური ძალის გამოყენებით სცადა შენობიდან ჟურნალისტების გაძევება. საბა წიწიკაშვილის განმარტებით, მას არ მისცეს შენობაში გადაადგილების, შემდეგ კი სხდომათა დარბაზში შესვლის უფლება.

საქართველოს სახალხო დამცველმა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას.<sup>479</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 1 დეკემბრის წერილის მიხედვით, საქართველოს სახალხო დამცველის წინადადებისა და მიწოდებული მასალების შესწავლის შედეგად არ

<sup>476</sup> <http://www.youtube.com/watch?v=uzHUIc5JuQY>

<sup>477</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის 29 ოქტომბრის №11/2049 წერილი.

<sup>478</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 29 ნოემბრის №13/11030 წერილი.

<sup>479</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 20 ნოემბრის №11/2385 წინადადება.

არსებობს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. რის გამოც, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების დაწყება მიზანშეუწონლად მიიჩნევა.<sup>480</sup>

ევროპული სასამართლო განსაკუთრებული ყურადღებით განიხილავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სახელმწიფოს მოქმედებებს შეუძლია სურვილი დაუკარგოს პრესის წარმომადგენლებს, მონაწილეობა მიიღონ იმ საკითხების განხილვაში, რომელზეც არსებობს საზოგადოების კანონიერი ინტერესი. ასეთი ზომები ზოგჯერ შეიძლება იყოს ჟურნალისტების მიერ ინფორმაციის მოძიებაში უბრალოდ სირთულეების შექმნა.<sup>481</sup> უნგრეთის წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებაში ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დაბრკოლებებმა, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვას, შესაძლოა მედიასა და მსგავს სფეროში მოღვაწე პირებს დაუკარგოს ასეთი საკითხების შესწავლის სურვილი. შედეგად, მათ აღარ შეეძლებათ ძალზედ მნიშვნელოვანი, „საზოგადოებრივი მკონტროლების“ როლის შესრულება და სავარაუდოდ, საზოგადოებისათვის ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა შეფერხდება.<sup>482</sup>

აღნიშნულის გათვალისწინებით, ძალზედ მნიშვნელოვანია ჟურნალისტებს მიეცეთ მათი საქმიანობის თავისუფლად განხორციელების შესაძლებლობა და ზემოთ მოყვანილი საქმეების მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდეს, მით უფრო როდესაც საქმე ეხება საჯარო დაწესებულებებში, საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე ინფორმაციის მოძიებას.

### რადიო ჰერეთის საქმე

2013 წლის 21 ივნისს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გამოაცხადა კონკურსი,<sup>483</sup> თბილისში, კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად.<sup>484</sup> აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობას იღებდა ხუთი სამაუწყებლო კომპანია, რომელთა შორის იყო შპს „სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი“ და შპს „ენერჯი გრუპი“. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ საკუთარი გადაწყვეტილებით<sup>485</sup> რადიომაუწყებლობის ლიცენზია შპს „ენერჯი გრუპს“ მიანიჭა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ თბილისში, 2013 წლის 21 ივნისს კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებული კონკურსისა და კონკურსის

<sup>480</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 1 დეკემბრის №13/11341 წერილი.

<sup>481</sup> See, *Bladet Tromsø and Stensaas v. Norway*, application no. 21980/93, § 64 and *Jersild v. Denmark*, 23 September 1994, § 35.

<sup>482</sup> *Tarsasag a szabadsagjogokert v. Hungary*, application no. 37374/05.

<sup>483</sup> საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 21 ივნისის №403/10 გადაწყვეტილება.

<sup>484</sup> [http://gncc.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=7070&info\\_id=114225](http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=114225)

<sup>485</sup> საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს №529/10 გადაწყვეტილება.

შედეგად მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი. მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ კერძო საერთო რადიომალყველობის ლიცენზიის შპს „ენერჯი გრუპისათვის“ მინიჭების დროს დაირღვა „მალყველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, მათ შორის, შპს „ენერჯი გრუპის“ დირექტორი კახა ბაინდურაშვილი იმავდროულად იყო სსიპ სავაჭრო პალატის პრეზიდენტი, რაც კანონმდებლობის პირდაპირ დარღვევას წარმოადგენს.<sup>486</sup> შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველმა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.<sup>487</sup>

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა 2013 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება.<sup>488</sup> ხოლო, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, რადიო „ჰერეთის“ სარჩელის საფუძველზე 2014 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით, ბათილად ცნო კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება.<sup>489</sup>

### **საზოგადოებრივი მაუწყებლის ირგვლივ განვითარებული მოვლენები**

საანგარიშო პერიოდში მედია გარემოს შეფასებისას მნიშვნელოვანია მიმოხილული იქნეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ირგვლივ განვითარებული მოვლენები.

2013 წლის 4 მარტს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭომ უნდობლობა გამოუცხადა და თანამდებობიდან გადააყენა არხის გენერალური დირექტორი - გიორგი ბარათაშვილი. როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ირკვევა, 2013 წლის 4 მარტის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს სხდომას ესწრებოდა საბჭოს 12 წევრი.<sup>490</sup> მისი ერთ-ერთი წევრი - ზაზა კორინთელი სამეურვეო საბჭოს სხდომაში ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობდა. ხოლო, 2013 წლის 6 მარტს მან პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით ნოტარიუსთან გასცა თანხმობა გიორგი ბარათაშვილისათვის უნდობლობის გამოცხადების თაობაზე.<sup>491</sup>

აღნიშნული გადაწყვეტილება გიორგი ბარათაშვილმა გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ

<sup>486</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლი.

<sup>487</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 30 დეკემბრის №04-9/3209 რეკომენდაცია.

<sup>488</sup> საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 17 იანვრის №03/101-14 წერილი.

<sup>489</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება არ არის ძალაში შესული, რადგან არ გასულა მისი გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა.

<sup>490</sup> სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2013 წლის 4 მარტის სხდომის ოქმი №229 და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2013 წლის 4 მარტის №247 გადაწყვეტილება

<sup>491</sup> 2013 წლის 6 მარტის სანოტარო აქტი

2013 წლის 15 აპრილს დააკმაყოფილა გიორგი ბარათაშვილის სარჩელი და იგი აღდგენილი იქნა გენერალური დირექტორის თანამდებობაზე.<sup>492</sup>

2013 წლის 30 აგვისტოს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭომ კვლავ დააყენა გიორგი ბარათაშვილისათვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი და 2013 წლის 6 სექტემბერს ჩატარებული კენჭისყრით უნდობლობა გამოუცხადა მას.<sup>493</sup>

საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ასევე ირკვევა, რომ 2013 წლის 6 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს ორი წევრი - ნინო დანელია და ნატალია დვალი, რომელთაც სხდომაზე, ნოტარიულად გაცემული მინდობილობის საფუძველზე, წარმოადგენდნენ საბჭოს ყოფილი წევრი ლევან გახელაძე და მოქმედი წევრი მამუკა ფაჩუაშვილი. მამუკა ფაჩუაშვილი მიღებულ გადაწყვეტილებას ხელს აწერს ორჯერ - როგორც ნატალია დვალის წარმომადგენელი და როგორც სამეურვეო საბჭოს წევრი.<sup>494</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე მონაწილეობასა და ხმის მიცემას წარმომადგენლის მეშვეობით. საზოგადოებრივი მაუწყებელი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას და გააჩნია სპეციალური უფლებაუნარიანობა, რაც, განსხვავებით კერძო სამართლის სუბიექტებისაგან, გულისხმობს, რომ მას არ აქვს უფლება, განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რაც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მისი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრს არცერთი ნორმატიული აქტით არ აქვს მინიჭებული უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილებები წარმომადგენლის მეშვეობით.

გარდა ამისა, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 32<sup>1</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „თუ სამეურვეო საბჭომ უნდობლობა არ გამოუცხადა გენერალურ დირექტორს, დაუშვებელია მისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის დასმა მომდევნო 6 თვის განმავლობაში“. როგორც უკვე აღინიშნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2013 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით, ბათილად ცნო სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2013 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება, გიორგი ბარათაშვილისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ. ამდენად, ითვლება, რომ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური

<sup>492</sup> სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2013 წლის 29 აპრილის სხდომის ოქმი №235 და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2013 წლის 29 აპრილის №255 გადაწყვეტილება.

<sup>493</sup> სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2013 წლის 6 სექტემბრის სხდომის ოქმი №255 და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2013 წლის 4 მარტის №247 გადაწყვეტილება.

<sup>494</sup> 2011 წლის 4 ივლისის სანოტარო აქტი და 2013 წლის 29 აგვისტოს სანოტარო აქტი.



დირექტორისათვის უნდობლობა გამოცხადებული არ ყოფილა. ხოლო, 2013 წლის 30 აგვისტოს მისთვის განმეორებით უნდობლობის გამოცხადების შესახებ საკითხის დაყენება, წარმოადგენს დასახელებული კანონის მოთხოვნის დარღვევას, 6 თვის განმავლობაში უნდობლობის გამოცხადების საკითხის დასმის აკრძალვის შესახებ.

ზემოაღნიშნული საფუძველით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2013 წლის 20 დეკემბერს, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ გიორგი ბარათაშვილისათვის 2013 წლის 6 სექტემბერს გამოცხადებული უნდობლობის შესახებ გადაწყვეტილება ბათილად ცნო და გიორგი ბარათაშვილი აღდგენილი იქნა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე.

საანგარიშო პერიოდში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები, რომელიც სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ფორმირების წესს შეეხება. განხორციელებული ცვლილებით, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა შემცირდა 15-დან 9 წევრამდე და შერჩევის არსებულ კრიტერიუმებს დაემატა ახალი კრიტერიუმები. შეიცვალა სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების წესიც, რომელიც ითვალისწინებს სამოქალაქო სექტორის ჩართვასა და დაკომპლექტებაში საპარლამენტო უმცირესობის, უმრავლესობის, სახალხო დამცველისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მონაწილეობას. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით<sup>495</sup> ორ კანდიდატს სახალხო დამცველი, ერთს – აჭარის უმაღლესი საბჭო, სამს – საპარლამენტო უმრავლესობა და სამს – საპარლამენტო უმცირესობა ასახელებს. თუმცა, ამ ცვლილებების პრაქტიკაში იმპლემენტაციის დროს წარმოიქმნა გარკვეული პრობლემები და სამეურვეო საბჭოს ფორმირება დღემდე ჭიანჭურდება.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამეურვეო საბჭოს წევრი შეირჩევა ღია კონკურსის წესით.<sup>496</sup> კონკურსის საფუძველზე, სპეციალურმა საპარლამენტო კომისიამ 68 მსურველიდან 27 კანდიდატი აირჩია და პარლამენტს, აჭარის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს სახალხო დამცველს წარუდგინა. კანდიდატები მათი პროფესიული გამოცდილების, მათ მიერ მიერ მომზადებული საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების კონცეფციის პირდაპირ ეთერში განხილვისა და სატელევიზიო დებატების შედეგად შეირჩნენ.

საქართველოს სახალხო დამცველმა და აჭარის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს პარლამენტს სამეურვეო საბჭოს წევრები კანონით დადგენილი წესით წარუდგინეს. რაც შეეხება საპარლამენტო უმცირესობასა და უმრავლესობას, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ წარადგინა სამეურვეო საბჭოს წევრობის ორი, ხოლო, „ქართულმა ოცნებამ - დემოკრატიულმა საქართველომ“ ერთი კანდიდატი, ნაცვლად სამ-სამი კანდიდატისა.

<sup>495</sup> მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხ. პუნ. 2

<sup>496</sup> მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხ. პუნ. 1

საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სამეურვეო საბჭოს წევრები გახდნენ საპარლამენტო უმცირესობის კანდიდატი - ქეთევან მსხილაძე, საპარლამენტო უმრავლესობის კანდიდატი - ნათელა სახოკია და სახალხო დამცველის კანდიდატი - მარინა მუსხელიშვილი. კენჭისყრაზე ხმების საკმარისი რაოდენობა ვერ მოაგროვა აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ დასახელებულმა კანდიდატმა გენადი გელაძემ, უმცირესობის კანდიდატმა - ნინია კაკაბაძემ და სახალხო დამცველის კანდიდატმა - ლელა გაფრინდაშვილმა. ამის გამო, აღნიშნულმა სუბიექტებმა კანდიდატები პარლამენტს დასამტკიცებლად კიდევ ერთხელ 2014 წლის 6 იანვარს წარუდგინეს, რის შემდეგაც საქართველოს პარლამენტმა სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი მეორე კანდიდატი – ლელა გაფრინდაშვილიც დაამტკიცა.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თუ სამეურვეო საბჭო სრულად ვერ დაკომპლექტდა, კონკურსი ხელახლა ცხადდება - „თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის ხმები და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო ვერ დაკომპლექტდა 9 წევრით, დარჩენილი ვაკანტური ადგილებისთვის ხელახალი კონკურსი იმართება“<sup>497</sup>.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს საქართველოს სახალხო დამცველის, საპარლამენტო უმრავლესობის, საპარლამენტო უმცირესობის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატების განსაზღვრული რაოდენობის საქართველოს პარლამენტისათვის წარუდგენლობის შემთხვევას. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი განმეორებით კონკურსის გამოცხადებას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, როდესაც უფლებამოსილი პირების მიერ დასახელებული ცხრა კანდიდატიდან საქართველოს პარლამენტი ორჯერ ვერ დააკომპლექტებს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს. შესაბამისად, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის მიერ მათი კვოტით გათვალისწინებული კანდიდატების სრული რაოდენობის დაუსახელებლობამ, პროცესი კანონის დანაწესის მიღმა გაიყვანა. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველს, აჭარის უმაღლეს საბჭოს, საპარლამენტო უმრავლესობას და უმცირესობას საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული კონკურსანტებიდან უნდა შეერჩიათ და საქართველოს პარლამენტისთვის დასამტკიცებლად წარედგინათ სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატების დადგენილი რაოდენობა. საპარლამენტო უმრავლესობამ და უმცირესობამ კანონის ეს მოთხოვნა ვერ შეასრულეს. დღეის მდგომარეობით, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს არსებული შემადგენლობა არ არის ქმედუნარიანი, მიიღოს გადაწყვეტილებები მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე.

<sup>497</sup> მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხ. პუნ. 9

ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 2014 წლის 19 თებერვალს, არსებითად განსახილველად მიიღო სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების კონსტიტუციური სარჩელი და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეაჩერა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ ნორმათა მოქმედება, რომლებიც ეხება საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ახალი წესით დაკომპლექტების, მეურვეების არჩევისა და მათი უფლებამოსილების ცნობის საკითხებს.<sup>498</sup>

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორისათვის უნდობლობის გამოცხადების და სამეურვეო საბჭოს ფორმირების ირგვლივ შექმნილი მდგომარეობა ქვეყანაში არსებულ მედია გარემოზე უარყოფით გავლენას ახდენს. შესაძლებელია, იგი ცალკეული პირების მხრიდან აღქმული იქნას, როგორც საზოგადოებრივ მაუწყებელზე პოლიტიკური ძალების მიერ გავლენის მოპოვების მცდელობა. ამდენად, აუცილებელია სამეურვეო საბჭოს ფორმირების პროცესში ყველა მონაწილე პირის მიერ გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, რათა არ გაგრძელდეს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევა.

### **ინფორმაციის თავისუფლება**

ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომების პრინციპი განმტკიცებულია როგორც უზენაესი კანონით - კონსტიტუციით, ისე საკანონმდებლო აქტებითა და საქართველოსთვის სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო ინსტრუმენტებით. მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევის არაერთი შემთხვევა ფიქსირდება საჯარო დაწესებულებების უფლებამოსილი პირების მხრიდან.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება შეისწავლა ორი მიმართულებით: ადმინისტრაციულ ორგანოებში დაცულ საჯარო ინფორმაციაზე მოქალაქეების ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზაციისა და ყოველი წლის 10 დეკემბერს საჯარო დაწესებულებებისათვის განსაზღვრული კანონისმიერი ვალდებულების კუთხით – წარუდგინონ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე ანგარიში საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტსა და პრემიერ-მინისტრს, ასევე გამოაქვეყნონ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში.

<sup>498</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/1/569 საქმეზე 2014 წლის 19 თებერვლის საოქმო განჩინება, იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [http://constcourt.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=6&info\\_id=1256](http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=6&info_id=1256)

## ხელმისაწვდომობა საჯარო ინფორმაციაზე

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი საქართველოს ყოველ მოქალაქეს ანიჭებს უფლებას კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ამასთან, მოცემული ნორმა სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას - გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე, მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმები დეტალურად არის გაწერილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციის გამოთხოვის უფლებას ერთმნიშვნელოვნად ანიჭებს „საქართველოს ყოველ მოქალაქეს“, თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2006 წლის 14 ივლისის №2/3/264 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „[...] აღნიშნული მუხლი ღიად მიიჩნევს სახელმწიფო დაწესებულებებში დაცულ ოფიციალურ ინფორმაციას და ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აძლევს მათი გაცნობის შესაძლებლობას [...]“.

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ საქმეთა ანალიზი ნათელყოფს, რომ მოქალაქეებს, ხშირად, ხელი არ მიუწვდებათ ადმინისტრაციულ ორგანოებში დაცულ საჯარო ინფორმაციაზე. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ცალკეულმა პირებმა საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაცია მოიპოვეს უშუალოდ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მეშვეობით. ხოლო, რიგ შემთხვევებში, სახელმწიფო დაწესებულებები რეაგირების გარეშე ტოვებდნენ მოქალაქეთა განცხადებებს და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განუმარტავდნენ, რომ მათი მხრიდან მსგავსი ქმედება უნდა ჩათვლილიყო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმად. ამ კუთხით, საკანონმდებლო ნორმების არასწორი განმარტების პრობლემა ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან დაფიქსირდა წინა საანგარიშო პერიოდებშიც<sup>499</sup>, ამიტომ მიზანშეწონილია მცირე სამართლებრივი ანალიზის წარმოდგენა:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

<sup>499</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 365.

გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად. აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების შედეგებს, იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე მას ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მოთხოვნით მიმართავს. რაც შეეხება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევას, მოქალაქე განცხადებით ითხოვს ადმინისტრაციული ორგანოსაგან საჯარო ინფორმაციის მიღებას, რაც განსხვავდება ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მოთხოვნისაგან. საჯარო ინფორმაციის მიღებასა და გაცემასთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავი და სწორედ აღნიშნული საკანონმდებლო აქტის 41-ე მუხლის პირველი ნაწილი ავალდებულებს საჯარო დაწესებულებას, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი დაუყოვნებლივ აცნობოს განმცხადებელს. აღსანიშნავია ისიც, რომ საჯარო დაწესებულების ვალდებულება ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, მხოლოდ შეტყობინებით არ შემოიფარგლება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „[...] საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი [...]“.

## ლ.ჯ-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველმა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა დაადგინა მოქალაქე ლ.ჯ-ს საქმეში. ლ.ჯ-მ, 2013 წლის 26 ივნისს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, მიმართა ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს და მოითხოვა ინფორმაცია - რამდენი თანამშრომელი ირიცხებოდა შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდში - 2013 წლის პირველ თებერვლამდე და რამდენი თანამშრომელი ირიცხებოდა განცხადების წარდგენის დროისთვის, როგორც შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე, ისე ხელშეკრულების საფუძველზე. 2013 წლის 28 ივნისს ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ ლ.ჯ-ს აცნობა, რომ მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს შიდა ინფორმაციას და მისი გაცემის ვალდებულება სააგენტოს არ გააჩნია. მოგვიანებით, ლ.ჯ-ს მიმართვის საფუძველზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის წერილით, ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორს ეთხოვა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყო მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა, თუმცა, აღნიშნული მითითება არ შესრულებულა.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შემოწმების შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს (სააგენტო წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციას, რომლის დაფინანსების ერთ-ერთი წყაროა



სახელმწიფო ბიუჯეტი<sup>500</sup> და მისი საჯარო მიზანია სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში) დირექტორი ვალდებული იყო გაეცა მოქალაქე ლ.ჯ.-ს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, ვინაიდან იგი არ განეკუთვნებოდა, კანონით დადგენილი წესით, პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას.

საქართველოს სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ, რომელიც წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას და ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, მოცემულ შემთხვევაში, დაარღვია კანონის უზენაესობის პრინციპი.<sup>501</sup> კერძოდ, ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორმა უფლებებელყო საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გარანტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება.<sup>502</sup>

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში გამოკვეთილ პრობლემას წარმოადგენს საჯარო დაწესებულებების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-20 მუხლის დანაწესის შეუსრულებლობა, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, დაამოწმოს მის მიერ ან მისი ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ან სხვა დოკუმენტების ასლები, თუ დედანის და ასლის შინაარსი შეესაბამება ერთმანეთს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს

---

<sup>500</sup> 2013 წლის 23 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №2144 „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ანგარიშზე თანხის გადარიცხვის შესახებ“ განკარგულების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაზღვრულია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დამტკიცებული ქვეპროგრამების: „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება“ (პროგრამული კოდი 37 01 03) და „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია“ (პროგრამული კოდი 37 01 04) ფარგლებში აუთვისებელი თანხებიდან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ანგარიშზე მიმართოს შეღავათიანი აგროკრედიტის დაფინანსებისათვის 6 586 300 (ექვსი მილიონ ხუთას ოთხმოცდაექვსი ათას სამასი) ლარი და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ღონისძიებებისათვის 22 400 000 (ოცდაორი მილიონ ოთხასი ათასი) ლარი.

<sup>501</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

<sup>502</sup> საქართველოს სახალხო დამცველმა, 2014 წლის 11 თებერვალს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, წინადადებით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრს, მოითხოვა ლ.ჯ.-ს საქმის შესწავლა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის წინააღმდეგ, რომელმაც უფლებებელყო მოქალაქე ლ.ჯ.-ს კანონისმიერი უფლებები.

მიერ გაცემული საჯარო ინფორმაცია შედგენილი იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევით.<sup>503</sup>

## 10 დეკემბრის ანგარიშების კანონშესაბამისობა

2013 წლის 20 სექტემბერს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლში განხორციელდა ცვლილება, რომლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულებებს საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის გარდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა და აღნიშნული ანგარიშის საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების ვალდებულება განესაზღვრათ.

სახელმწიფო ორგანოთა უმრავლესობამ, ზემოაღნიშნული ნორმით განსაზღვრული, ინფორმაციის შემცველი ანგარიშები, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სრულყოფილად შეისწავლა 16 სამინისტროსა და 15 საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის წარდგენილი ანგარიშები. შესწავლილი ანგარიშების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მათი უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით<sup>504</sup> რეგლამენტირებულ მოთხოვნებს, კერძოდ:

<sup>503</sup> „3. არ შეიძლება დამოწმდეს დოკუმენტი, რომლის შინაარსი შეცვლილია ან დარღვეულია მისი მთლიანობა. 4. დოკუმენტის დამოწმების დროს შედგება დამოწმების ფურცელი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ა) დოკუმენტის ზუსტ დასახელებას;
- ბ) ასლის დედანთან შესაბამისობის დადასტურებას;
- გ) დამოწმების დროსა და ადგილს;
- დ) პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ხელმოწერას, სამსახურებრივ ბეჭედს;

5. დამოწმებული ასლის ყოველ გვერდს უნდა დაესვას სამსახურებრივი ბეჭედი და ჰქონდეს პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ხელმოწერა.

6. ადმინისტრაციული აქტის ან სხვა დოკუმენტის დამოწმება დადგენილი წესით რეგისტრირებული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ ორგანოში.“ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 20.

<sup>504</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, ყოველი წლის 10 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგინოს, აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნოს ანგარიში:

- ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;
- ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური

- საჯარო დაწესებულებების მიერ შედგენილი ანგარიშები უმეტეს შემთხვევაში შეიცავს არასრულყოფილ, ქაოტურ ინფორმაციას ან სრულიად არ შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;
- საჯარო დაწესებულებები, რიგ შემთხვევებში სრულიად ვერ ერკვევიან, როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების, ისე ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის პრინციპის არსში;
- უმრავლეს შემთხვევაში არ არის ასახული დაწესებულებებში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზებისა და მათ მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ ინფორმაცია;
- უმრავლეს შემთხვევაში არ არის მითითებული საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა, რომელთაც მიიღეს გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ;
- უმრავლეს შემთხვევაში არ არის ასახული, როგორც საკანონმდებლო აქტების შესახებ ინფორმაცია, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი ანგარიშების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის დანაწესს

---

საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ;

ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე;

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.

და აღნიშნული ნორმით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, საჯარო დაწესებულებათა უმრავლესობა არაჯეროვნად ასრულებს.

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავარ პროკურატურას და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- ჟურნალისტური საქმიანობის ხელის შეშლის შემთხვევებს მიეცეს სწორი კვალიფიკაცია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით; დაიწყოს გამოძიება ჟურნალისტური საქმიანობისათვის ხელის შეშლის თითოეულ შემთხვევაზე და ჩატარდეს დროული და ეფექტური გამოძიება.

საქართველოს პარლამენტს:

- სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს შევსება მოხდეს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა პატივისცემითა და დაცვით.
- განხორციელდეს სათანადო მოქმედებები, რის საფუძველზეც საქართველოს კანონმდებლობით დადგინდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის უკანონოდ თქმისათვის;
- განახორციელოს იმ სახის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც აიძულებს საჯარო დაწესებულებებს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მიხედვით, ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგინოს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით დადგენილი რეგულაციების შესრულების შესახებ“ სრულყოფილი ანგარიში.

შესაბამის ორგანოებს:

- განხორციელდეს სათანადო ღონისძიებები ევროპის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ კონვენციის“ რატიფიკაციისათვის საჭირო პროცედურების დასაწყებად, რათა აღნიშნული დოკუმენტით დადგენილმა სტანდარტებმა ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების უფლების უზრუნველყოფისათვის, კიდევ ერთი დამატებითი სამართლებრივი ბერკეტის სახით, სავალდებულო ხასიათი შეიძინოს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოებისათვის.





## შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება გარანტირებულია ეროვნული კანონმდებლობით – საქართველოს კონსტიტუციით, „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით და მთელი რიგი საერთაშორისო აქტებით, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-11 მუხლითა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 21-ე მუხლით.

სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, არა მხოლოდ არ ჩაერიოს შეკრებისა და მანიფესტაციების უფლების რეალიზაციაში, არამედ, ხელი შეუწყოს მის სრულფასოვან განხორციელებას. სახელმწიფო ვალდებულია, *inter alia*, დაიცვას მშვიდობიანი შეკრების მონაწილეები ნებისმიერი პიროვნებისგან ან ჯგუფისგან, რომელიც შეეცდება აქციისთვის ხელის შეშლას.

2013 წელს შეკრებისა და მანიფესტაციების მარეგულირებელ ეროვნულ კანონმდებლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა. შესაბამისად, დღის წესრიგში რჩება საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2011–2012 წლების საპარლამენტო ანგარიშებში ასახული რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც, ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას შეუწყობს ხელს. საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიშში დეტალურადაა განხილული „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის ნაკლოვანებები, რაც დღემდე აქტუალურია. „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების მიღმა კვლავ რჩება სპონტანური აქციების ჩატარების წესი. იმ შემთხვევებში, როდესაც აქციის მონაწილეთა მიერ შესაბამისი ორგანოების წინასწარი გაფრთხილება შეუძლებელია, სახელმწიფო ორგანოებს მაინც აქვთ ვალდებულება დაიცვან ასეთი შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეები.<sup>505</sup> სპონტანური შეკრების მარეგულირებელი ნორმების აუცილებლობაზეა საუბარი „შეკრებისა და მანიფესტაციების“ შესახებ საქართველოს კანონში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის 2011 წლის 14-15 ოქტომბრის დასკვნაში.<sup>506</sup>

საანგარიშო პერიოდში რამდენიმე ფართომასშტაბიანი აქცია გაიმართა, რომელთა დიდი ნაწილი უფლებადარღვევის გარეშე ჩატარდა. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ წინა წლებისაგან განსხვავებით, 2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველისათვის არ გამხდარა ცნობილი, სამართალდამცავთა მხრიდან, კანონმდებლობის მოთხოვნათა

<sup>505</sup> Guidelines on Freedom of Peaceful Assembly - Strasbourg- Warsaw, 9 July 2010, Study no. 581/2010, CDL-AD(2010)020 – European.

Comission for Democracy Through Law (Venice Commission), OSCE/ODIHR p.15.

<sup>506</sup> Final Opinion On The Amendments To The Law On Assembly And Manifestaons Of Georgia, Adoped by the Venice Commission at its.

88th Plenary Session (Venice, 14-15 October 2011), CDL-AD(2011)029, Strasbourg, 17 October, 2011.

დარღვევით აქციის მასობრივი დაშლის ან/და არაპროპორციული ძალის გამოყენების შემთხვევები.

მიუხედავად ამისა, იყო შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავებმა ვერ შეძლეს ეფექტური რეაგირება შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლების უზრუნველყოფისთვის. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც გამოიკვეთა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – მშვიდობიანი შეკრების მონაწილეების მიმართ კონტრდემონსტრანტების მხრიდან აგრესიის გამოხატვისას ან/და ცალკეულ შემთხვევაში, პოლიციელთა მიერ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ფაქტები.

2013 წლის 1 მაისს სტუდენტების ინიციატივით ჩატარდა მშვიდობიანი მანიფესტაცია მშრომელთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად. აღნიშნული აქციის ამსახველი ვიდეო - მასალის<sup>507</sup> შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტებმა მშვიდობიანი მსვლელობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოდან დაიწყეს, რომელიც მარჯანიშვილის მოედნამდე გაგრძელდა და მოგვიანებით, რუსთაველის გამზირზე გადაინაცვლა. აქციის დასასრულს, რუსთაველის გამზირზე, მსვლელობაში მონაწილეთა რაოდენობიდან გამომდინარე, შეკრების მონაწილეებმა გზის სავალი ნაწილი დაიკავეს. პოლიციის თანამშრომლებმა დემონსტრანტების ტროტუარზე დაბრუნება სცადეს, რასაც აქციის მონაწილეთა ნაწილი არ დაემორჩილა. მედია საშუალებებით გავრცელებული ვიდეო და ფოტო მასალით დასტურდება,<sup>508</sup> რომ აღნიშნულს მოჰყვა სამართალდამცავების მხრიდან არაადეკვატური ფიზიკური ძალის გამოყენება. შედეგად, სამართალდამცავებმა აქციის 37 მონაწილე დააკავეს.<sup>509</sup> გავრცელებული ფოტო და ვიდეო მასალით ასევე დასტურდება, რომ აქციის მონაწილეთა დაკავებაში სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირები მონაწილეობდნენ. აქციის ამსახველი კადრებიდან ირკვევა, რომ სამართალდამცველებს არ მიუციათ სათანადო გაფრთხილება აქციის მონაწილეებისათვის, რათა მათ კანონით დადგენილ ვადაში შეეწყვიტათ მანიფესტაცია.<sup>510</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ საჯარო სივრცეში გამართულმა ნებისმიერმა დემონსტრაციამ შესაძლოა შექმნას ჩვეულებრივი ცხოვრებისათვის გარკვეული

<sup>507</sup> <http://www.youtube.com/watch?v=X9y3dtmKX2Q>

<sup>508</sup> <http://www.youtube.com/watch?v=HhiWeY2cit4>

<sup>509</sup> თბილისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 13 ივნისს დაასრულა 2013 წლის 1 მაისს ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა საქმეების განხილვა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციული სახდელი 400 ლარის ოდენობით დაეკისრა მანიფესტაციის 6 მონაწილეს, 100 ლარის ოდენობით - 9 მონაწილეს, სასამართლომ მანიფესტაციის 18 მონაწილე გაათავისუფლა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და შემოიფარგლა სიტყვიერი შენიშვნით, ხოლო 4 პირის მიმართ შეწყვიტა საქმის წარმოება სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო.

<sup>510</sup> <http://www.youtube.com/watch?v=-O8N-OwYMKs>

დისკომფორტი, მათ შორის შეაფერხოს ტრანსპორტის მოძრაობა, თუმცა, როდესაც დემონსტრაციის მონაწილეები არ არიან ჩაბმული ძალადობრივ ქმედებებში, მნიშვნელოვანია სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოჩინონ გარკვეული ხარისხის ტოლერანტობა მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა მიმართ.<sup>511</sup>

2013 წლის 1 მაისს გამართული აქციის დასასრულს, აქციის მონაწილეთა მიერ გზის სავალი ნაწილის ხანმოკლე და ნაწილობრივი დაკავება, რასაც შესაძლოა მოჰყვა ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხება, არ შეიძლებოდა გამხდარიყო დემონსტრანტთა მიმართ ძალის გამოყენებისა და აქციის შეწყვეტის საფუძველი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადგილი ჰქონდა აქციის ცალკეული მონაწილეების მხრიდან კანონდარღვევას, ეს არ უნდა ყოფილიყო აქციის დაშლის საფუძველი. საგულისხმოა, რომ გაფრთხილება, კანონით მოთხოვნათა დაცვის ან/და აქციის დაშლის შესახებ აქციის მონაწილეთა მიმართ კანონმდებლობით დადგენილი წესით<sup>512</sup> გაკეთებული არ ყოფილა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამართალდამცავების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირების მხრიდან აქციის მონაწილეების მიმართ გამოხატული აგრესიისა და მათ დაკავებაში მონაწილეობის ფაქტებს, რაც წლების მანძილზე არსებული უარყოფითი ტენდენციის გაგრძელებაა.

2013 წლის 17 მაისს<sup>513</sup> არასამთავრობო ორგანიზაციების - „იდენტობისა“ და „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ მიერ ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია იყო დაგეგმილი თბილისში, რუსთაველის გამზირზე. არასამთავრობო ორგანიზაციებმა აქციის გამართვის დროისა და ადგილის შესახებ წინასწარ შეატყობინეს თბილისის მერიას და შინაგან საქმეთა სამინისტროს.<sup>514</sup> 17 მაისამდე რამდენიმე დღით ადრე, კონტრდემონსტრანტებმა, რომელთა რიგებში სასულიერო პირებიც იყვნენ, განაცხადეს რუსთაველის გამზირზევე აქციის გამართვის შესახებ. მედია საშუალებებით გავრცელებული ვიდეო მასალით<sup>515</sup> და აქციის მონაწილეთა ახსნა-განმარტებებით<sup>516</sup> დასტურდება, რომ 17 მაისს, რუსთაველის გამზირზე მობილიზებული იყვნენ სამართალდამცავები და საპატრულო პოლიცია. სამართალდამცავებს გაკეთებული ჰქონდათ ცოცხალი კორდონიც, აქციის მონაწილეთა და კონტრდემონსტრანტთა განსაცალკევებლად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამართალდამცავები არ იყვნენ აღჭურვილი იარაღით ან რაიმე სპეციალური საშუალებებით. ორგანიზაცია „იდენტობას“ და ლგბტ ჯგუფის მხარდამჭერები თავისუფლების მოედანზე

<sup>511</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 29 ნოემბრის განჩინება საქმეზე ბალჩიკი თურქეთის წინააღმდეგ (*Balcik v. Turkey*) პარ. 52 და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 17 ივლისის განჩინება საქმეზე აშუღიანი სასომხეთის წინააღმდეგ (*Ashughyan v. Armenia*) პარ. 90.

<sup>512</sup> „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.

<sup>513</sup> 2013 წლის 17 მაისსა და მის თანმდევ მოვლენებთან დაკავშირებით დეტალურად საუბარია ასევე თავში სექსუალური უმცირესობების შესახებ.

<sup>514</sup> <http://identoba.com/17may/>

<sup>515</sup> <http://www.youtube.com/watch?v=zn8PHSCncSU>

<sup>516</sup> მოქალაქე თ.ს -ს 2013 წლის 28 მაისის ახსნა-განმარტება.

იკრიბებოდნენ, თუმცა, აქცია არც კი იყო დაწყებული, როცა კონტრდემონსტრანტებმა, უმეტეს შემთხვევაში, ძალის გამოყენებით გაარღვიეს პოლიციელთა კორდონი და აქციის მონაწილეებისაკენ დაიძრნენ.<sup>517</sup>

ღებუ უფლებადამცველები და მათი მხარდამჭერი აქციის მონაწილეები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა უსაფრთხოების მიზნით მიკროავტობუსებითა და ავტობუსებით გაიყვანეს ადგილიდან. აქციის ამსახველი ვიდეო-მასალიდან ირკვევა, რომ დაშავდა აქციის რამდენიმე მონაწილე, მათ შორის, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები. დაშავებულთა შორის იყო რადიო „ფორტუნას“ ჟურნალისტი. გავრცელებული ვიდეო-კადრებიდან<sup>518</sup> აშკარაა, რომ პარალელური აქციის მონაწილეები, მათ შორის სასულიერო პირები, განსაკუთრებული აგრესიით იყვნენ განწყობილი აქციის მონაწილეთა მიმართ. რიგ შემთხვევებში, ადგილი ჰქონდა ექსტრემიზმისა და სიძულვილის გამოვლინებას. კონტრდემონსტრაციის მონაწილეები მისდევდნენ სამარშრუტო მიკროავტობუსებს, რომლითაც პოლიციის თანამშრომლები აქციის მონაწილეების გაყვანას ცდილობდნენ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს არასამთავრობო ორგანიზაციების - „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფისა“ და „იდენტობის“ წარმომადგენლებმა და აქციის სხვა მონაწილეებმა მიაწოდეს ინფორმაცია, 17 მაისის აქციის შემდეგ, მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ.<sup>519</sup>

საქმეში „ექიმები სიცოცხლისათვის ავსტრიის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ აქციამ ან დემონსტრაციამ შესაძლოა შეურაცხყოფა მიაყენოს იმ პირებს, რომლებიც დემონსტრაციაზე გამოთქმულ მოსაზრებებს ეწინააღმდეგებიან. მიუხედავად ამისა, დემონსტრაციის მონაწილეებმა იგი უნდა ჩაატარონ შიშის გარეშე. ამგვარმა შიშმა, შესაძლოა, უმცირესობათა ჯგუფებს ხელი შეუშალოს ან/და გადააფიქრებინოს იდეებისა და მოსაზრებების საჯაროდ გამოთქმა. მითითებულ საქმეში სასამართლომ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ ნეგატიური ვალდებულების შესრულება არ შეესაბამება კონვენციის მე-11 მუხლის მიზანს. ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი, გარკვეულ შემთხვევებში, სახელმწიფოსგან მოითხოვს პოზიტიური ნაბიჯების გადადგმას, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდებს შორის არსებულ ურთიერთობებშიც.<sup>520</sup>

<sup>517</sup> აქციის მიმდინარეობის მონიტორინგს ახორციელებდნენ საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები, ა. აბაშიძე, ა. არგანაშვილი, გ. გარსევანიშვილი და ნ. ცინცაძე.

<sup>518</sup> <http://www.youtube.com/watch?v=bF8VZs3cFQY>

<sup>519</sup> მოქალაქეების - ნ.გ.-ს 2013 წლის 8 ივლისის, მ.კ.-ს 2013 წლის 20 მაისის, ს.ა.-ს 2013 წლის 22 მაისის, მ.ჯ.-ს 2013 წლის 20 მაისის ახსნა-განმარტებები.

<sup>520</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1985 წლის 26 მარტის განჩინება საქმეზე X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ (X and Y v. The Netherlands) პარ. 23.

პოზიტიური ვალდებულება არ მოითხოვს სახელმწიფოსგან კონკრეტული შედეგის მიღებას. იგი გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების მიერ ყველა აუცილებელი ზომის გატარებას, რათა უფლების დარღვევა ან ასეთი დარღვევის საფრთხე თავიდან იქნას აცილებული.

შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ნებისმიერი საშუალება, რათა რამდენიმე აქცია, რომლებიც დროის იდენტურ მონაკვეთში, ერთსა და იმავე ადგილას მიმდინარეობს და შინაარსით ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მშვიდობიანად და ძალადობის გარეშე წარიმართოს. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად:

*„საქართველოს პოლიცია (შემდგომ – პოლიცია) არის სამინისტროს სისტემაში შემავალი, აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი დაწესებულებების სისტემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად“.*

აღნიშნული ნორმა მკაფიოდ განსაზღვრავს პოლიციის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი ერთ-ერთი ორგანოს როლსა და მის ძირითად ფუნქციებს. მოცემულ შემთხვევაში, სწორედ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ეკისრებოდათ პოზიტიური ვალდებულება, შეენარჩუნებინათ აქციათა მშვიდობიანი ხასიათი და აღეკვეთათ ნებისმიერი სახის მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა აქტიური მოქმედებების შედეგად არაერთი მონაწილე გადაურჩა აგრესიული კონტრდემონსტრანტების თავდასხმას. თუმცა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მიუხედავად მცდელობისა, ვერ უზრუნველყო სათანადო ღონისძიებების გატარება, რაც ლგბტ და მათი მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების თავისუფლებით სარგებლობასა და აქციის ჩატარებას უზრუნველყოფდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის 18 მაისს თბილისში, საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე<sup>521</sup> და 24 მაისს დედაენის ბაღში<sup>522</sup> გამართული აქციები, რომლებიც 17 მაისს გამოვლენილი ძალადობის გასაპროტესტებლად გაიმართა, მშვიდობიანად ჩატარდა. ორივე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მცირედ სიტყვიერ დაპირისპირებას განსხვავებული

<sup>521</sup> აქცია ძალადობის წინააღმდეგ, ნეტგაზეთი, 18.05.2013,

<http://www.youtube.com/watch?v=Wd2SwwmqR0Q>

<sup>522</sup> აქცია „არა თეოკრატია“ დედაენის ბაღში, ნეტგაზეთი, 24.05.2013

<http://www.youtube.com/watch?v=CjEmbJdv3g0> ; ორი აქცია დედაენის ბაღში, ტელე-მაესტრო სიუჟეტი, 24.05.2013 <http://www.youtube.com/watch?v=EdXxkuPn0Hs>



აზრის მქონე ჯგუფებს შორის, რაც ეფექტურად იქნა აღკვეთილი სამართალდამცავების მიერ.<sup>523</sup>

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს ფიზიკური ძალადობის ყველა იმ ფაქტის გამოძიება, რომელსაც 17 მაისს და მისი შემდგომი მოვლენების დროს ჰქონდა ადგილი. სახელმწიფოს მხრიდან მისი პოზიტიური ვალდებულება სრულად იქნება შესრულებული, ხოლო მსგავსი შემთხვევების პრევენცია მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სწორი სამართლებრივი შეფასება და კვალიფიკაცია მიეცემა ჩადენილ კანონდარღვევებს. ამასთან, სახელმწიფოს ვალდებულების ნაწილია დადგინდეს და დადგეს დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხი. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული ინფორმაციით, 17 მაისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლით (შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფა) გათვალისწინებული დანაშაულისათვის.<sup>524</sup> თუმცა, 17 მაისის მოვლენების ამსახველი ვიდეო და ფოტო მასალით, დაზარალებულთა ახსნა-განმარტებებით და სახალხო დამცველის რწმუნებულთა ინფორმაციით დასტურდება, რომ 2013 წლის 17 მაისს და მისი შემდგომი მოვლენების დროს, სავარაუდოდ ადგილი ჰქონდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული, ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ ჩატარებულა გამოძიება და არ დამდგარა პასუხისმგებლობა არც 2012 წლის 17 მაისს მშვიდობიანი აქციის მონაწილეების მიმართ მოწინააღმდეგე ჯგუფის წევრების მიერ გამოხატული აგრესიის, აქციის დარბევისა და აქციის ცალკეული წევრების ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტების გამო.<sup>525</sup>

სამართალდამცველი პირების მხრიდან არასაკმარისი ღონისძიებების გატარებას ჰქონდა ადგილი 2013 წლის 20 ივლისსაც, როდესაც ზუგდიდში პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შალვა დადიანის სახელობის თეატრში ჩაატარა პრაიმერი. აღნიშნული ფაქტის გასაპროტესტებლად თეატრის წინ ასობით ადამიანი შეიკრიბა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული

<sup>523</sup> აქცია დედაენის ბაღში, ტელე-იმედის სიუჟეტი, 24.05.2013 <http://www.youtube.com/watch?v=K3LirhCSqZ8> ; ორი აქცია დედაენის ბაღში, ტელე-მაესტრო სიუჟეტი, 24.05.2013 <http://www.youtube.com/watch?v=EdXxkuPn0Hs>

<sup>524</sup> ბრალი წარედგინა კონტრდემონსტრანტთა ჯგუფის 5 წევრს, მათ შორის 2 სასულიერო პირს. სასულიერო პირთაგან ერთ-ერთს წინა სასამართლო სხდომაზე 2013 წლის 1 აგვისტოს მოეხსნა ბრალი. თბილისის საქალაქო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა დაიწყო 2013 წლის 15 აგვისტოს, თუმცა, საქმის განხილვა ამ დრომდე დამთავრებული არ არის. თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე საქმის განხილვის მონიტორინგს ახორციელებენ საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები.

<sup>525</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 347

დოკუმენტაციით<sup>526</sup> დგინდება, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას არასამთავრობო ორგანიზაციამ „დაიცავი საქართველო“ 2013 წლის 19 ივლისს მიმართა და აცნობა, რომ 2013 წლის 20 ივლისს, შალვა დადიანის სახელობის თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაგეგმილი პრაიმერის გასაპროტესტებლად გაიმართებოდა აქცია. 20 ივლისს ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებიც.

„შეკრებებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ტრანსპორტის სავალ ადგილას იმართება ან ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს. კერძოდ, დასახელებული კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „გაფრთხილება შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში შეტანილი უნდა იქნეს მის ჩატარებამდე არა უგვიანეს 5 დღისა“. ამავე მუხლით დადგენილია ის გარემოებები, რაც უნდა აღინიშნოს შეკრება-მანიფესტაციის ჩატარების შესახებ გაფრთხილებაში. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დასტურდება, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „დაიცავი საქართველო“ 2013 წლის 19 ივლისის წერილში კანონით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ იყო მითითებული.<sup>527</sup> ვინაიდან, კონტრდემონსტრანტთა აქცია იმართებოდა ტრანსპორტის სავალ ნაწილზე, მათ მიერ აქციის ჩატარების შესახებ წერილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში უნდა წარდგენილიყო შეკრების გამართვამდე 5 დღით ადრე.

მედია საშუალებებით გავრცელებული ვიდეო და ფოტო მასალით დასტურდება,<sup>528</sup> რომ აქციის მონაწილეთა მხრიდან ადგილი ჰქონდა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებს. დემონსტრანტებმა პრაიმერის მონაწილეებს ქვები და ბოთლები დაუშინეს, რის შედეგადაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა ავტომობილები დაზიანდა.

სამართალდამცავების მიერ დაკავებული იქნა აქციის 12 მონაწილე, რომელთაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ დაეკისრათ ჯარიმა 100 ლარის ოდენობით.<sup>529</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს<sup>530</sup> მიერ მოწოდებული

<sup>526</sup> ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის 20 აგვისტოს №05-1/1668 წერილი

<sup>527</sup> ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის 20 აგვისტოს №05-1/1668 წერილი

<sup>528</sup> სკანდალური პრაიმერი ზუგდიდში, <http://www.youtube.com/watch?v=j-RmU9PK2gk>

<sup>529</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 18 სექტემბრის №1853873 წერილი

<sup>530</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 18 სექტემბრის №1853873 წერილი

ინფორმაციით, პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების ავტომობილების დაზიანების ფაქტზე დაწყებულია გამოძიება.<sup>531</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ფლობდა ინფორმაციას ზუგდიდში, თეატრის წინ შეკრებილი აქციის მონაწილეთა, როგორც რაოდენობის, ისე მათი მოთხოვნებისა და განწყობის თაობაზე, ადგილზე მობილიზებული სამართალდამცველების რაოდენობა და მათ მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიებები, არ აღმოჩნდა საკმარისი ზუგდიდში, დადიანის სახელობის თეატრში მისული პირების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მედია საშუალებებით გავრცელებული ვიდეომასალით დასტურდება, რომ სამართალდამცავებმა ვერ უზრუნველყვეს პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა და მხარდამჭერთა და მათი მოწინააღმდეგე ჯგუფის წევრების განცალკევება იმგვარად, რომ ფიზიკური დაპირისპირება თავიდან ყოფილიყო აცილებული.

2014 წლის 8 იანვარს, საქართველოს საპატრიარქოს მიმდებარე ტერიტორიაზე მოქალაქეთა ნაწილმა გააპროტესტა საქართველოს პატრიარქის საშობაო ეპისტოლეს ის ნაწილი, სადაც საუბარია სუროგაციითა და ინვიტრო განაყოფიერებით დაბადებული ბავშვებზე.<sup>532</sup> აღნიშნული აქციის საპირისპიროდ, იმავე ადგილზე აქცია გამართა მოქალაქეთა მეორე ჯგუფმა. აქცია საქართველოს პატრიარქის ეპისტოლეში მითითებული მოსაზრებების მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. მედია საშუალებებით გავრცელებული ვიდეო მასალითა და სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ გამოკითხული აქციის მონაწილეების ახსნა-განმარტებებით დასტურდება, რომ სამართალდამცავები დაპირისპირებული მხარეების მიერ მხოლოდ ფიზიკური შეხლა-შემოხლის შემთხვევაში აქტიურდებოდნენ და ცდილობდნენ განეცალკევებინათ მოწინააღმდეგეები. თუმცა, მათ ამ დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად საკმარისი ზომები არ მიუღიათ.<sup>533</sup> საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით ოთხი კონტრდემონსტრანტი დააკავეს. საქმის განხილვის დასრულების შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის დადგენილებით სამ დაკავებულს დაეკისრა 100 ლარის ოდენობით ჯარიმა, ხოლო ერთს მიეცა გაფრთხილება. 8 იანვრის აქციის შემთხვევაშიც, სამართალდამცავებმა დაპირისპირებული მხარეების განცალკევებისა და ფიზიკური დაპირისპირების პრევენციისათვის არაჯეროვანი ზომები მიიღეს.

<sup>531</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 18 სექტემბრის №1853873 წერილი

<sup>532</sup> მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული აქცია 2014 წელს ჩატარდა, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა მიზანშეწონილად მიიჩნია გაემახვილებინა მასზე ყურადღება 2013 წლის ანგარიშში.

<sup>533</sup> ორი აქცია და ინციდენტი საპატრიარქოსთან, პირველი არხი, მოამბე, 08.01.2014, <http://www.youtube.com/watch?v=6T9gvfcxvI> ; საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები მ.ლიპარტელიანი და ე.სხილაძე ახორციელებდნენ აქციის მონიტორინგს და ადგილზე გაესაუბრნენ აქციის მონაწილეებს.

2013 წლის 17 მაისს, 20 ივლისსა და 2014 წლის 8 იანვარს განვითარებული მოვლენები საწინააღმდეგო მოსაზრებების მქონე ორ ჯგუფს შორის მომხდარი დაპირისპირება იყო. სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენდა ყველა სათანადო ზომის გატარება იმისთვის, რომ ორივე ჯგუფს ყოველგვარი ძალადობის გარეშე ჰქონოდა საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების ეფექტური რეალიზაცია არ შემოიფარგლება სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებით სარგებლობისთვის ჩაურევლობის ვალდებულებით. სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს შეკრების თავისუფლებით ეფექტური სარგებლობა.<sup>534</sup> აღნიშნული ვალდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობისთვის, რომლებსაც განსხვავებული აზრი აქვთ ან უმცირესობის რომელიმე ჯგუფს განეკუთვნებიან. თუმცა, როგორც 2013 წლის 17 მაისს, ასევე 20 ივლისსა და 2014 წლის 8 იანვარს განვითარებულ მოვლენების დროს სახელმწიფომ ვერ შეძლო მისი ამ ვალდებულების ჯეროვანი შესრულება.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, რამდენიმე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ მშვიდობიანი აქციის მონაწილეებთან მიმართებაში „საქართველოს პოლიციის ეთიკის“ ნორმების დარღვევას.

2013 წლის 7 ივლისს დინამო თბილისი - დინამო მოსკოვის ამხანაგური მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ წევრებმა საინფორმაციო საშუალებებიდან შეიტყვეს რუსეთის დუმის დეპუტატების აღნიშნულ მატჩზე საპატიო სტუმრის სტატუსით დასწრების შესახებ. მატჩის დასრულებამდე ნახევარი საათით ადრე, ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ 30-მდე წევრი შეიკრიბა დინამო-არენას VIP გასასვლელთან, ცაბაძის ქუჩაზე, რათა გაეპროტესტებინათ აღნიშნული ფაქტი. მათ ეკავათ პლაკატები წარწერით „სამაჩაბლო და აფხაზეთი - ეს საქართველოა“, „ოკუპანტო დეპუტატებო წადით საქართველოდან!“. აქციის მონაწილეთა განცხადებებით, მატჩის მიმდინარეობისას ტრანსპორტის მოძრაობა გადაკეტილი იყო, ამიტომ ახალგაზრდები ტროტუარის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდნენ და გაშალეს პლაკატები. სამართალდამცავები კი ზუსტად მათ წინ იყვნენ განლაგებულები. ამ პერიოდში, პოლიციელებსა და აქციის მონაწილეებს შორის ურთიერთობა დაძაბული არ ყოფილა. მატჩის დასრულების შემდეგ მდგომარეობა აქციის მონაწილეებსა და პოლიციის თანამშრომლებს შორის დაიძაბა. ამ დროს პოლიციელთა საკმაოდ დიდი ჯგუფი იყო მობილიზებული ადგილზე. მედია საშუალებებით გავრცელებული ვიდეო მასალით დასტურდება,<sup>535</sup> რომ სამართალდამცავებმა აქციის მონაწილეებს ტროტუარზე

<sup>534</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 2 ივლისის განჩინება საქმე ვილსონი, ჟურნალისტების ეროვნული გაერთიანება და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Wilson & the National Union of Journalists and Others v. the United Kingdom), პარ 41 და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 20 ოქტომბრის განჩინება საქმე ოურანიო ტოხო საბერძნეთის წინააღმდეგ (Ouranio Toxo v. Greece), პარ. 37.

<sup>535</sup> იხ. <http://www.youtube.com/watch?v=u7AkNa9d-hQ>



განთავსებისკენ მოუწოდეს და ისინიც დაემორჩილნენ, თუმცა, პოლიციის თანამშრომლებმა აქციის მონაწილეებს პლაკატები წაართვეს და დახიეს.<sup>536</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული დოკუმენტაციით დასტურდება,<sup>537</sup> რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა აქციის 3 მონაწილე დააკავეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევისათვის და თბილისის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 9 იანვარს ადმინისტრაციული სახდელის სახით 100 ლარის ოდენობით ჯარიმა დააკისრა.

საქართველოს სახალხო დამცველმა პოლიციელების მიერ „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსის“ ნორმათა სავარაუდო დარღვევის ფაქტზე მიმართა<sup>538</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და გადაუგზავნა ჩვენს ხელთ არსებული ვიდეო მასალა.<sup>539</sup>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ აქციის მონაწილეებთან მიმართებაში პოლიციის ეთიკის ნორმების დარღვევას ჰქონდა ადგილი 2013 წლის 30 ნოემბერსაც, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციამ „კლუბი თავისუფალი ზონა“ გამართა აქცია თბილისის პოლიციის რაიონულ სამმართველოებთან ლოზუნგით, „ეს ვანოს აშენებულია“. აქციის ამსახველი ვიდეო-მასალიდან ჩანს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრწანისის რაიონული სამმართველოს უფროსი აქციის მონაწილეებს არ აძლევს ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ადგილზე ლოზუნგის დახატვის საშუალებას და უხვეს პლაკატს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე,<sup>540</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებული ინფორმაციით, თანამშრომლების დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დამდგარა, თუმცა, მიეცათ მკაცრი გაფრთხილება, რომ მოქალაქეებთან ურთიერთობისას იხელმძღვანელონ „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსით“ დადგენილი მოთხოვნებით.<sup>541</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები აკვირდებოდნენ ხუდონჰესის მშენებლობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებს, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არაერთხელ გაიმართა. მისასალმებელია, რომ ყველა აქციამ ჩაიარა შეკრება-მანიფესტაციის უფლების დარღვევისა და ექსცესების გარეშე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ეფექტურად უზრუნველყოფდნენ აქციის მონაწილეთა უფლების რეალიზაციას.

სახალხო დამცველის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში შესწავლილი შემთხვევები ცხადყოფს, რომ შეკრება მანიფესტაციების თავისუფლების კუთხით, მდგომარეობა ქვეყანაში

<sup>536</sup> იხ. <http://www.youtube.com/watch?v=Pb4ct6rrXHs>

<sup>537</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 29 ივლისის №3-0214/282492 წერილი

<sup>538</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის 11 დეკემბრის №04-9/2752 წერილი

<sup>539</sup> საქართველოს შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2014 წლის 27 თებერვლის წერილით, შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში მიმდინარეობს სამსახურებრივი შემოწმება.

<sup>540</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის 11 დეკემბრის №04-9/2751 წერილი

<sup>541</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 26 დეკემბრის №2631613 წერილი



მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რაც დადებით შეფასებას იმსახურებს. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში სამართალდამცავების მიერ აქციის მონაწილეთა შეკრება - მანიფესტაციების უფლების დასაცავად გატარებული იქნა არასათანადო და არაჯეროვანი ღონისძიებები ან/და ერთეულ შემთხვევებში, ადგილი ჰქონდა პოლიციელთა მხრიდან ძალის გადამეტებას ან პოლიციის ეთიკის ნორმების დარღვევას.

ამ დრომდე არ დასრულებულა ან/და არ ყოფილა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება 2007 წლის 7 ნოემბერს,<sup>542</sup> 2009 წლის 15 ივნისს,<sup>543</sup> 2010 წლის 3 იანვრისა<sup>544</sup> და 2011 წლის 26 მაისს<sup>545</sup> შეკრებისა და მანიფესტაციის დროს ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის ფაქტებზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის 2014 წლის 4 მარტს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2009 წლის 15 ივნისს საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება 2009 წლის 26 მაისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით (ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც

---

<sup>542</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 4 მარტის წერილით, საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის №0607835 საქმეზე, 2007 წლის 7 ნოემბერს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე და რიყის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულ საპროტესტო აქციაში მონაწილე პირთა სხეულის დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

<sup>543</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 4 მარტის წერილი.

<sup>544</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 4 მარტის წერილით, თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაშია სს საქმე 074118003, 2011 წლის 3 იანვარს, გმირთა მოედანზე ვეტერანთა აქციის დაშლის ფაქტზე, საქართველოს სს კოდექსის 147-ე (განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება), 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), 125-ე (ცემა) და 341-ე (სამსახურებრივი სიყალბე) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

<sup>545</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 11 დეკემბრის №13/13915 წერილის თანახმად, საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება სამ სისხლის სამართლის საქმეზე. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება); რუსთაველის გამზირზე მიტინგის მონაწილე – ნიკა სამხარაძის დაკავებისას პოლიციის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სს კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) და რუსთაველის გამზირზე ნიკოლოზ კვინტარაძის და სულიკო ასათიანის გარდაცვალების ფაქტზე, საქართველოს სს კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით (თვითმკვლელობამდე მიყვანა). ამასთან, 2013 წლის 28 მაისს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქ/პუნქტებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) ბრალდებულად იქნა ცნობილი საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი - ივანე მერაბიშვილი. ამ დრომდე გრძელდება სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ან მასში აქტიური მონაწილეობა) დაწყებული გამოძიების ფარგლებში, მომიტინგეებსა და პოლიციის მუშაკებს შორის მომხდარი შეტაკების ფაქტზე. საქართველოს სს კოდექსის 226-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გულისხმობს ჯგუფური მოქმედების ორგანიზებას, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან დაკავშირებულია ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი აშკარა დაუმორჩილებლობასთან ან რამაც ტრანსპორტის, საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება გამოიწვია, აგრეთვე ასეთ მოქმედებაში აქტიური მონაწილეობ. მაშინ როცა, 2009 წლის 15 ივნისს საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს წინ მომხდარი მოვლენების ამსახველი არაერთი მტკიცებულება, ფოტო და ვიდეო მასალა ადასტურებს, ძალის გამოყენებით, მშვიდობიანი აქციის დაშლას და მომიტინგეების წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობას, სამართალდამცავთა მხრიდან. საქართველოს სახალხო დამცველის 2009 წლის I ნაწილის ანგარიშში საუბარია სამართალდამცავთა მხრიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) და 144-ე (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების შესაძლო ჩადენაზე.<sup>546</sup> უარყოფითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ამ ხნის მანძილზე საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ამ მოვლენების სათანადო სისხლის სამართლებრივი კვალიფიკაცია არ მოახდინა და ამ დრომდე ჭიანჭურდება გამოძიება.

## რეკომენდაციები:

### საქართველოს პარლამენტს

- „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები, სახალხო დამცველის 2011 წლის საპარლამენტო ანგარიშში მოყვანილი რეკომენდაციების შესაბამისად;

### საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს ჩაუტარდეთ ტრენინგები მასების მართვისა და კონტროლის უნარ-ჩვევების შესასწავლად;

### საქართველოს მთავარმა პროკურატურას:

- ჩატარდეს ეფექტიანი გამოძიება შეკრების და მანიფესტაციის უფლების დარღვევის, თუ მშვიდობიანი აქციის მონაწილეების მიმართ განხორციელებული ნებისმიერ ძალადობის ფაქტებზე;

<sup>546</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2009 წლის 1-ლი ნაწილის ანგარიში, გვ. 132–136.

- მიეცეს სწორი კვალიფიკაცია ამა თუ იმ ნიშნით დისკრიმინაციისა თუ დევნის საფუძველზე ჩადენილ ყველა დანაშაულს;
- დროულად გამოიძიოს 2007 წლის 7 ნოემბერს, 2009 წლის 15 ივნისს, 2011 წლის 3 იანვარსა და 2011 წლის 26 მაისს ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის ფაქტები.

## მიმოსვლის თავისუფლება

გადაადგილების თავისუფლება პიროვნების თავისუფალი განვითარების აუცილებელი პირობაა<sup>547</sup> და იგი გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ნორმებით.

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მიხედვით:

- „1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება;*
- 2. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან.*
- 3. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.*
- 4. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში“.*

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა არაერთი შემთხვევა, როცა ადგილი ჰქონდა გადაადგილების თავისუფლების, ან მის საფუძველზე, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების სავარაუდო დარღვევას, როგორც საქართველოს მოქალაქეების, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ.

### უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლის უფლებასთან დაკავშირებით

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური პრაქტიკის კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არ არსებობს რომელიმე ქვეყანაში შესვლის უფლება per se და ქვეყანაში შესვლაზე უარი თავისთავად არ წარმოადგენს დარღვევას. თუმცა, მდგომარეობა იცვლება, როდესაც პირს აქვს ოჯახური კავშირები ქვეყანასთან და შემოსვლაზე უარის თქმა წარმოადგენს მის პირად ან ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევას. აგრეთვე, ადამიანის უფლებების სტანდარტები ზღუდავენ

<sup>547</sup> სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის ზოგადი კომენტარი, №27 (67).

ხელისუფლების ორგანოებს, როდესაც ტერიტორიაზე შემოსვლაზე უარის თქმას თან სდევს უცხოელის დაკავება, მისი დეპორტაციის მიზნით.<sup>548</sup>

როდესაც ქვეყანაში შემოსვლაზე უარს თან სდევს ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვა, სახელმწიფოს მოეთხოვება უფრო დეტალური პროცედურის უზრუნველყოფა, რომელიც შესაბამისი უფლებების დაცვის საშუალებას შექმნის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მოწმობს, რომ თუნდაც შემოსვლაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდეს ქვეყნის უშიშროებასთან დაკავშირებული და თავისი არსით კონფიდენციალურ ინფორმაცია, სახელმწიფოს არ შეუძლია, ახსნა-განმარტებისა და პროცედურული სამართლიანობის მოთხოვნების უგულებელყოფით, უთხრას უარი მოქალაქეს ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლისას.<sup>549</sup>

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი არეგულირებს უცხოელის მიერ ქვეყანაში შემოსვლის პროცედურას, ხოლო მე-14 მუხლი – საზღვრის გადმოკვეთაზე უარის თქმის საფუძველებს ჩამოთვლის.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელს საქართველოში შემოსვლაზე უარი შეიძლება ეთქვას, თუ:

„საქართველოში მისი ყოფნა საფრთხეს შეუქმნის საქართველოს საზოგადოებრივ წესრიგს და უშიშროებას, საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მცხოვრებ პირთა ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას“.

ამავე კანონის მე-3 მუხლი განსაზღვრავს კანონის რეგულირების სფეროში მოქმედ პრინციპებს, რომელიც შეიცავს განსახილველი სიტუაციისათვის რელევანტურ ორ ნორმას. კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად: „უცხოელი, რომელსაც უარი ეთქვა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე, უფლებამოსილია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება.“

<sup>548</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება საქმეზე *ლიუ და ლიუ რუსეთის წინააღმდეგ (Liu and Liu v. Russia)*, გან. ნო. [42086/05](#); ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 02 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *დალეა საფრანგეთის წინააღმდეგ (Dalea v. France)*.

<sup>549</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება საქმეზე *ლიუ და ლიუ რუსეთის წინააღმდეგ (Liu and Liu v. Russia)*, გან. ნო. [42086/05](#); ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 02 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *დალეა საფრანგეთის წინააღმდეგ (Dalea v. France)*.



ამასთან, „უცხოელთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა პატივს სცემს და იცავს ოჯახის ერთიანობის პრინციპს.“<sup>550</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრინციპთან დაკავშირებით უფრო დეტალური რეგულირებები კანონში მოცემული არ არის.

ამავე კანონის 58-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს უცხოელის გაძევებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას, მოითხოვს, რომ ამ პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს: ა. უცხოელის მიერ საქართველოში კანონიერად ცხოვრების ხანგრძლივობა და საქართველოსთან არსებული კავშირები; ბ. გაძევების შემთხვევაში უცხოელის ოჯახისთვის ან მასთან მცხოვრები პირებისთვის სავარაუდოდ დამდგარი შედეგი. სრულად წარმოსადგენია, რომ იგივე გარემოებები – საქართველოსთან კავშირები ან ოჯახისთვის დამდგარი მძიმე შედეგები, სახეზე იყოს საქართველოში შემოსვლის სურვილის მქონე უცხოელის შემთხვევაშიც. თუმცა, კანონი, საქართველოში შემოსვლის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს პირდაპირ (ისე როგორც ეს არის გაძევების შემთხვევაში) ვალდებულებას არ უდგენს, რომ შეაფასოს უცხოელის კავშირები საქართველოსთან, ვიდრე უარს ეტყვის საზღვრის გადმოკვეთაზე.

საქმეში „[ლიუ და ლიუ რუსეთის წინააღმდეგ](#)“<sup>551</sup> ევროპულმა სასამართლომ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევაზე (პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება) მსჯელობისას აღნიშნა, რომ „კონვენცია არ უზრუნველყოფს უცხოელის უფლებას შემოვიდეს ან იცხოვროს კონკრეტულ ქვეყანაში. კარგად დამკვიდრებული საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო ვალდებულებების გათვალისწინებით, სახელმწიფოს აქვს უფლება, აკონტროლოს უცხოელების შემოსვლა მის ტერიტორიაზე... თუმცაღა, პირის მოცილება იმ ქვეყნიდან, სადაც მისი ოჯახის უახლოესი წევრები ცხოვრობენ, შეიძლება წარმოადგენდეს მისი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას, რაც გარანტირებულია კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით...“<sup>552</sup>. „[დალეა საფრანგეთის წინააღმდეგ](#)“ მიღებულ გადაწყვეტილებაში ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ განმცხადებელს აქვს პროფესიული კავშირები და ინტერესები ქვეყანასთან, მისთვის შესვლის აკრძალვა შეიძლება წარმოადგენდეს „პირად ცხოვრებაში“ ჩარევას.<sup>553</sup>

<sup>550</sup> „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 3, პუნ 1, ქპ „ზ“.

<sup>551</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება საქმეზე *ლიუ და ლიუ რუსეთის წინააღმდეგ* (*Liu and Liu v. Russia*), გან. ნო. [42086/05](#).

<sup>552</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება საქმეზე *ლიუ და ლიუ რუსეთის წინააღმდეგ* (*Liu and Liu v. Russia*), პარ 49.

<sup>553</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 02 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *დალეა საფრანგეთის წინააღმდეგ* (*Dalea v. France*).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის<sup>554</sup> ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანობებმა, ქვეყანაში უცხოელთა, ან მოქალაქეობის არმქონე პირთა შემოსვლის საკითხის განხილვისას შემდეგი გარემოებები უნდა გაითვალისწინონ:

თუ პირს აქვს პროფესიული კავშირები და ინტერესები ქვეყანასთან, მისთვის შესვლის აკრძალვა შეიძლება წარმოადგენდეს „პირად ცხოვრებაში“ ჩარევას, თუმცა მნიშვნელოვანია განმცხადებელმა აჩვენოს, რა ზიანი მიადგა მას, პირად ცხოვრებას ჩარევის შედეგად;

როდესაც ხელისუფლების მიერ მიღებული ზომა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს ეხება, უნდა არსებობდეს რაიმე დამცავი მექანიზმის, სახელმწიფოს დისკრეციის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ; თუმცა, ქვეყანაში შესვლის რეგულირების სფეროში, სახელმწიფოებს აქვთ ფართო შეფასების თავისუფლება იმის არჩევისას, თუ რა დაცვის საშუალებით უზრუნველყოფენ პირს, სახელმწიფოს მხრიდან თვითნებობის წინააღმდეგ.

ადმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან იმის მტკიცება, რომ საქმე ეხება ეროვნული უშიშროების ინტერესებს, არ ათავისუფლებს მას ეროვნული სასამართლოს ეფექტური კონტროლისგან, რაც შეიძლება მოითხოვდეს *სასამართლოს მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის შემოწმებას*.

საჭიროა არსებობდეს მექანიზმი, რომელიც ეროვნულ სასამართლოებს მისცემს ადმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილების ფაქტობრივი საფუძვლის შემოწმების საშუალებას და იმავდროულად, დაიცავს ეროვნული უშიშროების ინტერესებს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ხ.ი-ს და არაბთა გაერთიანებული საემიროების მოქალაქის ხ.ს.ა-ს განცხადებები. ორივე მათგანს, საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომლებმა არაერთხელ უთხრეს უარი საქართველოში შემოსვლაზე „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის „ე“ ქვეპუნქტზე მითითებით.<sup>555</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ხ.ი-ს, ისევე როგორც ხ.ს.ა-ს ოჯახის წევრები საქართველოში ცხოვრობენ. ამასთან, ხ.ი-ს აქვს საქართველოში მუდმივი ბინადრობის მოწმობა. მიუხედავად არაერთი მიმართვისა<sup>556</sup>, შს სამინისტროს არ მოუწოდებია დეტალური ინფორმაცია, თუ რა

<sup>554</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება საქმეზე *ლიუ და ლიუ რუსეთის წინააღმდეგ (Liu and Liu v. Russia)*, გან. ნო. [42086/05](#), პარ 56–57 და 63.

<sup>555</sup> „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელს საქართველოში შემოსვლაზე უარი შეიძლება ეთქვას, თუ: „საქართველოში მისი ყოფნა საფრთხეს შეუქმნის საქართველოს საზოგადოებრივ წესრიგს და უშიშროებას, საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მცხოვრებ პირთა ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.“

<sup>556</sup> სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის 10 სექტემბრის №04–11/1235 და 2013 წლის 26 სექტემბრის №04–11/1540 წერილები.

სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები გახდა მათთვის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის საფუძველი.<sup>557</sup>

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი შემთხვევები ცხადყოფს, რომ საქართველოს ხელისუფლების ორგანოები, უცხოელისათვის ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმისას, არ ითვალისწინებენ მის კავშირებს საქართველოსთან. შესაძლოა, ამ პრაქტიკას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ მსგავსი ინფორმაციის გადამოწმების პირდაპირი ვალდებულება, მხოლოდ ქვეყნიდან გამეგების შემთხვევაში არის არის გაწერილი კანონმდებლობით<sup>558</sup>. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „უცხოელთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა პატივს სცემს და იცავს ოჯახის ერთიანობის პრინციპს“. ეს კი სავალდებულოდ შესასრულებელი ნორმაა შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის და გამოყენებული უნდა იქნეს უცხოელის ქვეყანაში შემოსვლის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტისას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მართალია, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ უფლება გაასაჩივრონ ქვეყანაში შემოსვლაზე უარი საერთო სასამართლოებში, მაგრამ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, მსგავსი შემთხვევების განხილვის პრაქტიკა არ არსებობს.<sup>559</sup> შესაბამისად, გაურკვეველია, რამდენად სრულფასოვნად იცავს ამ პირებს საერთო სასამართლოები აღმასრულებელი ხელისუფლების თვითნებობისგან. განსაკუთრებით საეჭვოა ეფექტური დაცვა იმ შემთხვევაში, როდესაც (როგორც ეს იყო ხ.ი-სა და ხ.ს.ა-ს შემთხვევებში) უარი ეფუძნება ეროვნული უშიშროების ინტერესებს და კანონმდებლობა ხელისუფლების ორგანოებს ზედმეტად ფართო დისკრეციას ანიჭებს.

<sup>557</sup> საქართველოს შს სამინისტროს 2013 წლის 4 ოქტომბრის №1963201 და 2013 წლის 7 ოქტომბრის №1989601 წერილები; უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, არცერთ პირს არ მიუმართავს საერთო სასამართლოებისათვის საკითხის განხილვის მოთხოვნით.

<sup>558</sup> „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ,“ მუხლი 58.

<sup>559</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატის №04-11/2666 (06.12.2013), №04-11/2664 (06.12.2013), №04-11/2663 (06.12.2013), №04-11/2661 (06.12.2013), №04-11/2659 (06.12.2013), №04-11/2658 (06.12.2013), №04-11/2657 (06.12.2013), №04-11/2656 (06.12.2013), №04-11/2655 (06.12.2013), №04-11/2654 (06.12.2013), №04-11/2652 (06.12.2013), №04-11/2650 (06.12.2013), №04-11/2799 (12.12.2013) წერილებით გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია შემდეგი სასამართლოებიდან: ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, თბილისის სააპელაციო სასამართლო, თბილისის საქალაქო სასამართლო, ქუთაისის საქალაქო სასამართლო, ბათუმის საქალაქო სასამართლო, გურჯაანის რაიონული სასამართლო, მცხეთის რაიონული სასამართლო, სიღნაღის რაიონული სასამართლო, ახალქალაქის რაიონული სასამართლო, ახალციხის რაიონული სასამართლო, ფოთის საქალაქო სასამართლო და საქართველოს უზენაესი სასამართლო. აღნიშნული სასამართლოებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად (№6781, 16.12.2013; №547-2/10, 13.12.2013; №91, 13.12.2013; №4848/1, 13.12.2013; №29536/13-1075გ/კ, 12.12.2013; №418, 13.12.2013; №6254, 11.12.2013; №2085, 12.12.2013; №265, 12.12.2013; №9951, 16.12.2013; №გ-1323-13, 23.12.2013 წერილები), საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებები სასამართლოების მიერ განხილული არ ყოფილა.

## საქართველოს მოქალაქეების მიერ ქვეყნის დატოვების უფლებასთან დაკავშირებით

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქართველოს თავისუფლად დატოვების უფლება შეიძლება შეიზღუდოს „*მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.*“

„საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მიხედვით,

*„საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოდან დროებითი გასვლისათვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემაზე ან პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, აგრეთვე საზღვრის გადაკვეთაზე, თუ 1) იძებნება სამართალდამცავები ორგანოების მიერ ან 2) წარმოადგენს ყალბ ან ძალის არმქონე საბუთებს.“*

სხვა შეზღუდვას, საქართველოს კანონმდებლობა, საქართველოს მოქალაქის მიერ ქვეყნის დატოვების უფლების შეზღუდვისათვის, არ იცნობს.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 27-ე ზოგადი კომენტარის მიხედვით, რომელიც განმარტავს გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების 1966 წლის პაქტის მე-12 მუხლით დაცულ მიმოსვლის თავისუფლებას, კანონი უნდა ადგენდეს მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის პირობებს. კომიტეტი განმარტავს, რომ მსგავსი კანონების მიღების დროს, სახელმწიფო ყოველთვის უნდა ხელმძღვანელობდეს იმ პრინციპით, რომ შეზღუდვამ არ უნდა დაარღვიოს უფლების არსი. არ უნდა მოხდეს ისე, რომ უფლების/ნორმის ადგილი დაიკავოს შეზღუდვამ და გამონაკლისმა. ამასთან, კანონი, რომელიც მსგავს შეზღუდვებს აწესებს, უნდა დაადგინოს ზუსტი კრიტერიუმები და ამ კანონის აღმასრულებელ პირსა თუ უწყებას არ უნდა მიანიჭოს განუზომელი დისკრეცია. კომიტეტის განმარტებით, მიმოსვლის თავისუფლებაში ჩარევისათვის არ არის საკმარისი შეზღუდვა ემსახურებოდეს ერთ-ერთ ჩამოთვლილ მიზანს; აუცილებელია, რომ ეს შეზღუდვები ამავე დროს იყოს აუცილებელი. ამასთან, შეზღუდვა უნდა იყოს მისაღწევი მიზნის პროპორციული და ამავდროულად, ყველაზე ნაკლებად უნდა ახდენდეს მიმოსვლის თავისუფლებაში ჩარევას. კომიტეტის განმარტებით, მნიშვნელოვანია, რომ კანონი ზუსტად და დეტალურად განსაზღვრავდეს მსგავსი შეზღუდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და პირობებს. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი განმარტავს, რომ პროპორციულობის პრინციპი დაცული უნდა იყოს არა მარტო იმ კანონის მიერ, რომელიც მსგავს შეზღუდვებს აწესებს, არამედ ყველა იმ ადმინისტრაციული და სასამართლო უწყებების მიერ, რომელიც ამ კანონს იყენებს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეისწავლა შემთხვევები, როდესაც, საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირებს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეუზღუდათ ქვეყნის დატოვების უფლება.

საქართველოს მოქალაქე, ზ.ლ-ს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ მან 2013 წლის ივნისისა და აგვისტოს თვეში ორჯერ სცადა გერმანიაში გამგზავრება, თუმცა, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ამის უფლება არ მისცეს. სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია ამ შეზღუდვის სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, თუმცა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნული ფაქტი უარყო.<sup>560</sup>

საქართველოს მოქალაქე, ს.მ-ის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ასევე იქნა წარმოდგენილი დოკუმენტები, იმის შესახებ, რომ მან ოთხჯერ სცადა ინგლისში გამგზავრება 2014 წლის იანვრისა და თებერვლის თვეში, თუმცა, ის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა არ გაატარეს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. საქართველოს სახალხო დამცველს არც ამ შემთხვევასთან დაკავშირებით მიუღია ახსნა-განმარტება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან.<sup>561</sup>

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტის წევრებმა უკან გაიხმეს მათი 2013 წლის 19 სექტემბრის საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებდა დამატების შეტანას „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლში. კერძოდ, ინიცირებული იყო შეზღუდვების დაწესება საქართველოს მოქალაქის ქვეყნიდან დროებითი გასვლისთვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემაზე ან პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, აგრეთვე საზღვრის გადაკვეთაზე „სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე.“

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უშიშროება და საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ისევე, როგორც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, კანონპროექტის მსგავსი ფორმულირება იყო იმდენად ზოგადი, რომ სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს მისი იმპლემენტაციის დროს განუზომლად ფართო დისკრეციას და მისი სხვადასხვაგვარი იმპლემენტაციის უფლებამოსილებას მიანიჭებდა,

<sup>560</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 23 სექტემბრის წერილი №1876454.

<sup>561</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის 16 იანვრის საჯარო განცხადება, იხ. [www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge)



რაც წინააღმდეგობაში შესაძლოა მოსულიყო კანონის განჭვრეტადობის პრინციპთან და დაერღვია მიმოსვლის თავისუფლების არსი.<sup>562</sup>

თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებები ცხადყოფს, რომ ცალკეულ შემთხვევებში, კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, ადგილი აქვს საქართველოს მოქალაქეების გადაადგილების თავისუფლების, ქვეყნის დატოვების უფლების დარღვევას.

**რეკომენდაცია:**

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:**

- უზრუნველყოს, მისი უწყებების მიერ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დაცული ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვა, უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან/და მოქალაქეობის არმქონე პირების საქართველოში შემოსვლის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს.
- არ დაუშვას საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ საქართველოს მოქალაქეების მიერ ქვეყნის დატოვების კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დარღვევა.

**საქართველოს პარლამენტს:**

- განახორციელოს ცვლილებები საქართველოს კანონებში „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ და „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესის შესახებ“ და ჩაიწეროს საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლასა და ქვეყნის დატოვებაზე უარის გასაჩივრების უფლების არსებობა.
- საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების გზით, საერთო სასამართლოებს მიეცეს უფლებამოსილება, შეამოწმონ სახელმწიფო უშიშროების და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, საიდუმლო ინფორმაციის შემცველი დოკუმენტები, რათა თითოეული ადამიანი დაცული იყოს სამართალდამცავი ორგანოების თვითნებობისგან.

<sup>562</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 01 ოქტომბრის საჯარო განცხადება, იხ. [www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge)

## საკუთრების უფლება

2013 წელს საკუთრების უფლების დაცვა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა.

საკუთრების უფლება აღიარებული და დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით: „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.“

თუმცა, საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური უფლება. შესაძლებელია მისი შეზღუდვა და საქართველოს კონსტიტუციაც ადგენს საკუთრების უფლების შეზღუდვის საფუძველსა და მიზანს:

„[კონსტიტუციის] 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების დროს კანონმდებელს საკუთრების შეზღუდვის უფლებას აძლევს, ე.ი. საზოგადოებრივი საჭიროების დროს კანონმდებელი თავისუფალია საკუთრების შეზღუდვისა და მისი შინაარსის განსაზღვრის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, საკუთრების კონსტიტუციური უფლების საზოგადოებრივი ინტერესით შეზღუდვის შესაძლებლობა თავად კონსტიტუციური უფლების შინაგან სტრუქტურაშია მოცემული“.<sup>563</sup>

„კონსტიტუციის 21-ე მუხლი არ იცავს ინდივიდის საკუთრებას იზოლირებულად. მესაკუთრე საზოგადოების წევრია. საკუთრების კონსტიტუციური ბუნებაც საზოგადოებრივი შეზღუდვით, ე.ი. საზოგადოებრივ ინტერესებთან, ანუ ჩვენთან დამოკიდებულებითაა განპირობებული. ამდენად, კანონმდებლობით საკუთრების შეზღუდვა საკუთრების კონსტიტუციური უფლების შინაგანი ელემენტია.“<sup>564</sup>

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2013-2014 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში“ მიხედვით, საქართველოს რეიტინგმა 77-ე ადგილიდან 72-ზე (4,15 ქულით) გადმოინაცვლა და 5 პუნქტით აიწია<sup>565</sup>.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის ფაქტორების კვლევის შესახებ „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში“ ყოველწლიურად ამზადებს. 2013 წლის მოხსენებაში 100 ქვე-ინდექსია გამოკვლეული, რომლებიც 12 მაჩვენებელსა და საბოლოო ჯამში - 3 ფაქტორში ერთიანდება. გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში გამოკვლეულია შემდეგი მაჩვენებლები: ინსტიტუციები, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური გარემო, ჯანდაცვა და პირველადი

<sup>563</sup> „კონსტიტუციის კომენტარები“, ავტორთა კოლეგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2005 წ. გვ.148.

<sup>564</sup> „კონსტიტუციის კომენტარები“, ავტორთა კოლეგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2005 წ. გვ. 149.

<sup>565</sup> The Global Competitiveness Report. [ob.http://www3.weforum.org/docs/GCR2013-14/GCR\\_Rankings\\_2013-14.pdf](http://www3.weforum.org/docs/GCR2013-14/GCR_Rankings_2013-14.pdf)

განათლება, უმაღლესი განათლება და ტრენინგები, ბაზრის ეფექტიანობა, შრომის ბაზრის ეფექტიანობა, საფინანსო ბაზრის განვითარება, ტექნოლოგიები, ბაზრის სიდიდე, ბიზნესი და ინოვაციები.

რეიტინგში, საქართველოს დაწინაურება განაპირობა შემდეგი ფაქტორების გაუმჯობესებამ:

ძირითად მოთხოვნებში – საქართველომ 7 საფეხურით გაიუმჯობესა პოზიციები და 64-ე ადგილიდან 57-ზე გადმოინაცვლა. ცვლილებაზე გავლენა იქონია:

- მაკროეკონომიკურმა გარემომ – გაუმჯობესდა 27 პოზიციით და 88-ე ადგილიდან 61-ზე გადმოინაცვლა;
- ეფექტიანობის მასტიმულირებელმა ფაქტორებმა (Efficiency Enhancers) – გაუმჯობესდა 1 პოზიციით და 87-ე ადგილიდან 86-ზე გადმოინაცვლა;
- ტექნოლოგიურმა მზაობამ – გაუმჯობესდა 8 პოზიციით და 76-ე ადგილიდან 68-ზე გადმოინაცვლა;
- საფინანსო ბაზრის განვითარებამ – გაუმჯობესდა 18 პოზიციით და 93-ე ადგილიდან 75-ზე გადმოინაცვლა;
- სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობამ – გაუმჯობესდა 15 პოზიციით და 82-ე ადგილიდან 67-ზე გადმოინაცვლა;
- უმაღლესმა განათლებამ და ტრენინგმა – გაუმჯობესდა 1 პოზიციით და 93-ე ადგილიდან 92-ზე გადმოინაცვლა;

განვითარების შეფასების მიხედვით, საქართველო კვლავ ეფექტიანობით მამოძრავებელი ქვეყნის სტატუსს ინარჩუნებს.<sup>566</sup>

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის რეიტინგში საქართველო წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა - ხორვატია (75-ე ადგილი), რუმინეთი (76-ე ადგილი), სომხეთი (79-ე ადგილი), უკრაინა (84-ე ადგილი), მოლდოვა (89-ე ადგილი), და ა.შ. აღნიშნულ რეიტინგში პირველი ადგილი შვეიცარიას, ხოლო, უკანასკნელი ჩადს უკავია. მოხსენებამ 148 ქვეყანას მოიცვა.

საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშში აღინიშნა, რომ წლების განმავლობაში საქართველოში საკუთრების უფლების დარღვევის ასობით ფაქტი გამოვლინდა. ეს განსაკუთრებით ეხებოდა სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა უფლებების უხემ დარღვევას და სახალხო დამცველი გამოთქვამდა იმედს, რომ შესაბამისი უწყებები ამ ფაქტებს გამოიძიებდნენ და დარღვეულ უფლებებს აღადგენდნენ.<sup>567</sup> თუმცა, 2013 წელს, ამ მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადაუდგამთ. საქართველოს მთავრობას არც მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი მექანიზმი

<sup>566</sup> ამ კონტექსტში ანგარიში ქვეყნებს სამი ტიპის სტატუსს ანიჭებს: რესურსებით მამოძრავებელი, ეფექტიანობით მამოძრავებელი და ინოვაციით მამოძრავებელი.

<sup>567</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში, გვ. 546-547.

შეუქმნია, რომელიც 2012 წლის ბოლოს და 2013 წლის დასაწყისში, სავარაუდოდ დარღვეული საკუთრების უფლების აღდგენის ერთ-ერთი საშუალებად მოიაზრებოდა.<sup>568</sup> შესაბამისად, კვლავ ასობით ადამიანი ელის საქართველოს მთავარ პროკურატურაში შეტანილი საჩივრების განხილვას.

სისხლის სამართალწარმოების პროცესში, სავარაუდოდ დარღვეული საკუთრების უფლების აღდგენის მექანიზმი, არც საქართველოს პარლამენტის მიერ, 2012 წლის 29 დეკემბერს მიღებული „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონით შექმნილა.

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბერს მიღებული, „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ №76–II დადგენილების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2012 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №8) დამტკიცებულ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირთა სიაში დასახელებული მსჯავრდებულები (დანართი №1) მიჩნეულ იქნენ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირებად; ხოლო, იმავე სხდომაზე (ოქმი №8) დამტკიცებულ პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა სიაში დასახელებული პირები (დანართი №2) მიჩნეულ იქნენ პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირებად. საქართველოს პარლამენტის ზემოაღნიშნული დადგენილების მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს უმოკლეს ვადაში უნდა უზრუნველყო პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების ან/და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა.

ასეთ მექანიზმად მოგვევლინა 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლი, რომლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან უნდა გათავისუფლებულიყო ყველა ის პირი, რომელსაც საქართველოს პარლამენტის დადგენილებით მინიჭებული ჰქონდა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ან პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილი პირის სტატუსი.

„ამნისტიის შესახებ“ კანონის მოქმედება გავრცელდა სასჯელის ყველა სახეზე, გარდა ჯარიმისა და ქონების ჩამორთმევისა. მეტიც, ამავე კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, მოცემული კანონის მოქმედება არ გავრცელდა სასჯელის სახით შეფარდებულ/აღსრულებულ ჯარიმასა და ქონების ჩამორთმევაზე.

საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ 2012 წლის 5 დეკემბერს მიღებული დადგენილებით დადასტურებულად მიიჩნია ფაქტი, რომ ამავე დადგენილების №1 და №2 დანართში დასახელებული პირების მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე და

<sup>568</sup> თუმცა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტის საბოლოო ვერსია, რომელიც მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნას ისახავდა მიზნად, მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეების გადასინჯვის მექანიზმით შემოიფარგლებოდა.

გამოტანილი განაჩენი პოლიტიკურ მოტივს ეყრდნობოდა. მართლმსაჯულება მხოლოდ კანონის საფუძველზე უნდა განხორციელდებოდა და განხორციელდეს. გამომდინარე იქიდან, რომ აღიარებულ იქნა, რომ ამ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა პოლიტიკურ მოტივებზე დაყრდნობით განხორციელდა, მაშინ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ იმავე განაჩენით ჯარიმის შეფარდება კანონის მოთხოვნის საფუძველზე არ განხორციელდებულა.

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76–II დადგენილებით, ერთი მხრივ, აღიარებულია სახელმწიფოს მიერ აღნიშნულ პირთა პოლიტიკური მოტივით მსჯავრდების ფაქტი, რის გამოც ისინი გათავისუფლდნენ სასჯელისგან (გარდა ჯარიმისა და ქონების ჩამორთმევისა); მეორე მხრივ, სასჯელის სახეების: ჯარიმისა და ქონების ჩამორთმევის აღსრულების პროცესი გაგრძელდა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება არ გავრცელდა არა მხოლოდ აღსრულებულ, არამედ შეფარდებულ და ჯერ კიდევ აღსრულებელ ჯარიმასა და ქონების ჩამორთმევაზე. თუ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდა პოლიტიკური მოტივით და იგი თავისუფლდება სასჯელის სხვა სახის მოხდისგან, ლოგიკურია, რომ ის გათავისუფლდეს ჯარიმისგანაც, მითუმეტეს, თუ ჯერ კიდევ არ აღსრულებულა. მიზანშეწონილია, საწყის ეტაპზე, გაიმიჯნოს თუნდაც ეს ორი შემთხვევა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდეს ჯერ კიდევ აღსრულებელ ჯარიმასა და ქონების ჩამორთმევაზე აღსრულების პროცესი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მოქალაქე ზ.ჟ.-ს საქმე, რომელიც 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან როგორც პირი, რომელიც საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76–II დადგენილების (დანართი №1) პირველი პუნქტის თანახმად, მიჩნეულ იქნა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად. თუმცა, მის მიმართ გამოტანილი განაჩენით დაკმაყოფილებული სამოქალაქო სარჩელის (სამოქალაქო მოპასუხეს – ზ.ჟ.-ს დაეკისრა 402 827 ლარის ოდენობის თანხის გადახდა სამოქალაქო მოსარჩელის – სს „საქნავთობპროდუქტის“ სასარგებლოდ) აღსრულება გაგრძელდა: მიმდინარეობდა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების – საცხოვრებელი ბინის აუქციონის წესით გასხვისების პროცესი. 2013 წლის 31 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, რათა მას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში მიეღო და გამოეყენებინა სამართლებრივი ზომები მოქალაქე ზ.ჟ.-ს, როგორც პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული



პირის, საკუთრების უფლების უზრუნველყოფის მიზნით, თუმცა, სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ აღნიშნული მიმართვა არ გაითვალისწინა.<sup>569</sup>

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი მიმართულებით შეისწავლა საკუთრების უფლების დაცვის სფეროში განხორციელებული ცვლილებების ან/და ამ უფლების სავარაუდო შელახვის ფაქტები. დარღვევის სისტემური ხასიათიდან გამომდინარე, წინამდებარე ანგარიშში განხილული იქნება საკუთრების უფლების რეგისტრაციის, საკუთრების უფლების აღიარების, სისხლის სამართლის საქმეთა სამართალწარმოებისას საკუთრების უფლების სავარაუდო დარღვევის შემთხვევები, რაც განპირობებულია საკანონმდებლო თუ პრაქტიკაში არსებული ხარვეზებით. ამასთან, განხილული იქნება საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში განხორციელებული ცვლილებები.

### საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული არაერთი განცხადება შეისწავლა. სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეთა შესწავლის შედეგების მიხედვით, სისტემური პრობლემები, 2012 წლის საანგარიშო პერიოდის მსგავსად, გამოვლინდა რამდენიმე მიმართულებით. ესენია: საკუთრების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიების მუშაობა, ე.წ. ზედდების/გადაფარვის პრობლემა, საკუთრების უფლების რეგისტრაცია და საკუთრებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხები (გარდა, საკუთრებით სარგებლობის უფლების შეზღუდვისა) დეტალურად არის განხილული საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშში, პრობლემათა აქტუალობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი კვლავ განხილვა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სამივე საკითხი კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების, მათ შორის, სასამართლო ორგანოების მხრიდან.

### საკუთრების უფლების აღიარება

საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიების მუშაობა არაერთხელ გამხდარა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის საგანი. 2012 წლის

<sup>569</sup> სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 16 იანვრის წერილი.

ანგარიშში ერთ–ერთი ქვეთავი სწორედ ამ კომისიების მუშაობის შედეგად საკუთრების უფლების დარღვევის საკითხებს შეეხებოდა.<sup>570</sup>

მუდმივმოქმედი კომისიების მიერ კანონისმიერ მოთხოვნათა დარღვევის ერთ–ერთი ყველაზე ხშირი შემთხვევა, დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას უკავშირდება.

2007 წლის 11 ივლისის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით დამტკიცდა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესი“. საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიები, უფლებამოსილების განხორციელებისას, ხელმძღვანელობენ სწორედ 2007 წლის 15 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული წესით, რომლის მიხედვით, კომისია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი.<sup>571</sup>

შესაბამისად, საკუთრების უფლების აღიარების კომისიას, საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად, იმპერატიულად ეკრძალება, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის (დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებისას, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების ან დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობისას საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება) გამოცემას საფუძვლად დაუდოს ისეთი გარემოებები ან ფაქტები, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული.<sup>572</sup> საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისია დაინტერესებული პირის წერილობითი განცხადების განხილვის დროს, ვალდებულია, ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება და მათი შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.<sup>573</sup> ამავდროულად, მნიშვნელოვანია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი (დაინტერესებული პირის მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დაკმაყოფილებისას ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

<sup>570</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში, გვ. 387–390.

<sup>571</sup> საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის ბრძანებულება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“, მუხ. 10, პუნ. 1.

<sup>572</sup> 1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ.96, ნაწ. 2.

<sup>573</sup> 1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 96, ნაწ.1.

გადაწყვეტილება) შინაარსობრივად შეესაბამებოდეს მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს.

2013 წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სახალხო დამცველმა, საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედ კომისიებს არაერთი რეკომენდაციით<sup>574</sup> მიმართა, რათა, ცალკეულ მოქალაქეთა კანონისმიერი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით შეესწავლათ მათ მიერ გამოცემული გადაწყვეტილებების კანონიერების საკითხი.<sup>575</sup> მათ შორის, საქმეები შეეხებოდა, კომისიის მიერ მოქალაქეთა მიმართვების განხილვის კანონით დადგენილი ვადების დარღვევას, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე დატოვებას და სხვა.

### **მოქალაქე ვ.ბ.-ს საქმე:**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მოქალაქე ვ.ბ.-ს საქმეზე, თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2009 წლის 14 იანვრის №81 გადაწყვეტილების კანონიერება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის შესწავლის შედეგების მიხედვით, თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ, მოქალაქე ვ.ბ.-ის განცხადების განხილვისას არ დაიცვა განცხადების რეგისტრაციიდან მისი განხილვის ერთთვიანი ვადა (მოქალაქის მიერ 2008 წლის 13 მარტს წარდგენილ განცხადებაზე გადაწყვეტილება მიიღო 2009 წლის 14 იანვარს), რითაც დაარღვია საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-14 მუხლი<sup>576</sup> და „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში

<sup>574</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 19 ივნისის №3371/04-5/0183-13 და 2013 წლის 31 დეკემბრის №4835/04-15/0930-11,0930-11/1 რეკომენდაციები.

<sup>575</sup> მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 2013 წლის განმავლობაში განიხილა 2008–2012 წლებში საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებას. კომისიის მიერ 2013 წელს მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერება განხილული არ ყოფილა;

<sup>576</sup> საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის 2008 წლის 19 თებერვალს მოქმედი რედაქციის თანახმად, კომისია გადაწყვეტილებას იღებდა განცხადების რეგისტრაციიდან ერთ თვეში. თუ საკუთრების უფლების აღიარებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად აუცილებელი იყო ერთ თვეზე მეტი, კომისია უფლებამოსილი იყო განცხადების განხილვის ვადაში მიეღო გადაწყვეტილება განცხადების განხილვის პერიოდის

(სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 და მე-8 პუნქტები.

კომისიის მიერ განცხადების განხილვის ვადის დარღვევამ წარმოშვა მოქალაქისთვის კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი. კერძოდ, 2008 წლის 23 ოქტომბერს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით<sup>577</sup> შეიცვალა თვითნებურად დაკავებული მიწის განმარტება და კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას (განცხადების წარდგენიდან 10 თვის შემდეგ) მოქალაქე ვ.ბ.-ს მიერ თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი ვერ აკმაყოფილებდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რაც გულისხმობდა თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების აღიარებისათვის მასზე საცხოვრებელი სახლის (აშენებულის ან დანგრეულის) არსებობას.<sup>578</sup>

### მოქალაქე ზ.გ.-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მოქალაქე ზ.გ.-ს საკუთრების უფლების მოწმობის გაუქმების კანონიერება.

აპარატის მიერ საქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ 2008 წლის 19 ნოემბერს მოქალაქე ზ.გ.-ზე გაიცა საკუთრების მოწმობა, რომელიც 2009 წლის 30 სექტემბერს ბათილად ცნო იმავე კომისიამ იმ საფუძველით, რომ არ დგინდებოდა მოქალაქის მიერ მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტი. აღნიშნული გადაწყვეტილება მოქალაქე ზ.გ.-მ გაასაჩივრა

---

დამატებით ერთი თვით გაზრდის შესახებ. ამ შემთხვევაში განცხადების განხილვის საერთო ვადა არ უნდა აღმატებოდა 3 თვეს.

<sup>577</sup> 2008 წლის 23 ოქტომბერს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის ჩამოყალიბდა შემდეგნაირად, „თვითნებურად დაკავებულ მიწას წარმოადგენს ამ კანონის ამოქმედებამდე ფიზიკური პირის მიერ თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი (აშენებული ან დანგრეული) ან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული), ასევე დაინტერესებული ფიზიკური პირის საკუთრებაში ან მართლობიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი (შენობით ან მის გარეშე), რომლის ფართობიც ნაკლებია საკუთრებაში ან მართლობიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე, ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში ან მართლობიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული), რომლის ფართობიც ნაკლებია საკუთრებაში ან მართლობიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე და რომელიც საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის მომენტისათვის სახელმწიფოს მიერ არ არის განკარგული, გარდა ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

<sup>578</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 19 ივნისის რეკომენდაცია.

სასამართლო წესით, რომელიც დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და 2011 წლის 6 ოქტომბერს საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიას. საბოლოოდ, 2011 წლის 20 ოქტომბერს აღნიშნული საქმე გადაეგზავნა ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედ კომისიაში, რადგან იმ დროისთვის მოქალაქე ზ.გ.-ს მიერ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი უკვე ბათუმის შემადგენლობაში შედიოდა. ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებით, ზ.გ. არ ჩაითვალა მოთხოვნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის თვითნებურად დამკავებლად და უარი ეთქვა საკუთრების უფლების აღიარებაზე. ბათუმის მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებით, ზ.გ.-ს მიერ შეტანილი განცხადება არ აკმაყოფილებდა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კომისიის ეს გადაწყვეტილება ზ.გ.-მ კვლავ გახადა სადავო სასამართლო წესით. მისი მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2012 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით და საქმე სადავო საკითხის გადაუწყვეტლად დაუბრუნა ბათუმის მუდმივმოქმედ კომისიას, რაზეც 2013 წლის 4 მარტს გაიცა სააღსრულებო ფურცელი. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის შესწავლის პერიოდში ბათუმის მუდმივმოქმედ კომისიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ზ.გ.-ს მიერ ქობულეთის საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართვის მომენტისთვის (2008 წლის 1 მაისს და 2008 წლის 5 ნოემბერს) მისი განცხადება სრულად აკმაყოფილებდა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის იმ დროისთვის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და როგორც ქობულეთის, ასევე ბათუმის მუდმივმოქმედი კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ხოლო 2013 წლის 4 მარტის შემდგომ, ბათუმის კომისიის უმოქმედობა განმცხადებლის საკუთრების უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას წარმოადგენს.<sup>579</sup>

<sup>579</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 31 დეკემბრის რეკომენდაცია ზ.გ.-ს საკუთრების უფლების დარღვევასთან დაკავშირებით;



## ზედდება/დუბლირებული რეგისტრაციები<sup>580</sup>

მიწის ნაკვეთების ზედდების, ე.წ. გადაფარვის შემთხვევები წლების განმავლობაში ერთ-ერთ სისტემურ პრობლემას წარმოადგენს. 2013 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა არაერთი საქმე, როდესაც ამა თუ იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის ცნობილი ხდებოდა, რომ იმავე მიწის ნაკვეთზე, მოგვიანებით, ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს ან სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის საკუთრების უფლება (სრულად ან ნაწილობრივ) იქნა რეგისტრირებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ზედდების პრობლემის გამოვლენა ელექტრონული საკადასტრო აზომვითი ნახაზების შემოღებას უკავშირდება.

2006 წლამდე მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი ქაღალდზე მზადდებოდა. 2006 წლის 13 დეკემბრის საქართველოს იუსტიციის მინისტრის „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ №800 ბრძანებით<sup>581</sup> დაინერგა სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემა.<sup>582</sup> თუმცა, სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემაში ელექტრონული ნახაზის შედგენა და რეგისტრაცია არ გამორიცხავს ნახაზის ქაღალდის ვერსიის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას. ამასთან, ქაღალდზე შესრულებული საკადასტრო მონაცემების ელექტრონულ სისტემაში გადაყვანა კანონმდებლობით სავალდებულო არ გამხდარა. შესაბამისად, ელექტრონულ სისტემაში არც ძველი მეთოდით დამზადებული ნახაზები ასახულა.

სირთულეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საქართველოს მასშტაბით, განსაკუთრებით კი რეგიონებში, მიწაზე კერძო საკუთრების მხოლოდ მცირე ნაწილი თუ არის რეგისტრირებული კანონით დადგენილი წესით. შესაბამისად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ქვეყნის მასშტაბით უძრავ ქონებაზე (ამ შემთხვევაში მიწაზე) საკუთრების უფლების არსებობის შესახებ სრულ ინფორმაციას არ ფლობს. ცალკეულ შემთხვევებში, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტები შესაბამის უწყებებში (საკომლო წიგნის ჩანაწერები, საგადასახადო სიები, მებალის წიგნაკები და სხვა) არ იძებნება ან მხოლოდ არასრულყოფილი სახით არის წარმოდგენილი, ან/და არსებული ჩანაწერები (საკუთრების უფლების დამადასტურებელ მოწმობებში, მიღება-ჩაბარების აქტებში და სხვა) არაზუსტი ან ხარვეზიანია.

<sup>580</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში, გვ. 395–396.

<sup>581</sup> 2006 წლის 13 დეკემბრის საქართველოს იუსტიციის მინისტრის №800 ბრძანება;

<sup>582</sup> 2006 წლის 13 დეკემბრის საქართველოს იუსტიციის მინისტრის N800 ბრძანება, მუხ. 2, პუნ. „ი“- „სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემა - საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 29 აპრილის №206 ბრძანებულებით დადგენილი სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემა (WGS 84 კოორდინატთა სისტემასა და UTM პროექციაში)“;

წლების განმავლობაში, საერთო სასამართლოებში დამკვიდრებული პრაქტიკით, მიწის ნაკვეთზე დავის (ზედდების) შემთხვევაში, ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელსაც საკუთრება დაუზუსტებელი მონაცემებით (საკადასტრო აზომვითი ნახაზის ქალაქის ვერსიით) ჰქონდა დარეგისტრირებული, აგებდა დავას.<sup>583</sup> პარადოქსული იყო ის გარემოება, რომ დავის დასრულების შემდეგ, ძალაში რჩებოდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაუზუსტებელი მონაცემებით გაკეთებული ჩანაწერი უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ. თუმცა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და შემდეგ უკვე, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებით, შეუძლებელი იყო ამ უძრავი ქონების ადგილმდებარეობის დადგენა. ცხადია, ასეთ პირობებში საკუთრების უფლების არსებობა ფიქცია იყო/არის.

საერთო სასამართლოების პრაქტიკა 2013 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული რამდენიმე გადაწყვეტილებით შეიცვალა.<sup>584</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ,<sup>585</sup> დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე კასატორ ვ.მ.-ს საწინააღმდეგოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმებისას აღნიშნა:

„[...]საკუთრება არის ფაქტი და დაუშვებელია ბუნებაში მისი ზოგადი, აბსტრაქტული სახით არსებობა იმ ძირითადი ელემენტების გარეშე, რაც საკუთრების უფლებას განასხვავებს სხვა სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფიქციაა არა ის ქონება, რომელსაც პირი რეგისტრაციის საფუძველზე ფლობს, არამედ ფიქციაა თავად რეგისტრირებული მონაცემების უტყუარობა, შესაბამისად, დაუშვებელია რეგისტრირებული მონაცემები და ნამდვილი მდგომარეობა არ შეესაბამებოდეს ერთმანეთს“.

იმავე გადაწყვეტილებაში<sup>586</sup>, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით აღნიშნა:

„საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე დავის წარმოდგენილი სახით გადაწყვეტა უშვებს სწორედ ისეთი შემთხვევის დაშვების შესაძლებლობას, როდესაც ვ. მ.-ს სახელზე იარსებებს რეგისტრირებული უფლება ქონებაზე, ხოლო თავად ქონება ანუ უფლების

<sup>583</sup> იხ. მაგალითად, ს.ა.-ს ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 4 ოქტომბრის, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 22 დეკემბრის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებები.

<sup>584</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 ნოემბრის ბს-1732-1701 (კ-11) და 2013 წლის 28 თებერვლის ბს-367-363 (კ-12) გადაწყვეტილებები ვ.მ.-სა და ხ.მ.-ს საქმეებზე.

<sup>585</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება ბს-1732-1701 (კ-11).

<sup>586</sup> იხ. იქვე.

ობიექტი სახეზე არ იქნება, რაც მესაკუთრის უფლებებიდან და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე ცალსახად გამოირიცხება[...]“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ხ.მ.-ს საქმეზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებაში<sup>587</sup> საჯარო რეესტრის ვალდებულებებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა:

„[...] პირველად დაუზუსტებელ რეგისტრაციას არ აქვს მხოლოდ საცნობარო მნიშვნელობა, უმართებულოა მისი დაყვანა მხოლოდ ფაქტობრივ აღრიცხვამდე, რომელიც აღრიცხვის ობიექტის მიმართ არ იწვევს რაიმე სამართლებრივ შედეგს. სააღრიცხვო მონაცემებს იურიდიული მნიშვნელობა გააჩნია, სარეგისტრაციო აღრიცხვის ოფიციალურობა უზრუნველყოფილია საჯარო რეესტრით. სარეგისტრაციო პროცედურას შედეგად მოსდევს უფლებადამდგენი დოკუმენტის გაცემა, რომელიც ადასტურებს იურიდიული ფაქტების კანონიერებას. რეგისტრაციას პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს, ის არის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზაციის პირობა, რეგისტრაცია არის უძრავ ქონებაზე უფლების წარმოშობის/შეცვლის სახელმწიფოს მხრიდან დადასტურების იურიდიული აქტი, რითაც რეგისტრაციის განმახორციელებელი კისრულობს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობათა კომპლექსის დაცვის ვალდებულებას, სახელმწიფო რეგისტრაცია მოწოდებულია მთლიანობაში სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის განსამტკიცებლად, ის არის ტიტულის, პირის უფლებების სახელმწიფო დაცვის ფორმალური პირობა.“

იმავე საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ:

„[...] კანონმდებლობა არ გამოირიცხავს დაუზუსტებელი რეგისტრაციის არსებობას, შესაბამისად, რეგისტრაციის არსებობის გადამოწმება მხოლოდ ელექტრონული ნახაზის მეშვეობით არ ადასტურებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას, აღნიშნული ყოველგვარ აზრს უკარგავს დაუზუსტებელ რეგისტრაციას.“

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილი განმარტებები სრულად ეფუძნება არსებულ კანონმდებლობას და ამ საკანონმდებლო ნორმებში გაწერილ ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებებს.

საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციით განსაზღვრულია სარეგისტრაციო წარმოების მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები. შესაბამისად, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო ან მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, მაგრამ ამავე ნორმის მიხედვით, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხისმგებელი არიან რეგისტრირებული მონაცემების და მათთან

<sup>587</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება 2013 წლის 28 თებერვლის ბს-367-363(კ-12) გადაწყვეტილება.

დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე.<sup>588</sup>

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის შემდეგ.

შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და მისი სარეგისტრაციო სამსახურები, კანონმდებლობის თანახმად, ვალდებული არიან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები თითოეულ შემთხვევაში განახორციელონ შესაბამისი ინსტრუქციითა და ჯეროვნად, რაც გულისხმობს - გადაწყვეტილებების მიღებას მხოლოდ საქმის გარემოებების სრულყოფილი შესწავლის საფუძველზე, რათა არ შეიზღუდოს დაინტერესებულ პირთა კანონიერი ინტერესები.

დადებითად უნდა შეფასდეს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს<sup>589</sup> და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში შექმნილი კომისიების მუშაობა, რომლებიც ზედდების/დუბლირებული რეგისტრაციების თაობაზე მოქალაქეთა განცხადებებს შეისწავლის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მინისტრის სხვადასხვა ბრძანებების საფუძველზე, 2010 წლიდან შექმნილია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებზე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სარეგისტრაციოდ მოთხოვნილი უძრავი ქონების (საკადასტრო მონაცემებით) ზედდებასთან დაკავშირებით შემოსულ განცხადებათა განმხილველი კომისია“.<sup>590</sup> იმავე ინფორმაციით, კომისიის შექმნიდან დღემდე სამინისტროში ზედდებასთან დაკავშირებით დარეგისტრირდა 422 განცხადება, რომელთაგან კომისიამ განიხილა 291, ხოლო, 131 განცხადებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. ამასთან, განხილული 291 განცხადებიდან 109 განცხადება განიხილა 2013 წლის 9 აგვისტოს ბრძანებით შექმნილმა კომისიამ.<sup>591</sup> სამინისტროს მიერ მოწოდებული კომისიის სხდომის ოქმის შესწავლის შედეგებით, კომისიას 2013 წელს

<sup>588</sup> 2008 წლის 19 დეკემბრის საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>589</sup> სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოდან დეტალური ინფორმაციის მოძიება წინამდებარე ანგარიშის წარდგენის დროისთვის ვერ მოხერხდა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის 14 მარტის წერილი.

<sup>590</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის წერილი.

<sup>591</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №ს-234 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა 2012 წლის 12 ნოემბრის მინისტრის ბრძანება კომისიის შექმნის თაობაზე და შეიქმნა ახალი კომისია.

განხილული აქვს იმ ფიზიკურ პირთა განცხადებები, რომელთაც უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი) დაუზუსტებელი მონაცემებით ჰქონდათ რეგისტრირებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მოგვიანებით, ზედდებაში აღმოჩნდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საკუთრებად რეგისტრირებულ ქონებასთან.<sup>592</sup> სამინისტროსვე ინფორმაციით, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს, თუმცა, როგორც წესი, სამინისტრო ითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციებს.<sup>593</sup> დადებითად უნდა შეფასდეს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს ბრძანებით, კომისიის მუშაობაში ჩართულები არიან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც,<sup>594</sup> რაც პროცესის გამჭვირვალედ წარმართვის გარანტი შეიძლება გახდეს. მეტად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული კომისიის მუშაობის პროცესი იყოს გამჭვირვალე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი, ადმინისტრაციული წარმოების წესების სრული დაცვით განხორციელდეს.

მისასალმებელია, რომ 2013 წელს საერთო სასამართლოების პრაქტიკა ელექტრონულ და დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრირებული საკუთრების უფლების მიმართ შეიცვალა და აღიარებულ იქნა, რომ დაუზუსტებელ მონაცემებს ისეთივე იურიდიული ძალა აქვს, როგორც ელექტრონული აზომვითი ნახაზის საფუძველზე განხორციელებულ რეგისტრაციას. თუმცა, ამ ცვლილების პრაქტიკაში რეალიზება კვლავ პრობლემად რჩება,<sup>595</sup> რაც, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, სხვადასხვა სისტემური ხარვეზებით არის გამოწვეული (არაზუსტი და არასრული მონაცემების არსებობა, ხარვეზით შესრულებული და გაცემული საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტები და სხვა). ამ მხრივ, აუცილებელია სახელმწიფოს ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთთანამშრომლობით, შეიქმნას მექანიზმი, რომელიც სისტემური პრობლემის მოგვარებისა და საკუთრების უფლების რეალიზებისკენ იქნება მიმართული.

ცალკე პრობლემას წარმოადგენს ისეთი შემთხვევები, როდესაც საერთო სასამართლოების 2013 წლამდე არსებული პრაქტიკის საფუძველზე, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფონზე, ილახება ფიზიკურ/იურიდიულ პირთა საკუთრების უფლება.<sup>596</sup>

<sup>592</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის წერილის დანართი.

<sup>593</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის წერილი;

<sup>594</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №ს-234 ბრძანება, მუხ. 2.

<sup>595</sup> მათ შორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2013 წლის 28 თებერვალს ხ.მ.-ს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება დღემდე არ აღსრულებულა;

<sup>596</sup> იხ. მაგალითად, ს.ა.-ს საქმე.



## მოქალაქე ს.ა.-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, სახელმწიფოს მიერ მისი საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, მოქალაქე ს.ა.-ს საქმეს განიხილავს.

2009 წლის 6 დეკემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკუთრების უფლება დაურეგისტრირა ანაკლიაში 489 552.00 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთზე, რომელშიც მოექცა მოქალაქე ს.ა.-ს საკუთრებაში 2007 წლის 29 ნოემბრიდან რეგისტრირებული 47, 92 ჰა მიწის ნაკვეთი.

ს.ა.-ს მიერ საერთო სასამართლოებში წარმოებული დავა წარუმატებლად დასრულდა. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლო 2010 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში გაიზიარა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ ელექტრონული ვერსიის გარეშე წარდგენილი საკადასტრო აზომვითი მონაცემები ყველა შემთხვევაში დაუზუსტებლად მიიჩნევა და არ იძლევა უძრავი ნივთის სრული იდენტიფიკაციის საშუალებას, რის გამოც, შეუძლებელია, ელექტრონული საკადასტრო აზომვითი ნახაზით წარმოდგენილი (დაზუსტებული) მონაცემების შედარება არაელექტრონულ (დაუზუსტებელ) მონაცემებთან. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ს.ა.-ს მიერ მიწის ნაკვეთის პირველადი რეგისტრაცია საკადასტრო აზომვითი ნახაზის ქალაქის ვერსიით არის განხორციელებული. შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა ს.ა.-ს მტკიცება იმის თაობაზე, რომ საჯარო რეესტრში მის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი და მის მიერ დავის წარმოების დროს წარდგენილი ელექტრონულ საკადასტრო აზომვით ნახაზზე მოცემული უძრავი ნივთი ერთი და იგივეა და სწორედ ეს ქონება დაირეგისტრირა სახელმწიფომ 2009 წლის 6 დეკემბერს.<sup>597</sup> აღნიშნული გადაწყვეტილება სრულად გაიზიარა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 22 დეკემბრის განჩინებაში, ხოლო, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2011 წლის 7 მარტის განჩინებით დაუშვებლად ცნო ს.ა.-ს საკასაციო საჩივარი.

2010 წლის 5 მაისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საკუთრების უფლების მოწმობები გასცა შპს „ანაკლია პორტ“-ზე ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე, რომელშიც მოექცა ს.ა.-ს საკუთრებაში არსებული 47, 92 ჰა მიწის ნაკვეთი. მოგვიანებით, შპს „ანაკლია პორტთან“ ვალდებულებების დარღვევის გამო გაუქმდა აღნიშნულ უძრავ ქონებაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და მიწის ნაკვეთები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 18 აპრილის №05/7757 მიმართვის (წერილის) საფუძველზე განმეორებით დაურეგისტრირდა სახელმწიფოს სახელზე საკუთრების უფლებით. თუმცა, ს.ა.-ს არაერთი მიმართვის მიუხედავად, მას საკუთრება არ დაბრუნებია. ამასთან, არ არსებობს დავის სასამართლო წესით განხილვის შესაძლებლობა.

<sup>597</sup> იხ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება ს. ა.-ს საქმეზე.

ასეთ შემთხვევაში, როდესაც საკუთრება ჯერ კიდევ რეგისტრირებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახელზე, აუცილებელია საქმეების ინდივიდუალური შესწავლა და საკუთრების უფლების აღდგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## საკუთრების უფლების რეგისტრაცია

2013 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა არაერთმა მოქალაქემ, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ სამეურნეო სათავსის/ სარდაფების (ე.წ.სარდაფ-სართულების) რეგისტრაციის პროცესში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებები ხელყოფდა საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებულ საკუთრების უფლებას.

განცხადებების შესწავლის შედეგად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მხრიდან სამეურნეო სათავსის/სარდაფების საკუთრების უფლების რეგისტრაციის დროს, მნიშვნელოვანი დარღვევები გამოვლინდა.

2013 წლის 12 აპრილის საქართველოს მთავრობის №81 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-3 მუხლის 68-ე პუნქტში შეტანილი ცვლილებით შეიცვალა სარდაფის ცნება. ცვლილების თანახმად, სარდაფს განეკუთვნება მიწისქვეშა სართულში განთავსებული სათავსი/სადგომი, რომლის ჭერის ამოწვევის საშუალო სიმაღლე მიწის ზედაპირიდან არ აღემატება 0.7 მეტრს. ამ ცვლილებამდე, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების მე-3 მუხლის 68-ე პუნქტის მიხედვით, სარდაფს წარმოადგენდა მიწისქვეშა არასრულ სართულში განთავსებული სათავსი/სადგომი.

ამასთან, „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანების 29-ე მუხლში 2013 წლის 4 ივლისს შევიდა ცვლილება, რომლითაც განისაზღვრა, რომ სარდაფის საკადასტრო აზომვითი ნახაზი, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების მე-3 მუხლის 68-ე პუნქტის თანახმად სარდაფისათვის დადგენილ მოთხოვნას (ანუ მიწისქვეშა სართულის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან არ უნდა აღემატებოდეს 0.7 მეტრს) უნდა აკმაყოფილებდეს.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარისა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის განცხადებებით, ზემოაღნიშნული ცვლილებებით განისაზღვრა სარდაფის ცნება, რომელიც თითქოსდა

მიმართული იყო, 2008 წლიდან არსებული სისტემური პრობლემის აღმოფხვრისა და სარდაფების რეგისტრაციის უზრუნველყოფისაკენ.

თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეები ადასტურებს, რომ განხორციელებული ცვლილება სარდაფების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ პრობლემას ვერ აგვარებს, რადგან სარდაფების რეგისტრაციის შეჩერების თუ რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი კანონმდებლობით განსაზღვრულ სარდაფის ცნებასთან არასოდეს ყოფილა დაკავშირებული და ის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არსებულ არასწორ პრაქტიკას უკავშირდებოდა/უკავშირდება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეთა შესწავლის შედეგებით (მათ შორის, 2013 წლის 12 აპრილს განხორციელებული ცვლილების შემდგომ), თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში, სარდაფების საკუთრებაში რეგისტრაციის მოთხოვნით მოქალაქეთა მიმართვებზე ცალკეულ საქმეებზე კვლავ შეჩერებულია წარმოება. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებით, საკუთრების უფლების დამდგენ სხვა საფუძვლებთან ერთად (როგორცაა, ცნობა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროდან, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი და ა.შ.), განმცხადებელს როგორც წესი, მოეთხოვება დამატებითი დოკუმენტის წარდგენა, რომელიც დაადასტურებს, რომ მოქალაქის მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილი უძრავი ნივთი (სამეურნეო სათავსი/სარდაფი) არ განეკუთვნება სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის ობიექტს, რადგან სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განმარტებით, სახელმწიფოს შესაძლოა ჰქონდეს საკუთრების რეგისტრაციის მოთხოვნის კანონიერი საფუძველი.

მსგავსი მოთხოვნა, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ სარდაფ-სართულის სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ მიღებულ თითქმის ყველა გადაწყვეტილებაში ფიქსირდება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეთა შესწავლის შედეგად, მოქალაქეთა მსგავსი შინაარსის მიმართვები ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსადმი, ხშირ შემთხვევაში, უპასუხოდ რჩებოდა.

2013 წლის 12 აპრილს საქართველოს მთავრობის №81 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილების შემდგომ, სარდაფების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემის განგრძობადობას ადასტურებს იმავე საქმეებში, საჯარო რეესტრის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილები. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მოქალაქეებს კვლავ ამისამართებს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, ხოლო, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს პასუხი, როგორც მოქალაქეებისათვის, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის არის შემდეგი:

„2013 წლის 12 აპრილის საქართველოს მთავრობის №81 დადგენილების საფუძველზე ფიზიკურ პირთა სარეგბლობაში არსებულ სარდაფ-სართულზე განთავსებული სათავსოების საკუთრებაში დარეგისტრირებას ახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახური სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის გარეშე, ფიზიკური პირების მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგინების საფუძველზე“.

მიუხედავად აღნიშნული პასუხისა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო კვლავ უარს აცხადებს სარდაფის რეგისტრაციაზე, ახლა უკვე 2013 წლის 12 აპრილს განხორციელებული ცვლილების საფუძველზე და იმის მითითებით, რომ რეგისტრაციისათვის მოთხოვნილი სარდაფის სიმაღლე აღემატება 0.7 მეტრს.

მართლაც, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში, მოქალაქეები ითხოვდნენ მრავალი წლის წინათ ექსპლუატაციაში შესული სათავსი/სადგომების რეგისტრაციას, რომელთა ჭერის ამოწვევის საშუალო სიმაღლე მიწის ზედაპირიდან ბევრად აღემატება 0.7 მეტრს. აღნიშნული ობიექტები, 2013 წლის 12 აპრილს განხორციელებულ ცვლილებამდე, სრულად შეესაბამებოდნენ სარდაფის ცნებას, რადგან სარდაფს წარმოადგენდა მიწისქვეშა სართულში განთავსებული სათავსი/სადგომი, ჭერის ამოწვევის სიმაღლის მიუხედავად.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებასა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებაში განხორციელებულმა ცვლილებებმა, ნაცვლად არსებული პრობლემების მოგვარებისა, უფრო მეტი სამართლებრივი ბუნდოვანება შექმნა. აღნიშნულის შედეგად, ერთი შეხედვით ლეგალური საფუძველი შექმნა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, უარი უთხრას იმ პირებს საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე, რომელთა მფლობელობაში არსებული სათავსი/სადგომის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან აღემატება 0.7 მეტრს.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, რომელიც სამშენებლო სამართლებრივ ურთიერთობას არეგულირებს და მასში მოცემული სამართლებრივი ტერმინი (მოცემულ შემთხვევაში – სარდაფი) იმ საკანონმდებლო აქტის მიზნების შესაბამისად უნდა განიმარტოს, რომელიც ადგენს პირის/ამხანაგობის წევრის უფლებას დაირეგისტრიროს აღნიშნული ფართი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეურნეო სათავსის/სარდაფის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის გარდა, შესაძლოა იყოს მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტიც. თუმცა, აქ მხოლოდ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ფარგლებში სარდაფის რეგისტრაციის საკითხებს განვიხილავთ.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა ინდივიდუალური საკუთრების საგანია ცალკეულ

პირთა საკუთრებაში არსებული ბინა, აგრეთვე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის მფლობელობაში არსებული მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსები (სარდაფები, სხვენები და ა. შ.). ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში ჩამოთვლილია ის ობიექტები, რომელიც წარმოადგენს ამხანაგობის საერთო ქონებას. აღსანიშნავია, რომ ზემოთ მითითებულ არცერთ შემთხვევაში ამომწურავი არ არის იმ ობიექტების ნუსხა, რომელიც წარმოადგენს ამხანაგობის წევრის ინდივიდუალურ საკუთრებას და ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას. მიუხედავად იმისა, რომ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლში ნახსენებია ტერმინი „სარდაფი“, სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პოზიცია, როდესაც ის უარს ეუბნება დაინტერესებულ პირებს უფლების რეგისტრაციაზე იმ საფუძვლით, რომ დასარეგისტრირებელი ობიექტის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან აღემატება 0.7 მეტრს და არ წარმოადგენს სარდაფის კატეგორიას. მოცემულ შემთხვევებში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო შეფასების გარეშე ტოვებს იმ გარემოებას, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულ სამეურნეო სათავსოში ხომ არ მოიაზრება ასევე ის ობიექტებიც, რომლის ჭერის ამოწვევის საშუალო სიმაღლე მიწის ზედაპირიდან აღემატება 0.7 მ-ს და საქმე ხომ არ გვაქვს უბრალო საკანონმდებლო ხარვეზთან, რომელიც საკანონმდებლო აქტით ან განმარტების გზით უნდა აღმოიფხვრას (სამწუხაროდ, დღეის მდგომარეობით არ არსებობს მყარი სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ სამართლებრივი პრობლემასთან დაკავშირებით).

საკანონმდებლო ხარვეზის არსებობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ 2013 წლის 10 სექტემბერს ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, რომელსაც დაემატა 68<sup>1</sup>-ე პრიმა პუნქტი. აღნიშნული პუნქტით დამკვიდრდა ახალი ტერმინი - „ნახევარსადაფი“, რაც გულისხმობს მიწისქვეშა სართულში განთავსებულ სათავსს/სადგომს, რომლის ჭერის ამოწვევის საშუალო სიმაღლე მიწის ზედაპირიდან აღემატება 0.7მ და არ აღემატება 1,6მ. გამომდინარე იქიდან, რომ ტერმინი „ნახევარსადაფი“ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების დროს არ არსებობდა, ის კანონში ჯერ-ჯერობით სათანადოდ არ ასახულა.

იმ პირობებში, როდესაც ცვლილებამდე არსებული ტერმინის – „სარდაფის“, განმარტება მოიაზრებდა დღეს მოქმედი ტერმინების „სარდაფისა“ და „ნახევარსარდაფის“ კატეგორიებს ერთობლიობაში, გაუგებარია რატომ ექმნებათ დაინტერესებულ პირებს უფლების რეალიზების დროს დაბრკოლებები საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის პროცედურების გამარტივების მიზნით განხორციელებული ცვლილებების შემდეგაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებების შეტანამდე არსებული ჩანაწერების არასწორი განმარტებით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ხელოვნურ ბარიერებს ქმნიდა უფლებათა რეგისტრაციის პროცესში, რაც დღეს მოქმედი სამართლებრივი რეალობის პირობებშიც გრძელდება.



ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის კონტექსტში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ კონვენციის გაგებით საკუთრების უფლების ქვეშ ექცევა არა მხოლოდ არსებული მფლობელობა ან სარგებელი, არამედ, მათ შორის, პირის ქონებრივი ხასიათის მოთხოვნა, რომელთან დაკავშირებითაც მას გააჩნია კანონიერი მოლოდინი, რომ ის შესრულდება.<sup>598</sup> შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში განმცხადებელი შეიძლება იყოს არა პირი, რომელსაც მესაკუთრის სტატუსი აქვს, არამედ პირი, რომელიც დავობს საკუთრების უფლებაზე.<sup>599</sup> კანონიერ მოლოდინს ქმნის პირის გონივრულად გამართლებული ნდობა კონკრეტული სამართლებრივი აქტის მიმართ, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება კანონს და რომელიც პირს ანიჭებს საკუთრების უფლებას.<sup>600</sup> ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს, რომ პირის კანონიერი მოლოდინი დაცულია 1.1. მუხლის ქვეშ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირის ქონებრივ მოთხოვნას აქვს საკმარისი საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში, მათ შორის, თუ ეროვნულ სასამართლოებს აქვს კარგად ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ადასტურებს ასეთი უფლების არსებობას.<sup>601</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში, განმცხადებლებს აქვთ კანონიერი მოლოდინი, რომ 2013 წლის 12 აპრილს განხორციელებულ ცვლილებამდე მათ მიერ რეგისტრაციისთვის წარდგენილი დოკუმენტები სრულად შეესაბამებოდა ამგვარი მიმართვის განხორციელების დროს მოქმედ კანონმდებლობას – წარმოადგენდა მიწისქვეშა სართულს ანუ სარდაფს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №57-ე დადგენილების შესაბამისად და ამასთან, გააჩნდათ საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი (როგორცაა, ცნობა ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს არქივიდან, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი თუ სხვა). ამიტომ, არ არსებობს ამ ობიექტების რეგისტრაციის შეჩერების საფუძველი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებაში შეტანილი ცვლილება შესაძლოა საკუთრების უფლების დარღვევის საფუძველი გახდეს, რადგან (არსებულ საკანონმდებლო ნორმათა სათანადო განმარტების გარეშე) შეუძლებელს ხდის პირის საკუთრებაში არსებული ობიექტის კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციას, როდესაც ობიექტი წარმოადგენს მიწისქვეშა სართულს და მისი სიმაღლე აღემატება 0.7 ან 1.6 მეტრს, რადგან ასეთი ობიექტი, 2013 წლის 12 აპრილს, 2013 წლის 4 ივლისს და 10 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, აღარ წარმოადგენს

<sup>598</sup> Gratzinger and Eva Gratzingerova v. Czech Republic, Application № 39794/98, Grand Chamber, Decision dated 10 July 2002, para.69.

<sup>599</sup> Gratzinger and Eva Gratzingerova v. Czech Republic, Application № 39794/98, Grand Chamber, Decision dated 10 July 2002, para.71.

<sup>600</sup> Kopecky v. Slovakia, application №44912/98, judgment dated 28 september 2004, para. 47.

<sup>601</sup> Kopecky v. Slovakia, application №44912/98, judgment dated 28 september 2004, para. 52.

სარდაფს/ნახევარ-სარდაფს. ამასთან, მიწისქვეშა სართულის სხვა განმარტება, გარდა სარდაფისა და ნახევარ-სარდაფისა კანონმდებლობაში არ არსებობს.

შესაბამისად, მოქალაქეები, რომლებსაც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს სარდაფების საკუთრებაში რეგისტრაციის მიზნით მიმართეს, კვლავ ელოდებიან საკუთრების უფლების რეგისტრაციას, ვინაიდან, საქართველოს მთავრობის №57-ე დადგენილებაში შეტანილი ცვლილება რეგისტრაციის განხორციელების პრაქტიკის შეცვლის საფუძველი ვერ გახდებოდა.

### **საკუთრებით სარგებლობის უფლების დარღვევა**

2013 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველს აქტიურად მიმართავდნენ მოქალაქეები საკუთრებით სარგებლობის უფლების ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით. განცხადებების შესწავლის შედეგად გამოვლინდა რიგი პრობლემური საკითხები, რომელთა დეტალურ ანალიზსა წინამდებარე თავში წარმოგიდგენთ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი საკუთრების უკანონო ხელყოფის შემთხვევაში, ადგენს მესაკუთრის სამართლებრივი დაცვის გარანტიებს. კერძოდ, ხსენებული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად:

„თუ ხდება უძრავ ნივთზე საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შეშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოსაგან, კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გზით, გარდა სავარაუდო ხელმყოფის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევისა“.

აღნიშნული ჩანაწერი სამართალდამცავ ორგანოებს საკუთრების უკანონო ხელმყოფისაგან მესაკუთრის დაცვის ვალდებულებას აკისრებს.

საკუთრების ხელყოფის აღკვეთის კონკრეტული პროცედურები, პირობები და მხარეთა უფლება მოვალეობები დარეგულირებულია „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებით. დოკუმენტი წარმოადგენს საკუთრების უკანონო ხელყოფისაგან დაცვის სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომელიც ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად კონკრეტულ ღონისძიებებს ითვალისწინებს.

მესაკუთრის ხელყოფისაგან დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში გამოიკვეთა პრობლემა, როდესაც სრულფასოვანი სამართლებრივი რეგულირების არარსებობის გამო, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ადგილი ჰქონდა საკუთრების უფლებით სარგებლობის ხელმყოფის მიმართ, აღმკვეთი ღონისძიებების გამოყენების გაჭიანურების ფაქტებს. კერძოდ, საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ხელმყოფი პირის (ან მისი ოჯახის წევრის) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების საფუძველით, სამართალდამცავი ორგანო აჩერებს საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების გატარებას.

„საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანების მე-7 მუხლი ადგენს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების შეჩერების სამ წინაპირობას. ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ექიმის დასკვნა, რომლითაც დგინდება, რომ აღკვეთის ღონისძიებების გაგრძელების შემთხვევაში, ხელმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეიძლება მნიშვნელოვნად გაუარესდეს და დადგეს მძიმე შედეგი.<sup>602</sup> თუმცა, კანონი არ ითვალისწინებს შემდგომ სამართლებრივ რეგულირებას: კერძოდ, აღნიშნული საფუძველით რა ვადით შეიძლება საკუთრების ხელყოფის აღკვეთის ღონისძიებების შეჩერება და შესაძლებელია თუ არა ნორმის არაერთჯერადი გამოყენება.

წინამდებარე საკითხის პრაქტიკაში რეგულირების წესთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პრაქტიკაში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანების მე-7 მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე საკუთრების ხელყოფის აღკვეთის ღონისძიებების შეჩერების საერთო ვადა არ არსებობს და უფლებამოსილი ორგანო ინდივიდუალურად, კონკრეტულ საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, განსაზღვრავს გონივრულ ვადას. გარდა ამისა, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მე-7 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე წინაპირობის არსებობის შემთხვევაში, ნორმის გამოყენება შესაძლებელია მრავალჯერადად.<sup>603</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში ზემოხსენებული საფუძველით, ხელყოფის აღკვეთის ღონისძიებების შეჩერების ოქმში არ მიეთითება ღონისძიებების გადავადების კონკრეტული პერიოდი. ამრიგად, საკანონმდებლო და პრაქტიკულ დონეზე არსებული რეგულირების პირობებში მესაკუთრისთვის უცნობია ხელყოფის აღკვეთის ღონისძიებების შეჩერების გონივრული ვადა. შესაბამისად, მესაკუთრეს ერთი მხრივ, არ აქვს ბერკეტი, გააკონტროლოს,

<sup>602</sup> „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანება, მუხ. 8, პუნ. „გ“.

<sup>603</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 24 დეკემბრის №2637374 წერილი.

სამართალდამცავი ორგანო გონივრული ვადის გასვლის შემდეგ განაახლებს თუ არა ხელმყოფისაგან დაცვის ღონისძიებებს და მეორე მხრივ, ღონისძიებების განუხორციელებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანოსგან მოითხოვოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებით დაკისრებული მოვალეობის შესრულება. სწორედ ამიტომ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში ადგილი ჰქონდა ხელმყოფისაგან მესაკუთრის დაცვის ღონისძიებების გაჭიანურებას, რის გამოც მესაკუთრეს არ ჰქონდა უძრავი ქონებით მშვიდობიანი სარგებლობის შესაძლებლობა.

### **მოქალაქე ე.დ.-ს საქმე**

საკუთრების უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, მოქალაქე ე.დ.-მ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიმართა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქმის მასალების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ ე.დ.-ს საკუთრებაში ჰქონდა რეგისტრირებული თბილისში, ქეთევან წამებულის ქ. №12 მდებარე უძრავი ქონება, რომელსაც არ ათავისუფლებდა ყოფილი მესაკუთრე და ე.დ. ვერ სარგებლობდა (დღემდე ვერ სარგებლობს) უძრავი ქონებით.

2013 წლის 17 აპრილს ე.დ.-მ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს I განყოფილებას საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების განხორციელების მოთხოვნით მიმართა. სამართალდამცავმა ორგანომ ყოფილ მესაკუთრეს 2013 წლის 21 მაისს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შესახებ გაფრთხილება გაუგზავნა.

სამართალდამცავი ორგანოს მოთხოვნის ნებაყოფლობით შეუსრულებლობის გამო, 2013 წლის 12 ივნისს ჩაინიშნა მესაკუთრის ხელმყოფისაგან დაცვის ღონისძიებები. დათქმულ დღეს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები და მესაკუთრის წარმომადგენელი გამოცხადდნენ ე.დ.-ს კერძო საკუთრების ადგილზე, სადაც დადგინდა, რომ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში, მოსალოდნელი იყო ხელმყოფის ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და დადგებოდა მძიმე შედეგი. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სამართალდამცავმა ორგანომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №747 ბრძანების მე-7 მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეჩერების შესახებ და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის შედეგების მიხედვით, არ განუსაზღვრავს ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების შეჩერების ვადა.

ამკარაა, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს ორი ინტერესი, დაცული იყოს კანონიერი მესაკუთრის უფლებები და ამავდროულად, ხელყოფის აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების შედეგად, არ შეექმნას საფრთხე ხელყოფის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას და საჭიროა ორივე მნიშვნელოვანი ინტერესის დაბალანსება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებისგან განსხვავებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი ზემოთ განხილული სამართლებრივი ურთიერთობის შედარებით სრულყოფილ რეგულირებას ითვალისწინებს. კერძოდ, მოვალის ან მისი ოჯახის წევრის ავადმყოფობის გამო, მოვალის განცხადების საფუძველზე აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეუძლია არა უმეტეს 6 თვის ვადით გადადოს იძულებითი აღსრულების ესა თუ ის ღონისძიება. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია მის მიერ დადგენილი ვადა ერთჯერადად გააგრძელოს კიდევ 6 თვემდე ვადით.<sup>604</sup> ამასთან, სააღსრულებო ბიუროში დამკვიდრებულია პრაქტიკა, როდესაც სააღსრულებო ღონისძიებების გადავადების ოქმში მიეთითება ნორმის გამოყენების პერიოდი.

სამართლებრივი ურთიერთობის მსგავსი რეგულირება მესაკუთრის ხელყოფისაგან დაცვის უკეთესი ფორმაა. მოცემულ შემთხვევაში, საკუთრების ხელყოფის აღკვეთის ღონისძიებების შეჩერების ლეგიტიმურ საფუძველთან ერთად, მესაკუთრე ინფორმირებულია აღნიშნული საფუძვლის მოქმედების პერიოდთან დაკავშირებით. მესაკუთრის ხელყოფისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მსგავსად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებაში განისაზღვროს ხელყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების საფუძველით ღონისძიებების შეჩერების, შემდგომი სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი.

2013 წლის საანგარიშო პერიოდში, საკუთრების ხელყოფის ფაქტთან დაკავშირებით, გამოვლინდა კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც უკავშირდება ისეთ შემთხვევებს, როდესაც უძრავი ნივთით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიება სადავო ქონებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის გამოძიების წარმოების საფუძველით წყდება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანების მე-8 მუხლი ადგენს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების შეწყვეტის საფუძველებს. აღნიშნულ მუხლში 2013 წლის 5 ივლისს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №508 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარი

<sup>604</sup> საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 16 აპრილის №1908 „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 31, ნაწ. 1.



ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების შეწყვეტის წინაპირობებს დაემატა კიდევ ერთი საფუძველი - უძრავ ნივთთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიმდინარეობა, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეთა შესწავლის შედეგებით, უძრავ ნივთთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიმდინარეობის საფუძველით, უძრავი ნივთის ხელყოფის აღკვეთის ღონისძიების შეწყვეტის მსგავსი რეგულირება საკუთრების უფლების არამართლზომიერი შეზღუდვის საფუძველი შეიძლება გახდეს, რადგან, მესაკუთრეს სისხლის სამართლებრივი დევნი ხანდაზმულობის შეიძლება შეეზღუდოს საკუთრებით სარგებლობა.

ამ შემთხვევაშიც სახეზეა ორი ინტერესი – ერთი მხრივ, გამოძიების ინტერესების, და მეორე მხრივ, მესაკუთრის უფლების დაცვა, უძრავი ქონებით მშვიდობიან სარგებლობაზე. თუმცა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ზემოაღნიშნულ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებით და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, „გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა,“<sup>605</sup> მესაკუთრის საკუთრების უფლება შესაძლოა შეიზღუდოს ხანგრძლივი ვადით, რაც ეწინააღმდეგება მესაკუთრის კანონიერ ინტერესს და შესაძლოა საკუთრების უფლების შეზღუდვის გონივრულ ფარგლებს გასცდეს.

ამასთან, პრაქტიკაში, მოცემული საფუძველით უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების შეწყვეტისას, შინაგან საქმეთა სამინისტროში წყდება უძრავი ნივთის ხელყოფის აღკვეთის თაობაზე მესაკუთრის განცხადების საფუძველზე მიმდინარე ადმინისტრაციული საქმისწარმოება და საქმე გადაეცემა არქივს. ქონების მესაკუთრემ, მისი საკუთრების ხელყოფის აღკვეთის მიზნით, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დასრულების შემდეგ, თავიდან უნდა მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს.

### **მოქალაქე ე.შ.-ს საქმე**

საქართველოს სახალხო დამცველს, უძრავი ქონებით სარგებლობაში უკანონო ხელშეშლის აღკვეთის ფაქტთან დაკავშირებით, განცხადებით მიმართა მოქალაქე ე.შ.-მ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის შესწავლის შედეგების მიხედვით, ე.შ.-მ საგარეჯოს რაიონში, სოფელ მანავში მდებარე უძრავი ქონება 2005 წლის 31 აგვისტოს, ქონების მესაკუთრესთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა. თუმცა, ე.შ.-ს მიერ შეძენილი საკუთრებით უკანონოდ სარგებლობს სხვა პირი.

<sup>605</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 103.

2013 წლის 17 ივნისს ე.შ.-მ, „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №747 ბრძანებით დადგენილი წესით, განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგარეჯოს რაიონულ სამმართველოს და მის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე უკანონო ხელშეშლის აღკვეთა მოითხოვა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოცემულ საკითხზე გამოთხოვილი ინფორმაციის შედეგად გაირკვა, რომ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიება ე.შ.-ს ქონებაზე შეწყვეტილი იყო, რადგან აღნიშნულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით შსს საგარეჯოს რაიონულ სამმართველოში მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის №033150813001 საქმეზე, საქართველოს სს კოდექსის 362-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ყალბი დოკუმენტის დამზადების ფაქტზე), კერძოდ, ქონების თავდაპირველი მესაკუთრის სახელზე, სოფელ მანავის გამგეობიდან გაცემული ცნობის გაყალბების ფაქტზე. თუმცა, საქმის მასალების მიხედვით, აღნიშნული ცნობა, არ არის არც თავდაპირველი და არც შემდგომი მესაკუთრის საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი. მიუხედავად ამისა, ე.შ.-ს საკუთრებაში არსებულ ქონებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის საფუძველით, შს სამინისტრომ შეწყვიტა საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებები.<sup>606</sup>

შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებაში 2013 წლის 5 ივლისს შეტანილი ცვლილება, რომლითაც შეიძლება სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ვადით შეწყდეს საკუთრების ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიება, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით წარმოებული სისხლის სამართლის საქმის საფუძველით, შესაძლოა საკუთრების უფლების დარღვევის საფუძველი გახდეს და განსხვავებული რეგულაციის არსებობას საჭიროებს. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში არ ყოფილა დასაბუთებული, რა უარყოფითი გავლენა შეიძლება მოეხდინა საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიების განხორციელებას, მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის საპარლამენტო ანგარიშში განხილული იყო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სარგებლობის სხვაგვარად ხელშეშლის ფაქტების ისეთი შემთხვევა, როდესაც პირთა კერძო საკუთრება თვითნებურად ჰქონდათ დაკავებული იძულებით გადაადგილებულ პირებს. პრობლემას წარმოადგენდა ის

<sup>606</sup> საქართველო სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის 8 ოქტომბრის, 5 ნოემბრის 3 დეკემბრის და 2014 წლის 10 მარტის წერილების პასუხად, საქართველოს შს სამინისტროს საგარეჯოს რაიონული სამმართველოს უფროსის 2014 წლის 17 მარტის წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2014 წლის 15 მარტს სისხლის სამართლის საქმეზე №033150813001 მიიღეს შემაჯამებელი გადაწყვეტილება – დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

ფაქტი, რომ შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოები და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრებიდან გამოყვანის შესახებ დროულად ვერ თანხმდებოდნენ. რიგ შემთხვევებში, პროცესი წლების განმავლობაში გრძელდებოდა, რაც მესაკუთრეთა უფლებების დარღვევას იწვევდა.

2007 წლის 24 მაისის „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №747 ბრძანების პირველი მუხლის მე-4 პუნქტი<sup>607</sup> იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, მათი სტატუსიდან და განსაკუთრებული მდგომარეობიდან გამომდინარე, სპეციალური დაცვის გარანტიებს ადგენს. კერძოდ, იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა მიმართ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების განხორციელებისას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია, იძულებით გადაადგილებული პირის გამოსახლების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წერილობით მიმართოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს. სამინისტროდან პასუხის მიღებამდე გამოსახლების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ჩერდება.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული პრობლემა შეცვლილი სახით გამოვლინდა. კერძოდ, საუბარია შემთხვევაზე, როდესაც კერძო სამართლის იურიდიულ პირთა (საწარმოს) საკუთრება თვითნებურად აქვთ დაკავებული იძულებით გადაადგილებულ პირებს და მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულის გამო საწარმო ვერ ფუნქციონირებს, მესაკუთრეს ყოველწლიურად ერიცხება მიწისა და ქონების გადასახადი და მოქმედი საგადასახადო კოდექსის თანახმად, საწარმოს მიმართ ვრცელდება საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პოზიციით, საგადასახადო კოდექსით არ არის გათვალისწინებული ქონების გადასახადისგან იურიდიული პირის გათავისუფლება, იმ ქონებაზე, რომელიც დაკავებული აქვთ იძულებით გადაადგილებულ პირებს. სამინისტროსვე პოზიციით, არ არის მიზანშეწონილი ასეთი პირების ქონების გადასახადისგან გათავისუფლება, ვინაიდან საგადასახადო ორგანო ვერ განხორციელებს კონტროლს თითოეული კალენდარული წლისათვის კომპანიის კუთვნილი ქონების რა

---

<sup>607</sup> ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან შეთანხმებით. აღნიშნული შეთანხმების წერილობითი ფორმით მიღებამდე უნდა შეჩერდეს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების აღსრულება.

ნაწილია დაკავებული იძულებით გადაადგილებული პირთა მიერ და შესაბამისად, რა ნაწილში იქნება გადასახადის გადამხდელი ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებული.<sup>608</sup>

ნათელია, რომ კერძო თუ იურიდიული პირების საკუთრებით სარგებლობის უფლების დაცვა, ამ შემთხვევაში, დამოკიდებულია იძულებით გადაადგილებული პირების დროულ და მუდმივ განსახლებაზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ, რასაც ზემოთ განხილულ შემთხვევაში სამინისტრო არ ახორციელებს. ამ პირობებში, კერძო მესაკუთრის საკუთრების უფლების დარღვევა სახელმწიფოს შეერაცხება. ამასთან, დაუშვებელია იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვით, კანონიერ მესაკუთრეთა - იურიდიული პირების საკუთრების უფლების დარღვევა, სახელმწიფოს მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ლეგიტიმურად ჩაითვალოს. მით უფრო, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით სახელმწიფოს გააჩნია პოზიტიური ვალდებულება, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას.<sup>609</sup>

### საკუთრების უფლება სისხლის სამართლის საქმეებში

დანაშაულებრივი ხელყოფისგან ადამიანის დაცვა, ხოლო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ამ ფაქტის გამოძიება და მართლმსაჯულების განხორციელება საზოგადოების ინტერესებს ემსახურება. სისხლის სამართლის პროცესში, გამოძიების მიმდინარეობისას, საკუთრების უფლების შეზღუდვის საკითხი შეიძლება დადგეს ისეთი საგამომიებო მოქმედებების ჩატარების დროს, როგორცაა ამოღება და ჩხრეკა, ასევე, საპროცესო მოქმედების – ყადაღის დადების შემთხვევაში.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი საკუთრების უფლების შეზღუდვის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევად უნდა მოვიაზროთ სისხლის სამართლის პროცესში ჩხრეკა, ამოღება და ყადაღის დადება, ხოლო, ამავე პუნქტით გათვალისწინებულ კანონით დადგენილ წესად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიერ განსაზღვრული ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების წესი. საკუთრების უფლების ნებისმიერი შეზღუდვა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, კანონის შესაბამისად და საფუძველზე უნდა განხორციელდეს, ასევე, მნიშვნელოვანია საკუთრების უფლების შეზღუდვის შემთხვევაში ყურადღება გავამახვილოთ საკუთრების

<sup>608</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 2 აპრილის რეკომენდაცია და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 14 თებერვლის წერილი.

<sup>609</sup> სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურობაზე, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობასა და ბალანსზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ წლების განმავლობაში შესწავლილი არაერთი შემთხვევა ცხადყოფს, რომ სისხლის სამართალწარმოების პროცესში საკუთრების უფლების დარღვევის ალბათობა მაღალია. ამ კუთხით საკანონმდებლო და პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებს რამდენიმე მიმართულებით განიხილავს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2012 წლის ანგარიში<sup>610</sup>.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში სისხლის სამართლის სამართალწარმოებისას საკუთრების უფლების შელახვის შემთხვევები ორი მიმართულებით იკვეთება: საბანკო ანგარიშების დაყადაღება, როდესაც სისხლის სამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ არ არის დაწყებული და სასამართლოს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებით საგამოძიებო მოქმედების – ამოღების ჩატარება.

### **საბანკო ანგარიშებზე ყადაღის უკანონოდ დადება**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის<sup>611</sup> თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაადოს: 1. ბრალდებულის, 2. მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და 3. მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის, საბანკო ანგარიშებს. აქვე კანონმდებელი აკონკრეტებს ქონების დაყადაღების შემთხვევებს და აცხადებს, რომ ქონების დაყადაღება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ, დახარჯავენ, ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. ამგვარად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილი ცალსახად აკავშირებს ქონებას კონკრეტულ სუბიექტთან. ეს სუბიექტი, კანონის თანახმად, არის - ბრალდებული, მისი მოქმედებისთვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ან/და მასთან დაკავშირებული პირი. ხოლო, დასაყადაღებელ ქონებაში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოიაზრება - ამ სამი სუბიექტის ქონება, მათ შორის საბანკო ანგარიშები. მოცემული ქონების დაყადაღებას კი კანონმდებელი დასაშვებს ხდის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული.

### **მოქალაქე ე.შ.-ს საქმე**

<sup>610</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში, გვ. 560–571;

<sup>611</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 151, ნაწ. 1.



საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა ე.შ.-ს საქმე, კომპანია „V.H.C.-ის“, მისი დირექტორის ვ.მ.ა.პ.-სა და დამფუძნებლის ე.შ.-ს ანგარიშებზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით. 2012 წლის 19 მარტს საქართველოს მთავარი პროკურატურის უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამართლებლოში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია/ფულის გათეთრება) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 7 აგვისტოს წერილის თანახმად, სავარაუდოდ თაღლითურად მოპოვებული თანხების გადარიცხვების თავიდან არიდებისა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის მიზნით, 2012 წლის 20 მარტს, ყადაღა დაედო ე.შ.-ს და კომპანია „V.H.C.-ის“ სს „თი ბი სი ბანკში“ არსებულ ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს. 2012 წლის 20 მარტის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით კანონიერად იქნა ცნობილი ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება - ქონებაზე ყადაღის დადება.

საკუთრების უფლების შეზღუდვისთვის აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი ლეგიტიმური საფუძველი. განსახილველ საქმეში, საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადებასაც ანალოგიური საფუძველი უნდა ჰქონოდა.

როგორც საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 7 აგვისტოს წერილიდან ხდება ცნობილი, ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა არცერთი პირის მიმართ არ მიმდინარეობდა. შესაბამისად, საქმეში არ ფიგურირებდა ბრალდებული, რაც ავტომატურად გამორიცხავს ბრალდებულის მოქმედებისთვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის არსებობას. ამრიგად, კომპანია „V.H.C.-სა“ და დამფუძნებლის ე.შ.-ს სს „თი ბი სი ბანკში“ არსებულ ანგარიშებზე ყადაღა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის<sup>612</sup> მოთხოვნების დაცვით არ დაუდიათ.

საქართველოს პროკურატურის 2012 წლის 30 მარტის შუამდგომლობის მიხედვით, პროკურატურას გააჩნდა დასაბუთებული ვარაუდი აღნიშნული კომპანიის, მისი დირექტორის ვ.მ.ა.პ.-სა და დამფუძნებლის ე.შ.-ს მხრიდან შესაძლო დანაშაულის ჩადენის თაობაზე. როცა არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კონკრეტულმა სუბიექტმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება - ეს არის საფუძველი მისი ბრალდებულად ცნობისთვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს პროკურატურას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, როცა არსებობს ამისთვის საკმარისი საფუძველები. დამატებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი<sup>613</sup> იძლევა შესაძლებლობას, სისხლისსამართლებრივი დევნის

<sup>612</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 151, ნაწ. 1;

<sup>613</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 169, ნაწ. 9.

შეგნებულად გაჭიანურების შემთხვევაში, სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდეს საჩივარი ამ პირის მიმართ და დაუშვებლად იქნეს ცნობილი აღნიშნულ ბრალდებასთან დაკავშირებით არსებული ყველა ის მტკიცებულება, რომელიც მოპოვებულ იქნა გამოძიების დროს, მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი.

ბრალდებულის სტატუსი პირს ანიჭებს მთელ რიგ უფლებებს და აკისრებს შესაბამის ვალდებულებებს. აღნიშნული სტატუსით პირი ხდება პროცესის მონაწილე მხარე, რაც ავტომატურად ახდენს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების ამოქმედებას. შესაბამისად, პროკურატურა ვალდებული იყო ეცნო ისინი ბრალდებულებად, რათა მათ ესარგებლათ საპროცესო კანონმდებლობით ბრალდებულისთვის გარანტირებული უფლებებით, მათ შორის საქმის მასალების გაცნობის, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და ეფექტიანი დაცვის უფლებით.

მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ საკუთრების უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურობაზე, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობასა და ბალანსზე. მართალია, საკუთრების უფლება არ მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას და სახელმწიფოს უფლება აქვს აუცილებელი საჭიროების სახელით მიიღოს შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილება და შეზღუდოს საკუთრების უფლება, თუმცა, ასეთ შემთხვევებში შეზღუდვა უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული, პროპორციული და აუცილებელი. პროპორციულობა კი თავის მხრივ მოიცავს შეზღუდვას გონივრულ ვადებში.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ ე.შ.-ს საქმეში ზემოხსენებული პირები არ ყოფილან ცნობილი ბრალდებულებად და ამის პარალელურად დაყადაღებული აქვთ საბანკო ანგარიშები, ისე რომ ვერ ეცნობიან საქმის მასალებს და ვერ ახორციელებენ საკუთარი ინტერესების ეფექტიან დაცვას. მითუმეტეს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, „გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა.“<sup>614</sup> რაც იმას გულისხმობს, რომ კომპანია „V.H.C.-სა“ და დამფუძნებლის ე. შ.-ს<sup>615</sup> სს „თი ბი სი ბანკში“ არსებული ანგარიშები შესაძლოა ხანგრძლივი დროით დაყადაღდეს, რაც, შესაძლოა მათი საკუთრების უფლების შეზღუდვის გონივრულ ფარგლებს გასცდეს.

<sup>614</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 103;

<sup>615</sup> მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის 20 მარტის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით კანონიერად იქნა ცნობილი 2012 წლის 20 მარტს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება - კომპანია V. H. C-ის, მისი დირექტორის ვ.მ.ა.პ-ს და დამფუძნებლის ე.შ.-ს სს „თი ბი სი ბანკში“ არსებული ანგარიშების დაყადაღებასთან დაკავშირებით, როგორც 2012 წლის 30 მარტის საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობიდან ირკვევა, ფაქტობრივად ყადაღა დაედო მხოლოდ კომპანია V.H.C-სა და მისი დამფუძნებლის ე.შ.-ს სს „თი ბი სი ბანკში“ არსებულ ანგარიშებს, ხოლო ვ.მ.ა.პ.-ს ანგარიშები სს „თი ბი სი ბანკში“ არ აღმოჩნდა.

მით უფრო საფრთხილოა აღნიშნული საკითხი, რამდენადაც 2012 წლის 20 მარტის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებაში აღნიშნული განმარტების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ იდენტიფიცირებულია ქონების, მათ შორის, საბანკო ანგარიშის მესაკუთრე, დადგენილია, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის დაცვით, მოცემული პირის შესაძლო დანაშაულში მონაწილეობა (რომელსაც კანონის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ არ აქვს მინიჭებული შესაბამისი სტატუსი), დადგენილია, რომ აღნიშნული ქონება, მათ შორის, საბანკო ანგარიში, კონკრეტულმა პირმა დანაშაულებრივი გზით მოიპოვა - შესაძლებელია აღნიშნული ქონების, მათ შორის, საბანკო ანგარიშის, დაყადაღება. თუმცა, ვინაიდან საქმეში არ არსებობს ბრალდებული, შესაბამისად, ვერც მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი ან/და მასთან დაკავშირებული პირი იარსებებს და დამოუკიდებლად აღნიშნული საბანკო ანგარიშები ვერ დაყადაღდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის<sup>616</sup> მოთხოვნების ფარგლებში. აღნიშნული მიდგომა კი იძლევა ქონების, მათ შორის საბანკო ანგარიშების, დაყადაღების არასწორი და სახიფათო პრაქტიკის დანერგვის საშუალებას, რაც თითოეული მოქალაქის საკუთრების უფლებას პოტენციურად გაუმართლებელი საფრთხის წინაშე აყენებს.

საქართველოს მთავარი პროკურატურისა და საერთო სასამართლოების მიერ V.H.C.-სა და დამფუძნებლის ე.შ.-ს მიმართ გამოყენებული პრაქტიკა საბანკო ანგარიშების დაყადაღების თაობაზე წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას და აუცილებელია შეიცვალოს.

### **საკუთრების უფლების შეზღუდვა სასამართლოს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებით**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საკუთრების ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობა კანონით არის გარანტირებული. იმავე კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგამომიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით ტარდება.

სასამართლოს მიერ პირის საკუთრებაში არსებული ნივთის ამოღების ნებართვის გაცემა ე.ი. საკუთრების უფლების შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება კანონის მოთხოვნების ზედმიწევნითი დაცვით უნდა განხორციელდეს. საქართველოს უზენაესი კანონის – კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს.

<sup>616</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 151, ნაწ. 1.

მოსამართლის საქმიანობის მხოლოდ კანონის შესაბამისად მოქმედების კონსტიტუციური პრინციპი ასახულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულებაშიც: სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს. ეს იმპერატიული ნორმა უზრუნველყოფს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის კანონიერების პრინციპის დაცვით წარმართვას, რადგან მოსამართლე ნებისმიერ გადაწყვეტილებას კანონის შესაბამისად, მის საფუძველზე და კანონის მოთხოვნის სრული დაცვით უნდა იღებდეს. ეს მოთხოვნა თანაბრად ეხება ყველა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეს, რადგან ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე, იქნება იგი საქმის არსებითი განხილვის შედეგად თუ საგამომიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის თაობაზე, ზეპირი მოსმენითა თუ ზეპირი მოსმენის გარეშე მიღებული, ვრცელდება დასაბუთებულობის მოთხოვნა.

### **მოქალაქე ნ.გ.-ს საქმე**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა მოქალაქე ნ.გ.-ს საქმე.<sup>617</sup> რუსთავის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 12 ოქტომბრის „საგამომიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ“ განჩინების საფუძველზე, 2013 წლის 5 ნოემბერს, ამოიღეს მოქალაქე ნ.გ.-ს საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „მერსედეს ბენც 350“, რომელიც 2013 წლის 9 სექტემბერს მან კანონით დადგენილი წესით შეიძინა.

მოქალაქე ნ.გ. სისხლის სამართლის საქმეში, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა მის საკუთრებაში არსებული ნივთის ამოღება, არანაირი სტატუსით არ სარგებლობს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმის მასალების მიხედვით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება, ნ.გ.-ს საკუთრებაში არსებული ავტომანქანის ამოღების შესახებ ნებართვის გაცემაზე და ამ განჩინების გასაჩივრების შედეგად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის – სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობის მოთხოვნის დარღვევით შედგენილ, ზედაპირული ხასიათის დოკუმენტებს წარმოადგენენ. სასამართლოს განჩინებაში (როგორც პირველი, ასევე მეორე ინსტანციის) არ იკითხება საფუძველი, რაზეც მოსამართლემ საგამომიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემა დაამყარა; განჩინება არ შეიცავს განმარტებას, დასაბუთებას ან/და არგუმენტაციას, რის საფუძველზეც დაკმაყოფილდა პროკურატურის შუამდგომლობა და რა ინფორმაციის ან/და ფაქტების ერთობლიობა არსებობდა, ამოღების ჩასატარებლად დასაბუთებული ვარაუდის წარმოსაქმნელად, რაც აუცილებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად; ასევე, არსებობდა თუ არა ამოღების საფუძველი და მიზანი; იყო თუ არა, ან რა მნიშვნელობის იყო სს საქმისთვის ამოსაღები საგანი; არსებობდა თუ არა და რა კავშირი იყო სისხლის

<sup>617</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 20 დეკემბრის განცხადება.

სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასა და კონკრეტულ საგანს შორის, რომელიც უნდა ამოეღო; მოსამართლე მხოლოდ იმაზე მითითებით შემოიფარგლა, რომ ამოღების თაობაზე პროკურორის შუამდგომლობა საფუძვლიანი იყო, ამ საფუძვლიანობის არგუმენტირების გარეშე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 12 ნოემბრის განჩინებასთან დაკავშირებით, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ იგი ძირითადად იმეორებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებაში ასახულ დებულებებს კონკრეტული არგუმენტაციის, მსჯელობისა და დასაბუთების გარეშე. ამასთანავე, მოსამართლემ, გარდა იმისა, რომ საჩივრის მოთხოვნები უპასუხოდ დატოვა, არც გასაჩივრებული განჩინების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა დაადგინა და ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება, საფუძვლიანობა და დასაბუთებულობა გადაამოწმა.

აღნიშნულ საქმეში, საერთო სასამართლოების მიერ მიღებული განჩინებებით ისე შეიზღუდა მოქალაქე ნ.გ.-ს საკუთრების უფლება, რომ განჩინებების შინაარსიდან შეუძლებელი იყო ნივთის/საგნის ამოღების საფუძვლის, მიზნის, საგამომიებო მოქმედების განმაპირობებელი ან მისი ჩატარების აუცილებლობისა და საჭიროების დამადასტურებელი ინფორმაციის, ფაქტებისა თუ მტკიცებულებების არსებობა–არარსებობის გარკვევა.<sup>618</sup>

დაუსაბუთებელი სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე საკუთრების უფლების შეზღუდვა წლების განმავლობაში მნიშვნელოვან პრობლემად რჩება და საერთო სასამართლოების ეს პრაქტიკა საჭიროებს გადახედვას.

### **ასაკის საფუძველზე დანიშნული პენსიის შეჩერება**

2013 წლის განმავლობაში, საქართველოს სახალხო დამცველს აქტიურად მიმართავდნენ მოქალაქეები სახელმწიფო პენსიის მიღების შეჩერების თაობაზე.

შესწავლილი განცხადებებიდან გაირკვა, რომ იმ ბენეფიციარებს, რომლებიც დასაქმებული იყვნენ სს „თელასში“, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდში“, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში“, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისში“ და შპს „საქართველოს რკინიგზაში“, ასაკის ნიშნით სახელმწიფო პენსიის გაცემა შეუწყდათ მათ მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების საფუძველით.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში. ამავე კანონის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტში მოცემული განსაზღვრების მიხედვით,

<sup>618</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 20 დეკემბრის წინადადება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაყენების შესახებ.



საჯარო საქმიანობად მიიჩნევა ადმინისტრაციულ ორგანოში ან სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში განხორციელებული ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისა.

2013 წლის დასაწყისში, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო არასწორად განმარტავდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტს,<sup>619</sup> რის გამოც მოქალაქეებს შეუწყდათ სახელმწიფო პენსიის მიღება. კერძოდ, სააგენტო მიიჩნევდა, რომ ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს დელეგირებული ჰქონდათ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილება და წარმოადგენდნენ ადმინისტრაციულ ორგანოს, რაც „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით წარმოადგენდა საჯარო საქმიანობას.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ მოცემულ მუხლებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიეკუთვნება არამართო სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ან/და საჯარო სამართლის იურიდიული პირები (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), არამედ ნებისმიერი პირი (ფიზიკური ან იურიდიული), რომელსაც მინიჭებული აქვს ისეთი ფუნქციის განხორციელება, რომლის შესრულება არ საჭიროებს მეორე მხარის თანხმობას და რომლის უკანაც სახელმწიფო იძულების მექანიზმი დგას.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით უნდა განიმარტოს, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის კონკრეტული საჯარო ფუნქციის განხორციელების დელეგირება არ ქმნის საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ ასეთი პირი ზოგადად მიიჩნეოდეს ადმინისტრაციულ ორგანოდ და მასში დასაქმებული ნებისმიერი პირის ნებისმიერი საქმიანობა ჩაითვალოს საჯარო საქმიანობად და შესაბამისად, შეეზღუდოთ ასაკის საფუძველით პენსიის მიღების უფლება.

კერძო სამართლის იურიდიულ პირებს საჯარო სამართლის უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ მხოლოდ კონკრეტული საქმეების წარმოებისას (მაგალითად ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით), აღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას მხოლოდ მის ფარგლებში განიხილებიან იურიდიული პირები ადმინისტრაციულ ორგანოდ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტში მოცემული განსაზღვრების მიხედვით.<sup>620</sup> შესაბამისად კომპანიები წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოს, მხოლოდ იმ კონკრეტულ სამართალურთიერთობაში. ხოლო ყველა სხვა

<sup>619</sup> საჯარო საქმიანობა – ადმინისტრაციულ ორგანოში ან სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში განხორციელებული ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისა.

<sup>620</sup> ადმინისტრაციული ორგანო – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

შემთხვევაში აღნიშნული კომპანიები ფუნქციონირებენ, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების გარეშე, არ ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ადმინისტრაციულ ორგანოდ არ განიხილებიან. კერძო სამართლის იურიდიულ პირებს არ აქვთ დელეგირებული ის საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილება, რომელიც ზღუდავს კონკრეტული დასაქმებულისათვის გასაცემლით უზრუნველყოფის უფლებას, რადგან იქ დასაქმებულები არ ახორციელებენ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საჯარო საქმიანობას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი განცხადებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ იმ ბენეფიციარებმა, რომლებსაც შეეზღუდათ სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ პენსიის გაცემის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობასა და ახალი აქტის გამოცემის თაობაზე სასამართლოს მიმართეს.

მოცემულ საკითხზე სასამართლო პრაქტიკით<sup>621</sup> განიმარტა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით და მე-4 მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები.

სასამართლომ განმარტა, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტით ერთ სამართლებრივ რეჟიმში მოექცა ადმინისტრაციული ორგანო, როგორც იმავდროულად საბიუჯეტო ორგანიზაცია და სხვა ორგანიზაციებიც, თუ მათი დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი და შესაბამისად, განიხილებიან საბიუჯეტო ორგანიზაციებად. სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ ზემოთ აღნიშნული ნორმით, მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთათვის დაწესდა შეზღუდვა პენსიის გაცემაზე, იმ მიზნით, რომ გამოირიცხოს ერთდროულად სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო გასაცემლის და შრომის ანაზღაურების გაცემა, თუ ეს კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული (მაგ. სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა) და, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტის შინაარსის მიხედვით პირზე, ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით დაწესებული აკრძალვის<sup>622</sup> გავრცელების საფუძველია ის გარემოება, რომ აღნიშნული პირის საჯარო საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს საბიუჯეტო ორგანიზაციაში და ამ საქმიანობისათვის მისი ანაზღაურების წყარო უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტი, ანუ პენსიის გაცემაზე უარის თქმისათვის განმსაზღვრელი ფაქტორია ის გარემოება, რომ პირის საჯარო საქმიანობა ხორციელდება საბიუჯეტო დაწესებულებაში და შესაბამისად ეს საქმიანობა სახელმწიფო ბიუჯეტით ანაზღაურდება. მიუხედავად იმისა, ეს საბიუჯეტო დაწესებულება

<sup>621</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №38/595-13.

<sup>622</sup> თუ პირს ერთდროულად წარმოეშვა უფლება ამ კანონითა და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სარგებლებზე, მას აქვს მხოლოდ ერთი კანონით მინიჭებული სარგებლის მოთხოვნის უფლება, მისივე არჩევით.

ადმინისტრაციული ორგანოა თუ კერძო საწარმო დელეგირებული ფუნქციების ფარგლებში, თუ სხვა საბიუჯეტო ორგანიზაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოებში ჩამოყალიბდა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი იმ მომენტიდან, როცა ბენეფიციარებს შეუწყდათ პენსიის მიღება და ამ პერიოდიდან აღუდგათ პენსიის მიღება.

აღნიშნული პრობლემის მოგვარებისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო ასევე, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში, 2013 წლის 1 დეკემბრიდან ტერმინი „საჯარო საქმიანობის“ განმარტების შეცვლა. კერძოდ, ამოღებულ იქნა ტერმინები - ადმინისტრაციული ორგანო ან სხვა საბიუჯეტო ორგანიზაცია და განმარტება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: საჯარო საქმიანობა – საჯარო სამსახურში ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა) განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა, რომლის შესახებ ინფორმაციას კომპეტენტურ ორგანოს შეთანხმებული ფორმატით აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თუმცა, იმ ბენეფიციარებს, რომლებიც მიმართავდნენ საქართველოს სახალხო დამცველს, სასამართლო წესით არ მოუთხოვიათ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, შესაბამისად მათთვის არ წარმოიშვა ის სამართლებრივი ურთიერთობა, რაც თან ახლავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას - შეწყვეტის მომენტიდან პენსიის აღდგენა. ბენეფიციარებს სააგენტოს მხრიდან განემარტათ, რომ განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემდგომ, მომდევნო თვიდან აღუდგებოდათ სახელმწიფო პენსიის მიწოდება. ასევე განემარტათ, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების განხორციელებამდე და ტერმინ „საჯარო საქმიანობის“ განსხვავებულად ჩამოყალიბებამდე, ბენეფიციარების მუშაობა კერძო სამართლის იურიდიულ პირში არ იძლეოდა სამართლებრივ საფუძველს სახელმწიფო პენსიის მისაღებად.

შესაბამისად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების განხორციელებამდე ბენეფიციარების უფლების შეზღუდვის ფაქტს კანონიერად მიიჩნევს და ბენეფიციარებისათვის დაახლოებით ექვსი თვის განაცდური პენსიის ანაზღაურების ვალდებულებას იხსნის.<sup>623</sup> აღნიშნული განმარტება წინააღმდეგობაში მოდის მოცემულ საკითხზე საერთო სასამართლოების მიერ გაკეთებულ

<sup>623</sup> სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 10 მარტის წერილი №04/19435;

განმარტებასა და დამკვიდრებულ პრაქტიკასთან და საკუთრების უფლების დარღვევას წარმოადგენს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ პირებს საერთო სასამართლოებში არ გაუსაჩივრებიათ პენსიის შეწყვეტის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბრძანებები, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემული აქტი ბათილად ცნოს.<sup>624</sup>

### რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტს:

- შემუშავდეს მექანიზმი, „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებულ, პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა სრული, მათ შორის ქონებრივი უფლებების რეაბილიტაციის მიზნით;

საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედ კომისიებს:

- დაინტერესებული პირების განცხადებების განხილვის შედეგად გადაწყვეტილება (საკუთრების უფლების აღიარების ან საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ) მიიღოს კანონშესაბამისად, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებზე დაყრდნობით;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს:

- შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც შეისწავლის ზედდების შემთხვევებს, მათ გამოძწევ მიზეზებს და პროაქტიულად უზრუნველყოფს მსგავსი შემთხვევების გამოვლენას და პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას; შეისწავლოს საქმეები, რომლებზეც საერთო სასამართლოების პრაქტიკის გათვალისწინებით მიიღეს გადაწყვეტილებები, რომელიც ლახავს კერძო პირთა საკუთრების უფლებას და ამ ქონების სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებობის შემთხვევაში, კერძო პირებს საკუთრების უფლება სრულად აღუდგეთ;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს:

- შემუშავდეს სამეურნეო სათავსების/სარდაფების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხის გადაჭრის გზები, მათ შორის, საკანონმდებლო

<sup>624</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 60<sup>1</sup>, ნაწ. 3.

ცვლილებების გატარების გზით, რათა დაცული იქნეს მოქალაქეთა საკუთრების უფლება;

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- შევიდეს ცვლილებები „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის“ 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებაში და განისაზღვროს ხელმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების და სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის საფუძველით საკუთრების უფლებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების შეჩერების ვადა;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს:

- კერძო საკუთრებაში მცხოვრები დევნილები, კერძო მესაკუთრეთა საკუთრების უფლების დაცვის მიზნით, შემჭიდროვებულ ვადებში დაკმაყოფილდნენ ალტერნატიული ფართით;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს:

- ინდივიდუალურად და კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლოს დევნილთა მიერ კერძო საკუთრების დაკავების ყველა შემთხვევა, მიიღოს ზომები კერძო საკუთრების უფლების ხელყოფის აღმოსაფხვრელად;

საქართველოს საერთო სასამართლოებს:

- უზრუნველყოს სისხლის სამართლის პროცესში საკუთრების უფლების შეზღუდვის შემთხვევაში, სასამართლოების მიერ, ჩხრეკისა და ამოღების, ასევე ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას და მოცემულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას კანონის მოთხოვნათა სრული დაცვა და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს:

- ბათილად ცნოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები, რომლითაც შეუწყდათ წინამდებარე ანგარიშში განხილულ შემთხვევებში, ასაკის ნიშნით სახელმწიფო პენსიის მიღება და აუნაზღაურდეთ განაცდური.



## შრომის უფლება

შრომის უფლება, სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს შორის, ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებას მიეკუთვნება. შრომასთან დაკავშირებული უფლებები დეკლარირებულია როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებში,<sup>625</sup> ასევე საქართველოს კონსტიტუციაში,<sup>626</sup> საქართველოს ორგანულ კანონში - „საქართველოს შრომის კოდექსი“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონსა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი იცავს ადამიანის შრომის უფლებას, ხოლო ქვეყნის უზენაესი კანონის მე-13 მუხლით რეგლამენტირებულია სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება - დაიცვას და მფარველობა გაუწიოს მოქალაქეებს განურჩევლად მათი ადგილსამყოფელისა,<sup>627</sup> რამაც გამოხატულება უნდა ჰპოვოს სახელმწიფოს მხრიდან აქტიურ მოქმედებაში. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება მოსამსახურეთათვის არა მხოლოდ სამართლებრივი გარანტიების მიცემაში უნდა გამოიხატებოდეს, არამედ მან პრაქტიკაში უნდა განახორციელოს ზემოაღნიშნული რეგულაციებით ნაკისრი ვალდებულებები. 1994 წლის 3 აგვისტოდან საქართველო წარმოადგენს 1966 წლის 16 დეკემბრის გაეროს „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მონაწილე მხარეს, რომლის რატიფიცირების შედეგად, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება მიიღოს შესაბამისი ზომები შრომის უფლების დასაცავად, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება.<sup>628</sup>

საქართველოს კანონმდებლობა ცალსახად კრძალავს შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას - რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო.<sup>629</sup>

საქართველოს ორგანული კანონით, „საქართველოს შრომის კოდექსი“, განსაზღვრულია როგორც დამსაქმებლის ვალდებულება - უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და

<sup>625</sup>1966 წლის 16 დეკემბრის გაეროს საერთაშორისო პაქტი „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ,“ 1996 წლის 3 მაისის ევროპის სოციალური ქარტია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები;

<sup>626</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 30.

<sup>627</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 13, პუნ.1.

<sup>628</sup> გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხ. 6, პუნ.1.

<sup>629</sup> საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ.2, ნაწ. 3.

ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი,<sup>630</sup> ასევე, სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები.<sup>631</sup>

მიუხედავად ზემოაღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციებისა, შრომასთან დაკავშირებული უფლებები ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ყველაზე პრობლემატურ სფეროს განეკუთვნება. აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საანგარიშო პერიოდში შრომის უფლებასთან დაკავშირებით განხილული განცხადებების სიმრავლე. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის წინამდებარე თავში მიმოხილული იქნება შრომის უფლების რეალიზების მდგომარეობა საჯარო სამსახურში, განათლების სისტემიდან თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო გათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის საქმიანობის შედეგები, შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და შრომითი მოვალეობების შესრულებისას დაზარალებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია აღინიშნოს საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 5 თებერვალს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი დამატება 134<sup>4</sup> მუხლის სახით, რომელმაც ასობით ადამიანის შრომის უფლება შეიძლება შელახოს.

აღნიშნული მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2014 წლის არჩევნების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე დროებით მოვალეობის შემსრულებლად გამოცხადდება. ისინი უფლებამოსილებას განახორციელებენ შესაბამისი თანამდებობის კონკურსის წესით შევსებამდე, რაც უნდა მოხდეს არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან 120 დღის განმავლობაში. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, სამსახურში განუსაზღვრელი ვადით მიღებული მოხელეები, რომელთაც განუსაზღვრელი ვადით დასაქმების ლეგიტიმური მოლოდინი ჰქონდათ, ახსნა-განმარტების და გასაჩივრების საშუალების გარეშე გათავისუფლებიან მათ მიერ დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილნი იქნებიან ამავე თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლებად მანამ, სანამ კონკურსის წესით არ დაინიშნებიან მოხელეები.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ვაკანტურ თანამდებობაზე მოხელის სამსახურში მიღების ზოგადი წესი მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე განუსაზღვრელი ვადით მიღებას გულისხმობს. განსაზღვრული ვადით ინიშნებიან მხოლოდ დროებით არმყოფი მოხელეების შემცვლელები ან კონკურსის წესით დასანიშნი მოხელის მოვალეობის შემსრულებლები.

<sup>630</sup> საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ. 35, ნაწ. პირველი;

<sup>631</sup> საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ. 35, ნაწ. 6.

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი აღიარებს საქართველოს მოქალაქეების უფლებას დაიკავონ ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, ეს უფლება იცავს მოქალაქეებს არა მხოლოდ სამსახურში მიღების და საქმიანობის პროცესში, არამედ საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების დროსაც (მაგალითისთვის იხილეთ საქმეები: ავთანდილ ჭოჭუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №2/80–9, 1998 წლის 3 ნოემბერი; საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს მოქალაქე ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/3/209,276, 2004 წლის 28 ივნისი). შესაბამისად, მოქალაქეთა საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებისას, პარლამენტი შეზღუდულია კონსტიტუციური მოთხოვნით, საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება შეზღუდოს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში და სათანადო გამართლებით.

იგივე მოთხოვნა გამომდინარეობს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლიდან, რომლის თანახმად, თითოეულ მოქალაქეს თავის ქვეყანაში თანასწორობის საერთო პირობებში უნდა შეეძლოს სახელმწიფო სამსახურში შესვლა. სამსახურიდან გამართლების გარეშე გათავისუფლებას კრძალავს აგრეთვე ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის 30-ე მუხლიც.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, საჯარო სამსახურში დასაქმებული პირის უფლება თავისი შინაარსით წარმოადგენს „სამოქალაქო უფლებას“, რომლის სასამართლოში დაცვაც პირს უნდა შეეძლოს (იხ. ვილჰო ესკელინენი (Vilho Eskelinen) და სხვები ფინეთის წინააღმდეგ, განაც. №63235/00). თუმცა საქმეში „კ.მ.ს. უნგრეთის წინააღმდეგ“ (K.M.C. v. Hungary, განაც. №19554/11, 10 ივლისი, 2012), ეს სტანდარტი კიდევ უფრო გაფართოვდა: სასამართლომ დაადგინა, რომ კანონი, რომელიც იძლეოდა საჯარო მოხელეთა ახსნა-განმარტების გარეშე სამსახურიდან გათავისუფლების საშუალებას, არღვევდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს [სამართლიანი სასამართლოს უფლება], რადგან შესაბამისი ახსნა-განმარტების გარეშე, სასამართლო ვერ შეძლებდა შეეფასებინა მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება და ვერ დაიცავდა პირის სამოქალაქო უფლებას (პარ. 34). სადავო სამართლებრივი აქტი, რომელიც საჯარო მოხელის დაუსაბუთებელი გათავისუფლების საშუალებას იძლეოდა, არაკონსტიტუციურად ცნო უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2014 წლის 5 თებერვალს განხორციელებული ცვლილება ასობით ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევის საფუძველი შეიძლება გახდეს, რაც სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მხრიდან დროულ რეაგირებას საჭიროებს.

## შრომის უფლება საჯარო სამსახურში

საქართველოში მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი აქტებიდან საჯარო მოხელეთა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით არის დადგენილი. სწორედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ანიჭებს საჯარო სამართლებრივ კომპეტენციას საჯარო მოსამსახურეებს და იმავდროულად, განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურეთა უფლებებსა და გარანტიებს.

2013 წლის საანგარიშო პერიოდში ყოფილი საჯარო მოხელეების მომართვებისა და „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შესწავლილი საქმეების ანალიზი ნათელყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაბამისი უფლებამოსილი პირების მხრიდან, ადგილი აქვს დაკავებული თანამდებობებიდან საჯარო მოხელეების დაუსაბუთებელ და უკანონო გათავისუფლებას.

## სამსახურიდან გათავისუფლება დაწესებულების რეორგანიზაციისას, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 თავით დადგენილია საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები, რომელთაგან მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირება.<sup>632</sup>

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ყოფილ საჯარო მოხელეთა მიერ წარმოდგენილი საჩივრების შესწავლის შედეგად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით მოხელეთა გათავისუფლებისას გამოვლინდა რიგი სამართლებრივი დარღვევები, მათ შორის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ბრძანებებით მოხდა დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაცია, რომელსაც თან ახლდა შტატების შემცირება და აღნიშნული გახდა კონკრეტულ საჯარო მოხელეთა დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლების საფუძველი. თუმცა, რეორგანიზაციამდე და რეორგანიზაციის შემდგომ პერიოდში დამტკიცებულ საშტატო ნუსხათა ურთიერთშედარებისას გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი მოხელის მიერ რეორგანიზაციამდე დაკავებული საშტატო ერთეული რეორგანიზაციის შემდგომ არ შემცირებულა და კვლავაც არსებობდა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის თანახმად, „დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად.

<sup>632</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 97, პუნ. 1.

როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე“. ამავე კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას.

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული“ კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,<sup>633</sup> წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომელთა მიერ საჯარო მოხელის გათავისუფლებასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებები ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,<sup>634</sup> წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომლებიც თავის მხრივ, უნდა პასუხობდნენ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ IV თავით რეგლამენტირებულ მოთხოვნებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის უფლებამოსილება, რომელიც ანიჭებს მას თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს მისთვის ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.<sup>635</sup> ამავე კოდექსის 53-ე მუხლი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ პირს/ორგანოს უწესებს ვალდებულებას, რომ წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. ამასთან, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემისას.<sup>636</sup> ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმპერატიული დანაწესის შესაბამისად, ადმინისტრაციული

<sup>633</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

<sup>634</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს;

<sup>635</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 2, ნაწ. 1, ქპ. „ლ“.

<sup>636</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 53, ნაწ. 4.



ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.<sup>637</sup> საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „მიუხედავად იმისა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლი პირდაპირ არ უთითებს დისკრეციული უფლებამოსილების ტერმინს, ნორმის შინაარსი ადასტურებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭებას.“<sup>638</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის შედეგების მიხედვით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით მოხელეთა გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ადმინისტრაციული ორგანოები არ სწავლობენ საჯარო მოხელეთა უნარ-ჩვევებისა და პიროვნული თვისებების შესაბამისობას დაკავებული თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან და არ ასაბუთებენ, თუ რატომ მიენიჭა უპირატესობა იმავე რანგის და მსგავსი თანამდებობის მქონე სხვა სპეციალისტს სამსახურში დატოვებისას. ამასთან, ხშირ შემთხვევაში ცვლილება მხოლოდ თანამდებობის დასახელებაში ხდება, შტატების რაოდენობა კი უცვლელი რჩება ან იზრდება, რაც ასევე არ წარმოადგენს საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს. მსგავსი პრაქტიკით, ადმინისტრაციული ორგანოები უგულვებელყოფენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ კანონის უზენაესობის პრინციპს,<sup>639</sup> რომლის თანახმად, უფლება არ აქვთ კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელონ რაიმე სახის ქმედება.

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეთა შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით საჯარო მოხელეთა დაკავებული თანამდებობებიდან დაუსაბუთებლად გათავისუფლება განხორციელდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოდან ქალაქ სიღნაღის რესურსცენტრიდან, სსიპ შემოსავლების სამსახურიდან, ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან, თბილისის მერიისა და თბილისის საკრებულოს აპარატიდან.

<sup>637</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 53, ნაწ. 5;

<sup>638</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ოქტომბრის №ბს-342-331(კ-10)განჩინება;

<sup>639</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 5, ნაწ. 1.

## სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინური გადაცდომისათვის

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლი ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომისათვის მოხელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობას.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი იძლევა, როგორც დისციპლინური გადაცდომის,<sup>640</sup> ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეების<sup>641</sup> ჩამონათვალს, რომელთა გამოყენებაც, ცალსახად ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. აღნიშნული უფლებამოსილების რეალიზების შემთხვევაში, სახელმწიფო დაწესებულებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილი პირი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილით ნაკისრი ვალდებულება და საჯარო და კერძო ინტერესების საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი, რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

ამავდროულად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილი პირის ვალდებულებაა, დისციპლინური გადაცდომისათვის მოხელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გამოცემულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წერილობით დასაბუთებაში მიუთითოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.<sup>642</sup> სამუხაროდ, რიგ ადმინისტრაციულ ორგანოებში, მოხელეთა დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლებაზე უფლებამოსილი პირების მხრიდან უგულებელყოფილ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გაწერილი ზემოაღნიშნული რეგულაციები, კერძოდ, არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და ფაქტობრივი წინამძღვრების გამოკვლევისა და ასახვის გარეშე მიღებულ იქნა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები, რომელმაც ხელყო საჯარო მოხელეთა კანონისმიერი უფლებები.

2013 წელს შესწავლილ საქმეთაგან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ყოფილ თანამშრომელთა გათავისუფლების ბრძანებებისა და აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას ჩატარებული წარმოების მასალების გამოკვლევის შედეგად, გამოიკვეთა დისციპლინური გადაცდომისათვის მოხელეთა დაკავებული თანამდებობიდან დაუსაბუთებლად გათავისუფლების შემთხვევები. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო

<sup>640</sup> საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 78;

<sup>641</sup> საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 79;

<sup>642</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 53, ნაწ. 4.

დამცველმა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციებით მიმართა, რათა შეესწავლათ ზემოაღნიშნული საკითხები და მიეღოთ კანონშესაბამისი გადაწყვეტილებები.

### **სამსახურიდან გათავისუფლება საკუთარი ინიციატივით**

საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის წლიურ ანგარიშში მითითებულია საქართველოში არსებული იმ უარყოფითი პრაქტიკის შესახებ, რომლის თანახმად, საჯარო დაწესებულების უფლებამოსილი პირები, საჯარო მოხელეებს სთხოვდნენ საკუთარი ინიციატივით დაეწერათ განცხადებები დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ, რაც, რიგ შემთხვევებში, გახდა კიდევ მათი დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლების ფორმალური საფუძველი, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლი ითვალისწინებს ზემოაღნიშნული საფუძველით მოხელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას.

2013 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველს არაერთმა ყოფილმა საჯარო მოხელემ მიმართა, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში, საქართველოს მთავარ პროკურატურასა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. მოქალაქეები წარმოდგენილ საჩივრებში მიუთითებდნენ, რომ დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ განცხადებები მათ თანამდებობის პირების მოთხოვნით დაწერეს. ზოგიერთ განცხადებაში ყოფილი საჯარო მოხელეები ასახელებდნენ კონკრეტულ თანამდებობის პირებს, რომელთა მხრიდან ხორციელდებოდა მათ მიმართ ფსიქოლოგიური ზეწოლა (იმულება), რათა საკუთარი განცხადების საფუძველზე დაეტოვებინათ დაკავებული თანამდებობები. ვინაიდან, წარმოდგენილ განცხადებებში აღნიშნული ფაქტები შესაძლოა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების შემცველი ყოფილიყო, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, მსგავსი ტიპის განცხადებები თანდართულ მასალებთან ერთად შემდგომი რეაგირებისთვის საქართველოს მთავარ პროკურატურას გადაუგზავნა.

საქართველოს სახალხო დამცველს 2013 წლის განმავლობაში მიმართავდნენ ის საჯარო მოხელეებიც, რომლებიც მიუხედავად ხელმძღვანელი პირების მხრიდან მათ მიმართ განხორციელებული ზეწოლის ფაქტებისა, საკუთარი ინიციატივით არ წერდნენ განცხადებებს, დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ. მსგავს შემთხვევებს ადგილი ჰქონდა მარნეულისა და ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობებში. მოცემული შინაარსის განცხადებები საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შემდგომი

რეაგირებისათვის საქართველოს მთავარ პროკურატურას გადაუგზავნა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რამდენიმე შემთხვევაში საქართველოს მთავარი პროკურატურის მხრიდან დაიწყო გამოძიება საჯარო მოხელის მიმართ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, განხორციელებული დევნის<sup>643</sup> და შრომის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე<sup>644</sup>.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შესწავლილი საქმეების ანალიზის თანახმად, გაირკვა, რომ 2012 წლის მეორე ნახევარში და 2013 წლის განმავლობაში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებიდან ადგილი ჰქონდა, პირადი განცხადების საფუძველზე, საჯარო მოხელეთა მასობრივ გათავისუფლებებს. ის ფაქტი, რომ საქართველოში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას უმუშევრობის მაღალი დონე წარმოადგენს, სიახლე არ არის. ამიტომ, ლეგიტიმურ კითხვებს ბადებს საბიუჯეტო ორგანიზაციებში, საკუთარი ინიციატივით, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადებების მასობრივი ხასიათი. მსგავსი ტენდენცია იკვეთება შემდეგ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში:

- კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან 2012 წლის დეკემბერსა და 2013 წლის იანვარში პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა 47 საჯარო მოხელე;
- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2013 წლის იანვარ-თებერვლის თვეებში გათავისუფლდა 33 საჯარო მოხელე;
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან 2012 წლის დეკემბერში გათავისუფლდა 47 საჯარო მოხელე;
- თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიიდან 2013 წლის ივლისში გათავისუფლდა 13 საჯარო მოხელე;
- გორის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან 2013 წლის იანვარ-თებერვლის თვეებში პირადი განცხადების საფუძველზე სულ გათავისუფლდა 44 საჯარო მოხელე;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისიდან 2012 წლის ნოემბერში პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა 17 საჯარო მოხელე;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბიდან 2013 წელს სულ გათავისუფლდა 91 თანამშრომელი, მათ შორის იანვარში - 42 თანამშრომელი;

<sup>643</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 156, ნაწ. 2, ქპ. „ბ“.

<sup>644</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 169.

- საქართველოს მთავარი პროკურატურიდან საკუთარი ინიციატივის საფუძველზე 2013 წლის 20 ნოემბრიდან 2013 წლის 14 იანვრამდე პერიოდში საკუთარი ინიციატივის საფუძველზე გათავისუფლდა 41 მუშაკი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატიდან საკუთარი ინიციატივის საფუძველზე და სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით 2012 წლის ნოემბრიდან 2013 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში გათავისუფლდა 30 თანამშრომელი. ამავე პერიოდში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა 157 (ას ორმოცდაჩვიდმეტი) თანამშრომელი;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა 47 საჯარო მოხელე, მათ შორის 2013 წლის თებერვალში გათავისუფლდა 18 საჯარო მოხელე, მარტში - 13, ხოლო აპრილში - 9 საჯარო მოხელე;
- გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან პირადი განცხადების საფუძველზე 2013 წლის თებერვალში გათავისუფლდა 19 საჯარო მოხელე;
- ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან პირადი განცხადების საფუძველზე 2013 წლის აგვისტოში გათავისუფლდა 17 საჯარო მოხელე, ამათგან 13 თანამშრომელი გათავისუფლდა 7 აგვისტოს.

ქვეყანაში არსებული დასაქმების პრობლემის გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული ინფორმაციის ანალიზი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საჯარო მოხელეთა მხრიდან, საკუთარი ინიციატივით დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ, მათ მიერ გამოხატული ნების ნამდვილობას და ამ ნების საფუძველზე, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებიდან მათი გათავისუფლების შესახებ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებას.

შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ 2013 წლის განმავლობაში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან, ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საერთაშორისო და ადგილობრივი რეგულაციებით ნაკისრი კანონისმიერი ვალდებულებების უგულებელყოფას ადამიანის უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური უფლების - შრომის უფლების დარღვევებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის საქმიანობა

2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნებისა და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების



სამინისტროს 830 პირმა მიმართა განცხადებით,<sup>645</sup> რომლებიც განათლების სფეროში იყვნენ დასაქმებულნი და მიიჩნევდნენ, რომ სამსახურიდან პოლიტიკური შეხედულების გამო გაათავისუფლეს. მათი უმეტესობა აცხადებს, რომ გაათავისუფლების შემდგომ, დარღვეული უფლებების აღსადგენად საერთო სასამართლოებისათვის არ მიუმართავთ, რადგან არ ჰქონდათ სამართლიანობის აღდგენის მოლოდინი. თუმცა, იყო შემთხვევები, როცა სასამართლომ მათი სარჩელები არ დააკმაყოფილა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 14 დეკემბრის ბრძანებით<sup>646</sup> შეიქმნა საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გაათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისია. ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით<sup>647</sup> დამტკიცდა დასახელებული კომისიის დებულება.

კომისიის წევრთა შემადგენლობა საქართველოს სახალხო დამცველისა და 7 არასამთავრობო ორგანიზაციის<sup>648</sup> წარმომადგენლით განისაზღვრა.<sup>649</sup>

კომისიის საქმიანობის ძირითადი ამოცანებია: 2006 წლის 1 იანვრიდან კომისიის შექმნამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების -

---

<sup>645</sup> 587 ყოფილი მასწავლებელი, 220 - საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი.

<sup>646</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 14 დეკემბრის №1375 ბრძანება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გაათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის თაობაზე.“

<sup>647</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 14 დეკემბრის ბრძანება №1374 „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გაათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.“

<sup>648</sup> ა(ა)იპ „კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტი,“ ა(ა)იპ „სკოლა-ოჯახი-საზოგადოება,“ ა(ა)იპ „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი,“ ა(ა)იპ „საერთაშორისო საზოგადოება-საქართველო,“ ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია,“ ა(ა)იპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება,“ ა(ა)იპ „სამოქალაქო ინიციატივებისა და დასაქმებულთა დაცვის ასოციაცია.“

<sup>649</sup> კომისიის წევრთა შემადგენლობაში, მისი საქმიანობის საწყის ეტაპზე, ასევე შედიოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, თუმცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის ბრძანებით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №756 ბრძანება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გაათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 14 დეკემბრის №1375 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“) განხორციელდა ცვლილება კომისიის წევრთა შემადგენლობაში. ცვლილებების შედეგად, კომისიის შემადგენლობა მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებით დაკომპლექტდა.

საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტების დადგენა, შესწავლა და შეფასება. ასევე, კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისათვის რეკომენდაციების შემუშავება.<sup>650</sup>

კომისია იხილავს მიმართევებს, პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში, საქმის შინაარსიდან გამომდინარე, მართავს შეხვედრებს სამინისტროს, სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანამშრომლებთან, სკოლის დირექტორებთან, სამეურვეო საბჭოებთან, პედაგოგებთან, მოსწავლეთა მშობლებთან და ნებისმიერ დაინტერესებულ პირთან. ამასთან, უსმენს და ახსნა-განმარტებას ართმევს მიმართვის ავტორს ან ცალკეულ პირებს, რომლებიც ინფორმირებულნი არიან მიმართვის ავტორის სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზების თაობაზე.<sup>651</sup>

კომისია საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსის წესით.<sup>652</sup> კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- „პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდის არსებობისა და მინისტრისათვის რეკომენდაციით მიმართვის თაობაზე;
- პოლიტიკური შეხედულების გამო გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდის არარსებობის თაობაზე.“<sup>653</sup>

კომისიამ სრულად განიხილა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესული 830 მიმართვა და ყველა მათგანზე მიიღო შუალედური გადაწყვეტილება. კერძოდ, განხილვის პირველ ეტაპზე:

---

<sup>650</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების მუხ. 3, პუნ. 1.

<sup>651</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების მუხ. 3, პუნ. 2.

<sup>652</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების მუხ. 9, პუნ. 5.

<sup>653</sup> „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების მუხ. 9, პუნ. 4.

- 565 მიმართვაზე დადგინდა ხარვეზი;
- 236 მიმართვა გადაეცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესამაბის დეპარტამენტს განსახილველად;
- 29 მიმართვაზე დაინიშნა არსებითი განხილვა.
- 2014 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით, კომისიამ დაასრულა საქართველოს რეგიონებიდან შემოსული განცხადებების განხილვა და არსებითად განიხილა 175 საქმე, აქედან:
  - 19 საქმეზე დადგინდა პოლიტიკური შეხედულებების გამო გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდი;
  - 36 საქმეზე გამოიკვეთა კანონდარღვევის ნიშნები პირის გათავისუფლებისას;
  - 120 საქმის არსებითი განხილვისას არ დადგინდა პოლიტიკური შეხედულების გამო გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდი.

კომისია განაგრძობს მუშაობას და დღის წესრიგშია თბილისის საჯარო სკოლების პედაგოგებისა და დირექტორების განცხადებების (სულ 118 განცხადება) განხილვა.

იმ პირთაგან, რომელთა მიმართაც კომისიამ დაადგინა პოლიტიკური შეხედულების გამო გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 13 განმცხადებელს შესთავაზა სამსახურში დანიშვნა იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე. აქედან 6 პირი დაინიშნა შესაბამის თანამდებობაზე, ხოლო დანარჩენმა 7-მა პირმა სხვადასხვა მიზეზთა გამო უარი განაცხადა შეთავაზებაზე.

## შრომის უსაფრთხოება

შრომის უფლების განუყოფელი კომპონენტია დასაქმებული უზრუნველყოფილი იყოს შრომის მაქსიმალურად უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოთი. ეს უფლება გამტკიცებულია მთელი რიგი საკანონმდებლო აქტებით. „შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.“<sup>654</sup>

საერთაშორისო ნორმების თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები, რაც კერძოდ, გულისხმობს უსაფრთხო და ჯანსაღი შრომის პირობებს.“<sup>655</sup>

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსით“ „დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის

<sup>654</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 30, პუნ. 4.

<sup>655</sup> ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხ. 6, ქპ. „ბ.“

მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი“.<sup>656</sup> თუმცა, ეს ნორმა მხოლოდ დეკლარირებულ ხასიათს ატარებს და არსად არის მითითებული ამ ნორმის დარღვევისთვის რა სანქცია შეიძლება დაეკისროს დამსაქმებელს.

როგორც წესი, სამოქალაქო უფლებები სახელმწიფოს მხრიდან თავშეკავების პასიურ ვალდებულებას მოითხოვს. ხოლო, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა სახელმწიფოს მხრიდან აქტიური ღონისძიებების გატარებას საჭიროებს.

საქართველოში შრომის უსაფრთხოების კუთხით პრობლემები არსებობს როგორც საკანონმდებლო, ასევე ინსტიტუციური თვალსაზრისით. სახელმწიფო დონეზე არ არის შემუშავებული შრომის, ჯანმრთელობისა და სამუშაო გარემოს შესახებ თანმიმდევრული ეროვნული პოლიტიკა და არ არსებობს მონიტორინგის მექანიზმი, რამდენად არის დაცული სამუშაო ადგილებზე უსაფრთხო გარემო. 2006 წელს ახალი შრომის კოდექსის მიღებასთან ერთად გაუქმდა მანამდე მოქმედი შრომის ინსპექცია, რომელიც ზედამხედველობდა საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის უსაფრთხოების საკითხს. დღესდღეობით, მსგავსი საზედამხედველო ფუნქციით აღჭურვილი უწყების არარსებობის გამო არ ხორციელდება კონტროლი საწარმოებზე, რომლებიც თითქმის არ იცავენ შრომის უსაფრთხოების ნორმებს, რის გამოც მომეტებული საფრთხის ქვეშ დგას იქ მომუშავეთა ჯანმრთელობა. რაც შეეხება შრომის უსაფრთხოების ნორმებს, საწარმოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში დღემდე მოქმედებს 70-80-იან წლებში მიღებული შრომითი უსაფრთხოების ნორმები,<sup>657</sup> რომლებიც ამ სფეროში არსებულ გამოწვევებს ვერ უძლებს.

ამ ფონზე, საქართველოში სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების კვლევა შემაშფოთებელია, მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დონე ქვეყანაში საკმაოდ მაღალია და დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი შრომის ბაზარზე არცთუ ისე დიდია.

2007 წლიდან მოყოლებული, ფატალური შემთხვევებისა და დაზიანების კატასტროფულად მზარდი ტენდენციაა. განსაკუთრებით შემაშფოთებელია 2010-2011 წლის სტატისტიკა, როდესაც საწარმოო უბედურმა შემთხვევებმა და მათ შედეგად დამდგარმა უბედურმა შემთხვევებმა პიკს მიაღწია.

<sup>656</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხ. 35, ნაწ. 1.

<sup>657</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით<sup>658</sup> 2010 წელს სამუშაოს შესრულებისას დაშვებულთა რაოდენობა იყო 102, გარდაცვლილთა რაოდენობა - 42. 2011 წელს დაშვებულთა რაოდენობაა 137, გარდაცვლილთა რაოდენობა - 54.

საქართველოში შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სათანადო პირობების შესაქმნელად აუცილებელია არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა. საქართველოს არც შესაბამისი საერთაშორისო ნორმები აქვს რატიფიცირებული: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №81 კონვენცია მრეწველობასა და ვაჭრობაში შრომის ინსპექციის შესახებ, №129 შრომის ინსპექციის (სოფლის მეურნეობაში) შესახებ და №155 კონვენცია სამუშაო ადგილებზე ჯანმრთელობის უსაფრთხოების შესახებ.

საქართველოს მიერ რატიფიცირებული არ არის ასევე, ევროპის სოციალური ქარტიის მე-3 მუხლი, რომლის მიხედვით:

„უსაფრთხო და ჯანმრთელ სამუშაო პირობებზე უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მუშაკთა და დამსაქმებელთა ორგანიზაციებთან კონსულტაციების გზით მხარეები ვალდებულია იღებენ:

1. ჩამოაყალიბონ, განახორციელონ და პერიოდულად გადახედონ შრომის უსაფრთხოების, შრომის ჯანმრთელობისა და სამუშაო გარემოს შესახებ თანმიმდევრული ეროვნული პოლიტიკა. ამ პოლიტიკის ძირითადი მიზანი არის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესება და უბედური შემთხვევებისა და ჯანმრთელობის დაზიანების თავიდან აცილება, რომლებიც გამომდინარეობენ, დაკავშირებული არიან ან ადგილი აქვთ შრომის დროის, კერძოდ, იმ რისკის მინიმუმამდე შემცირებით, რომელიც თან სდევს შრომით გარემოს;
2. მიიღონ უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული წესები;
3. უზრუნველყონ ასეთი წესების შესრულება ზედამხედველობის ზომების მეშვეობით;
4. ხელი შეუწყონ პრევენციული და საკონსულტაციო ფუნქციების მქონე ყველა მუშაკისათვის ჯანმრთელობის სამსახურების პროგრესულ განვითარებას.“

მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლის 12 ივნისს ძალაში შევიდა<sup>659</sup> პოზიტიური და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებული საქართველოს შრომის კოდექსის ცვლილებები, შრომის უსაფრთხოების პირობების მონიტორინგის კუთხით არაფერი შეცვლილა და არც არაფერი დამატებია.

<sup>658</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, წერილი №808787 (30.04.2013).

<sup>659</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ,“ №729-III - ვებგვერდი 04.07.2013;



საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ყურადღების საგანი შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნა და ამ მხრივ, სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების მხრიდან სათანადო ვალდებულებების აღებაზე მოწოდება იყო.<sup>660</sup>

მიუხედავად არსებული არასახარბიელო მდგომარეობისა, პოზიტიურად უნდა შეფასდეს ინიციატივები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოძიებული ინფორმაციით,<sup>661</sup> სამინისტროში მუშავდება კანონის პროექტები „დასაქმების შესახებ“, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, „შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის შესახებ“, „შრომითი მიგრაციის შესახებ“ და ნორმატიულ აქტზე „შრომის პირობებზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ“, რომელთა მიზანია, მათ შორის, შრომის უსაფრთხოების სფეროში, შეიმუშაოს საწარმოებისათვის არსებულ რეალობაზე მორგებული მოქმედების საერთო წესები. კანონპროექტით ასევე გათვალისწინებულია სამინისტროს სისტემაში შეიქმნას საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც შეითავსებს იმ ფუნქციებს, რომელიც ჰქონდა 2006 წელს გაუქმებულ შრომის ინსპექციას. სამინისტროს მიერ ასევე გაზიარებულ იქნა საქართველოს სახალხო დამცველის პოზიცია დასაქმებულთა ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №81, №129, №155 კონვენციებისა და ევროპის სოციალური ქარტიის რატიფიცირებისათვის საჭირო პროცედურების დაწყების შესახებ.

### **შრომითი მოვალეობის შესრულებისას დაზარალებულ პირთა უფლებები**

სახალხო დამცველის აპარატს ხშირად მომართავენ მოქალაქეები, რომელთა ჯანმრთელობასაც შრომითი მოვალეობის შესრულების დროს მიადგა ზიანი. ისინი მიუთითებენ, რომ „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების ძალადაკარგულად ცნობით და სანაცვლოდ, აღნიშნული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების მიღებით არსებითად გაუარესდა მათი უფლებრივი მდგომარეობა.

მითითებული გარემოების გათვალისწინებით, წინამდებარე თავში მიმოვიხილავთ და შევაფასებთ იმ ნორმატიულ აქტებს, რომელიც წლების წინ არეგულირებდა აღნიშნულ სამართალურთიერთობას და ასევე, დღეს მოქმედ ნორმატიულ აქტებს, რომლებიც

<sup>660</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 2 ივლისის რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას; იხ. ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის 29 იანვრის განცხადება, ტყიბულის მადაროში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით.

<sup>661</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, წერილები: №01/73357 (09.08.2013), №01/83107 (16.09.2013), №01/96050 (25.10.2013).

განსაზღვრავს შრომითი მოვალეობის შესრულებისას დაზარალებულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას.

„შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულება, მის შემდგომ მიღებულ ნორმატიულ აქტებთან შედარებით დეტალიზებულად განსაზღვრავდა დაზარალებულ პირთათვის ზიანის ანაზღაურების პირობებს. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის №93 ბრძანებულების საფუძველზე ძალადაკარგულად გამოცხადდა №48 ბრძანებულება და 2007 წლის 24 მარტს საქართველოს მთავრობამ მიიღო №53 დადგენილება. ამ უკანასკნელი დადგენილებით ახლებურად მოწესრიგდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებული პირისათვის ზიანის ანაზღაურების წესი, რომლის თანახმად, სხეულის დაზიანებითა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურდებოდა არასახელშეკრულებო (დელიქტური) პასუხისმგებლობის ფორმით.

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილება ზიანის ანაზღაურების საფუძველებთან დაკავშირებით ზოგად მითითებას აკეთებდა სამოქალაქო კოდექსზე, მისი მოქმედების პირობებში დადგენილი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ ზიანის ანაზღაურების ის მოცულობა, რისი მიღებაც დაზარალებულ პირებს საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულების საფუძველზე შეეძლოთ, სრულად შენარჩუნდა.

მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებაში გაიწერა და რამაც უარყოფითი გავლენა იქონია დაზარალებულთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ეხებოდა დამსაქმებლის უფლებამონაცვლის არარსებობის შემთხვევაში დანიშნული ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს გაცემის საკითხს. №53 დადგენილების თანახმად, საწარმოს გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, 2007 წლის 1 მარტიდან წყდებოდა დანიშნული ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს გაცემის ვალდებულება და ის არც შემდგომი პერიოდისთვის დაინიშნებოდა. №53 დადგენილების აღნიშნული ჩანაწერის საფუძველზე, შრომითი მოვალეობის შესრულებისას დაზარალებულ პირებს, რომელთაც დამსაქმებელი საწარმოების ლიკვიდაციის გამო, სახელმწიფო უხდიდა ყოველთვიურ სარჩოს, შეუწყდათ მისი გაცემა.

„შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილება. ახალი დადგენილებით დაწესდა სოციალური გარანტიები - „დახმარება“, ქვემოთ განხილულ, გარკვეული კატეგორიის პირთა მიმართ, რომელთაც დამსაქმებლის ლიკვიდაციის გამო შეუწყდათ ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს მიღება.

2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილების თანახმად, დახმარება შეიძლება დაენიშნოს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც დასაქმებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოში<sup>662</sup> (უფლებამონაცვლე არ ჰყავს), 2007 წლის 1 იანვრამდე დადგენილი აქვს პროფესიული დაავადება ამ დამსაქმებელთან მუშაობის გამო ან ამავე დამსაქმებლის ბრალეულობით შრომითი მოვალეობის შესრულებისას მის ჯანმრთელობას მიაღება ზიანი და: ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული აქვს ფულადი გასაცემლის მიღების უფლება; ბ) სააგენტოს მხრიდან 2007-2008 წლებში გაცემულია ერთჯერადი კომპენსაცია ან დაფარულია დავალიანება. აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 1 მარტის დადგენილება გამონაკლისი სახით, ზოგადი წესის შესაბამისად, ითვალისწინებს დახმარების დანიშვნის შესაძლებლობას სს „ჭიათურმანგანუმში” ან „საქნახშირის“ დეპარტამენტში მომუშავე პირებზე, რომელთაც 2007 წლის 1 იანვრამდე დადგენილი აქვთ შრომითი მოვალეობის შესრულების შედეგად პროფესიული დაავადება ამავე დამსაქმებლის ბრალეულობით.

მიუხედავად იმისა, რომ №45 დადგენილებით განსაზღვრულია შრომის მოვალეობის შესრულებისას მიღებული ზიანისთვის დახმარების დანიშვნის წესი, გარკვეული პარალელის გავლება შეიძლება საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებასთან, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებდა 100%-იანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში, რომლებსაც უფლებამონაცვლე არა ჰყავთ, საწარმოო ტრავმით დაზარალებულ პირთა მიმართ ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

2013 წლის 1 მარტის დადგენილებაში ასევე გაწერილია, დახმარების ყოველთვიური ოდენობის გამოთვლის წესი, ხოლო დახმარების დანიშვნაზე გადაწყვეტილებას იღებს უწყებათაშორისი კომისია.

<sup>662</sup> მიუხედავად იმისა, რომ დადგენილებაში არ არის ცალსახა ჩანაწერი, დახმარების დანიშვნისთვის საწარმოს ლიკვიდაციის დროსაც არის თუ არა 100%-იანი წილობრივი მონაწილეობა აუცილებელი პირობა, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 თებერვლის №7160 წერილით სახალხო დამცველის აპარატს განემარტა, რომ ლიკვიდაციის მომენტშიც აუცილებელია სახელმწიფო იყოს 100%-იანი წილის მფლობელი.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად მოქმედ, №45 დადგენილებაში არ არის საუბარი დამსაქმებელსა და საწარმოო ტრავმით დაზარალებულ პირთა შორის წარმოშობილ იმ ურთიერთობებზე, რომელიც წარმოიშვა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებისა და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების მოქმედების დროს და დღესაც არსებობს. აღნიშნულ სამართალურთიერთობებზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმების მოქმედება, რომელიც არეგულირებს დელიქტის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების საფუძველებს.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილების მიღება, უდავოდ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან შრომითი მოვალეობის შესრულებისას დაზარალებული პირების გარკვეულ ნაწილს, 2007 წლის 1 მარტის შემდეგ კვლავ მიეცათ შესაძლებლობა მიიღონ ფულადი დახმარება, რომელსაც ადრე ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს სახით იღებდნენ. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია, გარკვეული სოციალური გარანტიები დაწესდეს იმ პირთა მიმართაც, რომლებმაც ჯანმრთელობის დაზიანება მიიღეს იმ საწარმოებში მუშაობის პერიოდში, რომელშიც სახელმწიფოს არ ჰქონდა 100%-იანი წილობრივი მონაწილეობა, თუმცა, იყო პარტნიორი ან აქციონერი.

#### რეკომენდაციები:

##### საქართველოს პარლამენტს:

- განხორციელდეს ცვლილება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134<sup>4</sup>-ე მუხლში, იმგვარად, რომ გამოირიცხოს ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებულ ასობით საჯარო მოხელის შრომის უფლების დარღვევა;

##### საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ან დაწესებულებებს:

- საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას (თუნდაც, მოხელე პირადი განცხადების საფუძველზე ითხოვდეს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას) დეტალურად შეისწავლოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მათი შესაბამის აქტში ასახვისას, მიეთითოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წანამძღვრები, რომლებიც წარმოადგენს ამგვარი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს;

##### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა

პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის მიერ დადგენილ შემთხვევებში უფლებადარღვეულ პირთა უფლებების აღდგენა;

შესაბამის ორგანოებს:

- დასაქმებულთა ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოთი სათანადოდ უზრუნველყოფისათვის დაჩქარდეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №81 კონვენციის, №129 კონვენციის, №155 კონვენციისა და ევროპის სოციალური ქარტიის მე-3 მუხლის რატიფიცირება;

საქართველოს მთავრობას:

- გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები შრომის უსაფრთხო გარემოს მონიტორინგზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუციის (მაგალითად, როგორცაა შრომის ინსპექცია) შექმნის მიზნით, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებულებს უსაფრთხო სამუშაო გარემოთი და ხელს შეუწყობს ევროკავშირის სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობას.



## სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მუშაობა დაიწყო ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებაზე და წინამდებარე ანგარიში არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოში ამ უფლების რეალიზების საკითხების განხილვას ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშში ცალკე თავი აქვს დათმობილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველი 2014 წელს ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურებას გეგმავს.

ჯანსაღ და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს შორის, ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებას მიეკუთვნება, რომელთან დაკავშირებული უფლებებიც დეკლარირებულია როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებში,<sup>663</sup> ასევე საქართველოს კონსტიტუციაში,<sup>664</sup> საქართველოს კანონში „გარემოს დაცვის შესახებ“ თუ სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი განამტკიცებს თითოეული ადამიანის უფლებას, იცხოვროს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში. ამავე მუხლის მე-4 პუნქტით ასევე რეგლამენტირებულია სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა, ქვეყნის მდგრადი განვითარების საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით, ყოველ ადამიანს უფლება აქვს ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.<sup>665</sup>

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი სახელმწიფოებს ავალდებულებს გააუმჯობესონ ეკოლოგიური და სამრეწველო ჰიგიენის ყველა ასპექტი.<sup>666</sup>

დღეისათვის სადავო არაა, რომ გარემოს დაცვასა და ადამიანის უფლებების დაცვასა და განვითარებას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. ამასთან, გარემოსდაცვითი საკითხები თანამედროვე კაცობრიობის ერთ-ერთი პრობლემაა, რაც გარემოზე მავნე ადამიანური

<sup>663</sup> ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი.

<sup>664</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 37, პუნ. 3.

<sup>665</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხ. 25, პუნ. 1.

<sup>666</sup> ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხ. 12, პუნ. 2, ქპ. „ბ“.

ზემოქმედებით არის გამოწვეული. დეგრადირებული გარემო კი, ცხადია, უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. მოსახლეობის მზარდმა ტემპმა და ინდუსტრიის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ბუნების დაცვის აუცილებლობა არა მარტო ცალკეული საზოგადოების, არამედ მთელი კაცობრიობის გადასარჩენად.<sup>667</sup>

აუცილებელია, კაცობრიობამ გაიაზროს ადამიანის ჯანმრთელობისათვის ის რეალური საფრთხე, რაც გარემოს დაბინძურებას სდევს თან და ეტაპობრივად გადაწყვიტოს პრობლემური საკითხები. ამასთან, გლობალურად უნდა განმტკიცდეს ისეთი უფლებების დაცვის მექანიზმები, როგორცაა: ჯანსაღ გარემოში ცხოვრების, სათანადო კომპენსაციისა და გარემოს შესახებ სრული, დროული და ობიექტური ინფორმაციის მიღების უფლებები.<sup>668</sup>

გარემოს დაცვა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი სახელმწიფოებრივი ფუნქციაა. ეს გამომდინარეობს არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლიდან, არამედ კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ და „ს“ ქვეპუნქტებიდან. მხოლოდ საქართველოს უმაღლეს ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა, ხოლო „ს“ ქვეპუნქტის თანახმად, მიწის, წიაღისეულის და ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა.

სახელმწიფომ ბუნებათსარგებლობა იმგვარად უნდა უზრუნველყოს, რომ ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ქვეყნის მდგრადი განვითარების პარალელურად დაბალანსდეს ეკოლოგიური ინტერესები, რათა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო შენარჩუნდეს.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად უფრო მეტად აქტუალური ხდება პრობლემები გარემოს დაცვის მიმართულებით, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. აღნიშნულის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად უნდა დასახელდეს სახელმწიფოს ზედმეტი ლოიალობა ქვეყანაში არსებული საწარმოების მიმართ, რაც აიხსნება ქვეყნის ეკონომიკური ინტერესით, და რის გამოც ხშირად მეორე ხარისხოვანი ხდება მოსახლეობის ინტერესი, უზრუნველყოფილი იყვნენ უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებით.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მოიძია ინფორმაცია რამდენიმე მსხვილი საწარმოს საქმიანობის შესახებ, რომელთა მიმართ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო მავნე ზეგავლენის მოხდენის კუთხით ხშირად ისმება ლეგიტიმური კითხვები. აღნიშნული საწარმოები შესულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს №29 ბრძანებით

<sup>667</sup> ლევან იზორია, „თანამედროვე სახელმწიფო - თანამედროვე ადმინისტრაცია“ (გამომცემლობა შპს „სიესტა“, 2009 წელი), გვ. 60.

<sup>668</sup> მაია ბითაძე, „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე“ (სტატიათა კრებული, გამომცემელი გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), 2006 წელი), გვ. 8.

დამტკიცებულ 2010 წლისათვის აღრიცხული და იდენტიფიცირებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული ობიექტების ჩამონათვალში.

## სს „მადნეული“

დღეისათვის საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვან სპილენძის მომპოვებელ კომპანიას წარმოადგენს სს „მადნეული“. კომპანია 1996 წლიდან საქმიანობს ბოლნისის რაიონში. სპილენძის მადანი სამთო სამუშაოების მადაროზე ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით მოიპოვება. კარიერიდან ამოღებული მადანი შემდგომი გადამუშავებისთვის გამამდიდრებელ ქარხანაში გადაიზიდება, ხოლო ფუჭი ქანები – სპეციალურ სანაყაროებზე. მადანი იმსხვრევა, იფრქვევა და მისგან სპილენძი ფლოტაციის მეთოდის გამოყენებით ამოიღება. აღნიშნული საქმიანობა უარყოფით გავლენას ახდენს გარემოზე. კომპანია „მადნეული“ მოპოვებით საქმიანობას მდინარე კაზრეთულას მახლობლად აწარმოებს, რომელიც მდინარე მაშავერას მარჯვენა შენაკადია. მდინარე მაშავერას მარჯვენა შენაკადია ასევე მდინარე ფოლადაური. სამივე მდინარე, რომელიც სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყალსარგებლობის ობიექტს წარმოადგენს, დაბინძურებულია საწარმოს საქმიანობის შედეგად. 2006 წელს ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ სპილენძის, თუთიის, კადმიუმისა და სულფატის ჯამური შემცველობები ბევრად აღემატება ზედაპირული წყლებისთვის დადგენილ ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციებს.

იმ გარემოებამ, რომ სამივე მდინარეს სამეურნეო დანიშნულება აქვს და გამოიყენება ნიადაგის მოსარწყავად, გამოიწვია ის, რომ ნიადაგიც დაბინძურებულია მძიმე ლითონებით, რაც თავის მხრივ, ქმნის ამ ნიადაგზე მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაბინძურების საშიშროებას.

ჯერ კიდევ 2000 წელს დადგინდა ავადობის მაღალი მაჩვენებელი ბოლნისის რაიონში, კერძოდ, კი დაბა კაზრეთში, სადაც უშუალოდ მდებარეობს საწარმო. აღნიშნულ რეგიონში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის კვლევა ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა, ხოლო, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საერთოდ არ ჩატარებულა. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვით (გაცემულია გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ 2009 წელს, უვადოდ) დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს არ განუხორციელებია, შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნული პრობლემები დღესაც აქტუალურია.

## სს „კვარციტი“

ანალოგიური ვითარებაა სს „კვარციტის“ საქმიანობასთან დაკავშირებითაც, რომელიც სპილენძის მოპოვების პროცესში წარმოქმნილი ოქროსშემცველი მადნებიდან ოქროს ამოღებას აწარმოებს. ერთადერთი განსხვავება, რითაც „კვარციტის“ საქმიანობა კიდევ უფრო დიდ საფრთხეს უქმნის გარემოს, არის ის მეთოდი, რომლითაც ოქროს მოიპოვება. საწარმო ოქროს მოპოვების პროცესში აქტიურად იყენებს ციანიდს, რომელიც ტოქსიკურ ნივთიერებას წარმოადგენს.

## ტყიბულის ქვანახშირის საბადოები

ეკოლოგიური პრობლემების თვალსაზრისით ასევე აქტუალურია ტყიბულის რაიონი, სადაც რამდენიმე ქვანახშირის საბადოა. მათი მფლობელია შპს „საქნახშირი“. გარდა იმისა, რომ უსაფრთხო შრომის პირობების გამო საფრთხე ექმნება მადარობში მომუშავე ადამიანებს,<sup>669</sup> დასახლებულ ტერიტორიებთან ახლოს დაყრილი ქვანახშირის ნარჩენები პრობლემას უქმნის ადგილობრივ მოსახლეობასაც. დაყრილი ქვანახშირი ჰაერში გაიბნევა, ასევე იყრება ახლომდებარე მდინარეში. აღნიშნული გარემოებების გამო, ადგილობრივი მოსახლეობის განმარტებით, მკვეთრად არის მომატებული ონკოლოგიური დაავადებების მაჩვენებელი, თუმცა, რაიმე სახის კვლევა ან დასკვნა, რომელიც გადაჭრით დაადასტურებდა მიზეზობრივ კავშირს ამ გარემოებებს შორის, არ არსებობს.

## ზეესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა

გარემოს დაბინძურების თვალსაზრისით, სერიოზული პრობლემებია ზეესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ფუნქციონირებასთან დაკავშირებითაც. აღნიშნული საწარმოს მესაკუთრეა შპს „ჯორჯიან მანგანეზი“. დაუდასტურებელი ინფორმაციით, გაზგამწმენდი ფილტრების პერიოდული გამორთვის გამო, ჰაერში სისტემატურად იფრქვევა მავნე ნივთიერებები, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობა უჩივის გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების მკვეთრმატებას.

## შპს „ჯორჯიან მანგანეზი“

2013 წლის 5–15 ივლისს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გარემოს ინტეგრირებულმა კონტროლის სამსახურმა ჩაატარა შპს „ჯორჯიან მანგანეზი“-ზე გაცემული

<sup>669</sup> იხ. წინამდებარე ანგარიშის ქვეთავი შრომის უსაფრთხოების შესახებ.

სასარგებლო წიაღისეული მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ნორმათა შესრულების შერჩევითი (არაგეგმიური) შემოწმება (ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელი პერევი და რგანი). შემოწმების შედეგებით დადგინდა მთელი რიგი კანონდარღვევები, მათ შორის, გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 2 079 582.34 (ორი მილიონ სამოცდაცხრამეტიათას ხუთას ოთხმოცდაორი ლარი).<sup>670</sup> აღნიშნულ ნაწილში საქმე შესწავლისთვის გადაეცა საქართველოს მთავარ პროკურატურას<sup>671</sup>, ხოლო, ჭიათურის მაგისტრატი მოსამართლის 2013 წლის 16 ოქტომბრის დადგენილებით, შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ დაჯარიმდა 500 ლარით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57<sup>3</sup> მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის (წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის პირობების დარღვევით).

ზემოაღნიშნული ჩამონათვალი ცხადყოფს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს არაერთი საწარმო, რომელთა საქმიანობის შესაძლო მავნე გავლენა ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების მხრიდან მუდმივი შესწავლის საგანი უნდა იყოს.

### **გარემოს დაცვის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა**

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, „ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს დაცვის მდგომარეობის შესახებ.“

ორპუსის 1998 წლის 25 ივნისის კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანისათვის საკუთარი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფის მიზნით, იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და

<sup>670</sup> საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის 28 იანვრის წერილი და თანდართული მასალები.

<sup>671</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 13 მარტის წერილით, 2013 წლის 23 ოქტომბერს, საჩხერის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სს-ის №062231013801 საქმეზე, შპს „ჯორჯიან მანგანუმი“-ის მიერ წიაღისეულის გამოყენების წესის დარღვევის ფაქტზე, საქართველოს სს-ის კოდექსის 298-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით (წიაღისეულის გამოყენების ან დაცვის წესის დარღვევა).



მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლების გარანტიას.<sup>672</sup>

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია „დაიცვას გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის ძირითადი უფლებები - ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი“.<sup>673</sup>

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებისა და ადამიანის ჯანმრთელობის, ბუნებრივი გარემოს, ასევე კულტურულ და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელია გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.“

თუმცა, გარემოზე შეფასების ზემოქმედების სისტემა არაეფექტურია, როგორც საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და მონაწილეობის შესაძლებლობის, ასევე, შესაბამისი ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით და იგი არ შეესაბამება „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მოთხოვნებს. ამასთან, არსებობს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოზე ზეწოლის რისკი, რაც იძლევა კომპეტენტური ორგანოს<sup>674</sup> მხრიდან არაობიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

აღნიშნული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის კანონიერების, მათ შორის ხუდონჰესის მშენებლობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესწავლა.

### **ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის საქმე<sup>675</sup>**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის კანონიერების საკითხი, მათ შორის, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების ჭრილში.

<sup>672</sup> კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“, მუხ. 1;

<sup>673</sup> საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, მუხ. 3, პუნ. 1, ქვ. „ბ“.

<sup>674</sup> იგულისხმება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

<sup>675</sup> საქმე №2031/1.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ქვეყნისთვის, მათ შორის, საქართველოსთვისაც, ენერგეტიკის განვითარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა შესამჩნევია ენერგიაზე მოთხოვნილების ზრდა და ტრადიციული ენერგომატარებლების მარაგების შემცირების შეუქცევადი ტენდენცია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველო მდიდარია ჰიდრორესურსებით. აუცილებელია ამ რესურსის რაციონალური გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის და ეკონომიკის განვითარებასა და მდგრადობას. თუმცა, ამ პროცესში ზიანი არ უნდა მიადგეს ადამიანისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ უფლებას, რაც გულისხმობს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობას.<sup>676</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ხუდონჰესის მშენებლობის საკითხის შესწავლის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე პრობლემური საკითხი, რომელიც მომდინარეობს საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციებიდან. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მსგავსი მასშტაბის და შინაარსის პროექტების განხორციელებისას, არსებითი მნიშვნელობისაა გარემოზე ზემოქმედების შედეგების შესწავლა და ანალიზი, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და გარემო პირობებზე. განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის პირველადი შედეგებით, ამ პროცესის მიმართ რჩება ლეგიტიმური კითხვები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ჩართულობა სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დაგვიანებული იყო.

2007 წლის 29 ივნისს საქართველოს მთავრობასა და კომპანია Continental Energy LTD-ს<sup>677</sup> შორის მდინარე ენგურზე „ხუდონის“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ<sup>678</sup> გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი სქემით „მშენებლობა-ფლობა-ექსპლუატაცია“, რომლის მიხედვითაც, მდინარე ენგურზე უნდა აშენდეს 702 მვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური.

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, ჰიდროელექტროსადგურის (2 მვტ-ისა და მეტი სიმძლავრის) განთავსება ექვემდებარება ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას. ამასთან,

<sup>676</sup> გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ადმინისტრაციულ (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, თავი 7) და სისხლისსამართლებრივ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, კარი მეთე) პასუხისმგებლობას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის წესების წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებებისათვის;

<sup>677</sup> 2010 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, კომპანია Continental Energy LTD-ს და Trans Electrica Limited-ს (BVI) შორის დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმად, Continental Energy LTD-მა მისი უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები სრულად და უცვლელად გადასცა კომპანია Trans Electrica Limited-ს;

<sup>678</sup> ცვლილებები შევიდა 2009 წლის 23 დეკემბერს;

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აუცილებელია მშენებლობის ნებართვა.<sup>679</sup> მოქმედი კანონმდებლობა ნებართვის გამცემ ორგანოს<sup>680</sup> უფლებას აძლევს გადაწყვეტილება მიიღოს, როგორც ნებართვის გაცემაზე, ასევე ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე.

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული, არსებული<sup>681</sup> და ძველი წესის<sup>682</sup> შესაბამისად, ინვესტორი, გარემოზე ზემოქმედების შესახებ ნებართვის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნისა და მშენებლობის ნებართვის მისაღებად, მხოლოდ ამა თუ იმ ელექტროსადგურის აშენების თაობაზე სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის მემორანდუმის გაფორმების შემდეგ არის ვალდებული მოამზადოს გარემოზე ზემოქმედების შესახებ ანგარიში.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობასა და ინვესტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების<sup>683</sup> ჩანაწერიც, რომლის თანახმად, „მთავრობა“ დაეხმარება „პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ შესაბამისი ლიცენზიებისა და ნებართვების მოპოვებაში. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ განაცხადს გააკეთებს ნებართვაზე/ლიცენზიაზე საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, მაგრამ ნებართვა/ლიცენზია არ გაიცემა სახელმწიფო უწყებების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, საქართველოს მთავრობა ვალდებულია „პროექტის შემსრულებელ კომპანიას“/„კომპანიას“ მისცეს დამატებითი დრო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის 28 აპრილის ხელშეკრულება არ არეგულირებს შემთხვევას, როდესაც პროექტის შემსრულებელი კომპანია ვერ მიიღებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნებართვებს ხელშეკრულების მხარეთა მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულების მიუხედავად. პირიქით, მოცემულ შემთხვევაში, მთავრობა ვალდებულია, რომ მას მისცეს ვადა, რათა საჭირო ნებართვები ინვესტორმა აუცილებლად მიიღოს.

<sup>679</sup> „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №57 დადგენილება, მუხ. 79, პუნ. 2, ქპ. „ე“; „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ.25, პუნ.1;

<sup>680</sup> საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.

<sup>681</sup> საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №214 დადგენილება საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის შესახებ;

<sup>682</sup> საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის №107 დადგენილება – სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერჯია 2008“ - საქართველოში განახლებადი ენერჯიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის შესახებ, რომელიც მოქმედებდა ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის აშენების თაობაზე მემორანდუმის გაფორმების დროს;

<sup>683</sup> 2011 წლის 28 აპრილის ხელშეკრულება, მუხ. 4.12 (a), (d);

უნდა აღნიშნოს, დასახელებულ ხელშეკრულებაში 2013 წლის 28 მაისს შეტანილი ცვლილებებიც<sup>684</sup>, რომელთა თანახმად, გარემოზე ზემოქმედების ნებართვისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, მხარეები გადახედავენ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებს.<sup>685</sup> თუმცა, იმავე ხელშეკრულების მიხედვით, მთავრობას აღებული აქვს ვალდებულება, არ გაუკეთოს ინიცირება და არ დაამტკიცოს ისეთი პროექტები, რომელიც ინვესტორის აზრით, უარყოფით გავლენას იქონიებს ობიექტის ტექნიკურ პარამეტრებზე.<sup>686</sup>

ზემოთ ჩამოთვლილი საკანონმდებლო ნორმებისა და ხუდონჰესის თაობაზე მთავრობასა და ინვესტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დასახელებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული, ჰესის მშენებლობისათვის საჭირო ნებართვების მიღების პროცედურა, ამ შემთხვევაში ინვესტორისათვის მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და არ ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც შეიძლება ინვესტორს უარი ეთქვას ამა თუ იმ ნებართვის გაცემაზე.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჰესის მშენებლობისათვის საჭირო გადაწყვეტილების მიღების პროცედურა აზრს უკარგავს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, თავდაპირველად ფორმდება მემორანდუმი სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის ჰესის მშენებლობის შესახებ, რითაც მთავრობა იღებს ვალდებულებას კერძო კომპანიის წინაშე და მხოლოდ ამის შემდეგ მოწმდება კონკრეტული პროექტის ზეგავლენა ისეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესები და ადამიანის ჯანმრთელობა, ბუნებრივი გარემო, ასევე კულტურული და მატერიალური ფასეულობები. აღნიშნული პროცედურის ხარვეზი სახეზეა განსახილველ შემთხვევაშიც – მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების საფუძველზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული დადებითი ნებართვა, მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები (პრემიერ-მინისტრი, ენერგეტიკის მინისტრი) აკეთებენ საჯარო განცხადებებს<sup>687</sup> ხუდონჰესის აშენების გარდაუვალობის შესახებ. აღნიშნული კიდევ უფრო გაუგებარია იმ ფონზე, როცა 2014 წლის 1 მარტის მდგომარეობითაც, ხუდონჰესის მშენებლობის ნებართვის მისაღებად სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის

<sup>684</sup> 2013 წლის 28 მაისის ხელშეკრულება, პუნ.1.5;

<sup>685</sup> 2011 წლის 28 აპრილის ხელშეკრულება, მუხ. 3.4.

<sup>686</sup> 2011 წლის 28 აპრილის ხელშეკრულება, მუხ. 8.1;

<sup>687</sup> იხ. <http://www.youtube.com/watch?v=JUGFHHu6MZs> ; <http://www.youtube.com/watch?v=xg-ciahC2Ak> ; <http://www.youtube.com/watch?v=o4TtZae3Ing> ; <http://www.youtube.com/watch?v=1fWvvP3ff-o> ;[ბოლოს ნანახია 4.03.2014];

სააგენტოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მოთხოვნით განცხადებაც კი არ არის შეტანილი.<sup>688</sup>

მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირთა მხრიდან მსგავსი განცხადებების გაკეთება შეიძლება შეფასდეს, როგორც ზეწოლა გადაწყვეტილების მიმღებ ადმინისტრაციულ ორგანოზე.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად,<sup>689</sup> ცალსახაა, რომ ნებართვის<sup>690</sup> გაცემაზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს იმ ადმინისტრაციულმა ორგანომ, რომლის კომპეტენციაშიც შედის ამა თუ იმ ნებართვის გაცემა. შესაბამისად, ნებართვის გამცემმა ორგანომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელების (საჭიროების და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში) ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის (წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახით) კომპეტენციაში არ შედის ინვესტორისათვის ნებართვის მისაღებად საჭირო კანონით დადგენილი ვადის გაგრძელება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სწორი იქნება თუ დავასკვნით, რომ ცნება „საზოგადოების მონაწილეობა“, ცდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ვიწრო კონტექსტს და ფართო გაგებით იგი მოიცავს სახელმწიფოთა ზოგად საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებას. გარდა ამისა, გონივრული იქნება თუ მივიჩნევთ, რომ გარემოს საკითხებში საზოგადოების მონაწილეობის მოთხოვნა აღიარებულ ადამიანის უფლებას შეესაბამება.<sup>691</sup>

### სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვის საკითხი

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „გარემო“ მოიცავს „ბუნებრივ გარემოსა“ და „ადამიანის მიერ სახეცვლილ (კულტურულ) გარემოს“ ერთობლიობას.<sup>692</sup> „ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემო“ კი არის გარემოს შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ გარემოს, სახეცვლილ და შერეული ტიპის ეკოსისტემებს, ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს და მათ მიერ ჩამოყალიბებულ ანთროპოგენულ ლანდშაფტებს.<sup>693</sup>

<sup>688</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის 2013 წლის 15 ნოემბრის №11/7398 წერილი.

<sup>689</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ.5, ნაწ. 1; მუხ.12, ნაწ. 2.

<sup>690</sup> გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება, მშენებლობის ნებართვა;

<sup>691</sup> გიუნტერ ჰანდლი, „ადამიანის უფლებები და გარემოს დაცვა“ (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების სახელმძღვანელო, მეორე განახლებული გამოცემა), გვ. 376.

<sup>692</sup> „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 4, ქპ. „ა“.

<sup>693</sup> „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 4, ქპ. „გ“.



საქართველოში, განსაკუთრებით კი დედაქალაქში, წარმოებული მრავალრიცხოვანი სამშენებლო პროექტების ფონზე, მნიშვნელოვანია სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები უზრუნველყოფდნენ ადამიანის სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საანგარიშო პერიოდში შესწავლილი შემთხვევების შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს კანონმდებლობა სამშენებლო ნორმებისა და წესების არსებობის კუთხით, არ არის სრულყოფილი. გარდა ამისა, სახელმწიფოს შესაბამის უწყებებს ცალკეულ შემთხვევებში, არ გამოუყენებიათ არსებული საკანონმდებლო რეგულაციები.

„საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ“ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 2001 წლის 5 თებერვლის №3/26 ბრძანება ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 22 ნოემბრის №1-1/1839 ბრძანებით.

თუმცა, 2011 წლის 18 თებერვალს, ამავე სამინისტრომ მიიღო №1-1/251 ბრძანება, რომლითაც საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესებისა და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენებამ სავალდებულო ხასიათი შეიძინა. აღნიშნული ბრძანების დანართში მითითებულია საბჭოთა პერიოდში, რუსულ ენაზე შედგენილი, მთელი რიგი სამშენებლო ნორმებისა და წესების ჩამონათვალი, რომლის ალტერნატიული, სისტემატიზებული, ქართულ ენაზე შესრულებული ანალოგი, ამჟამად ქართულ კანონმდებლობაში არ არსებობს. ამასთან, აღნიშნული სამშენებლო ნორმების უმრავლესობა წინააღმდეგობაში მოდის ამ სფეროში მიღებულ შედარებით ახალ ნორმებთან. ამასთან, არაერთგვაროვანია სახელმწიფო უწყებების მიდგომა, თუ რომელი წესით დადგენილი ნორმები უნდა იყოს გამოყენებული ამა თუ იმ შემთხვევაში<sup>694</sup>. მსგავსი არაერთგვაროვნება შედეგად იწვევს იმას, რომ სამშენებლო ნორმების დარღვევით აშენებულ ნაგებობებში მუშაობა თუ ცხოვრება სახიფათოა თითოეული ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

აუცილებელია საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო დარგში დაპროექტების, მშენებლობის ნორმებისა და წესების, ექსპლუატაციის და ზედამხედველობის, ტექნიკური რეგულირების ერთიანი და სისტემატიზებული ნორმატიული აქტის მიღება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი სახელმწიფო უწყებები მკაცრად იცავდნენ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო დარღვევის შემთხვევაში დგებოდეს დამრღვევთა პასუხისმგებლობის საკითხი.

<sup>694</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის 20 იანვრის რეკომენდაცია თბილისის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

რეკომენდაციები:

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს:

- კანონით დადგენილი წესით პერიოდულად შემოწმდეს ის საწარმოები, რომელთა საქმიანობამაც შესაძლოა საფრთხე მოუტანოს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას;

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს:

- ელექტროსადგურების მშენებლობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე უზრუნველყოფილი იქნეს საერთაშორისო ნორმებით ნაკისრი ვალდებულებების - გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის - შესრულება და ამ უფლების უზრუნველსაყოფად მოქმედ კანონმდებლობაში გაიწეროს დეტალური პროცედურები;

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს:

- ელექტროსადგურების მშენებლობისათვის საჭირო ნებართვების გაცემისას უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების წესის დაცვა;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს:

- შემუშავდეს და დამტკიცდეს საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი სამშენებლო ნორმები და წესები, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზებასთან;

თბილისის არქიტექტურის სამსახურს:

- მშენებლობის ნებართვის გაცემის დროს იხელმძღვანელონ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანებით, საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესებისა და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ.

## ჯანმრთელობის დაცვის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით აღიარებული და დაცულია ჯანმრთელობის დაცვის უფლება, რაც უპირველესად გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, აქტიურ ღონისძიებათა გატარებით უზრუნველყოს ამ უფლების განხორციელება. აღნიშნული მუხლი ერთ-ერთი ყველაზე ფართო მოცულობის და შინაარსისაა. ამ უფლების რეალური განხორციელება სახელმწიფოს აქტიურობაზე, კერძოდ, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებაზეა დამოკიდებული.

ქვეყნისთვის ჯანდაცვის პრიორიტეტულობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი ჯანდაცვაზე ქვეყნის მთლიანი დანახარჯია. „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ გარანტიებზე ზრუნვა, რისი დასტურია ამავე კანონის მე-15 მუხლით განსაზღვრული ჯანდაცვის ბიუჯეტი, რომელსაც შენარჩუნებული აქვს მზარდი ტენდენცია და შეადგენს 2 658 000 ლარს, რაც 2013 წლის ბიუჯეტთან შედარებით 313 000 ლარით მეტია, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად ჯანდაცვის ბიუჯეტის ზრდისა, მისი წილი მშპ-სთან (2011წ. – 1.7%) და სახელმწიფო ბიუჯეტთან (2010 წ. – 4.8%) მიმართებაში საკმაოდ დაბალია და უტოლდება ევროპის უღარიბეს ქვეყნების მაჩვენებლებს.<sup>695</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მომავალ წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ჯანმრთელობის დაცვის უფლებით ეფექტურად სარგებლობის მონიტორინგი იქნება. სხვა საქმიანობასთან ერთად, 2014 წელს, საერთაშორისო ორგანიზაციის, „ოქსფამი“, საქართველოს წარმომადგენლობის მხარდაჭერით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ იგეგმება ჯანმრთელობის დაცვის უფლებით სარგებლობის მონიტორინგის განხორციელება. მონიტორინგის მიზანია უპირატესად, საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესაძლო პრობლემატური მიმართულებების იდენტიფიცირება, რომელთა აღმოფხვრაც, მომავალში ხელს შეუწყობს ჯანდაცვის ორგანიზაციული დონის ამაღლებას, სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობისა და პაციენტთა უფლებების დაცვის გაუმჯობესებას.

წინამდებარე ანგარიშში, ისევე როგორც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გასული წლების საანგარიშო მოხსენებებში, გაანალიზებულია 2013 წლის განმავლობაში

<sup>695</sup> მოკლე სტატისტიკური მიმოხილვა, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2013 წელი.

ჯანდაცვის უფლების დაცვის კუთხით არსებული პრობლემები და ის, თუ რამდენად ასრულებს სახელმწიფო ნაკისრ ვალდებულებებს, ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან მიმართებაში.

### **საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვისა და სახელმწიფო დაზღვევის პროგრამები**

ჯანმრთელობის დაზღვევა კონსტიტუციით არის გარანტირებული, როგორც ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის საშუალება. დღეის მდგომარეობით მოქმედებს სახელმწიფო დაზღვევის ორი სახელმწიფო პროგრამა: „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით განსაზღვრული პროგრამა და „ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 0-დან 5 წლის ჩათვლით ასაკის ბავშვების, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალების და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტების, შშმ ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შშმ პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 6 მაისის №165 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამა.

2013 წლის საანგარიშო პერიოდში შეიცვალა საქართველოს მთავრობის მიდგომა ჯანდაცვის სისტემის მიმართ და არსებული სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების პარალელურად ამოქმედდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით განსაზღვრული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“, რომლის მოსარგებლები არიან ჯანმრთელობის კერძო თუ სახელმწიფო დაზღვევის არმქონე საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები; ასევე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები.

2013 წლის 28 თებერვლიდან 1 ივლისამდე მოქმედებდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის პირველი ეტაპი, რომელიც გულისხმობდა პირველადი ჯანდაცვის რგოლის ოჯახის/უბნის ექიმის მომსახურებას და გადაუდებელი შემთხვევების მართვას როგორც ამბულატორიულ, ასევე სტაციონარულ დონეზე. ფინანსდებოდა გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევების 450-ზე მეტი ნოზოლოგია. თუკი პირველ ეტაპზე ჯანდაცვის სამინისტრო მოქალაქეებს სამედიცინო მომსახურების 3 ბლოკს სთავაზობდა, მეორე ეტაპზე პროგრამა სამედიცინო სერვისების 6 ძირითად ბლოკს მოიცავს, კერძოდ: 1. პირველადი ჯანდაცვის გაფართოებულ მომსახურებას; 2. გადაუდებელ ამბულატორიულ დახმარებას; 3. გაფართოებულ გადაუდებელ სტაციონარულ მომსახურებას. ამასთანავე, მნიშვნელოვნად გაფართოვდა პირველადი ჯანდაცვისა და გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების მოცულობა. მაგალითად, ოჯახის/უბნის ექიმის ვიზიტებს დაემატა 7 ექიმ-სპეციალისტის

კონსულტაციები და გაიზარდა ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩამონათვალი.<sup>696</sup>

არსებული სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ხარვეზებზე, მედიკამენტების ხარჯების დაფარვის კუთხით, საქართველოს სახალხო დამცველის წინა ანგარიშებშიც იყო საუბარი. ამ მხრივ არსებითი გაუმჯობესება არც „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში შეინიშნება. უცვლელი დარჩა სამკურნალო საშუალებათა ნუსხის მიხედვით სამკურნალო საშუალებების ხარჯების ანაზღაურება წლიური ლიმიტის – 50 ლარის ფარგლებში, 50 პროცენტის თანაგადახდით.<sup>697</sup>

აღნიშნული დახმარება, მედიკამენტებზე ფასების ზრდის გათვალისწინებით, მინიმალურ სტანდარტზე დაბალია. საკმარისი ფულადი სახსრების არმქონე პირებსა და ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებს, რომელთაც წამლის მიღება ყოველდღიურად უწევთ, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებლობა მიეცათ, მიმართონ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებს და ზოგადად ჯანდაცვის დაწესებულებებს, საჭირო მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის არქონის გამო მაინც არ ექნებათ პოზიტიური ჯანდაცვის გამოსავალი. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია გაიზარდოს ასანაზღაურებელი მედიკამენტების სია და ანაზღაურების ლიმიტი. მედიკამენტების ნუსხა თავიდან შესაძლოა, მხოლოდ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისათვის აუცილებელ სამკურნალო საშუალებებს მოიცავდეს.

ფარმაცევტულ ბაზარზე მედიკამენტების მაღალ ფასებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის წინა ანგარიშშიც იყო აღნიშნული. მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება ამ მიმართულებით არც საანგარიშო წლის განმავლობაში შეინიშნება. მაღალი ფასების გამო მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფო პროგრამების განხორციელების დროს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე და პროგრამით მოსარგებლებზე. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეებს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ნაკლები დანახარჯებით შეუძლიათ მიიღონ პირველადი ჯანდაცვის მომსახურება, ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსახლეობას არ აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი ექიმის მიერ დანიშნული სამკურნალო საშუალებების შესაძენად. აღნიშნული მიზეზიდან გამომდინარე პაციენტების არცთუ მცირე ნაწილი თავს არიდებს ამბულატორიულ მკურნალობას, რასაც ხშირ შემთხვევაში, მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება და სტაციონარში გადაყვანის აუცილებლობა მოჰყვება. მითითებულ მოსაზრებას ამყარებს საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში გაწეული სტაციონარული მომსახურების

<sup>696</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ანგარიში, 2013 წელი, გვ.7.

<sup>697</sup> საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილება „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“;



გაწევის მაღალი მაჩვენებელი.<sup>698</sup> აღნიშნული შემთხვევები სახელმწიფოს გაცილებით მეტ ფინანსურ რესურსს მოითხოვს, ვინაიდან აუცილებელი ხდება როგორც ამბულატორიული, ისე გადაუდებელი დახმარებისა და ქირურგიული ჩარევის ხარჯების ანაზღაურება, ეს კი თავის მხრივ პაციენტთა ფინანსური დანახარჯების გამომწვევი მიზეზიც ხდება.

სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების სრულყოფილად განხორციელების თვალსაზრისით, გარდა ფინანსური ასპექტისა, აუცილებელია სამედიცინო მომსახურების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აღნიშნული კუთხით პრობლემები ექმნება მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას, რომელთაც ეზღუდებათ ადგილზე სრულყოფილი სამედიცინო მომსახურების მიღება. დაბალი დატვირთვისა და მაღალკვალიფიციური კადრების შენარჩუნების სირთულის გამო, სამედიცინო დაწესებულებების მმართველი კომპანიები ვერ ახერხებენ მოსახლეობის უზრუნველყოფას სრულყოფილი სამედიცინო მომსახურებით, რაც დამატებით სირთულეებს უქმნის მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირებს, რომლებიც იძულებულნი არიან ახლომდებარე რაიონებში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებს მიმართონ. იმ კომპანიებს, რომელთაც ჰოსპიტალური სექტორის პრივატიზაციის შედეგად გადაეცათ სამედიცინო დაწესებულებები, სახელმწიფო წინაშე არ აქვთ ნაკისრი ვალდებულება კონკრეტული სამედიცინო სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით. ისინი ზოგადად არიან ვალდებულები გარკვეული დროის განმავლობაში შეუნარჩუნონ სამედიცინო დაწესებულებას არსებული პროფილი, რაც მეტ-ნაკლებად სრულდება. არსებული რეალობის გათვალისწინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არ არის უფლებამოსილი პირდაპირ ჩაერიოს კომპანიის მენეჯმენტში, რაც წარმოშობს აუცილებელ საჭიროებას, შემუშავდეს გარკვეული სტრატეგია, რომლის მიზანიც იქნება მსგავსი პრობლემების მოგვარება.<sup>699</sup>

2014 წელს იგეგმება სახელმწიფო დაზღვევის მქონე პირების საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში გაერთიანება (სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ გაკოტრების გამო, მასში დაზღვეული პირები უკვე ინტეგრირდნენ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებულ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“), რაც გულისხმობს, რომ სადაზღვევო კომპანიებს სახელმწიფო პროგრამებში სამოქმედო სივრცე აღარ დარჩებათ.

ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში, მცირედი უარყოფითი ცვლილება შეეხებათ იმ პირებს, რომლებიც „ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 0-

<sup>698</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ანგარიში, 2013 წელი, გვ.9.

<sup>699</sup> სამედიცინო მომსახურების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2013 წლის საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა საქმე №887/1 და ასევე მოქალაქე კ.გ.-ის საქმე №1129/1.

დან 5 წლის ჩათვლით ასაკის ბავშვების, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალების და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტების, შშმ ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შშმ პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 6 მაისის №165 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მოსარგებლებს წარმოადგენენ, ხოლო მნიშვნელოვნად ნეგატიურად შეიცვლება იმ პირების ფაქტობრივი მდგომარეობა, რომლებიც სარგებლობენ „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით განსაზღვრული პროგრამით.

ახალ სისტემაზე გადასვლის შემთხვევაში, აუცილებელია, სულ მცირე, იმ მოსარგებლებს მაინც შეუნარჩუნდეთ სამედიცინო მომსახურების პირობები, უზრუნველყოფა, რომლებიც სახელმწიფო დაზღვევის პროგრამების ფარგლებში არიან დაზღვეულები. დღეის მდგომარეობით განსხვავება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირებსა და სახელმწიფო დაზღვევის ზემოაღნიშნული ორი პროგრამით მოსარგებლეთა შორის სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების შესაბამის პროცენტულ თანაგადახდაში მდგომარეობს. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით განსაზღვრული პროგრამით მოსარგებლებს, სამედიცინო მომსახურების უმეტესი ნაწილი უფინანსდებათ სრულად, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 6 მაისის №165 დადგენილებით განსაზღვრული პროგრამის მოსარგებლებს - 20%-იანი, ხოლო „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ მოსარგებლებს კი 30%-იანი თანაგადახდით.

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია ამ პროგრამის ბენეფიციართა საჩივრებისა და პრეტენზიების განხილვის დამოუკიდებელი და ეფექტური მექანიზმის არსებობა, რაც დღეს არ არსებობს. მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების გათვალისწინებით, დავის გადაწყვეტის ერთადერთ საშუალებად რჩება საერთო სასამართლოებისათვის მიმართვა, რაც სახელმწიფო ბაჟისა და საქმისწარმოების ვადების გათვალისწინებით, უმეტეს შემთხვევაში, არაეფექტურია. სსიპ „სამედიცინო მედიაციის სამსახური“, რომლის ძირითად ფუნქციასაც სახელმწიფო დაზღვევის პროგრამების ფარგლებში წარმოშობილი დავების განხილვა და მედიატორის ფუნქციის შესრულება წარმოადგენს, არსებული კომპეტენციის გათვალისწინებით, არ არის უფლებამოსილი განიხილოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში წარმოშობილი სადავო საკითხები.<sup>700</sup> სახელმწიფო დაზღვევის პროგრამით მოსარგებლე პირების „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო

<sup>700</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 4 აპრილის №18 ბრძანება.

პროგრამაში“ გაერთიანების შემთხვევაში სსიპ „სამედიცინო მედიაციის სამსახური“ დაკარგავს კანონმდებლობით მასზე დაკისრებულ ფუნქციებს.

მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი უწყება, რომელიც „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში განიხილავს დაინტერესებული პირების საჩივრებს. აღნიშნული ფუნქციის შესრულება, სათანადო საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, შესაძლებელია დაეკისროს სსიპ „სამედიცინო მედიაციის სამსახურსაც“, თუმცა ამ შემთხვევაში აუცილებელია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ადმინისტრირების ორგანოს – სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსა“ და სსიპ „სამედიცინო მედიაციის სამსახურის“ ანგარიშვალდებულება და ინსტიტუციური დამოუკიდებლობა მკაცრად იყოს გამიჯნული, იმდენად რამდენადაც ორივე მათგანი წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. არსებითია, რომ ამ უწყებების დამოუკიდებლობა შენარჩუნებული იყოს როგორც ფორმალური/გარეგნული, ისე შინაარსობრივი კუთხით.

### **ჯანდაცვის მომსახურების ხარისხი**

ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამოსამსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება დაცულია „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით.<sup>701</sup> სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფაში, სამედიცინო პერსონალთან ერთად, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლიც, კერძოდ, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი გარემოს (როგორც საკანონმდებლო, ისე ორგანიზაციული) შექმნა, რომელშიც სამედიცინო პერსონალი მოტივირებული იქნება და ამავე დროს, მიეცემა შესაძლებლობა სრულად იტვირთოს პასუხისმგებლობა სამედიცინო მომსახურების ხარისხზე.

სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და კლინიკური შედეგების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი მექანიზმია კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინების შემუშავება და დანერგვა. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების ვალდებულება სახელმწიფოს აკისრია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.<sup>702</sup>

სამედიცინო მომსახურების პროცესში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროტოკოლებისა და გაიდლაინების, როგორც ხარისხის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის გამოყენების აუცილებლობის შესახებ რეკომენდაცია 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც იქნა ასახული. წინა წლების მსგავსად, დღეისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე 124 პროტოკოლი და გაიდლაინია (სახელმძღვანელო პრინციპები) გამოქვეყნებული, რაც საერთაშორისო სტანდარტთან

<sup>701</sup> პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 5.

<sup>702</sup> ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 16, პირველი ნაწილი. „გ“ ქვეპუნქტი.

შედარებით ძალიან მცირეა. ქვეყანაში ფრაგმენტულად მიმდინარეობს გაიდლაინებისა და პროტოკოლების შემუშავების პროცესი და რაც მთავარია, არ არსებობს მათი დანერგვის ხელშეწყობისა და მუდმივი განახლების სისტემა. საბოლოო ჯამში, ქვეყანაში არ არსებობს საერთო პრაქტიკა და არ არის უზრუნველყოფილი ხარისხის მინიმალური დონეც კი.<sup>703</sup>

სამედიცინო მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად არსებითი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების მიერ უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, რომლის მიზანია თანამედროვე მედიცინის მიღწევებთან და ტექნოლოგიებთან დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესაბამისობის უზრუნველყოფა. არსებული საკანონმდებლო გარანტიების მიუხედავად, , ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მეტი ჩართულობა.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მიმდინარე საანგარიშო წელს ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის შემთხვევების გაცილებით მეტი რაოდენობა გამოვლინდა, ვიდრე 2012 წელს. სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ 269 ექიმის მიმართ იქნა გამოყენებული პროფესიული პასუხისმგებლობის სხვადასხვა სახე,<sup>704</sup> რაც 130 ერთეულით აღემატება წინა წლის აღნიშნულ მაჩვენებელს.

### **ჯანდაცვის რამდენიმე ინდიკატორი**

ჯანმრთელობის სისტემის ეფექტურობის შეფასების ერთ-ერთ საყოველთაოდ აღიარებულ მაჩვენებლად ახალშობილთა და ბავშვთა სიკვდილიანობა ითვლება. ახალშობილთა სიკვდილიანობაზე მოქმედებენ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მოსახლეობის ცხოვრების წესი, საკვების ვარგისიანობა, ორსულთა პატრონაჟის სისტემა, მეან-გინეკოლოგების კვალიფიკაცია, პერინატალური სამსახურის გამართულობა, რეანიმატოლოგთა კვალიფიკაცია და ბევრი სხვა. ამიტომაც არის ეს მაჩვენებელი „კრებითი“ და სამედიცინო მომსახურების ხარისხზე მიუთითებს.

ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, საქართველოში 1990 წლიდან 2011 წლამდე ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 44.3-ით, ხოლო შეფასებითი გათვლებით – 56%-ით შემცირდა. 2012 წელს 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელმა, 2011 წელთან შედარებით, 4.3%-ით მოიმატა. 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, ევროპის, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში კვლავ მაღალია.<sup>705</sup>

<sup>703</sup> ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასების ანგარიში, გვ.69, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2013 წ.

<sup>704</sup> სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2014 წლის 28 თებერვლის წერილი №02/16917.

<sup>705</sup> მოკლე სტატისტიკური მიმოხილვა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2013 წელი, <http://www.ncdc.ge/index.php?do=fullmod&mid=681>



რაც შეეხება დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელს, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2011 წელთან შედარებით ოდნავ გაუმჯობესდა და შეადგენს 22.9, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია ევროპის ქვეყნების მაჩვენებელთან შედარებით. აღნიშნული ინდიკატორების თვალსაზრისით, 2000 წლიდან მნიშვნელოვანი პროგრესი აღინიშნება, თუმცა მაჩვენებლები ჯერ კიდევ აღემატება ათასწლეულის განვითარების მიზნით 2015 წლისათვის დასახულ მიზნობრივ მაჩვენებლებს.<sup>706</sup> შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა გაააქტიუროს ამ მიმართულებით მუშაობა.

## C ჰეპატიტი

2013 საანგარიშო წლის დასაწყისში C ჰეპატიტის მკურნალობასთან დაკავშირებული პრობლემები სახალხო დამცველის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა. აღნიშნულ პერიოდში შემუშავდა რეკომენდაცია<sup>707</sup>, რომელიც C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ხელმისაწვდომობას შეეხებოდა.

მისასაღმებელია ის ცვლილებები, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან 2013 წლის ბოლოს C ჰეპატიტის სამკურნალო ღონისძიებების უზრუნველსაყოფად განხორციელდა.

დღეისათვის, ჯანდაცვის სამინისტროში დასრულებულია C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების შესყიდვის პროცედურები სასჯელაღსრულების სისტემაში მედიკამენტების მისაწოდებლად და ასევე, ხელმოწერილია შეთანხმება სამოქალაქო სექტორის ბენეფიციარებისათვის 2 წლის განმავლობაში მედიკამენტების შეღავათიანი ფასით მიწოდების თაობაზე. აღნიშნულის შედეგად, 2014-2015 წლებში სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილი იქნება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი 1,000 პაციენტისათვის C-ჰეპატიტის დიაგნოსტიკა და მკურნალობა (ანტივირუსული მედიკამენტების ჩათვლით) და სამოქალაქო სექტორში 10,000 ბენეფიციარს შეეძლება C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების შეძენა შეღავათიანი ფასად. ჯანდაცვის სამინისტრო 1,000 პატიმრისათვის პეგილირებულ ინტერფერონს (პეგფერონის 180 მკგ/1 მლ ფლაკონს) 158.67 ლარად შეიძენს, რაც დღეს საქართველოს ბაზარზე პეგილირებული ინტერფერონის ფასზე 60%-ით ნაკლებია.

ანალოგიური შეღავათიანი ფასი გავრცელდება საჯარო სექტორში 10,000 პაციენტზე, რომელთაც მიეცემათ საშუალება შეიძინონ პეგფერონის 180 მკგ/1 მლ ფლაკონი ფიქსირებულ ფასად - ეროვნულ ვალუტაში არაუმეტეს 92,88 აშშ დოლარის ექვივალენტი ღირებულებით

<sup>706</sup> ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასების ანგარიში, გვ.126, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2013 წ.

<sup>707</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 19 ივნისის რეკომენდაცია №3366/04-13/1588-13.



(გადახდის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად).

C ჰეპატიტი აქტუალურია საზოგადოებრივი ჯანდაცვის თვალსაზრისით, საზოგადოებრივი ჯანდაცვა კი მოიაზრებს გარკვეული ვალდებულების შესრულებას სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის დასაცავად, რათა ისინი იყვნენ დაცული გადაამდები და არაგადაამდები დაავადებებისაგან. ნოზოლოგიის გავრცელების სპეციფიკიდან გამომდინარე და მესამე პირთა დაინფიცირების საფრთხის მაღალი რისკის გამო, აუცილებელია მომავალში C ჰეპატიტის მკურნალობა ხელმისაწვდომი იყოს აღნიშნული პრობლემის მქონე ყველა პირისთვის და შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი მკურნალობისათვის აუცილებელი მედიკამენტების დაბალ ფასად შეძენა.

#### რეკომენდაციები:

- სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული ჯანდაცვის არსებული პროგრამები გაუმჯობესდეს მედიკამენტების დაფარვისა და დაფინანსების თვალსაზრისით;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გატარდეს შესაბამისი ზომები, რათა მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი ჯანდაცვის უფლებაზე ფიზიკური/გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა;
- სახელმწიფო დაზღვევის პროგრამების ბენეფიციარებს დაზღვევის არსებული პირობები „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ამოქმედების შემთხვევაშიც შეუნარჩუნდეთ;
- განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში, რომელიც უზრუნველყოფს „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ მოსარგებლე პირების პრეტენზიებისა და საჩივრების განხილვას მაქსიმალურად მოკლე ვადაში, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი უწყების მიერ.

## ბავშვის უფლებები

2013 წელს საქართველოში ბავშვის უფლებების დაცვის, ბავშვზე ზრუნვის ხარისხის გაუმჯობესებისა და სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2014 წელი ბავშვთა უფლებების დაცვის წლად გამოაცხადა<sup>708</sup>. პარლამენტმა მიიღო „2014 წლის ბავშვთა უფლებების დაცვის წლად გამოცხადების შესახებ“ კონცეფცია და დამტკიცა სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია კონკრეტული კანონების შემუშავება და პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენა, რათა ბავშვთა უფლებები სრულად იყოს გათვალისწინებული და დაცული.

იგეგმება ისეთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივების განხორციელება, როგორცაა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ფიზიკური დასჯის აკრძალვა, სკოლამდელი განათლების კანონი და ცვლილებები კანონში „იოდის, სხვა მიკროელემენტებისა და ვიტამინების დეფიციტით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ“, ასევე კანონში „სოციალური დახმარების შესახებ“.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2013 წელს მხარი დაუჭირა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მესამე დამატებითი ოქმის, „შეტყობინების პროცედურის შესახებ“, ხელმოწერისა და რატიფიკაციის პროცესის დაწყებას.

როგორც ცნობილია, 2013 წელს დაიწყო და მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს მთავრობის 2014-2016 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე. მასში სხვა საკითხების პარალელურად, გათვალისწინებულია ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების პაკეტი, რომლის საფუძველზე უნდა მოხდეს ბავშვის ქვემარტი ინტერესის პრინციპის ინტეგრირება სახელმწიფო პროგრამებში, პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში, სამართლებრივ თუ ადმინისტრაციულ პროცედურებსა და სამოქმედო გეგმებში.

2013 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გაეროს ბავშვთა ფონდთან პარტნიორობით დაიწყო პროექტის, „ვიზრუნოთ ყველაზე დაუცველ ბავშვებზე საქართველოში“, განხორციელება, რომლის ფარგლებში დაგეგმილია

<sup>708</sup>[http://www.parliament.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=5333%63A-q2014-q-&catid=2%3Anews&Itemid=433&lang=ge](http://www.parliament.ge/index.php?option=com_content&view=article&id=5333%63A-q2014-q-&catid=2%3Anews&Itemid=433&lang=ge)

ქმედითი სახელმწიფო მექანიზმის შექმნა ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების დასახმარებლად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფუნქციებს დაემატა ფსიქო-სოციალური მომსახურება ფსიქოლოგიური პრობლემებისა და ქცევითი დარღვევების მქონე პირების, მათი ოჯახის წევრებისა და მასწავლებლებისათვის, აგრეთვე, ბავშვებთან/მოზარდებთან დაკავშირებული ფსიქო-სოციალური ხასიათის სხვადასხვა სახის კვლევების განხორციელება.<sup>709</sup>

დადებითი ტენდენციების მიუხედავად, ქვეყანაში ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები.

ერთ-ერთ ასეთ გამოწვევას წარმოადგენს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც საკანონმდებლო ხარვეზების თანმიმდევრულ აღმოფხვრას გულისხმობს.

ბავშვის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ზოგადი კანონის შემუშავების საჭიროებაზე გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტმა, თავის დასკვნით შენიშვნებში, ჯერ კიდევ საქართველოს მეორე საანგარიშო მოხსენებასთან დაკავშირებით გაამახვილა ყურადღება.<sup>710</sup>

საქართველოს მიერ ქვეყანაში ბავშვის უფლებათა კონვენციის იმპლემენტაციის მდგომარეობის შესახებ, გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტისთვის წარსადგენი, რიგით მეოთხე მოხსენების წარდგენის ვალდებულება, რომლის საკომიტეტო განხილვა 2013 წელს უნდა შემდგარიყო, ამ დრომდე არ არის შესრულებული.

ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ბავშვის უფლებების დაცვისა და განხორციელების საკოორდინაციო მექანიზმი, რომელიც გააძლიერებს ბავშვთა საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა სექტორის შეთანხმებულ საქმიანობას.

მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის პროგრამებში არსებული, ასევე მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები აფერხებს დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის მდგრადობას.

მეტ მხარდაჭერას საჭიროებს რეინტეგრაციის პროცესში ჩართული ბიოლოგიური მშობელი, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან არ იღებს საკმარის ფინანსურ დახმარებას.

<sup>709</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №74/ნ, „სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის დებულების დამტკიცების შესახებ“, მ.2, პ.2 – ის პ) და ჟ) ქვეპუნქტები.

<sup>710</sup> UN Committee on the Rights of the Child. Concluding Observations: Georgia, CRC/C/15/Add.222. 27.10. 2003.

დინსტიტუციონალიზაციის პროცესის განხორციელების დროს, იკვეთება ტენდენცია, რომლის მიხედვით, მიმღები ოჯახის მოტივაცია, მზრუნველობა გაუწიოს ბავშვს, ყოველთვის არ ასახავს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს.

შემდგომ გაძლიერებას მოითხოვს სოციალური სამსახური, მათ შორის, სოციალური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი მოტივაციის გაზრდის თვალსაზრისით.

ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება მაღალმთიან რეგიონს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა სახალხო დამცველის მიერ ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში გასულ წლებში იდენტიფიცირებული პრობლემების განმეორებას, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ დღის წესრიგში დგას აღნიშნულ სფეროში სისტემური მიდგომის საჭიროება და არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაზე მაღალი პასუხისმგებლობის დაწესება.

## სიღარიბე და ბავშვთა სიკვდილიანობა

„ბავშვთა მდგომარეობა საქართველოში საგანგაშოა სიღარიბისა და, განსაკუთრებით, 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლის მხრივ (20.5 ბავშვი ყოველი ათასიდან).“<sup>711</sup>

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მონაცემებით, 2013 წლის მდგომარეობით, საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ბავშვების მაჩვენებელი 27%-ია, რაც 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2%-ით აღემატება.

## გ.ა.-ს საქმე

2013 წლის მარტში მედია-საშუალებებით ცნობილი გახდა ხელვაჩაურის რაიონში მცხოვრები ერთი წლის გ.ა.-ს შიმშილისაგან გამოწვეული გართულებების შედეგად გარდაცვალების ფაქტი. საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა აღნიშნული შემთხვევა<sup>712</sup> და გაარკვია, რომ არასრულწლოვანის გარდაცვალება გამოიწვია ოჯახში არსებულმა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ. გამოიკვეთა სახელმწიფო სამსახურების, კერძოდ, სოციალური სამსახურისა და სამედიცინო სამსახურის წარმომადგენლების დაუდევრობა; ასევე გ.ა.-ს მშობლების

<sup>711</sup> თომას ჰამარბერგი, ანგარიში ადამიანის უფლებათა სფეროში: განვლილი პერიოდი, გადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები, „საქართველო გარდამავალ პერიოდში,“ 7.3 „ბავშვთა უფლებები,“ 2013წ, სექტემბერი, გვ. 57.

<sup>712</sup> სსიპ სოციალური მომსახურებისა და სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოები, წერილები №1383/08-2/0830-13 და №1893/08-2/0830-13.

ბავშვის მოვლა-პატრონობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების დაბალი დონე. ოჯახს გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეჩერებული ჰქონდა სოციალური დახმარება, ხოლო ოჯახის ექიმს მცირეწლოვანისთვის დროული პროფილაქტიკური აცრების ჩატარების, მისი მკურნალობისა და სათანადო კვების უზრუნველსაყოფად საკმარისი მცდელობა არ განუხორციელებია.

გარდა აღნიშნული შემთხვევისა, სახალხო დამცველის აპარატმა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეისწავლა საქმეები, რომელთა ანალიზი ადასტურებს, რომ მშობელთა დიდ ნაწილს ბავშვის სრულფასოვანი კვებისათვის საჭირო მატერიალური სახსრები არ გააჩნია. შესაბამისად, საქართველოში ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალ მაჩვენებელს, სხვა უარყოფით ფაქტორებთან ერთად, ოჯახების უკიდურესი სიღარიბე განაპირობებს.

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის 24-ე მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს, შეამცირონ ბავშვთა სიკვდილიანობა, უზრუნველყონ ბავშვის უფლება, ჰქონდეს სრულფასოვანი კვება და უსაფრთხო გარემო, რათა მან ჯანმრთელობა შეინარჩუნოს. გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტი მიუთითებს, რომ საჭიროა, კონვენციის ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა განახორციელონ საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და ყველა სხვა სახის ღონისძიება, კონვენციის 24-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებების დისკრიმინაციის გარეშე იმპლემენტაციისათვის.<sup>713</sup>

საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად ამტკიცებს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამას, რომლის ერთ-ერთ მიზანს სოციალურად დაუცველ ბავშვთა (სოციალურად დაუცველი ოჯახების აღსაზრდელები) სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია წარმოადგენს.<sup>714</sup> პროგრამით გათვალისწინებულ ქვეპროგრამებს შორისაა მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის, ბავშვთა ადრეული განვითარებისა და ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამა.<sup>715</sup> თუმცა სახელმწიფოს მიერ მიწოდებული სერვისი არ აკმაყოფილებს არსებულ საჭიროებებს.

5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის განმაპირობებელ ფაქტორთა შორის აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს მშობელთა ერთი ნაწილის დაბალ ცნობიერებაზე, რომლებიც სათანადოდ ვერ და/ან არ ფლობენ ინფორმაციას ბავშვის სასიცოცხლო საჭიროებების შესახებ, არა აქვთ განვითარებული მშობლის უნარ-ჩვევები.

<sup>713</sup> იხ. Committee on the Rights of the Child „General comment No. 15 (2013) on the right of the child to the enjoyment of the highest attainable standard of health (art. 24), UN, CRC, გვ. 20.

<sup>714</sup> იხ.: საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, დანართი N1, მუხ. 1.

<sup>715</sup> სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ დადგენილების დანართი, მუხ. 2, პუნ. ა), ბ), გ).



სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს მშობელთა ცნობიერების დონის ამაღლებაზე, შეიმუშაოს და დანერგოს სათანადო პროგრამა და მომსახურება, რომლის საშუალებით შესაძლებელი გახდება მშობელთა სწავლება.

### **ბავშვთა მიმართ ძალადობა**

საქართველოში კვლავ პრობლემას წარმოადგენს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის, მისი აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხები.

ძალადობის მაღალ მაჩვენებელს ოჯახში, საგანმანათლებლო-საადამრდებლო თუ სპეციალიზებულ დაწესებულებებში განაპირობებს, ერთი მხრივ, აღზრდის ძალადობრივი მეთოდებისადმი საზოგადოებაში არსებული ტოლერანტული დამოკიდებულება, ხოლო, მეორე მხრივ, ბავშვის მიმართ არასათანადო ყურადღება პროფესიონალების მხრიდან.

ბავშვის მიმართ ძალადობად უნდა განიხილებოდეს ყველა ის ქმედება, რომელიც მიმართულია ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით ბავშვის კონსტიტუციური და საერთაშორისო კანონმდებლობით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისაკენ.

ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში განსაკუთრებული როლი ეკისრება სახელმწიფოს, საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და მონაწილეობით.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად:

„მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას ღებულობენ იმ მიზნით, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან“.<sup>716</sup>

აღნიშნულს ეხმიანება 2010 წელს, ოჯახსა და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის ხელშეწყობისათვის „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანება. დოკუმენტი ითვალისწინებს აღნიშნულ სამ უწყებას შორის კოორდინირებულ ქმედებებს ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის საკითხებზე.

<sup>716</sup> ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხ. 19;

ოჯახში ძალადობის შემთხვევებში, ბავშვთა დაცვისა და დახმარებისათვის გასატარებელ აუცილებელ პროცედურებს ითვალისწინებს საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.<sup>717</sup>

აღნიშნული სამართლებრივი დაცვის მექანიზმების მიუხედავად, კვლავ მაღალია ბავშვთა მიმართ ძალადობის მაჩვენებელი. 2013 წელს, გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის, „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“, შედეგების მიხედვით, „საზოგადოების 45% მიიჩნევს, რომ ბავშვთა მიმართ ფიზიკური ძალადობა დასაშვებია. რესპოდენტთა 60%-ის აზრით კი, ოჯახში აღზრდის მკაცრი მეთოდის გამოყენება უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდები.“<sup>718</sup> ეს იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ საზოგადოებაში ბავშვის მიმართ ძალადობა აღზრდის წარმატებულ მეთოდად მიიჩნევა.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბავშვის მიმართ ძალადობა არ იწყება და არც მთავრდება სახლის ზღურბლზე. ბავშვები ხშირად ხდებიან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლნი საადმინისტრაციო და სპეციალიზებულ დაწესებულებებში. ბავშვთა მიმართ ძალადობის კვლევამ აჩვენა, რომ „ბავშვთა დაცვის სფეროში მომუშავე პროფესიონალთა 60% ეთანხმება საზოგადოების აზრს, რომ ოჯახის შიდა საქმეები მხოლოდ ამ ოჯახის პირადი საქმეა და სხვები მასში არ უნდა ერეოდნენ. სოციალური მუშაკების 22% მიიჩნევს, რომ მათ პასუხისმგებლობაში არ შედის ფიზიკურ ძალადობაზე რეაგირება. სკოლებში მომუშავე პროფესიონალებს ნაკლებად ესმით საკუთარი როლი ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებში. სკოლის მასწავლებლებისა და მანდატურების 46%-მა განაცხადა, რომ ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინება საჭიროა მაშინ, როდესაც ეს ძალადობა მძიმე ფორმისაა და რამდენჯერმე განმეორდა“.<sup>719</sup> აღნიშნული მიუთითებს, რომ ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალები, რომელთაც განსაკუთრებული როლი აქვთ ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირების, მათი დაცვისა და დახმარების საკითხებში, არ ფლობენ სათანადო ინფორმაციას. შემამფოთებელია ის ფაქტი, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობა სოციალურად „გადამდებ“ ხასიათს ატარებს და, ხშირ შემთხვევაში, ბავშვებისთვისაც მისაღები ქმედება ხდება.

საადმინისტრაციო დაწესებულებებში არსებული პრაქტიკა განსხვავდება სამართლებრივი რეგულაციებით დადგენილი წესებისგან. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრის საქმეში.<sup>720</sup> ამავე კანონის მე-20 მუხლის თანახმად, დაუშვებელია, მოსწავლის დაუმორჩილებლობის მოტივით, მასზე ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობა, შეურაცხყოფა და ღირსების შელახვა.

<sup>717</sup> საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მუხ. 14, მუხ. 15.

<sup>718</sup> „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013 წელი;

<sup>719</sup> „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013 წელი;

<sup>720</sup> საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხ. 3

აღნიშნულ მიდგომას ამყარებს ბავშვის უფლებათა კომიტეტი თავის №1 ზოგად კომენტარში, რომლის მიხედვითაც, სკოლის ზღურბლს იქით არასრულწლოვნები არ უნდა კარგავდნენ თავიანთ უფლებებს.<sup>721</sup> გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის დარღვევა ფაქტობრივად ბავშვის განათლების უფლების განხორციელებაზე უარის თქმაცაა, სასწავლო დაწესებულების მიერ ბავშვის პატივი და ღირსება სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული და დაცული.

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა №8 ზოგად კომენტარში, ასევე გაუსვა ხაზი სახელმწიფოს ვალდებულებას, მიიღოს ყველა ზომა, რათა აიკრძალოს ფიზიკური ძალადობის, ასევე სხვა სასტიკი და არაადამიანური დასჯის ფორმები.<sup>722</sup> ამის მისაღწევად კი, კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს, გადადგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები, როგორც კანონმდებლობაში ხარვეზების აღმოფხვრის, ასევე საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების კუთხით.

2013 წელს, საჯარო სკოლებში მოსწავლეზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის საკითხებზე საქართველოს სახალხო დამცველისადმი მომართვიანობის რიცხვმა წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად იმატა. საჩივრების უმრავლესობა სკოლაში ბავშვთან მომუშავე პროფესიონალთა მხრიდან განხორციელებულ ძალადობას ეხებოდა. ბავშვთა შორის ძალადობის, განსაკუთრებით, ბულინგის, მაღალ მაჩვენებელთან ერთად, სკოლის ადმინისტრაციის ან მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შეურაცხყოფის გაზრდილი მაჩვენებელი კვლავ წარმოადგენს განათლების სისტემაში არსებულ დიდ გამოწვევას.

აღსანიშნავია, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე სახალხო დამცველისადმი მომართვიანობა, ძირითადად, თბილისის საჯარო სკოლებიდან ხორციელდება, რაც სავარაუდოდ, შესაძლოა იმით იყოს განპირობებული, რომ რეგიონებთან შედარებით, ისინი უფრო მეტად არიან ინფორმირებული დაცვის საშუალებებთან დაკავშირებით. მოსწავლის ფიზიკური შეურაცხყოფა საქართველოს რეგიონებში დამკვიდრებული პრაქტიკაა და მხოლოდ საგანგებო ვითარებამ შეიძლება დააყენოს დღის წესრიგში ამ უფლებადარღვევაზე რეაგირება. ამაზე მიუთითებს საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ მაღალმთიან რეგიონებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგებიც, რომელთა მიხედვითაც, ძალადობის ფაქტები მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში სცდება პედაგოგისა და მოსწავლის ურთიერთობის ფარგლებს. ძალადობა როგორც მშობლების, ისე მასწავლებლების მხრიდან დასაშვებ ქმედებადაა მიჩნეული ბავშვის აღზრდა-განვითარების პროცესში.

აღსანიშნავია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ გატარებული ღონისძიებები ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტების შესახებ სახალხო დამცველის მიმართვებზე, ასევე სკოლების ადმინისტრაციის მიერ

<sup>721</sup> The Committee on the Rights of the Child, General Comment No. 1, 2001, Para. 8.

<sup>722</sup> The Committee on the Rights of the Child, General Comment No. 8, 2006, Para. 2.

მასწავლებელთა მიმართ დისციპლინური ზომების გამოყენების შემთხვევები. ერთ-ერთ შემთხვევაში, როდესაც პედაგოგმა რამდენიმე მოსწავლე სცემა, ხოლო მათგან ერთი ბავშვი ტვინის შერყევის ნიშნებით კლინიკაში მოათავსეს, დადგა ამ პედაგოგის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხიც.

არსებული მდგომარეობის ანალიზი აჩვენებს, რომ ზემოაღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალთა ცნობიერების ამაღლებას, მათი უნარ-ჩვევების გაძლიერებას ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების, ბავშვთა დაცვისა და დახმარების საკითხებზე. არსებული რეალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით, დოკუმენტირებული სტრატეგიის შემუშავება, უფლებადარღვევის შემთხვევებზე კი, ეფექტური და დროული რეაგირება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების ჩართულობის გაძლიერებას ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში. ასევე, ბავშვთა დაცვისა და დახმარებისათვის სპეციალური საკონსულტაციო სერვისების განვითარებასა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, განსაკუთრებით, ქვეყნის რეგიონებში.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე ხელს შეუწყობს ძალადობისადმი ნულოვანი ტოლერანტობის ჩამოყალიბებას. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, არასრულწლოვანთა განათლების დონის ამაღლება მათ უფლებებსა და შესაძლებლობებზე.

## ნ.ლ-ს საქმე

2012 წლის 8 ოქტომბერს სახალხო დამცველს მიმართა თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლემ ნ.ლ.-მ, რომლის განცხადებითაც, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის მაისურის ტარების გამო, სკოლის დირექტორმა მასზე ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა განახორციელა.

საქართველოს სახალხო დამცველმა აღნიშნულ ფაქტზე რეაგირებისათვის მიმართა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს. სააგენტოს საპასუხო წერილის თანახმად, სკოლის დირექტორის მხრიდან ადგილი ჰქონდა ბავშვის უფლებების კონვენციის ძირითადი პრინციპების დარღვევას, თუმცა, **არასრულწლოვანის ინტერესების გათვალისწინებით**, შემთხვევაზე შემდგომი რეაგირება მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული.<sup>723</sup> გამოძიება შეწყდა, რადგან ფიზიკური

<sup>723</sup> სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 25 მარტის საპასუხო №04/24291 წერილი.

ძალადობის – ცემის ფაქტი არ დადასტურდა.<sup>724</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის საპასუხო წერილის მიხედვით, საკითხის შესწავლის შედეგად, საჯარო სკოლას მიეცა წერილობითი გაფრთხილება.<sup>725</sup>

მოცემულ შემთხვევაში გამოიკვეთა ბავშვის უფლებათა კონვენციის ძირითადი პრინციპებისა და ბავშვის უფლებების უგულვებელყოფის ფაქტი. დარღვეული იქნა ბავშვის უფლება, თავისუფლად გამოთქვას აზრი ნებისმიერი ფორმით, ბავშვის არჩევანისამებრ.<sup>726</sup>

ბავშვი დაცულია ნებისმიერი პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისა და შეურაცხყოფისგან.<sup>727</sup> შესაბამისად, სახელმწიფოს გააჩნია პოზიტიური ვალდებულება, ნებისმიერ ასეთ შემთხვევაში, მოახდინოს ადეკვატური რეაგირება. არასრულწლოვანის ინტერესს წარმოადგენს, სწორედ, მოძალადის იდენტიფიკაცია და შემდგომი პრევენციული ღონისძიებების გატარება. ბავშვის უფლებების ხელყოფის გახმაურების შემთხვევაში, მისი ძალადობისგან დაცვის ვალდებულებაც სახელმწიფოს ეკისრება. აღნიშნული არ შეიძლება გახდეს ბავშვის მიმართ რაიმე სახის ძალადობისა თუ დისკრიმინაციის განხორციელების მიზეზი.

### **ბავშვის მშობლებთან ცხოვრების უფლება**

ყველა ბავშვს აქვს უფლება, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით.<sup>728</sup>

თავის მხრივ, სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა უზრუნველყოს, რომ არ მოხდეს არასრულწლოვანის დაშორება მშობლებთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, კანონისა და პროცედურის დაცვით, განსაზღვრავენ, რომ ბავშვის დაშორება მშობლებთან აუცილებელია და ემსახურება მის საუკეთესო ინტერესებს.

მშობლებთან დაშორება მოიცავს კონკრეტულ შემთხვევებს, როდესაც მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს და არ ზრუნავენ მასზე, ან როცა მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე და აუცილებელია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება და

<sup>724</sup> ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი–სამგორის სამმართველოს 2013 წლის 26 იანვრის №147485 წერილი.

<sup>725</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 5 ნოემბრის №1127 ბრძანება.

<sup>726</sup> ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხ.13.

<sup>727</sup> ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხ. 19.

<sup>728</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1197, მუხ. 1198.



სხვა. ყველა შემთხვევაში, კომპეტენტურმა ორგანოებმა გადაწყვეტილება, ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით უნდა მიიღონ. გადაწყვეტილების მიღების დროს შესაბამისმა ორგანოებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ განსახორციელებელი ზომების სავარაუდო გავლენა არასრულწლოვანზე.<sup>729</sup>

საქართველოს სახალხო დამცველმა 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში ყურადღება გაამახვილა ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს როლსა და მნიშვნელობაზე, ასევე, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინების საკითხებზე. 2013 წელს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სრულყოფილი მექანიზმის დანერგვა და ბავშვის უფლებების, მისი ჭეშმარიტი ინტერესების დაცვის საკითხი კვლავ პრობლემას წარმოადგენდა.

მეუღლეთა განქორწინების შემდეგ არასრულწლოვანი შვილისთვის საცხოვრებელი ადგილის მიკუთვნების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულება ეკისრება სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს.<sup>730</sup> ოფიციალური მონაცემებით, სოციალური მომსახურების სააგენტო, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, 2013 წლის განმავლობაში ოჯახურ დავებზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების საკითხებთან დაკავშირებულ 74 საქმეში ჩაერთო.<sup>731</sup> თუმცა, ხშირ შემთხვევაში, აღნიშნულ პროცესში ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის დასაცავად საკმარისი ზომების მიღება ვერ ხერხდება.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ორი ძირითადი პრობლემა: მოსამართლის მიერ არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ბავშვის, აზრისა და ინტერესების არასაკმარისი გათვალისწინება და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმის დაუხვეწავი ფორმა.

პირველ შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია, გადაწყვეტილების გამოტანისას, მინიმუმამდე დაიყვანოს ბავშვის ინტერესებისა და მოსალოდნელი შედეგების არასრული განჭვრეტა. ამისათვის აუცილებელია, ამ კონკრეტულ სფეროში მოსამართლეების პროფესიონალიზმის განმტკიცება, პირველ რიგში, მათი პერიოდული გადამზადების გზით.

<sup>729</sup> UNICEF, FACT SHEET: A Summary of the Rights Under the Convention on the Rights of the Child, Article 3.

<sup>730</sup> ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმეების აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის №01-16/ნ ბრძანება.

<sup>731</sup> სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილი №04/21042.

აღნიშნულ საკითხს ეხება ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს №4 დასკვნა, რომელიც საუბრობს მოსამართლეთა ეროვნულ და ევროპულ დონეზე ჯეროვანი პირველადი მომზადებისა და ადგილზე გადამზადების აუცილებლობაზე.<sup>732</sup>

განქორწინების შედეგად არასრულწლოვანი შვილების მშობლებისთვის მიკუთვნებისას, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებასთან დაკავშირებით, სპეციალური გადამზადება ან სწავლება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ან იუსტიციის უმაღლესი სკოლის ორგანიზებით საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის არ ხორციელდება.<sup>733</sup>

მეორე მხრივ, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას, მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები, არსებობს რისკი, რომ მშობელი, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილებით არ მიეკუთვნა ბავშვი/შეუზღუდა მასთან ურთიერთობა, ეცდება, ხელი შეუშალოს აღსრულების პროცესს და წინააღმდეგობა გაუწიოს აღსრულებაზე პასუხისმგებელ პირებს. პრაქტიკამ აჩვენა, რომ აღნიშნული პრობლემა, ხშირ შემთხვევაში, ხდება ბავშვზე ძალადობის, მისი იძულების მიზეზი და საჭიროებს სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგისა და, საჭიროების შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ჩართულობის გააქტიურებას.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც ამ ტიპის გადაწყვეტილებების აღსრულებაში წამყვან როლს თამაშობს, განიცდის მაღალი კვალიფიკაციის მქონე სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების ნაკლებობას, რომელთა ძირითად ფუნქციას არასრულწლოვანზე შესაძლო ფსიქოლოგიური ძალადობის დადგენა, ძალადობის კვალის იდენტიფიკაცია და სასამართლოს გადაწყვეტილების უმტკივნეულოდ აღსრულება წარმოადგენს. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს რეგიონებში არსებული პრობლემები.

## ს. შ.-ს საქმე

2012 წლის 4 მარტს, საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ს.შ.-მ, რომელიც ითხოვდა მისი არასრულწლოვანი შვილის დაბრუნებას ყოფილი ქმრისგან და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებაში დახმარებას, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვანის მამას მიეცა უფლება, ურთიერთობა ჰქონოდა შვილთან 2 დღის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი 5 დღე ბავშვი დედასთან უნდა ყოფილიყო. ს.შ. მიუთითებდა, რომ მისი არასრულწლოვანი შვილის მიმართ ბავშვის მამა და ბიძა ახორციელებდნენ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას, რის გამოც, ბავშვი უარს ამბობდა დედასთან წასვლაზე. ს.შ.-ს განცხადების თანახმად, სასამართლო

<sup>732</sup> ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა №4 ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტისადმი, მოსამართლეთა ეროვნულ და ევროპულ დონეზე ჯეროვანი პირველადი მომზადებისა და ადგილზე გადამზადების თაობაზე, პარ. 32.

<sup>733</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილი №ა-783-14.

გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში, ბავშვის მამა ზეწოლას ახდენდა აღმასრულებელ პირებზე, რაც ხელს უშლიდა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას.

საქმის ყოველმხრივი შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მცდელობას თხუთმეტჯერ ჰქონდა ადგილი, თუმცა ბავშვის სასტიკი წინააღმდეგობის გამო, ეს ვერც ერთხელ ვერ მოხერხდა. როგორც მოგვიანებით არასრულწლოვანთან მომუშავე ფსიქოლოგის დასკვნაში გამოიკვეთა, ბავშვი, მამის მხრიდან ზეწოლის გამო, დედასთან ხანმოკლე შეხვედრასაც კი გაურბოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ არც ბავშვის დედა ითვალისწინებდა არასრულწლოვანის ჭეშმარიტ ინტერესს და იმ ფაქტს, რომ ბავშვი უკვე საკმარისად იყო ტრავმირებული. დედა უარს აცხადებდა აღნიშნულ საქმეში ფსიქოლოგის ჩართვაზე. მეტიც, მისი თქმით, უმჯობესი იყო, ბავშვს აღსრულების პროცესში ერთხელ მისდგომოდა ტრავმა, ვიდრე დიდი ხნის განმავლობაში მამის მხრიდან ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ დარჩენილიყო.

### **ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა დევნილთა დასახლებებში**

სახალხო დამცველის წარმომადგენლები, ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით, სპეციალურ კონსულტანტთან ერთად,<sup>734</sup> საანგარიშო პერიოდში, არასრულწლოვანთა უფლებების მონიტორინგის მიზნით, იმყოფებოდნენ იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში. სავლელ ვიზიტები განხორციელდა წინამძღვრიანთკარის, წილკნის, სკრის, წეროვანის, ზუგდიდის, მალთაყვისა და ბათუმის დასახლებებში.

### **საყოფაცხოვრებო პირობები**

მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, რომ დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში მცხოვრებ პირებს არა აქვთ ადეკვატური საცხოვრებელი პირობები. წინამძღვრიანთკარში დევნილები ცხოვრობენ ამორტიზებულ ბინებსა და კოტეჯებში.

განსაკუთრებით მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებია ზუგდიდის დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაში, სადაც 19 არასრულწლოვანი ცხოვრობს. ამორტიზებული შენობა თითქმის ნანგრევებადაა ქცეული, დაზიანებულია სახურავი და ფანჯრები. ჩასახლებაში არ არის წყლისა და კანალიზაციის სისტემა, გაუმართავია ელექტრობა.

<sup>734</sup> ნორვეგიის ბავშვთა ომბუდსმენი 2004-2012 წლებში, რეიდარ ჰერმანი. იხ.: <http://www.crin.org/en/library/organisations/ombudsman-children-norway>

ზუგდიდში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხება არა მხოლოდ არაადეკვატურ პირობებს, არამედ ზოგადად ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ საცხოვრებელ გარემოს.

აღნიშნული დასახლებებისაგან მკვეთრად განსხვავდება საცხოვრებელი პირობები წეროვანსა და ბათუმში. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ბათუმში დევნილთა ორი დასახლება მონახულეს. ერთ-ერთი წარმოადგენს მაღალი საცხოვრებელი სტანდარტის თანამედროვე სოფელს, რომელსაც ჰყავს სათემო წარმომადგენლობა. დამაკმაყოფილებელია მალთაყვის დასახლებაში მცხოვრებ დევნილთა საცხოვრებელი პირობებიც.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, საქართველოს აღმასრულებელი ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი უწყებები ვალდებული არიან, დაეხმარონ დევნილს სოციალური და საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტაში.<sup>735</sup>

გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული პრობლემის მარეგულირებელ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტს, რომლის მე-18 პრინციპის შესაბამისად, ყველა იძულებით გადაადგილებულ პირს აქვს ადეკვატურ პირობებში ცხოვრების უფლება.

ბავშვის უფლებათა კონვენციის 27-ე მუხლში მოცემულია სახელმწიფოს ვალდებულება, არასრულწლოვანი უზრუნველყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის. აღნიშნული ვალდებულება განსაკუთრებით არის ხაზგასმული გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სახელმძღვანელო პრინციპებში ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების შესახებ<sup>736</sup> და გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მე-14 ზოგად კომენტარში, რომელიც არასრულწლოვნების ჭეშმარიტი ინტერესების უპირველესად გათვალისწინებას ეხება.<sup>737</sup>

სახალხო დამცველის მხრიდან მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილ უფლებადარღვევებზე სათანადო რეაგირების შემდეგ, ზუგდიდში მდებარე შენობა გადაიხურა, ჩატარდა შიდა სარემონტო სამუშაოები, იქ მცხოვრებ დევნილ მოქალაქეებს გადაეცათ საჭირო ავეჯი და საყოფაცხოვრებო ნივთები. გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება.

<sup>735</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“, მუხ. 5<sup>4</sup>.

<sup>736</sup> UNHCR Guidelines on Determining the Best Interests of the Child, 2008, გვ. 75.

<sup>737</sup> Committee on the Rights of the Children, General Comment No. 14, 2013, პარ. 30.

## ბავშვი და ომის ტრავმა - ინტერვენცია და ზრუნვა

ომი და შეიარაღებული დაპირისპირება მძიმე კვალს ტოვებს ადამიანის, განსაკუთრებით, ბავშვის ფსიქიკაზე.

კონფლიქტის შედეგად დაზარალებული პირებისთვის ფსიქოლოგიური დახმარების ხელმისაწვდომობის აუცილებლობა ხაზგასმულია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სახელმძღვანელო პრინციპებში, რომელიც მოუწოდებს სახელმწიფოებს, მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა მაქსიმალურად გამოვლინდეს და აღმოიფხვრას ფსიქოლოგიური ტრავმა, რომელიც მიადგათ არასრულწლოვნებს.<sup>738</sup>

ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განხორციელებული შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებთან, მათ შორის ბავშვებთან, მიმართებაში აშკარად იკვეთება ფსიქოლოგიური დახმარების საჭიროება, თუმცა მსგავსი სერვისი მათთვის არ არის ხელმისაწვდომი.

არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიური პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ ეფექტურ გზას წარმოადგენს ბავშვების ჩართვა სხვადასხვა სახის სახელოვნებო წრეებში. მისასალმებელია, რომ დევნილთა დასახლებების ერთ ნაწილში ფუნქციონირებს სახელოვნებო სკოლები, სადაც ასწავლიან ხატვას, მუსიკას, ქორეოგრაფიას.

2013 წელს, სახალხო დამცველის წერილის<sup>739</sup> საფუძველზე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ დევნილთა 12 დასახლებაში არსებულ სახელოვნებო სკოლებს 2012 წელს შეწყვეტილი დაფინანსება აღუდგინა.<sup>740</sup>

## ინტეგრაცია

დევნილთა დასახლებებში მცხოვრები მოქალაქეების ინტეგრაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან უმნიშვნელოვანესი საკითხია. რიგ შემთხვევებში (წეროვანის დიდი დასახლება) სოფლებიდან დაშორებული მდებარეობა ამ დასახლების გარემოსგან ფიზიკურ და შესაბამისად, სოციალურ იზოლაციას განაპირობებს.

აღნიშნულის საპირისპიროდ, ბათუმისა და სკრის დასახლებებში მოსახლეობა სრულადაა ინტეგრირებული ადგილობრივ თემთან.

დევნილთა ინტეგრაციის ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დევნილი ბავშვები განათლებას იღებენ არა უახლოესი სოფლის თუ ქალაქის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არამედ დევნილთა დასახლებაში არსებულ

<sup>738</sup> UNHCR Guidelines on Determining the Best Interests of the Child, 2008, გვ. 52.

<sup>739</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 20 ივნისის წერილი №10/14.

<sup>740</sup> საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2013 წლის 23 აგვისტოს წერილი №05/07-3514.



სკოლებში. მაგალითისთვის, წილკნის დასახლებაში მცხოვრები ბავშვები ავტობუსით გადაადგილდებიან წეროვანის დევნილთა დასახლებაში არსებულ სკოლაში და არა წილკნის საჯარო სკოლაში.

განსხვავებული მდგომარეობაა სკრასა და ბათუმში, სადაც ბავშვები განათლებას იღებენ ტერიტორიულად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ინტეგრაციას უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია<sup>741</sup> და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევნილთა მიმართ 2012-2014 წლების სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა.<sup>742</sup>

დევნილთა დასახლებებში გამოვლენილი სასწავლო პროცესის განსხვავებული წესის არსებობის ფონზე, თვალსაჩინო გახდა სახელმწიფო სტრუქტურების სისტემური, ერთიანი მიდგომის არარსებობა და თემის გაძლიერებისთვის საჭირო საქმიანობის ნაკლებეფექტიანობა.

### **ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში**

საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ ბავშვთა განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხები განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. რადგან გარემო პირობები, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაბალი ხელმისაწვდომობა დიდ ზეგავლენას ახდენს მათი აღზრდის, განვითარებისა და ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობებზე.

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, შეისწავლა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა, რომლის დროსაც შეფასდა ბავშვზე ზრუნვის ხარისხი და მისი შესაბამისობა ბავშვთა დაცვის სფეროში კანონმდებლობით გათვალისწინებულ სტანდარტებთან. შესწავლის გეოგრაფიული განფენილობა მოიცავდა მაღალმთიან აჭარას, ყაზბეგისა და ახმეტის რაიონებს. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის მთელი რიგი პრობლემური საკითხები.

კერძოდ, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ბავშვების ძირითად პრობლემას განათლების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს საგანმანათლებლო

<sup>741</sup> საქართველოს მთავრობის განკარგულება №47, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, 2007, თავი 5.

<sup>742</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2012–2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა, პარ. 1.3, 3.2, 5.2.

დაწესებულებების ინფრასტრუქტურულ, განათლების ხარისხისა და ტერიტორიული ხელმისაწვდომობის პრობლემებს. განსაკუთრებული საჭიროებების წინაშე დგანან ბავშვები ასევე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით. მაღალია სკოლის მიტოვებისა და ნაადრევი ქორწინებების მაჩვენებელი.

### **საგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურა**

საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემები მნიშვნელოვანი საკითხია მაღალმთიანი რეგიონების ყველა სკოლისათვის. პრობლემას წარმოადგენს დაზიანებული შენობები, სარემონტო სამუშაოების აუცილებლობა, გათბობისა და წყლის მიწოდების საკითხი. სკოლები ასევე საჭიროებს აღჭურვას საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლისათვის აუცილებელი თვალსაჩინოებებითა და ლაბორატორიული მოწყობილობებით. სპორტული დარბაზების არარსებობა ან გაუმართაობა ხელს უშლის სპორტული აქტივიზმის განვითარებას ბავშვებში.

ცხადია, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დეკლარირებული ზოგადი განათლების მიზნების მიღწევა შეუძლებელია ადეკვატურ გარემოში განათლების მიღების უფლების რეალიზაციის გარეშე. აქედან გამომდინარე, სასწავლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მწვავე და სასწრაფოდ გადასაჭრელ პრობლემათა კატეგორიას მიეკუთვნება. ადეკვატური ტექნიკური აღჭურვილობის არარსებობა ასევე არ შეესაბამება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტს.<sup>743</sup>

შესწავლისას გამოვლინდა ინფრასტრუქტურული პრობლემები შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებში:

- **ახმეტის №1 და დუისის საჯარო სკოლები** - მოსაწესრიგებელია სკოლის გათბობის საკითხი;
- **სოფელ დუისის, ზემო ალვანის №1 და სოფელ ჯოყოლოს საჯარო სკოლები** - არ აქვთ სპორტული მოედნები და საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლისათვის შესაბამისი თვალსაჩინოებები;
- **სოფელ დუმასტურის საჯარო სკოლა** - სასკოლო ინვენტარის, მერხების შეცვლის აუცილებლობა;
- **სოფელ ოჟიოსა და სოფელ ქვემო ალვანის საჯარო სკოლები** - სკოლების მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული რკინის კონსტრუქციები საფრთხის შემცველია ბავშვების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის;

<sup>743</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ, მუხ. 6 პუნქ. „ბ“.

- ხულოს რაიონის სოფელ ძირკვაძეების სკოლა - შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, საჭიროებს გადაუდებელ გასამაგრებელ და სარემონტო სამუშაოებს;
- სტეფანწმინდის №1 საჯარო სკოლა - შენობის ნაწილი ავარიულია, ჩამოშლილია კედლის ნაწილი, მოსაწესრიგებელია სპორტდარბაზი, ინტერნეტისა და კვალიფიციური პედაგოგის არარსებობის გამო, არ ფუნქციონირებს კომპიუტერის ოთახი;
- სოფელ ოსიაურის საბაზო სკოლა - სკოლის ძირითადი შენობა წლების განმავლობაში ავარიული და საფრთხის შემცველი იყო. შესაბამისად, სკოლა დროებით გადავიდა სოფელ ახალშენის კლუბის ძველ შენობაში, რომელსაც არა აქვს სკოლისათვის ადეკვატური ინფრასტრუქტურა და გარემო. არ არის სპორტდარბაზი და სხვადასხვა საგნებში სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი შესაბამისი თვალსაჩინოებები. მოწოდებული ინფორმაციით, სკოლის ძველი შენობა არ ექვემდებარება რეაბილიტაციას. სკოლის ფუნქციონირება არც კლუბის შენობაშია მიზანშეწონილი;
- დაბა შუახევის სკოლა-პანსიონი - შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. სკოლა-პანსიონის საჭიროება ცალსახაა, თუმცა შენობის მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია ბავშვების სხვა პანსიონში გადაყვანა.

არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემები გარკვეულწილად უკავშირდება სკოლების დაფინანსების საკითხს. სკოლების ფინანსური რესურსების ნაკლებობა მაღალმთიანი რეგიონებისთვის აქტუალური პრობლემაა. ზოგ სკოლას აუცილებელი სასკოლო ინვენტარის საყიდლად ფინანსები არ აქვს, არ ჰყოფნის ვაუჩერული დაფინანსება და საჭიროებს განათლების სამინისტროსგან დამატებით თანხებს სხვადასხვა მნიშვნელოვანი პრობლემის გადასაჭრელად. აღნიშნულ შემთხვევებში, აუცილებელია დამატებითი დაფინანსება გაიცეს მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ან შემუშავდეს ახალი პროგრამები „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.<sup>744</sup>

### განათლების ხარისხი და ხელმისაწვდომობა

განათლების სფეროში გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი სისტემური პრობლემა. მათი ნაწილი განათლების ხარისხს, ხოლო ნაწილი ხელმისაწვდომობას უკავშირდება, მათ შორის, ტერიტორიული ხელმისაწვდომობისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განათლების უფლების რეალიზაციის საკითხებს.

შესწავლის შედეგებმა აჩვენა, რომ საჯარო სკოლების მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა სწავლობს კერძო რეპეტიტორებთან. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა დაძლიონ საატესტატო და ეროვნული გამოცდები, სკოლაში მიღებული განათლება საკმარისად არ მიიჩნევა.

ყველა სკოლაში პრობლემად დასახელდა დამოკიდებულება მასწავლებელთა მიმართ, რომელთაც ვერ ჩააბარეს საკვალიფიკაციო გამოცდები. აღინიშნა, რომ ეს ფაქტი ასუსტებს მასწავლებლის მუშაობის ნაყოფიერებას და ცვლის მოსწავლეთა დამოკიდებულებას მის

<sup>744</sup> საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხ. 7, პუნ. 3; მუხ. 22, პუნ. 6.

მიმართ, რაც აისახება სწავლის პროცესის მიმდინარეობასა და მიღებული განათლების ხარისხზე.

მაღალმთიან რეგიონებში საბაზო სკოლების დახურვის საფრთხეზე სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან ყველა რაიონში ისაუბრეს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მიუვალ სოფლებზე, სადაც ასეთი სკოლების არსებობა აუცილებელია.

საქართველოს კანონმდებლობა, ისევე როგორც საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, განამტკიცებს განათლების მიღების უფლების თანაბარ ხელმისაწვდომობას. ზოგადი განათლების სავალდებულო ხასიათი და მისი ხელმისაწვდომობა ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული მნიშვნელოვანი ასპექტებია. განათლების უფლება ფუნდამენტურად მოიცავს მისი მიღების ფიზიკური ხელმისაწვდომობის უფლებას. ყოველ ბავშვს უნდა ჰქონდეს საშუალება, ისწავლოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, საცხოვრებელ ადგილთან ახლოს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ უფლებით სარგებლობა და ამისათვის გაატაროს ქმედითი ღონისძიებები. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მიხედვით კი, სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლისთვის ზოგადი განათლების მიღების უფლებას თავის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს.

ბავშვის უფლებათა კონვენციის 28-ე მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს განათლების ხელმისაწვდომობა, რაც, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, ფართოდ უნდა იქნას განსაზღვრული და ითვალისწინებდეს იმ შემთხვევებსაც, როდესაც განათლების მიღების უფლების განხორციელება სასწავლო დაწესებულების ტერიტორიული ხელმისაწვდომობის არარსებობის გამო ფერხდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლების ოპტიმიზაციის პროცესის დაწყების შემთხვევაში, გასათვალისწინებელია სკოლების ტერიტორიული ხელმისაწვდომობის პრინციპი, რაც დიდ გავლენას ახდენს მიღებული განათლების ხარისხზე.

ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის უფლება განმტკიცებულია ბავშვის უფლებათა კონვენციით (მუხლი 23), გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენციით (მუხლი 24) ასევე, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 3) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ საქართველოს კანონით (მუხლები 17 და 18).

შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები საჭიროებენ შშმ ბავშვებთან მუშაობისათვის პროფესიული უნარ-ჩვევების განმტკიცებას. მათ დიდ ნაწილს არ აქვს გავლილი გადამზადების კურსი სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის საკითხებში.

მაღალმთიან რეგიონებში შშმ ბავშვები, უმეტესწილად, სახლში იღებენ განათლებას. რიგ შემთხვევებში, ამის მიზეზს წარმოადგენს რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა (მაგ.: ხულო), რაც არ იძლევა შშმ მოსწავლის ეტლით გადაადგილების საშუალებას. ხოლო რიგ შემთხვევებში, ამის მიზეზი ბავშვის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა.

მისასაღმებელი ფაქტია, რომ ახმეტის №2 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს ინკლუზიური სწავლება და ბავშვებთან სპეციალური პროგრამით მუშაობს ფსიქოლოგი. მსგავსი მიდგომა არ დაფიქსირებულა არცერთ სხვა სკოლაში. თუმცა, სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს სრულად აქვთ გაცნობიერებული შშმ ბავშვების საჭიროებების ხარისხიანი დაკმაყოფილებისთვის ფსიქოლოგების დახმარების აუცილებლობა.

### **უსაფრთხო გარემო, თავისუფალი დროის დაგეგმვა და არასრულწლოვანთა დაცვა მავნე ზეგავლენისაგან**

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი საგანმანათლებლო დაწესებულებას ავალდებულებს, შექმნას ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო სკოლაში, აგრეთვე სკოლის, ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე და ჯეროვნად დაიცვას არასრულწლოვანთა ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. თუმცა, ახმეტის რაიონის სკოლებში არ ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური. შესაბამისად, სკოლაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე ზედამხედველობა უწევთ მასწავლებლებს, რაც განსაკუთრებით რთულია გაკვეთილების მიმდინარეობის პროცესში.

თავისუფალი დროის დაგეგმვა ყველა საჯარო სკოლაში მოსწავლეების პრობლემას წარმოადგენს. რეგიონებში ძალიან ცოტაა სახელოვნებო, სპორტული, თუ სხვა სახის წრეები. ამ მხრივ, განსაკუთრებულ წუხილს გამოთქვამენ ყაზბეგის რაიონის მოსწავლეები. სოფლებში პრობლემას წარმოადგენს ინტერნეტის ხელმისაწვდომობაც. გამოიკვეთა, რომ ყველა სკოლაში უფროსი კლასის მოსწავლეების სურვილია, მეტი ინფორმაცია მიიღონ პროფესიებთან დაკავშირებით, რათა სამომავლოდ სწორი და პრაქტიკული არჩევანი გააკეთონ.

შემაშფოთებელია, რომ მუდმივად ირღვევა მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი და არასრულწლოვნებს უკონტროლოდ მიეყიდება ალკოჰოლი და სიგარეტი. ამ პრობლემაზე მიუთითებს ყველა მაღალმთიანი რეგიონის სკოლა. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პრაქტიკაში არ ხორციელდება „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვნებისათვის ალკოჰოლისა და თამბაქოს მიყიდვა წარმოშობს სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.



## ბავშვთა ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

ბავშვის უფლებების კონვენციის 24-ე მუხლის თანახმად, ბავშვს აქვს უფლება, სარგებლობდეს ხარისხიანი სამედიცინო დახმარებით და სათანადოდ იყოს დაცული. სამედიცინო დახმარებით მუდმივი და ხარისხიანი უზრუნველყოფა ხაზგასმულია გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის 2003 წლის IV ზოგად კომენტარში, ასევე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის „გ“ პუნქტით, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ავალდებულებს, უზრუნველყონ მოსწავლეთა კოორდინირებული სამედიცინო მომსახურება.

აღნიშნული სამართლებრივი ჩარჩოს მიუხედავად, მაღალმთიანი რეგიონების შორეულ სოფლებში სასწრაფო დახმარება ხშირად დროულად ვერ მიდის. ისეთ რეგიონებში, როგორებიცაა ხულო, ქედა და შუახევი, მიზანშეწონილია, სკოლებს ჰქონდეს მუდმივი სამედიცინო მხარდაჭერა.

ახმეტის რაიონში სასმელი წყლის ვარგისიანობა პრობლემურ საკითხად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ დაფიქსირდა სასმელი წყლით მოწამლვის ფაქტები, წყლის ვარგისიანობა არ შემოწმებულა. ეს ეხება როგორც საჯარო სკოლებს, ასევე სოფლებს, რაც საფრთხეს უქმნის ბავშვებისა და მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობას. აღნიშნულით უგულებელყოფილია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 24-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, ბავშვის უფლება, ისარგებლოს სუფთა წყლით და იცხოვროს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში, უპირობოდ უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

სკოლა ხშირად მცდარ ინფორმაციას ფლობს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ხშირია, როდესაც სკოლაში მიყვანისას, ბავშვის ჯანმრთელობის ცნობაში აღნიშნულია, რომ იგი სრულიად ჯანმრთელია, როდესაც რეალურად მას ჯანმრთელობის პრობლემები აღენიშნება. მაგალითად, ხულოს რაიონში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ფარისებრი ჯირკვლის პრობლემა. აღმოჩნდა, რომ ადგილობრივ კლინიკებში ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა ხშირად ბავშვის შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევის გარეშე გაიცემა.

სოციალური მომსახურების სფეროში არსებობს მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხები. კერძოდ, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ ცენტრებს არცერთ რეგიონში არ ემსახურება ავტომანქანა, რაც ძალიან ართულებს მათ მიერ თანამდებობრივი მოვალეობის სრულყოფილ და დროულ შესრულებას. მაგალითად, ხულოს რაიონის 79 სოფლიდან, უმეტესობა ჩვეულებრივი მსუბუქი ავტომანქანისათვის მიუვალაია. შესაბამისად, გართულებულია სოციალური აგენტების ოჯახებში ვიზიტები.

გადაუდებელი აუცილებლობისას, უტრანსპორტობა აფერხებს სოციალური მომსახურების სააგენტოს სწრაფ რეაგირებას. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ხულოს სოციალური მომსახურების ცენტრს ეხმარება ხულოს რაიონის შსს განყოფილება და უზრუნველყოფს მას

ტრანსპორტით. ზამთრის პერიოდში კი სოციალური მუშაკი თითქმის ვერ ახერხებს სოფლებში ვიზიტების განხორციელებას. აღნიშნულ პრობლემას უკავშირდება ასევე მინდობით აღზრდის საკითხი. მაგალითად, მაღალმთიან აჭარაში არ არის მიმღებ ოჯახად დარეგისტრირების მსურველი. შორეულ სოფლებში არიან მსურველები, თუმცა მათ სოციალური მუშაკი ზედამხედველობას ვერ გაუწევს გეოგრაფიული მდებარეობისა და ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემის გამო.

იქიდან გამომდინარე, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძირითად მიზანს სწორედ მოსახლეობის სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენის მხარდაჭერა, განსაზღვრულ შემთხვევებში, ბავშვებზე ზრუნვა, მოქალაქეთათვის გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლება, სერვისების დახვეწა, მოქნილი, მარტივი და სწრაფი, მოსახლეობისათვის ადვილად ხელმისაწვდომი მექანიზმების შეთავაზება წარმოადგენს, აღნიშნულ რაიონულ ცენტრებში დღეს არსებული რესურსით, ამკარაა, რომ შეუძლებელია ამ მიზნებისა და ვალდებულებების სრულფასოვანი რეალიზაცია.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2013 წელს რეკომენდაციით მიმართა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, უზრუნველყოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მაღალმთიანი რეგიონების რაიონული ცენტრების აღჭურვა შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებებით, მათზე კანონით დაკისრებული ვალდებულებების სრულყოფილად შესრულების მიზნით.

სოციალური მომსახურების ცენტრებში ასევე არსებობს პროფესიონალი ფსიქოლოგის საჭიროება. მიზანშეწონილია, გამოიყოს ფსიქოლოგის სამტატო ერთეული.

### **სკოლის მიტოვება და ადრეული ქორწინების შემთხვევები**

ახმეტის რაიონში განსაკუთრებით მწვავედ დგას სკოლის ადრეული მიტოვების პრობლემა. მოსწავლე ვაჟები ხშირად მიდიან მთაში, ცხვარში სამუშაოდ. შრომა ანაზღაურებადია და არასრულწლოვნები, უმეტეს შემთხვევაში, საერთოდ აღარ ბრუნდებიან სკოლაში. ასეთ შემთხვევაში, სწავლის გაგრძელების ინტერესს ანაზღაურებად შრომაში ჩაბმა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება თრგუნავს.

კვლავ მაღალია ადრეული ქორწინებების რიცხვი გოგონებში. მიუხედავად არსებული ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციისა, ხშირია სკოლის მიტოვების ფაქტები ადრეული ქორწინების მიზეზით. განსაკუთრებით მაღალია მაჩვენებელი რეგიონებსა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ ტერიტორიულ ერთეულებში (დეტალური ინფორმაციის ნახვა ადრეული ქორწინების პრობლემებზე შესაძლებელია გენდერული თანასწორობის ნაწილში).

## არასრულწლოვანი ბრალდებულები/მსჯავრდებულები

2009 წლიდან სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის ფარგლებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით გატარებული რეფორმების შედეგად მიღწეული რიგი პოზიტიური შედეგებისა და, პროგრესის მიუხედავად, ამ მიმართულებით აუცილებელია მუშაობის გაძლიერება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას, ასევე, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას და რეინტეგრაციას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტით განმტკიცებულ ისეთ მნიშვნელოვან პრინციპებს, როგორცაა საუკეთესო ინტერესების დაცვა,<sup>745</sup> დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სიცოცხლის შენარჩუნებისა და ჯანსაღი განვითარების უფლება და უფლება, იყოს მოსმენილი. არ უნდა დაირღვეს პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპი და მაქსიმალურად შეეწყოს ხელი არასრულწლოვნების კეთილდღეობას.<sup>746</sup>

ბავშვის უფლებათა კონვენციის<sup>747</sup> მიხედვით, თავისუფლების აღკვეთა შეიძლება მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით გამოიყენებოდეს და ისიც დროის რაც შეიძლება შესაბამისი მოკლე პერიოდის განმავლობაში. მისასალმებელი ფაქტია, რომ არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების ფაქტები საქართველოში ყოველწლიურად კლებულობს: 2010 წელი - 348 არასრულწლოვანი, 2011 წელი - 190 არასრულწლოვანი, 2012 წელი - 105 არასრულწლოვანი, 2013 წელი - 72 არასრულწლოვანი. ლიბერალური პოლიტიკის გატარების პარალელურად, მნიშვნელოვანია გატარდეს ეფექტიანი პრევენციული პოლიტიკა.

წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს მუშაობის დაწყება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შემუშავებაზე<sup>748</sup>, რამაც ერთიან საკანონმდებლო აქტში უნდა გააერთიანოს არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პროცესის, სასჯელაღსრულების და სხვა საკითხების მარეგულირებელი ნორმები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის განახლებული სტრატეგია ასევე ეფუძნება გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფის) და ევროკავშირის მიერ საქართველოს მთავრობასთან კონსულტაციის შედეგად შემუშავებული პოლიტიკის რეკომენდაციებს.

<sup>745</sup> ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხ. 3, მუხ. 2, მუხ. 6, მუხ. 12.

<sup>746</sup> გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინის წესები), წესი 5.

<sup>747</sup> ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხ. 37, პუნ. „ბ“.

<sup>748</sup> ევროკავშირისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერითა და იუსტიციისა მინისტრის გადაწყვეტილებით 2013 წელს მუშაობა დაიწყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შემუშავებაზე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ეფექტური განხორციელებისათვის აუცილებელია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების კოორდინირებული და აქტიური მუშაობა. აუცილებელია, რომ არასრულწლოვნებთან მომუშავე ყველა პროფესიონალისთვის ხელმისაწვდომი იყოს არასრულწლოვანთა საჭიროებებზე მორგებული ტრენინგები. უდიდესი მნიშვნელობა აქვს რისკების შეფასებასა და სასჯელის დაგეგმვას.

სასჯელადსრულების დაწესებულებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში არასრულწლოვანთა მდგომარეობის შესწავლის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში ჩატარდა გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტები არასრულწლოვანთა №11 სპეციალურ დაწესებულებაში, ასევე პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის №8 (თბილისი) და №2 (ქუთაისი) სასჯელადსრულების დაწესებულებებში. თითოეულ დაწესებულებაში განხორციელდა 3 გეგმიური ვიზიტი (სულ 9 ვიზიტი), ხოლო არასრულწლოვანთა №8 და №11 დაწესებულებებში განხორციელდა 4 არაგეგმიური ვიზიტი. ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელდა 2 გეგმიური ვიზიტი, ხოლო თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში ერთი გეგმიური ვიზიტი (სულ 16 ვიზიტი). მონიტორინგი განხორციელდა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ფინანსური მხარდაჭერით.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი პრობლემები, მათ შორის, არასრულწლოვანთა საცხოვრებელ პირობებთან, ჯანდაცვასთან, კვებასთან, ასევე, რესოციალიზაციის პროგრამების ეფექტურ მუშაობასთან და შესაბამისი პროფესიონალების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

## არასრულწლოვანთა საყოფაცხოვრებო პირობები

### 1. ინფრასტრუქტურა

ციხის ევროპული წესების<sup>749</sup> თანახმად, „პატიმრებმა სუფთად და მოწესრიგებულად უნდა იქონიონ ტანსაცმელი და საძინებელი, ასევე პირად ჰიგიენას მიაქციონ ყურადღება“.<sup>750</sup> „ამისათვის ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ისინი შესაბამისი საშუალებებით, ტუალეტის და ჰიგიენური საშუალებებითა და მასალებით“.<sup>751</sup> „ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს კლიმატურ პირობებსა და განსაკუთრებით, ფართის ოდენობის, ჰაერის მოცულობას, განათებასა და ვენტილაციის პირობებს“.<sup>752</sup> საქართველოს პატიმრობის კოდექსის<sup>753</sup> მიხედვით, „არასრულწლოვნებს უნდა ჰქონდეთ სხვა ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან შედარებით გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები“.

<sup>749</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, [შემდგომ: ევროპული ციხის წესები].

<sup>750</sup> წესი 19.5.

<sup>751</sup> ევროპული ციხის წესები, წესი 19.5.

<sup>752</sup> ევროპული ციხის წესები, წესი 18.1.

<sup>753</sup> საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხ. 15, ნაწ. 5.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვანთა საკნებში, ასევე, სველ წერტილებში, არ არის სათანადო ვენტილაცია, ხელოვნური განათება და გათბობა. საკნების სანიტარულ-ჰიგიენური და ინფრასტრუქტურული მდგომარეობა განსაკუთრებით ცუდია №8 დაწესებულებაში. არასრულწლოვან პატიმრებს თავად უწევთ თავიანთი ტანსაცმლის გარეცხვა №2 დაწესებულებაში. ადმინისტრაციის განმარტებით, აღნიშნული განპირობებულია სამრეცხაოში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებით, სამრეცხაოს პერსონალის განმარტებით კი, მათ ევალუბათ მხოლოდ პატიმართა ლოგინის თეთრეულის სისუფთავის უზრუნველყოფა და არა - ტანსაცმლის. არასრულწლოვან პატიმრებთან საუბრისას აღმოჩნდა, რომ მათ უმრავლესობას საერთოდ არ აქვს ინფორმაცია დაწესებულებაში სამრეცხაოს არსებობის შესახებ.

## 2. პირადი ჰიგიენის საშუალებებითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფა

საერთაშორისო<sup>754</sup> თუ შიდა კანონმდებლობის<sup>755</sup> მოთხოვნების მიუხედავად, არასრულწლოვანი პატიმრები არ არიან შესაბამისად უზრუნველყოფილნი პირადი ჰიგიენის საშუალებებითა და სათანადო ტანსაცმლით. ამას ემატება არასრულწლოვან პატიმართა ინფორმირებულობის პრობლემა. მონიტორინგის კითხვარის შედეგების მიხედვით, არასრულწლოვან პატიმართა უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია ჰიგიენური საშუალებებითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფის თაობაზე ადმინისტრაციის ვალდებულებასთან დაკავშირებით. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ადმინისტრაცია არასრულწლოვან პატიმრებს ერთჯერადად, დაწესებულებაში შემოსვლისას აწვდის ჰიგიენის საშუალებებს, რის შემდეგაც მათ პირადი სახსრებით უწევთ მათი შექენა.

№11 დაწესებულებაში გამოკითხული 20 არასრულწლოვანი პატიმრიდან 18-მა განაცხადა, რომ მათ ტანსაცმლით ოჯახი უზრუნველყოფს, ხოლო 15-მა აღნიშნა, რომ მათ ჰიგიენური საშუალებებით ასევე უზრუნველყოფს ოჯახი. 2-მა არასრულწლოვანმა დამატებით მიუთითა, რომ ოჯახები ვერ ახერხებენ მათი ვერც ტანსაცმლით და ვერც ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფას. ჰიგიენურ საშუალებებთან დაკავშირებით კითხვა უპასუხოდ დატოვა 3-მა არასრულწლოვანმა. დაწესებულების ექიმმა დაადასტურა, რომ ხშირ შემთხვევებში, პატიმრებში ზემო სასუნთქი გზების ინფექციის მიზეზი სეზონის შესაბამისი ტანსაცმლის უქონლობაა. დაწესებულების ცალკეული თანამშრომლები ცდილობენ, პირადად დაეხმარონ მსგავსი პრობლემების მქონე არასრულწლოვნებს, თუმცა, აღნიშნული ვერ ჩაითვლება სახელმწიფოს მხრიდან ვალდებულების შესრულებად.

მონიტორინგის დროს, საპარიკმახერო მომსახურებასთან დაკავშირებით პრობლემები არ დაფიქსირებულა.

<sup>754</sup> ევროპული ციხის წესები, წესი 19.5; 19.6; 21;

<sup>755</sup> საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხ. 21; 22.



### 3. სუფთა ჰაერით სარგებლობის უფლება

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით, დაწესებულების რეჟიმმა არასრულწლოვნებს შესაძლებლობა უნდა მისცეს, რაც შეიძლება მეტი დრო გაატარონ თავიანთი საკნის გარეთ, და ეს დრო, სულ ცოტა, 8 საათს უნდა მოიცავდეს.<sup>756</sup> საქართველოს კანონმდებლობა პატიმრებს ანიჭებს დღეში ერთი საათით გასეირნების უფლებას.<sup>757</sup>

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა შორს ყველა არასრულწლოვანმა პატიმარმა განაცხადა, რომ მათ აქვთ ყოველდღიურად ერთი საათით ჰაერზე გასვლის უფლება, პრაქტიკაში ამ უფლებას მათი უმრავლესობა არ იყენებს, ვინაიდან სასეირნო ტერიტორია ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული უფლების სათანადო რეალიზაციას. №8 და №2 დაწესებულებებში სასეირნო სივრცედ გამოყენებულია მცირე ზომის გადაუხურავი საკნის ტიპის ოთახი, რაც არ შეესაბამება პატიმრობის დაწესებულების დებულებასა და საერთაშორისო სტანდარტებს.

### 4. ჯანდაცვა

საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, დაწესებულების სამედიცინო სამსახურებმა უნდა მოახდინონ ყველა იმ ფიზიკური და ფსიქიკური დაავადების ან პრობლემის იდენტიფიკაცია, რასაც შეუძლია ხელი შეუშალოს არასრულწლოვან პატიმართა განვითარებას და უნდა იზრუნონ მათ განკურნებაზე. ამ მიზნით, დაწესებულებებს უნდა ჰქონდეს იმის საშუალება, რომ უზრუნველყოფილი იყოს ყველა ტიპის თერაპიული, ქირურგიული და ასევე ფსიქიატრიული მომსახურება.<sup>758</sup>

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ №2 დაწესებულებაში განთავსებულ არასრულწლოვანთა განყოფილებას არ აქვს ცალკე გამოყოფილი სამედიცინო პუნქტი და არ ჰყავს ექიმი. დაახლოებით 300 პატიმარს ერთი ექიმი ემსახურება, რის გამოც ხშირად ყოვნდება არასრულწლოვანი პაციენტის დროული სამედიცინო მომსახურება. ამასთან, სამედიცინო პუნქტში მისულ არასრულწლოვან და სრულწლოვან პატიმრებს აქვთ ერთმანეთთან კონტაქტის შესაძლებლობა.

№8 დაწესებულებაში სტომატოლოგიური კაბინეტი სრულწლოვანი პატიმრების კორპუსში მდებარეობს, რის გამოც შესაბამისი მომსახურების მისაღებად გადასულ არასრულწლოვან პატიმრებს ეხოსა თუ შენობის კორიდორში კონტაქტის საშუალება ეძლევათ სამეურნეო შრომაში ჩართულ სრულწლოვან პატიმრებთან.

<sup>756</sup>ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11, წესი 80.1.

<sup>757</sup> საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხ. 14, პუნ. „ზ“.

<sup>758</sup>პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 62.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ №2 დაწესებულებაში ვერ ხდება ადეკვატური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა. ამასთან, ორივე დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების მიღებისას ვერ ხორციელდება არასრულწლოვანი პაციენტების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მკაცრი იზოლაცია სრულწლოვანი პაციენტებისგან.

№8 და №2 დაწესებულებებში, ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ასევე არასაკმარისი რესურსები ფსიქიატრიული დახმარების გასაწევად. სათანადო ფსიქიატრიული დახმარების აღმოჩენა რიგ შემთხვევებში გადამწყვეტია არასრულწლოვანის სამომავლო განვითარებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის. ამჟამად, ორივე დაწესებულებაში თითო ფსიქიატრი მუშაობს, ეს რესურსი ვერ ფარავს არსებულ საჭიროებებს (თითოეულ დაწესებულებაში დაახლოებით 2000 პაციენტია).

## 5. კვება

ასაკისა და ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინების აუცილებლობაზე საკვებთან მიმართებით საუბრობს ევროპული ციხის წესების 22.1 წესი. ამასთან, პაციენტობის კოდექსის 23-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, არასრულწლოვნებს უნდა შეექმნათ მათი მდგომარეობის შესაბამისი კვების პირობები.

№11 და №2 დაწესებულებებში არასრულწლოვანთათვის შედგენილია ცალკე მენიუ, სამზარეულოსა და სასადილოში დამაკმაყოფილებელი სანიტარულ-ჰიგიენური და ინფრასტრუქტურული პირობებია, ამასთან საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების<sup>759</sup> შესაბამისად, №11 არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში მოქმედებს არასრულწლოვანთათვის შემუშავებული კვების რაციონი. აღნიშნული დაწესებულების პაციენტებს კვების რაციონთან დაკავშირებით პრეტენზიები არ გამოუთქვამთ, განსხვავებით №8 დაწესებულებისაგან, სადაც არასრულწლოვანი და სრულწლოვანი პაციენტებისთვის არსებობს საერთო რაციონი და საკვებიც ერთად მზადდება. №8 დაწესებულებაში არასრულწლოვნებთან საუბრისას და ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, გაირკვა, რომ პაციენტთა უმრავლესობა შეფასების სისტემაში საკმაოდ დაბალი მაჩვენებლით აფასებს საკვების ვარგისიანობას. დაწესებულების ექიმის განმარტებით, მენიუ არ შეესაბამება არასრულწლოვანისთვის საჭირო კვების რაციონს და აუცილებელია გაუმჯობესდეს. მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის დადგენილი სტანდარტი, საკანონმდებლო დონეზე იყოს გათვალისწინებული არასრულწლოვანი ბრალდებულებისთვისაც.

<sup>759</sup> 2013 წლის 26 დეკემბრის №366/№01-50/ნ ბრძანება ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ.

## 6. წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა

ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს არასრულწლოვან პატიმართა მიმართ როგორც წახალისების, ასევე, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას. ციხის ევროპული წესების მიხედვით, „დისციპლინური სასჯელი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი საშუალება“<sup>760</sup> და „ნებისმიერი სასჯელის სიმკაცრე უნდა იყოს პროპორციული ჩადენილ დანაშაულთან.“<sup>761</sup>

საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, №8 და №2 დაწესებულებებში 2012–2013 წლებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ წახალისების ან/და ადმინისტრაციული სახდელის ფორმები არ გამოყენებულა, ხოლო №11 არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში 2012 წელს დაფიქსირდა წახალისების 6 და დისციპლინური სახდელის დაკისრების 13 ფაქტი, 2013 წელს კი – წახალისების 69 და დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევა 24 დაფიქსირდა, რომელთაგანაც ერთი პასუხისმგებლობის სახედ საკნის ტიპის საცხოვრებელ სადგომში გადაყვანას ითვალისწინებდა.

რაც შეეხება ინფორმირებულობას, №11 დაწესებულებაში გამოკითხულ პატიმართა უმრავლესობამ დაადასტურა, რომ მათ განემარტათ დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეების შესახებ. №2 დაწესებულებაში 16 გამოკითხულიდან ცხრა არასრულწლოვანმა უარყო დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე ინფორმირებულობა. აქვე საგულისხმოა, რომ №8 დაწესებულებაში მხოლოდ სახალხო დამცველის წარმომადგენლების დაინტერესების შემდეგ გამოიკრა თვალსაჩინო ადგილას კანონის დანაწესი დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

## 7. კონტაქტი გარე სამყაროსთან

საქართველოს პატიმრობის კოდექსის მიხედვით, მსჯავრდებულ არასრულწლოვანს აქვს ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემნის უფლება, ასევე, ვიდეოპაემნით სარგებლობის, სატელეფონო საუბრების განხორციელების და მიმოწერის უფლება. კერძოდ, „არასრულწლოვანს 1 თვის განმავლობაში აქვს 4 ხანმოკლე პაემნის უფლება. წახალისების ფორმით შეიძლება მიეცეს თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი“.<sup>762</sup>

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ მონიტორინგის პროცესში არ გამოვლენილა ხანმოკლე პაემნით, ვიდეოპაემნით, სატელეფონო საუბრის უფლებით და ამანათისა და ფულადი გზავნილის მიღება-გაგზავნის უფლებით სარგებლობის შეზღუდვის შემთხვევები. ამასთან, №11 დაწესებულებაში პაემნების ოთახი არ არის შუშით გადატიხრული, რაც არასრულწლოვან პატიმრებს ოჯახის წევრებთან ფიზიკური ურთიერთობის საშუალება

<sup>760</sup> ციხის ევროპული წესები, წესი 56.1.

<sup>761</sup> ციხის ევროპული წესები, წესი 60.2.

<sup>762</sup> პატიმრობის კოდექსი, მუხ. 70, ნაწ. 2, პუნ. „ა“.

აძლევს. თუმცა აღნიშნული ოთახი საჭიროებს კეთილმოწყობას და გათბობა-ვენტილაციის სისტემით უზრუნველყოფას.

ხანგრძლივი პაემანი რესოციალიზაციისა და ახლობლებთან მჭიდრო კონტაქტის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებაა, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება არასრულწლოვანს. პატიმრობის კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანს 1 წლის განმავლობაში 3 ხანგრძლივი პაემნის უფლება, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 2 დამატებითი ხანგრძლივი პაემნის უფლება აქვს.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ არასრულწლოვანი პატიმრები არცთუ ისე ხშირად სარგებლობენ ხანგრძლივი პაემნის უფლებით, რის მთავარ მიზეზადაც პაემნის ოთახის საფასურის ოდენობას (60 ლარი) ასახელებენ.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის მიხედვით, ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება არ აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირს.<sup>763</sup> ეს დანაწესი დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს.<sup>764</sup> კომუნიკაციის რომელიმე ფორმის გარკვეული ჯგუფის მსჯავრდებულებისთვის ერთმნიშვნელოვნად, საკანონმდებლო დონეზე შეზღუდვა არ არის არც აუცილებელი და არც პროპორციული. ევროპული ციხის წესების მიხედვით, შეზღუდვა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დაწესდეს და იგი არ უნდა წარმოადგენდეს საერთო პრინციპსა და მიდგომას.<sup>765</sup>

ზემოთ ხსენებული უფლებებიდან, საქართველოს პატიმრობის კოდექსის მიხედვით, ბრალდებულ არასრულწლოვანს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ხანმოკლე პაემნის, მიმოწერისა და სატელეფონო საუბრის განხორციელების უფლებით. ამავე კოდექსის<sup>766</sup> მიხედვით, ეს უფლებები ბრალდებულს შეიძლება შეეზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით.

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ პრაქტიკაში, გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით, ყველა ბრალდებულს შეზღუდული აქვს ეს უფლება. მსგავს შემთხვევებში, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ბრალდებულს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს პროკურორს სატელეფონო საუბრისა თუ სხვა უფლებით სარგებლობის ნებართვის მისაღებად, თუმცა სურვილის მიუხედავად, ბრალდებულს არასრულწლოვნები, როგორც წესი, თავს იკავებენ ამ პროცედურებისაგან.

<sup>763</sup> პატიმრობის კოდექსი, მუხ. 17<sup>1</sup>, პუნ. 1;

<sup>764</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში გვ. 84;

<sup>765</sup> ევროპული ციხის წესები, წესი 24.2;

<sup>766</sup> პატიმრობის კოდექსი მუხ. 77, ნაწ. 1 ; მუხ. 79, ნაწ. 2.

არასრულწლოვანი პატიმრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა, პრესის და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა გაცნობის გზით, მუდმივად იყოს ინფორმირებული სიახლეების შესახებ.<sup>767</sup>

№11 დაწესებულების ყველა საკანში განთავსებულია ტელევიზორი, რომლითაც შეუზღუდავად სარგებლობენ არასრულწლოვნები. პრობლემურია პრესის გაცნობის საკითხი. დაწესებულების მაღაზიაში არ არსებობს ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა პუბლიკაციების შეძენის შესაძლებლობა. არასრულწლოვნებმა საუბრისას და კითხვარების შევსებისას გამოთქვეს ასეთი შესაძლებლობის არსებობის სურვილი. მსგავსი პრობლემა არ იკვეთება №2 და №8 დაწესებულებებში. ამ დაწესებულებებში არასრულწლოვან პატიმარს, მსგავსად სრულწლოვანი პატიმრებისა, ჟურნალ-გაზეთების შეძენა შეუძლია დაწესებულების მაღაზიაში.

№8 დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში მხოლოდ ერთი ტელევიზორია. მონიტორინგის დასაწყისში ტელევიზორი განთავსებული იყო ერთ-ერთ საკანში. ადმინისტრაციის განმარტებით, დანარჩენ პატიმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ამ საკანში ეყურებინათ ტელევიზორისთვის. შემდეგი მონიტორინგისთვის, ტელევიზორი იდგა საკლასო ოთახში. არასრულწლოვნების ერთ-ერთ ძირითად სურვილს წარმოადგენს, ყველა საკანში ჰქონდეთ ტელევიზორი. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი ყველა პატიმრისთვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებაზე ხელმისაწვდომობის რეალური და თანასწორი უზრუნველყოფა.

№2 დაწესებულებაში მონიტორინგის დასაწყისში მხოლოდ ერთი ტელევიზორი იყო, რომლითაც მორიგეობით სარგებლობდნენ საკნები. ბოლო ვიზიტისას კი არასრულწლოვნებს ჰქონდათ ოთხი ტელევიზორი, მხოლოდ ერთ საკანში არ იყო ტელევიზორი.

მონიტორინგის დროს არ გამოვლენილა რაიმე დარღვევები ამანათისა და ფულადი გზავნილის მიღება-გაგზავნასთან დაკავშირებით.

## **8. რესოციალიზაცია**

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, აუცილებელია ბავშვის თავისუფალი დროის დაგეგმვა და მისი კულტურულ ცხოვრებაში ჩართვა, მითუმეტეს როცა საუბარია იმ არასრულწლოვანზე, რომელიც სამართლებრივი რეჟიმის სისტემაში იმყოფება. ასეთ დროს აუცილებელია, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დაიგეგმოს საგანმანათლებლო, კულტურული და გასართობი აქტივობები, რომლებიც მათ რესოციალიზაციას მოემსახურება.

ადმინისტრაციის მხრიდან წახალისებული უნდა იყოს ჯანსაღი ცხოვრების სტილი, არასრულწლოვანთა მოტივირება, მიიღონ განათლება, ჩაერთონ სხვადასხვა

<sup>767</sup> პატიმრობის კოდექსი, მუხ. 20, ნაწ. 1, 4; ციხის ევროპული წესები, წესი 24.10.



კულტურულ/სპორტულ აქტივობებში. „თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია შექმნას პირობები, რათა ბრალდებულებმა/მსჯავრდებულებმა მიიღონ ზოგადი და პროფესიული განათლება.“<sup>768</sup> „ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს საშუალება, მიიღოს სრული ზოგადი განათლება.“<sup>769</sup> „არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის დაწყებითი და საბაზო განათლების მიცემა სავალდებულოა.“<sup>770</sup>

სამივე დაწესებულებაში სოციალური სამსახური საკმაოდ აქტიურადაა ჩართული არასრულწლოვანი პატიმრების რესოციალიზაციის პროცესში. თითოეული არასრულწლოვნის შემთხვევაში დგება სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა, თუმცა აღნიშნული გეგმები ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოციალურ სამსახურს რესოციალიზაციის პროცესისთვის საკმაოდ მწირი რესურსები გააჩნია, განსაკუთრებით №2 და №8 დაწესებულებებში. ამ დაწესებულებებში ფაქტობრივად არ ხორციელდება რესოციალიზაციის სისტემური და ერთიანი პროგრამა, არ ხდება თავისუფალი დროის დაგეგმვა, შედეგად არასრულწლოვნები დროის უმეტეს ნაწილს თავიანთ საკნებში ატარებენ. მონიტორინგის კითხვარების მიხედვით, ორივე დაწესებულებაში მყოფი არასრულწლოვანი პატიმრების უმეტესობას სურს რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართვა.

№11 დაწესებულებაში ზოგადსაგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება სამოქალაქო სექტორში არსებული სტანდარტების შესაბამისად. რაც იმას ნიშნავს, რომ დაწესებულების სკოლა მიერთებულია თბილისის №123-ე საჯარო სკოლას. აღნიშნული უზრუნველყოფს არასრულწლოვნების მიერ როგორც ექსტერნის ფორმით პროგრამის დაძლევის და შემდეგ საფეხურზე გადასვლას, ასევე სწავლის დამადასტურებელი ატესტატის გაცემის შესაძლებლობას.

2012 წლის მეორე ნახევრიდან თბილისის №8 და ქუთაისის №2 დაწესებულებებში ბრალდებულ არასრულწლოვნებსაც აქვთ სასწავლო პროგრამა,<sup>771</sup> თუმცა უარყოფითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მიღებული ზოგადი ან სრული განათლება არ წარმოადგენს ატესტატის გაცემის საფუძველს.<sup>772</sup> პრაქტიკაში, ბრალდებულ არასრულწლოვნებს ხშირად 9 თვით (მაქსიმალური ვადით) უწევთ აღნიშნულ დაწესებულებებში ყოფნა.<sup>773</sup> რასაც ემატება ის შემთხვევები, როცა უსაფრთხოების მიზნით, აუცილებელი ხდება №11 დაწესებულებიდან მსჯავრდებულების №8 ან №2 დაწესებულებაში

<sup>768</sup> პატიმრობის კოდექსი, მუხ. 113, ნაწ. 1;

<sup>769</sup> პატიმრობის კოდექსი, მუხ. 114, ნაწ. 1;

<sup>770</sup> პატიმრობის კოდექსი, მუხ. 114, ნაწ. 2;

<sup>771</sup> სახალხო დამცველის 2011 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 325 და გვ. 359;

<sup>772</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 11 ოქტომბრის №463428 საპასუხო წერილი.

<sup>773</sup> მსგავს პრობლემაზე საუბრობს სახალხო დამცველის 2011 წლის საპარლამენტო ანგარიშიც, გვ. 359;

გადაყვანა. შესაბამისად, არასრულწლოვნები ხანგრძლივი პერიოდით არიან მოკლებული განათლების მიღების შესაძლებლობას. გარდა იმისა, რომ მოქმედი სასწავლო პროგრამა ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისათვის თანაბარმნიშვნელოვანი განათლების მიღებას, ამ პროგრამის პრაქტიკული განხორციელებაც პრობლემურია პატიმრების მხრიდან ნაკლები დაინტერესებისა და დაბალი მოტივაციის გამო. განათლების უწყვეტობის ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია, სახელმწიფომ მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა შესაძლებელი გახდეს ბრალდებული არასრულწლოვნებისთვისაც სრულყოფილი განათლების შეთავაზება.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პატიმრები სწავლის გაგრძელების მიზნით, აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, თუმცა მათი შემდგომი განათლების უფლების უზრუნველყოფა ვერ ხდება. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით, „ყველა პატიმარს უნდა მიუწვდებოდეს ხელი განათლებაზე. აღსანიშნავია, რომ პატიმრების განათლება უნდა იყოს გარე სამყაროში მათი ასაკობრივი ჯგუფებისათვის უზრუნველყოფილი განათლების შესაბამისი.“<sup>774</sup> საქართველოს პატიმრობის კოდექსი აღარ ითვალისწინებს უმაღლესი განათლების უფლებას, რასაც სახალხო დამცველი ჯერ კიდევ 2011 წლის ანგარიშში უარყოფითად აფასებდა.<sup>775</sup> მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდის პერიოდში უნდა მიიღოს ან გააღრმავოს შესაბამისი განათლება და პროფესიული უნარ-ჩვევები.

## 9. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მომუშავე კადრების სპეციალიზაცია

შესაბამისი პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მიზნით გადადგმული ცალკეული დადებითი ნაბიჯების მიუხედავად, აღნიშნული საკითხი დღემდე პრობლემურია და გაუმჯობესებას საჭიროებს.

დადებითად უნდა შეფასდეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის განვითარების სტრატეგიის არსებობა 2012–2015 წლებისთვის, რომელშიც, დეტალურადაა გაწერილი ის სასწავლო და სატრენინგო პროგრამები, რომლებიც უნდა გაიარონ სამინისტროს თანამშრომლებმა. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ აღნიშნული სიახლე დადებითად აისახება სასჯელაღსრულების სისტემის პერსონალზე.

### ლ.ჩ.-ს საქმე

2013 წლის სექტემბერში სახალხო დამცველის წარმომადგენლები გაესაუბრნენ №8 საპყრობილეში მყოფ 15 წლის ბრალდებულს, ლ.ჩ.-ს. პატიმარს საუბრისას ეფანტებოდა

<sup>774</sup> „განათლება ციხეში,“ რეკომენდაცია R (89) 12, მეორე პუნქტი: „Education for prisoners should be like the education provided for similar agegroups in the outside world, and the range of learning opportunities for prisoners should be as wide as possible“.

<sup>775</sup> „...აღარ ითვალისწინებს უმაღლესი განათლების უფლებას, უკან გადადგმული ნაბიჯია – სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს იმ პატიმრებს, ვისაც აღნიშნული უფლების განხორციელების პოტენციალი გააჩნიათ.“ სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიში, გვ 327.

გონება, ერეოდა თვეები, ვერ იხსენებდა პირველად რამდენი ხნის წინ დააკავეს ან სად მიიყვანეს, აცხადებდა, რომ მას ჰქონდა განსაკუთრებული ინტერესი მანქანების მიმართ და მრავალჯერ ჰყავდა ისინი მოპარული.

არასრულწლოვნის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის რწმუნებულები გაესაუბრნენ დაწესებულების ფსიქოლოგს, რომელმაც აღნიშნა, რომ ლ.ჩ.-ს, შესაძლოა, ჰქონდეს საშუალო ხარისხის პედაგოგიური ჩამორჩენა ან სხვა ტიპის პრობლემა, რომლის დასადგენად აუცილებელი იყო არასრულწლოვნის სპეციალური სამედიცინო შეფასება. 2013 წლის 15 ოქტომბერს სახალხო დამცველის აპარატმა, ლ.ჩ.-ს საქმის შესახებ დეტალური ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, წერილობით მიმართა საქართველოს პროკურატურას. იმავე შინაარსის განმეორებითი წერილი გაიგზავნა 2013 წლის 4 ნოემბერსაც, რის შემდეგაც, საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 21 ნოემბერის №13/9603 პასუხით გვეცნობა, რომ ლ.ჩ.-ს გამოძიების პროცესში ფსიქიატრიული შემოწმება არ ჩატარებია. ხოლო, 2013 წლის 20 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, არასრულწლოვან ბრალდებულ ლ.ჩ.-სა და ბრალდების მხარეს შორის დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება. ლ.ჩ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა სამი თვის ვადით.

საქმის შემდგომი მოკვლევის მიზნით და იმის გასარკვევად, შეისწავლა თუ არა სასამართლომ ლ.ჩ.-ს საქმის განხილვისას მისი ფსიქიკური მდგომარეობა, თბილისის საქალაქო სასამართლოსგან გამოთხოვილ იქნა ლ.ჩ.-ს სისხლის სამართლის საქმის მასალები. გაირკვა, რომ იმავე ტიპის დანაშაულებრივი ქმედებისათვის – მანქანის ქურდობისთვის (სს კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „“ ქვეპუნქტები) ლ.ჩ. ნასამართლევ იყო 2013 წლის აგვისტოშიც და სასამართლოს განაჩენით, შეფარდებული ჰქონდა პირობით ორი წლის გამოსაცდელი ვადა. აღნიშნული ფაქტიდან ერთ თვეში, 2013 წლის 9 სექტემბერს, ლ.ჩ. განმეორებით დანაშაულის ფაქტზე დააკავეს და შეეფარდა წინასწარი პატიმრობა.

პატრულ-ინსპექტორის პატაკის მიხედვით, მანქანით მოძრაობის წესების დარღვევის გამო, პატრულმა გააჩერა მანქანა, სადაც აღმოჩნდა ლ.ჩ. მისი ჩვენების მიხედვით, მანქანის კარი ღია, ხოლო გასაღები მანქანაში იყო დატოვებული. მან ისარგებლა ამით და მანქანა გაიტაცა.

ლ.ჩ.-ს მის ფაქტობრივ ასაკთან შეუსაბამო მდგომარეობა პირველადი კონტაქტის დამყარებისთანავე ადვილად შესამჩნევია, თუმცა სამსახურებრივი გულგრილობის თუ შესაბამისი კვალიფიკაციის უქონლობის გამო, აღნიშნული გარემოება სისხლის სამართალწარმოების ყველა ეტაპზე სრულად იქნა უგულებელყოფილი.

სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის დადგენას არსებითი მნიშვნელობა აქვს მისი ბრალეულობის განსაზღვრისთვისაც და სასჯელის დადგენისთვისაც. ბრალის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობის შემთხვევაშიც კი,

სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვნის ფსიქიკური განვითარების დონე.<sup>776</sup>

გამომიებისას არასრულწლოვნის სათანადო რესოციალიზაციისა და მომავალში განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია ყველა იმ გარემოების შესწავლა, რამაც იგი მართლსაწინააღმდეგო ქმედებამდე მიიყვანა.

## 10. საჩივრები და განცხადებები

არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, საჩივრითა თუ განცხადებით მიმართვის უფლება ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა. „დაწესებულებაში საჩივრების ყუთი განთავსებული უნდა იყოს დაწესებულების ტერიტორიაზე, ყველა ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის ხელმისაწვდომ ადგილას.“<sup>777</sup>

საჩივრის ყუთები დამონტაჟებულია ყველა იმ სასჯელადსრულების დაწესებულებაში, სადაც არასრულწლოვანი პატიმრები არიან განთავსებულები, თუმცა, ისევე, როგორც წინა წლებში, კვლავ პრობლემად რჩება პატიმრების მხრიდან ამ მექანიზმის ეფექტურობის რწმენა. 2012–2013 წლებში, №8 და №2 დაწესებულებებში მყოფ არცერთ არასრულწლოვანს არ გამოუყენებია საჩივრით ან განცხადებით მიმართვის უფლება. არასრულწლოვანთა №11 სპეციალურ დაწესებულებაში 2013 წლის განმავლობაში საჩივრის ყუთიდან ამოიღეს ორი საჩივარი, ხოლო სოციალურ მუშაკს პირადად გადაეცა ერთი საჩივარი.

მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის დროს არასრულწლოვანმა პატიმრებმა ღიად გამოხატეს უკმაყოფილება ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, ამ პრობლემების გადაჭრის მიზნით საჩივრითა და განცხადებით მიმართვის უფლების გამოყენება მათ არაეფექტურად მიაჩნიათ.

## 11. დროებითი მოთავსების იზოლატორები (დმი)

არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთისას, გასათვალისწინებელია მათი განსაკუთრებულად დაუცველი მდგომარეობა და ამიტომ თავიდანვე უნდა იქნას უზრუნველყოფილი არასრულწლოვანთა სრული პატივისცემა, მათი ღირსებისა და პიროვნული მთლიანობის დაცვა.<sup>778</sup> შესაბამისად, აუცილებელია, არსებობდეს გამართული ინფრასტრუქტურის მქონე დროებითი მოთავსების იზოლატორები. დაკავებულებს უნდა მიეწოდებოდეთ ჰიგიენური ნორმების დაცვით მომზადებული საკმარისი რაოდენობის საკვები. გარდა ამისა, მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება, დაიცვან პირადი ჰიგიენა ისე, რომ არ

<sup>776</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 89.

<sup>777</sup> პატიმრობის კოდექსი, მუხ. 100.

<sup>778</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11, წესი 109.

შეილახოს მათი პატივი და ღირსება. აუცილებელია, არსებობდეს სამედიცინო პუნქტი დაუყოვნებლივი რეაგირებისათვის და არ იყოს საჭირო სასწრაფო დახმარებით სარგებლობა.

მონიტორინგის დროს თბილისის №1 დმი-ს იზოლატორებში არ იმყოფებოდა არცერთი არასრულწლოვანი დაკავებული. ადმინისტრაციის განცხადებით, დაკავებული არასრულწლოვნები თავისუფალი საკნის პრინციპით განთავსდებიან. უფროსი ინსპექტორის განმარტებით, დაკავებულს ნებისმიერ დროს შეუძლია საპირფარეშოთი სარგებლობა, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში შეუძლია შხაპითაც ისარგებლოს. არსებული 7 საკანი ცენტრალური გათბობის სისტემით თბება. საკნებში შუქის ანთება-ჩაქრობა შესაძლებელია მხოლოდ გარედან. დაკავებული უზრუნველყოფილია სამჯერადი კვებით, რისთვისაც შემუშავებულია ყოველდღიური მენიუ. დაწესებულების სამხარეულოში დაცულია ჰიგიენის სტანდარტები. იზოლატორში მუშაობს სამი ექიმი, თუმცა არ მუშაობს არცერთი ფსიქოლოგი. ადმინისტრაციის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში დაკავებულს ფსიქოლოგიურ დახმარებას თავად ექიმები უწევენ.

ქუთაისის დმი-ს საყოფაცხოვრებო პირობები არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. საკნებში არ არის საკმარისი განათება და არასათანადოდ მუშაობს ვენტილაცია. საკნებში განთავსებული საპირფარეშოები არ არის იზოლირებული.<sup>779</sup> ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში საპირფარეშოების იზოლირების რეკომენდაციით, სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2012 წელს მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.<sup>780</sup> დაკავებულებისთვის საკვების ერთჯერადი თეფშებით მიწოდებისას არ არის დაცული ჰიგიენის ნორმები. დმი-ში არ ჰყავთ ექიმი, რის გამოც, საჭიროების შემთხვევაში უწევთ სასწრაფო დახმარების გამოძახება.

## 12. არასრულწლოვანთა განცალკევება

მონიტორინგის დროს გამოკვეთილი პრობლემების ანალიზი ცხადყოფს, რომ მათი უმრავლესობა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ბრალდებული არასრულწლოვნები განთავსებულნი არიან სრულწლოვანთა საპატიმრო დაწესებულებებში. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ასეთმა მიდგომამ არ გაამართლა. ამის დასტურია ის, რომ ამ დაწესებულებებში შეუძლებელია პატიმრების სრული იზოლაცია. არასრულწლოვანი პატიმრების სრულწლოვანი პატიმრებისგან იზოლაცია ვერ ხდება სამედიცინო მომსახურების, სასამართლოზე ბადრაგირების, სუფთა ჰაერის უფლებით სარგებლობის პროცესში. ამასთან, აღნიშნული დაწესებულებების ინფრასტრუქტურა არ არის მორგებული არასრულწლოვნებზე, რის გამოც შეუძლებელია რესოციალიზაციის პროგრამების, მათ შორის განათლების უფლების სრულყოფილი რეალიზაცია.

<sup>779</sup>ევროპული ციხის წესები, წესი 19.3;

<sup>780</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2012 წელი, გვ. 144.



გასათვალისწინებელია, რომ საუბარია ბრალდებულ არასრულწლოვნებზე, რომლებიც კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე უდანაშაულოდ ითვლებიან. მათდამი მიდგომა უნდა იყოს განსაკუთრებული – როგორც უდანაშაულოსადმი.<sup>781</sup> მათი სრული იზოლაციის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე არაერთი საერთაშორისო სტანდარტი მიუთითებს<sup>782</sup>. ბავშვის უფლებათა კონვენციაზე გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარის მიხედვით:

„არასრულწლოვნები არ უნდა მოთავსდნენ სრულწლოვანთა ციხეში ან სხვა შენობაში, რომელიც განკუთვნილია სრულწლოვნებისთვის. პრაქტიკაში გვაქვს ნათელი მაგალითი იმისა, რომ ბავშვების მოთავსება არასრულწლოვანთა ციხეებში ან საპატიმროებში ვნებს მათ უსაფრთხოებას, მომავალში მათ კრიმინალისაგან გათავისუფლებისა და რეინტეგრაციის შესაძლებლობას. დაშვებული გამონაკლისი: „გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან მომდინარეობს,“ უნდა განიმარტოს ვიწროდ. „ბავშვის საუკეთესო ინტერესები არ გულისხმობს სახელმწიფოთა კომფორტს. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მოაწყონ ცალკე შენობები თავისუფლებადკვეთილი ბავშვებისათვის, რომელიც მოიცავს მკაფიო, ბავშვზე ორიენტირებულ პერსონალს, პოლიტიკასა და პრაქტიკას.“<sup>783</sup>

აქედან გამომდინარე, გაუმართლებელია არასრულწლოვან ბრალდებულებსა და სრულწლოვან მსჯავრდებულებს შორის რაიმე ურთიერთობის შესაძლებლობის არსებობა.

### **ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უფლება**

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მოსწავლის უზრუნველყოფა აუცილებელი ცოდნით. ამ მიზნის მისაღწევად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ზოგადი განათლების ღიაობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში, საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ჩართვა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში, ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების და აკრედიტაციის სისტემების ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს სწავლების ხარისხის დადგენისა და შეფასების მეშვეობით ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვას და მართვას.

<sup>781</sup> პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 84.2; ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11, წესი 108.

<sup>782</sup> პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 85; ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11, წესი 59.1; ბავშვის უფლებათა კონვენცია, პუნ. 37, ქვეპუნ. „გ“.

<sup>783</sup> გენერალური კომენტარი No.10 (2007) ბავშვის უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში, პარ. 85.

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრმა შეისწავლა ქვეყნის ტერიტორიაზე საჯარო სკოლებში ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელების მდგომარეობა. ამ მიზნით, ჩატარდა შეხვედრები საჯარო სკოლების დირექტორებთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებსა და მათ მშობლებთან. თბილისის სკოლებში, რენდომული შერჩევის მეთოდით, ჩატარდა გამოკითხვა მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეთა შორის.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სრული ზოგადი განათლების მიღება გულისხმობს სკოლის გამოსაშვები გამოცდების წარმატებით ჩაბარებას. თუმცა საკითხის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ საჯარო სკოლებში ზოგადი განათლების ხარისხობრივი დონე არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სკოლის დამამთავრებელ საფეხურზე საატესტატო გამოცდების წარმატებით ჩაბარება.

ზოგადი განათლების ხარისხობრივი მაჩვენებლის პრობლემა ასახულია ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის, საკონსტიტუციო, სამართლებრივი რეფორმებისა და ადამიანის უფლებების საკითხებში, თომას ჰამარბერგის, 2013 წლის ანგარიშში „საქართველო გარდამავალ პერიოდში“, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ „ქვეყნის მაჩვენებელი ბავშვებისათვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის კუთხით ძალიან დაბალია.“<sup>784</sup>

ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა მწვავე ასპექტებით ვლინდება არასაკმარისი ეკონომიკური შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანთა ოჯახებში.

ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი. შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას. აღნიშნული გეგმის თანახმად, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ძირითადი ამოცანებია: შეუქმნას მოსწავლეს პირობები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების მისაღებად; დაეხმაროს მას მომავალი არჩევანის გასაკეთებლად (სწავლის გასაგრძელებლად და/ან შრომით საქმიანობაში ჩასაბმელად), მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი სრული ზოგადი განათლება.<sup>785</sup>

მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტის მოთხოვნები სათანადოდ იყოს ასახული სასკოლო სახელმძღვანელოში. თავის მხრივ კი

<sup>784</sup> თომას ჰამარბერგი, „საქართველო გარდამავალ პერიოდში – ანგარიში ადამიანის უფლებათა სფეროში: განვლილი პერიოდი, გადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები,“ 2013 წლის სექტემბერი, გვ. 74.

<sup>785</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის ბრძანება №36/წ „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ.“

საგნის მასწავლებელი მოსწავლეს უნდა აწვდიდეს საჭირო ცოდნას იმისათვის, რომ მან დაძლიოს განათლების მიღების შესაბამისი საფეხური.

**რეკომენდაციები:**

*სიღარიბისა და ბავშვთა სიკვდილიანობის მიმართულებით*

საქართველოს მთავრობას:

- სათანადო ყურადღება დაეთმოს ბავშვთა სიღარიბის შემცირებისა და სიღარიბით გამოწვეული ბავშვთა უფლებების დარღვევის საკითხს;
- სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებისას, გაითვალისწინოს ქვეყანაში ამ მიმართულებით არსებული რეალური საჭიროებები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბავშვთა კვებით უზრუნველყოფის კომპონენტს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- მიიღოს ზომები ახალგაზრდა ოჯახების ცნობიერების ასამაღლებლად ბავშვზე ზრუნვის საკითხებში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს რეგიონებს.

*ბავშვთა მიმართ ძალადობის მიმართულებით*

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- განხორციელდეს მასწავლებლების, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის და ბავშვებთან მომუშავე სხვა პროფესიონალობის საგანმანათლებლო ღონისძიებები ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. ხელი შეეწყოს მათი უნარ-ჩვევების გაძლიერებას ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებისათვის;
- ხელი შეეწყოს საჯარო სკოლებში ძალადობის დაძლევის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებას.
- გათვალისწინებულ იქნეს ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალობის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და სასწავლო პროგრამებში ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის საკითხები;
- გაძლიერდეს ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირების მექანიზმი. უზრუნველყოფილ იქნას ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკების აქტიური ჩართულობა;

- დაინერგოს ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის საკონსულტაციო მომსახურებისა და სხვა ტიპის დახმარებაზე ორიენტირებული სერვისები; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების ძალადობისაგან დაცვისა და მათი დახმარების ღონისძიებების განხორციელებას;
- ხელი შეეწყოს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი ნულოვანი ტოლერანტობის ჩამოყალიბებას;
- გაძლიერდეს ბავშვთა ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ქმედებები მათი უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ;

*ბავშვის მშობლებთან ცხოვრების უფლების მიმართულებით*

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მომზადებისა და წარმართვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართვა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ბავშვის მდგომარეობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე, აღსრულების პროცესში და აღსრულების შემდეგ;
- გართულებული აღსრულების შემთხვევაში, პროცესი, შეძლებისდაგვარად, სამართალდამცავი ორგანოების დაუხმარებლად წარიმართოს.
- დაიხვეწოს აღსრულების პროცედურები, მოხდეს ყველა შემთხვევაზე ინდივიდუალური მიდგომის დამკვიდრება და აღსრულების პროცესი ბავშვის ინტერესების შესაბამისად წარიმართოს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:

- უზრუნველყოფილ იქნეს მოსამართლეთა პერიოდული გადამზადება ბავშვთა უფლებებზე, ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, არასრულწლოვანთა უფლებების დაცვისა და სასამართლო გადაწყვეტილებებში მათი ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინებისათვის.

*დევნითა დასახლებებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის მიმართულებით*

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს:

- გატარდეს დროული ზომები იძულებით გადაადგილებულ მოქალაქეთა ადეკვატური საცხოვრებელი უზრუნველსაყოფად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- დევნილი ბავშვების ტრავმატიზაციის ხარისხის შესამოწმებლად, ჩატარდეს საყოველთაო ეპიდემიოლოგიური კვლევა.

- უზრუნველყოფილ იქნეს დევნილი ოჯახებისთვის ფსიქოლოგიური დახმარების ხელმისაწვდომობა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- განიხილოს წილკნის დევნილთა დასახლების არასრულწლოვნების ადგილობრივი სოფლის საჯარო სკოლაში სწავლის განახლების შესაძლებლობა.

*საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის მიმართულებით*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- მოწესრიგდეს მაღალმთიან სოფლებში მდებარე სკოლების ინფრასტრუქტურა, დაიწყოს სკოლის შენობების მდგომარეობის შეფასება და აღმოიფხვრას არსებული პრობლემები, უზრუნველყოფილ იქნეს სკოლების გათბობისა და წყლით მომარაგების საკითხი;
- აღიჭურვოს სკოლები საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლისათვის აუცილებელი თვალსაჩინოებებითა და ლაბორატორიული მოწყობილობებით, ხელი შეეწყოს საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობას კომპიუტერული კლასების ფუნქციონირებისა და სათანადო სპეციალისტების ჩართულობით;
- გადაიხედოს მაღალმთიანი რეგიონების სკოლების დაფინანსების საკითხი, დაიგეგმოს დამატებითი დაფინანსების გაცემა განსაკუთრებული საჭიროების მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის;
- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს განათლების სისტემაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, ამ მიზნით ხელი შეეწყოს სპორტდარბაზების მოწყობას და მოსწავლეთა სპორტული აქტივობების განვითარებას;
- ხელი შეეწყოს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების გზით;
- მასწავლებლებს განუმტკიცდეთ შშმ ბავშვებთან მუშაობის პროფესიული უნარ-ჩვევები და გადამზადდნენ ინკლუზიურ სწავლებასთან დაკავშირებით;
- გადამზადდნენ მასწავლებლები კლას-კომპლექტებში სწავლებასთან დაკავშირებით;
- შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გზით, ზედამხედველობა გაეწიოს და განხორციელდეს პრევენციული ქმედებები ბავშვების მიერ სკოლის მიტოვების ფაქტებსა და ადრეული ქორწინების საკითხებთან დაკავშირებით.



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- ხელი შეეწყო „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის იმპლემენტაციას. განისაზღვროს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც ახორციელებს არასრულწლოვნებისათვის ალკოჰოლისა და თამბაქოს მიყიდვას;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მაღალმთიანი რეგიონების რაიონული ცენტრები აღიჭურვოს შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებებით;
- ხელი შეეწყო ფსიქოლოგის სამტატო ერთეულის გამოყოფას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შშმ ბავშვებთან მუშაობის საკითხებს;
- შეისწავლოს სასმელი წყლის მდგომარეობა ახმეტის რაიონში და მიიღოს ზომები სასმელი წყლით სარგებლობის უსაფრთხოებისთვის;
- ყურადღება მიექცეს აჭარის მაღალმთიან რეგიონში ფარისებრი ჯირკვლის დაავადების დროულ მკურნალობას.

ახმეტის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობას:

- უზრუნველყოფილ იქნეს მოსწავლეთა უსაფრთხოება და გათავისუფლდეს სოფელ ოჟიოსა და სოფელ ქვემო ალვანის სკოლების მიმდებარე ტერიტორიები მოსწავლეთათვის საფრთხის შემცველი მასალებისგან.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრა/სემინარები რაიონებში სკოლის თვითმმართველობის არსისა და ფუნქციების თაობაზე;
- დაიგეგმოს და განხორციელდეს ტრენინგები პროფესიული ორიენტაციის საკითხებზე დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან;
- ხელი შეეწყო კულტურული ღონისძიებების დაგეგმვას, ასევე სახელოვნებო წრეების გახსნა-ფუნქციონირებას მაღალმთიან რეგიონებში.

*არასრულწლოვანი ბრალდებულები/მსჯავრდებულების უფლებების მიმართულებით*

სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს:

- უზრუნველყოფილ იქნეს ბრალდებული არასრულწლოვნების ცალკე, სპეციალურად მათთვის განკუთვნილ დაწესებულებაში გადაყვანა, ამ კატეგორიის პატიმრის ყველა უფლების სათანადო რეალიზაციის მიზნით;
- უზრუნველყოფილ იქნეს ყველა დაწესებულების საკნების სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური განათება, ვენტილაცია და გათბობა;

- უზრუნველყოფილ იქნეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმისაწვდომობა არასრულწლოვანი პატიმრებისათვის;
- უზრუნველყოფილ იქნეს ყველა არასრულწლოვანი პატიმარი სეზონის შესაბამისი ტანსაცმლით დაწესებულებაში ყოფნის სრული პერიოდის განმავლობაში;
- უზრუნველყოფილ იქნეს ზემოთ მითითებულ ყველა დაწესებულებაში საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობის შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
- უზრუნველყოფილ იქნეს №2 და №8 დაწესებულებებში არასრულწლოვანთა განყოფილების სასაერთაშორისო ტერიტორია შესაბამისად აღჭურვილი ინფრასტრუქტურით, მათ შორის, კლიმატური პირობების გათვალისწინებით;
- უზრუნველყოფილ იქნეს №8 და №2 დაწესებულებებში სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება არასრულწლოვანი პატიმრებისთვის;
- უზრუნველყოფილ იქნეს არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მსგავსად, საკანონმდებლო დონეზე არასრულწლოვანი ბრალდებულების კვების რაციონის შედგენა არასრულწლოვანის ასაკობრივი მოთხოვნილებებისა და თავისებურებების გათვალისწინებით;
- უზრუნველყოფილ იქნეს №8 და №2 დაწესებულებებში არასრულწლოვან ბრალდებულთა რესოციალიზაციის, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის აუცილებელი ერთიანი და სისტემური პროგრამები;
- უზრუნველყოფილ იქნეს №2 და №8 დაწესებულებებში პატიმართა ხარისხიანი განათლება და მისი უწყვეტობა.

საქართველოს მთავარ პროკურორს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს:

- უზრუნველყოფილ იქნეს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მომუშავე ყველა პროფესიონალის სათანადო კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევების განვითარება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- უზრუნველყოფილ იქნეს დროებითი მოთავსების იზოლაციის ინფრასტრუქტურის შესაბამისობა საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობასთან;
- უზრუნველყოფილ იქნეს დროებითი მოთავსების იზოლაციის სამედიცინო მომსახურების დროული და შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა.

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- საქართველოს პატიმრობის კოდექსში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები, ყველა კატეგორიის მსჯავრდებულისთვის ვიდეოპაემნის უფლების უზრუნველყოფის მიზნით.

- პატიმრობის კოდექსში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები მსჯავრდებულებისათვის უმაღლესი განათლების მიღების უზრუნველყოფის მიზნით.

*ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უფლების მიმართულებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:*

- შესწავლილი იქნეს განათლების ხარისხის განმსაზღვრელი წინაპირობების არსებობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- ხელი შეეწყოს მასწავლებელთა პერიოდულ პროფესიულ გადამზადებას;
- გაძლიერდეს საჯარო სკოლებში საატესტატო გამოცდების მოსამზადებელი ჯგუფები დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთათვის.

## გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები

საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე კვლავ პრობლემად რჩება გენდერული თანასწორობის მიღწევა. მიუხედავად 2013 წელს საკანონმდებლო, ინსტიტუციურ და სამოქალაქო საზოგადოების დონეზე განხორციელებული არაერთი პოზიტიური ცვლილების და აქტივობისა, საქართველოში გენდერული უთანასწორობის მაჩვენებელი კვლავ მაღალია. გათვალისწინებული იქნა საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების ნაწილი, ხოლო ნაწილი საკითხებისა კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება. გატარებული ღონისძიებების მიუხედავად კვლავ მაღალია ქალთა დისკრიმინაციის მაჩვენებელი დასაქმების ადგილზე, ოჯახში ძალადობა, გენდერული ნიშნით ძალადობა, გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ძალადობა, ადრეული ქორწინების გაზრდილი შემთხვევები და სხვა.

### ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა

გენდერული თანასწორობის მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი. 2013 წლის „გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის“<sup>786</sup> მონაცემებით, საქართველო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მაჩვენებლით 136 ქვეყანას შორის 97-ე პოზიციას იკავებს. საქართველოს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა 11%, მინისტრთა კაბინეტში 21%, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში – 10%-ია.

„გენდერული უთანასწორობის ინდექსის“ მიხედვით, პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებლით საქართველო 102-ე ადგილზეა, ხოლო პარლამენტთაშორისი კავშირის (Inter-Parliamentary Union) მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, 2013 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, 188 ქვეყნის ეროვნულ პარლამენტში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სტატისტიკური მაჩვენებლით, საქართველო 105-ე ადგილს იკავებს.<sup>787</sup> მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ქალთა წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოში 5%-ით გაიზარდა, საქართველო კვლავ რჩება იმ ქვეყნებს შორის, სადაც გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა წარმომადგენლობის დაბალი მაჩვენებელია.

კვლავ დაბალია ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებელი აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ბოლო სამი წლის მონაცემების მიხედვით, ქალი მინისტრების რაოდენობა მინისტრთა კაბინეტში თითქმის უცვლელია. 2011 წლიდან 2012 წლის ჩათვლით მათი რაოდენობა არ აღემატებოდა 16% (სამი მინისტრი ქალი), ხოლო 2013 წელს ქალი მინისტრების რაოდენობამ

<sup>786</sup> იხ. <http://www.weforum.org/reports/global-gender-gap-report-2013> [ბოლოს ნანახია 1.02.2014].

<sup>787</sup> იხ. <http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm> > [ბოლოს ნანახია 1.02.2014].

შეადგინა 21%; დღეისათვის კაბინეტში ოთხი მინისტრი ქალია. აღნიშნული მონაცემებით საქართველო აღმასრულებელ ხელისუფლებაში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებლით 136 ქვეყანას შორის 63-ე ადგილზეა.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი ბოლო ათწლეულში კლებას განიცდის. 1998 წლის არჩევნების შედეგად ქალები შეადგენდნენ საკრებულოს წევრთა 14%, ხოლო 2010 წლის არჩევნების შემდეგ მხოლოდ 10%-ს. ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი განსაკუთრებით დაბალია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული მუნიციპალიტეტების საკრებულოებში. ახალქალაქის, ნინოწმინდას, გარდაბნის, მარნეულისა და წალკის საკრებულოებში არჩეული 148 დეპუტატიდან მხოლოდ 4 ქალია, რაც დეპუტატთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 2,7% შეადგენს და საერთო მაჩვენებელს (10%) საგრძნობლად ჩამორჩება.

აღსანიშნავია, 2013 წელს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობისათვის, საკანონმდებლო მოწესრიგების სრულყოფისაკენ მიმართული ნაბიჯები. 2013 წლის 29 ივლისს საქართველოს ორგანულ კანონში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ 30-ე მუხლს დაემატა 7<sup>1</sup> პუნქტი, რომელიც იმ შემთხვევაში, თუ პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში კანდიდატთა ყოველ ათეულში განსხვავებული სქესი სულ მცირე 30%-ით იქნება წარმოდგენილი, პარტიისათვის დაფინანსებაზე 30%-ის ოდენობით დანამატს ითვალისწინებს.

2013 წელს უწყებათაშორისი თანამშრომლობით შემუშავდა საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობაა. სამოქმედო გეგმა 2014 წლის 24 იანვარს საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დამტკიცდა.<sup>788</sup>

გენდერული მეინსტრიმინგისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია გენდერული თანასწორობის საკითხებზე მრჩევლის პოზიციის შემოღება ინსტიტუციურ დონეზე. 2013 წელს დაინიშნა პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, ასევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მრჩეველი გენდერის საკითხებში. თუმცა უნდა აღინიშნოს აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე გენდერული მეინსტრიმინგის სამომავლო გაძლიერებისა და ხელშეწყობის აუცილებლობა.

2013 წელს სახალხო დამცველის ოფისში შეიქმნა გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი, რომელიც საქართველოში გენდერული თანასწორობის გაძლიერებისათვის, სახალხო დამცველის რეგულარულ უფლებადაცვით საქმიანობაში გენდერული თანასწორობის

<sup>788</sup> იხ. [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=2235622&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2235622&lang=ge) [ბოლოს ნანახია 1.02.2014].



საკითხების ინტეგრირებას უზრუნველყოფს. აღნიშნული ინიციატივით სახალხო დამცველის აპარატი პირველი სახელმწიფო ინსტიტუტია, რომელმაც გენდერული თანასწორობის საკითხებზე სტრუქტურული ერთეულის შექმნა უზრუნველყო. მნიშვნელოვანია სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გამოცდილების გაზიარება და სპეციალური სტრუქტურული ერთეულის შექმნა გენდერული მეინსტრიმინგისათვის. 2013 წელსვე, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით შემუშავდა საქართველოს სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2013-2015 წლებისათვის. სტრატეგია მოიცავს სახელმძღვანელო პრინციპებს სახალხო დამცველის აპარატში გენდერული მეინსტრიმინგისათვის, ხოლო მოქმედებათა გეგმა განსაზღვრავს კონკრეტულ აქტივობებს გენდერული თანასწორობის რეალური მიღწევისათვის. სახალხო დამცველის აპარატი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირებას უფლებადაცვით საქმიანობაში, ასევე მოწინავე ინსტიტუტია ქალთა თანამდებობრივი დაწინაურების მაჩვენებლით.

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს გაძლიერდა სამოქალაქო-საზოგადოებრივი ინიციატივები, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონებში ლიდერი ქალების გაძლიერებასა და მათ მომზადებას 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებისათვის. მნიშვნელოვანია ამ მიზნით შექმნილი გენდერული თანასწორობის ქსელის, კოალიციის ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის და USAID დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქალთა კლუბების საქმიანობა.

გენდერული თანასწორობის ქსელის ინიციატივითა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის მხარდაჭერით შეიქმნა ლიდერ ქალთა მონაცემთა ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებულ პირთათვის, ასევე პოლიტიკური პარტიებისათვის, რომელთაც მიზნად აქვთ დასახული ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობა და 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებში ქალი კანდიდატების მონაწილეობის ხელშეწყობა.

2013 წელს, არასამთავრობო ორგანიზაციის, „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, და კოალიციის, „ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის“, ერთობლივი ძალისხმევითა და ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის, „ოქსფამი“, მხარდაჭერით, გენდერის საკითხებზე სხვადასხვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ 49 მრჩეველი დაინიშნა. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის საკითხის გათვალისწინებას მოქალაქეთა მონაწილეობისას თვითმმართველობის განხორციელების პროცესში.

მიუხედავად აღნიშნული ღონისძიებებისა, ქალთა ჩართულობა პოლიტიკურ და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჯერ კიდევ მინიმალურია.

## ქალთა შრომითი უფლებები

2013 წლის მდგომარეობით ქალთა ეკონომიკური აქტივობა და მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ძალიან დაბალია. „გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის“ მონაცემებით, საქართველო 136 ქვეყანას შორის 64-ე ადგილს იკავებს. ამავე მონაცემებით, საქართველომ წინა წლებთან შედარებით, პროგრესის ნაცვლად უკანა პოზიციაზე გადაინაცვლა, 2012 წლის მონაცემებით ქვეყანა 157-ე პოზიციაზე იყო წარმოდგენილი, ხოლო 2011 წელს 54-ე პოზიციაზე.

ამავე მონაცემების მიხედვით, თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების მაჩვენებლით საქართველო მე-14 ადგილს იკავებს, ქალთა და კაცთა მიღებული წლიური შემოსავლის თანაფარდობის მიხედვით კი - 114-ე ადგილს. ასევე განსხვავდება სქესთა შორის შემოსავლის საშუალო მაჩვენებლის თანაფარდობა. ქალთა სავარაუდო შემოსავალი 3,442, ხოლო კაცის - 8,660 აშშ დოლარს შეადგენს.<sup>789</sup>

ქალთა ეკონომიკური აქტივობა პირდაპირ არის დაკავშირებული მათი დასაქმებულობის მაჩვენებელთან. მიუხედავად საკანონმდებლო მოწესრიგებისაკენ წინ გადადგმული არაერთი პოზიტიური ნაბიჯისა, კვლავ პრობლემას წარმოადგენს ქალთა დაწინაურების, ეკონომიკურ განვითარებაში თანაბარი მონაწილეობისა და სათანადო ანაზღაურების საკითხი. სიღარიბის ფემინიზაციამ და ქალთა მიმართ ძალადობის მაღალმა მაჩვენებელმა განაპირობა ქალების დაბალი ეკონომიკური აქტივობა. მიუხედავად იმისა, რომ ქალების უფრო მეტი რაოდენობაა დასაქმებული, მათი ანაზღაურების საშუალო მაჩვენებელი განსხვავდება კაცის შემოსავლის საშუალო მაჩვენებლისგან, რაც განპირობებულია ქალების დაბალ ანაზღაურებად თანამდებობებზე ყოფნითა და დასაქმების ადგილზე ე.წ. „შუშის ჭერის“ არსებობით, რაც მათ კარიერულ წინსვლას აფერხებს.

მისასალმებელია 2013 წელს ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესებისაკენ მიმართული საკანონმდებლო ინიციატივები. მათ შორის 2013 წლის 27 სექტემბერს, შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებები, რომლის თანახმად გაიზარდა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ხანგრძლივობა და ანაზღაურება. კერძოდ, 2014 წლის 1 იანვრიდან დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება 730 კალენდარული დღის ოდენობით. აქედან ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 200 კალენდარული დღე, რომელიც დასაქმებულს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია გადაანაწილოს ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდებზე.<sup>790</sup> დასაქმებულს, რომელმაც იშვილა ერთ წლამდე

<sup>789</sup> იხ <<http://www.weforum.org/reports/global-gender-gap-report-2013>> [ბოლოს ნანახია 1.02.2014].

<sup>790</sup> 2013 წლის 27 სექტემბრის ცვლილებებამდე დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლეოდა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო – 477 კალენდარული

ასაკის ბავშვი, თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ბავშვის დაბადებიდან 550 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 90 კალენდარული დღე.<sup>791</sup>

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობაა არაუმეტეს 1000 ლარისა, თუმცა დამსაქმებელი და დასაქმებული შეიძლება შეთანხმდნენ დამატებით ანაზღაურებაზე.<sup>792</sup>

მნიშვნელოვანია, რომ 2013 წელს იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა კანონპროექტი „საქართველოს შრომის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, რომელიც უშუალოდ ეხება დასაქმებულ ქალთა შრომით უფლებებს. კანონპროექტის განხილვაში ჩართულები იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, თუმცა საქართველოს პარლამენტში ის ჯერ არ არის წარდგენილი.

ზემოაღნიშნული განხორციელებული და დაგეგმილი ცვლილებების მიუხედავად, კვლავ რჩება პრობლემური საკითხები, რომელიც რეგულირებად სფეროში ვერ ექცევა და საჭიროებს საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას.

მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ოჯახური ვალდებულებების მქონე დასაქმებული ქალებისათვის, რათა შრომით ბაზარზე დროებითი არყოფნის შემდეგ, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ორსულობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობით, ისევ დარჩეს კონკურენტუნარიანი და იყოს ჩართული ინტეგრირებულ შრომით ბაზარზე.

2013 წელს, საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან ორსულ ქალთა გათავისუფლების ფაქტები. ისინი უმეტეს შემთხვევაში პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდნენ, თუმცა სახალხო დამცველის მიერ საქმის შესწავლის შედეგებმა ცხადყო, რომ განცხადებები მოტყუებით იყო დაწერილი. უხილავი დისკრიმინაციის ფაქტების გამო გათავისუფლებულებს არ გააჩნდათ დამადასტურებელი მტკიცებულებები, რის გამოც ვერ მოხერხდა პრობლემის სამართლებრივი გადაწყვეტა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა

---

დღის ოდენობით. აქედან ანაზღაურებადი იყო 126 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 140 კალენდარული დღე;

<sup>791</sup> 2013 წლის 27 სექტემბრის ცვლილებებამდე დასაქმებულს, რომელმაც იშვილა ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლეოდა შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო – ბავშვის დაბადებიდან 365 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 70 კალენდარული დღე;

<sup>792</sup> 2013 წლის 27 სექტემბრის ცვლილებებამდე ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ანაზღაურდებოდა არაუმეტეს 600 ლარის ოდენობით.

რეკომენდაციით მიმართა თელავისა და ქარელის მუნიციპალიტეტებს, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აღნიშნული არ გაუთვალისწინებიათ.

გარდაუვლად მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „დედობის დაცვის შესახებ“ 183-ე კონვენციის რატიფიკაციის შესახებ წარმოდგენილი რეკომენდაციის, გათვალისწინება, რადგან აღნიშნული კონვენცია არეგულირებს ზემოაღნიშნულ პრობლემას. კერძოდ, აღნიშნული კონვენციის საფუძველზე მიღებული №191 რეკომენდაციის მე-8 მუხლი ითვალისწინებს დებულებას სამუშაო ადგილის შენარჩუნებისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, რომლის მიხედვითაც დამსაქმებლის მიერ ქალის სამსახურიდან გათავისუფლება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების პერიოდში და მისი სამსახურში დაბრუნების შემდეგ არაკანონიერად ითვლება. ასეთ შემთხვევაში დამსაქმებელს ეკისრება მტკიცების ტვირთი იმის დასადასტურებლად, რომ გათავისუფლება დაკავშირებული არ არის ორსულობასთან, მშობიარობასთან ან ბავშვის მოვლასთან.

აღნიშნული რეგულაციის არსებობა სამართლებრივი საფუძველი იქნებოდა შესაძლო დისკრიმინაციის გამოვლენისათვის, რადგან ხშირ შემთხვევაში დასაქმებული მოკლებულია შესაძლებლობას ჰქონდეს მტკიცებულება, დისკრიმინაცია კი უმეტეს შემთხვევაში უხილავია.

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის, „ოქსფამი“, ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო სპეციალური ანგარიშის მომზადება ქალთა მიმართ დასაქმების ადგილზე არსებული დისკრიმინაციული მიდგომების გამოსავლენად.<sup>793</sup> კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ხშირია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის შემთხვევები წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, როდესაც ქორწინების სტატუსის მიხედვით, შესაძლო ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის შვებულებისაგან თავის ასარიდებლად ქალს უარს ეუბნებიან დასაქმებაზე. კვლევამ გამოავლინა, რომ მიზანშეწონილია წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ეტაპზე დისკრიმინაციის პრევენციის მიზნით შრომის კოდექსში ჩაიდოს ნორმა, რომელიც განსაზღვრავს დამსაქმებლის უფლებამოსილებას, კანდიდატისგან მიიღოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ უკავშირდება იმ ფუნქციების განხორციელებას, რაც გათვალისწინებულია კონკრეტული ვაკანტური ადგილის სამუშაო აღწერილობით.

კვლევის შედეგების მიხედვით, ხშირია სექსუალური შევიწროების შემთხვევები დასაქმების ადგილზე, თუმცა აღნიშნული კვლავ ტაბუდადებულ თემად რჩება, მასზე არ საუბრობენ და არც შესაბამისი რეაგირება მოჰყვება. სწორედ ამიტომ აუცილებელია შემუშავდეს სექსუალური შევიწროების, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი სახის დეფინიცია, მოქმედი საერთაშორისო დებულებების, კულტურულ/ტრადიციული ღირებულებების და

<sup>793</sup> კვლევა ჩატარდა ორგანიზაციის, „ქეა საერთაშორისო“ და დამოუკიდებელი ექსპერტის - რაისა ლიპარტელიანის მიერ, კვლევის საბოლოო შედეგები 2014 წლის აპრილში გამოქვეყნდება.

შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების გათვალისწინებით. სექსუალური შევიწროება კი უნდა აიკრძალოს და შემუშავდეს ადეკვატური სანქციების სისტემა.

## გენდერული ნიშნით ძალადობა

### ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მონობის თანამედროვე ფორმაა, რომლის ჯაჭვებიც უჩინარია. ტრეფიკინგის მსხვერპლი მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი ხდება. შრომით ტრეფიკინგთან ერთად აქტუალურია ქალებით ვაჭრობის ისეთი ფორმები, როგორცაა სექსტრეფიკინგი.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) განიხილება როგორც გენდერული ძალადობის ერთ-ერთი ფორმა. პეკინის სამოქმედო პლატფორმა ტრეფიკინგს და იძულებით პროსტიტუციას გენდერული ძალადობის სხვა ფორმებთან ერთად განიხილავს და სახელმწიფოებს მოუწოდებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქალთა ისეთ დაუცველ ჯგუფებს, როგორებიც არიან მიგრანტი მშრომელები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები.

2003 წლიდან საქართველოში ტრეფიკინგი სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა,<sup>794</sup> შემუშავებულია კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ; ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა და ინსტიტუციურ დონეზე მოქმედებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლ და დაზარალებულ მოსახლეობას სხვადასხვა მომსახურებას სთავაზობს. მათ შორისაა: ცხელი ხაზი, იურიდიული კონსულტაცია, სამედიცინო მომსახურება, თავშესაფრით უზრუნველყოფა. 2013 წელს ფონდის მომსახურებით ისარგებლა 34-მა ბენეფიციარმა. მათ შორის 30 ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსის მქონეა და 4 დაზარალებული. თავშესაფრით ისარგებლა 5-მა ბენეფიციარმა, სამედიცინო მომსახურებით 2-მა, ხოლო კომპენსაცია გაიცა 21 ბენეფიციარზე.<sup>795</sup>


საქართველოს სახალხო დამცველისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკის მიხედვით 2013 წელს გამოვლინდა ადამიანით ვაჭრობის 5 შემთხვევა, რომელთაგან ყველა შემთხვევა გაიხსნა. თვალს თუ გადავავლებთ წინა წლების ადამიანით

<sup>794</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი 143<sup>1</sup> და 143<sup>2</sup>:

<sup>795</sup> ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის, 2013 წლის 23 დეკემბრის წერილი №07/1587.



ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების იდენტიფიცირებისა და შემდგომი რეაგირების სტატისტიკას, ასე გამოიყურება:



მნიშვნელოვანია, რომ წინა წლების მონაცემებისგან განსხვავებით 2013 წელს შესაძლებელი გახდა ყველა იდენტიფიცირებული შემთხვევის გახსნა, თუმცა სხვადასხვა კვლევები, თუ ანგარიშები სახელმწიფოს შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და დახმარებისაკენ მიმართული ღონისძიებების გაძლიერების რეკომენდაციით მიმართავს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2013 წლის ანგარიში ტრეფიკინგის საკითხებზე აქცენტს აკეთებს სამი მიმართულებით: გამოძიება, დაცვა, პრევენცია და საქართველოს სახელმწიფოს მიუთითებს იმ დაბრკოლებებსა და გამოწვევებზე, რის წინაშეც ადამიანით ვაჭრობის საკითხებში დგას. ანგარიშის მიხედვით: გოგონები და ქალები საქართველოდან არიან სექსუალური ტრეფიკინგის მსხვერპლნი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე - თურქეთში, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში და შედარებით მცირე მასშტაბით - ეგვიპტეში, საბერძნეთში, რუსეთში, გერმანიაში და ავსტრიაში. ქალები უზბეკეთიდან იძულებით არიან ჩართულნი პროსტიტუციასა და სექსინდუსტრიაში საქართველოში, კერძოდ, ისეთ ტურისტულ ადგილებში, როგორცაა ბათუმი და გონიო.<sup>796</sup>

### ოჯახში ძალადობა

ოჯახში ძალადობა ყველა ტიპის საზოგადოებაში პოულობს გამოხატულებას. 2013 წელი კვლავ დატვირთული იყო ოჯახში ძალადობის შემთხვევებით. მიუხედავად ცნობიერების

<sup>796</sup> იხ. <<http://www.state.gov/documents/organization/210739.pdf>> [ბოლოს ნანახია 1.02.2014].

ამაღლებისაკენ მიმართული არაერთი კამპანიის, საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარანტიების შექმნის და ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაციისა, საზოგადოება კვლავ ცხოვრობს სტერეოტიპულ გარემოში, სადაც უმრავლეს შემთხვევაში ქალის მიმართ ოჯახში ძალადობა გამართლებული ქმედებაა. კვლავ დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ ოჯახში ძალადობისას გაუმართლებელია გარეშე პირთა ჩარევა, რადგან აღნიშნული საკითხი მხოლოდ ჩაკეტილ სოციალურ წრეში - ოჯახში უნდა განიხილებოდეს.

2013 წლის აგვისტო-სექტემბერში გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევა - „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღქმა თბილისში, კახეთსა და ზემო სვანეთში“. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა: 77,8%-ს ოჯახში ძალადობა ძალზე ან საკმაოდ ხშირ მოვლენად მიაჩნია; 9,6% აქვს გარკვეული შიში იმისა, რომ მისი ახლობელი შეიძლება გახდეს ძალადობის მსხვერპლი; 14% ამართლებს ცოლისადმი ძალადობას იმ შემთხვევაში, როდესაც ცოლი ყურადღებას არ აქცევს შვილებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით, სსიპ - „112“-ის გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში, 2013 წლის პირველი იანვრიდან 30 დეკემბრამდე ოჯახურ კონფლიქტთან დაკავშირებით არსებული გამოძახებების საერთო რაოდენობა არის 5 447, აქედან 358 შემთხვევა იდენტიფიცირდა როგორც ოჯახში ძალადობა, ხოლო 212 შემთხვევაში გამოცა შემაკავებელი ორდერი.<sup>797</sup> რეგისტრირებული შემთხვევებიდან დაფიქსირდა ძალადობის შემდეგი მონაცემები: ფიზიკური - 139; ფსიქოლოგიური - 188; ეკონომიკური - 18 და იძულება - 13. სექსუალური ძალადობის არცერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ძალადობის ისეთი სასტიკი ფორმა, როგორცაა მკვლელობა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით 2013 წელს საქართველოში დაფიქსირდა ქალთა მკვლელობის 21 შემთხვევა, მათ შორის ქმრის მიერ ცოლის - 8, შვილის მიერ დედის - 1.

2013 წელს საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებულმა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა განიხილა 30 შემთხვევა. მათგან 27 პირს (25 ქალი, 2 მამაკაცი) მიენიჭა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი ადმინისტრირებას უწევს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებს (თბილისი, გორი და ქუთაისი) და სხვა სერვისებს. ფონდის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,<sup>798</sup> 2013 წელს თავშესაფრის მომსახურებით

<sup>797</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, 2014 წლის 22 იანვრის წერილი №138331.

<sup>798</sup>ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის, 2013 წლის 23 დეკემბრის წერილი №07/1587.

ისარგებლა 34 სრულწლოვანმა და 53 არასრულწლოვანმა პირმა. ქუთაისში დასრულდა ახალი, 17 ადგილიანი თავშესაფარის აღჭურვა. გარდა თავშესაფრით სარგებლობისა, მსხვერპლებს გაეწიათ შემდეგი სახის დახმარება: სამედიცინო - 13 სრულწლოვანი, 18 არასრულწლოვანი; ფსიქოლოგიური - 32 სრულწლოვანი, 30 არასრულწლოვანი; იურიდიული - 25 სრულწლოვანი; ინდივიდუალური კონსულტაცია - 50 პირი.

ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზის მომსახურებით ისარგებლა 776-მა პირმა. ყურადსაღებია, რომ ამ დრომდე ცხელი ხაზით მომსახურება უფასოა მხოლოდ სილქნეტის ქსელის აბონენტებისათვის. მიმდინარეობს პროცესი ცხელი ხაზის უფასო მომსახურების უზრუნველყოფისათვის და მნიშვნელოვანია, ეს საკითხი დროის უმოკლეს პერიოდში გადაწყდეს.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ოჯახში ძალადობის საკითხებზე სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების კუთხით. გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით მულტიდისციპლინურმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა „მინიმალური სტანდარტები ექიმებისთვის ქალების და ბავშვების მიმართ ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის გამოვლენის, რეფერალის და დოკუმენტირების საკითხებზე“. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანიც არის ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში სოციალური მუშაკის როლის კონცეფციის შემუშავება.

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ჩაატარა კვლევა - ოჯახში ძალადობის აღსაკვეთად, სამართალდამცავი/სასამართლო სტრუქტურების მიერ გამოცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერების აღსრულების მონიტორინგი. მონიტორინგის საბოლოო შედეგები საზოგადოებისათვის უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი.

მიუხედავად აღნიშნული პოზიტიური ნაბიჯებისა, კვლავ პრობლემად რჩება ოჯახში ძალადობის საკითხებზე უწყებათაშორისი კოორდინაციის საკითხი და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისათვის ეფექტური ღონისძიებების განხორციელება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა კოორდინირებული ქმედებები ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირებისა და დამცავი/შემაკავებელი ორდერების შესრულების მონიტორინგის პროცესში ისეთი დაუცველი ჯგუფების მიმართ როგორც შშმ, ხანდაზმული და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პირები არიან.

## ე. მ.-ს საქმე

2013 წელს სახალხო დამცველს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქემ, ე.მ.-მ, მიმართა. განმცხადებლის ინფორმაციით, ის განიცდიდა სისტემატიური ხასიათის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას ძმის, მისი მეუღლისა და ძმის შვილებისაგან. ჩაკეტილი იყო

ოთახში, სადაც არ იყო ცხოვრებისათვის ადეკვატური პირობები. კერძოდ, არ მიეწოდებოდა წყალი, ელექტროენერგია და დაზიანებული იყო კიბის საფეხურები. აღნიშნულ ძალადობის ფაქტებზე გამოცემული იყო დამცავი ორდერი, თუმცა განმცხადებლის ინფორმაციით, ოჯახის წევრები არღვევდნენ დამცავი ორდერით განსაზღვრულ პირობებს და თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობდა. აღნიშნულ ფაქტზე რეაგირებისათვის სახალხო დამცველის აპარატმა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სოციალური მომსახურების ცენტრს მიმართა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დეკემბერში მოინახულეს ე.მ. და მის მიმართ ძალადობის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად კი, დეკემბერში მათი ვიზიტის დროს ე.მ.-სთან შესვლა გართულებული იყო ოჯახური კონფლიქტის გამო. მასთან შესვლა სოციალურმა მუშაკმა მხოლოდ საპატრულო პოლიციის გამოძახების შემდეგ შეძლო. მოცემულ შემთხვევაში დროის ერთი და იგივე მონაკვეთში მოწოდებული ინფორმაცია განსხვავებულ სურათს იძლეოდა, რაც მიუთითებს სერვისის მიმწოდებელთა არაკოორდინირებულ ქმედებებზე. სახალხო დამცველის მიერ გაიცა წინადადება ოჯახში ძალადობის ფაქტზე დამტკიცებული დამცავი ორდერის შესრულების შემდგომი მონიტორინგისათვის.

#### **ი.გ.-ს საქმე**

2013 წელს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ი.გ.-მ. განცხადების თანახმად, ი.გ. 2011 წლის შემდეგ ყოფილი მეუღლის მხრიდან სისტემატიურად არის ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. იკვეთება ქუჩაში ფიზიკური შეურაცხყოფის არაერთი შემთხვევა. გამოცემულია დამცავი და შემაკავებელი ორდერები, თუმცა ი.გ. მუდმივი მუქარისა და ძალადობის შიშით თავს დაცულად ვერ გრძნობს. სახალხო დამცველის აპარატმა საქმის ყოველმხრივი შესწავლის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა. მოწოდებულმა ინფორმაციამ დაადასტურა განცხადებაში მოყვანილი ფაქტები, რომელიც რამდენიმე წელია გრძელდება. პოლიციამ ოჯახში ძალადობის ყველა შემთხვევის დროს გამოიყენა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დაცვის მექანიზმები (დამცავი და შემაკავებელი ორდერები), მოძალადემ არაერთხელ დაარღვია ორდერით გათვალისწინებული პირობები, თუმცა მხოლოდ ერთხელ იქნა გამოყენებული ადმინისტრაციული პატიმრობა, რაც ცხადია ვერ უზრუნველყოფდა მსხვერპლის ეფექტურ დაცვას. სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, უზრუნველყო ეფექტური ღონისძიების გატარება, რათა ი.გ.-ს შეძლებოდა ძალადობისგან თავისუფალ, დაცულ გარემოში ცხოვრება.

#### **თ.ლ.-ს საქმე**

2013 წელს სახალხო დამცველს, ფაქტობრივ თანაცხოვრებაში მყოფი პირისაგან განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების თაობაზე, განცხადებით მიმართა თ. ლ.-მ. კერძოდ, განმცხადებლის ინფორმაციით, პ. ს. მას 3 წლის განმავლობაში ამყოფებდა ტყის პირა სახლში, სადაც თ. ლ. შინაურ ცხოველებს უვლიდა. ამ ხნის განმავლობაში ის

არაერთხელ გახდა ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. თ.ლ.-ს ინფორმაციით, მას 2013 წლის ოქტომბრის თვეში მიენიჭა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი, რაც დაადასტურა ოჯახში ძალადობის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭომ. სახალხო დამცველის აპარატმა შესაბამისი რეაგირებისათვის მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს. მოწოდებული ინფორმაციის თანხმად, „თ.ლ ფსიქიურად შეშლია და ბოლო წლების განმავლობაში ინტერესს იჩენს პ.ს.-ს მიმართ, აღნიშნული საფუძველით კი ახორციელებს სასიყვარულო ხასიათის ზარებს“. სახალხო დამცველის მოთხოვნა - წარმოედგინათ თ.ლ.-ს ფსიქიკური ჯანმრთელობის შესაბამისი დასკვნა და დაედასტურებინათ ზარების განხორციელება, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ უზრუნველყო. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი უწყებათაშორისმა კომისიამ მიანიჭა, რისთვისაც თ.ლ.-მ გაიარა ყველა სათანადო პროცედურა (მათ შორის სოციალურ მუშაკთან და ფსიქოლოგთან გასაუბრების პროცედურა, საკითხის განხილვა სხვადასხვა უწყების წარმომადგენელთა მონაწილეობით), შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია არ ადასტურებს ძალადობის არსებობას, რაც ეჭვქვეშ აყენებს ამ სტატუსის მინიჭების ან/და მოწოდებული ინფორმაციის სისწორეს. შემამფოთებელია განმცხადებლის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე დაუსაბუთებლად მითითების ფაქტი

### **ქალთა შევიწროება (ჰარასმენტი)**

კვლავ დაბალია საზოგადოების ცნობიერება ქალთა შევიწროების შესახებ, რაც განაპირობებს საზოგადოებრივი აქტივიზმის სიმცირეს შევიწროების გამოვლენისა და მისი აღმოფხვრის საქმეში. ხშირ შემთხვევაში შევიწროების ისეთი ფორმები, როგორიცაა: ქუჩის შევიწროება, სამოქალაქო ტრანსპორტში შეურაცხმყოფელი ქმედება - ძალადობად არ მიიჩნევა და საზოგადოების მხრიდან შესაძლოა „მოსაწონ“ ქმედებად არა, მაგრამ არც სამართალდარღვევად განიხილება. საზოგადოება ხშირად არის არატოლერანტული შევიწროების მსხვერპლის მიმართ და ის ორმაგ დისკრიმინაციას განიცდის. რიგ შემთხვევებში კი თავად მსხვერპლი ვერ აცნობიერებს მის მიმართ განხორციელებულ ძალადობას ან ირჩევს ითმინოს იგი, საზოგადოების მხრიდან გაკიცხვისაგან თავის ასარიდებლად.

2013 წელს სახალხო დამცველისათვის ცნობილი გახდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ქალთა შევიწროების ფაქტების შესახებ, რაც გამოხატული იყო მათი ღირსების შეურაცხმყოფელ ქმედებებში, თუმცა აღნიშნული საკითხების შესწავლისას არასათანადო ყურადღება ეთმობოდა გენდერული თანასწორობის საკითხის განხილვას. მნიშვნელოვანია, რომ გამოძიებისა და საქმის წარმოების ყველა ეტაპზე ასეთი დარღვევები საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასთან ერთად განხილულ იქნას, როგორც გენდერული ძალადობა, გამოხატული ქალთა შევიწროების ფორმით.



ცნობილია სექსუალური შევიწროების ფაქტების შესახებ, თუმცა საკმარისი რაოდენობის თუ შინაარსის დოკუმენტაციის და კვლევების არარსებობა ხელს უშლის ქმედითი სტრატეგიის შემუშავებას. საზოგადოებაში არსებული შეხედულებები კი ხელს უშლის ასეთი ფაქტების გამოვლენას და შესაბამის სამართლებრივ რეაგირებას.

მნიშვნელოვანია სახელმწიფო უწყებების მხრიდან გატარდეს ყველა სათანადო ღონისძიება ქალთა შევიწროების ფაქტების აღმოფხვრისა და დაზარალებულთა დაცვისათვის. კერძოდ, გაძლიერდეს დაცვის ღონისძიებები როგორც საჯარო, ისე სამოქალაქო სფეროებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს უსაფრთხოებისა და უშიშროების დაცვას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ტრანსპორტსა და ქუჩებში.

### **ადრეული ქორწინება**

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მონაცემების მიხედვით, 18 წელს მიუღწეველი დაახლოებით 14 მილიონი გოგო ქორწინდება ერთი წლის განმავლობაში, 38 000 ერთ დღეს, 13 გოგონა კი 30 წაშში. საქართველოში არსებული სიტუაციაც არანაკლებ მძიმეა. განსხვავებულია სიტუაცია საქართველოს რეგიონებში, ასევე განსხვავდება სტატისტიკა, თუმცა შედეგი ერთია - კვლავ დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს გოგონათა ადრეული ქორწინება. განსაკუთრებით შემამფოთებელია იძულებითი ქორწინების შემთხვევები, რაც მოტაცების ან მშობლებს შორის გარიგების შედეგია.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში წარმოადგინა ადრეული ქორწინების შესახებ ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა. ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, 2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის იანვრამდე საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში საბაზო საფეხურის დასრულებამდე 7 367 გოგონამ შეწყვიტა განათლების მიღება, რისი მიზეზიც უმრავლეს შემთხვევაში ადრეული ქორწინებაა. განათლების შეწყვეტის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ქვემო ქართლის რეგიონში. მიუხედავად ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციებისა, ადრეული ქორწინების თემა კვლავ აქტუალურია და სამწუხაროდ ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება ადრეული ქორწინების საკითხებზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო და პრევენციის ღონისძიებების ჩატარებაა. 2013 წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქვემო ქართლის რეგიონს, რადგან გოგონათა მიერ სკოლის მიტოვების ყველაზე მეტი შემთხვევა ფიქსირდება. ჩატარდა რამდენიმე საჯარო დისკუსია, სოფლებში გასვლითი ვიზიტები და საინფორმაციო შეხვედრები ახალგაზრდებთან.

შესწავლის შედეგების მიხედვით გოგონათა მიერ სკოლის მიტოვების ძირითადი მიზეზი ქორწინებაა, რაც ზოგ შემთხვევაში თავად არასრულწლოვნის, რიგ შემთხვევებში - მისი

მშობლების გადაწყვეტილებაა. ახალგაზრდების მიერ დასახელებული მიზეზებიდან კი ყველაზე აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. ერთ-ერთი გოგონას ინფორმაციით, „ჩემი მეგობარი ისეთ გაჭირვებაში ცხოვრობდა, საჭმლის საშოვნელად გარეთ უწევდა სიარული. გათხოვდა და იცის, რომ მომავალი გარანტირებული აქვს, მშვიერი მაინც აღარ იქნება“. შემამფოთებელია, რომ საზოგადოება რიგ შემთხვევებში, თუ ეს აუმჯობესებს გოგონას სოციალურ მდგომარეობას, ამართლებს ადრეულ ქორწინებას, თუმცა ხშირ შემთხვევაში მათ უბრალოდ არ იციან ადრეული ქორწინების რისკების შესახებ.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ლაგოდეხის რაიონის კაბალის თემში. სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის შედეგების მიხედვით ბოლო პერიოდში 20-ზე მეტი ადრეული ქორწინების შემთხვევა დაფიქსირდა, განსაკუთრებით მაღალია იძულებითი ქორწინების შემთხვევები, გოგონათა მოტაცება და გარიგებით ქორწინება.

კაბალის №1 საჯარო სკოლაში საინფორმაციო შეხვედრისას მიღებული ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ გოგონები დამამთავრებელ კლასებში განათლების მიღებას წყვეტენ და არ დადიან სკოლაში, რადგან დიდია მათი მოტაცების რისკი. 2014 წლის იანვარ-თებერვალში მოტაცების 3 ფაქტი დაფიქსირდა. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის დირექტორიც. ერთ-ერთი გოგონას ინფორმაციით: „ჩვენი სოფლიდან ერთი გოგო მამამ 10 ძროხად მიჰყიდა 45 წლის კაცს, ამ გოგოს არ უნდოდა ამ კაცზე გათხოვება და სხვასთან ერთად გაიპარა სახლიდან“. მეორე გოგონა ამბობს: „ჩემ მშობლებს ვეუბნები, თუ ძალით გამათხოვებენ, თავს მოვიკლავ. ამას ყოველდღე ვუმეორებ, რომ არ გამათხოვონ“.

მთავარ პრობლემას წარმოადგენს შესაბამისი უწყებების მხრიდან არასათანადო ყურადღება. კაბალის თემში არ იციან, ვის უნდა მიმართონ ბავშვის უფლების დარღვევის შემთხვევაში. გოგონათა გასხვისება შინაური ცხოველებისა და ფულის სანაცვლოდ ამ თემში დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია უწყებათაშორისი კოორდინაცია. მნიშვნელოვანია გააქტიურდეს სოციალური სამსახური, პოლიცია და საგანმანათლებლო დაწესებულებები.

მიუხედავად არსებული სამართლებრივი რეგულაციებისა, პრაქტიკა განსხვავებულ შედეგს იძლევა. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სკოლის მიტოვების შემთხვევაში არ მიეთითება განათლების შეწყვეტის მიზეზი, რაც სირთულეს ქმნის ადრეული ქორწინების რეალური სტატისტიკის დათვლისას. სკოლის მიტოვების ყველა შემთხვევის მიზეზი რა თქმა უნდა არ არის ქორწინება, თუმცა პრაქტიკით მყარდება არსებული მოსაზრებების სიზუსტე.

ადრეული ქორწინება, როცა იგი უკავშირდება განათლების მიღების შეწყვეტას და პროფესიის არ მიღებას, მთელ რიგ პრობლემებს ქმნის ოჯახში ძალადობის შემთხვევებში, რადგან ეს გოგონები მოკლებული არიან დასაქმების და დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობას.

სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ გაძლიერდეს ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული აქტივობები და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მასწავლებლების, მშობლებისა და სამართალდამცავი უწყებების ცნობიერების ამაღლებას ადრეული ქორწინებით გამოწვეული პრობლემებისა და ქვეყანაში არსებული სამართლებრივი რეგულაციების შესახებ.

### **ქალთა მოწყვლადი ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა**

2013 წლის მდგომარეობით ქალთა ეკონომიკური აქტივობა და მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ძალიან დაბალია. „გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის“<sup>799</sup> მონაცემებით საქართველო 136 ქვეყანას შორის 64-ე ადგილს იკავებს 136 ქვეყანას შორის. კვლავ დაბალია ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი, რომლის მიხედვით, ქვეყანა 126-ე პოზიციაზეა. აღნიშნული გარემოს ფონზე სულ უფრო მძიმეა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელ ქალთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მათ შორის მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების.

განსაკუთრებული მოწყვლადობით გამოირჩევა მარტოხელა დედათა მდგომარეობა. საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა მარტოხელა დედის სტატუსის განმარტებას და შესაბამისად ქვეყანაში მათ დასახმარებლად არც სახელმწიფო პროგრამები მოქმედებს. სტატუსის განუსაზღვრელობა, თავის მხრივ, ოფიციალური სტატისტიკის არარსებობას იწვევს. პირობითად, თუ მარტოხელა დედად მივიჩნევთ პირს, რომლის შვილის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის მითითებული მამა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, 2013 წელს დაბადებული 1 382 ახალშობილის დაბადების აქტის ჩანაწერში მამის მონაცემები მითითებული არ არის, რაც ნიშნავს, რომ არსებულ მონაცემებს 1 382 მარტოხელა დედა ემატება.<sup>800</sup>

მარტოხელა დედის ტერმინი გვხვდება საქართველოს ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებაში „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც მარტოხელა დედა არის პირი, რომელსაც არ ჰყოლია მეუღლე, ან ქვრივია და ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილ(ებ)ი. აუცილებელია მას გააჩნდეს ქორწინებისა და მეუღლის გარდაცვალების მოწმობა, ხოლო, მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში ბავშვის დაბადების მოწმობა.<sup>801</sup> აღნიშნული დეფინიცია არეგულირებს მხოლოდ სოციალური დახმარებების გაცემის წესთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობას, შესაბამისად კომპეტენციის ფარგლები არ ვრცელდება სხვა ტიპის სამართლებრივ ურთიერთობებზე.

<sup>799</sup> იხ. <<http://www.weforum.org/reports/global-gender-gap-report-2013>> [ბოლოს ნანახია 1.02.2014].

<sup>800</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2014 წლის 3 იანვრის წერილი №7;

<sup>801</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 141/ნ (მუხ. 7, ქპ. „ვ“);

ასეთივე ვიწრო კომპეტენციის დეფინიციას იძლევა საქართველოს საგადასახადო კოდექსი. კერძოდ, 82-ე მუხლის მიხედვით საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლებულ პირთა წრის ჩამონათვალში მოცემულია მარტოხელა დედაც: საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მარტოხელა დედის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე.<sup>802</sup> აღსანიშნავია, რომ საგადასახადო კოდექსში არსებული დათქმის შესაბამისად 2014 წლის 1 იანვრიდან მოიხსნა რაოდენობრივი ლიმიტი და რასაც არ უნდა შეადგენდეს, მარტოხელა დედის შემოსავალი არ დაიბეგრება.

ზოგადი ხასიათის პრობლემას წარმოადგენს ის, რომ საქართველოში მარტოხელა დედობა უკავშირდება არა მხოლოდ მამის მხრიდან ბავშვის არსებობის უგულვებელყოფას და პასუხისმგებლობისთვის თავის არიდებას, არამედ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან გულგრილობას. ერთი მხრივ, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულება და მეორე მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან დახმარებისაკენ მიმართული პროგრამების არარსებობა მარტოხელა დედების უკიდურესად მძიმე უფლებრივ და მატერიალურ მდგომარეობას განაპირობებს.

ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, რათა უზრუნველყონ, რომ საოჯახო აღზრდა გულისხმობდეს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორ გაგებას და ბავშვის აღზრდისა და განვითარების საქმეში მამაკაცისა და ქალის საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას, ბავშვის უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით. ამავე კონვენციის თანახმად, ბავშვის აღზრდა მოითხოვს მამაკაცისა და ქალის, აგრეთვე მთლიანად საზოგადოებას შორის პასუხისმგებლობის გადანაწილებას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ხშირ შემთხვევაში ქალებს მარტოებს უწევთ ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის აღება.

პრობლემას წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ, 2006 წლის 15 აგვისტოს, საქართველოს მეორე და მესამე პერიოდული ანგარიშების განხილვის დროს, კონვენციის მონაწილე ქვეყნის მიმართ გაცემული რეკომენდაციის შესრულება, რომლის მიხედვითაც: „კომიტეტი ითხოვს გენდერული საკითხის გათვალისწინებას სიღარიბის აღმოფხვრის ყველა სახელმწიფო პროგრამასა და სტრატეგიაში და განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობას ქალთა დაუცველ ჯგუფებზე, inter alia მარტოხელა და ოჯახის მარჩენალ ქალებზე“.

აღსანიშნავია, რომ ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის მიერ ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოსა და USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „სისტემური ცვლილებების

<sup>802</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 82, ნაწ.2.

ხელშეწყობა მარტოხელა დედებისთვის, სოციალური და სამართლებრივი გარანტიების უზრუნველსაყოფად“ ფარგლებში, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობით, მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც შეეხება „მარტოხელა დედის“ სამართლებრივი სტატუსის ასახვას საქართველოს კანონმდებლობაში, აგრეთვე მსგავსი კატეგორიის პირებისათვის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შექმნას. კანონპროექტი უახლოეს პერიოდში წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

არანაკლები პრობლემის წინაშე დგანან მრავალშვილიანი დედები. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 2013 წელს დაფიქსირდა 9453 ახალშობილის დაბადების აქტის ჩანაწერი, სადაც დედისათვის ბავშვი არის რიგით მე-3 ან მეტი.<sup>803</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, აღნიშნული მაჩვენებელი 2011 წელს - 8638-ს, ხოლო 2012 წელს - 8923 შეადგენდა.<sup>804</sup>

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების ხელშესაწყობად სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში. პირველ რიგში საჭიროა სტატუსის სამართლებრივი განსაზღვრა, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნულ საკითხებზე ოფიციალური სტატისტიკის წარმოებას და დახმარების სახელმწიფო პროგრამების ორგანიზებას.

## ი. გ.-ს შემთხვევა

2014 წლის 8 იანვარს, საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ი.გ.-მ, რომელიც არის მრავალშვილიანი, მარტოხელა დედა. სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის შედეგების მიხედვით მრავალშვილიანი დედა 5 არასრულწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობს ქალაქ რუსთავეში და 19 კვირის ორსულია მე-6 შვილზე. იგი უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობს და უახლოეს პერიოდში საცხოვრებლის გარეშე რჩება.

ხუთი შვილიდან სამს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. ბავშვები გადიან მედიკამენტოზურ მკურნალობას და მუდმივი მეთვალყურეობა ესაჭიროებათ. ი.გ. ოჯახში ძალადობის არაერთი შემთხვევის გამო განქორწინებულია მეუღლესთან, რომელიც არ მონაწილეობს შვილების აღზრდაში. გამომდინარე იქიდან, რომ მარტო ზრდის შვილებს, რომელთაც მუდმივი მეთვალყურეობა სჭირდებათ, მოკლებულია შესაძლებლობას დასაქმდეს და უზრუნველყოს ოჯახის ფინანსური მდგრადობა.

<sup>803</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2014 წლის 3 იანვრის წერილი №7;

<sup>804</sup> იხ. <[http://www.geostat.ge/cms/site\\_images/files/georgian/health/qali%20da%20kaci-2013.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/health/qali%20da%20kaci-2013.pdf)> [ბოლოს ნანახია 1.02.2014].



სახალხო დამცველმა აღნიშნულის თაობაზე, 2014 წლის 16 იანვარს რეკომენდაციით მიმართა რუსთავის მერს, რათა გაეთვალისწინებინათ ი.გ.-ს ოჯახის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და უზრუნველყოთ იგი თავშესაფრით. რუსთავის მერის მოადგილის 2014 წლის 10 თებერვლის კორესპონდენციით ცნობილი გახდა, რომ რეკომენდაცია ვერ დაკმაყოფილდებოდა საბინაო ფონდის არარსებობის გამო.

### **ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა**

საქართველოში ჰომოსექსუალური ქცევის დეკრიმინალიზაცია 2000 წელს მოხდა. აღნიშნულ პროცესს თან სდევდა კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული მიდგომების აღმოფხვრა და ლგბტ პირთათვის საკანონმდებლო უფლებადაცვითი გარანტიების განმტკიცება, თუმცა კვლავ რჩება საკითხები, რომელიც კანონმდებლობის დონეზე გარკვეულ სტიგმებს აყალიბებს. არსებული მდგომარეობა აჩვენებს ცვლილებების გატარებისა და კანონმდებლობით მოწესრიგებული საკითხების იმპლემენტაციის ხელშეწყობის აუცილებლობას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი განამტკიცებს დისკრიმინაციის აკრძალვას. აღნიშნულ მუხლში არსებული ჩამონათვალი არ მოიცავს სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას, თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მითითებული საფუძვლების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და მოიცავს დისკრიმინაციის აკრძალვის ისეთ საფუძვლებსაც, რომლებიც პირდაპირ არ არის მასში ნახსენები.<sup>805</sup>

სექსუალური ორიენტაცია, როგორც დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძველი, გვხვდება ჯანმრთელობის დაცვისა და შრომითი უფლებების სფეროში. კერძოდ, საქართველოს კანონის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პაციენტის დისკრიმინაციის გამომრიცხავ საფუძვლებში მითითებულია სექსუალური ორიენტაციის გამო დისკრიმინაციის დაუშვებლობა; საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვის ერთ-ერთ საფუძველად მითითებულია სექსუალური ორიენტაცია.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის 27 მარტს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს, სასჯელის დანიშვნის ნაწილში დაემატა 53-ე მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტი, რომლის მიხედვითაც სხვა გარემოებებთან ერთად ჩამონათვალი მითითებულია სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა, როგორც შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება.

<sup>805</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის №2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ [http://constcourt.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=22&id=460&action=show](http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=460&action=show)

2010 წლის 31 მარტს მიღებული იქნა ევროპის მინისტრთა საბჭოს კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის „სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის ზომების შესახებ“ (CM/REC(2010)5). საქართველო ამ რეკომენდაციის ერთ-ერთი ადრესატია და 2013 წლის მარტში შესაბამისი ანგარიშიც წარადგინა რეკომენდაციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ.<sup>806</sup>

რეკომენდაციის განხორციელების შესახებ ჩრდილოვანი ანგარიში მოამზადა არასამთავრობო ორგანიზაციამ, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“.<sup>807</sup> ანგარიშში დეტალურადაა განხილული გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით საქართველოში არსებული დისკრიმინაციული მიდგომები, ფაქტები და შემთხვევები. ასევე მოცემულია პრობლემის გადაჭრის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების რეკომენდაციები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ არის დისკრიმინაციული ლგბტ პირთა მიმართ, მისი პრაქტიკაში განხორციელება არ იძლევა უფლებდაცვის ადეკვატურ გარანტიებს. ხშირია ლგბტ პირთა დისკრიმინაციის ფაქტები შრომის, ჯანდაცვის, სოციალური და ეკონომიკური უფლებების განხორციელებისას. ისინი განიცდიან ძალადობას და უთანასწორო მოპყრობას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, ოჯახსა და საზოგადოებაში. ხშირ შემთხვევაში ისინი არ მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს დარღვეული უფლების აღდგენისათვის, რადგან არ აქვთ ნდობა და ფიქრობენ, რომ მიმართვის შემთხვევაში გახდებიან ჰომოფობიური დამოკიდებულების მსხვერპლი სამართალდამცავი უწყებების მხრიდან.

არასამთავრობო ორგანიზაციის, „იდენტობა“, მიერ 2013 წელს ჩატარებული რაოდენობრივი კვლევა „გეი, ბისექსუალ და ტრანსგენდერ კაცთა სოციალური მდგომარეობა“, წარმოადგენს საქართველოში მცხოვრები გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი კაცების კონტიგენტში დისკრიმინაციის ფორმებისა და ხარისხის დადგენის საშუალებას. კვლევის მიხედვით, გამოკითხული 109 პირიდან კითხვაზე „ყოფილხართ, თუ არა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი თქვენი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო“, 48 გამოკითხული დადებით პასუხს იძლევა, მათგან 36-ს არ მიუმართავს პოლიციისათვის.<sup>808</sup>

<sup>806</sup> იხ <[http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/others\\_issues/lgbt/Questionnaire/LGBT\\_Georgia.pdf](http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/others_issues/lgbt/Questionnaire/LGBT_Georgia.pdf)> [ბოლოს ნანახია 1.02.2014];

<sup>807</sup> იხ <[http://women.ge/wp-content/uploads/2012/12/CM\\_REC20105GEORGIA\\_GEO\\_www.pdf](http://women.ge/wp-content/uploads/2012/12/CM_REC20105GEORGIA_GEO_www.pdf)> [ბოლოს ნანახია 1.02.2014];

<sup>808</sup> გეი, ბისექსუალ და ტრანსგენდერ კაცთა სოციალური მდგომარეობა. იდენტობა. 2013. იხ. <<http://identoba.files.wordpress.com/2014/01/e18392e18391e183a2-e18399e18390e183aae18394e18391e18398e183a1-e1839be18393e18392e1839de1839be18390e183a0e18394e1839de18391e18390-2012-201.pdf>> [ბოლოს ნანახია 1.02.2014].

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქეების ლევან ასათიანის, ირაკლი ვაჭარაძის, ლევან ბერიანიძის, ბექა ბუჩაშვილისა და გოჩა გაბომის კონსტიტუციური სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის №241/ნ №1 დანართის 24-ე მუხლის და 2007 წლის 27 სექტემბრის №282/ნ ბრძანების №1 დანართის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის სადავო ნაწილები.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანებები არეგულირებს სისხლის და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენებების განსაზღვრის საკითხებს. მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ნორმები, „ჰომოსექსუალიზმს“ განიხილავდა, როგორც სისხლისა და მისი კომპონენტების დონაციის აბსოლუტურ წინააღმდეგ ჩვენებას, შესაბამისად, ჰომოსექსუალებს ეკრძალებოდათ ყოფილიყვნენ სისხლის დონორები.<sup>809</sup>

კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური დამოკიდებულება, რაც განაპირობებს სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებს და სხვა დისკრიმინაციულ ქმედებებს. არ ხორციელდება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობდა არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებების რღვევას.

ხშირია ლგბტ პირთა მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევები, რაც მათ აიძულებთ დამალონ ინფორმაცია გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის შესახებ. მაშინ როდესაც საზოგადოება დასაშვებად მიიჩნევს ჰეტეროსექსუალი წყვილების ურთიერთობის საჯარო გამოხატულებას, ლგბტ პირების შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი მათ მიმართ ძალადობის მიზეზი ხდება. სამსახური, მეგობრების წრე, ოჯახი ის ადგილებია, სადაც მათ თავიანთი იდენტობის დამალვა უწევთ. ოჯახის წევრთა დამოკიდებულება ხშირ შემთხვევაში უარყოფითია და არის მათი იდენტობისა თუ ორიენტაციის შეცვლისაკენ მიმართული ძალადობრივი მცდელობები. კვლევები აჩვენებს, რომ ლგბტ ჯგუფის წარმომადგენლები ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლი ოჯახის წევრთა მხრიდანაც, რაც მქლავდება როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ ძალადობაში. ხშირია შემთხვევები, როდესაც ოჯახის წევრები მიმართავენ ფსიქოლოგს ან სექსოლოგს პაციენტის „არასწორი“ ორიენტაციისაგან ან ჩამოყალიბებული გენდერული იდენტობისაგან „განსაკურნად.“<sup>810</sup>

<sup>809</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბომი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“ [http://constcourt.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=22&id=824&action=show](http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=824&action=show);

<sup>810</sup> ლბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი CEDAW ჩრდილოვანი ანგარიში [http://women.ge/wp-content/uploads/2012/05/WISG-LBT-CEDAW-shadow-report\\_geo.pdf](http://women.ge/wp-content/uploads/2012/05/WISG-LBT-CEDAW-shadow-report_geo.pdf)

## შეკრებისა და გამოხატვის უფლება: 17 მაისის აქცია და მისი თანმდევი მოვლენები

2013 წელს გახშირდა სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები და სხვა შემთხვევები ლგბტ თემის წარმომადგენელთა და მათი უფლების დამცველი ორგანიზაციების მიმართ. აღნიშნული ქმედებები თავისი აგრესიული ბუნებით უმეტეს შემთხვევაში საფრთხის შემცველი იყო ზემოაღნიშნულ პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის.

17 მაისს, ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა“ და „იდენტობამ“ დაგეგმეს მდუმარე აქცია, რომლის მიზანი იყო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა ჰომოფობიის პრობლემის მიმართ საქართველოში.

აქცია დაარბის პარალელური აქციის მონაწილეებმა, მათ შორის სასულიერო პირებმა, რომელთა მიზანი არა აქციის ხელშეშლა, არამედ აქციის მონაწილეთა ფიზიკური ანგარიშსწორება იყო. ერთი მხრივ, ლგბტ და მათი მხარდამჭერი ორგანიზაციების წარმომადგენლებს არ მიეცათ საშუალება ესარგებლათ კონსტიტუციით მათთვის მინიჭებული შეკრების თავისუფლებით, ხოლო მეორე მხრივ, განხორციელდა სიძულვილით განპირობებული ფიზიკური ძალადობა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო რამდენიმე დღით ადრე ინფორმირებული იყო, რომ ერთსა და იგივე ადგილზე უნდა გამართულიყო პარალელური აქცია, ასევე იმ მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონოდა, ლგბტ და მათი მხარდამჭერი ორგანიზაციების წარმომადგენლებს არ მიეცათ საშუალება ესარგებლათ კონსტიტუციით მათთვის მინიჭებული შეკრების თავისუფლებით. აქციის დაწყებისთანავე ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია, გაკეთდა კორდონი, მაგრამ პოლიციამ ვერ შეძლო მისი შენარჩუნება.

აქციის მიმდინარეობისას კონტრ-დემონსტრანტებმა გაარღვიეს პოლიციის კორდონი აქციაზე შეკრებილი პირების ფიზიკური შეურაცხყოფის მიზნით. მას შემდეგ, რაც სიტუაცია უმართავი გახდა, პოლიციამ აქციის მონაწილეთა ევაკუაცია დაიწყო. თუმცა, ერთი ავტობუსი ლესელიძის და მიკროავტობუსი ვაჩნაძის ქუჩაზე კონტრაქციის მონაწილეებმა ალყაში მოაქციეს. კონტრ-დემონსტრანტებმა ჩამტვრიეს მიკროავტობუსის ფანჯრები და ცდილობდნენ შიგნით შეღწევას. მიკროავტობუსში მყოფ აქციის მონაწილეებს ესროდნენ ქვებსა და სხვადასხვა ნივთებს, აყენებდნენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. საპატრულო პოლიციის დახმარებით მოხერხდა მიკროავტობუსის გარიდება აქციის ადგილიდან. ამავე პერიოდში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც კონტრაქციის მონაწილეებმა სცემეს ადამიანები, რომლებიც მათ ლგბტ პირებად მიიჩნიეს. ძალადობა მომდევნო დღეებშიც გაგრძელდა - როგორც „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა“, ისე ორგანიზაცია „იდენტობამ“ დააფიქსირეს ძალადობის გახშირებული ფაქტები ლგბტ ჯგუფის წევრებზე.

გავრცელებული ინფორმაციით, დაშავდა აქციის 17 მონაწილე, მათ შორის, საპატრულო პოლიციის 3 თანამშრომელი. დაშავებულთა შორის იყო რადიო „ფორტუნას“ ჟურნალისტი. აქციის მონაწილეებმა პარალელურად სცადეს არასამთავრობო ორგანიზაციის, „იდენტობის“ ოფისის დარბევაც.

პარალელური აქციის მონაწილე 4 პირის მიმართ გამოყენებული იქნა ადმინისტრაციული ჯარიმა 100-100 ლარის ოდენობით. 5 პირს, მათ შორის, ორ სასულიერო პირს წარედგინა ბრალი სისხლის სამართლის წესით (1 სასულიერო პირს ბრალდება მოეხსნა). ამჟამად აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს სასამართლო პროცესი. საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები ახორციელებენ სასამართლო პროცესის მონიტორინგს.

სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა ასევე მოახდინა 17 მაისისა და მისი თანმდევი მოვლენების 32 შემთხვევის დოკუმენტირება და ახორციელებს შესაბამისი საქმეების შესწავლას.

### **ტრანსგენდერი ადამიანები საქართველოში**

საქართველოში ლგბტ ადამიანთა მდგომარეობის ამსახველი კვლევები და ანგარიშები<sup>811</sup> ერთხმად აღიარებენ, რომ ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებები არასაკმარისადაა გათვალისწინებული კანონმდებლობაში, რაც ზოგ შემთხვევაში, მათი ფუნდამენტური უფლებების დარღვევით სრულდება.

ევროპის მინისტრთა საბჭოს კომიტეტის რეკომენდაციის, „სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის ზომების შესახებ“, მიხედვით, განსაზღვრულია სქესის კლავმინიჭებისა და სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებით მოთხოვნები, კერძოდ:

„წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა ცხოვრების ყველა სფეროში მოახდინონ პირის სქესის შეცვლის სრული სამართლებრივი აღიარება; კერძოდ, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შესაძლებელი გახადონ ოფიციალურ დოკუმენტებში სახელისა და სქესის შეცვლა სწრაფი, გამჭვირვალე და ადვილად ხელმისაწვდომი გზით; წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, საჭიროების მიხედვით, არასახელმწიფო ერთეულების მიერ შეცვლილი სქესის და აღნიშნულთან დაკავშირებით განხორციელებული

<sup>811</sup> ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. WISG. თბილისი. 2012. იხ. <[http://women.ge/wp-content/uploads/2012/12/WISG\\_situation-of-lgbt-persons-in-Georgia\\_GEO-www.pdf](http://women.ge/wp-content/uploads/2012/12/WISG_situation-of-lgbt-persons-in-Georgia_GEO-www.pdf)> [ბოლოს ნანახია 1.02.2014].



სხვა ცვლილებების შესაბამისი აღიარება ისეთ ძირითად დოკუმენტებში, როგორცაა განათლების დამადასტურებელი დიპლომი ან შრომის წიგნაკი.<sup>812</sup>

საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება რეკომენდაციის მიხედვით დაწესებულ მოთხოვნას. ზემოაღნიშნული რეკომენდაციის 36-ე პუნქტის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ აღნიშნული თანხების დაფარვისათვის სადაზღვევო პოლიტიკის მოწესრიგება. საქართველოში კი თავად ტრანსგენდერ ადამიანებს უწევთ სრული ღირებულების დაფარვა. ტრანსგენდერთა უმეტესობისათვის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ხელმიუწვდომელია სქესის კვლავ მინიჭებისათვის საჭირო სამედიცინო მომსახურება.<sup>813</sup> ასევე მნიშვნელოვანია, რომ არ არის რეგულირებული ამ სერვისის პროცედურული საკითხები. კერძოდ, არ არსებობს პროცედურის ჩატარების განმსაზღვრელი სტანდარტული წესი, რაც საერთო იქნებოდა აღნიშნული მომსახურების გამწევი სამედიცინო დაწესებულებებისათვის. ასევე არ არის განსაზღვრული სქესის კვლავმინიჭების პროცედურის ღონისძიებათა რიგითობა.

ტრანსგენდერი ადამიანები პრობლემებს აწყდებიან სამოქალაქო აქტების ჩანაწერში სქესის შეცვლისას, რაც თავის მხრივ, ხელშემშლელი ფაქტორია განათლების მიღებისა და დასაქმების პროცესში. საქართველოს კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ“ (მუხლი 78), განსაზღვრავს გარემოებათა ჩამონათვალს, რაც შესაძლოა გახდეს სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების შეტანის საფუძველი. ერთ-ერთ ასეთ გარემოებად მითითებულია: „სქესის შეცვლა – თუ სქესის შეცვლასთან დაკავშირებით პირს სურს სახელის ან/და გვარის შეცვლა“. თუმცა არ არსებობს დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც პირმა უნდა წარადგინოს სამოქალაქო აქტში შესაბამისი ცვლილების განხორციელებისათვის, ასევე არაა განსაზღვრული ამ მუხლის მიზნებისათვის რა ითვლება „სქესის შეცვლად“. დამკვიდრებული პრაქტიკის საფუძველზე, სქესის ლეგალურად შეცვლისათვის აუცილებელია სქესის კვლავმინიჭების სრული პროცედურის გავლა, ქირურგიულის ჩათვლით. 2011 წლის იანვრიდან დღემდე არ ფიქსირდება განცხადება სქესის შეცვლის მოთხოვნით.<sup>814</sup>

არასამთავრობო ორგანიზაციის, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“, მიერ მომზადებულ ანგარიშში „ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში“, განხილულია ის პრობლემები, რაც ტრანსგენდერ პირებს სქესის შეცვლის პროცედურასთან დაკავშირებით ექმნებათ. ანგარიშის მიხედვით: ტრანსგენდერ ადამიანთა ნაწილს არ სურს სქესის კორექციის ოპერაციის გავლა, ბევრი მათგანი ითვისებს სასურველ სოციალურ როლს და

<sup>812</sup> ევროპის მინისტრთა საბჭოს კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის „სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის ზომების შესახებ“ – CM/REC(2010)5. პუნ. 21.

<sup>813</sup> ტრანსგენდერთა საჭიროებების კვლევის მასალები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, ორგანიზაცია „იდენტობა“, 2012.

<sup>814</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილი №1246; 2014 წლის 11 თებერვალი.

საკუთარ გარეგნობას (ქირურგიული ჩარევის გარეშე) უსადაგებს მას; ტრანსგენდერი ადამიანები, ვისაც სურს ამ ოპერაციის გავლა ხშირ შემთხვევაში შესაბამის ფულად რესურსებს არ ფლობენ; სქესის კვლავმინიჭების ოპერაცია შეიძლება არ იყოს რეკომენდებული ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.<sup>815</sup>

**რეკომენდაციები:**

*ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მიმართულებით*

საქართველოს მთავრობას:

- ხელი შეეწყოს გენდერული მინისტრიმინგის განხორციელებას აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე, გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნისა, თუ სტრუქტურული ერთეულების შექმნის გზით;

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- ხელი შეეწყოს ლიდერ ქალთა დაწინაურებას ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, დაიგეგმოს ქალთა დაწინაურების ხელშეწყობი პროგრამები, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ და სოფლად მცხოვრებ ქალთა ჩართულობას;
- ხელი შეეწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში გენდერული თანასწორობის საკითხებზე დანიშნული მრჩეველების გაძლიერებას, გაიწეროს მათი მანდატი და მოხდეს საზოგადოების ინფორმირება მათი საქმიანობას შესახებ გენდერული თანასწორობის სფეროში;

*ქალთა შრომითი უფლებების მიმართულებით*

საქართველოს მთავრობას:

- შეიქმნას უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი მთავრობის, პროფკავშირების, დამსაქმებლების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელიც იმუშავებს შრომითი კანონმდებლობის სრულყოფაზე, მათ შორის არსებული საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ქალთა შრომითი უფლებების გათვალისწინებაზე;
- მიღებულ იქნას ყველა ღონისძიება, მათ შორის პროფესიული მომზადებისა და ტრენინგის მიმართულებით, რაც საშუალებას მისცემს ოჯახური ვალდებულებების

<sup>815</sup>ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. WISG. თბილისი. 2012.  
[http://women.ge/wp-content/uploads/2012/12/WISG\\_situation-of-lgbt-persons-in-Georgia\\_GEO-www.pdf](http://women.ge/wp-content/uploads/2012/12/WISG_situation-of-lgbt-persons-in-Georgia_GEO-www.pdf).

მქონე დასაქმებულ ქალებს, ჩაერთონ და დარჩნენ ინტეგრირებულნი შრომით ბაზარზე;

- ქალებისათვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად დაინერგოს თანამდებობრივი დაწინაურების, კარიერული ზრდისა და წახალისების განაწილების გამჭვირვალე პროცედურები.

საქართველოს პარლამენტს:

- დაიწყოს შესაბამისი პროცედურები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 183-ე დედობის დაცვის კონვენციის რატიფიცირების მიზნით და უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი განხილვების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მაქსიმალური მონაწილეობა;

*გენდერული ნიშნით ძალადობის მიმართულებით*

საქართველოს მთავრობას:

- მოხდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე არსებულ საგანმანათლებლო მასალებში, მათ შორის სასკოლო მასალებში, გენდერული საკითხების ინტეგრირება;
- ხელი შეეწყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის გაძლიერებას ქალთა მოწყვლად ჯგუფებთან (მათ შორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, დევნილი, სოფლად მცხოვრები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები);
- შემუშავდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე უწყებათაშორისი საინფორმაციო სტრატეგია სამიზნე რისკ ჯგუფების სპეციფიკის და საჭიროებების გათვალისწინებით;
- ხელი შეეწყოს უწყებათაშორის კოორდინაციას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის, განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფების მიმართ არსებულ ძალადობის შემთხვევებში (ხანდაზმულები, შშმ პირები);
- მოხდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტური და სიტუაციის შესაბამისი ღონისძიების გატარების უზრუნველყოფა ოჯახში ძალადობის განმეორებით შემთხვევებში, საჭიროების შემთხვევაში შემუშავდეს სახელმძღვანელო პრინციპები;
- გაძლიერდეს დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მონიტორინგი, განისაზღვროს სოციალურ მუშაკთა როლი ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისათვის;
- ყურადღება დაეთმოს სამოქალაქო ტრანსპორტსა და თავშეყრის ადგილებში კონტროლის ღონისძიებების გატარებას ქალთა შევიწროების ფაქტების პრევენციისათვის;

- შემუშავდეს სექსუალური შევიწროვების, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი სახის დეფინიცია, მოქმედი საერთაშორისო დებულებების, კულტურულ/ტრადიციული ღირებულებების და შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების გათვალისწინებით;
- გათვალისწინებულ იქნას სექსუალური შევიწროვების აკრძალვა და შემუშავდეს ადეკვატური სანქციების სისტემა;
- მოხდეს ადრეული ქორწინების შემთხვევაში არასრულწლოვანთა დაცვა მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან, ბავშვის უფლებების დამრღვევთა მიმართ ამოქმედდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები;
- ხელი შეეწყოს ადრეული ქორწინების საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების, მშობლებისა და ახალგაზრდებისათვის შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარების გზით;
- ხელი შეეწყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ბავშვთა ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას შესაბამისი უწყებებისათვის;
- განისაზღვროს სკოლის მიტოვების შემთხვევაში სწავლის შეწყვეტის მიზეზის მითითება, რაც სტატისტიკის წარმოებისა და უფლებადარღვევაზე მყისიერი რეაგირების საფუძველი იქნება.

#### საქართველოს პარლამენტს:

- მოხდეს ევროპის საბჭოს 2011 წლის „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციის (სტამბულის კონვენცია) რატიფიკაცია უახლოეს მომავალში;

#### *ქალთა მოწყვლადი ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობის მიმართულებით*

#### საქართველოს მთავრობას:

- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქალთა დაუცველი ჯგუფების წარმომადგენელთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს, მათ შორის მრავალშვილიანი, მარტოხელა და ოჯახის მარჩენალი ქალების.
- უზრუნველყოფილ იქნას მარტოხელა დედის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის შემდეგ ოფიციალური სტატისტიკის წარმოება, ასევე დაცვისა და დახმარების სახელმწიფო პროგრამების ამოქმედება;

#### ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- გათვალისწინებულ იქნას მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების საჭიროებები ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე დაგეგმილ პროგრამებში.

საქართველოს პარლამენტს:

- მარტოხელა დედის სტატუსი განისაზღვროს საკანონმდებლო დონეზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას ოფიციალური სტატისტიკის წარმოება, დაცვისა და დახმარების სახელმწიფო პროგრამების დაგეგმვა/განხორციელება;

*ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობის მიმართულებით*

საქართველოს მთავრობას:

- განხორციელდეს სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებისა და სიძულვილით მოტივირებული სხვა შემთხვევების დროული, ეფექტური და ანგარიშვალდებულებული გამოძიება;
- განისაზღვროს ლგბტ პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის საკითხი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის აუცილებელია განრიდება;
- გაძლიერდეს საზოგადოებასთან მუშაობა არსებული ჰომოფობიური გამოვლინებების აღკვეთისა და პრევენციისათვის;
- ხელი შეეწყოს პოლიციაში სპეციალიზირებული ჯგუფის შექმნას, რომელიც იმუშავებს სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზე;
- დაინერგოს ტრანსგენდერი პირებისთვის სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებების მიერ გაცემულ ყველა ძირითად დოკუმენტში მათი გენდერული იდენტობის ასახვის სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურა ახალი ადმინისტრაციული პრაქტიკის დამკვიდრების გზით გენდერული დისფორიის დიაგნოზის საფუძველზე;
- ხელი შეეწყოს სქესის კვლავმინიჭების პროცესის იმგვარად დარეგულირებას, რომ ტრანსგენდერ პირებს ეფექტურად მიუწვდებოდეთ ხელი საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სამედიცინო მომსახურებაზე.



## შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა

2013 წელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით გარკვეული პოზიტიური ცვლილებებით გამოირჩეოდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული დადებითი მოვლენებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 2013 წლის 26 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს 2006 წლის კონვენციის (UN CRPD) რატიფიცირება<sup>816</sup>, რამაც უდავოდ პროგრესი უნდა მოახდინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საქმეში.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით გასული წელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის წლად იყო გამოცხადებული<sup>817</sup>.

2013 წლის დეკემბერში საქართველოს პრეზიდენტმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გავრცელებულ მიმართვაში განაცხადა, რომ ქვეყნის პრეზიდენტთან დაინიშნება პირადი მრჩეველი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებში.<sup>818</sup>

საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვის პარალელურად სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს მოსახლეობის სოციალურ გარანტიებზე ზრუნვა წარმოადგენდა.

2013 წლის თებერვლიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე გადასვლით მეტ-ნაკლებად გაუმჯობესდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო დაზღვევის პირობები. მოგეხსენებათ, აღნიშნულ პერიოდამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხოლოდ ნაწილი იყო დაზღვეული, რაც გარკვეულწილად დისკრიმინაციული სელექციის ნიშნებს ატარებდა. პროგრამამ მოიცვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ის კატეგორია, რომელიც მანამდე ვერ სარგებლობდა სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევით.

<sup>816</sup> საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 26 დეკემბრის №1888-რს დადგენილება  
[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=2164946&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2164946&lang=ge)

<sup>817</sup> საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 4 მარტის N139 ბრძანებულება  
[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=1862160&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1862160&lang=ge)

<sup>818</sup> <https://www.president.gov.ge/ge/PressOffice/News?p=8572&i=5>

საანგარიშო წლის განმავლობაში შეიცვალა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა<sup>819</sup> და ჩატარდა აღნიშნული სათათბირო ორგანოს სამუშაო შეხვედრები. საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ჩართულია დამკვირვებლის სტატუსით.

2013 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების განმავლობაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებისათვის საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რამდენიმე სიახლე დანერგა მხედველობის, სმენისა და მობილობის შეზღუდვის მქონე პირებისათვის<sup>820</sup>.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრია.<sup>821</sup> ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ორგანულ კანონში საქართველოს საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე<sup>822</sup>, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთათვის ადაპტირებული საარჩევნო გარემოს შექმნას და არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის უზრუნველყოფას.

გასულ წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის, მათი ინკლუზიურ საგანმანათლებლო და პროფესიულ პროგრამებში ჩართვის მიზნით. შემუშავდა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები)<sup>823</sup>.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შეიქმნა ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭო<sup>824</sup>, რომლის შემადგენლობაში წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველი. საბჭომ 2013 წელს შეიმუშავა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო კონცეფცია<sup>825</sup> და დაიწყო

<sup>819</sup> იხ. [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=1944089&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1944089&lang=ge)

<sup>820</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული საქმიანობების შესახებ ანგარიში <http://cec.gov.ge/uploads/other/16/16850.pdf>

<sup>821</sup> საქართველო ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავჯდომარის 2013 წლის 19 თებერვლის ბრძანება №01-09

<sup>822</sup> [http://www.parliament.ge/files/Draft\\_Bills/2014/12.02.14/306.pdf](http://www.parliament.ge/files/Draft_Bills/2014/12.02.14/306.pdf)

<sup>823</sup> <http://mes.gov.ge/uploads/300.pdf>

<sup>824</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 17 ივლისის ბრძანება №01-141/ო

<sup>825</sup> [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=2157098&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2157098&lang=ge)

მუშაობა 2014-2020 წლების სამოქმედო გეგმაზე. 2014 წლის დასაწყისში დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი „ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სტანდარტების თაობაზე“<sup>826</sup>.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის შესახებ“ ინსტრუქციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, კერძოდ აუტისტური სპექტრის აშლილობის, დაუნის სინდრომის მქონე პირების სახელმწიფო პროგრამების თანაბარი მისაწვდომობის თაობაზე, რაც ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული - გაიზარდა სოციალური პროგრამის დაფინანსება და ბენეფიციართა წრე, თუმცა პროგრამები ჯერ კიდევ არ აკმაყოფილებს საჭიროებებს.

2013 წელს განხორციელებული საკანონმდებლო სიახლეებიდან უნდა გამოვყოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლში შესული ცვლილება, რომლის თანახმად საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 6000 ლარამდე<sup>827</sup>. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სასურველი იქნება კოდექსი ასევე ითვალისწინებდეს შეღავათს ზომიერად გამოხატული სტატუსის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

საანგარიშო პერიოდში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მონაწილეობის ორგანიზებაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, რომელიც უზრუნველყოფს პარაოლიმპიური კომიტეტის განვითარების ხელშეწყობას და ცალკეული ღონისძიებების დაგეგმვას. გასული წლის დეკემბერში დაარსდა „პარას მეგობართა კლუბი“<sup>828</sup>, რომელიც პარა-სპორტის განვითარების მხარდამჭერებს აერთიანებს. 2013 წელს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს პარაოლიმპიურ კომიტეტსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის, რომლის ფარგლებშიც ავღანეთის სამშვიდობო მისიაში დაჭრილი ჯარისკაცები პარაოლიმპიურ მოძრაობაში სრულფასოვან ჩართვას შეძლებენ.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებაში გაძლიერდა დისკუსია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე. გაიზარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების რაოდენობა როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეზე.

<sup>826</sup> [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=2198173&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2198173&lang=ge)

<sup>827</sup> [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=1984990&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1984990&lang=ge)

<sup>828</sup> [http://msy.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=196&info\\_id=10057](http://msy.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=196&info_id=10057)

წლის განმავლობაში აქტიურობით გამოირჩეოდა მედია, რომელმაც მრავალჯერ გააშუქა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით არსებული პრობლემები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გაეროს 2006 წლის კონვენციის რატიფიცირების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების დროს პოზიტიურად გამოიკვეთა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ამ პირთა უფლებებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამოქალაქო სექტორის სხვა სუბიექტების, სახელმწიფო უწყებებისა და საქართველოს სახალხო დამცველის აქტივობა და კონსოლიდაცია.

გაეროს 2006 წლის კონვენციის დებულებების თანახმად, სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება უზრუნველყონ და ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა სრულ რეალიზებას, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე<sup>829</sup>.

კონვენციის რატიფიცირების შემდეგ ქვეყანა დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით სახელმწიფომ უნდა გადადგას პრაქტიკული და ეფექტური ნაბიჯები, განახორციელოს საკანონმდებლო, საბიუჯეტო, ინსტიტუციური და სხვა სახის ცვლილებები.

კონვენციის 33-ე მუხლი ითვალისწინებს მისი შესრულების მონიტორინგს ეროვნულ დონეზე. მონიტორინგში მონაწილეობა უნდა მიიღონ სახელმწიფოს მიერ დასახელებულმა ერთმა ან რამდენიმე უწყებამ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, ამ პირთა წარმომადგენელმა ორგანიზაციებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ.

საქართველოს სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მიესალმება კონვენციის რატიფიცირების ფაქტს და მზადაა უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების მონიტორინგი, დაცვა და პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და სამოქალაქო საზოგადოების უშუალო ჩართულობით, რათა ერთობლივი ძალისხმევით გახდეს შესაძლებელი ქვეყანაში კონვენციის წარმატებული იმპლემენტაცია. აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა შესაბამისი განცხადება გააკეთა<sup>830</sup>.

აქვე უნდა ითქვას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს 2006 წლის კონვენციის რატიფიცირება ფაკულტატური ოქმის გარეშე განხორციელდა, რაც უარყოფითი ფაქტია. კონვენციის ფაკულტატური ოქმი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

<sup>829</sup> გაეროს 2006 წლის კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების შესახებ. მუხლი 4.

<sup>830</sup> იხ. <http://www.ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=0&id=1900>

პირებს აძლევს საშუალებას ინდივიდუალურ უფლება-დარღვევებზე მიმართონ გაეროს შესაბამის კომიტეტს. საქართველოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ამ უფლების გამოყენებას ვერ შეძლებენ, ვიდრე არ მოხდება კონვენციის ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირება.

გატარებული დადებითი ღონისძიებების პარალელურად, საანგარიშო პერიოდში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა გარკვეული ხარვეზებით მიმდინარეობა.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 2013 წელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის წლად იყო გამოცხადებული, საზოგადოებას მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესების მოლოდინი ქონდა, რაც სამწუხაროდ არ გამართლდა.

მიუხედავად იმისა, რომ წლის განმავლობაში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2013-2016 წლების სამოქმედო გეგმაზე, 2013 წელს გეგმა არ დამტკიცდა. მთავრობამ 2014 წლის დასაწყისში გამოსცა დადგენილება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე<sup>831</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე გადასვლით არსებულმა სადაზღვევო სქემამ მოიცვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, თუმცა მათი განსაკუთრებული საჭიროებები კვლავ არ არის გათვალისწინებული. ასევე პრობლემად რჩება ამ პირთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის საკითხი.

გადახედვას საჭიროებს „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული დაავადებათა ჩამონათვალი; უნდა მოხდეს მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რომელიც გაითვალისწინებს ობიექტურ რეალობას და ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლებას სოციალურ დაცვაზე.

სახელმწიფოს მიერ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე მხოლოდ საარჩევნო უბნების მცირე ნაწილის ადაპტირება მოხდა, მათი უმეტესობა კი მიუწვდომელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

ინკლუზიური განათლება საქართველოში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით ინკლუზიურ

<sup>831</sup> [http://government.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=381&info\\_id=40157;](http://government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=381&info_id=40157;)  
[http://www.moh.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=377](http://www.moh.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=377)



განათლებაში ჩართულია 3 366 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე<sup>832</sup>. პროფესიულ და ზოგად განათლებაში ინკლუზიური განათლების დანერგვის მიუხედავად კვლავ გამოწვევად რჩება სკოლამდელი და უმაღლესი განათლების ინკლუზიის პროცესში ჩართვა, ასევე საზოგადოების, მათ შორის მშობელთა ცნობიერების ამაღლება აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სექტორში მოხდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მცირე ნაწილის დასაქმება, ჯერ კიდევ გადაუღებელი პრობლემაა შრომის უფლების რეალიზება. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტად შეირჩა ორი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომლებიც ჩართულნი არიან სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული მონიტორინგის პროცესში.

2013 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით ქვეყანაში გატარებული დადებითი ტენდენციების მიუხედავად, კვლავ რჩება არაერთი პრობლემა, რომელთა გადაჭრა სისტემურ და დროულ მიდგომას საჭიროებს.

## მისაწვდომობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით ქვეყანაში არსებული პრობლემებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან და მწვავე პრობლემას წარმოადგენს მისაწვდომობის პრობლემა, რომლის მოგვარების გარეშე შეუძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულყოფილი ჩართვა და მონაწილეობა საზოგადოებაში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გაეროს 2006 წლის კონვენციის სახელმძღვანელო პრინციპებიდან (მუხლი 3) ერთ-ერთი სწორედ მისაწვდომობის პრინციპია.

კონვენციის მე-9 მუხლის (მისაწვდომობა) თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილად ჩართვისთვის, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, ასევე სხვა, საზოგადოებისათვის ღია ობიექტებისა და მომსახურების თანაბარი მისაწვდომობა როგორც ქალაქის, ასევე სოფლის პირობებში.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან კარგად ჩანს, რომ ხელმისაწვდომობა გულისხმობს როგორც ფიზიკური გარემოს, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების და ა.შ. მისაწვდომობას, ასევე ინფორმაციისა და ტექნოლოგიების მისაწვდომობას.

<sup>832</sup> საქართველოს განათლების სამინისტროდან მიღებული კორესპონდენცია

## გარემოს ხელმისაწვდომობა

გარემოს ხელმისაწვდომობის პრობლემაზე საუბრის დროს მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ „გონივრული მისადაგების“ და „უნივერსალური დიზაინის“ პრინციპების განმარტება, რომელსაც გვთავაზობს გაერთიანებული ერების 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-2 მუხლი: „გონივრული მისადაგება“ ნიშნავს აუცილებელ და შესაფერის მოდიფიცირებას ან ცვლილებას, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში საჭიროებისამებრ არ აკისრებს არაპროპორციულ ან მიუღებელ ტვირთს, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა შეძლონ სხვებთან თანასწორ პირობებში ისარგებლონ ან განახორციელონ ყველა უფლება.

„უნივერსალური დიზაინი“ გულისხმობს პროდუქტის, გარემოს, პროგრამებისა და მომსახურების ისეთ დიზაინს, რომელიც ყველა ადამიანის აძლევს მისი მაქსიმალური გამოყენების საშუალებას, ადაპტაციისა და სპეციალური დიზაინის გამოყენების აუცილებლობის გარეშე. ამასთან „უნივერსალური დიზაინი“ არ გამორიცხავს საჭიროების შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კონკრეტული ჯგუფის მიერ დამხმარე საშუალებების გამოყენებას.

ადამიანისთვის „გონივრული მისადაგების“ უზრუნველყოფაში მოიაზრება, მაგალითად, სამუშაო გარემოში, საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ჯანდაცვის ობიექტში ან სატრანსპორტო მომსახურებაში ცვლილებების შეტანა იმ ბარიერების მოსახსნელად, რომლებიც ხელს უშლიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, სხვების თანასწორად ჩაერთოს რაიმე აქტივობაში ან მიიღოს მომსახურება. „გონივრული მისადაგების“ პრინციპის უგულებელყოფა შესაძლებლობის შეზღუდვის ნიშნით დისკრიმინაციის ტოლფასია.<sup>833</sup>

საქართველოში საზოგადოებრივი ტრანსპორტი, საცხოვრებელი სახლები, სასწავლო და სამედიცინო დაწესებულები, სახელმწიფო უწყებათა შენობები, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები, ქუჩები, სკვერები, შენობა-ნაგებობების გარე და შიგა ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების მიხედვით. არ ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს სტანდარტების გათვალისწინება პროექტირებისა და მშენებლობის პროცესში. პრობლემა ეხება როგორც ძველი, ისე რეაბილიტირებული და ახალი შენობა-ნაგებობების ინფრასტრუქტურას. არსებული ბარიერების გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მცირე გამონაკლისის გარდა, ვერ ახერხებენ საცხოვრებელი სახლებიდან დამოუკიდებლად გადაადგილებას.

<sup>833</sup> <http://www.ipu.org/PDF/publications/disabilities-ru.pdf>

От социальной изоляции - к равенству: Осуществление прав инвалидов

სასწავლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა (როგორც სასკოლო, ასევე სკოლამდელი, პროფესიული, უმაღლესი სასწავლებლების) არ შეესაბამება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს, რაც ინკლუზიური განათლების უფლების სრულფასოვნად განხორციელების ერთ-ერთ დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს.

ანალოგიური მდგომარეობაა სამედიცინო დაწესებულებების შენობა-ნაგებობების უმეტეს ნაწილში. შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არა აქვთ შესაძლებლობა დამოუკიდებლად გადაადგილდნენ და მიიღონ საჭირო სამედიცინო მომსახურება.

ჭიანურდება დედაქალაქის სატრანსპორტო ქსელის უზრუნველყოფა ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებებით. ამ მხრივ რთული მდგომარეობაა რეგიონებში.

გარემოს ხელმისაწვდომობის პრობლემა ერთ-ერთ გადაულახავ ზღვარს აწესებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომისა და დასაქმების უფლების დადებითად გადაჭრის გზაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქვეყნის მასშტაბით არსებული არაადაპტირებული საარჩევნო გარემო (საარჩევნო უბნების ინფრასტრუქტურა) ხელის შემშლელი ფაქტორია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ მნიშვნელოვანი პოლიტიკური უფლების-არჩევნებში მონაწილეობის განხორციელების დროს.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოში, წლების განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საქართველოს კონსტიტუციითა და სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული პოლიტიკური უფლება- მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, შეზღუდული აქვთ იმ მიზეზით, რომ საქართველოს საარჩევნო უბნების დიდი ნაწილი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ აკმაყოფილებს სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირთა საჭიროებებს.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, აღნიშნული პირებისთვის ამ უფლების რეალიზება უმეტესწილად გადასატანი ყუთის საშუალებით არის შესაძლებელი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების არჩევნებში მხოლოდ ამ ფორმით მონაწილეობა, სამართლებრივი თვალსაზრისით შეიძლება სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციულ ქმედებად შეფასდეს.

განსაკუთრებით აქტუალურია აღნიშნული პრობლემის დაუყოვნებელ მოგვარებაზე ზრუნვა, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა დამოუკიდებლად, სხვა პირთა თანაბრად შეძლონ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი დაინტერესდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის კანონმდებლობით დადგენილი პირობების შექმნისაგან

თავის არიდების, ობიექტების დაპროექტებისას და მშენებლობისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებლობისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი ნორმების (ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება) პრაქტიკაში დანერგვის საკითხით. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის მუხლის 45-ე ნაწილის თანახმად აღნიშნული სამართალდარღვევის დროს ოქმს ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები (აღნიშნული ნორმა 2014 წლის თებერვლის მდგომარეობით ძალაში რჩება), ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან<sup>834</sup>. კერძოდ, გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოს შესახებ, ასევე დასახელებული ნორმების საფუძველზე შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების სტატისტიკა.

უწყებიდან მიღებული პასუხის თანახმად ცხადი გახდა არსებული რეალობა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კორესპონდენციის მიხედვით: „(...) გარკვეული ობიექტური გარემოებების გამო –შესაბამისი ფუნქციისა და რესურსის არარსებობა, ასევე კოდექსში არსებული ტექნიკური ხარვეზი (კოდექსით არ არის გათვალისწინებული საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო) და ა.შ., აღნიშნულმა ნორმებმა ვერ ჰპოვეს პრაქტიკული იმპლემენტაცია. თუმცა აღვნიშნავთ, რომ ზოგადად ზემოხსენებული საკითხების კომპლექსური განხილვა და სისტემატური მუშაობა მიმდინარეობდა ახალი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ პროექტის შემუშავებისას, რა დროსაც იგეგმებოდა, რომ ამ საკითხებთან მიმართებაში კომპეტენტურ ორგანოდ განსაზღვრულიყო ის სახელმწიფო დაწესებულება, რომელსაც უფრო მეტად გააჩნია კონტროლის მექანიზმები, შესაბამისი კომპეტენციები და რესურსები (საუბარი იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობაზე).“<sup>835</sup>

*საკითხის შემდგომი შესწავლით (გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან<sup>836</sup>), კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 178<sup>1</sup>-ე, 178<sup>2</sup>-ე მუხლებით დადგენილი ნორმები პრაქტიკაში არ მოქმედებს<sup>837</sup>.*

<sup>834</sup> კორესპონდენცია №296/09-05.03.13

<sup>835</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კორესპონდენცია №01/20649-14.03.2013

<sup>836</sup> კორესპონდენცია №346/09-1-22.03.2013; №399/09-05.04.2013

<sup>837</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კორესპონდენციები №11/2290-28.03.2013; №11/2730-12.04.2013

აღნიშნულ ფაქტზე საქართველოს სახალხო დამცველმა, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას, განეხორციელებინა შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული რეგულაციების რევიზია, დახვეწა და განახლება, რითაც შესაძლებელი გახდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ყველა სფეროში შესაბამისი ზომების გატარება აღნიშნულ პირთათვის ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, ასევე სხვა, საზოგადოებისათვის ღია ობიექტებისა და მომსახურების თანაბარი მისაწვდომობის კუთხით, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის პირობებში<sup>838</sup>.

2014 წლის 4 იანვარს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე<sup>839</sup>, რომლის ძირითადი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადაპტაციის, ინდივიდუალური განვითარებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა. ამასთან, მათთვის ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს სტანდარტების გათვალისწინება პროექტირებისა და მშენებლობისას. რეგლამენტით გათვალისწინებული სტანდარტები სავალდებულოა ნებისმიერი ორგანიზაციისთვის.

იმედს გამოვთქვამთ, აღნიშნული რეგულაციები არ დარჩება მხოლოდ თეორიულ დონეზე და წარმატებით დაინერგება პრაქტიკაში. თავის მხრივ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მომავალშიც გააგრძელებს ამ კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლას და მონიტორინგს.

### **ინფორმაციის თავისუფლება და ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, ჩაატარა მცირე მასშტაბიანი კვლევა ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და თავისუფლების შესახებ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გაეროს 2006 წლის კონვენციის 21-ე მუხლზე (აზრისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა) დაყრდნობით.

აღიარებულია, რომ ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის ხარისხი პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფოთა დემოკრატიულობის ხარისხს და ნებისმიერ

<sup>838</sup> საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია №452/09-30.04.2013

<sup>839</sup> საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის დადგენილება №41

[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=2186893&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2186893&lang=ge)



ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის ასახვისთვის მნიშვნელოვან ტექსტს წარმოადგენს.

გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 21-ე მუხლის მიხედვით, „სახელმწიფო მხარეებმა უნდა განახორციელონ ყველა შესაბამისი ღონისძიება, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გამოხატვისა და აზრის თავისუფლება, მათ შორის, შემდეგი სახით: თავისუფლად მოიძიონ და მიიღონ ინფორმაცია, გაავრცელონ ინფორმაცია და იდეები სხვებთან თანაბარ პირობებში, მათთვის სასურველი ნებისმიერი კომუნიკაციის ფორმით.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების 2006 წლის კონვენციაზე დაყრდნობით, ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზაციას ამ პირებთან მიმართებით განსაკუთრებული როლი ეკისრება. ხშირად სწორედ ამ უფლების განხორციელება წარმოადგენს აუცილებელ პირობას მათ მიერ სხვა უფლებების რეალიზაციისათვის; მაგალითად, უზრუნველყოფს შესაძლებლობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ხელი მიუწვდებოდეთ სამართლიან სასამართლოზე, ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმებზე. კანონმდებლობით დაშვებული უნდა იყოს, რომ უსინათლო ან სმენის არმქონე ადამიანმა საჩივარი წარადგინოს ბრაილის შრიფტით ან ქესტების ენის გამოყენებით (მაგალითად, ინგლისში „თანასწორობის აქტი“ ითვალისწინებს აღნიშნული მიზნით ადაპტირების ვალდებულებას). კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს საჯარო დაწესებულებების ვალდებულებას, გახადონ ინფორმაცია ხელმისაწვდომი შესაბამის ფორმატში. კონვენციის ხსენებული მუხლით გარანტირებული უფლება ასევე გულისხმობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს არ უნდა უწევდეს ლოდინი სხვა პირზე მეტხანს იმისთვის, რომ მიიღოს მისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია<sup>840</sup>.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, არ წარმოადგენს ძვირადღირებულ ინტერვენციას, მაგრამ იგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრებას მრავალმხრივ აუმჯობესებს (აქ იგულისხმება, რომ გაიოლებულია პროდუქტის ფასის წაკითხვა, შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად დარბაზში შესვლა, ავტობუსის მიმოსვლის განრიგის გაგება, ვებგვერდების დათვალიერება და ა. შ.).

მედია აღიარებულია, როგორც ინფორმაციის ძირითადი წყარო და კულტურულ თუ სპორტულ ღონისძიებებზე წვდომის საშუალება. სახელმწიფომ, მედია-ინდუსტრიასთან თანამშრომლობით, ხელი უნდა შეუწყოს მედიის სრული შინაარსის ხელმისაწვდომობას. სატელევიზიო გადაცემები სუბტიტრებიტა თუ სხვა ალტერნატიული საშუალებებით ხელმისაწვდომი უნდა გახდეს სმენის არმქონე პირებისთვის და მოხუცებულთათვის. ეს ზომები უკვე მიღებულია მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში.

<sup>840</sup> [http://www.equalityhumanrights.com/uploaded\\_files/publications/uncrpdguide.pdf](http://www.equalityhumanrights.com/uploaded_files/publications/uncrpdguide.pdf)

ინტერნეტს შეუძლია, შექმნას შესაძლებლობები ყველასთვის, თუმცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ისინი განსაკუთრებით მოსახერხებელია. 2006 წლის ბოლოს 10 ქვეყნის (ბელგია, ხორვატია, გაერთიანებული სამეფო, ფინეთი, გერმანია, საბერძნეთი, იტალია, პოლონეთი და ესპანეთი) სახელმწიფო დაწესებულებების 100 ვებგვერდი შეფასდა ხელმისაწვდომობის მსოფლიო ქსელის კონსორციუმის მიერ დადგენილი საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად<sup>841</sup>. მათ შორის იყო ვებგვერდები ისეთი დაწესებულებებისა, როგორცაა ეკონომიკის, შინაგან საქმეთა, საგარეო ურთიერთობების, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის, კულტურის, გარემოს დაცვის, იუსტიციისა და განათლების სამინისტროები. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ შესწავლილი ვებგვერდების უმეტესობა, ზოგადად, ხელმისაწვდომობის კუთხით აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტებს საშუალო დონის მომხმარებლისთვის; მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათი უმრავლესობა (70%) არ ითვალისწინებდა უსინათლო, მცირედმხედველ, სმენის არმქონე და სმენადაქვეითებული ადამიანების საჭიროებებს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ვებგვერდის მოდერნიზება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომობის კუთხით მარტივად შეიძლებოდა; თუმცა მათი უმეტესობის მოდერნიზებას საკმაოდ დიდი მუშაობა ესაჭიროებოდა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის ინტერნეტი წარმოადგენს განათლების, დასაქმების, ახალი ამბების და ჯანდაცვის შესახებ ინფორმაციასთან დამაკავშირებელ არხს; სამოქალაქო ჩართულობის და სოციალური ქსელების მეშვეობით კონტაქტების დამყარების საშუალებას. ფიზიკური პირები, რომლებსაც არა აქვთ ინტერნეტი, გარკვეულწილად, მოკლებულნი არიან საზოგადოებრივ პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ასევე, მნიშვნელოვანია, საგანგებო მდგომარეობის დროს. მთელ მსოფლიოში ბოლო პერიოდში განვითარებული ბუნებრივი კატასტროფების დროს დადასტურდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები იმავე დონის მხარდაჭერას ვერ იღებენ, როგორსაც სხვა ადამიანები.<sup>842</sup>

სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცენტრის მიერ საჯარო უწყებების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხარისხის მოკვლევისას გაირკვა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით სამინისტროთა უმეტესობისათვის წერილობით არ მიუმართავთ.

სახელმწიფო უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აქტიურობის მაჩვენებელი, ამ

<sup>841</sup> Ataloglou M.P., Economides A.A., (2009), Evaluating European Ministries' Website, International Journal of Public Information Systems, vol 3.

<sup>842</sup> From Exclusion to Equality. Realizing the rights of persons with disabilities. Handbook for Parliamentarians on the Convention on the Rights of Persons with Disabilities and its Optional Protocol. OHCHR/IPU Geneva 2007.

დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის კუთხით, მნიშვნელოვნად დაბალია. ასეთი პასიურობა შესაძლებელია, რამდენიმე ფაქტორთან იყოს დაკავშირებული: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინფორმირებულობისა და აქტიურობის დაბალი დონე საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზაციის კუთხით; თავად სამინისტროების უმოქმედობა ინფორმაციის პროაქტიულ რეჟიმში მიწოდებისა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით. ამავე თემაზე ფოკუს-ჯგუფების საშუალებით მოპოვებულმა მონაცემებმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეფერხების ფაქტები.

კვლევამ ცხადად გამოავლინა ამ საკითხის მიმართ არსებული გულგრილი დამოკიდებულება სახელმწიფო უწყებების მხრიდან. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პასიურობა საფუძვლად უდევს იმ გარემოებას, რომ შეიმჩნევა მათ მიერ ამ უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად გატარებული პოზიტიური ღონისძიებების ნაკლებობა. როგორც ანალიზი გვიჩვენებს, დღემდე არ წამოჭრილა საკითხი, თუ რატომ არის ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 15% ასეთი პასიური საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის თვალსაზრისით. არ დასმულა კითხვები, თუ როგორ შეიძლება სპეციალური კომუნიკაციის საჭიროების მქონე პირებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო მომსახურებების რეალიზება ინფორმაციის მიუწოდებლობის პირობებში.

ჩატარებული კვლევა განსაკუთრებით შემამფოთებელ მონაცემებს იძლევა სამაშველო სამსახურების, პოლიციის, სახანძრო და სოციალური სამსახურების მიერ ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობის შეზღუდვის შესახებ. ამ უწყებების მხრიდან კი კომუნიკაციის შეფერხების გამო დახმარების გაუწევლობა შესაძლოა, გადაამწყვეტი გახდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სიცოცხლისათვის.

აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ გასული წლის დასაწყისში მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“ დაუყოვნებლივ პრიორიტეტად ელიარებინა ეს პრობლემა და მოეხდინა მისი მოგვარება უმოკლეს ვადაში. თუმცა არსებული მდგომარეობით, სიტუაცია უცვლელია. სმენისა და მეტყველების შეზღუდვის მქონე პირებისათვის გადაუდებელი დახმარების სამსახურების (სასწრაფო-სამედიცინო, სახანძრო-სამაშველო, საპატრულო პოლიცია და სხვა) გამოძახების დროს ინფორმაციის მიწოდების მექანიზმი არ არსებობს.

ჩატარებული კვლევა ასევე მიუთითებს სამოქალაქო სექტორის გაძლიერების აუცილებლობაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით. მნიშვნელოვანი იქნება, აღნიშნულ თემაზე მომუშავე არასამთავრობო სექტორმა საკუთარ კვლევებში ყურადღება დაუთმოს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანების პრობლემატიკის ანალიზს, რაც საფუძვლად დაედება ამავე ორგანიზაციების მიერ მოსახლეობის საჭიროებაზე მორგებული სერვისების შეთავაზებას.

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი კვლავაც გააგრძელებს ამ კუთხით კანონით გათვალისწინებული საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებას და იზრუნებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული უფლებების რეალიზაციისათვის.

ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნული კვლევა, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშის (შემოკლებული ვერსია) ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით დაიბეჭდა ბრაილის შრიფტით და გავრცელდა მხედველობის შეზღუდვის მქონე პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებში, ასევე გადაეცათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.

### **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დევნილი ქალების უფლებები**

გენდერული თანასწორობის წახალისება და ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოება სასიცოცხლოდ აუცილებელია საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული განვითარების მიზნების, მათ შორის, ათასწლეულის განვითარების მიზნებისათვის.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები საჯარო თუ კერძო სფეროში ისეთ სირთულეებს აწყდებიან, როგორცაა ბარიერები ადეკვატური საცხოვრებლის, ჯანდაცვის, განათლების, პროფესიული სწავლებისა და დასაქმების უფლებების რეალიზაციის დროს, ასევე ინსტიტუციაში მოხვედრის მაღალი ალბათობა<sup>843</sup>.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები განიცდიან არათანაბარ მოპყრობას სამუშაოზე მიღების, სამსახურებრივი დაწინაურების, თანაბარი ანაზღაურების, მომზადებისა და გადამზადებისას, იშვიათად მონაწილეობენ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში<sup>844</sup>.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები (გოგონები) ხშირად ხდებიან ორმაგი დისკრიმინაციის მსხვერპლი; დიდია მათ მიმართ სექსუალური ძალადობის, უგულბებლყოფის, ექსპლუატაციის რისკი.

განსაკუთრებით მოწყვლადია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იძულებით გადაადგილებული ქალების მდგომარეობა. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, მათ მიმართ სამმაგი დისკრიმინაცია განხორციელდეს.

<sup>843</sup> Женщины и достаточное жилище, исследование Специального докладчика по вопросу о достаточном жилище как компоненте права на достаточный жизненный уровень Милуна Котари, [E/CN.4/2005/43](#), пункт 64.

<sup>844</sup> „Employment barriers for women with disabilities“, Arthur O'Reilly, The Right to Decent Work of Persons with Disabilities, Skills Working Paper No. 14, Geneva, International Labour Organization, 2003.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა (გოგონათა) მრავალმხრივი დისკრიმინაციის საფრთხეებზე საუბარია გაეროს 2006 წლის პირთა კონვენციაში, რომელიც ამ პირთა უფლებების დაცვაზე ყურადღებას ამახვილებს ცალკე მუხლში. კერძოდ, კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები მრავალგვარი დისკრიმინაციის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან და ამასთან დაკავშირებით იღებენ ზომებს მათი უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა სრული და თანაბარი უზრუნველყოფისათვის.

2013 წელს გაეროს ერთობლივი პროგრამა „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ - საქართველოს სახალხო დამცველის გაძლიერების პროექტის ფარგლებში, განხორციელდა კვლევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დევნილი ქალების უფლებების თაობაზე. კვლევის მიზანს წარმოადგენდა დევნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების (გოგონების) უფლებების (ადეკვატური საცხოვრებელი პირობები, დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებისას, გრძელვადიანი განსახლების ფარგლებში მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ჯანდაცვაზე, განათლებასა და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობა) განხორციელების კუთხით არსებული პრობლემების გამოვლენა. გამოვლენილ პრობლემებთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში – ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების მიმართ რელევანტური რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 7 ფოკუს-ჯგუფი დევნილებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში: გორი, წყალტუბო, ფოთი, ზუგდიდი, მესტია, თელავი. ინდივიდუალური შეხვედრები გაიმართა იმ პირთა საცხოვრებელ ადგილებზე, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ გადაადგილება.

დისკუსიებისა და ინდივიდუალური შეხვედრების დროს გამოიკვეთა ის ძირითადი გამოწვევები, რომლებსაც ადგილი აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის კვლევის სფეროს მიკუთვნებული უფლებების განხორციელების კუთხით, კერძოდ, არასათანადო საცხოვრებელი და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, არაადაპტირებული გარემო, არასაკმარისი ფართი, დასაქმებაზე, სათანადო სამედიცინო მომსახურებაზე, ინკლუზიურ განათლებაზე ხელმიუწვდომობა, დამხმარე საშუალებების არქონა და სხვა.

დევნილ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უმრავლესობის უფლება ადეკვატური საცხოვრებელ პირობებზე, დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებისას, გრძელვადიანი განსახლების ფარგლებში მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ჯანდაცვაზე, განათლებასა და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობა დღემდე რეალიზებული არ არის.



დევილ ქალთა უმეტესი ნაწილი არ არის ინფორმირებული გრძელვადიანი განსახლების ფარგლებში მათი საცხოვრებელი უზრუნველყოფისას კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სტანდარტების, საცხოვრებელი ფართების პრივატიზაციის და სხვა პროცესების შესახებ. არ იცნობენ შესაბამის კანონმდებლობას. არ ფლობენ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ დევილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებულია დევილთა გრძელვადიანი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სტანდარტები, რომელთა თანახმად საცხოვრებლის დიზაინი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა შეძლონ საცხოვრებელი ფართის გამოყენება. შესაბამისად ისინი არ ითხოვენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებას გრძელვადიანი განსახლების ფარგლებში.

ახალი აშენებული საცხოვრებელი კორპუსები არ პასუხობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს, შენობებს არა აქვს პანდუსები, არ არის მოწყობილი ლიფტები და შიგა ინფრასტრუქტურა. დევილთა კომპაქტურ ჩასახლებებში ვიზიტებმა დაადასტურა, რომ დევილთა უმეტესი ნაწილს არაადეკვატურ საცხოვრებელ პირობები უხდება ცხოვრება. ჩასახლებების ნაწილს არ მიეწოდება სასმელი წყალი, კორპუსებში არ არსებობს და/ან მოუწესრიგებელია სანიტარული კვანძები (აბაჯანა, სამრეცხაო, სხვა სველი წერტილები), არც ერთ კომპაქტურ ჩასახლებაში არ არის ცხელი წყალი. სასმელ წყალს ხშირად ეზოებიდან ეზიდებიან. საცხოვრებელ კორპუსებში დევილი ქალების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დიდი ძალისხმევითა და მძიმე ფიზიკური შრომის შედეგად არის შესაძლებელი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა. როგორც ძველ კორპუსებში, ასევე ახალ აშენებულ საცხოვრებელ სახლებში დევილებისთვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართები ნორმალური ცხოვრებისთვის არ არის საკმარისი. უამინდობის დროს დაცული არ არის საცხოვრებელი ფართების დიდი ნაწილი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ხელმიუწვდომელია სატრანსპორტო საშუალებები. დევილ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის ქალთა (გოგონათა) დიდი ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი საჭირო კვების პროდუქტებით.

მიუხედავად იმისა, რომ დევილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უმეტესი ნაწილი სარგებლობს სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის სხვადასხვა პაკეტით (სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მქონე, საყოველთაო დაზღვევა), მათთვის მიუწვდომელია საჭირო სამედიცინო მომსახურება. ამის ერთ-ერთ მიზეზად კვლევაში მონაწილე პირები ასახელებენ იმ ფაქტს, რომ არა აქვთ ინფორმაცია რა მომსახურების მიღება შეუძლიათ არსებული სამედიცინო დაზღვევის ფარგლებში. გარდა ამისა ისინი აღნიშნავენ მედიცინის მუშაკთა უგულისყურო დამოკიდებულების შესახებ.

დევნილთა უმეტესი ნაწილის ძირითად შემოსავალს მხოლოდ სახელმწიფო სოციალური პაკეტი, დევნილის შემწეობა ან/და უმწეოთა დახმარება წარმოადგენს. შესაბამისად, ისინი ვერ ახერხებენ მედიკამენტების შეძენას, რაც კიდევ უფრო მეტად აუარესებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას.

სერიოზული პრობლემები აქვთ კერძო სექტორში მცხოვრები დევნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ოჯახებს. მათი უმეტესი ნაწილი ცხოვრობს ნათესავების კუთვნილ საცხოვრებელ სახლებში, რომლებსაც დიდი ხანია არ ჩატარებია სარემონტო სამუშაოები. ამ მხრივ განსაკუთრებული საჭიროებები აქვთ მაღალმთიან რეგიონში (ზემო სვანეთი) მცხოვრებ დევნილებს. გარდა საცხოვრებელი ბინის პრობლემისა, მათ ხელი არ მიუწვდებათ საჭირო სამედიცინო მომსახურებაზე, ინკლუზიურ განათლებაზე, დასაქმებაზე, ტრანსპორტზე და ა.შ.

პრობლემაა დევნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების უფლების რეალიზება. მათი დიდი ნაწილი არ არის ჩართული ინკლუზიური განათლების პროცესში. ამის მიზეზად დასახელდა ბევრი ფაქტორი, მათ შორის ის, რომ კვლევის არეალში შემავალი რეგიონების უმეტეს ნაწილში არ არის საგანმანათლებლო დაწესებულები, სადაც შესაძლებელი იქნება ინკლუზიური განათლების მიღება, არ არის ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებები, რომლითაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი შეძლებს გადაადგილებას, საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა არ აკმაყოფილებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს, მხედველობისა და სმენის შეზღუდვის მქონე პირებისთვის არ იბეჭდება/არ გამოიცემა სასწავლო სახელმძღვანელოები საჭირო ფორმით (ბრაილის შრიფტი, აუდიო-მასალა) და სხვა.

სერიოზული პრობლემები გამოიკვეთა დევნილთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების კუთხით. დევნილი ქალების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ნაწილი თვითდასაქმების გზების ძიებაშია და ხშირად ისეთი სამუშაოს შესრულებაც უწევთ, რომელიც სახიფათოა მათი ჯანმრთელობისთვის. ამასთან, ვერ იღებენ შესრულებული სამუშაოს ადეკვატურ ანაზღაურებას (დილიდან საღამომდე მუშაობა სათბურებში მიზერული ანაზღაურების ფასად).

რაც შეეხება უძრავ ქონებაზე დევნილ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებრივ მდგომარეობას, რეაბილიტირებული და ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართების გადაცემის დროს, უძრავი ქონების აღრიცხვა უმეტესწილად მოხდა ოჯახის სხვა წევრებზე და არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებზე. გამონაკლისია შემთხვევები, როცა დევნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი მართლაც ხელახლა.

საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო ბერკეტების არსებობის მიუხედავად დაბალია დევნილ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (ქალთა, გოგონათა) უფლებების სრულყოფილი რეალიზების ხარისხი. შესაბამის სახელმწიფო უწყებათა მხრიდან არ სრულდება კანონმდებლობით მათზე დაკისრებული მოვალეობები.

მიუხედავად იმისა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია აღიარებს ისეთ პრობლემებს, როგორცაა დევნილთა შორის უსახსრობა, მიწისა და სხვა უძრავი ქონების უქონლობა; დევნილ მოსახლეობაში უმუშევრობის მაღალი და, შესაბამისად, დევნილებით მჭიდროდ დასახლების რაიონებში ეკონომიკური აქტიურობის დაბალი მაჩვენებლები; უვარგისი და ხშირ შემთხვევებში საფრთხის შემცველი საბინაო პირობები; ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებისა და განათლების ხელმიუწვდომობა; სოციალური დაცულობის დაბალი ხარისხი, დახმარებაზე დამოკიდებულობის სინდრომი და უინიციატივობა, ქმედითი ნაბიჯები ამ პრობლემების მოგვარების მიზნით ჯერ კიდევ არ არის გადადგმული.

კვლევამ ცხადად გამოავლინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დევნილი პირების საკითხთა მიმართ არსებული გულგრილი დამოკიდებულება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მხრიდან. აღნიშნული უწყება არ აწარმოებს სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებისას, გრძელვადიანი განსახლების ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ რეაბილიტირებული და/ან ახალი საცხოვრებელი ფართის მიღების სტატისტიკას, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სტატისტიკას, არ ფლობს ინფორმაციას მოხდა თუ არა ამ პირთა საჭიროებების გათვალისწინება საცხოვრებელი ფართების გადაცემის დროს, სამინისტროს არ აქვს მონაცემები იმის შესახებ აღირიცხა თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალის სახელზე უძრავი ქონება. კვლევის ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატმა სწორედ ეს ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან.

სამინისტროს პასუხი ასეთი იყო: „სამწუხაროდ, აღნიშნული ინფორმაციის მოწოდება შეუძლებელია, ვინაიდან, თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის აღრიცხვა არ ხორციელდება. დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისას, საცხოვრებელი ფართით კმაყოფილდება იძულებით გადაადგილებული პირის ოჯახი, სულადობის შესაბამისად.“<sup>845</sup>

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების<sup>846</sup> მე-3 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა განსახლების ორგანიზების მიზნით, დევნილთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით, შესაძლებელია საცხოვრებელი ფართი დევნილ ოჯახს გადასცეს კენჭისყრაში მონაწილეობის გარეშე. ამავე ბრძანებით დამტკიცდა ოჯახის შეფასების „სოციალური კრიტერიუმი,“

<sup>845</sup> 2013 წლის 8 აგვისტოს №05/02-12/43380 კორესპონდენცია.

<sup>846</sup> [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=1980225&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1980225&lang=ge)

რომლის მიხედვით დადგენილია სარეიტინგო ქულის მინიჭება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესაბამისად.

კვლევის ფარგლებში გამოვლენილ იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემებზე საქართველოს სახალხო დამცველი საუბრობდა 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც, სადაც აღნიშნულია, რომ მიუხედავად გარკვეული პროგრესისა და წინგადადგმული ნაბიჯებისა, დევნილთა მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩება<sup>847</sup>.

ქ.ყ.-ს შემთხვევა - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ არასათანადო მოპყრობისა და სამედიცინო საჭიროებების უგულვებელყოფის აღსაკვეთად

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დევნილი ქალების (გოგონების) უფლებების თაობაზე შემუშავებული კვლევის ფარგლებში, რეგიონებში გასვლითი შეხვედრის დროს საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მიიღეს ინფორმაცია ზუგდიდში, დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირის ქ.ყ.-ს უფლებების სავარაუდო დარღვევის შესახებ.

მოწოდებული ინფორმაციის გადასამოწმებლად, საცხოვრებელ ადგილზე მონახულებულ იქნა ქ.ყ., რომელიც დედასთან ც.კ.-სა და ძმასთან ხ.ყ.-სთან ერთად ცხოვრობს. გასაუბრება მოხდა დედასთან და მეზობლებთან. სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ მოპოვებული ინფორმაციით გაირკვა, რომ ქ.ყ.-ს აღენიშნება მძიმე ფორმის ფსიქიკური აშლილობა, არ არის კონტაქტური. ოჯახის წევრთა გადმოცემით ქ.ყ. იღებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განსაზღვრულ სოციალურ პაკეტს. დედა წლების განმავლობაში ქ.ყ.-სათვის კვალიფიციური სამედიცინო დახმარების გაწევის წინააღმდეგია და განთავსებული ჰყავს შვილი იზოლირებულ ოთახში, მას აკრძალული აქვს გარემოსთან ყოველგვარი კომუნიკაცია.

სახალხო დამცველის წარმომადგენლის ადგილზე ყოფნის განმავლობაში ქ.ყ. იმყოფებოდა ჩაბნელებულ ოთახში. ერთადერთი ფანჯარა აჭედილი იყო ხის ფიცრებით და ჩამოფარებული იყო ნაჭრის ნაგლეჯი. ოთახში იგრძნობოდა ფეკალიებისა და სხვა გახრწნილი პროდუქტის სუნი. ქ.ყ. არ სარგებლობს საპირფარეშოთი და ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს ადგილზე. ოთახში იდგა რკინის საწოლი ბინძური ნაჭრებით თეთრეულის გარეშე, რკინის მოგრძო სკამი და ღია ელექტრო-გამათბობელი. ქ.ყ.-ს დამოუკიდებლად არ შეუძლია აქტიური მოძრაობის განხორციელება - იატაკიდან ადგომა, გადაადგილება. საკვების ყლაპვა და მონელება აქვს გამწელებული. აღნიშნული პირის ჰიგიენისა და კვების მდგომარეობა უმძიმესია. ოთახის კარი გარედან იკეტება, შესაბამისად, ქ.ყ.-ს წლების განმავლობაში შეზღუდული აქვს თავისუფალი გადაადგილება. არ უტარდება ადეკვატური სამედიცინო მკურნალობა და მეთვალყურეობა.

<sup>847</sup> <http://www.ombudsman.ge/files/downloads/ge/iicsizmorgdfkakhkdqvc.pdf>  
საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში, გვ. 618-660.



ქ.ყ.-ს მდგომარეობა სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა შეაფასეს, როგორც უკიდურესად მძიმე, ხოლო პირობები არაადამიანური და ღირსების შემლახავი.

სახალხო დამცველის წარმომადგენელთა შეხვედრამ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივ წარმომადგენლებთან გამოავლინა, რომ ქ.ყ.-ს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი მინიჭებული აქვს 2004 წლიდან, 2007 წლის პირველი ივლისიდან დადგენილი აქვს მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი უვადოდ.

ქ.ყ. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნა ქმედუნაროდ. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ზუგდიდის სოციალური მომსახურების ცენტრის 2013 წლის 7 მაისის №04-09-01/2018 გადაწყვეტილებით<sup>848</sup> ქ.ყ.-ს მეურვედ დაინიშნა დედა ც.კ.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივი სამსახურისთვის, როგორც საჯარო უწყებისათვის ქ.ყ.-ს მდგომარეობის შესახებ ცნობილი იყო 2004 წლიდან, ვინაიდან სწორედ 2004 წლიდან აქვს მინიჭებული მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი. ზუგდიდის სოციალური მომსახურების ცენტრის წარმომადგენელთა განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფლობდნენ ინფორმაციას ქ.ყ.-ს მდგომარეობის შესახებ, მათ არ მოუხდენიათ რეაგირება რამდენიმე მიზეზით: მათ არ ჰქონდათ ქ.ყ.-ს ოჯახის წევრების (დედის) მხრიდან ოფიციალური თხოვნა და თანხმობა დახმარების შესახებ; დედის წინააღმდეგობის გამო ვერ მოხერხდა ქ.ყ.-ს გადაყვანა შესაბამისი პროფილის სტაციონარში.

აღნიშნული შემთხვევის ადამიანის უფლებების კუთხით ანალიზისას გამოიკვეთა ქ.ყ.-ს უფლებების დარღვევა.

დედის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი წლების მანძილზე წარმოადგენდა მშობლის მხრიდან ოჯახში ძალადობის მსხვერპლს; როგორც „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი განსაზღვრავს, „ოჯახში ძალადობა გულისხმობს, ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობითა და იძულებით“. მათ შორის, იგულისხმება, „მშობლის მხრიდან „ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს.“

<sup>848</sup> გადაწყვეტილება №04-09-01/2018-07 მაისი, 2013 წ.



ეროვნული კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისად საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, რათა უმოკლეს ვადაში განხორციელებულიყო ქ.ყ.-სათვის ადეკვატური სამედიცინო დახმარების დაუყოვნებელი მიწოდება და ქ.ყ.-ს საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებების დაცვა<sup>849</sup>.

### **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საცხოვრებლისა და ოჯახის პატივისცემის უფლება**

საანგარიშო პერიოდში გაეროს ერთობლივი პროგრამა „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ - საქართველოს სახალხო დამცველის გაძლიერების პროექტის ფარგლებში, გაეროს 2006 წლის კონვენციაზე დაყრდნობით განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებების ჭრილში. კვლევაში ადგილი დაეთმო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საცხოვრებლისა და ოჯახის პატივისცემის უფლებას, რომელიც აღიარებულია გაეროს 2006 წლის კონვენციის 23-ე მუხლის თანახმად. დასახელებული ნორმის მიხედვით მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ეფექტურ და შესაბამის ზომებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, ქორწინებასთან, ოჯახთან, მშობლის ფუნქციებთან და პირად ურთიერთობებთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან მიმართებაში.

საცხოვრებლისა და ოჯახის პატივისცემის უფლების უზრუნველყოფის მიზნით საქორწინო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირს თანაბრად აქვს ქორწინებასა და ოჯახის შექმნის უფლება, მეუღლეთა თავისუფალი არჩევანისა და გაცნობიერებული თანხმობის საფუძველზე;

კონვენციით გარანტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება, მიიღონ თავისუფალი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება შვილების რაოდენობასა და მათ დაბადებას შორის ინტერვალზე, ასევე მიიღონ მათი ასაკისათვის შესაფერისი ინფორმაცია და განათლება რეპროდუქციულ, ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე.

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ უნდა მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხელშეწყობა ამ უფლებათა რეალიზებაში; შენარჩუნებულ იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ შორის ბავშვების ფერტილობა, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე.

<sup>849</sup> საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია №3181/09/1718-13-13.06.2013

სახელმწიფოს შესაბამისმა ინსტიტუტებმა სათანადო დახმარება უნდა გაუწიონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ბავშვების აღზრდისა და მშობლის უფლება-მოვალეობების განხორციელების დროს; უზრუნველყოფილ უნდა იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ოჯახში ცხოვრების უფლება სხვებთან თანასწორობის საფუძველზე. ამ უფლების რეალიზების, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დამალვის, მიტოვების, უარყოფის ან სეგრეგაციის თავიდან აცილებისათვის, მონაწილე სახელმწიფოები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და მათ ოჯახებს წინასწარ აწვდიან ამომწურავ ინფორმაციას, მომსახურებას და დახმარებას.

კონვენციის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ ბავშვები არანაირი პირობით არ იქნან დაშორებული მშობლებისაგან თავად მათი, ერთ-ერთი ან ორივე მშობლის შეზღუდული შესაძლებლობის გამო. იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახი ვერ ახერხებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვზე მზრუნველობას, მონაწილე სახელმწიფოებს გააჩნიათ ვალდებულება, მიიღონ ყველა ზომა ალტერნატიული ზრუნვის ორგანიზებისათვის, შედარებით შორეული სანათესაოს ჩართვით, ხოლო ასეთი შესაძლებლობის არარსებობის შემთხვევაში კი, ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული გარემოს შექმნით.

სამართლებრივი ანალიზის დროს, საერთაშორისო რეგულაციების პარალელურად განხორციელდა ეროვნული საკანონმდებლო აქტების მიმოხილვა.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საოჯახო ურთიერთობები წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად. კოდექსის 1106-1120 მუხლებით დადგენილია დაქორწინების წესი და პირობები. აქედან 1120-ე მუხლი ადგენს ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებებს, რომლის თანახმად ქორწინების დამაბრკოლებელ ერთ-ერთ გარემოებად ითვლება იმ პირებს შორის ქორწინება, რომელთაგან თუნდაც ერთი სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ. აღნიშნული ნორმის მიხედვით მენტალური შეზღუდვის მქონე ადამიანებს ფაქტიურად აკრძალული აქვთ პირადი ცხოვრების მოწყობის უფლება, რაც ეწინააღმდეგება გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციით დადგენილ მიდგომებს.

დაქორწინებისას და საოჯახო ურთიერთობებში დისკრიმინაციის ამკრძალავ ნორმას შეიცავს სამოქალაქო კოდექსის 1153-ე მუხლი, რომლის მიხედვით არ დაიშვება უფლებათა პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიხედვით. ჩამონათვალში ცალკე არ ფიგურირებს დისკრიმინაციის აკრძალვა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით, თუმცა მიგვაჩნია, რომ „სხვა გარემოებებში“ ის უდავოდ უნდა ვიგულისხმოდ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, დადგენილია მშობელთა თანასწორუფლებიანობა შვილების მიმართ (მუხლი 1197); კოდექსი ასევე განსაზღვრავს მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვის (მუხლი 1205), შეჩერების (მუხლი 1205<sup>1</sup>), ჩამორთმევის (მუხლი 1206) წესებს.<sup>850</sup>

მშობლის უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს მშობლის ერთი ან რამდენიმე უფლება და მოვალეობა მშობლის სხვა უფლებებისა და მოვალეობებისაგან დამოუკიდებლად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (მუხლი 1205) თავდაპირველი რედაქცია მხოლოდ მშობლის უფლების ჩამორთმევას იცნობდა. 2007 წლის დეკემბერში აღნიშნულ მუხლში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად კანონმდებლობაში შემოვიდა ცნება „მშობლის უფლების შეზღუდვა“. მშობლის უფლების შეზღუდვის მარეგულირებელი ნორმა მწვავედ შეეხოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ასევე სოციალურად დაუცველ პირებს (მშობლებს), რომელთა გარკვეულ ნაწილს კანონის საფუძველზე ფაქტიურად წაერთვათ უფლება აღზარდონ თავიანთი შვილები. ოჯახების გაძლიერების ნაცვლად, ამ პირების მიმართ ადგილი აქვს მშობლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვას და მათი შვილების განთავსება ხდება მიმღებ ოჯახებში, რომლებიც საკმაოდ სოლიდური ანაზღაურების სანაცვლოდ ახორციელებენ თავიანთ მოვალეობებს-ბავშვის მოვლას და აღზრდას.

შეზღუდული შესაძლებლობის და სოციალურად დაუცველი მშობლების უფლებებზე ასევე უარყოფითად იმოქმედა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1205<sup>1</sup> მუხლში 2012 წლის 19 ივნისის კანონით (№6494) განხორციელებულმა ცვლილებამ, რომლის თანახმად აღნიშნულ მუხლს დაემატა მე-5 პუნქტი: „მშობლის უფლება-მოვალეობები შეჩერებულად ითვლება მშობლის (მშობლების) მიერ საკუთარი ქმედებით ან უმოქმედობით გამოხატული ბავშვის მიტოვებისას, როდესაც ბავშვი განთავსებულია 24-საათიან სახელმწიფო ზრუნვაში. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება-მოვალეობების შეჩერება მოქმედებს შეჩერების საფუძველების არსებობის ვადით“.

აღნიშნული ცვლილებით, მშობლებს, რომლებიც არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ცხოვრობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატებში, სადაც არ აქვთ საშუალება თავისთან იყოლიონ შვილები და იძულებული ხდებიან განათავსონ ბავშვები 24 საათიან სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში, უჩერდებათ მშობლის უფლება-მოვალეობები. აღნიშნულ პირთა ე.წ. „ქმედება“ და „უმოქმედობა“ გამოიხატება იმით, რომ მათ არ გააჩნიათ მუდმივი, არც დროებითი საცხოვრებელი (გარდა პანსიონატისა), სადაც შეძლებენ საკუთარ შვილებთან ერთად ცხოვრებას და მათ აღზრდას, შესაბამისად

<sup>850</sup> [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=31702](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31702)

„ტოვებენ“ შვილებს. არსებულ პირობებში მათ შეიძლება მუდმივად ჰქონდეთ შეზღუდული მშობლის უფლების განხორციელება.

ქორწინებისა და მშობლის უფლებების მარეგულირებელი ნორმების პარალელურად კვლევაში მიმოხილულ იქნა შვილად აყვანის წესი. შესაბამისი პროცედურები დადგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, ასევე „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1245-ე მუხლის მიხედვით, მშვილებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩამორთმეული ან შეზღუდული აქვს მშობლის უფლება-მოვალეობები მშობლის უფლებების განუხორციელებლობისა და მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად განხორციელების/შესრულების გამო. მშვილებელი არ შეიძლება იყოს ასევე პირი, რომელსაც ავადმყოფობის ან მორალური თვისებების გამო არ შეუძლია განახორციელოს მშობლის უფლებები. მშვილებლის განცხადებით შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება სასამართლოს მიერ მშვილებლის ან შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის შემდეგ (მუხლი 1242).

სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმის ანალოგიურად „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი ადგენს ვინ შეიძლება იყოს მშვილებელი. ასევე ვის არ აქვს უფლება შვილად აიყვანოს ბავშვი. სამწუხაროა, რომ ამ ჩამონათვალში ხვდებიან პირები, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (სამინისტროს მიერ დამტკიცებული დაავადებათა სიის მიხედვით) არა აქვთ უფლება შვილად აიყვანონ ბავშვი.

„შვილად აყვანის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №50/ნ ბრძანების მე-6 მუხლი შეიცავს დაავადებათა ჩამონათვალს, რომელთა არსებობის შემთხვევაში პირს არა აქვს უფლება იყოს მშვილებელი. დასახელებული მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად მშვილებელი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აღენიშნება შემდეგი დაავადებები:

- გ.ა) ტუბერკულოზი (აქტიური და ქრონიკული) ნებისმიერი ლოკალიზაციის;
- გ.ბ) შინაგანი ორგანოების დაავადებები დეკომპენსაციის სტადიაში;
- გ.გ) ნერვული სისტემის, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის მყარი, მნიშვნელოვნად გამოხატული დაავადებები და დაზიანებები, რაც გამოიწვევს მოძრაობასა და კოორდინაციის მნიშვნელოვან დარღვევას;
- გ.დ) ნებისმიერი ლოკალიზაციის ავთვისებიანი, ონკოლოგიური დაავადებები;
- გ.ე) ნარკომანია, ტოქსიკომანია, ალკოჰოლიზმი;
- გ.ვ) ინფექციური დაავადებები მათი დისპანსერული აღრიცხვიდან მოხსნამდე;

- გ.ზ) ფსიქიკური დაავადებები, რომლის დროსაც ავადმყოფი, არსებული წესების გათვალისწინებით მიჩნეულია ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუუნარიანად;
- გ.თ) ყველა დაავადება და ტრავმა, რომელმაც გამოიწვია მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება, რომელიც ახდენს გავლენას ბავშვის სრულფასოვან აღზრდა-განვითარებაზე.

დაავადებათა ჩამონათვალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დიდ ნაწილს ფაქტიურად ერთმევა უფლება იყოს მშვილბელი, ანუ პოტენციური მშობელი. კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ მსგავსი ჩანაწერი დისკრიმინაციული ხასიათის მატარებელია და ეწინააღმდეგება გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის პრინციპებს, რომელთა თანახმად აუცილებელია ადამიანის თანდაყოლილი პიროვნული ღირსების, მისი ინდივიდუალური ავტონომიის პატივისცემა, გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებისა და პიროვნების დამოუკიდებლობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა; პატივისცემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსხვავებულობისადმი; მათი აღიარება ადამიანთა შორის არსებული განსხვავებულობის შემადგენელ ნაწილად, თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

კონვენციის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება-მოვალეობები რეალიზება და შესაბამისი დახმარება გაუწიონ მათ ბავშვების აღზრდასა და მშობლის როლის შესრულებაში (მუხლი 23, პუნქტი 2).

ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში ნაკლებად ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახების გაძლიერება. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო საპირისპირო, შედარებით „მარტივ“ გამოსავალს არჩევს და მინდობით აღზრდაში ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შვილების განთავსება, რითაც როგორც აღვნიშნეთ იზღუდება მათი მშობლის უფლების განხორციელების შესაძლებლობა.

სერიოზული პრობლემაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განცალკევება მშობლებისგან. კონვენციის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ოჯახში ცხოვრების უფლება სხვებთან თანასწორობის საფუძველზე. ამ უფლების რეალიზების, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დამალვის, მიტოვების, უარყოფის ან სეგრეგაციის თავიდან აცილებისათვის, მონაწილე სახელმწიფოები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და მათ ოჯახებს წინასწარ უზრუნველყოფენ ამომწურავი ინფორმაციით, მომსახურებითა და დახმარებით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები არ უნდა იქნან დაშორებული მშობლებისგან მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, ასევე ერთ-ერთი ან ორივე მშობლის შეზღუდული შესაძლებლობის გამო (კონვენციის მუხლი 23, პუნქტი 4). მხოლოდ ალტერნატიული ზრუნვის ყველა ფორმის გამოყენების შემდეგ შეიძლება იქნას მიღებული გადაწყვეტილება,



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის სხვა, მხოლოდ ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული გარემოს შექმნის შესახებ (კონვენციის მუხლი 23, პუნქტი 5).

საქართველოს სინამდვილეში უმეტესწილად უგულბელოყოფილია ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უპირატესი უფლების რეალიზება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მშობლის უფლება-მოვალეობების შეზღუდვა/შეჩერების მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზის დროს ჩვენი მსჯელობა ემსახურება იმ ხარვეზებისა და პრობლემების წარმოჩენას, რომლებსაც ადგილი აქვს მინდობით აღზრდის განხორციელების დროს და არა კანონმდებლობისა და ზოგადად ამ ინსტიტუტის უარყოფას ან მის დისკრედიტაციას.

არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით აუცილებელია ქართული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გაეროს 2006 წლის კონვენციის მოთხოვნებთან.

### **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებები**

საანგარიშო პერიოდში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების დაცვის მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა.

ქვეყანაში ერთიანი კომპლექსური სამთავრობო სოციალური პოლიტიკის შემუშავება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მომსახურების ერთიანი სისტემის შექმნა დაბადებიდან 18 წლამდე; იმ ოჯახებისათვის მომსახურების მიწოდება, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს უვლიან; სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვა; ადრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაუმჯობესება; იმ დამოკიდებულებისა და ქცევითი ნორმების ტრანსფორმაცია, რომლებიც ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სტიგმატიზაციას – ეს ქვეყნის წინაშე მდგარი ძირითადი ამოცანებია.

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში 2013 წლის ბოლომდე უნდა დასრულებულიყო ბავშვთა სახლების დეინსტიტუციონალიზაცია, თუმცა ეს პროცესი ჯერ კიდევ არ შეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლებს. რეფორმის ფარგლებში შემდგომი აქტივობების განხორციელების მიზნით შემუშავებული და მთავრობის მიერ დამტკიცებულია ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015წლების. სამოქმედო გეგმა<sup>851</sup>, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი 0–6 წლამდე და ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის შესაბამისი ალტერნატიული ზრუნვის ფორმების შექმნა და

<sup>851</sup> [http://www.atipfund.gov.ge/images/stories/pdf/samoqmedo/bavshvta\\_gegma12.pdf](http://www.atipfund.gov.ge/images/stories/pdf/samoqmedo/bavshvta_gegma12.pdf)

განვითარება, რაც ხელს შეუწყობს დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის წარმატებით დასრულებას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლების დახურვას. თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში ამჟამად 0-6 წლამდე ასაკის 55 ბავშვი იმყოფება.<sup>852</sup> მათგან 99%-ს გარკვეული სახის შეზღუდული შესაძლებლობა აქვს. სენაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლში 26, ხოლო კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლში 23 ბენეფიციარი. გაეროს „ბავშვების ალტერნატიული მოვლის დირექტივების“ მიხედვით მთავრობებმა უნდა დაიწყონ ბავშვთა დაწესებულებების „მოსპობის“ დაგეგმვა.<sup>853</sup>

მთავრობა მოწოდებულია, თანდათანობით შეამციროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლის ბენეფიციართა რაოდენობა მათი საბოლოოდ დახურვის მიზნით და უზრუნველყოს გადაუდებელი მინდობით აღზრდა, ადრეული ინტერვენციით მომსახურება, ძლიერი სამედიცინო მხარდაჭერის (პალიატიური ზრუნვა) და დედათა და ახალშობილთა თავშესაფრების გაფართოება, როგორც უფრო მიზანშეწონილი საპასუხო ზომები.

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში 2010-2013 წლებში ასევე დაიხურა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 6 სკოლა-პანსიონი,<sup>854</sup> ხოლო იქ მცხოვრები სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების ნაწილი რეინტეგრირებულია ოჯახებში, ნაწილი კი გადავიდა სხვა ალტერნატიულ სერვისებში. დღეს მოქმედია 9 სკოლა-პანსიონი,<sup>855</sup> სადაც 625 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სწავლობს.

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის (DRI) 3 წლიანი კვლევის შედეგი „უყურადღებოდ მიტოვებულები: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და მოზრდილთა რეფორმებიდან გარიყვა და მათი უფლებების დაცვა საქართველოში, რომელმაც დიდი რეზონანსი გამოიწვია. „საქართველოს რეზიდენტულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები განიცდიან ფიზიკურ და ემოციურ უგულვებელყოფას და ძალადობას, ბევრი ბავშვი მოკლებულია სიცოცხლისთვის აუცილებელ სამედიცინო მკურნალობას მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან.“<sup>856</sup> - ნათქვამია კვლევაში.

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში აუცილებელია ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების, ისეთი როგორცაა დღის ცენტრები და ადრეული ჩარევის სერვისები განვითარება.

<sup>852</sup> სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაცია №04/12503

<sup>853</sup> მითითებები ბავშვების ალტერნატიული მოვლის შესახებ, G.A Res. Adopted. GAOR, 64-ე სესია. U.N. A/RES/64/142, პარ. 22 (ნოემბ. 20, 1989), <http://www.refworld.org/docid/4c3acd162.html>

<sup>854</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია.

<sup>855</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია.

<sup>856</sup> <http://www.disabilityrightsintl.org/wordpress/wp-content/uploads/Left-Behind-final-report1.pdf>

შეზღუდული შესაძლებლობის დროული დიაგნოსტიკებისა და ბავშვებში განვითარების შეფერხების ინტერვენციის მიზნით 2009 წელს შეიქმნა ბავშვთა ადრეული განვითარების პირველი ცენტრი. ეს სერვისი გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით ბავშვთა სოციალური შემეცნებითი თვითმოვლისა და კომუნიკაციური უნარების განვითარებას ემსახურება.<sup>857</sup>

საქართველოს მასშტაბით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის 33 დღის ცენტრი ფუნქციონირებს<sup>858</sup>, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ იმართება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსებით. ამჟამად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 462 ბავშვი<sup>859</sup> იღებს სახელმწიფო ვაუჩერს დღის ცენტრით სარგებლობისათვის. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ აღიარა დღის ცენტრების დადებითი გავლენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე და გეგმავს გაზარდოს სახელმწიფო დაფინანსებით არსებული ცენტრების რაოდენობა. როგორც ცნობილია, 2011 წელს მთავრობამ დაამტკიცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტები<sup>860</sup>. როგორც სახალხო დამცველის ოფისისთვის გახდა ცნობილი ამ სტანდარტებით არ სარგებლობენ ზოგიერთ რეგიონში არსებული, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დაფინანსებაზე მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრები<sup>861</sup>, აღნიშნული მიდგომა საჭიროებს დაუყოვნებლივ შეცვლას, სერვისის დაფინანსების წყაროს მიუხედავად.

დაბადებისას შეზღუდული შესაძლებლობის არასწორი დიაგნოსტიკა და სტატუსის მინიჭების რეგულაციები კვლავ ხელს უშლის სათანადო და დროულ რეაგირებას. არსებული სისტემა არ იძლევა 0-3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის (შეზღუდული შესაძლებლობის ოფიციალური სტატუსის მინიჭების შესაძლებლობას, რაც პოლიტიკისა და პრაქტიკისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს და ამ ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებს (და მათ მზრუნველებს) უზღუდავს შესაძლებლობას, ისარგებლონ სტატუსთან დაკავშირებული სახელმწიფო შეღავათებით. მათ შორის დღემდე გამოწვევას წარმოადგენს აუტისტური სპექტრის აშლილობისა და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ადრეული დიაგნოსტიკა და სტატუსის მინიჭება. ამ თემაზე გასულ წელს საქართველოს სახალხო დამცველმა მოამზადა რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სახელზე.<sup>862</sup>

<sup>857</sup> [http://ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=613](http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=613)

<sup>858</sup> სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაცია №04/12503

<sup>859</sup> სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაცია №04/12503

<sup>860</sup> [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=1282864&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1282864&lang=ge)

<sup>861</sup> შემოსული კორესპონდენცია №5754/1 17.01.2014

<sup>862</sup> 2013 წლის 4 მარტის წერილი №293/09

საქართველოს სახალხო დამცველი მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების რეალიზებისა და არსებული სისტემური ხარვეზების გამოვლენის კუთხით. ამ მიზნით 2014 წელს იგეგმება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლების, სკოლა-პანსიონებისა და დღის ცენტრების მონიტორინგი.

#### რეკომენდაციები:

##### საქართველოს პარლამენტს:

- უზრუნველყოს ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მოთხოვნებთან;
- უზრუნველყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება;
- უზრუნველყოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების გატარება მენტალური და სხვა შეზღუდვების მქონე პირთა საცხოვრებლისა და ოჯახის უფლების რეალიზებისათვის (ქორწინება, ოჯახი, მშობლის უფლება და პირადი ცხოვრება);
- მოახდინოს საკანონმდებლო ცვლილებების რევიზია მშობლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გადახედვის მიზნით.

##### საქართველოს მთავრობას:

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის განხორციელებაზე მონიტორინგის მიზნით უზრუნველყოს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის გაძლიერება;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის განხორციელებისათვის გადადგას ქმედითი ნაბიჯები და შეიმუშაოს მისი იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დამალვის, მიტოვების, უარყოფის ან სეგრეგაციის თავიდან აცილების მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მათი ოჯახები უზრუნველყონ ამომწურავი ინფორმაციით, მომსახურებითა და დახმარებით;
- სახელმწიფო უწყებებმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის უზრუნველყონ ჟესტების ენის, ბრაილის შრიფტის, გამაძლიერებელი და ალტერნატიული კომუნიკაციისა და სხვა ხელმისაწვდომი საშუალებების გამოყენება ოფიციალურ ურთიერთობებში;

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელების პროცესში, ეს ინფორმაცია მიეწოდოს შესაბამისი ფორმატითა და ტექნოლოგიების გამოყენებით (ბრაილის შრიფტი, მსხვილი შრიფტი, აუდიო-საშუალებები და სხვ.).

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს:

- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსაკუთრებული საჭიროებების მინისტრიმიზაცია „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიისა“ და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის ყველა ასპექტთან მიმართებაში;
- გრძელვადიანი განსახლების ფარგლებში დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის დროს გათვალისწინებულ იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები, როგორც შენობათა გარე, ისე შიგა ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის თვალსაზრისით; შესაბამისი სტანდარტი და მოთხოვნები ასახულ იქნას საცხოვრებელი ბინების რეაბილიტაციისა და სამშენებლო საქმიანობის განმახორციელებელ იურიდიულ პირებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში;
- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ კერძო სექტორის უკიდურესად გაჭირვებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დევნილებს, რომლებიც საჭიროებენ გრძელვადიან განსახლებას;
- აწარმოოს დევნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სტატისტიკა ჯანმრთელობის მდგომარეობის, ავადობის პროფილის, სავარაუდო რისკის დაავადებების გამოკვლევისა და სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში მათთვის დადგენილი სამედიცინო და ფსიქოსოციალური დახმარების/რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავების მიზნით;
- დროულად იქნას განსაზღვრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები და განხორციელდეს მათი ჩართვა არსებული ჰუმანიტარული დახმარების, სოციალური, შინაზრუნვისა თუ მიზნობრივი ზრუნვის პროგრამებში, ან საჭიროების შემთხვევაში შემუშავებულ იქნას სპეციალური პროგრამები, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- უზრუნველყოს ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი ღონისძიებები რეგიონებში (მათ შორის მაღალმთიან რეგიონებში) მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, რათა რეალიზებულ იქნას ამ პირთა უფლება დაწყებით და საბაზო განათლებაზე;



- დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით განახორციელოს მათი ჩართვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, უზრუნველყოს პროფესიული სწავლების მოტივაციის ხელშეწყობა, მისი ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- განახორციელოს სასწავლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებით;
- ადგილობრივი სკოლების შესაძლებლობების სწრაფი ზრდა სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის სკოლამდელი და სასკოლო ინკლუზიური განათლების გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით;
- პროფესიული ინკლუზიური განათლების განვითარების ხელშეწყობა;
- უმაღლესი განათლების ინკლუზიის პროცესში ჩართვა და მისი ხელშეწყობა;
- ინკლუზიური განათლების სისტემასა და დღის ცენტრებს შორის აქტიური თანამშრომლობა, რათა შესაძლებელი გახდეს ბავშვის შესაძლებლობის გათვალისწინებით მისი გადაყვანა ერთი სისტემიდან მეორეში;
- სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და ჩართულობა მომსახურების მიწოდების სფეროში და ადგილობრივ თემებში სტიგმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში;
- მშობლების განათლების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- დევნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულებების გარე და შიგა ინფრასტრუქტურის ადაპტირება ამ პირთა საჭიროებების მიხედვით;
- სამედიცინო დაზღვევის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსაკუთრებული საჭიროებები, ამასთან მხედველობაში იქნას მიღებული გენდერული ასპექტები;
- უმოკლეს ვადაში გადაიხედოს დევნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობისთვის საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფის საკითხი;
- შეიმუშაოს შესაბამისი სოციალური პროგრამები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მარტოხელა დედების დახმარების მიზნით;
- უზრუნველყოს სოციალური საცხოვრებლით სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებმაც შექმნეს ოჯახები და საჭიროებენ შვილთან ერთად ოჯახურ გარემოში ცხოვრებას;
- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება-მოვალეობების რეალიზება და შესაბამისი დახმარება გაუწიოს მათ ბავშვის აღზრდისა და მშობლის როლის შესრულებაში;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მომსახურების ერთიანი სისტემის შექმნა დაბადებიდან 18 წლამდე.

- ხარისხიანი დღის ცენტრების რაოდენობის გაზრდა/არასრულყოფილი მომსახურების მქონე დღის ცენტრების დახურვა;
- „სპეციალიზებული დღის ცენტრების“ ქვეპროგრამის დიფერენცირება მძიმე და ღრმა შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების და ქცევითი დარღვევების მქონე ბავშვებისთვის;
- შინ მოვლის/შინ მომსახურების სახელმწიფო პროგრამის განვითარება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა ბავშვისათვის შესაბამისი მომსახურების მიწოდება მათი ოჯახების სიღარიბის სტატუსის მიუხედავად;
- 0-3 წლამდე ასაკის ბავშვებში შეზღუდული შესაძლებლობების დიაგნოსტიკა და მათთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭება;
- ბავშვთა განვითარების ცენტრების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა, რათა მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის ადრეული დიაგნოსტიკა, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დედებს დროულად გაეწიოთ დახმარება ადრეული ინტერვენციის მიზნით;
- შემუშავდეს ერთიანი სახელმწიფო რეფერალური სისტემა რომელიც გააუმჯობესებს სამედიცინო პერსონალს, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და მომსახურების მიწოდებელთა თანამშრომლობას, რათა დროულად მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ჩვილების და ბავშვებისთვის მომსახურების მიწოდება და მათი მიტოვების პრევენცია;
- ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებებით (დღის ცენტრები და ადრეული ჩარევის ქვეპროგრამა) მოსარგებლეთა ვაუჩერების რაოდენობის და დაფინანსების გაზრდა;
- ოჯახის მხარდამჭერი პროგრამები უნდა იყოს დაკავშირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის საჭიროებასთან და არა მხოლოდ უმწეობის სტატუსთან;
- ბავშვზე ზრუნვის რეფორმის გაგრძელება იმის უზრუნველსაყოფად, რომ დარჩენილი დიდი ზომის ბავშვთა დაწესებულებების დახურვის პროცესში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები არ იქნენ უგულვებელყოფილნი;
- სახელმწიფო და ადგილობრივ მთავრობებს შორის უფრო მეტი თანამშრომლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროგრამების შემუშავების და კოორდინაციის კუთხით.

#### საქართველოს იუსტიციის სამინისტროს:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირის, საქართველოს „საკანონმდებლო მაცნემ“ უზრუნველყოს მხედველობის შეზღუდვის მქონე პირებისათვის სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდის ხელმისაწვდომობა;

- საქართველოს „საკანონმდებლო მაცნეს“ ბეჭდური სახით გამოცემის შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროება, კერძოდ, ტექსტის დაბეჭდვა ბრაილის შრიფტით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირის, „112“-ის მიერ უზრუნველყოფილ იქნას სმენისა და მეტყველების შეზღუდვის მქონე პირებისათვის გადაუდებელი დახმარების სამსახურების (სასწრაფო-სამედიცინო დახმარება, სახანძრო-სამაშველო სამსახური, საპატრულო პოლიცია) გამოძახების დროს ინფორმაციის გაცვლა მოკლე ტექსტური შეტყობინების ან სხვა ადეკვატური ზომის გამოყენებით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დროულად და მათთვის მისაწვდომი ფორმით ეცნობათ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ.

## სათანადო საცხოვრებლის უფლება

უსახლკარო პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის უფლება ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებების ერთ-ერთ უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს. უსახლკარო პირები საზოგადოების სოციალურად დაუცველ ფენას განეკუთვნებიან და მათ ღირსეული ცხოვრებისათვის საჭირო პირობების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური და ეფექტიანი მხარდაჭერა ესაჭიროებათ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო და ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში აღიარებულია საცხოვრებელთან დაკავშირებული უფლება, პრაქტიკაში მისი დარღვევის ფაქტები სისტემურ ხასიათს ატარებს.

2013 წელს, წინა წლების მსგავსად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მაღალი იყო თავშესაფრის ან სათანადო საცხოვრებელი პირობების უქონლობის ფაქტებთან დაკავშირებით მიღებული განცხადებების რაოდენობა. განცხადებების შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა საგანგაშოა. აღნიშნულ სფეროში ადამიანის უფლებების დარღვევები არ ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს და იგი სისტემურ პრობლემად ჩამოყალიბდა.

ისევე, როგორც წინა წლებში, 2013 წელსაც პრობლემად რჩება უსახლკარო პირთა მონაცემთა ერთიანი ბაზის არარსებობა. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, უცნობია საქართველოს მასშტაბით რამდენი ადამიანი საჭიროებს თავშესაფარს. ბენეფიციართა მასშტაბის შესახებ ინფორმაციის არარსებობის პირობებში შეუძლებელია სათანადო ფინანსური სახსრების მობილიზება, პრობლემების გადასაჭრელად ეფექტიანი და შეუქცევადი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

პრობლემად რჩება საბინაო ფონდების უქონლობა და ადგილობრივი ხელისუფლების ბიუჯეტში ამ მიმართულებით გათვალისწინებული თანხების სიმწირე, რიგ შემთხვევებში კი, არარსებობა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, უსახლკარო პირების თავშესაფრის უზრუნველსაყოფად საბინაო ფონდების შექმნის მიზნით 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებები გათვალისწინებული არ ყოფილა.<sup>863</sup> გრძელდება უარყოფითი პრაქტიკა, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, როგორც ბენეფიციარებს ასევე საქართველოს სახალხო დამცველის მიერ სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის თაობაზე მომზადებულ რეკომენდაციებს, სტანდარტული პასუხით, საბინაო ფონდის ან/და ადგილობრივ ბიუჯეტში შესაბამისი ფინანსური რესურსის არარსებობის გამო ვერ აკმაყოფილებენ. თბილისის მერია, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ რეკომენდაციით მიმართვის შემთხვევებში, როგორც წესი, შაბლონური პასუხით შემოიფარგლებოდა და თავშესაფრის მამიებელ ოჯახებს

<sup>863</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2013 წლის 7 ნოემბრის №04-02/85810 წერილი.

სთავაზობდა მონაწილეობას პროგრამაში „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“ (პროგრამა გათვლილია 24 ოჯახზე).

პრობლემად რჩება სოციალურად დაუცველი ოჯახების სახელმწიფო პროგრამაში უსახლკარო პირების ჩართულობა<sup>864</sup>. განცალკევებული საცხოვრებელი ფართის უქონლობის გამო, უსახლკარო ოჯახებისათვის ვერ ხერხდება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სარეიტინგო ქულის მინიჭება და ისინი ვერ რეგისტრირდებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. შესაბამისად, ვერ სარგებლობენ სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გათვალისწინებული სოციალური დახმარებების პაკეტით.<sup>865</sup> გარდა ამისა, ისინი ვერ აკმაყოფილებენ პროგრამის, „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“, სავალდებულო კრიტერიუმს და აღნიშნულ პროგრამაში მათი კანდიდატურა არ განიხილება.

უსახლკარო პირების ზემოხსენებული პრობლემები დეტალურადაა განხილული საქართველოს სახალხო დამცველის წინა წლების საპარლამენტო ანგარიშებში, ამდენად 2013 წლის ანგარიშში მათ აღარ განვიხილავთ. ამასთან, უცვლელი დარჩება სათანადო საცხოვრისის უფლებაზე გაცემული რეკომენდაციები.<sup>866</sup>

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ნოემბრის №454 დადგენილებით, „ზოგიერთი კატეგორიის ოჯახებისათვის სოციალური უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“, იმ ოჯახებს, რომლებიც აკმაყოფილებენ საკანონმდებლო აქტით დადგენილ მოთხოვნებს, 6 თვის განმავლობაში სოციალური დახმარების სახით ყოველთვიურად ერიცხებოდათ 200 ლარი. 2013 წელს აღნიშნული დადგენილების მოქმედება არ გაგრძელებულა.

მნიშვნელოვანია, რომ მოწყვლადი ჯგუფებისათვის სოციალური შეღავათების შეწყვეტის შემთხვევაში არ გაუარესდეს სამიზნე ჯგუფის მდგომარეობა. მსგავსი პროგრამების შეწყვეტა შესაძლოა განპირობებული იყოს პრობლემის აღმოფხვრით ან ალტერნატიული სამოქმედო გეგმის შემუშავებით. 2013 წელს სახელმწიფო და კერძო სექტორიდან კოლექტიური გამოსახლების შემთხვევებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ წინამდებარე საკითხი ჯერ ისევ აქტუალურია და არსებობს უსახლკარო პირების სოციალური დაცვის უზრუნველყოფი პროგრამების საჭიროება. ამდენად, აღნიშნული პირებისათვის

<sup>864</sup> იხ. „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილება.

<sup>865</sup> იხ. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო მოხსენება, თავი: „სოციალური უზრუნველყოფის უფლება“, გვ. 584-596.

<sup>866</sup> იხ. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო მოხსენება, თავი: „სათანადო საცხოვრებლის უფლება“, გვ 204-209. ასევე, 2012 წლის საპარლამენტო მოხსენება, თავი: იგივე, გვ. 575-583.



საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ნოემბრის №454 დადგენილებით გათვალისწინებული სოციალური დახმარების შეწყვეტა უარყოფითად უნდა იქნეს შეფასებული.

წინამდებარე თავში ყურადღებას გავამახვილებთ იმ პრობლემებზე, რომლებმაც თავი იჩინა პროგრამის, „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“, ფარგლებში ბენეფიციარებისათვის საცხოვრებელი ფართების გადაცემის დროს. გარდა ამისა, განვიხილავთ უსახლკარო ოჯახების სახელმწიფო და კერძო საკუთრებიდან იძულებითი გამოსახლების ფაქტებს.

### **უსახლკარო პირთა პროგრამა „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“**

„შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს“ დახმარებით განხორციელებული პროექტი, „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“, ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი, უბინაო ოჯახების დროებითი საცხოვრისით დაკმაყოფილებას. პროექტის მიზანია, სოციალურად იზოლირებული და უსახლკარო, იძულებით გადაადგილებული პირებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მდგრადი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა, მათი სოციალური დახმარება და დაცვა. 2013 წელს თბილისში, ბათუმში, რუსთავეში და გორში განხორციელდა პროგრამის მესამე ეტაპი, რის შედეგადაც თითოეულ ქალაქში საცხოვრებელი ფართით 24 უსახლკარო ოჯახი დაკმაყოფილდა.

პროგრამის ფარგლებში, დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, თბილისის მასშტაბით 2013 წელს 287 პოტენციური ბენეფიციარი ოჯახი შეირჩა. ისინი გადაამოწმა და შეისწავლა მობილურმა ჯგუფებმა, რომლებიც შედგებოდა სამი სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებისაგან - ქალაქ თბილისის მერია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. მობილური ჯგუფი ახორციელებდა ვიზიტს პოტენციურ ბენეფიციართა ოჯახებში. 287 ბენეფიციარი ოჯახიდან, სოციალური საცხოვრისის პოტენციურ ბენეფიციარობაზე რეკომენდაცია გაეწია 45 ოჯახს, მათ შორის, 38 ადგილობრივი მოსახლეობიდან და 7 იძულებით გადაადგილებულ ოჯახზე.

სოციალური საცხოვრისის საკითხისადმი საზოგადოების მაღალი ინტერესის გამო, თბილისში ბენეფიციარები წარმომადგენლობითმა კომისიამ შეარჩია. აღნიშნულმა კომისიამ 45 პოტენციური ბენეფიციარიდან შეარჩია 24 ოჯახი, აქედან 18 ადგილობრივი მოსახლეობიდან და 6 იძულებით გადაადგილებული ოჯახი. 2013 წელს თბილისის მერიას და პროგრამის ფარგლებში შერჩეულ 24 ოჯახს შორის ინდივიდუალურად გაფორმდა ხელშეკრულება საცხოვრებელი ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. თუმცა, შერჩეული ბენეფიციარებისათვის საცხოვრებელი ფართების გადაცემამდე, მათი

ნაწილი სხვა უსახლკარო ან/და სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე პირებმა/ოჯახებმა დაიკავეს. შედეგად, პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციართა ნაწილი ვერ ახერხებდა ან დღემდე ვერ ახერხებს სოციალური საცხოვრისით სარგებლობას.

საქართველოს სახალხო დამცველმა სოციალური საცხოვრისის კანონიერი მოსარგებლეების ინტერესების დაცვის მიზნით, რეკომენდაციით მიმართა თბილისის მერიას. ადმინისტრაციული ორგანოდან მიღებული ინფორმაციით დადგინდა, რომ თბილისის მერიამ საკუთრების ხელყოფის ფაქტზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს მიმართა და „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება მოითხოვა. სამართალდამცავმა ორგანომ საქმის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ ხელმყოფ პირებს შორის იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობის და სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირები. აღნიშნული გარემოების საფუძველზე, სამართალდამცავმა ორგანომ ფაქტობრივად შეაჩერა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებული მესაკუთრის ხელმყოფისაგან დაცვის ღონისძიებები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანების მე-7 და მე-8 მუხლებით განსაზღვრულია საკუთრების ხელყოფისაგან ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები. აღსანიშნავია, რომ ხელმყოფი პირის სოციალურად დაუცველი ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დადგენა, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსისგან განსხვავებით, არ წარმოადგენს პირის მიმართ ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველს. შესაბამისად, სამართალდამცავმა ორგანომ თბილისის მერიის საკუთრების ხელმყოფი პირების მიმართ ხელყოფის აღკვეთის ღონისძიებები სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეაჩერა.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ორი ინტერესი, ერთი მხრივ, დაცული იყოს კანონიერი მესაკუთრის და სოციალური საცხოვრისის პროგრამის ფარგლებში შერჩეული, უსახლკარო ოჯახების კანონიერი ინტერესები და მეორე მხრივ, სავარაუდოდ, ასევე მძიმე სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი პირების უფლებები. ამიტომ, აუცილებელია თვითნებურად შესახლებული პირების სოციალურ-ეკონომიკური, მათ შორის, საცხოვრებელთან დაკავშირებული საკითხების ინდივიდუალურად შესწავლა და საჭიროების მქონე ოჯახების საცხოვრებლით დაკმაყოფილების ან/და სხვა, ადეკვატური დახმარების გაწევის შემდეგ, მათ მიერ იძულებით დაკავებული საცხოვრისის გამოთავისუფლება, რათა პროგრამის, „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ

გარემოში“, ფარგლებში შერჩეულმა ყველა ბენეფიციარმა მიიღოს კუთვნილი ფართები დროებით სარგებლობაში<sup>867</sup>.

## **სახელმწიფო და კერძო ობიექტების თვითნებური დაკავება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ და იძულებითი გამოსახლების შემთხვევები**

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მალალი იყო მომართვიანობა თბილისის მასშტაბით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული სამმართველოების მიერ უსახლკარო პირთა სახელმწიფო ან კერძო საკუთრებაში არსებული შენობებიდან იძულებით გამოსახლებასთან დაკავშირებით<sup>868</sup>. საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები ასეთ შემთხვევებში, ადგილზე ახორციელებდნენ მონიტორინგს.<sup>869</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის შესწავლის შედეგების მიხედვით, ობიექტების თვითნებურად დაკავებამდე და შემდგომ პერიოდებშიც, ამ პირებმა თავშესაფრით დაკმაყოფილების მოთხოვნით არაერთხელ მიმართეს როგორც თბილისის მერიას, ასევე რაიონულ გამგეობებს. თუმცა, უმეტეს შემთხვევებში, საბინაო ფონდების არარსებობის გამო ვერ ხერხდებოდა მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების თანახმად, უნებართვოდ დაკავებული ობიექტები, ხშირ შემთხვევებში, სიძველის გამო ავარიულ მდგომარეობაში იყო და საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებს არ წარმოადგენდა (მაგ: სკოლა, უნივერსიტეტი, საწარმო და სხვა). ამდენად, ოჯახებს არ ჰქონდა ხელმისაწვდომობა მინიმალურ საყოფაცხოვრებო პირობებზე (მათ შორის: ბუნებრივ აირზე, სასმელ წყალზე, უსაფრთხო სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებზე და სხვა) და ცხოვრობდნენ სიცოცხლისათვის საშიშ, უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს მიერ, უნებართვოდ დაკავებული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, უსახლკარო პირების სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციაც. ამ ოჯახების აბსოლუტურ

<sup>867</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 27 აგვისტოს რეკომენდაცია თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსს, იხ. <http://www.ombudsman.ge/ge/page/1884-saxalxo-damcvelis-rekomendacia-tavshesafrit-uzrunvelyofastan-dakavshirebit>

<sup>868</sup> იხ. „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანება.

<sup>869</sup> 2013 წლის 29 ივლისს, ქ. თბილისში, ლოღობერიძის ქუჩის №3-ში მდებარე ყოფილი მე-13 საჯარო სკოლის და 2013 წლის 9 აგვისტოს, თემქის მე-3 მკ/რ. მე-4 კვ. მდებარე 142-ე სკოლა „მერმისის“ შენობებიდან იძულებითი გამოსახლების შემთხვევები.

უმრავლესობას მინიჭებული ჰქონდა ზღვრული სარეიტინგო ქულა და სარგებლობდნენ სოციალური დახმარებებით.

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ გამოსახლების დროს, როგორც წესი, ადგილზე არ იმყოფებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები<sup>870</sup>, მაშინ როცა, გამოსახლების დროს აქტიურად უნდა შეისწავლიდნენ გამოსახლებული ან/და გამოსასახლებელი პირების თავშესაფრით უზრუნველყოფის საჭიროების საკითხს, ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობით, სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობაა უსახლკარო პირებისათვის თავშესაფრით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ორგანო<sup>871</sup>.

იძულებითი გამოსახლების დროს არსებითად მნიშვნელოვანია სათანადო პროცედურების დაცვა. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის განმარტებით, იძულებით გამოსახლებასთან დაკავშირებული პროცედურული დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს: „გამოსახლების დროს სახელმწიფო თანამდებობის პირების ან მათი წარმომადგენლების დასწრება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ადგილი აქვს პირთა ჯგუფების გამოსახლებას.“<sup>872</sup> კომიტეტის განმარტებით:

„გამოსახლების შედეგად პირი არ უნდა დარჩეს უსახლკაროდ და არ უნდა დაირღვეს მისი სხვა უფლებები. იმ შემთხვევაში, თუ გამოსახლებულ პირებს არ შეუძლიათ თავად უზრუნველყონ საარსებო სახსრები, მონაწილე სახელმწიფოებმა, ხელმისაწვდომი რესურსების ფარგლებში ყველა სათანადო საშუალება უნდა გამოიყენონ მათთვის სათანადო ალტერნატიული საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად, დასასახლებლად ან ნაყოფიერი მიწების გამოსაყოფად არსებული გარემოებების გათვალისწინებით.“<sup>873</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების თანახმად, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა თბილისში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ორ შენობაში თვითნებურად შეჭრილი ოჯახები თავშესაფრით არ უზრუნველყო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 16 ოჯახი (ორი სახელმწიფო ობიექტიდან სულ გამოსახლებული იქნა 64 ოჯახი) სსიპ ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,

<sup>870</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 9 აგვისტოს საჯარო განცხადება: <http://www.ombudsman.ge/ge/page/1873-gancxadeba-saxelmwifo-sakutrebashi-arsebuli-qonebidan-socialurad-daucveli-moqalaeqebis-gamosaxlebastan-dakavshirebit>

<sup>871</sup> საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 29 დეკემბრის №4289 “სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტი.

<sup>872</sup> ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის 1997 წლის 20 მაისის №7 ზოგადი კომენტარი, § 16.

<sup>873</sup> იქვე, § 17.

დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფილიალში - კოჯრის ბავშვთა სახლში, გადაიყვანა.<sup>874</sup>

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ თვითნებურად დაკავებული ფართებიდან გამოსახლებული ოჯახებისათვის უცნობი იყო რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეარჩიეს ის ოჯახები, რომლებიც დაკმაყოფილდა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით და რის საფუძველზე ეთქვა უარი დანარჩენ ოჯახებს, რაც უკმაყოფილების და დაპირისპირების საფუძველი გახდა.<sup>875</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა კოლექტიური გამოსახლების ისეთი შემთხვევა, როდესაც აღნიშნულ პროცესში არ ყოფილა ჩართული საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და გამოსახლებული პირებისთვის არ შეუთავაზებიათ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართები.<sup>876</sup> წინამდებარე საქმეში საქართველოს სახალხო დამცველმა თავშესაფრის უზრუნველყოფის თაობაზე რეკომენდაციით მიმართა ადგილობრივ გამგეობას. ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვეტილება მიიღო კერძო საკუთრებაში მცხოვრები უსახლკარო და სოციალურად დაუცველი ოჯახების 6 თვის განმავლობაში ქირით უზრუნველყოფის თაობაზე.

## უსახლკართა დროებითი თავშესაფრები

დადებითად უნდა შეფასდეს 2013 წელს საქართველოს მთავრობის მიერ უსახლკაროებისათვის დროებითი თავშესაფრების მოწყობა თბილისში, გორში, ბათუმსა და ქუთაისში, რაც მრავალი წლის განმავლობაში ზამთრის პერიოდში, მიუსაფართა სიცოცხლის გადასარჩენად ხელისუფლების მიერ პირველად გადადგმული ქმედითი ნაბიჯი იყო.

<sup>874</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საჯარო განცხადება 9.08.2013:

<http://www.ombudsman.ge/ge/page/1873-gancxadeba-saxelmwifo-sakutrebashi-arsebuli-qonebidan-socialurad-daucveli-moqalaeqebis-gamosaxlebastan-dakavshirebit>

<sup>875</sup> საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გაეწია რეკომენდაცია, რომ აუცილებელია ამ პროცესებში ყველა სახელმწიფო უწყების, მათ შორის, სამინისტროს საქმიანობა იყოს გამჭვირვალე; დაინტერესებული პირებისთვის ცნობილი უნდა იყოს იმ კრიტერიუმების შესახებ, რის საფუძველზეც თვითნებურად დაკავებული ობიექტებიდან გამოსახლების შემთხვევაში, ხორციელდება ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით დასაკმაყოფილებელი ოჯახების შერჩევა. ამასთან, მოქალაქეებს ვინც ვერ დააკმაყოფილებს განსაზღვრულ პირობებს, უნდა გაეცეთ დასაბუთებული პასუხი, საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 9 აგვისტოს საჯარო განცხადება:

<http://www.ombudsman.ge/ge/page/1873-gancxadeba-saxelmwifo-sakutrebashi-arsebuli-qonebidan-socialurad-daucveli-moqalaeqebis-gamosaxlebastan-dakavshirebit>

<sup>876</sup> თბილისში, ნინუას ქ. №3-ში მდებარე შენობიდან იძულებით გამოსახლების შემთხვევა.



„2013-2014 წლების ზამთრის პერიოდში მიუსაფარი პირების დახმარების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა დახმარების თაობაზე“ 2013 წლის 12 დეკემბერს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა №1946 განკარგულება. აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე მიუსაფარი პირების დახმარებისა და მათთვის რამდენიმე დროებითი თავშესაფრის უმოკლეს ვადაში მოწყობის მიზნით, 2013-2014 წლების ზამთრის პერიოდში მიუსაფართა პრობლემებზე მომუშავე უწყებათაშორისი დროებითი კომისია შეიქმნა. სამუშაო ჯგუფმა თბილისში, გორში, ბათუმსა და ქუთაისში დროებითი თავშესაფრების სახით კარვები განათავსა.

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა 2014 წლის იანვარში თავშესაფრების მონიტორინგი განახორციელეს<sup>877</sup>. მონიტორინგის შედეგადაც დადგინდა, რომ მობინადრეები უზრუნველყოფილი იყვნენ ღამის გასათევით, საკვებით, პირველადი სამედიცინო შემოწმებითა და მომსახურებით. უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ შემთხვევებში, კარვებში არ იყო დამაკმაყოფილებელი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, რაც იქ განთავსებულ პირთა თავისებურებებით იყო გამოწვეული. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 7 თებერვალს მიღებულ იქნა №131 დადგენილება, რომლითაც დამტკიცდა მიუსაფართა დროებითი თავშესაფრის ფუნქციონირების მინიმალური სტანდარტები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსახლკართა თავშესაფრით უზრუნველყოფის კუთხით არსებული საკანონმდებლო რეგულაციები აშკარად არასაკმარისია და სახელმწიფო ხელისუფლების, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა გაატარონ შესაბამისი ზომები, რომელსაც უსახლკარო ადამიანების თავშესაფრით უზრუნველყოფის პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტა მოჰყვება.

## რეგიონები

რეგიონების მიხედვით, უსახლკარო პირების საცხოვრებლით უზრუნველყოფის კუთხით, ყველაზე კარგი მდგომარეობაა ზუგდიდსა და ბათუმში. ზუგდიდის გამგეობის მონაცემებით ადგილობრივ ხელისუფლებას არ გააჩნია თავისუფალი საბინაო ფონდი, რის გამოც უსახლკარო პირებს საცხოვრებლით დაკმაყოფილების მიზნით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერიცხებათ ბინის ქირისთვის საჭირო მატერიალური დახმარება. 2013 წელს საცხოვრებელი ფართის ქირით 48 უსახლკარო ოჯახი იქნა უზრუნველყოფილი.<sup>878</sup>

<sup>877</sup> საქართველოს სახალხო დამცველმა ქუთაისის თავშესაფარი მონახულა, 2014 წლის 10 იანვარი, იხ. <http://www.ombudsman.ge/ge/page/saxalxo-damcveli-qutaisshi-miusafarta-tavshesafarshi-sheqmnil-vitarebas-exmaureba>

<sup>878</sup> ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის 21 ნომბრის №10-1/2395 წერილი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2012 წლის 16 ნოემბრის №402 ბრძანებით, შეიქმნა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მოქალაქეთა მიერ თვითნებურად დაკავების ფაქტების შემსწავლელი სამთავრობო კომისია. პირველ ეტაპზე კომისიამ შექმნა ერთიანი ელექტრონული ბაზა, რომელშიც დარეგისტრირებული მოსახლეობის სია გადამოწმების მიზნით პერიოდულად ეგზავნებოდა შესაბამის მუნიციპალიტეტებს. ამჟამად, ბაზაში სულ რეგისტრირებულია 1 562 ოჯახი, საიდანაც 227 ოჯახი ცხოვრობს ბათუმის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიულ ფარგლებში. ადგილობრივმა ხელისუფლებამ აღნიშნული მოქალაქეების უსახლკარობის ფაქტის დასადგენად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაცია შემდგომი შესწავლის მიზნით მუნიციპალიტეტებში გადააგზავნა (დაბადების ადგილის მიხედვით).<sup>879</sup>

მისასაღმებელია ბათუმის მერიის 2013 წელს შემუშავებული პროექტი „დროებითი თავშესაფარი“, რომელიც მიზნად ისახავს 30 ბენეფიციარისათვის ღამის გასათევით, ორჯერადი კვებით, სუფთა ტანსაცმლითა და საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას. ბათუმის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ასევე შემუშავებულია პროექტი 50 ბენეფიციარის დროებითი თავშესაფრით დაკმაყოფილებისათვის (სამანევრო სახლი). პროექტი გათვალისწინებული იქნება სოციალურად დაუცველი ოჯახების (57 000 დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე), მარტოხელა დედებისა და მშობლების, მრავალშვილიანი (5 და მეტი), მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, მარტოხელა პენსიონერთა და სხვა ოჯახებისათვის, რომლებსაც არა აქვთ საცხოვრებელი ფართი ან ოჯახის წევრებთან ერთად სხვადასხვა ფორსმაჟორული სიტუაციების გამო რჩებიან ღია ცის ქვეშ და უმოკლეს პერიოდში, უსახსრობის გამო, ვერ ახერხებენ არსებული საცხოვრებლის შეკეთებას ან სახლის შეძენას.<sup>880</sup>

## რეკომენდაციები:

### თბილისის მერია

- მიიღოს ზომები, რათა პროგრამის, „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“, 2013 წელს გამოვლენილმა ყველა ბენეფიციარმა ისარგებლოს სოციალური საცხოვრისით; ამასთან, შეისწავლოს სოციალურ საცხოვრისში თვითნებურად შეჭრილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მათ დასახმარებლად ადეკვატური ზომები გაატაროს;

<sup>879</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2014 წლის 6 იანვრის №05-1/9 წერილი.

<sup>880</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 27 ნოემბრის №04-04/29908 წერილი.

## საქართველოს მთავრობას

- საქართველოს მოქალაქეების მიერ სათანადო საცხოვრისის უფლების სათანადო რეალიზაციის მიზნით, უზრუნველყოს სპეციალური სახელმწიფო პროგრამისა და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება;

## ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- განახორციელონ სათანადო ღონისძიებები, უსახლკარო პირების აღრიცხვისა და „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ამ მონაცემების სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მიწოდების მიზნით;
- პროგრამით, „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“, დადგენილ კრიტერიუმებში შეიტანონ ცვლილება, რომელიც იმ უსახლკარო ოჯახებს, რომლებიც საცხოვრებელი ადგილის არარსებობის გამო ვერ ხვდებიან სიღარიბის დაძლევის პროგრამაში, ბენეფიციარებად დარეგისტრირების საშუალებას მისცემს;

## თვითმმართველობის ორგანოებს

- მხედველობაში მიიღონ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის დაკისრებული ვალდებულება და ბიუჯეტის ფორმირებისას გაითვალისწინონ შესაბამისი ხარჯები საბინაო ფონდის შესაქმნელად ან/და სხვა ალტერნატიული პროექტის განსახორციელებლად, რომელიც შესაძლებელს გახდის უსახლკაროთათვის თავშესაფრის მიცემას;

## საქართველოს მთავრობას

- სოციალური დახმარების გაცემის წესში შეიტანოს იმგვარი ცვლილებები, რომ საცხოვრისის არმქონე პირებს წარმოეშვათ სოციალური დახმარებით სარგებლობის ფაქტობრივი უფლება.

## სოციალური უზრუნველყოფის უფლება

სოციალური უზრუნველყოფის უფლება არაერთი საერთაშორისო აქტით არის აღიარებული და გარანტირებული. კერძოდ, ევროპის სოციალური ქარტიის<sup>881</sup> თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული არიან „შექმნან ან შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის უფლება“<sup>882</sup> და „მიმართონ თავიანთი ძალისხმევა სოციალური უზრუნველყოფის სისტემის უფრო და უფრო მაღალი დონის მისაღწევად.“<sup>883</sup>

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის<sup>884</sup> მიხედვით, „ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დაზღვევის ჩათვლით.“<sup>885</sup>

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად,

„ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური დაცვის უფლება და უფლება მოახდინოს თავისი ღირსების შენარჩუნება და თავისი პიროვნების თავისუფალი განვითარება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგში ეროვნული ძალისხმევისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და თითოეული სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსის შესაბამისად.“<sup>886</sup>

ამასთან, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილია სოციალური უზრუნველყოფის საჭიროება სხვადასხვა საფუძვლების არსებობისას. ამ საფუძვლებს შორისაა უმუშევრობა, ავადმყოფობა, ინვალიდობა, ქვრივობა, მოხუცებულობა ან ადამიანისაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები, რის გამოც ადამიანს არ აქვს არსებობის საშუალება.

მართალია, დასახლებული ნორმები ზოგადი ხასიათისაა და თავისთავად არ განსაზღვრავს სოციალური უზრუნველყოფის სათანადო დონეს, თუმცა, დასახლებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს სახელმწიფოს ვალდებულებას, შექმნას და შეინარჩუნოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემა იმგვარად, რომ უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან სხვა ობიექტური გარემოებებისა და რისკების არსებობის შემთხვევაში, ადამიანს მიეცეს სოციალური დაცვის, ღირსების შენარჩუნებისა და საკუთარი პიროვნების თავისუფლად განვითარების შესაძლებლობა.

<sup>881</sup> საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის №1876-რს დადგენილება;

<sup>882</sup> ევროპის სოციალური ქარტია, მუხ. 12, პუნ. 1;

<sup>883</sup> ევროპის სოციალური ქარტია, მუხ. 12, პუნ. 3;

<sup>884</sup> საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 25 იანვრის №400 დადგენილება;

<sup>885</sup> ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხ. 9;

<sup>886</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხ. 22;

სოციალური უზრუნველყოფის უფლების სამართლებრივ ბაზაზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1952 წლის №102 კონვენცია სოციალური უზრუნველყოფის მინიმალური სტანდარტების შესახებ,<sup>887</sup> რომელიც სოციალური უზრუნველყოფის ცხრა კონკრეტულ სფეროს მოიცავს. ესენია: სამედიცინო დახმარება, შეღავათი ავადმყოფობის პერიოდში, უმუშევრობის შეღავათი, ხანდაზმულობის შეღავათი, შრომითი ტრავმების შეღავათი, ოჯახის შეღავათი, ინვალიდობის შეღავათი და მარჩენალის დაკარგვის შეღავათი.

ამასთან, სოციალური უზრუნველყოფის უფლების ეფექტიანი რეალიზაცია დასახელებული საერთაშორისო აქტების გარდა შესაძლებელია კოლექტიური ხელშეკრულებებით, რომლებიც ვალდებულებას ქმნიან კერძო კომპანიებისათვის ან სხვა მხარეებისათვის. ეს კიდევ ერთი აუცილებელი გარემოებაა, რის გამოც სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კოლექტიური მოლაპარაკების უფლების რეალიზაციას და ამ კუთხით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას.

საქართველოს სახალხო დამცველისადმი პირთა მომართვიანობა სოციალურ საკითხთან დაკავშირებით, წინა წლების მსგავსად, 2013 წელსაც, მაღალი იყო. საქართველოს სახალხო დამცველის წინა წლების საპარლამენტო ანგარიშებში დეტალურად არის მიმოხილული სოციალური უზრუნველყოფის უფლებასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები. კერძოდ, განხილულია, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით, საინკასო დავალების საფუძველზე, სააღსრულებო ბიუროს მიერ სახელმწიფო პენსიაზე ყადაღის დადების საკითხი, იმის მიუხედავად, რომ პენსია პირის ერთადერთ შემოსავალს წყაროს წარმოადგენდა;<sup>888</sup> სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ არასწორი (ყალბი) ინფორმაციის მიწოდების გამო მონაცემთა ბაზაში ოჯახის 3 წლის ვადით რეგისტრაციის შეწყვეტის საკითხი,<sup>889</sup> უსახლკარო პირების მიერ სოციალური შეღავათებით/შემწეობებით სარგებლობის პრობლემა და დროებით სხვის საკუთრებაში მცხოვრები ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების პრობლემები.<sup>890</sup> ამდენად, 2013 წლის ანგარიშში მათ დეტალურად აღარ განვიხილავთ და სოციალური უზრუნველყოფის უფლებაზე საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2012 წლის ანგარიშში მოცემული რეკომენდაციები უცვლელი დარჩება.

<sup>887</sup> არ არის რატიფიცირებული საქართველოს მიერ.

<sup>888</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ; გვ.155

<sup>889</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ; გვ.151

<sup>890</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ; გვ.372



მისასაღმებელია რამდენიმე ცვლილება, რომელიც 2013 წელს სოციალური უზრუნველყოფის საჭიროების მქონე პირთა მიმართ განხორციელდა.

2013 წლის 27 ივლისს ცვლილებები შევიდა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში და გაუქმდა შეზღუდვა პირთა კონკრეტული წრის მიერ ორი ან მეტი საფუძვლით პენსიის მიღების შესახებ. აღნიშნული შეზღუდვები 2005 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე დაწესდა. კერძოდ, 2005 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით განისაზღვრა, რომ „ორი ან მეტი საფუძვლით პენსიის მიღების უფლების წარმოშობის შემთხვევაში, პირს პენსია ენიშნება მხოლოდ ერთი საფუძვლით, მისივე არჩევით“. ხოლო, იმავე წლის 27 დეკემბერს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“, რომელმაც გაითვალისწინა, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახის წევრების შესაბამისი სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფის საკითხიც, რაც გულისხმობს, რომ მათაც შეეზღუდათ სხვა საფუძვლით პენსიის მიღების შესაძლებლობა. შესაბამისად, ორივე დასახელებული კანონი შეიცავდა ნორმებს, რომელთა მიხედვით, პირს შეეძლო ესარგებლა მხოლოდ ერთ-ერთი კანონით მინიჭებული სარგებლით, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენდა ამ კატეგორიის მოქალაქეთა უფლებების დარღვევას, ვინაიდან ისინი, 2005 წლის ცვლილებების მიღებამდე, იღებდნენ ორი სახის სარგებელს – ერთს, როგორც მარჩენალდაკარგულები, ხოლო მეორეს, როგორც ხანდაზმული პირები – წელთა ნამსახურების გამო.

როგორც უკვე აღინიშნა, 2013 წლის 27 ივლისს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლს დაემატა 5<sup>1</sup> პუნქტი, რომლის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული შეზღუდვა, რომელიც მოიცავდა ორი საფუძვლით წარმოშობილი სარგებლის მიღების აკრძალვას, აღარ ვრცელდება ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კომპენსაციის მიმღებ პირებზე.<sup>891</sup> კერძოდ, „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საერთაშორისო ოპერაციების ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილ, ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილ საქართველოს

<sup>891</sup> 2014 წლის 28 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს და მოითხოვა „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში ცვლილების შეტანა, რომელიც „სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მსგავსად ითვალისწინებდა შეზღუდვას ორი ან მეტი საფუძვლით პენსიის მიღების შეუძლებლობის შესახებ; პარლამენტმა გაიზიარა საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება.

თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს<sup>892</sup> და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს<sup>893</sup>.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს 2013 წლის 1 აპრილს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლში განხორციელებული ცვლილებაც, რომლითაც გადაანგარიშდა სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირთა კომპენსაცია და გაიზარდა ამ კომპენსაციის ოდენობა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის რეკომენდაცია და საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებული ცვლილების თანახმად, 2014 წლის 1 იანვრიდან გადაანგარიშება შეეხოთ საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემიდან 2010 წლამდე დათხოვნილ პირებს, იმდენად რამდენადაც, „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის კანონის მე-15 მუხლის საფუძველზე, სასჯელაღსრულების სისტემის მოსამსახურესა და მისი ოჯახის წევრს სახელმწიფო კომპენსაცია „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით<sup>894</sup> ენიშნებოდათ.

მნიშვნელოვანია, 1989 წლის 9 აპრილს მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა სოციალური დაცვის საკითხი, რაზეც საქართველოს სახალხო დამცველი ყურადღებას ჯერ კიდევ 2006–2007 წლებში ამახვილებდა. სამწუხაროდ, არც იმ პერიოდში და არც 2013 წელს, საქართველოს მთავრობამ არ გაიზიარა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები<sup>895</sup><sup>896</sup>. 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შედეგად დაღუპულთა ოჯახის წევრებისა და დაზარალებულებისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშნისათვის

<sup>892</sup> „სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 5, პუნ. 2, ქპ. „მ“.

<sup>893</sup> „სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 5, პუნ. 2, ქპ. „ნ“.

<sup>894</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის რეკომენდაცია საქართველოს მთავრობის მიმართ.

<sup>895</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 23 ოქტომბრის რეკომენდაცია და წინადადება საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს; იხ. ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 29 ოქტომბრის საჯარო განცხადება.

<sup>896</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის 2013 წლის 3 დეკემბრის წერილი; ამ საკითხზე კვლავ მიმდინარეობს კომუნიკაცია საქართველოს პარლამენტთან.

შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების გზით არის შესაძლებელი სახელმწიფომ შეასრულოს „თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის პრეამბულით აღებული ვალდებულება – აღიაროს და ჯეროვნად დააფასოს 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა და დაზარალებულთა მიერ ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი.

### **სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამა**

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შესწავლილი განცხადებების უმეტესობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამას ეხებოდა. ხშირად, პრობლემას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განმცხადებლების ოჯახებისთვის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის შემდეგ, შეუსაბამოდ მაღალი სარეიტინგო ქულის მინიჭება წარმოადგენდა. საანგარიშო პერიოდში საგრძნობლად იმატა ისეთი განცხადებების რაოდენობამ, სადაც მოქალაქეები აღნიშნავდნენ, რომ მათი „ოჯახის დეკლარაციაში“ შევსებული მონაცემები ასახავდა ოჯახში არსებულ რეალობას, თუმცა, ამ დეკლარაციების საფუძველზე მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ შეესაბამებოდა მათი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. განცხადებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ხშირად ბენეფიციარების „ოჯახის დეკლარაციის“ ყველა ბლოკის შევსებისას აღნიშნულია - „0“ ინდექსი, რაც მიუთითებს ოჯახის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე. თუმცა, საბოლოოდ ოჯახს საარსებო შემწეობის დანიშვნისა და სამედიცინო დაზღვევის მინიჭებისათვის დადგენილ ზღვრულ ქულაზე (57 000 და 70 000 ქულა) მაღალი სარეიტინგო ქულა ენიჭებოდა. ძირითადად, გამოვლინდა მსგავსი პრობლემის მქონე ისეთი ბენეფიციარები, რომელთა შემოსავლის ერთადერთ წყაროს ასაკის საფუძველით დანიშნული სახელმწიფო პენსია წარმოადგენს.

მსგავს შემთხვევებზე მიმართვის საპასუხოდ, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს შაბლონური წერილით აცნობებდა, რომ „ოჯახის დეკლარაცია“ „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №93 დადგენილების შესაბამისად მუშავდება, რომლის საფუძველზეც ენიჭება ოჯახს სარეიტინგო ქულა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების სიმრავლე იმაზე მეტყველებს, რომ მოცემული პრობლემა სისტემურ ხასიათს ატარებს, და ის შესაძლოა დაკავშირებული იყოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიასთან.

მეთოდოლოგიის კუთხით, ერთ-ერთი პრობლემური საკითხია სააგენტოს უფლებამოსილი პირის სუბიექტური შეფასებების ბლოკში შეყვანილი მონაცემები. კერძოდ, სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ავსებს „ოჯახის დეკლარაციის“ F ბლოკს, რომელიც მთლიანად ეყრდნობა უფლებამოსილი პირის პირად დასკვნებს. კერძოდ, აგენტი ზოგადად ათვალთვრებს ოჯახის საცხოვრისს, ოჯახის წევრთა ჩაცმულობას, მათ პირად ჰიგიენას. მონაცემები „ოჯახის დეკლარაციაში“ ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე, ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეუთანხმებლად შეჰყავს და განსაზღვრავს ოჯახის სტატუსს (უკიდურესად დატაკი, დატაკი, ღარიბი, საშუალო შემდღების, მდიდარი). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ბენეფიციარი ოჯახის საარსებო შემწეობის მიღება გარკვეულწილად დამოკიდებულია სოციალური აგენტის სუბიექტურ შეხედულებებზე. ამიტომ, იმისათვის რათა მოპოვებული ინფორმაცია ობიექტურ რეალობას ასახავდეს, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის მხრიდან, მნიშვნელოვანია სუბიექტური მოსაზრებებისა და შეხედულებების მაქსიმალური მინიმალიზაცია.


2013 წლის საანგარიშო პერიოდში, კვლავ პრობლემად რჩება უსახლკარო პირების მიერ სოციალური დახმარებებით სარგებლობის საკითხი. როგორც უკვე აღინიშნა, მოცემული პრობლემა დეტალურად განხილულია საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშში. პრობლემას წარმოადგენს განსაკუთრებული ზრუნვის საჭიროების მქონე - უსახლკარო პირების მიერ სიღარიბის დაძლევის პროგრამაზე ხელმისაწვდომობა. დღეისათვის არსებული შეფასების სისტემა<sup>897</sup> არ იძლევა უსახლკარო პირების პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობას. კანონმდებლობის თანახმად, ბენეფიციარი ოჯახისათვის პროგრამით სარგებლობის აუცილებელი წინაპირობაა განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე ცხოვრების ფაქტი. ვინაიდან უსახლკარო პირები, საცხოვრებელი სახლის უქონლობის გამო, მოცემულ წინაპირობას ვერ აკმაყოფილებენ, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამაში ვერ ხვდებიან და შესაბამისად, ვერ სარგებლობენ მთელი რიგი შეღავათებისა და დახმარებების პაკეტით. ამავდროულად, უსახლკარო პირები ვერ აკმაყოფილებენ სოციალური საცხოვრისის პროგრამის პირველად კრიტერიუმებსაც კი. საქართველოს სახალხო დამცველმა მოცემული საკითხის დასარეგულირებლად გასულ წლებში არაერთი რეკომენდაცია გასცა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის ცნობილია, რომ სიღარიბის დაძლევის ზემოაღნიშნულ პროგრამაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად მიმდინარეობს მუშაობა. საქართველოს სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამაში შევა ცვლილებები და

<sup>897</sup> „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილება, მუხ 2, ქპ. „ბ“.

თავშესაფრის არმქონე პირებს მიეცემათ სოციალური დახმარებებითა და შეღავათებით სარგებლობის შესაძლებლობა.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდიდან მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, 2013 წელს მონაცემთა ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით, მცირედით შემცირდა. შეიძლება ითქვას, რომ შენარჩუნდა ის დინამიკა, რაც არსებობდა 2012 წელს:



სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირების ქონებაზე ყადაღის რეგისტრაცია

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირების განცხადებები, რომლებსაც კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, აღმასრულებლის მიერ დაყადაღებული ჰქონდათ სახელმწიფოს მიერ დანიშნული საარსებო შემწეობები. მოცემულ საქმეებზე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სააღსრულებო ბიუროდან გამოითხოვა სოციალურ დახმარებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაციის სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ადმინისტრაციული ორგანოდან მოწოდებული ინფორმაციით დადგინდა, რომ საარსებო შემწეობაზე ყადაღის რეგისტრაციის დროს აღმასრულებელი მოვალის პირადი განცხადებით ხელმძღვანელობდა.

აღსანიშნავია, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლით განსაზღვრულია ქონების ჩამონათვალი, რომელზეც კანონი კრძალავს ყადაღის



რეგისტრაციას. ხსენებული მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ყადაღას არ ექვემდებარება: „იმ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრის ქონება, გარდა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული ქონებისა, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელიც საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარზე ნაკლებია“. ამრიგად, სოციალურად დაუცველი პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს გამოყენებული, თუ დაყადაღებული ქონება კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს (მასზე რეგისტრირებულია იპოთეკის ან გირავნობის უფლება).

გარდა ზემოაღნიშნულისა, ნორმატიული აქტის 45-ე მუხლის თანახმად, პროფესიული საქმიანობის, ცხოვრებისა და მეურნეობის წარმოებისათვის აუცილებელ ნივთებთან ერთად ყადაღის დადებას არ ექვემდებარება სახელმწიფოს მიერ გაცემული მიზნობრივი დახმარება და საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავალი.

სააღსრულებო წარმოების დროს ყადაღისაგან განთავისუფლებული ქონების მკაცრად განსაზღვრით კანონმდებელი მოვალეს იცავს კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის შედეგად, მინიმალური საარსებო სახსრების გარეშე დარჩენისაგან. აღნიშნული დაცვის სტანდარტი გამომდინარეობს სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან. მართალია, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში განსაზღვრულია, როგორც სახელმწიფოს მიზანი, მაგრამ ეს არ იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ იგი არის მხოლოდ დეკლარაციული დებულება, რომელიც კონკრეტულ დროსა და ვითარებაში სახელმწიფოს არაფერს ავალდებულებს.<sup>898</sup>

სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლი საქართველოს, როგორც ხელშემკვრელ სახელმწიფოს, ავალდებულებს, უზრუნველყოს პაქტით აღიარებული უფლებების სრული განხორციელება ყველა მართებული საშუალებით, მათ შორის, საკანონმდებლო ღონისძიებათა მიღებით. ამდენად, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ჩანაწერი სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა სოციალური უფლებების უზრუნველსაყოფად გადადგმული ეფექტური მექანიზმია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, სააღსრულებო ბიუროს მიერ პირადი განცხადების საფუძველზე, სოციალურად დაუცველი პირის საარსებო შემწეობის დაყადაღება არ შეესაბამება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის დადგენილ მოთხოვნებს და მსგავს შემთხვევებში არამართლზომიერად იზღუდება პირის სოციალური უფლებები. დაუშვებელია აღმასრულებლებმა თვითნებურად მიიღონ გადაწყვეტილება საარსებო

<sup>898</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს №1/2/434 გადაწყვეტილება, მოსამართლეების ქ.ერემამისა და ბ.ზოიძის განსხვავებული აზრი.

შემწეობაზე ყადაღის რეგისტრაციის თაობაზე და მეორე მხრივ, მოვალე დარჩეს არსებობისათვის აუცილებელი მინიმალური სახსრების გარეშე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშში განხილული იყო საპენსიო საბანკო ანგარიშებზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლის საფუძველზე, ყადაღის რეგისტრაციის პრობლემა, რაც კანონის მოთხოვნათა დარღვევას და მოქალაქეთა საკუთრების უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას წარმოადგენდა.<sup>899</sup> მისასალმებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული პრობლემა 2013 წლის განმავლობაში აღარ დაფიქსირებულა.

#### რეკომენდაციები:

##### საქართველოს მთავრობას

- დაიწყოს მუშაობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1952 წლის №102 კონვენციის რატიფიცირებაზე;

##### საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტს

- მოამზადოს საკანონმდებლო ცვლილებები 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შედეგად დაღუპულთა ოჯახის წევრებისა და დაზარალებულებისთვის სახელწიფო კომპენსაციის დანიშნისათვის;

##### საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას წარუდგინოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი, რომელიც საშუალებას მისცემს უსახლკარო ოჯახებსა და იმ ოჯახებს, რომლებიც თავს აფარებენ სხვის საკუთრებაში არსებულ სახლებს, საჭიროების შემთხვევაში მიიღონ დახმარება;

##### საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს

- შეიმუშაოს განსხვავებული სოციალური დაცვის სტანდარტი არასრულწლოვანი და შშმ პირების მიმართ, ოჯახის მონაცემთა ბაზაში 3 წლით რეგისტრაციის შეწყვეტის გარკვეულ შემთხვევებში.

<sup>899</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში, გვ. 403.

## ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში

განსაკუთრებით დაუცველ ჯგუფს განეკუთვნებიან ხანდაზმულები საქართველოში. რთულია მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე განსაკუთრებული მოწყვლადობით ხასიათდებიან ოჯახში ძალადობის შემთხვევებში. საქართველოს სოციალური მომსახურეობის სააგენტოს სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთა 25 %-ს ხანდაზმულები შეადგენენ.<sup>900</sup>

ხანდაზმულთა უფლებების დაცვის საკითხები, მათზე ყურადღების გაზრდის მიზნით მსოფლიო დღის წესრიგში დგას. 2010 წლის დეკემბერში გენერალურმა ასამბლეამ ღია სამუშაო ჯგუფი დაარსა, რომლის მიზანსაც ხანდაზმულთა უფლებების დაცვის გაძლიერება, შესაძლო პრობლემების გამოვლინება და მათი გადაჭრის საუკეთესო გზების მოძიება წარმოადგენს (დადგენილება A/RES/65/182).<sup>901</sup> ხანდაზმულთა უფლებებზე აქტიურად მუშაობს გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი (DESA).<sup>902</sup>

ხანდაზმულთა ნაწილი ოჯახთან ერთად ცხოვრობს, ნაწილი - მარტო, ნაწილი კი - ხანდაზმულთა პანსიონატში იმყოფება. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი უწევს ადმინისტრირებას ხანდაზმულთა პანსიონატებს ქუთაისსა და თბილისში. ფონდის მონაცემებით, 2013 წელს მომსახურების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატში - 107, ხოლო ქუთაისში 95-ია.<sup>903</sup>

მიმდინარე წელს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი გეგმავს ხანდაზმულთა თავშესაფრებში არსებული პირობების, თავშესაფარში ხანდაზმულების განმწყობის პროცედურებისა და ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ კვლევის განხორციელებას.

ასაკობრივი დისკრიმინაცია, ძალადობა, გულგრილობა; ასევე, ბიოლოგიურ ოჯახთან მიახლოებული ფიზიკური გარემოს, მათი ტრიაჟისა და მათზე ზრუნვის სტანდარტების, მათი უნარების, ინტერსებისა (რელიგიური მრწამსი, ეთნიკური კუთვნილება) და შესაძლებლობების (ინტელექტუალური, ფიზიკური) გათვალისწინებით ინდივიდუალური მიდგომების, საკანონმდებლო ბაზისა და მათი უფლებების დაცვის ინსტიტუტების არ

<sup>900</sup> იხ. <[http://ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=610](http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=610)> [ბოლოს ნანახია 2.02.2014].

<sup>901</sup> იხ. <[http://www.un.org/en/ga/search/view\\_doc.asp?symbol=A/RES/65/182](http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/65/182)> [ბოლოს ნანახია 2.02.2014].

<sup>902</sup> იხ. <<http://undesadspd.org/Ageing.aspx>> [ბოლოს ნანახია 5.02.2014].

<sup>903</sup> იხ. <<http://www.atipfund.gov.ge/images/stories/pdf/xandazmultatavshesafrebi.pdf>> [ბოლოს ნანახია 2.02.2014].

არსებობა, პრობლემათა მცირე ჩამონათვალია, რასაც ინსტიტუციებში მცხოვრები ხანდაზმულები განიცდიან.

სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის მონაცემებით, საპენსიო პაკეტის (ასაკით პენსია) მიმღებ პირთა რაოდენობა 685 358 პირს შეადგენს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2012 წელს რეგისტრირებულ საპენსიო პაკეტის (ასაკით პენსია) მიმღებ პირთა რაოდენობა 682 886 იყო, მათგან 478 980 - ქალი და 203 906 - კაცი.<sup>904</sup>

ხანდაზმულთა უმრავლესობა სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება. საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობა 453 857 -ია, მათგან 60 წელს გადაცილებული პირი კი, 113 507. ყველაზე დიდი ნაწილი რეგისტრირებული სოციალურად დაუცველებისა, 70 და მეტი წლისაა. სოციალური პაკეტის მიმღებთა შორის კი 59 წელზე მეტი ასაკის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა - 12 990-ს აღწევს.<sup>905</sup>

მიუხედავად არსებული სოციალური დახმარების პროგრამებისა, რეალური სიტუაცია აჩვენებს, რომ მიღებული შემოსავალი ხანდაზმულთა კვებისთვისაც არაა ხშირ შემთხვევაში საკმარისი, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ ღირსეულ ცხოვრებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციაზე.

2013 წლის ნოემბერში, მადრიდის სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაიწყო საქართველოში მისი იმპლემენტაციის სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელშიც წარმოდგენილია სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი, რაც ნამდვილად დასაფასებელი და წინგადადგმული ნაბიჯია სახელმწიფოს მხრიდან. სამუშაო ჯგუფმა მუშაობა დაიწყო 2013 წლის დეკემბერში და მიზნად ისახავს სამთავრობო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აქტიურადაა ჩართული გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტის (DESA) პროექტში, რომელიც გამიზნულია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის და „მადრიდის საერთაშორისო გეგმა დაბერების შესახებ“ (MIPAA)<sup>906</sup> და რეგიონული დანერგვის სტრატეგიის (RIS) განხორციელებას გულისხმობს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) პრინციპია, სრულყოფილი გახადოს ხანშიშესული ადამიანების ცხოვრება და სახელმწიფოებს მოუწოდებს საზოგადოების ცხოვრებაში ხანდაზმული ადამიანების მიერ შეტანილი წვლილის შეფასებით განახორციელონ პროგრამები მათი დაცვისა და დახმარებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ

<sup>904</sup> იხ. <[http://www.geostat.ge/cms/site\\_images/files/georgian/health/qali%20da%20kaci-2013.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/health/qali%20da%20kaci-2013.pdf)> [ბოლოს ნანახია 2.02.2014].

<sup>905</sup> იხ. <[http://ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=610](http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=610)> [ბოლოს ნანახია 2.02.2014].

<sup>906</sup> იხ. <<http://undesadspd.org/Ageing/Resources/MadridInternationalPlanofActiononAgeing.aspx>> [ბოლოს ნანახია 5.02.2014]

ხანდაზმული ადამიანები კვლავინდებურად იყვნენ ჩართულნი საზოგადოების ცხოვრებაში, მიიღონ აქტიური მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავებასა და განვითარებაში, რაც უშუალოდ ეხება მათ კეთილდღეობას და გაუზიარონ თავისი ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს.<sup>907</sup>

### **ხანდაზმულთა განთავსება პანსიონატში**

ხანდაზმულ ადამიანებს საშუალება უნდა ჰქონდეთ შესაბამის დონეზე ისარგებლონ სამეურვეო დაწესებულებების მომსახურებით, რომლებიც უზრუნველყოფენ დაცვას, რეაბილიტაციას, ასევე სოციალურ და ფსიქოლოგიურ სტიმულირებას ჰუმანურ და უსაფრთხო პირობებში.

საქართველოს მოქალაქე მამაკაცი 65 წლის და ქალბატონი 60 წლის შესრულების შემდეგ, შესაძლებელია ჩაირიცხოს თბილისის ან ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატში. მოქალაქეთა ჩარიცხვა ხანდაზმულთა პანსიონატში რიგითობის პრინციპით ხდება.

ხანდაზმულთა პანსიონატებში ჩარიცხვის სურვილის შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებას, შეავსოს სპეციალური ფორმის განცხადება და წარმოადგინოს „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №52/ნ ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

ხანდაზმულთა პანსიონატში ჩარიცხავს არ ექვემდებარებიან პირები: მწვავე ინფექციური დაავადებით; ტუბერკულოზის აქტიური ფორმით; აქტიური სიფილისით; კანის გადამდები დაავადებით; თავისა და ზურგის ტვინის თიაქრების ღია ფორმით; ცენტრალური ნერვული სისტემის მწვავე დაავადებით; რომლებიც საჭიროებენ სტაციონარულ მკურნალობას.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი ახორციელებს თბილისის და ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატების ადმინისტრირების პროცესს.

თუმცა არსებობს ხანდაზმულთა თავშესაფრები, რომლებიც ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე ფინანსდებიან (რუსთავი, ბათუმი, ბოლნისი) და ასევე სათემო მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა,<sup>908</sup> რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს და არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ:

- ა(ა)იპ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ - ოზურგეთი
- ა(ა)იპ „ადამასი“ - თბილისი

<sup>907</sup> იხ <<http://www.un.org/documents/ga/res/46/a46r091.htm>> [ბოლოს ნანახია 2.02.2014].

<sup>908</sup> იხ <[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=1886531&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1886531&lang=ge)> [ბოლოს ნანახია 5.02.2014]



- ა(ა)იპ „უზრუნველი სიბერე“ - სიღნაღი, სოფ.ბოდბისხევი
- ა(ა)იპ მოხუცებულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატი "ჩემი ოჯახი" -თბილისი
- ა(ა)იპ „ბეთელი“ - სიღნაღი, წნორი

აღნიშნულ დაწესებულებებში 200-მდე ხანდაზმული იღებს მომსახურებას, თუმცა მსურველთა რაოდენობა გაცილებით დიდია. ამ დაწესებულებების მონიტორინგი აქამდე არ განხორციელებულა, თუმცა სახალხო დამცველის ოფისი მიმდინარე წლის გაზაფხულზე გეგმავს მათი მონიტორინგის განხორციელებას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლში განთავსებული 5 ბენეფიციარის გარდაცვალების ფაქტს. 2014 წლის 12 თებერვალს, აღნიშნულ სათნოების სახლში განთავსებულ 5 ბენეფიციარს მაღალი ტემპერატურა დაუფიქსირდა. მორიგე ექთანმა მათ პირველადი დახმარება აღმოუჩინა, თუმცა ხუთივე მათგანი, იმავე დღესვე გარდაიცვალა. სახალხო დამცველის აპარატის მოკვლევის შედეგების მიხედვით, დაწესებულების მხრიდან სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება ან/და ბენეფიციართა საავადმყოფოში გადაყვანა არ მომხდარა. უახლოეს პერიოდში საზოგადოებისათვის ცნობილი გახდება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის შედეგები.

### **ოჯახში ძალადობა**

ხანდაზმულები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რისკ ჯგუფებს განეკუთვნებიან. საქართველოს სახალხო დამცველი 2012 წლის ანგარიშში მიუთითებდა იმ პრობლემებზე, რომელსაც ხანდაზმული ქალები ოჯახის წევრებთან ურთიერთობაში აწყდებიან, ასევე ანგარიშში აღნიშნული იყო სოციალური მომსახურების მნიშვნელობა მათ მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მომხდარი ძალადობის შემთხვევაში დაცვისა და დახმარებისათვის.

თუმცა, აღნიშნულის მიხედვით 2013 წელს კვლავ გახდა ცნობილი ხანდაზმულთა მიმართ განხორციელებულ ძალადობის ფაქტებზე უწყებათაშორისო კოორდინაციის პრობლემებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი როლი ხანდაზმულთა მიმართ არსებული ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუშაობის საქმეში სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკებს ეკისრებათ, ასევე მნიშვნელოვანია მათი თანამშრომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ ფაქტებზე სამართლებრივი მიდგომების დასამკვიდრებლად.

### **გ.ა-ს საქმე**

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა 74 წლის მოქალაქე გ.ა-მ მის მიმართ ოჯახის წევრების მიერ განხორციელებულ ძალადობაზე. განმცხადებლის ინფორმაციით რძალმა და შვილმა გამოაგდეს სახლიდან და უკვე 5 წელია, ლამის გათენება სხვადასხვა

მისამართზე უწევს. 2008 წელს სასამართლო გადაწყვეტილებით მას მიეცა უფლება დაეკავებინა აღნიშნული საცხოვრებელი სახლის ერთი ოთახი, თუმცა ოჯახის წევრები ფიზიკური ძალადობის გზით, მას არ აძლევდნენ შესაძლებლობას იცხოვროს კუთვნილ ოთახში. საქართველოს სახალხო დამცველმა აღნიშნულის თაობაზე მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გ.ა-ს მიმართ შესაძლო ოჯახში ძალადობის გამოსაკვლევადა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით გვეცნობა, რომ დავა სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათისაა და დანაშაულის ნიშნები არ იკვეთება. თუმცა მოცემულ შემთხვევაში ოჯახში ძალადობა განეკუთვნება სისხლის სამართლის დანაშაულს და მისი ერთ-ერთი ფორმაა ეკონომიკური ძალადობა. რაც გულისხმობს კუთვნილი ოთახით სარგებლობის უფლების შეზღუდვას რის გამოც ხანდაზმულს უწევს სხვადასხვა მისამართზე ცხოვრება.

### ე.მ-ს საქმე

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა მოქალაქე ე.მ-მ, რომელიც აღნიშნავდა ოჯახის წევრთა მიერ მის მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. ე.მ არის 73 წლის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე. აღნიშნულ ფაქტზე რეაგირებისათვის სახალხო დამცველის აპარატმა მიმართვა განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სოციალური მომსახურების ცენტრისადმი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით დეკემბრის თვეში მონახულებული იქნა ე.მ და ადგილი არ ჰქონია ე.მ-ს მიმართ ძალადობის ფაქტებს. სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად კი, დეკემბრის თვეში მათ განახორციელეს ვიზიტი რა დროსაც გართულებული იყო შესვლა ე.მ-ს მოსანახულებლად ოჯახური კონფლიქტის გამო. მასთან შესვლა სოციალურმა მუშაკმა მხოლოდ საპატრულო პოლიციის გამოძახების შემდეგ შეეძლო. მოცემულ შემთხვევაში დროის ერთი და იგივე მონაკვეთში მოწოდებული ინფორმაცია განსხვავებულ სურათს იძლეოდა, რაც მიუთითებს სერვისის მიმწოდებელთა არაკოორდინირებულ ქმედებებზე. სახალხო დამცველის მიერ გაიცა წინადადება ოჯახში ძალადობის ფაქტზე დამტკიცებული დამცავი ორდერის შესრულების შემდგომი მონიტორინგისათვის.

### რეკომენდაციები:

#### საქართველოს მთავრობას

- შემუშავდეს სამთავრობო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა „მადრიდის დაბეზების საერთაშორისო სამოქმედო გეგმის“ მოთხოვნების გათვალისწინებით;
- უზრუნველყოფილ იქნას ხანდაზმულთა აქტიური მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავებაში, განვითარებასა და მონიტორინგში, რაც უშუალოდ ეხება მათი უფლებების რეალიზებას;

- განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და შემუშავდეს ახალი რეგულაციები ხანდაზმულთა უფლებების დაცვის მიზნით.

#### საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- განისაზღვროს ხანდაზმულთა პანსიონატის მომლოდინეთა რიგში მდგომი პირების რაოდენობა, მათი საჭიროებები და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნას ალტერნატიული მომსახურება;
- დაინერგოს და განვითარდეს ისეთი ალტერნატიული მომსახურებები, როგორცაა „შინმოვლა“, დღის ცენტრი და სათემო მომსახურება ხანდაზმულებისთვის;
- უზრუნველყოფილ იქნას ხანდაზმულთა ზრუნვის მომსახურებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა ყველა რეგიონისთვის;
- შემუშავდეს ხანდაზმულთა მოვლის/ზრუნვის სტანდარტები რეზიდენტული დაწესებულებებისთვის;
- შემუშავებული სტანდარტების მიხედვით მოხდეს მომსახურე პერსონალის მომზადება/გადამზადება ადეკვატური ზრუნვის მიზნით;
- უზრუნველყოფილი იქნას სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი სოციალური მუშაკების მიერ ხანდაზმულთა ოჯახში ძალადობისგან დაცვის ზედამხედველობა, შესაბამის სახელმწიფო უწყებების ჩართვისა და სავარაუდო შემთხვევების თაობაზე ინფორმირების გზით.

## დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში

მესამე ათწლეული დაიწყო, რაც იძულებით გადაადგილებულ პირთა თემა საქართველოსთვის აქტუალურ საკითხად რჩება. ქვეყანაში ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული პირი, დევნილი ცხოვრობს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის საცხოვრებელი პირობები წლების განმავლობაში არ გაუმჯობესებულა და ისინი სახელმწიფოსგან გადაუდებელ დახმარებას საჭიროებენ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ყოველწლიურად სწავლობს დევნილთა უფლებრივ მდგომარეობას, როგორც ინდივიდუალური განცხადებების საფუძველზე, ასევე „სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა პრობლემების გადასაჭრელად“ პროექტის ფარგლებში. პროექტი 2010 წლიდან ფუნქციონირებს ევროსაბჭოსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის დაფინანსებით.

2013 წელს ჩატარებული დევნილთა ხელახალი რეგისტრაციის მონაცემებით, საქართველოში 250 000-მდე დევნილი პირი ცხოვრობს. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში განხილულია ის პრობლემები, რომლებიც დევნილ მოსახლეობას აწუხებს და სამწუხაროდ, მათი გადაჭრა დღემდე არ მომხდარა.

მისასალმებელია 2013 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებადამცველ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პოლიტიკა, რაც ყველაზე კარგად სამინისტროს მიერ კანონპროექტზე მომუშავე კომისიის შექმნით გამოიხატა. დევნილთა ხელახალი რეგისტრაციის პროცესში სამინისტრო ასევე წარმატებით თანამშრომლობდა სახალხო დამცველთან, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. აღსანიშნავია, რომ სამინისტროში შეიქმნა რამდენიმე სამუშაო ჯგუფი, რომლებშიც გაერთიანებული არიან სახალხო დამცველი და სხვადასხვა ორგანიზაციები.

რაც შეეხება დევნილთა უფლებრივ მდგომარეობას, იძულებით გადაადგილებულ პირთა უდიდესი ნაწილისთვის მძიმე საცხოვრებელი პირობები და საცხოვრებელი ფართის არქონა კვლავ უმთავრესი პრობლემაა. დღემდე რჩება ისეთი კოლექტიური ცენტრები, რომლებიც არა თუ საცხოვრებელ მინიმალურ სტანდარტებს აკმაყოფილებენ, იქ ცხოვრებაც კი საშიშია ადამიანის სიცოცხლისთვის. ასეთ კოლექტიურ ცენტრებზე საუბარი იყო საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშშიც, თუმცა ზოგან მდგომარეობა დღემდე არ შეცვლილა. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის მსგავსად, კვლავ ნელი ტემპითა და შეფერხებებით მიმდინარეობს დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის,

პრივატიზაციის პროცესი. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან პრობლემაა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელშიც დევნილთა ოჯახების დიდი ნაწილი იმყოფება.

კვლავ პრობლემად რჩება დევნილთა ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი - იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის სფეროში მიმდინარე მოვლენებზე. საქართველოს სახალხო დამცველს დღემდე მიმართავენ დევნილები, რომლებმაც საპრივატიზაციო ხელშეკრულებას ისე მოაწერეს ხელი, რომ არაფერი იცოდნენ სარეაბილიტაციო სტანდარტების შესახებ. აუცილებელია, უზრუნველყოფილ იქნას დევნილთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სხვადასხვა საკითხებზე იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ინფორმირებულობას.

წინა წლების მსგავსად, რთული ვითარებაა, ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე სოფლებში. არ არის სამუშაო ადგილები, სამანქანო გზები ცუდ მდგომარეობაშია, მოუგვარებელია ზამთარში გათბობისა და მოსავლის რეალიზაციის საკითხები. ეს ის ძირითადი პრობლემებია, რაც საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობას დღემდე აწუხებს. მოსახლეობის განმარტებით, რამდენიმე სოფელში გაკეთდა სარწყავი არხები, თუმცა სოფლების უმეტესობას კვლავ სარწყავი წყლის პრობლემა აქვს, რაზეც საქართველოს სახალხო დამცველს 2012 წლის ანგარიშშიც ჰქონდა საუბარი.

### **დევნილთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის ახალი მიმართულებები**

2013 წელი დევნილთა უფლებრივი მდგომარეობის სფეროში მრავალი სიახლით გამოირჩეოდა. მომზადდა კანონპროექტი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“<sup>909</sup> ჩატარდა დევნილთა ხელახალი რეგისტრაცია, „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2013 წლის 18 დეკემბრის №320 ბრძანების საფუძველზე დაიწყო საცხოვრებელი ფართების გაცემა.

2013 წლის განმავლობაში არ მომხდარა დევნილთა იძულებით გამოსახლება იმ შენობებიდან, რომლებიც მათ თვითნებურად აქვთ დაკავებული. 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველი წერდა ობიექტებზე, რომლებშიც უკანონოდ იმყოფებოდნენ დევნილები 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. საუბარია, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისა და კერძო მესაკუთრეთა მფლობელობაში არსებულ 47 ობიექტზე. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წლის ბოლოს

<sup>909</sup> საქართველოს პარლამენტმა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონი მესამე მოსმენით მიიღო 2014 წლის 6 თებერვალს. კანონპროექტის შემუშავება და მისი პარლამენტისთვის წარდგენა 2013 წელს მოხდა.



თვითნებურად დაკავებულად რჩება 26 ობიექტი.<sup>910</sup> დანარჩენი ობიექტებიდან გამოსახლებულ დევნილ ოჯახთა ნაწილს, რომლებიც გრძელვადიან განსახლებამდე თავშესაფრით უზრუნველყოფას საჭიროებენ, ქირის თანხა გადაეცათ.

2013 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინიციატივით, მინისტრის 2012 წლის 18 დეკემბრის №164 ბრძანებით, შეიქმნა დევნილთა შესახებ ახალ კანონპროექტზე მომუშავე კომისია. ამ კომისიაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან ერთად შედიოდნენ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო, სოციალური პროგრამების ფონდი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და დანიის ლტოლვილთა საბჭო. კომისია კანონპროექტის ტექსტზე 6 თვის განმავლობაში მუშაობდა და მისი საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენა 2013 წლის დეკემბერში მოხდა.

2013 წლის პირველ აგვისტოს დაიწყო და 2013 წლის 27 დეკემბერს დასრულდა დევნილთა ხელახალი რეგისტრაციის პროცესი. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, რეგისტრაცია 246 549 დევნილმა გაიარა, რაც რეგისტრაციამდე არსებულ მონაცემებზე თითქმის 25 000-ით ნაკლებია. სხვადასხვა ორგანიზაციებთან ერთად, რეგისტრაციის პროცესის მონიტორინგს საქართველოს სახალხო დამცველიც ახორციელებდა.

როგორც უკვე აღინიშნა, 2013 წლის მეორე ნახევარში, საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის, „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ №320 ბრძანების საფუძველზე ხორციელდებოდა. ბრძანების მიერ დამტკიცებული ქულათა სისტემა<sup>911</sup> იძლევა საშუალებას სამართლიანად მოხდეს ფართების განაწილება დევნილებს შორის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველს კვლავ მიმართავენ დევნილები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ქულათა განაწილება გარკვეული დარღვევებით მოხდა, რის გამოც მათ ვერ მიიღეს კუთვნილი ფართი.

მისასალმებელია სამინისტროს ინიციატივა, რომლის შედეგად ცვლილებები შევიდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2012-2014 წლების სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმაში“ და ბოლო 5 წლის განმავლობაში, თბილისში მცხოვრებ დევნილებს

<sup>910</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, 2013 წლის 20 დეკემბრის № 05/02-12/53726 წერილი.

<sup>911</sup> კონკრეტულ ობიექტზე სამინისტროს მიერ წინასწარ გამოცხადებული განსახლების პროცესის ფარგლებში, დევნილი ავსებს საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადს, რომლის საფუძველზეც დევნილ ოჯახს ენიჭება ქულები სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით. საცხოვრებელი ფართები გადაეცემათ იმ ოჯახებს, რომლებიც მაღალ ქულებს იღებენ.

მიეცათ საშუალება, გრძელვადიანად განსახლდნენ თბილისში. მათ ასეთი შესაძლებლობა 2012 წელს არ გააჩნდათ, ვინაიდან სამოქმედო გეგმა, არ ითვალისწინებდა თბილისში დევნილთა გრძელვადიან განსახლებას.

სამინისტროს ინიციატივით ასევე შეიქმნა, „საქართველოში სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ეკომიგრაციული პროცესების მართვის მარეგულირებელი კანონმდებლობის პროექტის შემუშავების კომისია,“ რომელშიც ისევე, როგორც დევნილთა შესახებ კანონპროექტზე მომუშავე კომისიაში, საქართველოს სახალხო დამცველის გარდა შედიან სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი საერთაშორისო ორგანიზაციები.<sup>912</sup>

2013 წელს, ასევე განხორციელდა ერთჯერადი დახმარების სხვადასხვა პროგრამები, როგორც იყო დევნილთათვის სხვადასხვა გადაუდებელი საჭიროებებისათვის ერთჯერადად თანხის გაცემა და 200 ლარიანი „ზამთრის ვაუჩერების“ დარიგება. ასეთი ვაუჩერები დაურიგდათ 70 001 ქულაზე ნაკლები რეიტინგული ქულის მქონე დევნილებს – 23 000 ოჯახს. ვაუჩერებით მათ შეეძლოთ ელექტრო ენერჯისა და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდა.<sup>913</sup>

მიუხედავად ზემოაღნიშნული წინადადებული ნაბიჯებისა, დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საერთო ფონი კვლავ მძიმეა.

### **დევნილთა შესახებ საქართველოს ახალი კანონი**

როგორც უკვე აღინიშნა, დევნილთა შესახებ ახალი კანონპროექტი 2013 წელს მომზადდა. დევნილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გათვალისწინებული იყო კანონპროექტზე მომუშავე ჯგუფის წევრების შეთავაზებების დიდი ნაწილი, თუმცა, გარკვეულ საკითხებზე სამინისტროსთან შეთანხმება ვერ მოხერხდა. შეიძლება ითქვას, რომ მიღებული კანონი წარმოადგენს კონსენსუსს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და სამუშაო ჯგუფის სხვა წევრებს შორის.

საქართველოს სახალხო დამცველის ორგანიზებით, 2013 წლის ივნისში გაიმართა სამუშაო ჯგუფის დასკვნითი შეხვედრა,<sup>914</sup> რომელზეც მოხდა კანონპროექტის ტექსტის მუხლობრივი

<sup>912</sup> იხ. ამავე ანგარიშის თავი „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების/ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობის“ შესახებ.

<sup>913</sup> „2013 წლის საქმიანობის ანგარიში,“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, 2013 წელი.

<sup>914</sup> შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენელი საქართველოში, დანიის ლტოლვილთა საბჭო, ნორვეგიის

განხილვა და საბოლოო სახით ფორმულირება. თუმცა, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის წარდგენილი იქნა სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული კანონპროექტისაგან განსხვავებული ვერსია.

საქართველოს სახალხო დამცველის ძირითადი შენიშვნები, სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტთან დაკავშირებით, შეეხებოდა დევნილი პირის ცნებას, არასრულწლოვანთათვის დევნილის სტატუსის მინიჭებისა და დევნილთა შემწეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საქართველოს სახალხო დამცველი წლების განმავლობაში აღნიშნავდა, რომ 1996 წლის „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს.<sup>915</sup> უმთავრეს პრობლემას დევნილის სტატუსის განსაზღვრება იყო. კანონის მიხედვით:

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, დევნილად ჩაითვლება მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის, ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების გამო.“<sup>916</sup>

იძულებით გადაადგილებული პირის ცნების ასეთი განმარტებით, დევნილის სტატუსის მიღება შეეძლოთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებმაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იძულებით დატოვეს შეიარაღებული კონფლიქტის, ოკუპაციის შედეგად.

არ არსებობს საერთაშორისოდ აღიარებული სავალდებულო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს იძულებით გადაადგილებული პირის ცნებას. თუმცა, გაეროს 1998 წლის იძულებით გადაადგილების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები, დევნილად მიიჩნევენ პირს, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილი არა მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზით, არამედ, ასევე საყოველთაო ძალადობის, ადამიანის უფლებათა ხელყოფისა და სტიქიური, ან ადამიანის მიერ შექმნილი კატასტროფების გამო.<sup>917</sup> ეს პრინციპები სავალდებულო ხასიათის არ არის, თუმცა საყოველთაოდ აღიარებულ და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის სფეროში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს

---

ლტოლოვილთა საბჭო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სოციალური პროგრამების ფონდი.

<sup>915</sup> „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიში“, საქართველოს სახალხო დამცველი, 2011 წელი, გვ. 180.

<sup>916</sup> „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 1996 წელი, მუხ. 1.

<sup>917</sup> გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ, 1998 წელი, პრეამბულა, პუნ. 2.

დოკუმენტს წარმოადგენს. შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ მასში ასახული ძირითადი ასპექტები და გამოიყენონ დევნილთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკისა და საკანონმდებლო აქტების შემუშავების პროცესში.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში ასევე საუბარი იყო იმ პირების უფლებრივ მდგომარეობაზე, რომლებიც გადაადგილდნენ ოკუპაციის ხაზის მოსაზღვრე სოფლებიდან. აღნიშნულ პირებს არ ჰქონდათ დევნილის სტატუსის მიღების შესაძლებლობა, ვინაიდან, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, ე.წ. „საზღვრისპირა სოფლები“ ოკუპირებული ტერიტორიის საზღვრებში არ ექცევა და 2013 წლის 11 მაისამდე არ არსებობდა ამ სოფლებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების სამართლებრივი საფუძველი.

მნიშვნელოვანია, რომ 2013 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის (დევნილის ცნება) პირველი პუნქტის სიტყვები – „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან“ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.<sup>918</sup>

სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან, სადავო ნორმა დევნილის სტატუსს ანიჭებდა მხოლოდ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს, მხოლოდ მათზე ავრცელდება „სახელმწიფო საგანგებო ზრუნვასა და ძალისხმევას“. ხოლო, იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით ოკუპირებულ ტერიტორიებად არ მიიჩნევა, იმავე საფუძველებით იძულებით გადაადგილებულ პირებს ტოვებდა დაცვის გარეშე. ამასთან, აღნიშნულ პირებს არ შეეძლოთ სახლში დაბრუნება. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სადავო ნორმა იწვევს არსებითად თანასწორი პირების გაუმართლებელ დიფერენციაციას, ვინაიდან, ის დევნილის სტატუსის მინიჭებას უკავშირებს მხოლოდ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილების ფაქტს.<sup>919</sup>

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ 2014 წლის 6 თებერვალს მიღებული კანონით შეიცვალა დევნილის ცნება:

„იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა

<sup>918</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

<sup>919</sup> იქვე II, პარ. 32, 33.

დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მას ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას, უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო, ან/და ზემოაღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით შეუძლებელია მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.<sup>920</sup>

მიუხედავად იმისა, რომ კანონის სახელწოდება არ შეიცვალა და სიტყვა ოკუპაცია კვლავ ნახსენებია, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქციის მიხედვით, ოკუპაცია აღარ არის დევნილობის ერთადერთი საფუძველი და ასეთი საფუძველი შეიძლება იყოს ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევაც. მსგავსი ფორმულირება საშუალებას იძლევა დევნილის სტატუსი მიენიჭოთ ოკუპაციის ხაზთან მდებარე სოფლებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებსაც.

საქართველოს სახალხო დამცველის და კანონპროექტზე მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციების რეკომენდაციების მიუხედავად, კანონის ახალი რედაქციით, დევნილის ცნება კვლავ არ მოიცავს პირებს, რომლებმაც საცხოვრებელი ადგილი იძულებით დატოვეს ბუნებრივი ან ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების შედეგად. ამ მხრივ, კანონის ახალი რედაქცია კვლავ არ არის შესაბამისობაში იძულებით გადაადგილების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებთან.<sup>921</sup>

გარდა დევნილის სტატუსისა, კანონის ახალ რედაქციას შემოაქვს ბევრი სხვა სიახლე დევნილთა უფლებების დაცვის სფეროში. კანონს შემოაქვს ისეთი ცნებები, როგორც არის დევნილი ოჯახი, სათანადო საცხოვრებელი, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა და ა.შ.

ახალ კანონში არ გვხვდება „დევნილთა კომპაქტურად განსახლების“, „დევნილთა კერძო განსახლების“ და „დროებითი საცხოვრებელი ადგილის“ ცნებები. ეს ცვლილება მიმართულია დევნილთა სხვადასხვა კატეგორიების მიმართ თანაბარი მიდგომის ჩამოყალიბებისკენ, რაც თავისთავად მისასალმებელია. დევნილთა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით დაყოფა არათანასწორ მოპყრობას უწყობდა ხელს და რიგ შემთხვევებში ყურადღების გარეშე ტოვებდა იმ დევნილებს, რომლებიც წლების განმავლობაში ე.წ. „კერძო სექტორში“ ცხოვრობენ.

<sup>920</sup> „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა“ შესახებ საქართველოს კანონი, 2014 წელი, მუხ. 6

<sup>921</sup> გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ, 1998 წელი, პრეამბულა, პუნ. 2.



კანონის მიხედვით, თანაბარ შემწეობას (45 ლარი) მიიღებს დევნილის სტატუსის მქონე ყველა პირი, რომლის თვიური დასაბეგრი შემოსავალი 1 250 ლარზე ნაკლებია.<sup>922</sup> საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მსგავსი შეზღუდვის დაწესება სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამასთან, მსგავსი მიდგომა იწვევს დევნილის სტატუსზე მიბმული შემწეობის, საჭიროებებზე მორგებულ შემწეობად გარდაქმნას, რასაც საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება. თუმცა, გაურკვეველია, რა საფუძველით განისაზღვრა შემწეობის შეწყვეტის პირობად 1 250 ლარის დასაბეგრი შემოსავალი. ასევე, არ არის ნათელი, რა სიხშირით და რა სახით მოხდება სამინისტროსთვის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მათი დამუშავება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ცვლილებამ შეიძლება საწყის ეტაპზე პრობლემები გამოიწვიოს ყოფილ კოლექტიურ ცენტრებში, სადაც დღემდე მოუგვარებელია ინდივიდუალური გამრიცხველიანების საკითხი. ახალი კანონის მიღებამდე, კოლექტიურ ცენტრში მცხოვრებ დევნილებს სახელმწიფოს მიერ ერიცხებოდათ გარკვეული ოდენობის ელექტროენერჯის გადასახადი (თბილისი არა უმეტეს 13,48 ლარი, რეგიონები – არა უმეტეს 12,98 ლარი), მსგავსი პრინციპი ვრცელდებოდა სხვა კომუნალურ გადასახადებზე. შესაბამისად, განსხვავებული იყო კომპაქტურად განსახლების ობიექტებსა და კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების შემწეობა (კომპაქტურად განსახლების ობიექტები – 22 ლარი, კერძო სექტორი – 28 ლარი). როგორც უკვე აღინიშნა, ახალი კანონის მიხედვით, დევნილები მიიღებენ 45 ლარიან შემწეობას, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა, და სახელმწიფო აღარ გადაიხდის ელექტროენერჯისა და სხვა კომუნალურ გადასახადებს. შესაბამისად, იმ კოლექტიურ ცენტრებში, სადაც დღემდე არ დამთავრებულა ინდივიდუალური გამრიცხველიანება, დევნილებს შესაძლოა შეექმნათ გადასახადის გადახდის პრობლემა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ საკითხთან დაკავშირებით სამინისტრო აწარმოებს მოლაპარაკებებს ენერგოკომპანიებთან. საქართველოს სახალხო დამცველი დააკვირდება, თუ როგორ მოხდება 2014 წლის განმავლობაში ინდივიდუალური გამრიცხველიანების პრობლემის მოგვარება.

რაც შეეხება სხვა ცვლილებებს, კანონში ასევე დამატებულია დისკრიმინაციის ამკრძალავი, ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვისა და სათანადო საცხოვრებლის უფლების განმსაზღვრელი და სოციალური დაცვის ნორმები. კანონში ცალკე თავები ეთმობა

<sup>922</sup> „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი; ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტზე მუშაობის პროცესში, დევნილის შემწეობასთან დაკავშირებით სამინისტროს პოზიცია ემყარებოდა შემწეობის დევნილის სტატუსთან მიბმას და კანონპროექტის საბოლოო ვარიანტიც, რომელიც სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა, ითვალისწინებდა სტატუსთან მიბმულ დევნილის შემწეობას. თუმცა, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის მე-11 მუხლის, მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილის შემწეობის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს თუ „დევნილის ყოველთვიური დასაბეგრი შემოსავალი შეადგენს 1250 ლარს და მეტს, რაც დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მონაცემებით.“ კანონპროექტის ამ ფორმით მიღება მოხდა საქართველოს პარლამენტის მიერ.

დევილთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებამდე, ქვეყნის სხვა ნაწილში მათი ინტეგრაციის, მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე რეინტეგრაციის და უფლებების განხორციელების გარანტიებს.

ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, კანონი შეიცავს დევილთა სოციალური დაცვის გარანტიებს. კანონის მე-16 მუხლის თანახმად, სამინისტრო და სახელმწიფო დაწესებულებები, კანონმდებლობით მათთვის გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში, ეხმარებიან დევილებს დასაქმებაში, წყვეტენ საპენსიო უზრუნველყოფის საკითხებს, ეხმარებიან სოციალური და საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებაში, უზრუნველყოფენ იძულებით გადაადგილებისას პირველადი დახმარებით და ა.შ. ჩამონათვალი საკმაოდ დიდია, რაც ერთი მხრივ, მისასალმებელია. თუმცა, ბუნდოვანია, როგორ აპირებს სახელმწიფო ამ მუხლით აღებული ზოგიერთი ვალდებულების შესრულებას, იმ ფონზე, როცა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებისთვის კონკრეტული ვალდებულებები გაწერილი არ არის და არ არის განსაზღვრული, გააჩნიათ თუ არა მათი შესრულებისთვის აუცილებელი რესურსები.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის ახალი რედაქციის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, დევილის სტატუსი მიენიჭება არასრულწლოვანს, რომლის ერთ-ერთი მშობელი მაინც არის დევილის სტატუსის მქონე პირი.<sup>923</sup>

ახალი კანონის მიღება, უდავოდ წინადადებული ნაბიჯია დევილთა უფლებების დაცვის სფეროში. მიღებული კანონი ბევრად უფრო ახლოს არის საერთაშორისო სტანდარტებთან, ვიდრე მისი წინამორბედი. თუმცა, კვლავ რჩება გარკვეული ხარვეზები და 2014 წელი გვაჩვენებს, რამდენად ეფექტური იქნება ახალი კანონის იმპლემენტაცია არსებულ რეალობაში.

## დევილთა ხელახალი რეგისტრაცია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ 2013 წლის 1 აგვისტოს, მინისტრის 2013 წლის 16 ივლისის №287 ბრძანების საფუძველზე დევილთა ხელახალი რეგისტრაცია დაიწყო, რომელიც ამავე წლის 27 დეკემბრამდე გაგრძელდა. დევილთა რეგისტრაციის მიზანს

---

<sup>923</sup> სამინისტროს მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი კანონპროექტის მე-6 მუხლის თანახმად, არასრულწლოვანისთვის სტატუსის მინიჭებისათვის აუცილებელი პირობა ორივე მშობელის დევილობა იყო. სამუშაო ჯგუფის წევრი ორგანიზაციების აზრით, აღნიშნული ცვლილება თანასწორობის უფლების დარღვევას გამოიწვევდა. საბოლოოდ, სამინისტრომ გაითვალისწინა კომისიის წევრების პოზიცია და მუხლი ძველი სახით იქნა მიღებული - არასრულწლოვანს, რომელსაც ერთი მშობელი ჰყავს დევილი, ახალი კანონის მიხედვით შეუძლია სტატუსის მიღება.

დევნილი მოსახლეობის შესახებ განახლებული ინფორმაციისა და პროფილის ხელმისაწვდომობა, ასევე ოჯახების შესახებ განახლებული ინფორმაციის მიღება წარმოადგენდა. რეგისტრაციის მონაცემები გამოყენებული უნდა იყოს დევნილი ოჯახებისა და ინდივიდუალურ პირთა წრის განსასაზღვრად, რათა მოხდეს მათი სპეციფიკური საჭიროებების განხილვა და მათთვის შესაძლო გრძელვადიანი გადაწყვეტილებების იდენტიფიცირება.

რეგისტრაციის ჩატარების მიზნით, სამინისტრომ შექმნა 12 კომისია. კომისიების 100-მდე წევრმა, რეგისტრაციის დაწყებამდე სპეციალური ტრენინგები გაიარა. რეგისტრაციის პროცესის დაგეგმვაში სამინისტროს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სათავე ოფისის ექსპერტი ეხმარებოდა.

ხელახალი რეგისტრაციის პროცესის მონიტორინგის მიზნით, შეიქმნა ჯგუფი, რომელსაც კოორდინირება გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა (გლუკმა) გაუწია. ზემოაღნიშნულ ჯგუფში საქართველოს სახალხო დამცველის გარდა, ჩართულები იყვნენ, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, დანიის ლტოლვილთა საბჭო (DRC), ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო (NRC), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), სოციალური პროგრამების ფონდი (SPF), სამართლებრივი დაცვის ინსტიტუტი (LPI) სამართლებრივი დაცვა საქართველო და ორგანიზაცია „მომავლის კეთილდღეობის სახლი“ (OFPH). უნდა ითქვას, რომ ურთიერთთანამშრომლობის პროცესი სამინისტროსა და მონიტორებს შორის, ძალიან კარგად წარიმართა. მონიტორებს რეგისტრაციის რომელიმე უბანზე შესვლის ან ინფორმაციის მიღების პრობლემა არ შექმნიათ. უმეტეს შემთხვევებში, სამინისტრო სწრაფად რეაგირებდა მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ პრობლემატურ საკითხებზე.

რეგისტრაციის პროცესის მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა:

- ხელახალი რეგისტრაციის პროცესის მიმდინარეობის შეფასება, კერძოდ, რამდენად იცავდა სამინისტრო დადგენილ სტანდარტებსა და პროცედურებს;
- დევნილების ინფორმირებულობასთან დაკავშირებით პრობლემების იდენტიფიცირება;
- დევნილთათვის შესაბამისი სამართლებრივი დახმარების გაწევა;
- ხელახალი რეგისტრაციის პროცესში აღმოჩენილ ხარვეზებზე სამინისტროს ინფორმირება.

დევნილთა რეგისტრაცია ადგილობრივ მუნიციპალიტეტებსა და სხვადასხვა ადმინისტრაციულ შენობებში მიმდინარეობდა. ყველა ის ორგანიზაცია, რომელიც ზემოაღნიშნული პროცესის მონიტორინგს ახორციელებდა, სამ სადამკვირვებლო ფორმას ავსებდა. თითოეული მათგანი სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას მოიცავდა. კერძოდ, ფორმა №1 - კომისიის თავმჯდომარის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ფორმა №2 - ადგილზე მყოფ

დევნილებთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციას და ფორმა №3 - ხელახალი რეგისტრაციის საინფორმაციო კამპანიის შესახებ ინფორმაციას.

რეგისტრაციის გავლის მსურველ პირს, ცხელი ხაზის მეშვეობით, წინასწარ ჩაწერა და რეგისტრაციის ცოცხალი რიგის გარეშე გავლა შეეძლო. თუმცა, მონიტორების დაკვირვებით, დევნილთა უმრავლესობა ცხელი ხაზით არ სარგებლობდა, რაც რიგ შემთხვევებში იწვევდა კონფლიქტს თავად დევნილებს შორის. ცოცხალ რიგში მდგარი დევნილები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, როდესაც ცხელი ხაზით ჩაწერილები ურიგოდ გადიოდნენ რეგისტრაციას.

რეგისტრაციისთვის დევნილი უფლებამოსილად ითვლებოდა, თუ იგი იყო საქართველოს მოქალაქე, ან მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც რეგისტრირებული იყო დევნილად სამინისტროს მონაცემთა ბაზაში, ჰქონდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და დევნილის მოწმობა. რეგისტრაციისთვის, ქორწინებაში მყოფ წყვილს უნდა წარედგინა ქორწინების მოწმობა და არასრულწლოვნის დარეგისტრირების სურვილის შემთხვევაში, მისი დაბადების მოწმობა.

უნდა აღინიშნოს, რომ დევნილთა ხელახალი რეგისტრაციის პროცესი საკმაოდ ორგანიზებულ და მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა. რეგისტრაციის კომისიის წევრები უმეტესად ოპერატიულად მოქმედებდნენ. დადებითად უნდა შეფასდეს, რიგ შემთხვევებში, რეგისტრაციის კომისიების განთავსება დევნილთა ჩასახლებებში, მაგალითად წეროვანში, კოდასა და ბაზალეთში. სარეგისტრაციო კომისიების მსგავს პუნქტებში განთავსებამ, დევნილებს კიდევ უფრო გაუმარტივა რეგისტრაციის გავლა. დევნილებს, რომლებიც უნდა დარეგისტრირებულიყვნენ თბილისში და უსახსრობის გამო, არ შეეძლოთ ტრანსპორტის ხარჯების დაფარვა, რეგიონებში დარეგისტრირების საშუალება მიეცათ. სარეგისტრაციო კომისიის მობილური ჯგუფი 3 300-ჯერ გავიდა იმ დევნილთა საცხოვრებელ ადგილებზე დასარეგისტრირებლად, რომელთაც არ შეეძლოთ გადაადგილება სხვადასხვა მიზეზების გამო.

აქვე აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის შედეგად სხვადასხვა პრობლემები გამოიკვეთა. პროცესის საწყის ეტაპზე, დევნილთა შეკითხვებს რეგისტრაციის კომისია ამომწურავად ვერ პასუხობდა, თუმცა, ეს პრობლემა შემდგომ ეტაპებზე აღმოიფხვრა. დევნილები არ იყვნენ ინფორმირებული რეგისტრაციის მიზნების შესახებ. მონიტორინგისას სხვადასხვა ტიპის ტექნიკურმა ხარვეზებმა იჩინა თავი. მაგალითად, დოკუმენტაციასთან დაკავშირებული საკითხები. დევნილთა ნაწილს საბუთები წესრიგში არ ჰქონდა (ბავშვის დაბადების მოწმობის დედანი არ იყო წარმოდგენილი, დოკუმენტში დაბადების მოწმობის ნომერი არ იყო მითითებული, რიგ შემთხვევებში, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს მოქმედების ვადა ჰქონდა გასული), რის გამოც ისინი დადგენილ დროს რეგისტრაციის გავლას ვერ ახერხებდნენ. რამდენიმე სარეგისტრაციო ცენტრში დევნილთათვის არ იყო ხელმისაწვდომი მოსაცდელი ოთახი, სასმელი წყალი და საპირფარეშო.

აგვისტოში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც დევნილებმა, რომლებსაც ჰყავდათ არასრულწლოვანი ბავშვები, დაბადების მოწმობების დედნები ვერ წარადგინეს, რადგან ისინი საბავშვო ბაღებსა და სკოლებში ინახებოდა. შესაბამისად, გაუძნელდათ რეგისტრაცია ან ზოგ შემთხვევაში, თავიანთ რეგისტრაციის ადგილებში რეგისტრაცია ვერ გაიარეს.

დაფიქსირდა შემთხვევები, როცა 14 წელს მიღწეულ დევნილებს არ ჰქონდათ პირადობის მოწმობები აღებული და ვერ გაიარეს რეგისტრაცია, რადგან რეგისტრაციისთვის საჭირო ერთ-ერთ დოკუმენტი სწორედ პირადობის მოწმობა იყო. საქართველოს „მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონის თანახმად, საქართველოს მოქალაქე ვალდებულია 14 წლიდან მიიღოს პირადობის მოწმობა. ვინაიდან, პირადობის მოწმობის დაჩქარებული წესით აღება დამატებით ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ზოგიერთ შემთხვევაში, დევნილები ვერ ასწრებდნენ თავიანთ სარეგისტრაციო ადგილებში რეგისტრაციის გავლას. აღნიშნული პრობლემა ნაწილობრივ მოგვარდა იმ მხრივ, რომ ყველა დევნილს ჰქონდა საშუალება დარეგისტრირებულიყო თბილისის ან ზუგდიდის სარეგისტრაციო პუნქტებში, რომლებიც 27 დეკემბრამდე მუშაობდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც რეგისტრაციის პროცესში მონიტორებმა დააფიქსირეს, იყო რეგისტრაციის ადგილებზე უცხო პირების ყოფნა, რომლებიც არ იყვნენ კომისიის წევრები. კომისიასთან მისვლამდე, ეს პირები დევნილებს უსვამდნენ სხვადასხვა შეკითხვებს, მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის, წარმომავლობის თუ მეზობლების შესახებ. კომისიის წევრების განმარტებით, ეს პირები იყვნენ „აფხაზეთიდან დევნილების საერთაშორისო ორგანიზაციის“ წარმომადგენლები. იყო შემთხვევები, როდესაც ამ გამოკითხვების შემდეგ, რეგისტრაციაზე მისული პირი წერილობით აცხადებდა უარს დევნილის სტატუსზე, ვინაიდან არ იყო დევნილი. დევნილთა უცხო პირების მიერ დაკითხვის პროცედურა გაწერილი არ არის მინისტრის №287 ბრძანებით.

სამინისტროს განმარტებით, რეგისტრაციის პროცესში 10 000-მდე დევნილმა განაცხადა, რომ ამჟამად ცხოვრობს გალის რაიონში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ არაოფიციალური მონაცემებით, გალის რაიონში 50 000-მდე დევნილი დაბრუნდა. შეიძლება, ასეთი სხვაობა ციფრებს შორის, გამოწვეული იყოს ორი გარემოებით: სხვადასხვა პრობლემების გამო, გალის რაიონში მცხოვრებ დევნილთა ნაწილმა ვერ შეძლო ადმინისტრაციულ საზღვარზე გადმოსვლა და გალის რაიონიდან გადმოსულ დევნილთა ნაწილი, ერიდებოდა თავიანთი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის დასახელებას, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე. მინისტრის განმარტებით, მათ ხელთ არსებული არაოფიციალური



ინფორმაციით, გალში მცხოვრები დევნილების უდიდესმა ნაწილმა რეგისტრაცია გაიარა, მაგრამ ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის დასახელებისგან თავი შეიკავა.<sup>924</sup>

რეგისტრაციის პროცესში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც პირებს, რომლებმაც ვერ მოასწრეს დარეგისტრირება თავიანთ სარეგისტრაციო ადგილებზე, ზუგდიდიდან აგზავნიდნენ თბილისში ან პირიქით, რაც მნიშვნელოვნად ურთულებდა დევნილებს რეგისტრაციას და ზრდიდა მათ ფინანსურ ხარჯებს. შესაბამისად, მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა მიმართეს სამინისტროს, ასეთი დევნილებისთვის რეგისტრაციის შესაძლებლობა მიეცათ იმ რეგისტრაციის ცენტრში, რომელსაც მიაკითხავდნენ, მაგრამ სამწუხაროდ ეს თხოვნა არ იქნა გათვალისწინებული.

დევნილთა რეგისტრაციის პროცესი, მთლიანობაში, დადებითად უნდა შეფასდეს. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, რეგისტრაცია გაიარა 246 549 დევნილმა, რაც რეგისტრაციამდე არსებულ მონაცემებზე თითქმის 25000-ით ნაკლებია. რეგისტრაციის პროცესში სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა მონიტორინგის ჯგუფთან. უმეტეს შემთხვევებში, რეგისტრაციის პროცესში გათვალისწინებული იყო დევნილთა საჭიროებები. დევნილთა რეგისტრაციის შედეგები მნიშვნელოვნად დაეხმარება სამინისტროს სამომავლო სტრატეგიის და პოლიტიკის შემუშავებაში.

### **დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცესი**

საქართველოს სახალხო დამცველის 2011-2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში საუბარი იყო საქართველოს მასშტაბით, რამდენიმე ქალაქში მიმდინარე, დევნილთათვის განკუთვნილი კორპუსის ტიპის სახლების მშენებლობაზე. ახალი განსახლების ადგილები იყო: ფოთი, ბათუმი, წყალტუბო.

დევნილთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებამდე, სახელმწიფოს პრიორიტეტებად კვლავ მათი გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფა და სოციალურ ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა რჩება. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულება.“ აღნიშნული ბრძანებით დამტკიცდა „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის“ წესი. დევნილის განცხადების განხილვასა და

<sup>924</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრა დევნილთა საკითხებზე, 17 თებერვალი, 2014 წელი.

გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელია დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისია.

ბრძანებაში დეტალურად არის გაწერილი პროცედურები, რომელიც წინ უსწრებს დევნილისთვის საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემას. ასეთი წესების შემუშავება მნიშვნელოვანი ნაბიჯია დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცესის რეგულაციისა და საცხოვრებელი ფართების განაწილების დროს, სამართლიანობის პრინციპის დაცვის მხრივ.

ზემოაღნიშნული ბრძანება, თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით, მოიცავს რამდენიმე პროცედურას. პირველ ეტაპზე სამინისტრომ დევნილ ოჯახებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია გასანაწილებელი საცხოვრებელი ფართების შესახებ. აღნიშნული ეტაპი დევნილებს მისცემს შესაძლებლობას წარადგინონ შესაბამისი განაცხადი გასანაწილებელი საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე.

შემდეგ ეტაპზე, დევნილი ოჯახი ავსებს განაცხადს და კითხვარს საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე. სამინისტრო ახდენს განაცხადების დამუშავებას ბრძანებით შემუშავებული კრიტერიუმებისა და საცხოვრებელი ფართის სტანდარტების შესაბამისად. შემდეგ, დამუშავებულ მასალას უგზავნის კომისიას, განაცხადის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

დევნილებს კონკრეტული საცხოვრებელი ფართები, სართულებისა და სადარბაზოების მიხედვით გაუნაწილდებათ კენჭისყრის საფუძველზე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებით, „კომისიამ შესაძლებელია საცხოვრებელი ფართი დევნილ ოჯახს გადასცეს“ კენჭისყრაში მონაწილეობის გარეშე.<sup>925</sup>

განსახლების წესის ასეთი ბრძანებით დარეგულირება ასევე უკავშირდება ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის ნაწილობრივ აღმოფხვრას, როგორც კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება. სახალხო დამცველი წინა წლების ანგარიშებში ყოველთვის საუბრობდა კერძო სექტორში მცხოვრებ დევნილთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, რომელთა მომართვიანობა სახალხო დამცველის აპარატში ბოლო წლებში განსაკუთრებით მაღალი იყო. კერძო სექტორში მცხოვრებ დევნილთა დიდი ნაწილი უმძიმეს სოციალურ პირობებში ცხოვრობს, წლების განმავლობაში იხდის ქირას და ხშირად მატერიალური მდგომარეობის გაუარესების გამო, საცხოვრებლის გარეშე დარჩენის საფრთხის წინაშე დგება.

<sup>925</sup> „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ბრძანება №320, 2013 წელი, მუხ. 3, პუნ. 13.

მიუხედავად საკითხის სიმწვავისა, კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება სამოქმედო გეგმის მეორე ეტაპზე იყო გათვალისწინებული, მას შემდეგ რაც მოხდებოდა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა. მინისტრის №320 ბრძანება შესაძლებლობას აძლევს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფ დევნილებს, მიიღონ საცხოვრებელი ფართი, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა.

### თბილისი

სამინისტრომ, ზემოაღნიშნული ბრძანების ფარგლებში, შეესებულებული აპლიკაციებისა და მინიჭებული ქულების გათვალისწინებით, 2013 წლის ნოემბერში 85 დევნილ ოჯახს საცხოვრებელი ფართი გადასცა **თბილისში, ყვარლის ქუჩა №101** მდებარე შენობაში. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა და მასთან არსებულმა პროექტმა, მონიტორინგი განახორციელა თბილისში ყვარლის ქ.№101 მდებარე შენობაში.

მონიტორინგის შედეგად, დადგინდა, რომ საცხოვრებელი პირობები ზემოაღნიშნულ შენობაში არის კარგი და სრულად შეესაბამება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შემუშავებულ სტანდარტებს.





#### ყვარლის ქუჩა №101

მიუხედავად იმისა, რომ მინისტრის №320 ბრძანება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების პროცესს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსულია განცხადებები, რომლებშიც იძულებით გადაადგილებული პირები სადავოდ ხდიან ამ ბრძანებით გათვალისწინებული სააპლიკაციო ფორმის შევსების შედეგად მინიჭებული ქულების ოდენობას ან/და საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს საკითხის შესწავლას, თუმცა, პირველადი შეფასებით, შესაძლოა ითქვას, რომ გამოკვეთილია გარკვეული ხარვეზები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ თბილისში, ყვარლის ქუჩის №101 მდებარე შენობაში საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებული ოჯახების სია საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2013 წლის ნოემბერში გამოაქვეყნა. აღნიშნული სიის მიხედვით, საცხოვრებელი ფართით დევნილთა ის ოჯახები დაკმაყოფილდნენ, რომელთაც, სააპლიკაციო ფორმის შევსების შედეგად 3, 2 და 1 ქულა მიენიჭათ. მოგვიანებით, ეს სია სამინისტროს ვებ-გვერდიდან აიღეს, ხოლო სახალხო დამცველის აპარატის მოთხოვნის საფუძველზე მოწოდებული<sup>926</sup> დევნილი ოჯახების სია ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სიისგან განსხვავებულია და მასში უკვე აღარ ფიქსირდებიან ის დევნილი ოჯახები, რომელთაც ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სიით მინიჭებული ჰქონდათ 3, 2 ან 1

<sup>926</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2013 წლის 31 დეკემბრის წერილი №05/02-12/55552



ქულა. სამინისტროს განმარტებით, ვებ-გვერდზე თავდაპირველად დადებული სია არ იყო საბოლოო და ამიტომ ფიქსირდებოდნენ მასში დაბალი ქულის მქონე ოჯახები.

## აჭარა

საქართველოს რეგიონებში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმში, თამარის დასახლებაში ე.წ დევნილთა ახალ უბანში საცხოვრებელი კორპუსების პირველ სართულზე განთავსებული კომერციული ფართები, სამინისტროს გადაწყვეტილებით, საცხოვრებელ ფართებად გადაკეთდა. სამინისტროს განცხადებით, აღნიშნულ შენობაში ფართის მისაღებად სულ 195 განაცხადი შევიდა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები დევნილებიდან 48 ოჯახი შეირჩა. 2013 წლის 18 დეკემბერს, კენჭისყრის გზით, საცხოვრებელი ფართები მიიღო 46 დევნილმა ოჯახმა. განაწილების პროცესის დროს ერთმა ოჯახმა ადგილზე განაცხადა უარი ფართის სიმცირის გამო, ხოლო ერთი ოჯახი არ გამოცხადდა კენჭისყრის დროს. განაწილებამდე, ერთი საცხოვრებელი ფართი კი თვითნებურად დაიკავა დევნილმა ოჯახმა.

ბათუმში, თამარის დასახლებაში აშენებულ საცხოვრებელ კორპუსებში განასახლეს დევნილები, როგორც კერძო სექტორიდან ასევე ზუგდიდის, ქუთაისის, წყალტუბოს სხვადასხვა კოლექტიური ცენტრებიდან. მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ დევნილები, რომლებსაც 2012 წელს უარი ეთქვათ ახალ უბანში საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებაზე, მათ შორის, მარტოხელა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (მათ შესახებ საუბარია სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიში<sup>927</sup>), ამჯერად დაკმაყოფილდნენ საცხოვრებელი ფართებით. თუმცა, რამდენიმე მარტოხელა მოხუცი კვლავ ფართით დაკმაყოფილების მოლოდინშია.

განსახლების პროცესის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ფართების გადაცემის პროცესში საცხოვრებელი ფართების რეაბილიტაციის პროცესი დასრულებული არ ყოფილა და სარემონტო სამუშაოები იმ დროისთვისაც მიმდინარეობდა. ასევე, ბინების გადაცემისას, მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებული არ იყო საცხოვრებელი ფართების ზომები. ფართის გადაცემისას დევნილს ეცნობებოდა მხოლოდ ოთახების რაოდენობა, ხოლო, კვადრატულობა შეესაბამებოდა თუ არა სტანდარტით დადგენილ ოდენობას, სპეციალური აზომვის გარეშე გარკვევა შეუძლებელი იყო.

<sup>927</sup> იხ. <http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/86.pdf>, [ბოლოს ნანახია 10.03.2014].



## იმერეთი

2013 წელს სამინისტრომ „დევნილთა საცხოვრებელი ფართით გრძელვადიანი უზრუნველყოფის კრიტერიუმების“ მიხედვით, იმერეთის რეგიონში, სამტრედიაში, ტყიბულში, წყალტუბოში, ქუთაისში, ვანსა და თერჯოლაში რეაბილიტირებულ ობიექტებში განასახლა დევნილები.

სახალხო დამცველი საპარლამენტო ანგარიშებში და რეკომენდაციებში ყოველთვის მიუთითებდა, რომ ახალ რეაბილიტირებულ ობიექტებში დევნილთა შესახლებისას სამინისტრომ მხედველობაში უნდა მიიღოს კომპაქტურად განსახლების იმ ობიექტებში მაცხოვრებელი დევნილების მდგომარეობა, რომელი შენობებიც ინგრევა და საფრთხეს უქმნის მაცხოვრებელთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

დევნილთა საკითხების შემსწავლელ კომისიას „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ №320 ბრძანების საფუძველზე შეეძლო ავარიულ, ნგრევად, სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ კომპაქტურად განსახლების ობიექტებში მაცხოვრებელი დევნილებისთვის მიენიჭებინა უპირატესობა და კრიტერიუმების გარეშე დაეკმაყოფილებინა ისინი საცხოვრებელი ფართით.<sup>928</sup>

დაბა ვანში მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ახალ რეაბილიტირებულ ობიექტში, „ყოფილ პროფესიულ სასწავლებელში“, საცხოვრებელი ფართებით დააკმაყოფილეს „ტურბაზა არგოში“ მცხოვრები ოჯახები („ტურბაზა არგოს“ უმძიმესი მდგომარეობა არა ერთხელ აისახა სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში), რაც თავისთავად მისასაღმებელია ფაქტია.

იმერეთის რეგიონში არსებობს რამდენიმე ძალიან მძიმე მდგომარეობაში მყოფი კოლექტიური ცენტრი, უმძიმესი საცხოვრებელი პირობებით. თუმცა, ამ კოლექტიურ ცენტრებში მაცხოვრებელ დევნილებს მიენიჭათ საკმაოდ დაბალი ქულები, რის გამოც ახალ რეაბილიტირებულ ობიექტში ვერ დაკმაყოფილდნენ საცხოვრებელი ფართით. მათ შორის, საცხოვრებელი ფართების გარეშე დარჩნენ იმერეთის რეგიონში, დანგრევის პირას მყოფ კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები დევნილები. მაგალითად: სამტრედიაში ე.წ. „ყოფილი პოლიკლინიკის შენობა“, „სამშენებლო კანტორა“, „გეოლოგების ბინა.“

**წყალტუბოში**, რეაბილიტირებულ შენობებში დევნილთა შესახლებისას აღმოჩნდა, რომ წყალტუბოშიც არსებობს რამდენიმე ავარიული შენობა: სანატორიუმები „მეგობრობა“ და

<sup>928</sup> „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ბრძანება №320, 2013 წელი, მუხ. 3, პუნ. 8.

„იმერეთი“ (ამ შენობების მდგომარეობაზე 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც იყო საუბარი), თუმცა, არც ამ ავარიულ შენობებში მაცხოვრებელ დევნილებს მიანიჭეს უპირატესობა და ნაწილი არ დააკმაყოფილეს საცხოვრებელი ფართით.

**ქუთაისში** საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადი შეავსეს უმძიმეს ობიექტებზე, კოლექტიურ ცენტრებში „ტურბაზა რიონსა“ (10 ოჯახი) და „ატეკა 11-ში“ (3 ოჯახი) მცხოვრებმა დევნილმა ოჯახებმა. ამ ობიექტებში მაცხოვრებელთა უმრავლესობა სოციალურად დაუცველთა კატეგორიას მიეკუთვნება. მათი უმძიმესი საცხოვრებელი პირობები არაერთხელ აისახა სახალხო დამცველის 2010-2012 წლების საპარლამენტო ანგარიშებში და გაიცა რეკომენდაციები, მათი სასწრაფოდ განსახლების თაობაზე. თუმცა, ამ კოლექტიურ ცენტრებში მაცხოვრებელ დევნილებსაც მიენიჭათ დაბალი ქულები და ამ ეტაპზე, ვერ დაკმაყოფილდნენ საცხოვრებელი ფართით ახალ რეაბილიტირებულ ობიექტში.

## შიდა ქართლი

**გორში** მდებარე სანატორიუმი „ფოლადიდან“, (რომელშიც არსებულ გაუსადღის პირობებზე, საქართველოს სახალხო დამცველი 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში წერდა), მოხდა დევნილების გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა „ხაშურის ყოფილი საავადმყოფოს“ შენობაში, რომელსაც ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე მისასაღმებელია, ქარელში პროფ-ტექნიკუმის მიმდებარე ტერიტორიაზე, დევნილთა საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ სტანდარტებს შეესაბამება.

მიმდინარეობს **სურამის** ავარიული სანატორიუმების დახურვა და იქ მცხოვრები ოჯახების განსახლება ხაშურში, ახალ გარემონტებულ კოლექტიურ ცენტრებში. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სურამის კოლექტიურ ცენტრებში სარეაბილიტაციო სამუშაოები არ განხორციელებულა და ისე მოხდა მათი გადაცემა დევნილებისათვის, რაც წარმოადგენს სამოქმედო გეგმის დარღვევას.<sup>929</sup>

მიუხედავად იმისა, რომ №320 ბრძანების მიღება მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების სფეროში, სასურველია გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების პროცესი იყოს მეტად გამჭვირვალე, რათა გამოირიცხოს გარკვეული შეცდომები ან დარღვევები. მისასაღმებელი იქნებოდა თუ №320 ბრძანებით დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის მუშაობაში დამკვირვებლის სტატუსით ჩაერთვებოდა საქართველოს სახალხო დამცველიც. აღნიშნული უფრო გამჭვირვალეს გახდიდა დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცესს.

<sup>929</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ, 2012–2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა, მუხ. 2.2,

## კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის პროცესი

უხარისხო რეაბილიტაციის თემას ეხებოდა საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშიც. ეს საკითხი კვლავ აქტუალურია 2013 წლისთვისაც. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მონიტორინგისას აშკარა გახდა, რომ დევნილები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ გადაცემულ ფართში ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით. დევნილი ოჯახები მიუთითებდნენ დაზიანებულ იატაკზე, არათანაბრად გალესილ კედლებზე, ჩამოცვენილ საღებავზე, არასწორად დამონტაჟებულ ონკანებზე და ა.შ.

**ზუგდიდის** რაიონის სოფელ ოქტომბერში მდებარე „პროფსასწავლებლის შენობაში“, რომელშიც 70-მდე დევნილი ოჯახი ცხოვრობს, უხარისხოდ ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, ძლიერი წვიმის დროს, მცირეწლოვანი ბავშვები მშობლებს დასაძინებლად გადაჰყავთ ახლობლებთან, ვინაიდან თითქმის ყველა ოთახში ჩამოდის წყალი. სახურავიდან ჩამოსული წყალი იწვევს ნესტს, რის გამოც კედლებიდან ცვივა ბათქაში. მოუწესრიგებელია ელექტრო სადენები. საპირფარეშოებსა და საშხაპეებში აყრილია ფილები. არ არის საკანალიზაციო ჭა და მილებიდან წყალი პირდაპირ სარდაფებში ჩაედინება, რის გამოც, სარდაფები მთლიანად წყლით არის სავსე.

უხარისხოდ არის რეაბილიტირებული ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაშში მდებარე პიონერთა ბანაკი. ობიექტს რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2010 წელს, თუმცა უხარისხოდ ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, დევნილთა საცხოვრებელ ოთახებში ჩამოდის წყალი.

უხარისხო რეაბილიტაციის პრობლემა დგას **იმერეთის** რეგიონშიც. 2013 წლის ივლისის მონიტორინგისას გამოიკვეთა, რომ **სამტრედიაში** ახლად რეაბილიტირებულ, ყოფილი საავადმყოფოს შენობაში სარემონტო სამუშაოები უხარისხოდ არის ჩატარებული. შენობა არ არის გაზიფიცირებული, ზოგიერთ ბინას არა აქვს ოთახების ერთმანეთთან დამაკავშირებელი კარები. მეორე და მესამე სართულებზე არ ადის სასმელი წყალი. წვიმის დროს ეზო იტბორება და წყალი პირველი სართულის მაცხოვრებლებს შესდით ბინებში. ეზოში არის ძველი საავადმყოფოს შენობა, სადაც ყრია ძველი წამლები და სამედიცინო ინვენტარი, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას იქ მცხოვრები ბავშვების ჯანმრთელობას.

2013 წლის სექტემბერში სამინისტრომ დევნილები განასახლა **წყალტუბოში** რეაბილიტირებულ ობიექტებში: კერძოდ, ყოფილი საავადმყოფოს შენობაში - 49 დევნილი ოჯახი და ე.წ. სტატისტიკის შენობაში - 17 ოჯახი.

მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ ყოფილი საავადმყოფოს შენობა 49 დევნილ ოჯახზე რეაბილიტირებულია მუნციპალური განვითარების ფონდის მიერ, სადაც ჩატარებული სარემონტო სამუშაოები უხარისხოდ არის შესრულებული. კერძოდ, ოთხეშში იატაკი

უსწორმასწოროდ არის დაგებული, ზედა სართულის აბაზანიდან ჩამოდის წყალი, უსაფრთხოების წესების დარღვევითაა გაყვანილი ელექტროობა, შენობა არ არის გაზიფიცირებული და არც არავითარი საყოფაცხოვრებო ინვენტარით არ არის აღჭურვილი, ეზო კეთილმოუწყობელია და წვიმის დროს წყალი დგება. ამასთან, შენობას არა აქვს საკანალიზაციო სისტემა, რაც აუცილებლად გამოიწვევს ანტისანიტარიის პრობლემას. აუცილებელია სასწრაფოდ მოხდეს აღნიშნული პრობლემის გამოსწორება, რათა საფრთხე არ შეექმნას მოსახლეობის ჯანმრთელობას. არასათანადო საცხოვრებელი პირობების გამო, რამდენიმე დევნილმა ოჯახმა უარი თქვა ამ ობიექტში საცხოვრებელი ფართის მიღებაზე.

რაც შეეხება ე.წ. „სტატისტიკის შენობას“, რომელიც გათვლილია 17 ოჯახზე, იგი რეაბილიტირებულია USAID-ის მიერ და სარემონტო სამუშაოები შესრულებულია მაღალ დონეზე. ოთახები აღჭურვილია საყოფაცხოვრებო ინვენტარით: გაზქურით, წყლის და ოთახის გამათბობელით, სარეცხის საშრობით, შენობა გაზიფიცირებულია და ეზო მოწყობილია საბავშვო ატრაქციონებით.

შესაბამისად, წყალტუბოში, ერთმანეთთან ახლოს მდებარეობს ორი ობიექტი, რომელთაგანაც ერთი უხარისხოდ არის რეაბილიტირებული, ხოლო მეორე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ორივე შენობაში განხორციელდა დევნილთა შესახლება ერთდროულად, „დევნილების გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის პროცესის სახელმძღვანელო პრინციპების, კრიტერიუმების და პროცედურების დოკუმენტის“ თანახმად მინიჭებულ ქულათა საფუძველზე, კენჭისყრით. მსგავსი ფაქტები იწვევს დევნილთა სამართლიან უკმაყოფილებას.

**ფოთსა და სენაკში**, ისევე როგორც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე 2009 წლიდან მიმდინარეობს კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაცია. პარალელურად მიმდინარეობდა ახალი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა. გაჩნდა დევნილთა ახალი დასახლება ე.წ. „ახალი რაიონი.“ ფოთში, ერთი კოლექტიური ცენტრის გარდა ყველა საცხოვრებელ კორპუსში სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია. თუმცა, სარემონტო სამუშაოები გარკვეული ხარვეზებით ჩატარდა.

ცალკე აღსანიშნავია ფოთში „პროფტექნიკუმის“ და ყოფილი „ტექნიკუმის“ კოლექტიური ცენტრები. სარემონტო სამუშაოები თავიდანვე ცუდი ხარისხით იყო შესრულებული, პრობლემად რჩება საკანალიზაციო სისტემა, ეზოსა და სარდაფში ჩაედინება მილებიდან გამონადენი წყალი. მოუწესრიგებელია შენობასთან მისასვლელი გზა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ შეკეთდა მილები, გაითხარა ჭები ზემოთ დასახლებული პრობლემა სრულყოფილად არ მოგვარებულა და ისევ აქტუალურია დღესაც. რადგან სარემონტო სამუშაოები თავიდანვე უხარისხოდ შესრულდა, შემდგომში ხარვეზის შეკეთება საკმარისი არ აღმოჩნდა პრობლემის გადასაჭრელად. წვიმის პერიოდში მოუწესრიგებელი გზის გამო გადაადგილება განსაკუთრებით სახიფათო და პრობლემურია

მცირეწლოვანი ბავშვებისთვის, მითუმეტეს როცა მათ ტრანსპორტთან მისვლამდე უწევთ საკმაოდ დიდი მანძილის გავლა.

**სენაკში** რამდენიმე კოლექტიურ ცენტრში არ ჩატარებულა სარემონტო სამუშაოები. ამასთან, სამინისტროს პოზიცია, ექვემდებარებიან თუ არა აღნიშნული ობიექტები რეაბილიტაციას, ცნობილი არაა. რეაბილიტირებულ კოლექტიურ ცენტრებს, როგორებიცაა „ხალიჩები“, სამხედრო დასახლება და „რკინიგზის ინტერნატი,“ აქვთ საკანალიზაციო მიწების სერიოზული პრობლემები, წყალი ჩაედინება სარდაფებში.

**ფოთში** მშვიდობის ქუჩა, №8 მდებარე კოლექტიურ ცენტრს გერმანიის რეკონსტრუქციის და განვითარების საკრედიტო ბანკის დაფინანსებით ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. სასტუმროს გვერდით აშენდა ერთი, ოთხსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი. სარემონტო სამუშაოები 2011 წელს დაიწყო და გასული წლის შემოდგომაზე უნდა დასრულებულიყო, თუმცა სამშენებლო კომპანია სხვადასხვა მიზეზების გამო დათქმულ ვადებში ვერ ჩაეტია. მშენებლობის დასრულებამდე დევნილები განთავსებული იყვნენ სხვადასხვა ცარიელ, ამორტიზირებულ შენობებში. 2013 წლის 25 ოქტომბერს დევნილებს საცხოვრებელი ფართები ოფიციალურად გადაეცათ. მისასალმებელია, რომ როგორც ახალაშენებულ, ასევე რეაბილიტირებულ საცხოვრებელ სახლებში დამონტაჟდა ბუნებრივი აირის გამათბობლები, ელექტრო წყალგამაცხელებელი მოწყობილობა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ინვენტარი.

ისევე, როგორც სხვა რეგიონებში, **გორის** რაიონშიც მდგომარეობა განსხვავებული ობიექტების მიხედვით. თუმცა, ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხშირ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ყოფილი „სისხლის გადასხმის ცენტრში,“ სადაც დევნილთა საცხოვრებელი პირობები და ფართები არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. შენობაში არის მძიმე ანტისანიტარია და მწყობრიდან არის გამოსული წყალგაყვანილობის სისტემა. მსგავსი მდგომარეობაა გორის ყოფილი „პოლიკლინიკის შენობაში.“ დევნილთა საცხოვრებელი პირობები აქაც მძიმეა და სასწრაფოდ საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას. უხარისხო რეაბილიტაციის ნათელი მაგალითებია „№1 საბინაო ტრესტის“ „გორის სტუდბინის და ყოფილი მუსიკალური სკოლის“ შენობები.

დევნილთა საცხოვრებელი ფართების რეაბილიტაციის პროცესში, აუცილებელია სამინისტრომ უზრუნველყოს სარეაბილიტაციო სტანდარტების დაცვა. სამინისტრომ უნდა განახორციელოს ზედამხედველობა სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესზე და კომპანიებისგან მოითხოვოს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სარეაბილიტაციო სამუშაოები უხარისხოდ ჩატარდება



## საცხოვრებელი ფართების პრივატიზაციის პროცესი

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, გრძელვადიანი განსახლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში დევნილთა სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართების მათთვის საკუთრებაში გადაცემაა.

ზემოაღნიშნული პროცესი 2009 წელს საქართველოს პრეზიდენტის №62 განკარგულების საფუძველზე დაიწყო) და გულისხმობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კოლექტიური ცენტრების დევნილი ოჯახებისათვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრივატიზაციის პროცესი ნებაყოფლობითია და მხოლოდ კომპაქტურად განსახლების ობიექტში მცხოვრები დევნილის თანხმობის შემთხვევაში გადაეცემა მას ფართი საკუთრებაში. პრივატიზაციის პროცესში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს გარდა, არაერთი სტრუქტურაა ჩართული.

პრივატიზაციის პროცესი რამდენიმე ეტაპისაგან შედგება:

- დევნილთათვის ამა თუ იმ ობიექტის საკუთრებაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- სამინისტროს მიერ ამ ობიექტში მცხოვრები დევნილების სახელობითი სიის მომზადება და აზომვითი სამუშაოების ჩატარების ნებართვის გაცემა;
- აზომვითი სამუშაოების დასრულების შედეგად მიღებული მასალის სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში გადაგზავნა;
- ამ უკანასკნელის კომპეტენციას წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების განხილვა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მათი მსვლელობის უზრუნველყოფა;
- ამა თუ იმ ობიექტის დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე პრეზიდენტის დადგენილების ხელმოწერის შემდეგ, მზადდება საპრივატიზაციო ხელშეკრულება; მას შემდეგ რაც დევნილები მოაწერენ ხელშეკრულებას ხელს, საჯარო რეესტრი ახდენს საკუთრების უფლების რეგისტრაციას.

2013 წელს ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის პროცესი კვლავ შეფერხებით მიმდინარეობს და პრობლემებს უქმნის კომპაქტური განსახლების ობიექტებში მცხოვრებ დევნილებს. 2013 წლის მდგომარეობით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული იყო დევნილთა კომპაქტურად განსახლების 1399 ობიექტი.

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული პროექტის ფარგლებში, მონიტორინგი განხორციელდა თბილისში მდებარე არაერთ კომპაქტურად განსახლების ობიექტში, რომელთა ნაწილი უკვე დაკანონებულია ან დაკანონების პროცესშია. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სამინისტროდან გამოითხოვა დევნილთა იმ კომპაქტურად განსახლების ობიექტების სია, რომელთა პრივატიზება/რეაბილიტაცია 2013 წელს იგეგმებოდა.

**თბილისში** ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, პრივატიზაცია/რეაბილიტაციის პროცესში გამოვლენილი იქნა არაერთი პრობლემური საკითხი. როგორც წესი, დევნილები თანხმდებიან სამინისტროს შეთავაზებაზე, იმის მიუხედავად აკმაყოფილებთ, თუ არა საცხოვრებელი ფართი და პირობები. აღნიშნულის მთავარი მიზეზი სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაა.

ასევე, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ფართების არათანაბარი განაწილება. მონიტორინგმა ცხადყო, რომ ზოგიერთ კომპაქტურად განსახლების ობიექტში დევნილებს საცხოვრებელი ფართები არა სულადობის, არამედ მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული ოთახების მიხედვით აქვთ გადაცემული. ზოგიერთ ობიექტში კი ფართების კვადრატულობა სულადობით განისაზღვრა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად კვლავ დევნილთა არაინფორმირებულობა რჩება. სწორედ არაინფორმირებულობის გამო, დევნილთა უმრავლესობა ფართების გადანაწილების დროს ისე აწერდა ხელს საპრივატიზაციო ხელშეკრულებას, რომ ფართების ოდენობასაც არ ნახულობდა. სამწუხაროდ, დევნილთა უმრავლესობა სამინისტროს მხრიდან არ ფლობდა ინფორმაციას, საცხოვრებელი ფართების სტანდარტების შესახებ.

ამასთან, განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ობიექტების უმრავლესობა „ნახევრად დაკანონებულია“. დევნილთა განმარტებით, მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართების აზომვა არაერთხელ განხორციელდა, თუმცა ამ დრომდე მათი სრული პრივატიზაცია არ მომხდარა.

მონიტორინგისას ასევე გამოიკვეთა დევნილების მიერ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნის პრობლემა. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად, ამხანაგობა დაფუძნებულად ითვლება ისეთ მრავალბინიან სახლში, რომელიც განთავსებულია ერთ მიწის ნაკვეთზე და რომელშიც მდებარეობს ორზე მეტი ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ბინა. მიუხედავად ამისა, დევნილთა უმეტესობა ამხანაგობის შექმნას ვერ ახერხებს, ვინაიდან შენობების მხოლოდ გარკვეული ნაწილია პრივატიზებული. ბინათმესაკუთრეთა არ არსებობა კი დევნილებს მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის, ვინაიდან მისი არსებობის შემთხვევაში ისინი შეძლებდნენ შენობისთვის მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოების თანადაფინანსებით ჩატარებას.

2013 წელს კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესი დაიწყო შემდეგ ობიექტებზე: თბილისი, კახეთის გზატკეცილი 25-ე კმ, (ყოფილი სამთო მექანიკის ინსტიტუტი), გმირ კურსანტთა ქუჩა №3 (ავტო სატრანსპორტო სასწავლებლის საერთო საცხოვრებელი), გორში ფალიაშვილის ქ. №3 (შსს-ს ყოფილი შენობა), ქუთაისში, შერვაშიძის ქუჩა №57 (ბაგა-ბაღი №30), სამტრედია, ჭავჭავაძის ქ. №2 (სასტუმრო „სამტრედია“), სენაკი, ღვინჯილიას ქ. №5 (ბავშვთა სანატორიუმი). ამასთან, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში 50-მდე ობიექტში გაგრძელდა პრივატიზაციის პროცესი.<sup>930</sup>

**აჭარაში, ფოთსა და სენაკში** პრივატიზაციის პროცესი არ დასრულებულა არც ერთ ობიექტზე. აჭარაში დღემდე მთლიანად პრივატიზებულია მხოლოდ ერთი კოლექტიური ცენტრი, ხოლო თამარის დასახლებაში ე.წ ახალი რაიონი ნაწილობრივ. სამინისტროს მიერ მოწოდებულ სიაში<sup>931</sup> 2013 წელს საპრივატიზაციო ობიექტთა სიაში მოხვედრილია აჭარის რეგიონში მდებარე კიდევ ოთხი კოლექტიური ცენტრი, თუმცა საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული შენობების მესაკუთრე სახელმწიფოა და არა დევნილები.

იმის გამო, რომ ობიექტები არ არის პრივატიზებული, დევნილებს ექმნებათ სხვადასხვა სახის პრობლემები. კერძოდ, ბათუმში, ხახულის ქუჩა №5 მდებარე კოლექტიურ ცენტრში მოუწყობელია საკანალიზაციო სისტემა. ამასთან დაკავშირებით, მოსახლეობამ არაერთხელ მიმართა თვითმმართველი ბათუმის მერიას და აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტის განყოფილებას. თუმცა, პრობლემა ვერ გვარდება რადგან, ქონება ირიცხება საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელზე. ფინანსების სიმცირის გამო კი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა ვერ ხერხდება. ასევე ვერ ხერხდება ჩაქვში მდებარე კოლექტიური ცენტრის შეკეთება, რომელსაც მიწისძვრის შედეგად გაუჩნდა ბზარები.

**ქუთაისში** 2009 წლიდან სამინისტრომ მხოლოდ კოლექტიური ცენტრების ნაწილის პრივატიზაცია განახორციელა. კოლექტიური ცენტრების პრივატიზაციის პროცესი 2012 წლის აპრილის თვიდან დღემდე, დევნილთათვის უცნობი მიზეზით ფერხდება. მაგ. ქუთაისში, ყოფილი „ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატი“ და „ყოფილი ტუბ-სანატორიუმი“ წლების წინ არის რეაბილიტირებული, პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებული ყველა სამუშაოები ჩატარებულია: საცხოვრებელი ფართის გეგმა, აზომვითი სამუშაოები და ა.შ. თუმცა, ობიექტის პრივატიზაცია დღემდე არ მომხდარა. ანალოგიურ სიტუაციაში იყო ქუთაისში „ყოფილი 30-ე ბაგა-ბაღი,“ რომელიც მიმდინარე წლის აგვისტოში იქნა პრივატიზებული.

<sup>930</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, 2013 წლის 18 დეკემბრის №05/02–12/53953 წერილი

<sup>931</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, 2013 წლის 4 მაისის №619-ოფ წერილი

**გორში** „სანატორიუმ სურამში“ ჩასახლებული დევნილების განმარტებით, პრივატიზაცია განხორციელდა დაჩქარებული ტემპებით. როგორც მათთან გასაუბრებით ირკვევა, დევნილები საპრივატიზაციო ხელშეკრულებას ისე აწერდნენ ხელს, რომ არ ფლობდნენ სათანადო ინფორმაციას სარეაბილიტაციო სტანდარტების, სტანდარტებით გაწერილი საცხოვრებელი ფართისა და სხვა შესაძლო ალტერნატივების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია სამინისტრომ ერთ-ერთ პრიორიტეტად 2014 წელს პრივატიზაციის დაჩქარება დაისახოს. ამასთან, აუცილებელია გაძლიერდეს მუშაობა დევნილების ინფორმირებულობის გასაზრდელად - დევნილებს უნდა ჰქონდეთ ამომწურავი ინფორმაცია პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებით.

### **განსაკუთრებით მძიმე ობიექტები**

საქართველოს სახალხო დამცველი განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფ ობიექტებზე საუბრობდა 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში. მათ დიდ ნაწილში მდგომარეობა დღემდე არ გამოსწორებულა და დევნილები იმავე პირობებში ცხოვრობენ.

ყურადღებას იმსახურებს რამდენიმე ობიექტი, მათ შორის **თბილისში ნინუას ქ. №3 მდებარე ყოფილი „ტრიკოტაჟი №3“** შენობა. ობიექტში დაზიანებულია სახურავი, წყალგაყვანილობის სისტემა, მოუწესრიგებელია საკანალიზაციო და სადრენაჟო მილები. შენობა ამორტიზირებულია, კედლები და ჭერი დაზარულია.

უმძიმეს მდგომარეობაშია **თბილისში დადიანის ქ. №2 შპს „კვარი“** და **ჟორესის ქ. №13** მდებარე შენობები. ობიექტები ფაქტობრივად დანგრევის პირასაა. ამ ობიექტებში მცხოვრები დევნილები სასწრაფოდ საჭიროებენ ალტერნატიული ფართით დაკმაყოფილებას, თუმცა არც ამ შემთხვევაში არ არის ცნობილი როდის იგეგმება მათი განსახლება.





ქორესის ქუჩა №13, თბილისი

განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა **სოფელ ცხვარიჭამიაში** მდებარე ყოფილ **ტურბაზა „სიჭაბუკეში“**. აღნიშნულ ობიექტზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი მონიტორინგი განახორციელა. ჩატარებულმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ შენობაში არ არსებობს საკანალიზაციო სისტემა. დევნილებს არ მიეწოდებათ ბუნებრივი აირი და წყალი, დაზიანებულია სახურავი და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გასაწმენდია მიმდებარე ტერიტორია. საკანალიზაციო მილების არარსებობა და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით ტერიტორიის დაბინძურება ქმნის მძიმე ანტისანიტარიულ მდგომარეობას, რაც საფრთხეს უქმნის კოლექტიურ ცენტრში მცხოვრები პირების ჯანმრთელობას. ამასთან, სოფელ ცხვარიჭამიაში არ არსებობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2012 წლის №89091 წერილის თანახმად, სოფელ ცხვარიჭამიასთან ყველაზე ახლოს მდებარე სკოლა 10კმ-ის დაშორებით, სოფელ გალაგანში მდებარეობს. სოფელში ასევე არ არის მაღაზია და არ დადის საზოგადოებრივი ტრანსპორტი.





*ტურბაზა „სიჭაბუკე“, სოფელი ცხვარიჭამია*

იძულებით გადაადგილების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, გარდა ადეკვატური საცხოვრებელი პირობებისა, დევნილებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ განათლების საშუალებებზე. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამინისტრო მოახდენს შენობის რეაბილიტაციას, სოფელ ცხვარიჭამიაში დევნილების გრძელვადიანი განსახლება მაინც მიზანშეუწონლად მიგვაჩნია.

უმძიმესი ვითარებაა, **ხაშურში**, „სანატორიუმ სურამის“ ძველ კორპუსში, სადაც აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები არიან ჩასახლებული. შენობა არ ექვემდებარება რეაბილიტაციას. ასეთივე მძიმე მდგომარეობაში არიან „ყოფილი ნარკოლოგიური, კომბინატის პოლიკლინიკაში“ ჩასახლებული დევნილები. მათ უმთავრეს პრობლემას სველი წერტილების არარსებობა და მცირე საცხოვრებელი ფართები წარმოადგენს. ფართი დაყოფილი არ არის და დევნილები სამზარეულოდ შენობის დერეფანს იყენებენ.

მძიმე პირობებში იმყოფებიან, „სანატორიუმ ქართლი 96-ში“ ჩასახლებული დევნილები. კორპუსი ავარიულია და არ ექვემდებარება რეაბილიტაციას. სარდაფში დგება წყალი, რომელიც მნიშვნელოვნად აზიანებს შენობას და იწვევს ანტისანიტარიას.

ქუთაისში რჩება მთელი რიგი კოლექტიური ცენტრები რომლებშიც საცხოვრებელი პირობები კრიტიკას ვერ უძლებს და სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს. ეს შენობებია: ქუთაისში ტურბაზა რიონი, ყოფილი ატეკა-11, გუმათის სკოლა-ინტერნატი, ფირმა ანკომი, ბაგა-ბაღი 1, ე.წ. შშმ პირთა სახლი, ნორჩ ტურისტთა სახლი.



ე.წ. „შშმ პირთა სახლი“, ქუთაისი

სენაკში, მრავალდარგოვანი პროფესიული სასწავლებლის ბოლო 4-5 სართულზე 17 დევნილი ოჯახი ცხოვრობს, ძირითადად მოხუცებულები. სახურავიდან ჩამოსდით წყალი, საპირფარეო საერთოა. ეს ობიექტი სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშშიც მოხვდა, თუმცა დღემდე მდგომარეობა არ შეცვლილა.



სენაკის მე-3 არასრული სკოლა-ინტერნატის შენობის ნაწილში დევნილებმა თავდაპირველად, უარი განაცხადეს შენობის რეაბილიტაციაზე, ფართების ვერგანაწილების გამო. მას შემდეგ შენობაში იგივე მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებია.

მძიმე მდგომარეობაა ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიაში მდებარე გამგეობის შენობაში, რომელშიც 10 დევნილი ოჯახი ცხოვრობს. გაუმართავია საკანალიზაციო სისტემა, რაც ქმნის ანტისანიტარიას. შენობაში ცხოვრობენ შშმ პირები, რომლებსაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილება. ჩამოშლილია კედლები, ჭერი, აყრილია პარკეტი. ჭერიდან ჩამოცვენილი ბათქაში საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრები დევნილების, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვების მდგომარეობას.

შიდა ქართლში უმძიმესი საცხოვრებელი პირობებია სანატორიუმებში „ქართლი 96“ და „სურამი“. ეს შენობები არ ექვემდებარება რეაბილიტაციას და იქ მცხოვრები დევნილები დღემდე ელიან განსახლებას.



სანატორიუმი ქართლი 96, შიდა ქართლი

აუცილებელია, რომ 2014 წლის ერთ-ერთი პრიორიტეტი სამინისტროსთვის ასეთი შენობებიდან დევნილთა განსახლება, ან შენობების რეაბილიტაცია იყოს. დანგრევის პირას მყოფი ობიექტების პრობლემის გადაჭრის გადავადებამ, შეიძლება უმძიმეს შედეგებამდე მიგვიყვანოს. იქ მცხოვრები დევნილების ჯანმრთელობა და სიცოცხლე ყოველდღიურად საფრთხის ქვეშ არის.

### **გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებული მდგომარეობა**

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ მდგომარეობაზე საქართველოს სახალხო დამცველს 2012 წლის ანგარიშშიც ქონდა საუბარი. სამწუხაროა, რომ ვითარება თითქმის არ შეცვლილა ამ სოფლებში. უსაფრთხოების საკითხი აქ კვლავ აქტუალურია. ხშირია, საქართველოს მოქალაქეების დაკავებას ოსი ან რუსი მესაზღვრეების მიერ, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის ბრალდებით. მძიმეა ამ სოფლებში მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკური ფონი, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაუსაქმებელია. სარწყავი წყლის არ არსებობის გამო, მოსახლეობა გაჭირვებით ახერხებს მიწის ნაკვეთების დამუშავებას. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ, ოსურმა მხარემ ჩაკეტა სარწყავი არხი, რომელსაც საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობა იყენებდა. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს აღებული მოსავლის რეალიზაცია. დიდი ხარჯების გამო, მოსახლეობა ვერ ახერხებს პროდუქტის გატანას, ხოლო ადგილობრივი ქარხნები დაბალ ფასად იბარებენ მას.

2013 წელს გააქტიურდა ე.წ. მავთულხლართების გავლების პროცესი. შედეგად, რამდენიმე სოფელს ჩამოეჭრა სახნავ-სათესი მიწები და ბაღები, ხოლო რამდენიმე სახლი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოხვდა.

სახალხო დამცველის აპარატთან არსებული პროექტის ფარგლებში 2013 წელს გაგრძელდა ე.წ. საზღვრისპირა სოფლების მონიტორინგი. მონიტორინგი ჩატარდა სოფლებში: დიცში, ქორდში, მერეთში, გუგუტიანთკარში, ქვემო ნიქოზში, ზემო ნიქოზში, პატარა მეჯვრისხევში, ჯარიანში, დვანსა და ხურვალეთში. ამ სოფლების უდიდეს ნაწილში პრობლემად რჩება სარწყავი არხების არარსებობა. ასევე აღსანიშნავია ბუნებრივ აირზე წვდომა, ზოგიერთ სოფელში ბუნებრივი აირის ცენტრალური მაგისტრალი შეყვანილია, თუმცა ოჯახები უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ ინდივიდუალურად აირის სახლებში შეყვანას. ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს უგზოობისა და მოსავლის რეალიზაციის საკითხები.

**დიცი** – 2012 წელს გაკეთდა სარწყავი არხი, მაგრამ არხი სოფელს მთლიანად ვერ ფარავს და შესაბამისად, ზაფხულში მოსახლეობის ნაწილი კვლავ სარწყავი წყლის გარეშე რჩება. სოფელში შეყვანილია ბუნებრივი აირი, მაგრამ ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას მოსახლეობა ვერ ახერხებს უსახსრობის გამო.

**ქორდი** – დაზიანებული და მოძველებულია ელექტროგაყვანილობის სისტემა, მოსახლეობა იძულებული გახდა სარწყავი წყლის არქონის გამო, გაეჩეხა და ამოეყარა ხეხილის ბაღები. 2013 წელს მოსავალი დააზიანა სეტყვამ, თუმცა არანაირი სუბსიდია სახელმწიფოსგან არ მიუღიათ. სოფელში არ არის შეყვანილი ბუნებრივი აირი.

**მერეთი** – სოფელში არის როგორც სარწყავი წყლის, ასევე გათბობის პრობლემა, გარდა იმისა, რომ არ არის შეყვანილი ბუნებრივი აირი, მოსახლეობა ვერ ახერხებს შეშის შეგროვებას, ოკუპაციის ხაზთან სიახლოვის გამო. სოფელში ასევე არ არის საავადმყოფო ან ამბულატორია.

**გუგუტიანთკარი** – სოფელში არ არის საავადმყოფო არც ამბულატორია. არის მოძველებული ელექტროგაყვანილობა, რომელიც საფრთხეს უქმნის სოფლის ერთ-ერთი მოსახლის საცხოვრებელ სახლს, მაგრამ მიუხედავად სოფლის არაერთი თხოვნისა, მაღალი ძაბვის ბოძის დემონტაჟს არ ახორციელებს არც ადგილობრივი თვითმმართველობა და არც ენერგოკომპანია. ცუდ მდგომარეობაშია სოფლამდე მისასვლელი გზა. სოფელში ასევე არის სასმელი წყლის პრობლემა, რის გადასაჭრელადაც დაწყებულია ჭაბურღილის კეთება.

**ქვემო ნიქოზი და ზემო ნიქოზი** – ქვემო ნიქოზში სარწყავი წყლის პრობლემა აღარ არის, ვინაიდან გაკეთდა სარწყავი არხები. მაგრამ, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ოჯახებს არ აქვთ ბუნებრივი აირის სახლებში შეყვანისა და ინდივიდუალური გამრიცხველიანებისთვის საჭირო თანხის გადახდის საშუალება. ზემო ნიქოზის უმთავრეს პრობლემას სარწყავი წყალი წარმოადგენს. მართალია გაკეთდა სარწყავი არხები, მაგრამ სოფლის მთელს ტერიტორიას ვერ ფარავს.

**ჯარიაშენი** – მოსახლეობის განმარტებით, მავთულხლართების გავლების შედეგად, დაახლოებით 30-მა ოჯახმა დაკარგა ნაკვეთები, რაც წარმოადგენს სოფლის უმთავრეს პრობლემას. ცუდ მდგომარეობაშია სოფლამდე მისასვლელი გზა, გამოსაცვლელია ელექტროგაყვანილობის ბოძები. სხვა სოფლების მსგავსად, ჯარიაშენშიც არის სარწყავი წყლისა და ბუნებრივი აირის ოჯახებამდე მიყვანის პრობლემა.

**დვანი** – დვანში სახალხო დამცველთან არსებული პროექტის მონიტორის ვიზიტის დროს<sup>932</sup> შეყავდათ ბუნებრივი აირი, რაც მისასალმებელია. მაგრამ ძირითადი პრობლემები ამ სოფელშიც იგივეა, რაც ოკუპაციის ზოლის მოსაზღვრე სხვა სოფლებში. მოსახლეობის განმარტებით, მავთულხლართების გავლებამ დაახლოებით 300 მეტრით გადმოიწია საზღვარი. ასევე, მათი განმარტებით, სოციალურად დაუცველის სტატუსი მოეხსნა სოფელში მცხოვრები ოჯახების დიდ ნაწილს, არის სარწყავი წყლის პრობლემა.

<sup>932</sup> 2013 წლის დეკემბერი



მონიტორინგმა გვაჩვენა, რომ გამოიყო რამდენიმე ძირითადი პრობლემა, რომელთა გადაჭრა მაქსიმალურად მოკლე ვადაში უნდა მოხდეს. ესენია: სარწყავი წყლის, ბუნებრივი აირის ოჯახებამდე მიყვანის და მოსავლის გასაღების პრობლემები.

მოსავლის რეალიზაციის პრობლემა აქვს საზღვრისპირა სოფლებში მოსახლეობის უდიდეს ნაწილს. ეს პრობლემა განსაკუთრებით გამწვავდა 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, რაც მოსახლეობას ვეღარ გააქვს ხეხილი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე. აღნიშნული სოფლების მაცხოვრებელთა უმთავრეს შემოსავალს, სწორედ ხილის მოსავალი წარმოადგენს. ზოგიერთ სოფელში მოსახლეობის განმარტებით, ხეხილის ბაღებს ჩეხავენ და ზამთარში გასათბობად იყენებენ. აუცილებელია, სახელმწიფომ დაუყოვნებლივ მიაქციოს ყურადღება ამ პრობლემას და განახორციელოს სხვადასხვა სახის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები. ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებს ყველაზე მეტად სჭირდება სახელმწიფოს დახმარება, რომ არ მოხდეს ამ სოფლების დაცლა, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს არა მხოლოდ იქ მცხოვრებ ხალხს, არამედ სახელმწიფო ინტერესებს.

მისასალმებელია ფაქტია, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №257 დადგენილებით, შეიქმნა „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია“. აღნიშნული კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოს მთავრობის შემადგენელი უწყებების წარმომადგენლები. კომისიის თავმჯდომარეა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი.

კომისიის ფუნქციებში შედის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების შემუშავება, ამავე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისთვის შესაბამისი წინადადების მომზადება და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა, დაზარალებული მოსახლეობის დახმარების პროგრამებისა და პროექტების განხორციელების კოორდინაცია, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისათვის უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაცია.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები შეხვდნენ ზემოაღნიშნული კომისიის მდივანს და მისგან მიიღეს ინფორმაცია, რომ ე.წ. „გამოზამთრების“ პროგრამის ფარგლებში 50 საზღვრისპირა სოფელში მცხოვრებ 11 440 ოჯახს გადაეცა 200 ლარიანი ვაუჩერი ზამთრისთვის შემის შესაძენად. ასევე, კომისიის გადაწყვეტილებით, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებიდან 236 სტუდენტს დაუფინანსდა 2013–2014 სასწავლო წლების ბაკალავრიატის და მაგისტრატურის გადასახადი. სოფლებში: კოშკში, გუგუტიანთკარში, ხურვალეთსა და დიდ ხურვალეთში გაკეთდა სასმელი წყლის ჭაბურღილები. 2013 წელს მოხდა სოფლების სალთვისისა და ტირიფონის საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია.

კომისიის მდივნის ინფორმაციით, 2014 წლისთვის იგეგმება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების გაზიფიცირების პროცესის დასრულება. ამასთან, კომისიის გადაწყვეტილებით, ბუნებრივი არის ინდივიდუალური გამრიცხველიანების ხარჯებს სახელმწიფო დაფარავს. 2014 წელს, ასევე, იგეგმება სარწყავი წყლის პრობლემის მოსაგვარებლად 6 წყლის სატუმბი მოწყობილობის დამონტაჟება.<sup>933</sup>

საქართველოს სახალხო დამცველი აპირებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრები პირების უფლებრივ მდგომარეობას. ამ მიზნით, სახალხო დამცველის აპარატში 2014 წლიდან შეიქმნა კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებათა საკითხებში სახალხო დამცველის მთავარი მრჩეველის შტატი. გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგი და შესწავლა 2014 წელს ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იქნება.

## დასკვნა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2013 წელი იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის სფეროში სიახლეებით იყო დატვირთული. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა“ შესახებ საქართველოს კანონის ახალი რედაქცია და მინისტრის №320 ბრძანება „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - დიდ როლს შეასრულებს მომავალში დევნილთა უფლებების დაცვის სფეროში.

მიუხედავად სიახლეებისა, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ინფორმირებულობა და სხვა საკითხები, რომლებზეც ანგარიშშია საუბარი, კვლავ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება. სახალხო დამცველი 2012 წლის ანგარიშშიც აღნიშნავდა, რომ ამ პრობლემების გადაჭრა დიდ ფინანსურ რესურსებთან და მათ სწორად განკარგავსთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებზე ზრუნვა. აუცილებელია, სახელმწიფოს მხრიდან გამოიყოს შესაბამისი ფინანსები და განხორციელდეს სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებები იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გადასაჭრელად.

<sup>933</sup> შეხვედრა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, 17 თებერვალი, 2014 წელი.

რეკომენდაციები:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს:

- დამატებით შეისწავლოს იმ პირთა საქმეები, რომლებმაც უარი თქვეს დევნილის სტატუსზე, რეგისტრაციის ადგილებზე უცხო პირთა მიერ დასმული შეკითხვების საფუძველზე.
- პრიორიტეტი მიენიჭოს იმ ობიექტებიდან დევნილთა განსახლებას, რომელთა რეაბილიტაციაც შენობის მძიმე მდგომარეობის გამო შეუძლებელია და საფრთხეს უქმნის იქ მაცხოვრებელთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს;
- განისაზღვროს რეაბილიტირებული საცხოვრებელი ფართების სამართლებრივი სტატუსი და დევნილები უზრუნველყოფილიქნენ საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტით;
- განხორციელდეს ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია, რათა დევნილები სრულყოფილად იცნენ ინფორმირებული პრივატიზაციის პროცესის შესახებ;
- გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცესის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, მინისტრის №320 ბრძანებით შექმნილ, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის მუშაობაში საქართველოს სახალხო დამცველი ჩერთოს დამკვირვებლად.

საქართველოს მთავრობასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- შეკეთდეს ადმინისტრაციული საზღვრისპირა სოფლების დამაკავშირებელი სამანქანო გზები;
- დაიწყოს და ზოგიერთ შემთხვევაში დაჩქარდეს ამ სოფლებში სარწყავი არხების მშენებლობის პროცესი;
- სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს სოფლებში მოყვანილი მოსავლის რეალიზაციაში ხელშეწყობა;
- მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოს შესაბამისი სახსრები;

## სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების/ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობა

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების (ეკომიგრანტები) პრობლემებს საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი ანგარიში მიემდგინა.<sup>934</sup> ამასთან, 2013 წელს მომზადდა და გამოქვეყნდა სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში<sup>935</sup>.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ მიმდინარე წლის იანვარში დაიწყო მუშაობა „ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე და იმედს ვიტოვებ, რომ სახალხო დამცველის, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით შემუშავებული იქნება სრულყოფილი საკანონმდებლო რეგულაციები<sup>936</sup>.

თუმცა, იმის გამო, რომ ეკომიგრანტთა მდგომარეობა ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა, რასაც ადასტურებს 2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული, ეკომიგრანტთა პრობლემების ამსახველი განცხადებები, მიზანშეწონილად მიმაჩნია წინამდებარე ანგარიშშიც ყურადღება გამახვილდეს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების საკითხებზე. უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებული

---

<sup>934</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ.450; 2011 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ.213 და 2012 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ.660.

<sup>935</sup> საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების/ ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, 2013 წელი.

<sup>936</sup> საკანონმდებლო პაკეტის მომზადების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში შექმნილია კომისია „საქართველოში სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ეკომიგრაციული პროცესების მართვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის - კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 6 ივნისის №123 ბრძანების საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობს საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი.

სიმწვავით გამოირჩეოდა აჭარის რეგიონიდან წალკის მუნიციპალიტეტში განსახლებულ ეკომიგრანტთა პრობლემები.<sup>937</sup>

ეკომიგრანტების პრობლემების შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნულ სფეროში ადამიანის უფლებათა დარღვევა არაერთჯერადი და სისტემური ხასიათისაა. სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, დღემდე არ არსებობს სამართლებრივი ბაზა, რომელიც დაარეგულირებს სტიქიური კატასტროფების შედეგად დაზარალებულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას, არ არის გაწერილი სახელმძღვანელო პრინციპები ან/და ნორმატიული ძალის მქონე პროცედურული წესები, რომელიც ამ სფეროში მიმდინარე პროცესებს სამართლებრივ ჩარჩოში მოაქცევდა.

საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარემოს დაცვის სააგენტოს მონაცემებით, საქართველო ბუნებრივი კატასტროფების სიხშირის მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება. ბოლო წლებში, სტიქიის მასშტაბები მკვეთრად გაიზარდა და მეტ აქტივაციას განიცდის. აღნიშნული კი, თავისთავად იწვევს სტიქიით დაზარალებული პირების რიცხვის ზრდას. დასახელებული გარემოება კიდევ უფრო აქტუალურს და მნიშვნელოვანს ხდის პრობლემის გადაჭრისათვის დროული და ადეკვატური ზომების მიღების აუცილებლობას.

### **ეკომიგრანტთა სფეროში არსებული კანონმდებლობა**

ეკომიგრანტთა სფეროში არსებული საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა ვრცლად განხილულია საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშში,<sup>938</sup> რის გამოც წინამდებარე ქვეთავში ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ იმ ნორმებზე, რომელიც პირველ რიგში, უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობაში. უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ვის შეიძლება მიენიჭოს ეკომიგრანტის სტატუსი.

გარემოში ცვლილებების შედეგად გადაადგილებულ პირთა განსაზღვრის მიზნით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) იყენებს ტერმინს „გარემოში ცვლილებების შედეგად მიგრანტი“ შემდეგი დეფინიციით:

„გარემოში ცვლილებების შედეგად მიგრანტები არიან პირები (ან პირთა ჯგუფი), რომლებიც გარემოში მათ სიცოცხლეზე ან ცხოვრების პირობებზე უარყოფითად მოქმედი უეცარი ან მზარდი ცვლილებების გამო იძულებული არიან, დატოვონ თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი

<sup>937</sup> 2013 წლის 13 მაისს წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა სტიქიის შედეგად დაზარალებულმა და იძულებით გადაადგილებულმა პირებმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ადმინისტრაციულ შენობასთან გამართეს აქცია, რომელმაც შემდგომ პერმანენტული ხასიათი მიიღო.

<sup>938</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 450.



ადგილი ან აირჩიონ მისი დატოვება, როგორც დროებით, ისე მუდმივად და გადაადგილდნენ სახელმწიფო საზღვრებს გარეთ ან შიგნით.“

ასევე, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ“ იძულებით გადაადგილებული პირის ცნებას შემდეგნაირად განსაზღვრავს:

„ამ პრინციპის მიზნებიდან გამომდინარე, იძულებით გადაადგილებულ პირებად ითვლებიან ის პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც გამოძევებულ იქნენ ან იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა გაქცეოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, საყოველთაო ძალადობას, ადამიანის უფლებათა ხელყოფას და სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფებს და ამასთან, არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი.“<sup>939</sup>

აღნიშნული დეფინიციიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ეკომიგრანტის დეფინიციაში მოიაზრება და შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული უნდა იქნენ პირები (ან პირთა ჯგუფები), რომლებიც სტიქიური ან ადამიანის მიერ შექმნილი კატასტროფების, მათ სიცოცხლეზე ან ცხოვრების პირობებზე უარყოფითად მოქმედი უეცარი ან მზარდი ცვლილებების გამო იძულებული არიან დატოვონ თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან აირჩიონ მისი დატოვება, როგორც დროებით, ისე მუდმივად და რომლებსაც არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი.

საკანონმდებლო დონეზე კვლავ არ არის გამიჯნული და ნათლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი უწყებების ვალდებულებები და კომპეტენცია. საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში დღემდე ერთადერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელშიც საუბარია სტიქიური უბედურებებით გამოწვეული და იძულებით გადაადგილებისას პირთა დაცვისათვის სახელმწიფო ვალდებულების თაობაზე, წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.“ აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებულია სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების სოციალური და სამართლებრივი დაცვის, მიგრაციის კონტროლისა და განსახლების სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების ვალდებულება. კერძოდ, აღნიშნული დადგენილების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ფუნქციებში, ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, შედის დევნილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, რეპატრიანტთა საგანგებო სიტუაციებით

<sup>939</sup> გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ, პრეამბულა, პუნ 2.

(სტიქიური უბედურებები, ეპიდემია და სხვა) გამოწვეული მიგრაციული ნაკადის რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზება, ადაპტაცი-ინტეგრაციისთვის პირობების შექმნა და სოციალური დაცვა.

ამავე დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი აკონკრეტებს ეკომიგრანტების დაცვის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალს. დასახელებული მუხლის თანახმად, სამინისტროს მიგრაციის, რეპატრაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს:

„სტიქიასაშიში რეგიონებიდან მოსალოდნელი მიგრაციის პროგნოზირება და ეკომიგრანტთა განსახლების პროგრამების განხორციელება; ეკომიგრანტთა განსახლების ორგანიზება; ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მათი ადაპტაცი-ინტეგრაციის პროგრამების შემუშავება და განხორციელებისათვის ხელშეწყობა; ეკომიგრანტების მონაცემთა ბაზების შექმნა.“

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, რწმუნებული ვალდებულია პერიოდულად, დადგენილი ფორმით წარუდგინოს ინფორმაცია გამგებელს (მერს) ადმინისტრაციულ ერთეულში „ჩასახლებული ეკომიგრანტებისა და დევნილთა რაოდენობის და მათი საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის შესახებ.“ თუმცა, კანონი არ ადგენს აღნიშნული ინფორმაციის მიღების მიზანს. ამასთან, არ არის გაწერილი ტერიტორიული ორგანოს კონკრეტული კომპეტენცია ამ ინფორმაციის მიღების შემდგომ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

2007 წელს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ,“ რომელიც არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი საქართველოს მოქალაქის, უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის, იურიდიული პირის, აგრეთვე საქართველოს საზღვრებში - სახმელეთო (მიწისქვეშა), საზღვაო და საჰაერო სივრცის ფარგლებში არსებული სამრეწველო და სოციალური დანიშნულების ობიექტების, ასევე ბუნებრივი გარემოს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან დაცვის ზოგად ორგანიზაციულ-სამართლებრივ წესებს. ამასთან, იგი არეგულირებს საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში არსებული ამოცანების გადაწყვეტისას საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების, რეგიონულ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, აგრეთვე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს.<sup>940</sup>

<sup>940</sup> საქართველოს კანონი „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ,“ მუხ. 2.

„ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად,<sup>941</sup> საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილების, ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ერთიანი სისტემის ერთ-ერთი ამოცანის თანახმად, საგანგებო სიტუაციებისაგან დაზარალებული მოსახლეობისათვის სახელმწიფო ორგანოთა დახმარება ჰუმანიტარული და სოციალური დაცვის ღონისძიებათა განხორციელებით შემოიფარგლება. ამასთან, დასახელებული კანონი არ მოიცავს ამ ღონისძიებათა დეტალურ ჩამონათვალს და სახელმწიფო ორგანოთა შესაბამის ვალდებულებებს ჰუმანიტარული და სოციალური დახმარების კუთხით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ვაკუუმი ეხება სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ პირთათვის საცხოვრებელი სახლების გადაცემის სამართლებრივ ფორმასა და პროცედურას.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების<sup>942</sup> თანახმად, სამინისტროს ერთ-ერთი ვალდებულება ეკომიგრანტთა განსახლების პროგრამების განხორციელება და ეკომიგრანტთა განსახლებაა. ეს სამინისტრო უფლებამოსილია შეიძინოს საცხოვრებელი სახლები და სარგებლობაში გადასცეს ისინი სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს.

დღევანდელი მდგომარეობით არ არსებობს ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საცხოვრებელი სახლების გადანაწილების პროცედურას და განაწილებისათვის საჭირო კრიტერიუმებს.<sup>943</sup> ამასთან, მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, რა სამართლებრივი ფორმით უნდა გადაეცეს საცხოვრებელი სახლები სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ პირებს, რაც პრაქტიკაში იწვევს მნიშვნელოვან პრობლემას. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ წალკის მუნიციპალიტეტში ჩასახლებული ეკომიგრანტების პრობლემა. კერძოდ, აჭარის რეგიონიდან სტიქიის შედეგად დაზარალებული და წალკის მუნიციპალიტეტში იძულებით გადაადგილებული პირები ძირითადად ცხოვრობენ ბერძენი მოქალაქეების საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლებში. მათი ძირითადი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფომ მხოლოდ 571 ბერძენი მოქალაქის სახლი შეისყიდა. თუმცა, აქედან არცერთი არ არის რეგისტრირებული ეკომიგრანტთა საკუთრებად. იმის გამო, რომ ბოლო პერიოდში

<sup>941</sup> საქართველოს კანონი „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“, მუხ. 6, პუნ. 1, ქპ. „ი“.

<sup>942</sup> „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილება.

<sup>943</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ, გვ. 219.

ბერძენი მოქალაქეები ინტენსიურად ბრუნდებიან საქართველოში, მათ სახლებში შესახლებული ეკომიგრანტები საცხოვრებელს კარგავენ.<sup>944</sup>

ამასთან, არის შემთხვევები, როდესაც სტიქიის შედეგად დაზარალებულ და იძულებით გადაადგილებულ პირებს გადაეცათ საცხოვრებელი სახლი, თუმცა იგი საცხოვრებლად გამოუსადეგარია.<sup>945</sup>

სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულება კი აღიარებულია საქართველოს მიერ „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის<sup>946</sup> მე-11 მუხლით. გაეროს სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების კომიტეტის მოხსენების თანახმად,<sup>947</sup> ადეკვატური საცხოვრებლის უფლება არ უნდა იქნეს ვიწრო მნიშვნელობით გაგებული. სათანადო საცხოვრებლის კონცეფცია რამდენიმე ფაქტორისგან შედგება. მათ შორისაა „საცხოვრებლად ვარგისობა,“ რაც გულისხმობს იმას, რომ მობინადრეს უნდა ჰქონდეს სათანადო ფართი და დაცული უნდა იყოს სიცივისაგან, ნესტისაგან, ჯანმრთელობისათვის მავნე ზემოქმედებისაგან და სხვა საშიში ფაქტორებისაგან.

მიუხედავად სახელმწიფოს ამ ვალდებულებისა, სტიქიის შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული გენადი ხ.-ის ოჯახისათვის ადეკვატური საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით<sup>948</sup> ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგეობას მიმართა, თუმცა რეკომენდაციას შედეგი დღემდე არ მოჰყოლია.

### ადაპტაცია-ინტეგრაციის პროგრამები

ეკომიგრანტთა ადაპტაცია-ინტეგრაციის პრობლემებზე სახალხო დამცველმა არაერთხელ გაამახვილა ყურადღება,<sup>949</sup> მაგრამ კიდევ ერთხელ გვინდა შევეხოთ აღნიშნულ საკითხს, რადგან ამ კუთხით არც 2013 წელს გადადგმულა პოზიტიური ნაბიჯები.

<sup>944</sup> პრაქტიკაში სამართლებრივი კუთხით არსებულ სხვა პრობლემებთან დაკავშირებით, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ, გვ. 454-458; საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ, გვ. 216-217.

<sup>945</sup> საქმე №1362/1.

<sup>946</sup> რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 25 იანვრის №400 დადგენილებით.

<sup>947</sup> ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №4 (მექვესე სესია, 1991 წელი, UN doc. E/1992/23), გვ.114-120.

<sup>948</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 16 ოქტომბრის რეკომენდაცია №04-09/1896.

<sup>949</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ, გვ. 457; საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ, გვ. 220; საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის სპეციალური ანგარიში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების/ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, გვ. 28-31.

2013 წელს აღნიშნული პრობლემა<sup>950</sup> განსაკუთრებით მწვავედ იდგა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ჩასახლებული პირებისათვის. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ საკითხის ადგილზე შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ალექსეევკაში ცხოვრობენ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები. მოსახლეობა ძირითადად მისდევს მესაქონლეობას, რაც მათი შემოსავლის ერთადერთი წყაროა. სოფელ ალექსეევკას მიმდებარე ტერიტორიაზე არის მიწის ფართობი, რომელსაც მოსახლეობა იყენებს სათიბად და საქონლის საძოვრად. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი 2013 წელს, მოსახლეობას არ ეძლეოდა მიწის ნაკვეთებით სარგებლობის უფლება, რადგან თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ალექსეევკას მიმდებარე ტერიტორია (სათიბი და საძოვარი ფართობი) საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას ეკუთვნის, რაც სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი მასალებითაც დასტურდება.<sup>951</sup> ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით<sup>952</sup> მიმართა საქართველოს მთავრობას. თუმცა, რეკომენდაციას შედეგი დღემდე არ მოჰყოლია და ნათელი გახდა თუ რა პრობლემებს წარმოშობს სახელმწიფო უწყებებს შორის ვალდებულებათა და კომპეტენციათა ზუსტი გამიჯვნის არარსებობა.<sup>953</sup>

არსებული პრობლემების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა

---

<sup>950</sup> ამ კუთხით წინა წლებში არსებული პრობლემების შესახებ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ, გვ. 221.

<sup>951</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, წერილი №147401(19.08.2013).

<sup>952</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, რეკომენდაცია №04-11/1522 (26.09.2013).

<sup>953</sup> საქართველოს მთავრობამ (წერილი №32279, 10.10.2013) სახალხო დამცველის 2013 წლის 26 სექტემბრის №04-11/1522 რეკომენდაცია რეაგირებისათვის გადაუგზავნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ (წერილი №04/02-09/49818, 11.11.2013) იშუამდგომლა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან, რომ განეხილათ იმ ოჯახების მოთხოვნა, რომლებიც სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალების შემდგომ განსახლებული იქნენ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ალექსეევკაში. იმავე წერილში, სამინისტრო მზადყოფნას გამოთქვამდა, მისი კომპეტენციის ფარგლებში, აქტიურად ჩართულიყო ამ საკითხის გადაწყვეტაში. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ კი თავის 2014 წლის 9 იანვრის №91/12 წერილში მიუთითა, რომ ვინაიდან, სახელმწიფო მიწებს მართავს და განკარგავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, არსებული პრობლემების გადასაწყვეტად მისთვის მიემართა სახალხო დამცველს.



სამინისტრო პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო რესურსის არარსებობის გამო, ჯეროვნად ვერ ახორციელებს ეკომიგრანტებისათვის განსახლების შემდგომი პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას. ამასთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კომპეტენციის განმსაზღვრელი ნორმა<sup>954</sup> - „... ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მათი ადაპტაცია-ინტეგრაციის პროგრამების შემუშავება და განხორციელებისათვის ხელშეწყობა...“ - ზოგადი ხასიათისაა და ამ უფლების რეალიზებისათვის არ შეიცავს საკმარის რეგულაციებს. სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი შემთხვევები აჩვენებს, რომ ეკომიგრანტთა განსახლების შემდგომ მათ დახმარებას ადგილობრივი თვითმმართველობები ახორციელებენ, მათ ხელთ არსებული რესურსისა და კომპეტენციის ფარგლებში.

### ფინანსური უზრუნველყოფა

ამკარაა, რომ შესაბამისი საბიუჯეტო თანხების გარეშე შეუძლებელია ეკომიგრანტთა პრობლემების გადაჭრა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემებით, 2009 წლიდან ამ მიმართულებით მიზერული თანხაა გამოყოფილი,<sup>955</sup> რაც შეუძლებელს ხდის ეფექტური პოლიტიკის დაგეგმვასა და ადეკვატური ქმედებების განხორციელებას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით,<sup>956</sup> 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის გამოყოფილ ასიგნებებში, „ეკომიგრანტთა მიგრაციის მართვის პროგრამით“ გათვალისწინებულია 1 (ერთი) მილიონი ლარი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით,<sup>957</sup> 2013 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში სტიქიით დაზარალებული ოჯახების გრძელვადიანი განსახლების უზრუნველყოფისათვის დაგეგმილია 35-მდე საცხოვრებელი სახლის შესყიდვა. გარდა ამისა, 2014 წლიდან საბიუჯეტო ასიგნებებში გათვალისწინებული თანხითა და „შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან“ გაფორმებული ხელშეკრულების

<sup>954</sup> საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილება, მუხ 7. პუნ 3, ქპ „ლ“.

<sup>955</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ, გვ. 218 და საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის სპეციალური ანგარიში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების/ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, გვ. 23-25.

<sup>956</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, წერილი №08-02/84189(31.10.2013).

<sup>957</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, წერილი №04/02-09/53457(12.12.2013).

ფარგლებში გამოყოფილი მატერიალური სახსრებით გაგრძელდება დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების შესყიდვა, სტიქიურად ნაკლებად საშიშ მუნიციპალიტეტებში.

იმ პირობებში, როცა საქართველოში ოფიციალური მონაცემებით<sup>958</sup> რეგისტრირებულია 35 204 ოჯახი და 2004-2010 წლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ შეიძინა 1 062 საცხოვრებელი სახლი,<sup>959</sup> საანგარიშო პერიოდში მხოლოდ 35-მდე სახლის შექმნა პრობლემის მოსაგვარებლად საკმარისი არ არის.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების შემდგომი განსახლების უზრუნველყოფისა და ადგილზე ინტეგრაციისათვის საჭირო პროგრამების განხორციელებისათვის საბიუჯეტო სახსრები გამოყოფილი არ არის. ასევე, თანხა გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც სტიქიური მოვლენების პრევენციული, ისე მათი შედეგების ლიკვიდაციისათვის.

## პრევენცია

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულებაში განსაზღვრულია, რომ მის ერთ-ერთ ვალდებულებას სტიქიასაშიში რეგიონებიდან მოსალოდნელი მიგრაციის პროგნოზირება წარმოადგენს, დასახელებული სამინისტრო არ არის ის ორგანო, რომელიც ექსკლუზიურად იქნება ამ საკითხზე პასუხისმგებელი.

გეოლოგიური პროცესების მიმდინარეობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, გარემოს დაცვის სააგენტო, რომელიც 2008 წლის 29 აგვისტოს შეიქმნა. სააგენტო წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისგან დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც სახელმწიფო კონტროლის ქვეშ დამოუკიდებლად ახორციელებს საქმიანობას.

აღნიშნული სააგენტოს დებულების თანახმად<sup>960</sup>, მისი საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას სტიქიური გეოლოგიური პროცესების მდგომარეობის ყოველწლიური გეომონიტორინგული კვლევების სხვადასხვა დონეზე წარმოება, ხოლო, სტიქიის ექსტრემალური გააქტიურების შემთხვევაში, შექმნილი სიტუაციის ოპერატიული შეფასება

<sup>958</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის სპეციალური ანგარიში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების/ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, გვ. 6.

<sup>959</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის სპეციალური ანგარიში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების/ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, გვ. 23.

<sup>960</sup> საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანება №7 (13.04.2011) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ.“

და შემარბილებელი ღონისძიებების დასახვა წარმოადგენს. ასევე, მის ვალდებულებებში შედის საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური სტიქიის ზონებიდან მოსახლეობის გასახლების აუცილებლობის დადგენა, ეკომიგრანტების განსახლების არეალების განსაზღვრა და შეფასება.

„ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი მიზანი არის საგანგებო სიტუაციის წარმოქმნისა და გავრცელების თავიდან აცილება. დასახელებული კანონის თანახმად, „საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილების, მოსალოდნელი ზარალის მაქსიმალურად შემცირების მიზნით ტარდება პრევენციული ღონისძიებები,<sup>961</sup> თუმცა, კანონი არ მიუთითებს პრევენციული ღონისძიებების დეტალურ ჩამონათვალს და სახელმწიფო ორგანოთა შესაბამის ვალდებულებებს.

კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელშიც საუბარია გარემოს დაცვის უზრუნველყოფაზე, არის საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლის სახელმწიფო სტრატეგია,<sup>962</sup> რომლის 5.3 მუხლის თანახმად,

„1. საჭიროა რისკის ზონებში დაინერგოს მონიტორინგისა და ადრეული შეტყობინების სისტემები, შემუშავდეს ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმები, დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები.

2. უნდა განხორციელდეს ექტრემალური ბუნებრივი მოვლენებით (გვალვა, სეტყვა, მაღალი სიჩქარის ქარები და სხვ.) ბუნებრივი კატასტროფებით/გეოდინამიკური პროცესებით (წყალდიდობები, მეწყერები, ღვარცოფები და სხვ) გამოწვეული რისკების, მათი რეგიონის ეკონომიკასა და სოციალურ სფეროზე გავლენის შეფასება და გათვალისწინება რეგიონის მდგრადი განვითარების სტრატეგიებსა და სამოქმედო პროგრამებში.“

## რეკომენდაციები:

- საკანონმდებლო დონეზე ჩამოყალიბდეს ეკომიგრანტის დეფინიცია და განისაზღვროს პირთა წრე, რომელზეც გავრცელდება აღნიშნული სამართლებრივი სტატუსი;
- სტიქიის შედეგად იძულებით გადაადგილებული და დაზარალებული პირების უფლებათა დაცვის მიზნით შემუშავდეს და საკანონმდებლო დონეზე გაიწეროს ეკომიგრანტთა განსახლების შემდგომი ადაპტაცია-ინტეგრაციის სტრატეგია და პროცედურები;

<sup>961</sup> საქართველოს კანონი „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“, მუხ. 5, პუნ. 1.

<sup>962</sup> საქართველოს მთავრობის №172 დადგენილება (25.06.2010).

- საკანონმდებლო დონეზე გაიწეროს საცხოვრებელი სახლების დაზიანების ხარისხის შეფასებისა და დაზარალებული ოჯახებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის კრიტერიუმები. ასევე, სტანდარტები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ეკომიგრანტებისათვის შეთავაზებული საცხოვრებელი სახლი;
- საკანონმდებლო დონეზე გაიწეროს სტიქიური მოვლენებით დაზარალებულ პირთა განსახლების პროცედურული წესები და სახელმძღვანელო პრინციპები (საცხოვრებელი სახლის განაწილების წესი, ეკომიგრანტებისთვის საცხოვრებელი სახლის გადაცემის სამართლებრივი ფორმა);
- საკანონმდებლო დონეზე გაიწეროს სახელმწიფოს ვალდებულება ეკომიგრანტთა განსახლებისათვის აუცილებელი ხარჯის დაფარვის შესახებ და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოს შესაბამისი თანხა ამ ვალდებულების იმპლემენტაციისათვის;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და დევნილთა სამინისტრომ უზრუნველყოს სტიქიის შედეგად იძულებით გადაადგილებული და დაზარალებული პირების მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირება;
- საკანონმდებლო დონეზე გაიწეროს მოსალოდნელი სტიქიური უბედურებების პროგნოზირებისა და პრევენციის კონკრეტული ღონისძიებები.
- საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს მოსალოდნელი სტიქიური უბედურებების პროგნოზირებისა და პრევენციის, ეკომიგრანტთა განსახლებისა და შემდგომი ადაპტაცია-ინტეგრაციისათვის შესაბამისი ფინანსური პოლიტიკის შემუშავება, საჭირო სახსრების დაანგარიშება და სახელმწიფო ბიუჯეტში მისი ეტაპობრივი გამოყოფა.
- უმოკლეს ვადაში მიღებული იქნეს ზომები წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირებისათვის (ეკომიგრანტებისთვის) სათანადო საცხოვრისის გამოყოფისა და აღნიშნულ პირთა სხვა პრობლემების მოგვარების მიზნით.
  - შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში, მიღებულ იქნეს ზომები, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ალექსეევკაში მცხოვრები, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ამავე ტერიტორიაზე არსებული სათიბი და საძოვარი ფართობით სარგებლობის კანონიერი უფლების მიღებისათვის ან/და გამოინახოს ამ პრობლემის მოგვარების ალტერნატიული საშუალებები.

## ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ

ევროსაბჭოში გაწევრიანებასთან ერთად, 1999 წელს საქართველომ აიღო ვალდებულება სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის შესახებ. ვალდებულების აღებამდე, წლების განმავლობაში, როგორც საქართველოში, ასევე დეპორტირებული მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მიერ, ისმებოდა სამხრეთ საქართველოდან გადასახლებული მოსახლეობის საქართველოში დაბრუნების საკითხი. ეს თემა ხშირად იყო აქტუალური განსჯისა და რიგ შემთხვევებში, მკაცრი დისკუსიების საგანი.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, სახელმწიფოს ხელშეწყობით რამდენიმე ათეული ოჯახი დაბრუნდა საქართველოში. დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში 557 მესხი ოჯახი ცხოვრობს. ისინი კომპაქტურად არიან დასახლებული იმერეთის სოფელ იანეთში (168 ადამიანი - 30 ოჯახი) და გურიის სოფელ ნასაკირალში (139 ადამიანი - 28 ოჯახი). ამის პარალელურად, ძირითადად საკუთარი სახსრებით, საქართველოში დაბრუნდა რამდენიმე ათეული ოჯახი, რომლებიც თბილისსა (დაახლოებით 100 მესხი) და სხვადასხვა ქალაქებში.<sup>963</sup> დასახლდნენ.

რეპატრიაციის პროცესი რამდენიმე წლის წინ განახლდა და ამჟამად, დაახლოებით 150-მდე ოჯახი არის ჩამოსახლებული სამცხე-ჯავახეთში, ძირითადად აზერბაიჯანიდან, რომლებიც უმეტესად ახალციხესა და აბასთუმანში ცხოვრობენ.

საქართველოში აქტუალურია, როგორც რეპატრიაციის, ასევე, უკვე რეპატრირებული მოსახლეობის ინტეგრაციისა და უფლებების დაცვის საკითხი.

ისტორიული სამართლიანობის აღდგენის, ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნების პრინციპების დადგენისა და რეპატრიაციის პროცესის სამართლებრივი რეგულირების მიზნით, 2007 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ.“

კანონით განისაზღვრა იმ პირთა წრე, ვისაც აქვს უფლება მიიღოს რეპატრიანტის სტატუსი; დოკუმენტაციის ნუსხა, რაც უნდა წარმოადგინოს რეპატრიაციის მსურველმა; რეპატრიაციის მსურველის განაცხადის განხილვის პროცედურები და ვადები. კანონის მიღების შემდეგ რეპატრიაციის პროცესის წარმართვის ხელშეწყობისა და რეგულირებისათვის მთავრობამ მიიღო რამდენიმე სამართლებრივი დოკუმენტი,<sup>964</sup> რომლებიც ძირითადად განსაზღვრავენ

<sup>963</sup> ამ მომენტისათვის არ არსებობს ზუსტი სტატისტიკური მონაცემები საქართველოში რეპატრირებულ მესხთა საერთო რაოდენობის შესახებ.

<sup>964</sup> „რეპატრიაციის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით დამატებითი მოთხოვნების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №276 (17.12.2007); „რეპატრიანტის სტატუსის მაძიებლისა და მისი ოჯახის წევრების შემოსავლებისა და ქონებრივი



რეპატრიანტის სტატუსისა და საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღების ტექნიკურ დეტალებს.

მოქმედი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფომ დაიწყო რეპატრიაციის მსურველთა განაცხადების მიღება. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფომ მიიღო რეპატრიაციის მსურველთა 5 841 განაცხადი 9 350 პირზე, მსოფლიოს რვა ქვეყნიდან. მათი ძირითადი ნაწილი - 5 389 განაცხადი აზერბაიჯანიდან არის. მიღებული განაცხადებიდან სახელმწიფომ რეპატრიანტის სტატუსი მიანიჭა 1 254 ადამიანს.

იმის მიუხედავად, რომ არსებობს სათანადო საკანონმდებლო ბაზა და სახელმწიფოს გაცნობიერებული აქვს რეპატრიაციის აუცილებლობა, არსებობს მთელი რიგი სირთულეები სხვადასხვა სფეროში, რაც საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას. საქართველოსთვის რეპატრიაციის პროცესის მასშტაბების, საჭიროებებისა და რესურსების ოდენობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია არსებობდეს სპეციალური სახელმწიფო სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილი იქნება სხვადასხვა სფეროებში, როგორც რეპატრიაციის პროცესის, ასევე რეპატრიაციის შემდგომ პერიოდში მოქალაქეთა ინტეგრაციის ხელშეწყობის ღონისძიებები.

### **განათლება და სახელმწიფო ენის შესწავლა**

რეპატრირებული და რეპატრიაციის მსურველი მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით საზღვარგარეთ მცხოვრები მოსახლეობა, არ ფლობს ქართულ ენას, რაც რეპატრიაციის შემდგომ მათი ინტეგრაციისა და ქვეყნის ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართვის შემაფერხებელი ფაქტორია. ამდენად, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს რეპატრიანტებისა და რეპატრირების მსურველებისათვის ქართული ენის შესწავლაზე. ამ თვალსაზრისით, რეპატრიანტების კომპაქტური დასახლების ადგილებში შესაძლოა გამოყენებული იქნას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შესაბამისი პროგრამები.

სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს, სასკოლო განათლების ფარგლებში რეპატრირებულთა განათლების უფლების რეალიზებას. იმის გათვალისწინებით, რომ დიდი ნაწილი სახელმწიფო ენას არ ფლობს, რეპატრირებული მოსახლეობისთვის პირველ წლებში პროფესიული და უმაღლესი განათლება ნაკლებად იქნება ხელმისაწვდომი. ამიტომ,

---

მდგომარეობის დეკლარაციის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №299 (28.12.2007); ა „რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთა მიერ საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №87 (30.03.2010).

სასურველია, რომ რეპატრირებული მოსახლეობისთვის პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდეს სათანადო პროგრამები.

### **რეპატრიანტების ჩართვა სახელმწიფო პროგრამებში**

რეპატრიანტებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია სახელმწიფო სერვისების შესახებ. ეს ეხება ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, დაზღვევის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და სხვა სფეროებში მიმდინარე პროგრამებს. ამისათვის აუცილებელია სამთავრობო უწყებებს შორის დაიხვეწოს კოორდინაციის მექანიზმი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს რეპატრიანტთა ეფექტური ჩართვა სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებში. მნიშვნელოვანია რეპატრირებული მოსახლეობისთვის ჩამოყალიბდეს აღნიშნულ სერვისებსა და სფეროებში მათი ჩართვის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ეფექტური სისტემა.

როგორც ცნობილია, რეპატრირებული მოსახლეობის დიდი ნაწილი ტრადიციულად სოფლის მეურნეობას მისდევს. ამდენად, მნიშვნელოვანია მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა სოფლის მეურნეობის სფეროში. აღნიშნული შესაძლოა გამოიხატოს, როგორც ზუსტი ინფორმაციის მიწოდებით სხვადასხვა რეგიონების სასოფლო-სამეურნეო შესაძლებლობის შესახებ, ასევე კონკრეტული მიზნობრივი პროგრამებით.

აქვე აღსანიშნავია, რომ რეპატრიანტების გარკვეულ ნაწილს არ აქვს საქართველოს მოქალაქეობა, რის გამოც ვერ სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეების თანასწორი უფლებებითა და შეღავათებით. ეს კი ხელს უშლის მათ, გახდნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები და სრულყოფილად ისარგებლონ საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ადამიანის უფლებებით.

### **ნეგატიური წარმოდგენებისა და სტერეოტიპების აღმოფხვრა**

გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული, მოქმედებს ნეგატიური წარმოდგენები და სტერეოტიპები სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის შესახებ. საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არსებობს მოსაზრება, რომ ამ მოსახლეობის რეპატრირების შემთხვევაში, შესაძლოა, გამწვავდეს ეთნოსთაშორისი ურთიერთობები სამცხე-ჯავახეთში. აღნიშნული შიშები და უნდობლობა რეპატრირების პროცესის წარმატებულად წარმართვის ერთ-ერთი შემაფერხებელი გარემოებაა. ჯერჯერობით არ მოქმედებს არცერთი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც რეპატრირებულ, რეპატრირების მოლოდინში მყოფ და ასევე, ადგილობრივ მოსახლეობას, მიაწვდის ობიექტურ ინფორმაციას ერთმანეთის კულტურის, ტრადიციების, ცხოვრების წესისა და სხვა თავისებურებების შესახებ.

რეპატრირებულ და ადგილობრივ მოსახლეობაში ტოლერანტული სულისკვეთების დამკვიდრებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, უნდა დაიგეგმოს სპეციალური ღონისძიებები, რათა ნეგატიურმა წარმოდგენებმა ხელშემშლელი გავლენა არ იქონიოს ინტეგრაციისა და რეპატრირების პროცესზე.

#### რეკომენდაციები:

##### საქართველოს მთავრობას:

- სამხრეთ საქართველოდან XX საუკუნის 40-იან წლებში დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდეს და დამტკიცდეს სპეციალური სახელმწიფო პროგრამა/სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახული იქნება სხვადასხვა სფეროებში, როგორც რეპატრაციის პროცესის ხელშეწყობის, ასევე რეპატრაციის შემდგომ პერიოდში, მოქალაქეთა ინტეგრაციისთვის აუცილებელი ღონისძიებები.

##### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- შეიქმნას რეპატრიანტებისა და რეპატრირების მსურველებისთვის ქართული ენის შემსწავლელი პროგრამები.
- რეპატრირებული მოსახლეობისთვის პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობისთვის განხორციელდეს შესაბამის მიზნობრივი პროგრამები.

##### ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს:

- ჩამოყალიბდეს რეპატრიანტთათვის სხვადასხვა სფეროებში სახელმწიფო სერვისების (ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, დაზღვევა, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკური პროექტები და სხვა) შესახებ ინფორმირების სისტემა.
- შეიქმნას რეპატრიანტი ოჯახების შესახებ მონაცემთა ბაზა, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მოქალაქე და არამოქალაქე რეპატრიანტების, მათი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, განათლების, პროფესიული გამოცდილების, სახელმწიფო ენის ცოდნის დონის შესახებ და სხვა, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი პოლიტიკის განსაზღვრას და სათანადო დახმარების ეფექტური ღონისძიებების დაგეგმვას.
- ნეგატიური სტერეოტიპების აღმოფხვრის მიზნით, შეიქმნას სპეციალური საგანმანათლებლო-საინფორმაციო პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს ტოლერანტული სულისკვეთების დამკვიდრებას რეპატრირებულ, რეპატრაციის

მოლოდინში მყოფ და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. პროგრამის ფარგლებში სამიზნე ჯგუფებს უნდა მიეწოდოს ობიექტური ინფორმაცია ერთმანეთის კულტურის, ტრადიციების, ცხოვრების წესისა და სხვა თავისებურებების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს:

- მიღებული იქნეს ზომები რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირებისათვის მოქალაქეობის მინიჭების პროცესის დასაჩქარებლად.

## ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებრივი მდგომარეობა

დღეს საქართველოში 284 ლტოლვილი და 34 ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირია. ამათგან უმეტესობა – 1999–2001 წლებში რუსეთიდან ლტოლვილი 249 პირი პანკისის ხეობაში ცხოვრობს.<sup>965</sup>

წინა წლების მსგავსად, 2013 წელს ლტოლვილისა და თავშესაფრის მაძიებელ პირთა მიმართვიანობა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მაღალი არ იყო. თუმცა, სახალხო დამცველისთვის ცნობილია თავშესაფრის მაძიებელ პირთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში არსებული პრობლემების შესახებ.

საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში, ნათლად ჩანს, რომ ასეთი პრობლემები მრავალია და მათი გადაჭრა სახელმწიფოს მხრიდან მყისიერ და ქმედით ჩარევას საჭიროებს. ერთ-ერთ ასეთი პრობლემაა ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსების მინიჭების დაბალი მაჩვენებელი.<sup>966</sup> ასევე, პრობლემებია ლტოლვილთა ნაწილისთვის სტატუსის შეწყვეტასა და ნატურალიზაციასთან დაკავშირებით.

### კანონმდებლობა

საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიშში განხილული იყო „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ძალაში 2012 წლის 18 მარტს შევიდა. აღნიშნული კანონის მიღება წინადადებულ ნაბიჯს წარმოადგენდა, თუმცა კანონს აქვს გარკვეული ხარვეზები, რომლებზეც საქართველოს სახალხო დამცველი 2011 წლის ანგარიშში საუბრობდა და მათი გამოსწორება დღემდე არ მომხდარა.<sup>967</sup>

კერძოდ, „ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, თავშესაფრის მაძიებლის განცხადების წინასწარი განხილვა 10 დღის ვადაში ხდება, რა დროშიც შეიძლება პირს უარი ეთქვას თავშესაფრის მაძიებლის სტატუსზე. ვინაიდან, ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურა, სახელმწიფოსგან მრავალი რთული ასპექტის შესწავლასა და გაანალიზებას მოითხოვს, აღნიშნული 10 დღიანი

<sup>965</sup> „გახდე საზოგადოების ნაწილი: ლტოლვილთა ადგილობრივი ინტეგრაცია პანკისში“, გლუკი, საქართველო, 2013 წელი.

<sup>966</sup> „ადამიანის უფლებათა ანგარიში – საქართველო“, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2013 წელი

<sup>967</sup> „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიში“, საქართველოს სახალხო დამცველი, 2011 წელი, გვ. 207.



წინასწარი განხილვის პერიოდი ვერ ჩაითვლება ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების საფუძვლიანი შესწავლისთვის საკმარის ვადად. ასეთი ვადის არსებობა სახელმწიფოს უტოვებს შესაძლებლობას ბოროტად გამოიყენოს ეს უფლებამოსილება ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მაძიებელ პირებთან მიმართებაში. საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთ რეკომენდაციას, კანონიდან 10 დღიანი ვადის ამოღება წარმოადგენდა, თუმცა ეს რეკომენდაცია არ შესრულდა.<sup>968</sup>

ასევე არ შესრულდა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია, დაზუსტებულიყო კანონის მე-11 მუხლის, მე-2 პუნქტით გათვალისწინებული 24 საათიანი მიმართვის ვალდებულების ათვლის ვადა. აღნიშნული ვალდებულების თანახმად, თავშესაფრის მაძიებელმა პირმა, საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის შემთხვევაში, 24 საათის განმავლობაში უნდა მიმართოს პირველივე სახელმწიფო ორგანოს. ამ ჩანაწერმა, პრაქტიკაში შესაძლოა პრობლემები წარმოშვას, ვინაიდან არის დიდი ალბათობა, რომ პირისთვის რომელიც საქართველოს საზღვარს უკანონოდ კვეთს თავშესაფრის მოთხოვნის მიზნით, არ არის ცნობილი კანონში მსგავსი ჩანაწერის შესახებ.

ასევე აღსანიშნავია, რომ ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცედურა 6 თვიდან 9 თვემდე გრძელდება. თუ ამ პერიოდის შემდეგ პირს მიენიჭა, ლტოლვილის სტატუსი, მოქალაქეობის მიღებისათვის დამატებით 5 წელი საქართველოში ცხოვრების ვადა მოეთხოვება. სტატუსი მინიჭებისა და სავალდებულო ცხოვრების ვადები ჯამში აჭარბებს 5 წელს, რაც არ შეესაბამება საუკეთესო პრაქტიკის სტანდარტს, რომლის მიხედვით ნატურალიზაციის ვადა 5 წელს არ უნდა აღემატებოდეს.

ამასთან, ჰუმანიტარული ან ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, პირს ეძლევა მხოლოდ დროებითი ბინადრობის მოწმობა უფლება. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მოქალაქეობის მიღების ერთ-ერთ წინაპირობად საქართველოს ტერიტორიაზე 5 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრებას აყენებს.<sup>969</sup>

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის მიღებიდან ერთ თვეში, პირს შეუძლია წარადგინოს სარჩელი სასამართლოში<sup>970</sup>. თუმცა, ამავე კოდექსის თანახმად, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის ან თავშესაფრის მაძიებელს მხოლოდ 10 დღე აქვს, რათა გაასაჩივროს სტატუსის მინიჭებაზე ან თავშესაფრის მიცემაზე უარი. ზოგად წესზე დაბალი სტანდარტის დაწესება ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მაძიებელ პირებთან მიმართებაში, მათ მიმართ არათანასწორ მიდგომას წარმოადგენს. ამასთან, რადგან არსებობს პრეზუმპცია, რომ ლტოლვილის, ჰუმანიტარული სტატუსის ან თავშესაფრის მაძიებელმა პირმა არ იცის ქართული ენა, მისთვის საკმაოდ რთული იქნება უარყოფითი

<sup>968</sup> იქვე, გვ. 206


<sup>969</sup> საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მ. 26მ, ქვ. ა.

<sup>970</sup> საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხ. 23, პ. 4

გადაწყვეტილების ამ მოკლე ვადაში გასაჩივრება, რაც მათი უფლებების დარღვევის საფუძველი შეიძლება გახდეს.

### 2013 წლის თავშესაფრის მოთხოვნის სტატისტიკა

2013 წელს საქართველოს თავშესაფრის მოთხოვნით უცხო ქვეყნის 717 მოქალაქემ მიმართა. ამათგან, მხოლოდ 12-ს მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი და 19-ს ჰუმანიტარული სტატუსი. 717 განაცხადიდან საქმის წარმოება შეწყდა 293-ზე, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარი ეთქვა 100 პირს. რეგისტრაციაზე უარი ეთქვა 6-ს, ხოლო 287 პირის საქმესთან დაკავშირებით მიმდინარეობს განხილვა.<sup>971</sup>




როგორც სტატისტიკიდან ჩანს, მიუხედავად განცხადებების სიმრავლისა, პირთა რაოდენობა, რომლებმაც ჰუმანიტარული ან ლტოლვილის სტატუსი მიენიჭათ, ძალიან დაბალია. ამასთან,

<sup>971</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2013 წლის 31 დეკემბრის წერილი №04/01-09/4562

როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, საქართველოში შემოსული განცხადებებიდან უმეტესობა შემოსულია ქვეყნებიდან, რომლებიც დღემდე აქტიური კონფლიქტის ზონაა და/ან გამოირჩევიან ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის შემთხვევებით. განაცხადების ყველაზე დიდი რაოდენობა ერაყის, ირანის და სირიის მოქალაქეებმა შეავსეს. მხოლოდ ერაყიდან 478 განაცხადი შემოვიდა, ხოლო სირიიდან 60.<sup>972</sup>

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის 2013 წლის ანგარიშის მიხედვით, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სირიიდან, ერაყიდან, სომალიდან და ავღანეთიდან შესული თავშესაფრის მაძიებლებისთვის სტატუსის მინიჭების მაჩვენებელი 62-დან 95 პროცენტამდე მერყეობს,<sup>973</sup> რაც საქართველოში არსებულ მაჩვენებელზე ბევრად მაღალია.



<sup>972</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2013 წლის 31 დეკემბრის წერილი №04/01-09/4562

<sup>973</sup> თავშესაფრის ტენდენციები, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, 2013 წელი. იხ. <http://www.unhcr.org/532afe986.html>, [ბოლოს ნანახია 25.03.2014].

## პანკისში მცხოვრები ლტოლვილები

საქართველოში მცხოვრებ ლტოლვილთა უდიდესი ნაწილი პანკისის ხეობაში ცხოვრობს. ეთნიკურად ჩეჩენი ლტოლვილები, რუსეთის ფედერაციიდან 1999-2001 წლებში გადმოვიდნენ საქართველოში და მიიღეს ლტოლვილის სტატუსი. 2009-2012 წლებში 536-მა ლტოლვილის სტატუსის მქონე ჩეჩენმა მიიღო საქართველოს მოქალაქეობა რაც დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. თუმცა დღეს კვლავ რჩებიან ჩეჩენი ლტოლვილები პანკისის ხეობაში, რომლებსაც სახელმწიფომ ნატურალიზაციაზე უარი განუცხადა.<sup>974</sup>

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 2013 წელს 54-მა ლტოლვილმა, 19 ოჯახიდან შეიტანა განცხადება მოქალაქეობის მიღებაზე. ეს ოჯახები გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა შეამოწმა. მათი უმრავლესობა - 34 პირი მცირეწლოვანია, 14 ქალი და 6 ზრდასრული მამაკაცი.<sup>975</sup> ზემოაღნიშნულ პირებს უარი ეთქვათ საქართველოს მოქალაქეობაზე, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

2013 წელს ლტოლვილის სტატუსის მქონე პირების ნაწილს შეუწყდა სტატუსი, იმ მიზეზით, რომ ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა მიიღო საქართველოს მოქალაქეობა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან მიღებული წერილის თანახმად,<sup>976</sup> მცირეწლოვან თ.მ.-ს შეუწყდა ლტოლვილის სტატუსი, მისი დედის, ა.მ.-ს მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღების გამო. ამავე მიზეზით, შეუწყდა ლტოლვილის სტატუსი მცირეწლოვან ა.გ.-ს.

„ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლში მოცემულია ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები. აღნიშნული მუხლი, ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის პირობად, მშობლის მიერ მოქალაქეობის მიღებას არ ასახელებს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით:

„თუ პირის ოჯახი განქორწინების, განშორების ან გარდაცვალების გამო დაიშლება, მისი ოჯახის წევრებს, რომლებსაც ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი მიენიჭათ ოჯახის გაერთიანების საფუძველზე, უნარჩუნდებათ ეს სტატუსი, თუ მათზე არ ვრცელდება ამ მუხლით განსაზღვრული პირობები“

როგორც ამ მუხლიდან ჩანს, ლტოლვილის სტატუსი ოჯახზე მიბმული არ არის და პირს ოჯახის დაშლის შემდეგაც უნარჩუნდება. შესაბამისად, კიდევ უფრო გაუგებარია, რატომ შეუწყდათ ზემოაღნიშნულ პირებს სტატუსი, მშობლის მიერ მოქალაქეობის მიღების მიზეზით.

<sup>974</sup> „გახდეს საზოგადოების ნაწილი: ლტოლვილთა ადგილობრივი ინტეგრაცია პანკისში,“ გლუკი, საქართველო, 2013 წელი.

<sup>975</sup> Background Note on Naturalization, UNHCR, 2013

<sup>976</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2013 წლის 31 დეკემბრის წერილი №04/01-09/4562

გლუკის სტანდარტული ოპერაციული პროცედურების მიხედვით, პირის ინტეგრაციისთვის საჭირო გრანტები, ე.წ. „განსახლების გრანტი“ გაიცემოდა მხოლოდ ნატურალიზებულ ლტოლვილებზე. შედეგად, პირები რომლებსაც 2013 წელს უარი ეთქვათ ნატურალიზაციაზე, აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

პრობლემები შეექმნათ ასევე ბავშვებს, რომლებიც სკოლაში მხოლოდ მსმენელის სტატუსით ესწრებიან გაკვეთილებს და სტატუსის უქონლობის გამო ვერ აიღებენ საშუალო განათლების დამადასტურებელ სერთიფიკატს. ასევე პრობლემები ექმნებათ ლტოლვილებს უმაღლესი განათლების მიღებასთან დაკავშირებით. მართალია, „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი ასეთი სტატუსის მატარებლებს ანიჭებს საქართველოს მოქალაქესთან გათანაბრებულ უფლებებს განათლების სფეროში, თუმცა ხშირად იქმნება სამართლებრივი კოლიზია, როდესაც განათლების სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამები მასში მონაწილეობისთვის ერთ-ერთ მოთხოვნად საქართველოს მოქალაქეობას აყენებენ.<sup>977</sup>

ასევე, გართულებულია ლტოლვილთა ადგილობრივი ინტეგრაციის საკითხი, რომელშიც სახელმწიფო პასიურად არის ჩართული. დღემდე განხორციელებული საინტეგრაციო ღონისძიებების უმეტესობა საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით მოხდა. მიუხედავად თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა მცირე რიცხვისა, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მათი უფლებების სრულყოფილ დაცვას.

მიუღებელია მათი უფლებების უგულვებელყოფა, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად კატეგორიას, რომლებმაც თავიანთი საცხოვრებელი ადგილები იძულებით, სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნის მიზეზით დატოვეს.

## რეკომენდაციები:

### საქართველო პარლამენტს:

- საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიშში მოყვანილი რეკომენდაციების შესრულების მიზნით, გადაიხედოს „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს:

<sup>977</sup> „გახდე საზოგადოების ნაწილი: ლტოლვილთა ადგილობრივი ინტეგრაცია პანკისში,“ გლუკი, საქართველო, 2013 წელი.



- აღუდგეთ ლტოლვილის სტატუსი იმ პირებს, რომლებსაც მათი ოჯახის წევრების მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღების შედეგად, შეუწყდათ ლტოლვილის სტატუსი;

საქართველოს პარლამენტს, საქართველოს მთავრობას:

- ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომი გახდეს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამები;

საქართველოს მთავრობას:

- განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის მიზნით.